Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

**5 Classics of Marxism**

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

**http://ciml.250x.com**

Georgian Section

**www.joseph-stalin.net**

**SHMG Press**

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

# ლენინი

# ლენინი

## თხზულებანი

## 13

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

# В. И. ЛЕНИН

## СОЧИНЕНИЯ

*Издание четвертое*

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

ᲡᲙᲙ. Კ. Პ. (Ბ) Ც. Კ-ᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡ-ᲔᲜ�გᲔᲚᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ
ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

# ვ. ი. ლენინი

## თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ
1950

# ვ. ი. ლენინი

## ტომი

## 13

*1907* ივნისი—*1908* აპრილი

## წინასიტყვაობა

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცამეტე ტომი შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1907 წლის ივნისიდან 1908 წლის აპრილამდე.

სტატიების — «ბოიკოტის წინააღმდეგ», «პუბლიცისტის შენიშვნები», «რევოლუცია და კონტრრევოლუცია», «მესამე სათათბირო», «პოლიტიკური შენიშვნები», «ახალი აგრარული პოლიტიკა» — საგანია პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება და რეაქციის ეპოქაში პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების განსაზღვრა. ამ სტატიებში, ისევე როგორც რსდმ პარტიის პეტერბურგისა და სრულიად რუსეთის კონფერენციებზე წარმოთქმულ სიტყვებში, რომლებიც ამ ტომში ქვეყნდება, ლენინმა ჩამოაყალიბა აგრეთვე სათათბიროს მიმართ ბოლშევიკების ტაქტიკის ამოცანები ახალ ეტაპზე.

ტომში შევიდა ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები აგრარულ საკითხზე «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (თავები X — XII) და «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში».

ტომში შეტანილია «წინასიტყვაობა» ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა პირველი, სამტომიანი კრებულისა «12 წლის მანძილზე», რომლის სრულად გამოცემის განხორციელება ვერ მოხერხდა ცენზურის მხრივ დევნის გამო. ეს წინასიტყვაობა წარმოადგენს რევოლუციური მარქსიზმისათვის ლიბერალიზ-

მისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინის ბრძოლის ისტორიის მოკლე ნარკვევს.

ტომში შედის სტატია «პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობა». ამ სტატიაში ლენინი აკრიტიკებს პლეხანოვისა და მენშევიკების ოპორტუნიზმს, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობა ტრედ-უნიონიზმის გზით წარემართათ.

ორ სტატიაში ერთი სათაურით — «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი» — ასახულია ლენინის, ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ამ სტატიებში მხილებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატების გადახვევა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებიდან.

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი: პროექტი რსდმ პარტიის მესამე («სრულიად რუსეთის მეორე») კონფერენციის რეზოლუციისა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე, «მონახაზი რეზოლუციის პროექტისა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ», შენიშვნა «პლეხანოვის სტატიის შესახებ», ««პროლეტარის» რედაქციის განცხადება».

«ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურის წინასიტყვაობაში. პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ», რომელიც აგრეთვე პირველადაა შეტანილი თხზულებებში, ლენინი ილაშქრებს პროფკავშირთა «ნეიტრალობის» ლოზუნგის წინააღმდეგ და აღნიშნავს პარტიასთან პროფკავშირების დაახლოების აუცილებლობას პროლეტარიატის სოციალისტური შეგნების განვითარებისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით მისი აღზრდის მიზნით.

# ბოიკოტის წინააღმდეგ

## (სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის შენიშვნებიდან)[1]

დაწერილია 1907 წლის
26 ივნისს (9 ივლისს)

დაიბეჭდა 1907 წელს ბროშურაში:
«მესამე სათათბიროს ბოიკოტის შესახებ»,
მოსკოვი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

ამას წინათ შემდგარმა მასწავლებელთა ყრილობამ[2], რომელზეც უმრავლესობა სოციალისტ-რევოლუციონერთა გავლენის ქვეშ იყო, ს.-რ. პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით მიიღო რეზოლუცია III სათათბიროს ბოიკოტის შესახებ. სოციალ-დემოკრატმა მასწავლებლებმა რსდმ პარტიის წარმომადგენლებთან ერთად თავი შეიკავეს ხმისმიცემისაგან, რადგან საჭიროდ თვლიდნენ ასეთი საკითხის გადაჭრას პარტიულ ყრილობაზე ან კონფერენციაზე და არა უპარტიო, პროფესიულ-პოლიტიკურ კავშირში.

ამრიგად, III სათათბიროს ბოიკოტის საკითხი სცენაზე გამოდის, როგორც რევოლუციური ტაქტიკის მორიგი საკითხი. ს.-რ. პარტიას, თუ აღნიშნულ ყრილობაზე მისი წარმომადგენლის გამოსვლის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს საკითხი უკვე გადაუჭრია, თუმცა ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება ამ პარტიის არც ოფიციალური დადგენილებანი, არც ლიტერატურული დოკუმენტები ესერების წრიდან. სოციალ-დემოკრატების წრეში ეს საკითხი უკვე დასმულია და ირჩევა.

მერე რა მოსაზრებებით იცავენ ესერები თავიანთ გადაწყვეტილებას? არსებითად, მასწავლებელთა ყრილობის რეზოლუცია ლაპარაკობს III სათათბიროს სრულ უვარგისობაზე, მთავრობის რეაქციულობასა და კონტრრევოლუციურობაზე, რომელმაც 3 ივნისის[3] სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, ახალი საარჩევნო კანონის მემამულურ ხასიათზე

და სხვ. და ა. შ. *. არგუმენტაცია ისეა აგებული, თითქოს III სათათბიროს ულტრარეაქციულობიდან თავისთავად გამომდინარეობდა ბრძოლის ისეთი საშუალების თუ ისეთი ლოზუნგის აუცილებლობა და კანონიერება, როგორიცაა ბოიკოტი. ყოველ სოციალ-დემოკრატს თვალში ეცემა, ასეთი მსჯელობის უვარგისობა, რადგან აქ ბოიკოტის გამოყენების ისტორიული პირობები სრულიადაც არ არის განხილული. მარქსიზმის ნიადაგზე მდგომ სოციალ-დემოკრატს ბოიკოტის საჭიროება გამოჰყავს არა ამა თუ იმ დაწესებულების რეაქციულობის დონიდან, არამედ ბრძოლის იმ განსაკუთრებულ პირობათა არსებობიდან, როცა, როგორც უკვე ახლა რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამაც ცხადყო, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ის თავისებური საშუალება, რომელსაც ბოიკოტი ეწოდება. ვინც ბოიკოტის შესახებ დაიწყებს მსჯელობას და ანგარიშს არ გაუწევს ჩვენი რევოლუციის ორი წლის გამოცდილებას, არ ჩაუფიქრდება ამ გამოცდილებას, ასეთ ადამიანზე უნდა ითქვას, რომ მას ბევრი

* აი ამ რეზოლუციის ტექსტი: «იღებს რა მხედველობაში: 1) რომ ახალი საარჩევნო კანონი, რომლის საფუძველზედაც ხდება III სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, მშრომელ მასებს ართმევს საარჩევნო უფლებათა იმ მცირე ნაწილსაც კი, რომელიც დღემდე მათ ჰქონდათ და რომლის მოპოვება მათ ასე ძვირად დაუჯდათ; 2) რომ ეს კანონი წარმოადგენს ხალხის ნების აშკარა და უხეშ ფალსიფიკაციას მოსახლეობის ყველაზე უფრო რეაქციული და პრივილეგიური ფენების სასარგებლოდ; 3) რომ მესამე მოწვევის სათათბირო მისი არჩევის წესისა და შემადგენლობის მიხედვით რეაქციული გადატრიალების ნაყოფი იქნება; 4) რომ მთავრობა ისარგებლებს სათათბიროს არჩევნებში ხალხის მასების მონაწილეობით, რათა ასეთ მონაწილეობას მისცეს სახელმწიფო გადატრიალების სახალხო სანქციის მნიშვნელობა, — მასწავლებელთა და სახალხო განათლების მოღვაწეთა სრულიად რუსეთის კავშირის დელეგატთა IV ყრილობა ადგენს: 1) უარი თქვას მესამე მოწვევის სათათბიროსთან და მის ორგანოებთან რაიმე ურთიერთობის დაჭერაზე; 2) არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, როგორც ორგანიზაციამ, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ; 3) გაავრცელოს, როგორც ორგანიზაციამ, მესამე სახელმწიფო სათათბიროს და მისი არჩევნების მიმართ ის შეხედულება, რომელიც გამოხატულია ამ რეზოლუციაში».

რამ დავიწყნია და სწავლით კი არაფერი უსწავლია. და ჩვენც ბოიკოტის საკითხის განხილვას სწორედ ამ გამოცდილების ანალიზის ცდით დავიწყებთ.

I

ბოიკოტის გამოყენებაში ჩვენი რევოლუციის უდიდესი გამოცდილება, უეჭველად, ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი იყო [4]. გარდა ამისა, ეს ბოიკოტი დაგვირგვინდა ფრიად სრული და ფრიად უშუალო წარმატებით. ამიტომ ჩვენს პირველ ამოცანას უნდა შეადგენდეს ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ისტორიული პირობების განხილვა.

ამ საკითხის განხილვის დროს პირველ რიგში მაშინვე თვალში გვხვდება ორი გარემოება. ჯერ-ერთი, ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი იყო ბრძოლა ჩვენი რევოლუციის მონარქისტული კონსტიტუციის გზაზე (თუნდაც დროებით) გადასვლის წინააღმდეგ. მეორეც, ეს ბოიკოტი მოხდა უაღრესად ფართო, საყოველთაო, ძლიერი და ჩქარი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში.

შევჩერდეთ პირველ გარემოებაზე. ყოველი ბოიკოტი წარმოადგენს ბრძოლას არა ამა თუ იმ დაწესებულების ნიადაგზე, არამედ ამ დაწესებულების წარმოშობის ან, თუ ცოტათი უფრო ფართოდ ვიტყვით, ამ დაწესებულების რეალიზაციის წინააღმდეგ. ამიტომ ის, ვინც, პლეხანოვისა და მრავალი სხვა მენშევიკის მსგავსად, ბოიკოტის წინააღმდეგ იბრძოდა ზოგადი მსჯელობით იმის შესახებ, რომ მარქსისტმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, ამით მხოლოდ სასაცილო დოქტრინიორობას იჩენდა. ასეთი მსჯელობა ნიშნავდა უდავო ჭეშმარიტებათა გადაღეჭვის საშუალებით სადავო საკითხის დედაარსის გვერდის ახვევას. უდავოა, რომ მარქსისტმა უნდა გამოიყენოს წარმომადგენლობითი დაწესებულებანი. განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ განსაზღვრულ პირობებში მარქსისტს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ბრძოლას არა ამა თუ იმ დაწესებულების ნიადაგზე,

არამედ ამ დაწესებულების ცხოვრებაში შემოღების წინააღმ-
დეგ? არა, არ გამომდინარეობს, რადგან ეს ზოგადი მსჯელობა
მხოლოდ ისეთ შემთხვევებს შეეხება, როდესაც მსგავსი დაწე-
სებულების წარმოშობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადა-
გი არ არსებობს. ბოიკოტის საკითხში სადავო სწორედ ისაა,
არის თუ არა ნიადაგი თვით ასეთ დაწესებულებათა წარმო-
შობის წინააღმდეგ საბრძოლველად. პლეხანოვი და კომპანია
ბოიკოტის საწინააღმდეგო თ ა ვ ი ა ნ თ ი მოსაზრებებით
ამქღავნებდნენ თვით საკითხის დაყენების გაუგებლობას.

შემდეგ. თუ ყოველი ბოიკოტი წარმოადგენს ბრძოლას არა
ამა თუ იმ დაწესებულების ნიადაგზე, არამედ მისი ცხოვრე-
ბაში შემოღების წინააღმდეგ, მაშინ ბულიგინის სათათბიროს
ბოიკოტი, გარდა ამისა, ბრძოლა იყო მონარქისტულ-კონსტი-
ტუციური ტიპის დაწესებულებათა მთელი სისტემის ცხოვ-
რებაში შემოღების წინააღმდეგ. 1905 წელმა ცხადყო, რომ
არსებობს უშუალო მასობრივი ბრძოლის შესაძლებლობა სა-
ყოველთაო გაფიცვებისა (გაფიცვების ტალღა 9 იანვრის შემ-
დეგ) და სამხედრო აჯანყებათა («პოტიომკინი») სახით. მაშა-
სადამე, მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლა ფაქტი
იყო. მეორე მხრივ, ფაქტი იყო 6 აგვისტოს კანონიც, რომე-
ლიც ცდილობდა მოძრაობა გადაეყვანა რევოლუციური (ამ
სიტყვების უაღრესად უშუალო და ვიწრო მნიშვნელობით)
გზიდან მონარქისტული კონსტიტუციის გზაზე. ობიექტურად
აუცილებელი იყო ბრძოლა ამ ორ გზას შორის: მასების უშუა-
ლო რევოლუციური ბრძოლის გზასა და მონარქისტული კონს-
ტიტუციის გზას შორის. საჭირო იყო, ასე ვთქვათ, რევოლუ-
ციის უახლოესი განვითარების გ ზ ი ს ა რ ჩ ე ვ ა, ამასთან
ამ არჩევანს წყვეტდა, რა თქმა უნდა, არა ამა თუ იმ ჯგუფის
ნება-სურვილი, არამედ რევოლუციური და კონტრრევოლუცი-
ური კლასების ძალა. ძალის გაზომვა და გამოცდა კი მხოლოდ
ბრძოლაში შეიძლებოდა. ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის
ლოზუნგი იყო სწორედ ლოზუნგი ბრძოლისა უშუალო რევო-
ლუციური ბრძოლის გ ზ ი ს სასარგებლოდ კონსტიტუციურ-

მონარქისტული გზის წინააღმდეგ. და ამ უკანასკნელ გზაზე, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო ბრძოლა და არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც. მონარქისტული კონსტიტუციის ნიადაგზედაც შესაძლებელია რევოლუციის განგრძობა და მისი ახალი აღმავლობის მომზადება; მონარქისტული კონსტიტუციის ნიადაგზედაც შესაძლებელია და სავალდებულო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა, — ეს ანბანური ჭეშმარიტება, რასაც ასეთი გულმოდგინებით და ასე უადგილოდ ამტკიცებდნენ 1905 წელს აქსელროდი და პლეხანოვი, ჭეშმარიტებად რჩება. მაგრამ მაშინ ისტორიულად დასმული საკითხი ეს არ იყო: «დასმულ თემაზე» არ მსჯელობდნენ აქსელროდი ან პლეხანოვი ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ისტორიულად მებრძოლი ძალების წინაშე გადასაჭრელად დასმულ საკითხს ცვლიდნენ გერმანული სოციალ-დემოკრატიული სახელმძღვანელოს უკანასკნელი გამოცემიდან ამოღებული საკითხით. ისტორიულად გარდუვალად მოგველოდა ბ რ ძ ო ლ ა გ ზ ი ს ა ს ა რ ჩ ე ვ ა დ უახლოეს მომავალში ბ რ ძ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს. ძველი ხელისუფლება მოიწვევს რუსეთში პირველ წარმომადგენლობითს დაწესებულებას და ამრიგად განსაზღვრული დროით (შეიძლება, მეტად მოკლე, შეიძლება, შედარებით ხანგრძლივი დროით) გადაიყვანს რევოლუციას მონარქისტულ-კონსტიტუციურ გზაზე, თუ ხალხი პირდაპირი შეტევით აღგვის, — უარეს შემთხვევაში: შეარყევს, — ძველ ხელისუფლებას, წაართმევს მას რევოლუციის მონარქისტულ-კონსტიტუციურ გზაზე გადაყვანის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს (ისევ-ისე ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროით) მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლის გზას? აი რა საკითხი წამოიჭრა ისტორიულად 1905 წლის შემოდგომაზე რუსეთის რევოლუციური კლასების წინაშე, საკითხი, რომელიც ვერ შეამჩნიეს თავის დროზე აქსელროდმა და პლეხანოვმა. აქტიური ბოიკოტის ქადაგება სოციალ-დემოკრატიის მიერ იყო სწორედ ამ საკითხის დაყენების ფორმა, პროლეტარიატის პარტიის მიერ მისი შეგნებულად

დაყენების ფორმა, ბრძოლისათვის გზის ასარჩევად ბრძოლის ლოზუნგი.

აქტიური ბოიკოტის მქადაგებლებმა, ბოლშევიკებმა, სწორად გაიგეს ისტორიის მიერ ობიექტურად დაყენებული საკითხი. 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლა ნამდვილად იყო ბრძოლა ბრძოლისათვის გზის ასარჩევად. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებით: ჯერ გაიმარჯვა რევოლუციურმა ხალხმა, ძველ ხელისუფლებას მან წაართვა რევოლუციის დაუყოვნებლივ მონარქისტულ-კონსტიტუციურ რელსებზე გადაყვანის შესაძლებლობა, პოლიციურ-ლიბერალური ტიპის წარმომადგენლობითი დაწესებულებების მაგივრად შექმნა წმინდა რევოლუციური ტიპის ასევე წარმომადგენლობითი დაწესებულებები — მუშათა დეპუტატების საბჭოები და სხვ. ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი იყო პერიოდი მასების მაქსიმალური თავისუფლებისა, მაქსიმალური თვითმოქმედებისა, მუშათა მოძრაობის მაქსიმალური გაფართოებისა და დაჩქარებისა იმ ნიადაგზე, რომელიც ხალხის შეტევით იყო გაწმენდილი მონარქისტულ-კონსტიტუციურ დაწესებულებათაგან, კანონთაგან და ხელჩასაჭიდთაგან, «უხელისუფლებობის» ნიადაგზე, როდესაც ძველი ხელისუფლება უკვე დაუძლურებული იყო, ხოლო ხალხის ახალი რევოლუციური ხელისუფლება (მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვ.) ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ სრულიად შეეცვალა ძველი ხელისუფლება. დეკემბრის ბრძოლამ საკითხი სხვა მხრივ გადაჭრა: ძველმა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მოიგერია ხალხის შეტევა, შეინარჩუნა პოზიცია. მაგრამ, თავისთავად ცხადია, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საფუძველი ეს გამარჯვება გადამწყვეტ გამარჯვებად ჩაგვეთვალა. 1905 წლის დეკემბრის აჯანყება განგრძობილ იქნა 1906 წლის ზაფხულის მთელი რიგი დაქსაქსული და კერძო ხასიათის სამხედრო აჯანყებებისა და გაფიცვების სახით. ვიტეს

სათათბიროს[6] ბოიკოტის ლოზუნგი ამ აჯანყებათა თავმოყრისა და განზოგადებისათვის ბრძოლის ლოზუნგი იყო.

ამრიგად, პირველი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის რევოლუციაში ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის გამოცდილების განხილვიდან, ის არის, რომ ამ ბოიკოტის ობიექტური სარჩული იყო ისტორიის მიერ დღის წესრიგში დასმული ბრძოლა განვითარების უახლოესი გზის ფორმისათვის, ბრძოლა იმისათვის, თუ ვის — ძველ ხელისუფლებას თუ ახალს, თვით ხალხის მიერ შექმნილ ხელისუფლებას ხვდება წილად რუსეთის პირველი წარმომადგენლობითი კრების მოწვევა, ბრძოლა უშუალო რევოლუციური გზისთვის თუ (განსაზღვრული დროით) მონარქისტული კონსტიტუციის გზისთვის.

ამასთან დაკავშირებით დგას საკითხი, რომელიც ხშირად იჩენდა თავს ლიტერატურაში და გამუდმებით ამოტივტივდება ხოლმე ამ თემის განხილვის დროს — ბოიკოტის ლოზუნგის მარტივი, ნათელი და «პირდაპირი» ხასიათის საკითხი, აგრეთვე განვითარების პირდაპირი და მიხვეულ-მოხვეული გზის საკითხი. ძველი ხელისუფლების უშუალოდ ჩამოგდება ან, უარეს შემთხვევაში, მისი დასუსტება და დაუძლურება, ხალხის მიერ ხელისუფლების ახალი ორგანოების უშუალოდ შექმნა, — ყოველივე ეს, უეჭველია, უაღრესად ს წ ო რ ი, ხალხისათვის უაღრესად ხელსაყრელი გზაა, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მეტ ძალასაც მოითხოვს. ძალის დიდი უპირატესობის დროს გამარჯვების მოპოვება შეიძლება პირისპირი იერიშითაც. ძალთა ნაკლებობის დროს შეიძლება საჭირო გახდეს შემოსავლელი გზებიც, ლოდინი, მიხვევ-მოხვევა, უკანდახევა და სხვ. და ა. შ. მონარქისტული კონსტიტუციის გზა სრულიადაც არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, რევოლუციასაც, რომლის ელემენტებს ეს გ ზ ა ც ამზადებს და ავითარებს არაპირდაპირ, მაგრამ ეს გზა უფრო გრძელი და მიხვეულ-მოხვეულია.

მთელ მენშევიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით 1905 წლის ლიტერატურაში (ოქტომბრამდე), წითელ ზოლად არის გატარებული «პირდაპირობის» დაბრალება ბოლშევიკებისათვის, დარიგებანი მათ მიმართ იმის შესახებ, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს მიხვეულ-მოხვეულ გზას, რომლითაც ისტორია მიდის. მენშევიკური ლიტერატურის ასეთი ხასიათიც ნიმუშია იმაზე მსჯელობისა, რომ ცხენები შვრიასა სჭამენ, რომ ვოლგა კასპიის ზღვას ერთვის, — მსჯელობისა, რომელიც უდავო ჭეშმარიტების ღეჭვით აბუნდოვანებს იმის დედაარსს, რაც სადავოა. ისტორია რომ ჩვეულებრივ მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის და მარქსისტს რომ მართებს ანგარიში გაუწიოს ისტორიის უაღრესად დახლართულ და უცნაურ ზიგზაგებს, ეს უდავოა. მაგრამ ეს უდავო ცოხნა ოდნავადაც არ შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მარქსისტი, როდესაც იგივე ისტორია მებრძოლ ძალთა გადასაჭრელად აყენებს პირდაპირი თუ მიხვეულ-მოხვეული გზის არჩევის საკითხს. ისეთ მომენტებში ანუ ისეთ პერიოდებში, როცა ეს ხდება, ისტორიის ჩვეულებრივი მიხვეულ-მოხვეულობის შესახებ მსჯელობით დაკმაყოფილება, — ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ გადაიქცე ფუტლარის ადამიანად და გაერთო იმ ჭეშმარიტების ჭვრეტით, რომ ცხენები შვრიასა სჭამენ. ხოლო რევოლუციური პერიოდები უმთავრესად ისტორიის სწორედ ისეთ პერიოდებს წარმოადგენენ, როდესაც მებრძოლ საზოგადოებრივ ძალთა შეჯახება შედარებით მოკლე დროში სჭრის საკითხს ქვეყნის მიერ განვითარების პირდაპირი თუ მიხვეულ-მოხვეული გზის არჩევის შესახებ შედარებით მეტად ხანგრძლივი დროისათვის. მიხვეულ-მოხვეული გზისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობა ოდნავადაც არ უარყოფს იმას, რომ მარქსისტებს უნდა შეეძლოთ განუმარტონ მასებს მათი ისტორიის გადამჭრელ მომენტებში პირდაპირი გზის უპირატესობა, უნდა შეეძლოთ დაეხმარონ მასებს პირდაპირი გზის არჩევისათვის ბრძოლაში, მისცენ ასეთი ბრძოლის ლოზუნგები და სხვ. და მხოლოდ გაუსწორებელ ფილისტერებსა და

სავსებით გონებაჩლუნგ პედანტებს შეუძლიათ გადამჭრელი ისტორიული ბრძოლების დამთავრების შემდეგ, რომლებმაც პირდაპირი გზის ნაცვლად მიხვეულ-მოხვეული გზა დასახეს, იხითხითონ მათზე, ვინც ბოლომდე იბრძოდა პირდაპირი გზისათვის. ეს დაემსგავსებოდა ტრეიჩკეს მსგავს გერმანელ კაზიონურ-პოლიციელი ისტორიკოსების ხითხითს მარქსის 1848 წლის რევოლუციური ლოზუნგებისა და რევოლუციური პირდაპირობის გამო.

მარქსიზმის დამოკიდებულება ისტორიის მიხვეულ-მოხვეული გზისადმი, არსებითად, ჰგავს მის დამოკიდებულებას კომპრომისებისადმი. ისტორიის ყოველი ზიგზაგისებრი მობრუნება კომპრომისია, — კომპრომისი ძველსა, რომელიც საკმაოდ ძლიერი აღარ არის ახლის სრულიად უარსაყოფად, და ახალს შორის, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი არ არის ძველის სრულიად დასამხობად. მარქსიზმი არ უარყოფს კომპრომისებს, მარქსიზმს აუცილებლად მიაჩნია მათი გამოყენება, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ მარქსიზმი, როგორც ცოცხალი და მოქმედი ისტორიული ძალა, მთელი ენერგიით იბრძვის კომპრომისების წინააღმდეგ. ვისაც არ შეუძლია შეითვისოს ეს, ვითომდა, წინააღმდეგობა, მას მარქსიზმის ანაბანა არ გაეგება.

ენგელსმა ერთხელ მეტისმეტად თვალსაჩინოდ, ნათლად და მოკლედ გამოთქვა მარქსიზმის დამოკიდებულება კომპრომისებისადმი, სახელდობრ სტატიაში კომუნიდან გაქცეული ბლანკისტების მანიფესტის შესახებ (1874 წ.) *. კომუნიდან გაქცეული ბლანკისტები თავიანთ მანიფესტში წერდნენ, რომ ისინი არ იწყნარებენ არავითარ კომპრომისებს. ენგელსმა დასცინა ამ მანიფესტს. საქმე ის კი არაა, — თქვა მან, — რომ უარი ვთქვათ იმ კომპრომისების გამოყენებაზე, რ ო მ ლ ე ბ-

* ეს სტატია შესულია გერმანულ კრებულში: «**Internationales aus dem «Volksstaat»**» («საერთაშორისო თემებზე «სახალხო სახელმწიფოდან»». რ ე დ.). რუსული თარგმანი: «სტატიები «**Volksstaat**»-დან», «ზნანიეს» გამოცემა.

საც თავს გვახვევს გარემოებანი (ან რომლებსაც გარემოებანი გვაიძულებს: ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ციტატის ზეპირად მოყვანისათვის, — შესაძლებლობა არა მაქვს ტექსტს მივმართო). საქმე ის არის, რომ ნათლად შევიგნოთ პროლეტარიატის ჭეშმარიტი რევოლუციური მიზნები და უნარი შეგვწევდეს მივდიოთ მათ ყველა და ყოველგვარი გარემოების, მიხვევ-მოხვევისა და კომპრომისის დროს [6].

მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება შევაფასოთ ბოიკოტის, როგორც მასებისადმი მიმართული ლოზუნგის, სიმარტივე, პირდაპირობა და სიცხადე. ამ ლოზუნგის ყველა აღნიშნული თვისება კარგია არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმ ობიექტურ სიტუაციაში, რომელშიც ამ ლოზუნგს იყენებენ, უკვე არსებობს განვითარების პირდაპირი თუ მიხვეულ-მოხვეული გზის არჩევისათვის ბრძოლის პირობები. ბულიგინის სათათბიროს ეპოქაში ეს ლოზუნგი მუშათა პარტიის ნაცადი და ერთადერთი რევოლუციური ლოზუნგი იყო არა იმიტომ, რომ იგი ყველაზე უფრო მარტივი, პირდაპირი და ცხადია, არამედ იმიტომ, რომ ისტორიულმა პირობებმა მაშინ მუშათა პარტიის წინაშე დააყენა ამოცანა — მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში მარტივი და პირდაპირი რევოლუციური გზისათვის მონარქისტული კონსტიტუციის მიხვეულ-მოხვეული გზის წინააღმდეგ.

საკითხავია, სად არის კრიტერიუმი იმისა, რომ მაშინ არსებობდა ასეთი განსაკუთრებული ისტორიული პირობები? რა არის საქმის ობიექტური მდგომარეობის იმ თავისებურების მთავარი ნიშანი, რომელიც მარტივ, პირდაპირ და ცხად ლოზუნგს ხდიდა არა ფრაზად, არამედ ნამდვილი ბრძოლისათვის ერთადერთ შესაფერ ლოზუნგად? ჩვენც ახლა სწორედ ამ საკითხზე გადავალთ.

## II

როდესაც უკან მიიხედავ და თვალს მოავლებ უკვე დასრულებულ ბრძოლას (დასრულებულს, ყოველ შემთხვევაში, მისი პირდაპირი და უშუალო ფორმით), მაშინ, რასაკვირვე-

ლია, იმაზე ადვილი არაფერია, რომ გაითვალისწინო საერთო დასკვნა ეპოქის სხვადასხვაგვარი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, ნიშნებიდან და სიმპტომებიდან. ბრძოლის შედეგი ერთბაშად სწყვეტს ყოველივეს და სულ ადვილად აქარწყლებს ყოველგვარ ეჭვს. მაგრამ ახლა ჩვენ მოვლენის ისეთი ნიშნები უნდა განვსაზღვროთ, რომელიც ხელს გვიწყობდნენ ბ რ ძ ო ლ ა მ დ ე არსებული საქმის ვითარების გარკვევაში, რადგან ჩვენ გვსურს ისტორიული გამოცდილების გაკვეთილები მივუყენოთ III სათათბიროს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ბოიკოტის წარმატების პირობას 1905 წელს წარმოადგენდა უაღრესად ფართო, საყოველთაო, ძლიერი და სწრაფი რევოლუციური აღმავლობა. ახლა უნდა განვიხილოთ, ჯერ-ერთი, რა კავშირი აქვს ბრძოლის განსაკუთრებით ძლიერ აღმავლობას ბოიკოტთან და, მეორე, როგორია განსაკუთრებით ძლიერი აღმავლობის დამახასიათებელი თვისებები და განმასხვავებელი ნიშნები.

როგორც უკვე ვთქვით, ბოიკოტი არის ბრძოლა არა არსებული დაწესებულების ნიადაგზე, არამედ მისი წარმოშობის წინააღმდეგ. ყოველი არსებული დაწესებულება შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ უკვე არსებულ, ე. ი. ძველ ხელისუფლებას. მაშასადამე, ბოიკოტი არის ბრძოლის ისეთი საშუალება, რომელიც მიმართულია უშუალოდ ძველი ხელისუფლების დამხობისაკენ ან, უარეს შემთხვევაში, ე. ი. თუ შეტევა საკმაო არ არის დასამხობად, — მისი იმდენად დასუსტებისაკენ, რომ მან ვერ შესძლოს უზრუნველყოს ამ დაწესებულების შექმნა, ვერ შესძლოს მისი განხორციელება *. ბოიკოტი, მაშა-

* ტექსტში ყველგან ლაპარაკია აქტიურ ბოიკოტზე, ე. ი. არა უბრალო უარისთქმაზე ძველი ხელისუფლების წამოწყებებში მონაწილეობისაგან, არამედ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევაზე. ისეთ მკითხველებს, რომლებიც ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ეპოქის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას არ იცნობენ, უნდა მოვაგონოთ, რომ სოციალ-დემოკრატები მაშინ პირდაპირ ლაპარაკობდნენ ა ქ ტ ი ურ ბოიკოტზე, გადაჭრით უპირისპირებდნენ რა მას პასიურ ბოიკოტს, კიდევ მეტიც: აქტიურ ბოიკოტს გადაჭრით უკავშირებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

სადამე, თავისი წარმატებისათვის მოითხოვს უშუალო ბრძოლას ძველ ხელისუფლებასთან, აჯანყებას მის წინააღმდეგ და მთელ რიგ შემთხვევებში მასობრივ ურჩობას (ასეთი მასობრივი ურჩობა ერთერთი პირობაა, რომელიც აჯანყებას ამზადებს). ბოიკოტი არის უარისთქმა ძველი ხელისუფლების ცნობაზე, და, რა თქმა უნდა, უარისთქმა არა სიტყვიერად, არამედ საქმით, ე. ი. ისეთი უარისთქმა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ წამოძახილებით ან ორგანიზაციების ლოზუნგებით, არამედ ხ ა ლ ხ ი ს მ ა ს ე ბ ი ს განსაზღვრული მოძრაობით, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ძველი ხელისუფლების კანონებს, სისტემატურად ჰქმნიან ახალს, არაკანონიერ, მაგრამ ფაქტიურად არსებულ დაწესებულებებს და სხვ. და ა. შ. ამრიგად ბოიკოტის კავშირი ფართო რევოლუციურ აღმავლობასთან ცხადია: ბოიკოტი ბრძოლის უაღრესად გადამწყვეტი საშუალებაა, რომელიც უარყოფს არა ამა თუ იმ დაწესებულების მოწყობის ფორმებს, არამედ თვით მის არსებობას. ბოიკოტი პირდაპირი ომის გამოცხადებაა ძველი ხელისუფლებისათვის, პირდაპირი იერიშია მის წინააღმდეგ. თუ არ არსებობს ფართო რევოლუციური აღმავლობა, მასობრივი მღელვარება, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველგან ანგრევს ძველი ლეგალობის ნაპირებს, ისე ლაპარაკიც შეუძლებელია ბოიკოტის წარმატებაზე.

თუ ჩვენ გადავალთ 1905 წლის შემოდგომის აღმავლობის ხასიათისა და ნიშნების საკითხზე, ადვილად დავინახავთ, რომ მაშინ ხდებოდა მასობრივი და განუწყვეტელი შ ე ტ ე ვ ა რევოლუციისა, რომელიც სისტემატურად თავს ესხმოდა და ავიწროებდა მტერს. რეპრესიები კი არ ამცირებდა, არამედ აფართოებდა მოძრაობას. 9 იანვარს მოჰყვა გაფიცვების გიგანტური ტალღა, ბარიკადები ლოძში, «პოტიომკინის» აჯანყება. ბეჭდვითი სიტყვის დარგში, კავშირების დარგში, სწავლა-განათლების დარგში, ყველგან სისტემატურად ირღვეოდა ძველი ხელისუფლების მიერ დაწესებული ლეგალური ჩარჩოები და ირღვეოდა არა მხოლოდ «რევოლუციონერების»

მხრივ, არამედ ობივატელების მხრივაც, რადგან ძველი ხელისუფლება მართლაც დასუსტებული იყო, მართლაც უშვებდა სადავეს დაუძლურებული ხელიდან. აღმავლობის ძალის განსაკუთრებით რელიეფური და უტყუარი (რევოლუციური ორგანიზაციების თვალსაზრისით) მაჩვენებელი ის იყო, რომ რევოლუციონერთა ლოზუნგებს არათუ ეხმაურებოდნენ, არამედ ეს ლოზუნგები პირდაპირ ჩამორჩებოდნენ ცხოვრებას. 9 იანვარიც, მასობრივი გაფიცვებიც მის შემდეგ, «პოტიომკინიც», — ყველა ეს მოვლენა წინ უსწრებდა რევოლუციონერთა უშუალო მოწოდებებს. 1905 წელს რევოლუციონერთა მხრივ აღრ ყოფილა ისეთი მოწოდება, რომელსაც მასები პასიურად, დუმილით, ბრძოლაზე უარისთქმით შეხვედროდნენ. ბოიკოტი ასეთ ვითარებაში ელექტროობით დამუხტული ატმოსფეროს ბუნებრივ შევსებას წარმოადგენდა. ეს ლოზუნგი მაშინ არაფრის «შეთხზვას» არ ნიშნავდა, ის მხოლოდ ზუსტად და სწორად აყალიბებდა იმ აღმავლობას, რომელიც სულ წინ და წინ, პირდაპირი შეტევისაკენ მიისწრაფოდა. «შემთხზველთა» მდგომარეობაში, პირიქით, ჩვენი მენშევიკები იყვნენ, რომლებიც რევოლუციურ აღმავლობას ჩამოშორდნენ და გატაცებულნი იყვნენ მეფის ცარიელი დაპირებით მანიფესტის თუ 6 აგვისტოს კანონის სახით და სერიოზულად უყურებდნენ მონარქისტულ-კონსტიტუციურ რელსებზე დადგომის დაპირებას. მენშევიკები (და პარვუსიც) მაშინ თავიანთ ტაქტიკას აგებდნენ არა უაღრესად ფართო, ძლიერი და სწრაფი რევოლუციური აღმავლობის ფაქტზე, არამედ მეფის მიერ კონსტიტუციურ-მონარქისტული შემობრუნების დაპირებაზე! საკვირველი როდია, რომ ასეთი ტაქტიკა სასაცილო და უბადრუკი ოპორტუნიზმი აღმოჩნდა. საკვირველი როდია, რომ ყოველ მენშევიკურ მსჯელობაში ბოიკოტის შესახებ ახლა გულმოდგინედ არის გამოტოვებული ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ანალიზი, ე. ი. რევოლუციაში ბოიკოტის უაღრესად დიდი გამოცდილების ანალიზი. მაგრამ არ კმარა აღიარო რევოლუციურ

ტაქტიკაში მენშევიკების ეს თითქმის უდიდესი შეცდომა. საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ ამ შეცდომის წყარო იყო გაუგებლობა საქმის ობიექტური მდგომარეობისა, რომელიც რევოლუციურ აღმავლობას სინამდვილედ ხდიდა, ხოლო კონსტიტუციურ-მონარქისტულ შემობრუნებას — ცარიელ პოლიციურ დაპირებად. მენშევიკები იმიტომ კი არ აღმოჩნდნენ მტყუანნი, რომ საკითხს არ მიუდგნენ სუბიექტური რევოლუციური განწყობილებით, არამედ იმიტომ, რომ ეს ვაი-რევოლუციონერები თავიანთ იდეებში ჩამორჩნენ ობიექტურ-რევოლუციურ სიტუაციას. მენშევიკების შეცდომის ამ ორივე მიზეზის ერთმანეთში არევა ადვილია, მაგრამ მარქსისტს არ მიეტევება მათი ერთმანეთში არევა.

## III

ბოიკოტის კავშირი რუსეთის რევოლუციის განსაზღვრული პერიოდის თავისებურ ისტორიულ პირობებთან კიდევ ერთი მხრივ უნდა იქნას განხილული. როგორი იყო პოლიტიკური შინაარსი სოციალ-დემოკრატიის ბოიკოტისტური კამპანიისა 1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის გაზაფხულზე? ამ კამპანიის შინაარსს, რა თქმა უნდა, არ შეადგენდა სიტყვა ბოიკოტის განმეორება ან მოწოდება — მონაწილეობა არ მიეღოთ არჩევნებში. ეს შინაარსი არ ამოიწურებოდა არც მოწოდებით პირდაპირი შეტევისაკენ, რომელიც უგულებელყოფდა თვითმპყრობელობის მიერ შემოთავაზებულ მოსავლელ და მიხვეულ-მოხვეულ გზებს. გარდა ამისა, დასახელებული თემის გვერდით კი არა, არამედ უფრო მთელი ბოიკოტისტური აგიტაციის ცენტრში იდგა ბრძოლა კონსტიტუციურ ილუზიებთან. ეს ბრძოლა, ჭეშმარიტად, ბოიკოტის ცოცხალ სულს წარმოადგენდა. მოიგონეთ ბოიკოტისტების სიტყვები და მთელი მათი აგიტაცია, გადახედეთ ბოიკოტისტების უმთავრეს რეზოლუციებს, და თქვენ დარწმუნდებით ამ დებულების სისწორეში.

მენშევიკებმა ვერასოდეს ვერ შეიგნეს ბოიკოტის ეს მხარე. მათ ყოველთვის ისე ეჩვენებოდათ, რომ ახლადჩასახული კონსტიტუციონალიზმის ხანაში კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა სისულელე, უაზრობა, «ანარქიზმია». მენშევიკების ეს თვალსაზრისი მკვეთრად არის გამოხატული სტოკჰოლმის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებშიც, განსაკუთრებით — როგორც მახსოვს — პლეხანოვის სიტყვებში, თუ არა ვიტყვით მენშევიკურ ლიტერატურაზე.

ერთი შეხედვით, მენშევიკების პოზიცია ამ საკითხში მართლაც შეიძლება ისევე უდავოდ მოგეჩვენოთ, როგორც იმ ადამიანის პოზიცია, რომელიც თვითკმაყოფილებით ასწავლის თავის მოყვასთ, ცხენები შვრიას სჭამენო. ახლადჩასახული კონსტიტუციონალიზმის ხანაში კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლის გამოცხადება! განა ეს ანარქიზმი არ არის? განა ეს უაზრობა არ არის?

საკითხის გაუგვანოება ასეთ მსჯელობაში უბრალო საღ აზრზე კეთილსახიერი მითითებით დამყარებულია იმაზე, რომ დუმილით გვერდს უვლიან რუსეთის რევოლუციის განსაკუთრებულ პერიოდს, ი ვ ი წ ყ ე ბ ე ნ ბ უ ლ ი გ ი ნ ი ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ბ ო ი კ ო ტ ს, ჩვენი რევოლუციის მიერ განვლილი გზის კონკრეტულ საფეხურებს ცვლიან მთელი ჩვენი, წარსული და მომავალი, რევოლუციის საერთო დახასიათებით მთლიანად, როგორც ისეთი რევოლუციისა, რომელიც კონსტიტუციონალიზმს წარმოშობს. ეს არის ნიმუში დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის დარღვევისა იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც, პლეხანოვის მსგავსად, უდიდესი პათოსით ლაპარაკობდნენ ამ მეთოდზე.

დიახ, ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუცია, მთლიანად, ისევე როგორც ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია, ბოლოს და ბოლოს კონსტიტუციური წყობილების შექმნის პროცესია და მეტი არაფერი. ეს ჭეშმარიტებაა. ეს სასარგებლო ჭეშმარიტებაა ამა თუ იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრამის,

თეორიის, ტაქტიკისა და სხვ. quasi *- სოციალისტური ალუ-
რების გამოსამჟღავნებლად. მაგრამ შესძლებთ თუ არა თქვენ
სასარგებლო დასკვნის გამოტანას ამ ჭეშმარიტებიდან იმ სა-
კითხში, თუ რ ო გ ო რ ი კონსტიტუციონალიზმისაკენ უნდა
წაიყვანოს ქვეყანა მუშათა პარტიამ ბურჟუაზიული რევოლუ-
ციის ეპოქაში? იმ საკითხში, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო-
გ ო რ უნდა იბრძოლოს მუშათა პარტიამ განსაზღვრული
(სახელდობრ რესპუბლიკური) კონსტიტუციონალიზმისათვის
რევოლუციის განსაზღვრულ პერიოდებში? არა. აქსელროდი-
სა და პლეხანოვის ამოჩემებული ჭეშმარიტება ისევე მცირედ
გაგანათლებთ ამ საკითხებში, როგორც მცირეა იმის ცოდნა,
რომ ცხენები შვრიას სჭამენ, შესაფერი ცხენის ასარჩევად და
ცხენოსნობის ცოდნისათვის.

კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა, — ამბობდნენ
ბოლშევიკები 1905 წელს და 1906 წლის დამდეგს, — მომენ-
ტის ლოზუნგი უნდა გახდეს, რადგან საქმის ობიექტური ვითა-
რება სწორედ ამჟამად აყენებს მებრძოლ საზოგადოებრივ
ძალთა წინაშე გადასაჭრელად საკითხს — უშუალო რევოლუ-
ციური ბრძოლისა და რევოლუციის მიერ უშუალოდ, სრული
დემოკრატიზმის საფუძველზე შექმნილი წარმომადგენლობი-
თი დაწესებულებების პირდაპირი გზა გაიმარჯვებს უახლოეს
პერიოდში, თუ მონარქისტული კონსტიტუციისა და «სათათ-
ბიროს» ტიპის პოლიციურ-«კონსტიტუციურ» (ბრჭყალებში!)
დაწესებულებათა შემოსავლელი, მიხვეულ-მოხვეული გზა?

მართლა ობიექტური მდგომარეობა აყენებდა ამ საკითხს,
თუ მას ბოლშევიკები «იგონებდნენ» თეორიული ურჩობის
გამო? ამ საკითხზე ახლა უკვე გასცა პასუხი რუსეთის რევო-
ლუციის ისტორიამ.

სწორედ 1905 წლის ოქტომბრის ბრძოლა იყო ბრძოლა
რევოლუციის მონარქისტულ-კონსტიტუციურ რელსებზე გა-
დაყვანის წინააღმდეგ. სწორედ ოქტომბერ-დეკემბრის პერიო-

* — ვითომდა. რ ე დ.

დი იყო პროლეტარული, ჭეშმარიტად დემოკრატიული, ფართო, გაბედული, თავისუფალი და ხალხის ნების ნამდვილად გამომხატველი კონსტიტუციონალიზმის განხორციელების პერიოდი, დუბასოვური და სტოლიპინური[8] კონსტიტუციის ცრუკონსტიტუციონალიზმისაგან განსხვავებით. რევოლუციური ბრძოლა ნამდვილად დემოკრატიული (ე. ი. ძველი ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი საძაგლობისაგან გაწმენდილ ნიადაგზე არსებული) კონსტიტუციონალიზმისათვის მოითხოვდა უაღრესად გაბედულ ბრძოლას პოლიციურ-მონარქისტული კონსტიტუციით ხალხის გადაბირების წინააღმდეგ. სწორედ ეს უბრალო გარემოება ვერასგზით ვერ გაიგეს ბოიკოტის მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებმა.

ახლა სრული სიცხადით მოჩანს ჩვენს წინაშე რუსეთის რევოლუციის განვითარების ორი პერიოდი. აღმავლობის პერიოდი (1905 წელი) და დაქვეითების პერიოდი (1906 — 1907 წლები). ხალხის თვითმოქმედების, მოსახლეობის ყველა კლასის თავისუფალი და ფართო ორგანიზაციების მაქსიმალური აყვავების, ბეჭდვითი სიტყვის მაქსიმალური თავისუფლების, ხალხის მიერ ძველი ხელისუფლების, მისი დაწესებულებებისა და ბრძანებების მაქსიმალურად უგულებელყოფის პერიოდი, და ყოველივე ეს ყოველგვარი ბიუროკრატიულად აღიარებული და ფორმალურ წესდებებსა თუ დებულებებში გამოხატული კონსტიტუციონალიზმის გარეშე. და შემდეგ უკვე ხალხის თვითმოქმედების, ორგანიზებულობის, თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვისა და სხვათა უმცირესი განვითარებისა და განუხრელი დაქვეითების პერიოდი დუბასოვებისა და სტოლიპინების მიერ შეთხზული, დუბასოვებისა და სტოლიპინების მიერ აღიარებული, დუბასოვებისა და სტოლიპინების მფარველობის ქვეშ მყოფი, შეგვინდევ უფალო, «კონსტიტუციის» პირობებში.

ა ხ ლ ა, როდესაც უ კ ა ნ ყველაფერი ასე კარგად, მარტივად და ნათლად მოჩანს, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი ისეთი პედანტი, რომელიც გაბედავდა უარეყო კანონიერება

და აუცილებლობა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა მოვლენების კონსტიტუციურ-მონარქისტულ რელსებზე გადაყვანის წინააღმდეგ, კანონიერება და აუცილებლობა ბრძოლისა კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ.

ახლა, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი ცოტად თუ ბევრად ხეირიანი ისტორიკოსი, რომელიც რუსეთის რევოლუციის მსვლელობას 1905 წლიდან 1907 წლის შემოდგომამდე არ გაყოფდეს სწორედ ამ ორ პერიოდად: «ანტიკონსტიტუციური» (თუ ნებას მომცემთ ასე გამოვთქვა) აღმავლობის პერიოდი და «კონსტიტუციური» დაქვეითების პერიოდი, პერიოდი ხალხის მიერ თავისუფლების მოპოვებისა და განხორციელებისა პოლიციური (მონარქისტული) კონსტიტუციონალიზმის გარეშე და პერიოდი ხალხის თავისუფლების დაჩაგვრისა და ჩახშობისა მონარქისტული «კონსტიტუციის» საშუალებით.

ახლა ჩვენს წინაშე სავსებით გამოისახა კონსტიტუციურ ილუზიათა პერიოდი, პირველი და მეორე სათათბიროს პერიოდი, და კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ბრძოლის გაგება უკვე ადვილი საქმეა. მაგრამ მ ა შ ი ნ, 1905 წელს და 1906 წლის დამდეგს, ეს არ ესმოდათ არც ლიბერალებს ბურჟუაზიულ ბანაკში და არც მენშევიკებს პროლეტარულ ბანაკში.

ხოლო I და II სათათბიროს პერიოდი კონსტიტუციური ილუზიების პერიოდი იყო ყოველგვარი გაგებით და ყოველმხრივ. საზეიმო დაპირება: «არავითარი კანონი ძალაში არ შევა სახელმწიფო სათათბიროს მოუწონებლად» ამ პერიოდში არ ყოფილა დარღვეული. მაშასადამე, კონსტიტუცია ქაღალდზე არსებობდა და ეს მუდმივ ამშვიდებდა რუსეთის კადეტების მონურ სულს [9]. დუბასოვიც და სტოლიპინიც ამ პერიოდში ნამდვილად სინჯავდნენ რუსეთის კონსტიტუციას და ცდილობდნენ მოერგოთ და შეეგუებინათ იგი ძველი თვითმპყრობელობისათვის. ასე გეგონებოდათ, ისინი, ბატონი დუბასოვი და სტოლიპინი, ამ ეპოქის ყველაზე ძლიერი ადა-

მიანები იყვნენ, ისინი მთელი ძალღონით იღწვოდნენ, რათა «ილუზია» სინამდვილედ გადაექციათ. ილუზია ილუზიად დარჩა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგის სისწორე სავსებით დაადასტურა ისტორიამ. მაგრამ მარტო დუბასოვები და სტოლიპინები როდი ცდილობდნენ «კონსტიტუციის» განხორციელებას, მარტო კადეტი ყურმოჭრილი მონები როდი აქებ-ადიდებდნენ მას და ლაქიური თავგამოდებით (à la * როდიჩევისა პირველ სათათბიროში) ამტკიცებდნენ, მონარქი არ არის პასუხისმგებელი დარბევებისათვის და თავხედობა იქნებოდა პასუხისმგებლობა დაგვეკისრებინა მისთვის დარბევების გამოო. არა. ამ პერიოდის განმავლობაში, უეჭველია, ხალხის ფართო მასებსაც სწამდათ ცოტად თუ ბევრად «კონსტიტუცია», სწამდათ სათათბირო, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის გაფრთხილებისა.

შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციურ ილუზიათა პერიოდი რუსეთის რევოლუციაში ბურჟუაზიული ფეტიშით საერთო-ნაციონალური გატაცების ისეთივე პერიოდი იყო, როგორც გატაცებულნი არიან ხოლმე ზოგჯერ დასავლეთ ევროპის მთელი ერები ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ანტისემიტიზმის, შოვინიზმისა და სხვ. ფეტიშით. და სოციალ-დემოკრატიის დამსახურებაა ის გარემოება, რომ მარტო მან არ გააბრიყვებინა თავი ბურჟუაზიას, ის ერთადერთი იყო, რომელსაც კონსტიტუციურ ილუზიათა ხანაში მუდამ გაშლილი ჰქონდა კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლის დროშა.

---

ახლა იბადება კითხვა, რატომ გახდა ბოიკოტი კონსტიტუციურ ილუზიათა წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკურ საშუალებად?

ბოიკოტს აქვს ერთი თვისება, რომელიც უცებ და პირველი შეხედვით უნებლიეთ აშორებს მას ყოველ მარქსისტს. არჩევნების ბოიკოტი არის პარლამენტარიზმისგან განდგომა, არის რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლება პასიურ უარისთქმად,

* — მსგავსად. რ ე დ.

თავის შეკავებად, თავის არიდებად არ მოგეჩვენოს. ასე უყურებდა ბოიკოტს მხოლოდ გერმანულ ნიმუშებზე განსწავლული პარვუსი, როდესაც იგი 1905 წლის შემოდგომაზე იმდენადვე ბრაზიანად, რამდენადაც უხეიროდ ბობოქრობდა, ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ აქტიური ბოიკოტი მაინც ცუდი რამ არის, ვ ი თ ა რ ც ა ბ ო ი კ ო ტ ი... ასე უყურებს მას მარტოვიც, რომელსაც დღემდე ვერაფერი უსწავლია რევოლუციისაგან და რომელიც უფრო და უფრო მეტად იქცევა ლიბერალად; იგი თავისი უკანასკნელი სტატიით «ტოვარიშჩში» [10] ამტკიცებს, რომ უნარიც კი არ შესწევს დასვას საკითხი ისე, როგორც ეს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატს შეფერის.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, მარქსისტებისათვის ყველაზე ანტიპათიური თვისება ბოიკოტისა სრულიად გასაგებია იმ ეპოქის თავისებურებათა გამო, რომელმაც ბრძოლის ასეთი საშუალება წარმოშვა. პირველი მონარქისტული სათათბირო, ბულიგინის სათათბირო, საკენკი იყო, რომლითაც ხალხი უნდა ჩამოეშორებინათ რევოლუციისაგან. ეს იყო კონსტიტუციონალიზმის კოსტუმით გამოწყობილი ფიტული. ყველა და ყოველივე ადვილად ეგებოდა ანკეტს. ზოგი ანგარებიანი კლასობრივი ინტერესების გამო, ზოგი ჭკუამოკლეობით მზად იყო ჩასჭიდებოდა ჯერ ბულიგინის სათათბიროს და შემდეგ ვიტეს სათათბიროს ფიტულს. ყველანი გატაცებული იყვნენ, ყველას გულწრფელად სჯეროდა. არჩევნებში მონაწილეობა არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამოქალაქო მოვალეობათა საყოველდღეო, უბრალო შესრულებას. ეს იყო მონარქისტული კონსტიტუციის ინაუგურირება *. ეს იყო გადახვევა უშუალო-რევოლუციური გზიდან მონარქისტულ-კონსტიტუციური გზისაკენ.

სოციალ-დემოკრატია ასეთ დროს მ ო ვ ა ლ ე ი ყ ო მთელი ენერგიით, მთელი დემონსტრაციულობით გაეშალა პროტესტისა და გაფრთხილების დროშა. ეს კი სწორედ იმას

* — დაკანონება.

ნიშნავდა, რომ უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, თვითონაც არ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა და ხალხიც გამოეწვია, მოეწოდებინა შეტევისაკენ ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ემუშავნა ამ ხელისუფლების მიერ შექმნილი დაწესებულების ნიადაგზე. საყოველთაო-სახალხო გატაცება «კონსტიტუციური» მონარქიის ბურჟუაზიულ-პოლიციური ფეტიშით სოციალ-დემოკრატიისაგან, როგორც პროლეტარიატის პარტიისაგან, მოითხოვდა ამ ფეტიშის წინააღმდეგ პროტესტის გამომხატველ და მის მამხილებელ შეხედულებათა ასეთსავე საყოველთაო-სახალხო «გამოხატვას», მოითხოვდა მთელი ძალღონით ბრძოლას ამ ფეტიშიზმის განმასახიერებელ დაწესებულებათა შექმნის წინააღმდეგ.

აი სად არის სრული ისტორიული გამართლება არა მარტო ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტისა, რაც უშუალო წარმატებით დაგვირგვინდა, არამედ ვიტეს სათათბიროს ბოიკოტისაც, რაც, როგორც ჩანს, დამარცხებით დამთავრდა. ახლა ნათელია, თუ რატომ იყო ეს მხოლოდ მოჩვენებითი წარუმატებლობა, რატომ იყო სოციალ-დემოკრატია მოვალე ბოლომდე დაეცვა თავისი პროტესტი ჩვენი რევოლუციის კონსტიტუციურ-მონარქისტული მობრუნების წინააღმდეგ. სინამდვილეში ეს მობრუნება ნამდვილად ჩიხში მოქცევა გამოდგა. მონარქისტული კონსტიტუციის ილუზიები მხოლოდ პრელუდია ან აბრა, მორთულობა, თვალის ახვევა გამოდგა ძველი ხელისუფლების მიერ ამ «კონსტიტუციის» გაუქმების მოსამზადებლად...

ჩვენ ვთქვით, რომ სოციალ-დემოკრატიას ბოლომდე უნდა დაეცვა თავისი პროტესტი «კონსტიტუციის» საშუალებით თავისუფლების ჩახშობის წინააღმდეგ. რას ნიშნავს ეს «ბოლომდე»? ეს ნიშნავს: მანამდე, ვიდრე ის დაწესებულება, რომლის წინააღმდეგ ც სოციალ-დემოკრატები იბრძოდნენ, ფაქტი არ გახდა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებისა, — ვიდრე რუსეთის რევოლუციის ის მონარქის-

ტულ-კონსტიტუციური მობრუნება, რომელიც აუცილებლად რევოლუციის დაქვეითებას, რევოლუციის დამარცხებას ნიშნავდა (გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი დ რ ო ი თ), ფაქტი არ გახდა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებისა. კონსტიტუციურ ილუზიათა პერიოდი კ ო მ პ რ ო მ ი ს ი ს ცდა იყო. ჩვენ ვიბრძოდით და მთელი ჩვენი ძალღონით უნდა გვებრძოლნა მის წინააღმდეგ. ჩვენ მოგვიხდა II სათათბიროში წასვლა, მოგვიხდა ანგარიშის გაწევა კომპრომისისათვის, რაკი გარემოებამ თ ა ვ ს მ ო გ ვ ა ხ ვ ი ა იგი ჩვენი ნება-სურვილის წინააღმდეგ, წინააღმდეგ ჩვენი ღონისძიებისა, ჩვენი ბრძოლის დამარცხების ფასად. თუ რა ხნით უნდა გავუწიოთ ანგარიში, — ეს, რასაკვირველია, სხვა საკითხია.

რა დასკვნა გამომდინარეობს ყოველივე აქედან III სათათბიროს ბოიკოტის მიმართ? შეიძლება, ის, რომ ბოიკოტი, რომელიც აუცილებელი იყო კონსტიტუციურ ილუზიათა პერიოდის დასაწყისში, აუცილებელია ამ პერიოდის დასასრულშიც? ეს იქნებოდა «გონების თამაში» «ანალოგიური სოციოლოგიის» ყაიდაზე, და არა სერიოზული დასკვნა. ახლა უკვე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ბოიკოტს ისეთი შინაარსი ჰქონდეს, როგორიც მას ჰქონდა რუსეთის რევოლუციის დასაწყისში. ახლა არ შეიძლება არც ხალხის გაფრთხილება კონსტიტუციურ ილუზიათა წინააღმდეგ, არც ბრძოლა რევოლუციის კონსტიტუციურ-მონარქისტული ჩიხისაკენ გადახვევის წინააღმდეგ. დღეს არ შეიძლება ბოიკოტს წინანდელი ცოცხალი სული ედგეს. კიდევაც რომ იქნეს ბოიკოტი, ის ყოველ შემთხვევაში ს ხ ვ ა მნიშვნელობას მიიღებს, ის ყოველ შემთხვევაში ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი პოლიტიკური შინაარსით შეივსება.

კიდევ მეტი. ბოიკოტის ჩვენ მიერ განხილული ისტორიული თავისებურება ერთ მოსაზრებას ბადებს III სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ. კონსტიტუციური მობრუნების დაწყების ეპოქაში მთელი ერის ყურადღება აუცილებლად სათათბიროსაკენ იყო მიპყრობილი. ბოიკოტის საშუალებით ჩვენ ვიბრძოდით და უნდა გვებრძოლნა კიდევაც ჩიხისაკენ ყურა-

დღების ასეთი მიქცევის წინააღმდეგ, გვებრძოლნა ისეთი გატაცების წინააღმდეგ, რომელიც უმეცრების, განუვითარებლობის, სისუსტის ან ანგარებიანი კონტრრევოლუციურობის შედეგი იყო. ახლა ლაპარაკიც კი შეუძლებელია საერთოდ სათათბიროთი ან III სათათბიროთი არათუ საერთო-ნაციონალურ, არამედ საერთოდ რამდენადმე მაინც ფართო გატაცებაზედაც კი. ამ მხრივ ბოიკოტი საჭირო აღარაა.

IV

ამრიგად, პირობები იმისათვის, გამოსაყენებელია თუ არა ბოიკოტი, უეჭველად, არსებული მომენტის ობიექტურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ. თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ ერთმანეთს 1907 წლის შემოდგომას და 1905 წლის შემოდგომას, არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ ა მ ჟ ა მ ა დ საფუძველი არა გვაქვს ბოიკოტი გამოვაცხადოთ. პირდაპირ რევოლუციურ გზასა და კონსტიტუციურ-მონარქისტულ «ზიგზაგს» შორის თანაფარდობის თვალსაზრისითაც, მასობრივი აღმავლობის თვალსაზრისითაც, კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლის სპეციფიკური ამოცანის თვალსაზრისითაც საქმის თანამედროვე ვითარება მკვეთრად განირჩევა იმ მდგომარეობისაგან, რომელიც ამ ორი წლის წინათ იყო.

მაშინ ისტორიის მონარქისტულ-კონსტიტუციური მობრუნება მხოლოდ პოლიტიკურ დაპირებას წარმოადგენდა. ახლა ეს მობრუნება ფაქტია. სიმართლის წინაშე სასაცილო შიში იქნებოდა, ამ ფაქტის პირდაპირ აღიარება რომ არ მოგვესურვებინა. და შეცდომა იქნებოდა ამ ფაქტის აღიარებიდან გამოგვეყვანა ის დასკვნა, რომ რუსეთის რევოლუცია დამთავრებულია. არა. ამ უკანასკნელი დასკვნისათვის ჯერ კიდევ არ არის მონაცემები. მარქსისტი ვალდებულია იბრძოლოს განვითარების პირდაპირი რევოლუციური გზისთვის, როდესაც ასეთ ბრძოლას გვიკარნახებს საქმის ობიექტური მდგომარეობა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ანგარიში არ უნდა გაგვეწია უკვე ფაქ-

ტიურად გამოსახული ზიგზაგისებრი მობრუნებისათვის. ამ მხრივ რუსეთის რევოლუციის მსვლელობა უკვე სავსებით გამოირკვა. რევოლუციის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ მოკლე, მაგრამ არაჩვეულებრივად ფართო და თავბრუდამხვევად ჩქარი აღმავლობის ხაზს. შემდეგ, დაწყებული 1905 წლის დეკემბრის აჯანყებიდან, ჩვენს წინაშეა მეტისმეტად ნელი, მაგრამ განუხრელი დაქვეითების ხაზი. ჯერ მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლის პერიოდი, შემდეგ მონარქისტულ-კონსტიტუციური მობრუნების პერიოდი.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს უკანასკნელი მობრუნება საბოლოო მობრუნებაა? რომ რევოლუცია დამთავრდა და «კონსტიტუციური» პერიოდი დადგა? რომ არ არსებობს საფუძველი არც იმისათვის, რომ ახალ აღმავლობას მოველოდეთ, არც იმისათვის, რომ ვ ა მ ზ ა დ ო თ ასეთი აღმავლობა? რომ უნდა უკუვაგდოთ ჩვენი პროგრამის რესპუბლიკური ხასიათი?

არაფერი ამის მსგავსი. ასეთი დასკვნების გამოყვანა შეუძლიათ მხოლოდ ლიბერალ უხამსებს, მსგავსად ჩვენი კადეტებისა, რომლებიც მზად არიან პირველი ხელში მოხვედრილი საბუთით გაამართლონ თავიანთი მონური ქედის მოხრა და მლიქვნელობა. არა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, ვიცავთ რა მთლიანად მ თ ე ლ ჩვენს პროგრამას და მ თ ე ლ ჩვენს რევოლუციურ შეხედულებებს, უშუალო მოწოდებები ჩვენ უნდა შევუფარდოთ არსებული მომენტის ობიექტურ ვითარებას. ვქადაგებთ რა რევოლუციის აუცილებლობას, სისტემატურად და განუხრელად ვაგროვებთ რა საწვავ მასალას ყოველი მხრივ, ამ მიზნით მზრუნველობით ვიცავთ და ვნერგავთ, ლიბერალური პარაზიტებისაგან ვწმენდთ რა ჩვენი რევოლუციის საუკეთესო ეპოქის რევოლუციურ ტრადიციებს, ამასთანავე უარს არ ვამბობთ იმაზე, რომ ყოველდღიურად ვიმუშაოთ ჩვეულებრივი მონარქისტულ-კონსტიტუციური მობრუნების ნიადაგზე. ეს არის და ეს. ახალ ფართო აღმავლობას ჩვენ უნდა ვამზადებდეთ, მაგრამ არავითარი საფუძვე-

ლი არა გვაქვს არ გაჟიგოთ მდგომარეობა და ბრმად ჩავეჩხიროთ ბოიკოტის ლოზუნგით.

როგორც უკვე ვთქვით, რუსეთში ამჟამად ბოიკოტს შეიძლება რაიმე აზრი ჰქონდეს მხოლოდ როგორც ა ქ ტ ი უ რ ბოიკოტს. ეს არჩევნებში მონაწილეობაზე პასიურად ხელის აღებას კი არ ნიშნავს, არამედ არჩევნების უგულებელყოფას პირდაპირი შეტევის ამოცანის გულისთვის. ბოიკოტი ამ აზრით აუცილებლად უდრის მ ო წ ო დ ე ბ ა ს უაღრესად ენერგიული და გადამჭრელი შეტევისაკენ. არსებობს თუ არა ამჟამად იმდენად ფართო და საერთო აღმავლობა, ურომლისოდ ამგვარ მოწოდებას აზრი არა აქვს? რა თქმა უნდა, არა.

საერთოდ, რაც შეეხება «მოწოდებებს», უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ განსხვავება ახლანდელ მდგომარეობასა და 1905 წლის შემოდგომას შორის განსაკუთრებით მკვეთრია. მაშინ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი წინა წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი მოწოდება, რომელსაც მასა არ გამოხმაურებოდეს. მასობრივი შეტევის ენერგია წინ უსწრებდა ორგანიზაციების მოწოდებებს. ახლა ჩვენ ვიმყოფებით რევოლუციის ისეთი პაუზის პერიოდში, როდესაც მ თ ე ლ ი რ ი გ ი მ ო წ ო დ ე ბ ე ბ ი სისტემატურად გ ა მ ო უ ხ მ ა უ რ ე ბ ლ ა დ რ ჩ ე ბ ა მ ა ს ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ. ასეთი ბედი ეწია მოწოდებას ვიტეს სათათბიროს აღგვისაკენ (1906 წლის დამდეგი), მოწოდებას აჯანყებისაკენ პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ (1906 წლის ზაფხული), მ ო წ ო დ ე ბ ა ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა კ ე ნ მეორე სათათბიროს გარეკვისა და 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების საპასუხოდ. აიღეთ ჩვენი ც. კ.-ის ფურცელი ამ უკანასკნელი აქტების გამო[11]. ამ ფურცელში თქვენ იპოვით პირდაპირ მოწოდებას ბრძოლისაკენ იმ ფორმით, რომელიც შესაძლებელია ადგილობრივი პირობების მიხედვით (დემონსტრაციები, გაფიცვები, აშკარა ბრძოლა აბსოლუტიზმის შეიარაღებულ ძალასთან). ეს იყო სიტყვიერი მოწოდება. 1907 წლის ივნისის სამხედრო აჯანყებები კიევსა და შავი ზღვის ფლოტში, — ეს იყო მოწო-

დებანი მოქმედების საშუალებით. არც ერთს და არც მეორე მოწოდებას არ მოჰყოლია არავითარი მასობრივი გამოხმაურება. თუ რევოლუციაზე რეაქციული შეტევის უაღრესად მკვეთრმა და უშუალო გამოხატულებამ — ორი სათათბიროს გარეკვამ და სახელმწიფო გადატრიალებამ — ვერ გამოიწვია აღმავლობა იმ დროს, მაშინ რა საფუძველი არსებობს დაუყოვნებლივ გავიმეოროთ მოწოდება ბოიკოტის გამოცხადების ფორმით? განა ცხადი არ არის — საქმის ობიექტური მდგომარეობა ისეთია, რომ ბოიკოტის «გამოცხადება» ცარიელ წამოძახილად შეიძლება დარჩეს? როდესაც ბრძოლა გაჩაღებულია, ფართოვდება, იზრდება, ყოველი მხრიდან მოდის, — მაშინ «გამოცხადება» კანონიერია და აუცილებელი, მაშინ ბრძოლის ლოზუნგის წამოსროლა რევოლუციური პროლეტარიატის ვალდებულებაა. მაგრამ ამ ბრძოლის არც გამოგონება შეიძლება და არც მხოლოდ მოწოდებით გამოწვევა. და როდესაც მთელი რიგი ჩვენი საბრძოლო მოწოდებანი, უფრო უშუალო საბაბებით ნაცადნი, უშედეგოდ დარჩა, — ჩვენ ბუნებრივად უნდა გამოვნახოთ სერიოზული საფუძვლები ისეთი ლოზუნგის «გამოსაცხადებლად», რომელიც უაზრო იქნებოდა, თუ არ არსებობს პირობები საბრძოლო მოწოდებათა განხორციელებისათვის.

ვისაც სურს დაარწმუნოს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პროლეტარიატი ბოიკოტის ლოზუნგის სისწორეში, ის არ უნდა აჰყვეს მარტო სიტყვიერ ხმაურს, რამაც თავის დროზე დიდი და სახელოვანი რევოლუციური როლი შეასრულა. ის უნდა ჩაუფიქრდეს ასეთი ლოზუნგის გამოყენების ობიექტურ პირობებს და შეიგნოს, რომ მისი გადასროლა არაპირდაპირ უკვე გულისხმობს ფართო, საყოველთაო, ძლიერი და სწრაფი რევოლუციური აღმავლობის პირობების არსებობას. მაგრამ ისეთ ეპოქებში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, რევოლუციის დროებითი პაუზის ეპოქებში, ასეთი პირობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არაპირდაპირ ვიგულისხმოთ. ეს პირდაპირ და გარკვევით უნდა შევიგნოთ და გამოვარკვიოთ ჩვენ-

თვის და მთელი მუშათა კლასისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ჩავარდე ისეთი ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც დიდ სიტყვებს ხმარობს, მაგრამ არ ესმის მათი ნამდვილი მნიშვნელობა ან ვერ ბედავს პირდაპირ და მოურიდებლად უწოდოს საგნებს თავისი სახელი.

V

ბოიკოტი ერთერთი საუკეთესო რევოლუციური ტრადიციაა რუსეთის რევოლუციის ამბებით უაღრესად მდიდარი და უაღრესად გმირული პერიოდისა. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ერთერთი ჩვენი ამოცანაა მზრუნველობით დავიცვათ ეს ტრადიციები საერთოდ, დავნერგოთ ისინი, გავწმინდოთ ლიბერალური (და ოპორტუნისტული) პარაზიტებისაგან. საჭიროა რამდენადმე შევჩერდეთ ამ ამოცანის განხილვაზე, რათა სწორად განვსაზღვროთ მისი შინაარსი და გავფანტოთ ადვილად შესაძლებელი ცრუგაგებანი და გაუგებრობანი.

მარქსიზმი იმით განსხვავდება ყველა სხვა სოციალისტური თეორიისაგან, რომ იგი საუცხოოდ აერთებს საქმის ობიექტური მდგომარეობისა და ევოლუციის ობიექტური მსვლელობის ანალიზის სრულ მეცნიერულ სიფხიზლეს და მასების რევოლუციური ენერგიის, რევოლუციური შემოქმედების, რევოლუციური ინიციატივის მნიშვნელობის გადაჭრით აღიარებას, — აგრეთვე, რა თქმა უნდა, იმ ცალკეულ პიროვნებათა, ჯგუფთა, ორგანიზაციათა და პარტიათა მნიშვნელობის აღიარებას, რომელთაც უნარი შესწევთ მოსინჯონ და განახორციელონ კავშირი ამა თუ იმ კლასებთან. კაცობრიობის განვითარების რევოლუციური პერიოდების მაღალი შეფასება გამომდინარეობს მარქსის ისტორიულ შეხედულებათა მთელი ერთობლიობიდან: სწორედ ასეთ პერიოდებში წყდება ის მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობანი, რომლებიც თანდათანობით გროვდებიან ეგრეთწოდებული მშვიდობიანი განვითარების პერიოდებში. სწორედ ასეთ პერიოდებში იჩენს თავს უდიდესი ძლიერებით სხვადასხვა კლასის უშუალო როლი სოციალუ-

რი ცხოვრების ფორმათა განსაზღვრაში, იქმნება საფუძვლები პოლიტიკური «ზედნაშენისა», რომელიც შემდეგ დიდხანს სძლებს განახლებულ წარმოებითს ურთიერთობათა ბაზისზე. სწორედ ასეთ პერიოდებში ხედავდა მარქსი, ლიბერალური ბურჟუაზიის თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, უაღრესად ცხოველმყოფელ, უაღრესად მნიშვნელოვან, არსებითს, გადამჭრელ მომენტებს ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში, და არა გადახვევას «ნორმალური» გზიდან, არა «სოციალური სენის» გამოხატულებას, არა უკიდურესობათა და შეცდომათა სამწუხარო შედეგებს. თვითონ მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობაში 1848 — 1849 წლის მასობრივ რევოლუციურ ბრძოლაში მათი მონაწილეობის პერიოდი გამოირჩევა, როგორც ცენტრალური პუნქტი. ამ პუნქტიდან გამოდიან ისინი, როდესაც არკვევენ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიის ბედიღბალს. ამავე პუნქტს უბრუნდებიან მუდამ ისინი იმის გამოსარკვევად, თუ როგორია შინაგანი ბუნება სხვადასხვა კლასისა და მათი ტენდენციებისა უაღრესად მკაფიო და წმინდა სახით. მაშინდელი რევოლუციური ეპოქის თვალსაზრისით აფასებენ ისინი მუდამ მერმინდელ, უფრო წვრილმან, პოლიტიკურ წარმონაქმნებს, ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ამოცანებსა და პოლიტიკურ კონფლიქტებს. ტყუილად კი არ სძულთ მთელი არსებით ლიბერალიზმის ზომბარტის მსგავს იდეურ ბელადებს მარქსის მოღვაწეობისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ეს თვისება, მიაწერენ რა მას «ემიგრანტის გაბოროტებას». ეს ხომ ზედმიწევნით დამახასიათებელია საუნივერსიტეტო მეცნიერების პოლიციურ-ბურჟუაზიული ბაღლინჯოებისათვის — პირად გაბოროტებას, ემიგრანტის პირად მძიმე მდგომარეობას მიაწერონ ყოველივე ის, რაც მარქსისა და ენგელსის მთელი რევოლუციური მსოფლმხედველობის სრულიად განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს!

ერთერთ თავის წერილში, მგონი, კუგელმანისადმი მარქსი აკეთებს სხვათა შორის ერთ უაღრესად დამახასიათებელ და

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენიშვნას. ის შენიშნავს, რომ რეაქციამ გერმანიაში შესძლო თითქმის აღმოეფხვრა ხალხის შეგნებიდან 1848 წლის რევოლუციური ეპოქის მოგონებები და ტრადიციები [12]. აქ მკვეთრად დაპირისპირებულია რეაქციის ამოცანები და პროლეტარიატის პარტიის ამოცანები ამა თუ იმ ქვეყნის რევოლუციური ტრადიციების მიმართ. რეაქციის ამოცანაა აღმოფხვრას ეს ტრადიციები, წარმოგვიდგინოს რევოლუცია, როგორც «სიგიჟის სტიქია» — სტრუვეს თარგმანი გერმანული «das tolle Jahr» («გიჟური წელი» — გერმანელი პოლიციურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსების გამოთქმა, უფრო ფართოც: გერმანული პროფესორულ-საუნივერსიტეტო ისტორიოგრაფიისა 1848 წლის შესახებ). რეაქციის ამოცანაა დააავიწყოს მოსახლეობას ბრძოლის ის ფორმები, ორგანიზაციის ის ფორმები, ის იდეები, ის ლოზუნგები, რომელთაც ასე უხვად და მრავალფეროვნად ბადებდა რევოლუციური ეპოქა. როგორც ინგლისური მეშჩანობის გონებაჩლუნგი მეხოტბენი, ვებები, ცდილობენ წარმოგვიდგინონ ჩარტიზმი, ინგლისის მუშათა მოძრაობის რევოლუციური ეპოქა, უბრალო ბავშვობად, «ახალგაზრდობის ცოდვად», გულუბრყვილობად, რომელიც ღირსი არაა სერიოზული ყურადღებისა, შემთხვევით და არანორმალურ გადახრად, — ასევე გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსები აბუჩად იგდებენ 1848 წელს გერმანიაში. ასეთივეა რეაქციის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი, რომელიც დღემდე ამტკიცებს თავის ცხოველმყოფელობას და თავისი გავლენის ძალას კაცობრიობაზე იმით, რომ დღემდე უაღრესად გააფთრებულ სიძულვილს იწვევს. ასევე კონტრრევოლუციის ჩვენი გმირებიც, განსაკუთრებით გუშინდელი «დემოკრატებიდან», როგორიც არიან სტრუვე, მილიუკოვი, კიზევეტერი და **tutti quanti** * ეცილებიან ერთმანეთს რუსეთის რევოლუციის რევოლუციური

* — მათი მსვავსნი. რ ე დ.

ტრადიციების შებილწვაში. ორი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის უშუალო მასობრივი ბრძოლით მოპოვებულ იქნა ის მცირეოდენი თავისუფლება, რითაც ასე აღტაცებული არიან ძველი ხელისუფლების ლიბერალური ყურმოჭრილი მონები, — ხოლო ჩვენს პუბლიცისტურ ლიტერატურაში უკვე გაჩნდა დიდი მიმდინარეობა, რომელიც თავისთავს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ს (!!) უწოდებს, მიმდინარეობა, რომელსაც ნერგავს კადეტური პრესა და რომელიც მხოლოდ იმას უნდება, რომ წარმოგვიდგინოს ჩვენი რევოლუცია, ბრძოლის რევოლუციური საშუალებები, რევოლუციური ლოზუნგები, რევოლუციური ტრადიციები, როგორც რაღაც მდაბალი, ელემენტარული, გულუბრყვილო, სტიქიური, გიჟური და სხვ.... როგორც დანაშაულებრივიც კი... მილიუკოვიდან კამიშანსკამდე **il n'y a . qu'un pas** *! პირიქით, წარმატებანი რეაქციისა, რომელმაც ხალხი ჯერ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებიდან დუბასოვ-სტოლიპინის სათათბიროებში შერეკა, ახლა კი მას ოქტიაბრისტულ სათათბიროში მიერეკება, ეს წარმატებანი რუსეთის ლიბერალიზმის გმირებს ეხატებათ, როგორც «კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი შეგნების ზრდის პროცესი რუსეთში».

რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, უეჭველია, ევალება ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეისწავლოს ჩვენი რევოლუცია, გაავრცელოს მასებში ცოდნა მისი ბრძოლის ფორმებისა, ორგანიზაციების ფორმებისა და სხვ., განამტკიცოს ხალხში რევოლუციური ტრადიციები, ჩაუნერგოს მასებს რწმენა, რომ მხოლოდ და მარტოოდენ რევოლუციური ბრძოლით შეიძლება მიღწეულ იქნას რამდენადმე სერიოზული და რამდენადმე მტკიცე გაუმჯობესებანი, განუხრელად გამოამჟღავნოს მთელი სისაძაგლე იმ თვითკმაყოფილი ლიბერალებისა, რომლებიც საზოგადოებრივ ატმოსფეროს სწამლავენ «კონსტიტუციური» მლიქვნელობის, გამცემლობისა და მოლჩალინობის

* — მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რ ე დ.

მიაზმებით. ოქტომბრის გაფიცვის ან დეკემბრის აჯანყების ერთი დღე ასჯერ მეტს ნიშნავდა და ნიშნავს თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში, ვიდრე მთელი თვეები კადეტების ლაქიური სიტყვებისა სათათბიროში არაპასუხისმგებელ მონარქზე და მონარქისტულ-კონსტიტუციურ წყობილებაზე. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, — და ჩვენს გარდა არავინ იზრუნებს, — იმაზე, რათა ხალხი იცნობდეს ამ სიცოცხლით სავსე, შინაარსით მდიდარ და თავისი მნიშვნელობით და შედეგებით დიად დღეებს ბევრად უფრო დაწვრილებით, დეტალურად და საფუძვლიანად, ვიდრე «კონსტიტუციური» სულთამხუთაობისა და ბალალაიკინ-მოლჩალინისეული წარმატების იმ თვეებს, რომლებზეც ასე ბეჯითად გაჰყვირიან სტოლიპინისა და მისი ცენზურულ-ჟანდარმული ამალის კეთილმოწყალე ხელშეშვებით ჩვენი პარტიულ-ლიბერალური და უპარტიო-«დემოკრატიული» (ფუი! ფუი!) ბეჭდვითი ორგანოები.

ეჭვს გარეშეა, ბევრში ბოიკოტისადმი სიმპათიას იწვევს რევოლუციონერების სწორედ ეს ყოველგვარი პატივისცემის ღირსი მისწრაფება — მხარი დაუჭირონ საუკეთესო რევოლუციური წარსულის ტრადიციებს, გამოაცოცხლონ თანამედროვე უფერული ყოველდღიურობის უსიხარულო ჭაობი გაბედული, აშკარა, გადამჭრელი ბრძოლის ცეცხლით. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ფრთხილი მოპყრობა რევოლუციური ტრადიციებისადმი, ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ პროტესტი იმ შეხედულების წინააღმდეგ, თითქოს განსაკუთრებული ისტორიული ეპოქის ერთერთი ლოზუნგის მომარჯვებით შესაძლებელი იყოს ამ ეპოქის მთავარი პირობების აღორძინებისათვის ხელშეწყობა. ერთია — რევოლუციის ტრადიციების დაცვა, უნარი მათი გამოყენებისა მუდმივი პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, მასების გასაცნობად ძველი საზოგადოების წინააღმდეგ უშუალო და შეტევითი ბრძოლის პირობებთან; სულ სხვაა — განმეორება ერთერთი ლოზუნგისა, რომელიც ამოგლეჯილია იმ პირობების ერთობლიობიდან, რომლებმაც ის წარმოშვეს და მისი წარმა-

ტება უზრუნველყვეს, და მისი გამოყენება არსებითად განსხვავებულ პირობებში.

იგივე მარქსი, რომელიც ასე დიდად აფასებდა რევოლუციურ ტრადიციებს და შეუბრალებლად ამათრახებდა ამ ტრადიციებისადმი რენეგატულ ან ფილისტერულ დამოკიდებულებას, ამავე დროს რევოლუციონერებისაგან მოითხოვდა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს უნარს, ბრძოლის ძველ ხერხთა გამოყენების ა ნ ა ლ ი ზ ი ს უნარს და არა განსაზღვრული ლოზუნგების უბრალო განმეორებას. 1792 წლის «ნაციონალური» ტრადიციები საფრანგეთში, შეიძლება, სამუდამოდ დარჩეს ბრძოლის განსაზღვრული რევოლუციური მეთოდების ნ ი მ უ შ ა დ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მარქსს 1870 წელს, ინტერნაციონალის ცნობილ «ადრესში» გაეფრთხილებინა საფრანგეთის პროლეტარიატი — შეცდომა არ დაეშვა და ეს ტრადიციები არ გადმოეტანა სხვაგვარი ეპოქის პირობებში [13].

ასეა ჩვენშიც. ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბოიკოტის გამოყენების პირობები, ვალდებული ვართ ჩავუნერგოთ მასებს იდეა, რომ ბოიკოტი ზოგჯერ სრულიად მართებული და აუცილებელი საშუალებაა რევოლუციური აღმავლობის მომენტებში (რაც უნდა თქვან პედანტებმა, რომლებიც ამაოდ ახსენებენ მარქსის სახელს). მაგრამ არსებობს თუ არა ეს აღმავლობა, ბოიკოტის გამოცხადების ეს ძირითადი პირობა, — უნარი უნდა შეგვწევდეს დავსვათ ეს საკითხი დამოუკიდებლად და გადავჭრათ იგი მონაცემთა სერიოზული განხილვის საფუძველზე. ჩვენი მოვალეობაა მოვამზადოთ ასეთი აღმავლობა, რამდენადაც ეს ძალგვიძს, და ხელი არ ავიღოთ ბოიკოტზე სათანადო მომენტში, მაგრამ იმის აღიარება, რომ ბოიკოტის ლოზუნგი საერთოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველგვარი ცუდი ან ძალზე ცუდი წარმომადგენლობითი დაწესებულების მიმართ, უეჭველი შეცდომა იქნებოდა.

აიღეთ ის დასაბუთება, რომლითაც ვიცავდით და ვამტკიცებდით ბოიკოტის საჭიროებას «თავისუფლების დღეებში», და თქვენ მაშინვე დაინახავთ, რომ შეუძლებელია ასეთი სა-

ბუთების უბრალო გადმოტანა ახლანდელი მდგომარეობის პირობებში.

არჩევნებში მონაწილეობა ადუნებს განწყობილებას, უთმობს მტერს პოზიციას, თავგზას უბნევს რევოლუციურ ხალხს, აადვილებს ცარიზმის შეთანხმებას კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და სხვ., ვამბობდით ჩვენ, ვიცავდით რა ბოიკოტს 1905 წელს და 1906 წლის დამდეგს. როგორია ამ მოსაზრებათა ძირითადი წანამძღვარი, რომელიც თუმცა ყოველთვის აშკარად არ თქმულა, მაგრამ ყოველთვის იგულისხმებოდა, როგორც ისეთი რამ, რაც იმ დროისათვის თავისთავად გასაგები იყო? ეს წანამძღვარია მასების მჩქეფარე რევოლუციური ენერგია, რომელიც ეძებს და პოულობს თავისთვის უშუალო გამოსავალს ყოველგვარი «კონსტიტუციური» არხების გარეშე. ეს წანამძღვარია რევოლუციის განუწყვეტელი შეტევა რეაქციის წინააღმდეგ, — შეტევა, რომლის შესუსტებაც იმ პოზიციის დაკავებითა და დაცვით, რასაც განზრახ თმობს მტერი საერთო შეტევის შესასუსტებლად, დანაშაული იყო. სცადეთ გაიმეოროთ ეს მოსაზრებანი ამ ძირითადი წანამძღვარის არსებობის გარეშე, — და თქვენ მაშინვე იგრძნობთ სიყალბეს მთელს თქვენს «მუსიკაში», იგრძნობთ ძირითადი ტონის სიყალბეს.

უიმედო იქნებოდა აგრეთვე ბოიკოტის გამართლების ცდა მეორე და მესამე სათათბიროს განსხვავებაზე მითითებით. კადეტებსა (რომლებიც მეორე სათათბიროში საბოლოოდ უგდებდნენ ხალხს ხელში შავრაზმელებს) და ოქტიაბრისტებს [14] შორის არსებული განსხვავების სერიოზულ და ძირითად განსხვავებად მიჩნევა, 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალებით ნაკუწნაკუწად ქცეული, ყბადაღებული «კონსტიტუციისათვის» რაიმე რეალური მნიშვნელობის მიკუთვნება, — ყოველივე ეს საერთოდ უფრო ვულგარული დემოკრატიზმის ბუნებას შეეფერება, ვიდრე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბუნებას. ჩვენ მუდამ ვამბობდით, ვამტკიცებდით, ვიმეორებდით, რომ I და II სათათბიროს «კონსტიტუცია» მხოლოდ მოჩვენებაა,

რომ კადეტების ლაყბობა მხოლოდ თვალის ახვევაა მათი ოქტიაბრისტული დედაარსის დასაფარავად, რომ სათათბირო სრულიად უვარგისი საშუალებაა პროლეტარიატისა და გლეხობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენთვის 1907 წლის 3 ივნისი ბუნებრივი და აუცილებელი შედეგია 1905 წლის დეკემბრის დამარცხებისა. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ «მოხიბლულნი» «სათათბიროს» კონსტიტუციის მშვენიერებით; ვერც შელამაზებული და როდიჩევის ფრაზით მოპკურებული რეაქციიდან — გაშიშვლებულ, აშკარა და ტლანქ რეაქციაზე გადასვლა გაგვიტეხს მაინცდამაინც გულს. შეიძლება, უკანასკნელი — გაცილებით უკეთესი საშუალება იყოს ყოველგვარი ხეპრე ლიბერალური ბრიყვების ან მათ მიერ გზააბნეული მოსახლეობის ჯგუფების გამოსაფხიზლებლად...

შეადარეთ მენშევიკური, სტოკჰოლმის, და ბოლშევიკური, ლონდონის, რეზოლუციები სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. თქვენ დაინახავთ, რომ პირველი მალალფარდოვანია, სავსეა ყბედობით, მყვირალა სიტყვებით სათათბიროს მნიშვნელობის შესახებ, გაბერილია სათათბიროში მუშაობის სიდიადის შეგნებით. მეორე — უბრალო, მშრალი, ფხიზელი, საქმიანი. პირველი რეზოლუცია გაჟღენთილია მეშჩანური ზეიმის სულით კონსტიტუციონალიზმთან («ხალხის წიაღიდან გამოსულ ახალ ხელისუფლებასთან» და სხვ. და სხვ. იმავე კაზიონური სიყალბის ყაიდაზე) სოციალ-დემოკრატიის დაქორწინების გამო. მეორის გადმოცემა დაახლოებით ასე შეიძლება: თუ კი წყეულმა კონტრრევოლუციამ შეგვრეკა ამ წყეულ თავლაში, იქაც ვიმუშავებთ რევოლუციის სასარგებლოდ ისე, რომ არ დავიწყებთ წუწუნს, მაგრამ არც კვეხნას.

იცავდნენ რა ბოიკოტისაგან სათათბიროს ჯერ კიდევ უშუალო რევოლუციური ბრძოლის პერიოდში, მენშევიკები, ასე ვთქვათ, ანგაჟემენტით გამოდიოდნენ ხალხის წინაშე იმის შესახებ, რომ სათათბირო რევოლუციის იარაღის მსგავსი რამ იქნებაო. და მათ დიდის ამბით ჩაეშალათ ეს ანგაჟემენტი. ჩვენ კი, ბოლშევიკები, თუკი რაიმე ანგაჟემენტს მივმართავ-

დით, ეს იყო მხოლოდ მტკიცება, რომ სათათბირო კონტრ-რევოლუციის ნაშიერია, და მისგან რაიმე სერიოზულ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ. ჩვენს თვალსაზრისს მოვლენები დღემდე დიდებულად ადასტურებდნენ, და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შემდგომაც კვლავ დაადასტურებენ. ახალი მონაცემების საფუძველზე ოქტომბერ-დეკემბრის სტრატეგიის «შეუსწორებლად» და გაუმეორებლად რუსეთი ვერ ეღირსება თავისუფლებას.

ამიტომ, როდესაც მეუბნებიან: III სათათბიროს გამოყენება არ შეიძლება ისე, როგორც მეორისო, არ შეიძლება განემარტოს მასებს მასში მონაწილეობის აუცილებლობაო, მე მინდა ვუპასუხო: თუ «გამოყენებად» ვიგულისხმებთ რაღაც მენშევიკურად მაღალფარდოვანს, მაგალ., რევოლუციის იარაღიაო და სხვ., მაშინ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მაგრამ პირველი ორი სათათბიროც ხომ სინამდვილეში მხოლოდ საფეხურები აღმოჩნდნენ ოქტიაბრისტული სათათბიროსაკენ, და ისინი ჩვენ მაინც გამოვიყენეთ იმ უბრალო და მცირეოდენი * მიზნისათვის (პროპაგანდა და აგიტაცია, კრიტიკა და განმარტება მასებისთვის მიმდინარე მოვლენებისა), რომლისთვისაც ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ უაღრესად ცუდი წარმომადგენლობითი დაწესებულებები. სათათბიროში წარმოთქმული სიტყვა ვერავითარ «რევოლუციას» ვერ გამოიწვევს, და ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი პროპაგანდა რაიმე განსაკუთრებული თვისებებით არ განირჩევა, მაგრამ სარგებლობას ერთიდანაც და მეორიდანაც

* შეადარეთ 1905 წლის «პროლეტარი»[15] (ივნისისა), სტატია ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 9, გვ. 212 — 222. რ ე დ.) და იმაზე მითითება, რომ ჩვენ არ უარვყოფთ საერთოდ მის გამოყენებას, მაგრამ ა ხ ლ ა ვწყვეტთ ჩვენს წინაშე დასახულ სხვა ამოცანას: უშუალო-რევოლუციური გზისთვის ბრძოლის ამოცანას. შეადარეთ აგრეთვე 1906 წლის «პროლეტარი»[16] (რუსული) № 1, სტატია: «ბოიკოტის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 11, გვ. 152—162. რ ე დ.), სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული სათათბიროში მუშაობის მ ც ი რ ე ო დ ე ნ ი სარგებლიანობა.

სოციალ-დემოკრატია მიიღებს არანაკლებს, ხოლო ზოგჯერ მეტსაც, ვიდრე ზოგიერთი დაბეჭდილი თუ სხვა კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

და მასებსაც ასევე უბრალოდ უნდა ავუხსნათ ჩვენი მონაწილეობა ოქტიაბრისტულ სათათბიროში. 1905 წლის დეკემბერში დამარცხებისა და ამ დამარცხების «გამოსწორების» 1906 — 1907 წლების უშედეგო ცდების გამო, რეაქცია გარდუვალად გვერეკებოდა და მომავალშიც მუდამ შეგვრეკავს უფრო და უფრო უარეს quasi-კონსტიტუციურ დაწესებულებებში. ჩვენ დავიცავთ მუდამ და ყველგან ჩვენს რწმენას და გავატარებთ ჩვენს შეხედულებებს, გავიმეორებთ რა ყოველთვის, რომ სანამ ძველი ხელისუფლება არსებობს, სანამ ის არ ამოგვიგლეჯია ძირფესვიანად, მანამდე სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ. ვამზადოთ პირობები ახალი აღმავლობისათვის, ხოლო მის დაწყებამდე და მის დასაწყებად საჭიროა უფრო შეუპოვრად ვიმუშაოთ და არ წამოვისროლოთ ისეთი ლოზუნგები, რომლებსაც აზრი მხოლოდ აღმავლობის პირობებში აქვთ.

სწორი არ იქნებოდა აგრეთვე ბოიკოტი წარმოგვედგინა, როგორც ისეთი ტაქტიკის ხაზი, რომელიც პროლეტარიატსა და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის ნაწილს უპირისპირებს ლიბერალიზმსა და რეაქციას. ბოიკოტი, — ეს არის არა ტაქტიკის ხაზი, არამედ ბრძოლის განსაკუთრებული საშუალება, გამოსადეგი განსაკუთრებულ პირობებში. ბოლშევიზმის და «ბოიკოტიზმის» ერთმანეთში არევა ისეთივე შეცდომაა, როგორც მისი «ბრძოლიზმში» არევა. მენშევიკებისა და ბოლშევიკების ტაქტიკის ხაზების განსხვავება უკვე სავსებით გამოირკვა და ჩამოყალიბდა პრინციპულად განსხვავებულ რეზოლუციებში 1905 წლის გაზაფხულზე ლონდონის ბოლშევიკური III ყრილობის და ჟენევის მენშევიკური კონფერენციის დროს. არც ბოიკოტზე და არც «ბრძოლიზმზე» მაშინ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი. როგორც უკვე ყველამ და თვითეულმა

უწყის, მეორე სათათბიროს არჩევნების დროსაც, როდესაც ჩვენ ბოიკოტისტები არ ვიყავით, და მეორე სათათბიროშიც ჩვენი ტაქტიკის ხაზი გადაჭრით განირჩეოდა მენშევიკური ხაზისაგან. ტაქტიკის ხაზები ერთმანეთს სცილდებიან ბრძოლის ყველა ხერხისა და საშუალების დროს, ბრძოლის თვითეულ სარბიელზე და სრულიადაც არ ქმნიან ბრძოლის რაიმე სპეციალურ, ამა თუ იმ ხაზის დამახასიათებელ საშუალებებს. და III სათათბიროს ბოიკოტი რომ გამართლებული ან გამოწვეული ყოფილიყო პირველ ან მეორე სათათბიროზე დამყარებული რევოლუციური იმედების კრახით, «კანონიერი», «ძლიერი», «მტკიცე» და «ჭეშმარიტი» კონსტიტუციის კრახით, — ეს უცუდესი ხარისხის მენშევიზმი იქნებოდა.

## VI

ჩვენ ბოლოსთვის გადავდევით ბოიკოტის სასარგებლო ყველაზე უფრო ძლიერი და ერთადერთი მარქსისტული მოსაზრების განხილვა. აქტიურ ბოიკოტს აზრი არა აქვს ფართო რევოლუციური აღმავლობის გარეშეო. დაე ასე იყოს. მაგრამ ფართო აღმავლობა არაფართო აღმავლობიდან ვითარდება. ერთგვარი აღმავლობის ნიშნები უკვე არსებობს. ჩვენ ბოიკოტის ლოზუნგი უნდა წამოვაყენოთ, რადგან ეს ლოზუნგი ეხმარება, ავითარებს და აფართოებს დაწყებულ აღმავლობას.

ასეთია, ჩემი აზრით, ძირითადი არგუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს, ასე თუ ისე გარკვეული ფორმით, ბოიკოტისადმი მიდრეკილებას სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. და ამასთანავე ის ამხანაგები, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს დგანან უშუალო-პროლეტარულ მუშაობასთან, გამოდიან არა განსაზღვრული ტიპის მიხედვით «აგებული» არგუმენტაციიდან, არამედ იმ შთაბეჭდილებათა ერთგვარი ჯამიდან, რასაც ისინი იღებენ მუშათა მასასთან ურთიერთობით.

ერთერთი საკითხი იმ მცირეოდენი საკითხებიდან, რომელთა გამოც, მგონი, არ არის ან დღემდე არ ყოფილა უთანხმოება სოციალ-დემოკრატიის ორ ფრაქციას შორის, ეს არის ჩვენი რევოლუციის განვითარებაში ხანგრძლივი პაუზის მიზეზის საკითხი. «პროლეტარიატი ვერ გასწორდა წელში», — ასეთია ეს მიზეზი. და მართლაც, ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლა თითქმის მთლად მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატს დააწვა კისერზე. მარტოოდენ პროლეტარიატი იბრძოდა სისტემატურად, შეკავშირებულად, განუწყვეტლად მთელი ერისათვის. რა გასაკვირია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარული მოსახლეობა უმცირეს პროცენტს შეადგენს (ევროპის მასშტაბით), პროლეტარიატი უზომოდ დასუსტებულიყო ასეთი ბრძოლით. ამასთანავე მთავრობისა და ბურჟუაზიული რეაქციის გაერთიანებულმა ძალებმა სწორედ პროლეტარიატს შემოუტიეს დეკემბრის შემდეგ და ამ დროიდან განუწყვეტლივ უტევდნენ მას. პოლიციური დევნა და სიკვდილით დასჯა პროლეტარიატს ინადგურებდა წელიწადნახევრის განმავლობაში, ხოლო სისტემატური ლოკაუტები, დაწყებული «დასჯის მიზნით» სახელმწიფო ქარხნების დახურვით და გათავებული კაპიტალისტების შეთქმულებებით მუშების წინააღმდეგ, წარმოუდგენლად ზრდიდა მუშათა მასების გაჭირვებას. და აი ახლა, ამბობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი მუშაკი, ვამჩნევთ პროლეტარიატის სულიერი განწყობილების აღმავლობის, ძალთა დაგროვების ნიშნებსო. ამ არცთუ სავსებით გარკვეულ და არცთუ სავსებით შესამჩნევ შთაბეჭდილებას ერთვის უფრო ძლიერი მოსაზრება: მრეწველობის ზოგიერთ დარგში უეჭველი გამოცოცხლება აღინიშნება. მუშახელის მოთხოვნილების ზრდამ აუცილებლად უნდა გააძლიეროს საგაფიცვო მოძრაობა. მუშები შეეცდებიან აინაზღაურონ ნაწილი მაინც იმ უდიდესი ზარალისა, რაც მათ განიცადეს რეპრესიებისა და ლოკაუტების ხანაში. დასასრულ, მესამე და ყველაზე უფრო ძლიერი მოსაზრებაა მითითება არა პრობლემატურ და საერთოდ მოსალოდნელ საგაფიცვო მოძრაობაზე, არამედ ერთ უდიდეს,

მუშათა ორგანიზაციების მიერ უკვე დანიშნულ, გაფიცვაზე. 10 000 ფეიქარი მუშის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 1907 წლის დამდეგს განიხილეს თავიანთი მდგომარეობა და დასახეს ნაბიჯები მრეწველობის ამ დარგის პროფესიული კავშირების გასაძლიერებლად. მეორეჯერ შეიკრიბნენ უკვე 20 000 მუშის წარმომადგენლები და დაადგინეს 1907 წლის ივლისში გამოაცხადონ ფეიქარი მუშების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გ ა ფ ი ც ვ ა. ამ მოძრაობას შეუძლია უშუალოდ მოიცვას 400 000-მდე მუშა. მოძრაობა იწყება მოსკოვის ოლქიდან, ე. ი. რუსეთის მუშათა მოძრაობის ყველაზე დიდი ცენტრიდან და ყველაზე დიდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრიდან. სწორედ მოსკოვში და მხოლოდ მოსკოვში შეუძლია მუშათა მასობრივ მოძრაობას ყველაზე უწინ მიიღოს ხასიათი ფართო სახალხო მოძრაობისა, რომელსაც გადამჭრელი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. ხოლო ფეიქარი მუშები მუშათა საერთო მასაში ისეთი ელემენტია, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხელფასს იღებს, ყველაზე ნაკლებ განვითარებულია, ყველაზე ნაკლებ იღებდა მონაწილეობას წინანდელ მოძრაობებში და ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გლეხობასთან. ასეთი მუშების ინიციატივა იმის მაჩვენებელია, რომ მოძრაობაში ჩაებმებიან პროლეტარიატის გაცილებით უფრო ფართო ფენები, ვიდრე წინათ. ხოლო საგაფიცვო მოძრაობის კავშირი მასების რევოლუციურ აღმავლობასთან რუსეთის რევოლუციის ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული.

სოციალ-დემოკრატიის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს უდიდესი ყურადღება მიაქციოს და განსაკუთრებული ღონისძიებანი მოანდომოს სწორედ ამ მოძრაობას. სწორედ ამ დარგში მუშაობამ უნდა მიიღოს აუცილებლად უპირატესი მნიშვნელობა ოქტიაბრისტული სათათბიროს არჩევნებთან შედარებით. მასებს უნდა ჩაენერგოს იმის რწმენა, რომ აუცილებელია ეს საგაფიცვო მოძრაობა გადავაქციოთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო და ფართო შეტევად. და სწორედ ბოიკოტის ლოზუნგი ნიშნავს ყურადღების გადატა-

ნას სათათბიროდან უშუალო მასობრივ ბრძოლაზე. სწორედ ბოიკოტის ლოზუნგი ნიშნავს ახალი მოძრაობის გაჟღენთას პოლიტიკური და რევოლუციური შინაარსით.

ასეთია დაახლოებით ის აზრი, რომელიც ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს უნერგავს III სათათბიროს ბოიკოტის აუცილებლობის რწმენას. ეს ბოიკოტის სასარგებლო არგუმენტაცია, უეჭველად, მარქსისტულია და მას საერთო არაფერი აქვს განსაკუთრებულ ისტორიულ პირობათა თანამიმდევრობიდან ამოგლეჯილი ლოზუნგის ლიტონ განმეორებასთან.

მაგრამ, რარიგ ძლიერიც უნდა იყოს ეს არგუმენტაცია, იგი მაინც, ჩემი აზრით, საკმაო კიდევ არ არის იმისათვის, რომ გვაიძულოს ა ხ ლ ა ვ ე მივიღოთ ბოიკოტის ლოზუნგი. ეს არგუმენტაცია ნაზგასმით აღნიშნავს იმას, რაც საზოგადოდაც არ უნდა იყოს საეჭვო რუსი სოციალ-დემოკრატისათვის, რომელსაც კი უფიქრნია ჩვენი რევოლუციის მიერ მოცემულ გაკვეთილებზე, სახელდობრ: რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ ბოიკოტზე, რომ მზად უნდა ვიყოთ წამოვაყენოთ ეს ლოზუნგი შესაფერ მომენტში, რომ ჩვენს მიერ ბოიკოტის საკითხის დასმას საერთო არაფერი აქვს საკითხის ლიბერალურ, ფილისტერულ-უბადრუკ და ყოველგვარ რევოლუციურ შინაარსს მოკლებულ დასმასთან: თავი ავარიდოთ თუ არა ბოიკოტს? *

დავუშვათ, რომ ყველაფერი, რასაც ბოიკოტის მომხრე სოციალ-დემოკრატები ამბობენ მუშათა სულიერი განწყობილების შეცვლის, სამრეწველო გამოცოცხლებისა და ფეიქართა ივლისის გაფიცვის შესახებ, — ყოველივე ეს დამტკიცებულია და სრულიად შეეფერება სინამდვილეს.

რა გამომდინარეობს ყოველივე აქედან? ჩვენს წინაშეა რევოლუციური მნიშვნელობის მქონე ერთგვარი კერძო ხა-

* იხ. «ტოვარიშჩში» სოციალ-დემოკრატიულ გამოცემათა ყოფილი თანამშრომლის და ლიბერალური გაზეთების ახლანდელი თანამშრომლის, ლ. მარტოვის, ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მსჯელობის ნიმუში.

სიათის აღმავლობის დასაწყისი *. ვალდებული ვართ თუ არა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა განვამტკიცოთ და განვავითაროთ იგი, გადავაქციოთ საერთო-რევოლუციურ აღმავლობად, ხოლო შემდეგ შეტევითი ტიპის მოძრაობადაც? უცილობლად. სოციალ-დემოკრატებში (შეიძლება, გარდა «ტოვარიშჩის» თანამშრომელ სოციალ-დემოკრატებისა) ამის შესახებ შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს. მაგრამ საჭიროა თუ არა ა ხ ლ ა, ამ კერძო ხასიათის აღმავლობის დასაწყისში, სანამ ის საბოლოოდ არ გადაქცეულა საერთო ხასიათის აღმავლობად, საჭიროა თუ არა ბოიკოტის ლოზუნგი მოძრაობის განვითარებისათვის? შეუწყობს თუ არა ხელს ეს ლოზუნგი თანამედროვე მოძრაობის განვითარებას? ეს სხვა საკითხია და, ჩემი აზრით, მას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს.

საერთო აღმავლობის განვითარება კერძოდან შესაძლებელია და სავალდებულოც პირდაპირი და უშუალო საბუთებით და ლოზუნგებით, III სათათბიროსაგან დამოუკიდებლად. დეკემბრის შემდგომი ამბების მთელი მსვლელობა — ერთი მთლიანი დადასტურებაა სოციალ-დემოკრატიული შეხედულებისა მონარქისტული კონსტიტუციის როლზე, უშუალო ბრძოლის აუცილებლობაზე. მოქალაქენო! ვიტყვით ჩვენ, თუ თქვენ არ გინდათ, რომ დემოკრატიის საქმე რუსეთში ისევე განუხრელად და სულ უფრო და უფრო ჩქარა დაქვეითდეს,

* არსებობს შეხედულება, თითქოს ფეიქართა გაფიცვა ახალი ტიპის მოძრაობა იყოს, რომელიც პროფესიულ მოძრაობას აცალკევებს რევოლუციურისაგან. მაგრამ ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ ამ შეხედულებას, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ რთული ტიპის მოვლენათა ყველა სიმპტომის პესიმისტურად გაშუქება საერთოდ სახიფათო საქმეა, რაც ხშირად თავგზას უბნევდა მრავალ სოციალ-დემოკრატს, რომლებიც «უნაგირზე მაგრად» ვერ გრძნობდნენ თავს. მეორე, ფეიქართა გაფიცვაში რომც ყოფილიყო ასეთი ნიშნები, ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, უსათუოდ, მეტად ენერგიულად უნდა გვებრძოლნა ამის წინააღმდეგ. ჩვენი ბრძოლის წარმატების შემთხვევაში საკითხი, მაშასადამე, სწორედ ისე დადგებოდა, როგორც ჩვენ მას ვაყენებთ.

როგორც ეს ხდებოდა 1905 წლის დეკემბრის შემდეგ, დემოკ-რატიულ მოძრაობაში ბატონ კადეტების ჰეგემონიის დროს, თუ თქვენ ეს არ გინდათ, — მხარი დაუჭირეთ მუშათა მოძ-რაობის დაწყებულ აღმავლობას, მხარი დაუჭირეთ უშუალო მასობრივ ბრძოლას. უამისოდ არ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფლების გარანტიები რუსეთში.

ასეთი ტიპის აგიტაცია, უეჭველია, სრულიად თანამიმდევ-რული რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია იქ-ნება. განა სავალდებულოა დავუმატოთ მას: ნუ იწამებთ, მოქა-ლაქენო, III სათათბიროს და შემოგვხედეთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ბოიკოტს ვუცხადებთ მას ჩვენი პროტესტის დასამტკიცებლად!

ასეთი დამატება ახლანდელი პირობების მიხედვით არათუ აუცილებელი არაა, არამედ საკვირველიც იქნებოდა, თითქმის დაცინვა იქნებოდა. III სათათბირო ხომ ისედაც არავის სწამს, ე. ი. მოსახლეობის იმ ფენებში, რომლებსაც შეუძლიათ ასაზრდოონ დემოკრატიული მოძრაობა, არ არის და არც შე-იძლება იყოს ის გატაცება III სათათბიროს კონსტიტუციური დაწესებულებით, როგორიც იყო, უეჭველია, ფართო გატაცე-ბა პ ი რ ვ ე ლ ი სათათბიროთი, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ დაწესებულებათა შექმნის პ ი რ ვ ე ლ ი ცდებით, სულ ერ-თია როგორიც უნდა ყოფილიყო ასეთი დაწესებულებანი.

მოსახლეობის ფართო წრეების ყურადღების სიმძიმის ცენტრი 1905 წელს და 1906 წლის დამდეგს მიმართული იყო პ ი რ ვ ე ლ ი წარმომადგენლობითი დაწესებულებისაკენ, თუნდაც ის მონარქისტული კონსტიტუციის საფუძველზეც ყოფილიყო აგებული. ეს ფაქტია. სოციალ-დემოკრატებს ამის წინააღმდეგ ცხადად უნდა ებრძოლნათ და ემოქმედნათ.

ახლა სულ სხვაა. ახლა მომენტის დამახასიათებელი თვი-სებაა არა პ ი რ ვ ე ლ ი «პარლამენტით» გატაცება, არა რწმენა სათათბიროსი, არამედ ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ი ს რ წ მ ე-ნ ი ს უ ქ ო ნ ლ ო ბ ა.

ასეთ პირობებში ბოიკოტის ლოზუნგის ნაადრევად წამოყენებით ჩვენ სულაც არ ვაძლიერებთ მოძრაობას, არ ვასუსტებთ ამ მოძრაობის ნამდვილ დამაბრკოლებელ მიზეზებს. უფრო მეტი: შეიძლება ამით ჩვენ კიდეც დავასუსტოთ ჩვენი აგიტაციის ძალა, რადგან ბოიკოტი ისეთი ლოზუნგია, რომელიც თან სდევს უკვე გამოსახულ აღმავლობას, ხოლო მთელი უბედურება ახლა ისაა, რომ მოსახლეობის ფართო წრეებს ეს აღმავლობა არა სწამთ, მის ძალას ვერ ხედავენ.

ჯერ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რათა ს ა ქ მ ი თ დავამტკიცოთ ამ აღმავლობის ძალა, ხოლო შემდეგ ყოველთვის მოვასწრებთ წამოვაყენოთ ლოზუნგი, რომელიც არაპირდაპირ გამოხატავს ამ ძალას. და ისიც საკითხია: იქნება კი საჭირო შეტევითი ხასიათის რევოლუციური მოძრაობისათვის განსაკუთრებული ლოზუნგი, რომელიც ყურადღებას ჩ ა მ ო ა შ ო რ ე ბ ს... მ ე ს ა მ ე ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ა გ ა ნ. შესაძლებელია, რომ არა. იმისათვის, რომ გვერდი აუხვიო რაიმე მნიშვნელოვანს და ისეთს, რასაც უნარი შესწევს მართლაც გაიტაცოს გამოუცდელი და ჯერ პარლამენტების უნახავი მასა, შესაძლოა, აუცილებელი იყოს ბ ო ი კ ო ტ ი გ ა მ ო უ ც ხ ა დ ო იმას, რის გვერდის აუხვევაც საჭიროა. მაგრამ იმისათვის, რომ გვერდი აუხვიო ისეთ დაწესებულებას, რომელსაც სრულიად არ შეუძლია გაიტაცოს თანამედროვე დემოკრატიული ან სანახევროდდემოკრატიული მასა, — ბოიკოტის გამოცხადება სავალდებულო როდია. ახლა მთავარია არა ბოიკოტი, არამედ პირდაპირი და უშუალო ღონისძიების მიღება, რათა კერძო აღმავლობა გადავაქციოთ საერთო აღმავლობად, პროფესიული მოძრაობა — რევოლუციურ მოძრაობად, ლოკაუტებისაგან თავდაცვა — რეაქციაზე თავდასხმად.

## VII

შევაჯამოთ. ბოიკოტის ლოზუნგი წარმოშვა განსაკუთრებულმა ისტორიულმა პერიოდმა. 1905 წელს და 1906 წლის დამდეგს საქმის ობიექტური ვითარება მებრძოლ საზოგადოებ-

რივ ძალთა წინაშე გადასაჭრელად აყენებდა უახლოესი გზის არჩევის საკითხს: უშუალო-რევოლუციური გზა თუ მონარქისტულ-კონსტიტუციური შემობრუნება. ბოიკოტისტური აგიტაციის შინაარსი ამ დროს უმთავრესად იყო ბრძოლა კონსტიტუციურ ილუზიებთან. ბოიკოტის წარმატების პირობას წარმოადგენდა ფართო, საყოველთაო, სწრაფი და ძლიერი რევოლუციური აღმავლობა.

ყველა ამ მხრივ საქმის ვითარება 1907 წლის შემოდგომისთვის სულაც არ იწვევს ასეთი ლოზუნგის საჭიროებას და არც ამართლებს მას.

განვაგრძობთ რა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას არჩევნების მოსამზადებლად და წინდაწინ უარს არ ვამბობთ რა უაღრესად რეაქციულ წარმომადგენლობითს დაწესებულებებში მონაწილეობაზე, ჩვენ მთელი ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია უნდა მივმართოთ იმ მხრივ, რომ განვუმარტოთ ხალხს, თუ რა კავშირი არსებობს დეკემბრის დამარცხებასა და თავისუფლების მთელ შემდგომ დაცემასა და კონსტიტუციის შელახვას შორის. ჩვენ უნდა ჩავუნერგოთ მასებს იმის მტკიცე რწმენა, რომ უშუალო მასობრივი ბრძოლის გარეშე ასეთი შელახვა აუცილებლად გაგრძელდება და გაძლიერდება.

ხელს არ ვიღებთ რა ბოიკოტის ლოზუნგის გამოყენებაზე აღმავლობის მომენტებში, როდესაც შესაძლებელია წარმოიშვას ასეთი ლოზუნგის სერიოზული საჭიროება, ამჟამად მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მივმართოთ იქითკენ, რათა პირდაპირი და უშუალო ზეგავლენით ვეცადოთ მუშათა მოძრაობის ესა თუ ის აღმავლობა გადავაქციოთ საყოველთაო, ფართო, რევოლუციურ და შეტევითს მოძრაობად რეაქციის მიმართ მთლიანად, მისი ბურჯების მიმართ.

1907 წლის 26 ივნისი.

# გრაფ გეიდენის ხსოვნას

## (რას ასწავლიან ხალხს ჩვენი უპარტიო «დემოკრატები»?) [17]

«მთელი პროგრესული პრესა ღრმა მწუხარებით შეხვდა იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც რუსეთმა განიცადა გრაფ პ. ა. გეიდენის სახით. პეტრე ალექსანდრეს-ძის მშვენიერი პიროვნება იზიდავდა ყველა პატიოსან ადამიანს განურჩევლად პარტიებისა და მიმართულებებისა. იშვიათი და ბედნიერი ხვედრია!!!» შემდეგ მოყვანილია ვრცელი ციტატი მემარჯვენე კადეტების «რუსსკიე ვედომოსტიდან» [18], სადაც «საუცხოო ადამიანის» ცხოვრებითა და მოღვაწეობით გულაჩვილებულია თავადი პავ. დიმ. დოლგორუკოვი, ერთერთი იმ დოლგორუკოვთა ჯიშიდან, რომლის წარმომადგენლებმაც პირდაპირ აღიარეს, თუ რა არის მათი დემოკრატიზმის ფესვები! უმჯობესია მშვიდობიანად მოვაგვაროთ საქმე გლეხებთან, ვიდრე დავუცადოთ, სანამ ისინი თვითონ დაიტაცებდნენ მიწასო... «ჩვენ გულწრფელად ვიზიარებთ მწუხარების გრძნობებს, რაც გრაფ გეიდენის სიკვდილმა გამოიწვია ყველაში, ვინც მიჩვეულია ა დ ა მ ი ა ნ ი ს დაფასებას, რა პარტიულ სამოსელშიც უნდა გვევლინებოდეს იგი. ხოლო განსვენებული გეიდენი უწინარეს ყოვლისა სწორედ ა დ ა მ ი ა ნ ი იყო».

ასე წერს გაზეთი «ტოვარიშჩი» № 296, სამშაბათი, 1907 წ. 19 ივნისი.

«ტოვარიშჩის» პუბლიცისტები არა მარტო უაღრესად თავგამოდებული დემოკრატები არიან ჩვენს ლეგალურ პრე-

საში. ისინი თავიანთ თავს სოციალისტებად თვლიან, — რა თქმა უნდა, კრიტიკულ სოციალისტებად. ისინი თითქმის სოციალ-დემოკრატები არიან; და მენშევიკები — პლეხანოვი, მარტოვი, სმირნოვი, პერეიასლავსკი, დანი და სხვ., და სხვ., უგულითადესი სტუმართმოყვარეობით სარგებლობენ იმ გაზეთში, რომლის სვეტებსაც თავიანთი ხელმოწერით ამშვენებენ ბატონი პროკოპოვიჩი, კუსკოვა, პორტუგალოვი და სხვა «ყოფილი მარქსისტები». ერთი სიტყვით, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ «ტოვარიშჩის» პუბლიცისტები უაღრესად «მემარცხენე» წარმომადგენლები არიან ჩვენი «განათლებული», ვიწრო იატაკქვეშ მუშაობისაგან განზე მდგომი, «დემოკრატიული» და სხვ. საზოგადოებისა.

და როდესაც თვალში გვხვდება ისეთი სტრიქონები, როგორიც ზემოთ არის მოყვანილი, — ძნელია თავი შეიკავო და გაკვირვება არ გამოთქვა ამ ვაჟბატონების მისამართით: რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, შეგნებულად არ ვეკუთვნოდით «ტოვარიშჩის» რ ი გ ი ა ნ ა დ ა მ ი ა ნ თ ა წრეს!

ბატონო «რიგიანო ადამიანებო» რუსეთის განათლებული დემოკრატიისა! თქვენ აჩლუნგებთ რუს ხალხს და სწამლავთ მას მლიქვნელობისა და მონური მორჩილების მიაზმებით ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ყბადაღებული შავრაზმელები, პურიშკევიჩი, კრუშევანი, დუბროვინი, რომლების წინააღმდეგაც თქვენ ასეთ ბეჯით, ასეთ ლიბერალურ, ასეთ იაფფასიან, ასეთ ხელსაყრელსა და თქვენთვის უშიშარ ომს აწარმოებთ. თქვენ მხრებს იჩეჩთ და დამცინავი ღიმილით მიმართავთ თქვენი საზოგადოების ყველა «რიგიან ადამიანს» ეგზომ «უაზრო პარადოქსების» გამო? დიახ, დიახ, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ არაფერს არ შეუძლია ქვეყნად შეარყიოს თქვენი უხამსი ლიბერალური თვითკმაყოფილება. ჩვენც სწორედ იმიტომ ვართ გახარებული, რომ შევძელით მთელი ჩვენი საქმიანობით მაგარი კედლით გავმიჯნოდით რუსეთის განათლებული საზოგადოების რიგიან ადამიანთა წრეს.

შეიძლება თუ არა მოვნახოთ იმის მაგალითები, რომ შავრაზმელებმა გახრწნეს და თავგზა აუბნიეს მოსახლეობის რამდენადმე მაინც ფართო ფენებს? არა.

არც მათ პრესას, არც მათ კავშირს, არც მათ კრებებს, არც I თუ II სათათბიროს არჩევნებს არ შეეძლო ასეთი მაგალითები მოეცა. შავრაზმელები აბოროტებენ ხალხს ძალადობითა და სიმხეცით, რაშიც მონაწილეობას იღებს პოლიცია და ჯარი. შავრაზმელები სიძულვილსა და ზიზღს იწვევენ თავიანთი თაღლითობით, ვერაგობით, მოყიდვით. შავრაზმელები მთავრობის ფულით აწყობენ ლოთების ჯგუფებსა და ბრბოებს, რომლებსაც მხოლოდ პოლიციის ნებართვითა და მისი წაქეზებით შეუძლიათ იმოქმედონ. ყოველივე ეს ოდნავ საშიშ იდეურ გავლენასაც კი არ ახდენს მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად ფართო ფენებზე.

და, პირიქით, ამდენადვე უეჭველია, რომ ასეთ გავლენას ახდენს ჩვენი ლეგალური, ლიბერალური და «დემოკრატიული» პრესა. I და II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, კრებები, კავშირები, სასწავლო საქმე — ყველაფერი ამტკიცებს ამას. ხოლო «ტოვარიშჩის» მსჯელობა გეიდენის სიკვდილის გამო ცხადყოფს, თუ როგორია ეს იდეური გავლენა.

...«მძიმე დანაკლისი... მშვენიერი პიროვნება... ბედნიერი ხვედრი... უწინარეს ყოვლისა ადამიანი იყო».

მემამულე, გრაფი გეიდენი, კეთილშობილურად ლიბერალობდა ოქტომბრის რევოლუციამდე. ხალხის პირველი გამარჯვებისთანავე, 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ, იგი სრულიად უყოყმანოდ გადავიდა კონტრრევოლუციის ბანაკში, ოქტიაბრისტების პარტიაში, გლეხებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ გაბოროტებული მემამულისა და მსხვილი კაპიტალისტის პარტიაში. I სათათბიროში ეს კეთილშობილი გვამი მთავრობას იცავდა, ხოლო I სათათბიროს გარეკვის შემდეგ მოლაპარაკებას აწარმოებდა, — მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწია, — სამინისტროში მონაწილეობის შესახებ. ასეთია ამ ტი-

პიური კონტრრევოლუციური მემამულის კარიერის ძირითადი უდიდესი ეტაპები.

და აი გამოდიან რიგიანად ჩაცმული, განათლებული და სწავლული ვაჟბატონები, რომლებსაც პირზე აკერიათ ლიბერალიზმი, დემოკრატიზმი, სოციალიზმი და სიტყვით თანაგრძნობას უცხადებენ თავისუფლების საქმეს, გლეხთა ბრძოლას მიწისათვის მემამულეების წინააღმდეგ, — ვაჟბატონები, რომლებიც პრესაში, კავშირებში, კრებებზე, არჩევნებში ფაქტიურად სარგებლობენ ლეგალური ოპოზიციის მონოპოლიით და, აღაპყრობენ რა თვალებს ზეცად, უქადაგებენ ხალხს: «იშვიათი და ბედნიერი ხვედრია!... განსვენებული გრაფი უწინარეს ყოვლისა ა დ ა მ ი ა ნ ი იყო».

დიახ, გეიდენი იყო არა მარტო ადამიანი, არამედ მოქალაქეც, რომელსაც უნარი ჰქონდა ამაღლებულიყო თავისი კლასის საერთო ინტერესების შეგნებამდე და დაეცვა ეს ინტერესები ფრიად ჭკვიანურად. ხოლო თქვენ, ბატონო განათლებულო დემოკრატებო, თქვენ ხართ მხოლოდ ტირია რეგვენები, რომლებიც ლიბერალური გლახაობით ჰფარავთ იმას, რომ არ შეგწევთ უნარი;— იყოთ სხვა რამ, თუ არა კულტურული ლაქიები იმავე მემამულეთა კლასისა.

მემამულეების გავლენა ხალხზე საშიში არ არის. მუშათა და თუ გინდ გლეხთა ცოტად თუ ბევრად ფართო მასების მოტყუილებას დიდი ხნით ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ. მაგრამ გავლენა ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს ა, რომელიც უშუალო მონაწილეობას არ იღებს ექსპლოატაციაში, გაწვრთნილია ზოგადი სიტყვების და ცნებების მომარჯვებაში, ელოლიავება ყოველგვარ «კარგ» აღთქმებს და ზოგჯერ თავის კლასთაშორისო მდგომარეობას გულწრფელი გონებასიჩლუნგით აქცევს არაკლასობრივი პარტიებისა და არაკლასობრივი პოლიტიკის პ რ ი ნ ც ი პ ა დ, — ამ ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენა ხალხზე საშიშია. აქ და მხოლოდ აქ არის ფართო მასების მოწამვლა, რასაც შეუძლია მოიტანოს ნამდვილი

ზიანი, რაც მოითხოვს სოციალიზმის მთელი ძალების დაძაბვას ამ საწამლავის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— გეიდენი განათლებული, კულტურული, ჰუმანური, შეშფოთებელი ადამიანი იყო, — აღტაცებით ლაპარაკობენ ლიბერალური და დემოკრატიული დოყლაპიები, რომლებსაც თავი ისე წარმოუდგენიათ, თითქოს მაღლა იდგნენ ყოველგვარ «პარტიულობაზე», თითქოს «საერთოსაკაცობრიო» თვალსაზრისამდე ამაღლებულიყვნენ.

სცდებით, უპატივცემულესნო! ეს არის არა საერთოსაკაცობრიო, არამედ საერთომონური თვალსაზრისი. მონა, რომელმაც შეიგნო თავისი მონური მდგომარეობა და იბრძვის მის წინააღმდეგ, რევოლუციონერია. მონა, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მონობა და ჩუმად, შეუგნებლად, უსიტყვოდ იტანს მონურ ცხოვრებას — უბრალოდ მონაა. მონა, რომელსაც ნერწყვი მოსდის, როდესაც თვითკმაყოფილებით აღწერს მონური ცხოვრების მშვენიერებას და აღტაცებულია კეთილი და კარგი ბატონით, ყურმოჭრილი მონაა, ხეპრეა. აი თქვენ სწორედ ასეთი ხეპრეები ხართ, ვაჟბატონებო «ტოვარიშჩიდან». თქვენ საძაგელი გულკეთილობით აღტაცებული ხართ იმით, რომ კონტრრევოლუციური მემამულე, რომელიც კონტრრევოლუციურ მთავრობას უჭერდა მხარს, განათლებული და ჰუმანური ადამიანი იყო. თქვენ არ გესმით, რომ იმის ნაცვლად, რომ მონა რევოლუციონერად გადააქციოთ, ჩვეულებრივ მონებს ყურმოჭრილ მონებად ხდით. თქვენი სიტყვები თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ გარეგნული ბრწყინვალეებაა, გაზეპირებული ფრაზებია, მოდური ლაყბობა ან ფარისევლობაა. ეს შეფერადებული აბრაა. არსებითად კი თქვენ განგოზილი კუბოები ხართ. თქვენ სულ მთლად ხეპრეული სულითა ხართ გაჟღენთილი, ხოლო მთელი თქვენი განათლებულობა, კულტურულობა და განსწავლულობა მხოლოდ ნაირსახეობაა კვალიფიციური პროსტიტუციისა. თქვენ ჰყიდით თქვენს სულს და ჰყიდით არა მარტო გაჭირვების გამო, არამედ «ხელოვნებისადმი სიყვარულის გამოც»!

— გეიდენი მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი იყოო, — ამბობთ თქვენ გულაჩვილებით. თქვენ სტყუით ან არა და სულ გაგაბრიყვათ გეიდენებმა. უწოდო მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი ხალხის წინაშე, საქვეყნოდ, ისეთი პარტიის დამაარსებელ ადამიანს, რომელიც მხარს უჭერდა ვიტეს, დუბასოვის, გორემიკინისა და სტოლიპინის მთავრობას, — ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე კარდინალს პაპის წინააღმდეგ მტკიცე რწმენის მებრძოლი უწოდო. იმის მაგივრად, რომ შეასწავლოთ ხალხს კონსტიტუციის სწორად გაგება, — თქვენ, დემოკრატები, თქვენს ნაწერებში კონსტიტუციას აიგივებთ პირშუშხათი შემზადებულ თართთან, რადგან ეჭვს გარეშეა, რომ კონტრრევოლუციური მემამულისათვის კონსტიტუცია სწორედ პირშუშხათი შემზადებული თართია, ეს არის გლეხისა და ხალხის მთელი მასის გაძარცვისა და დამორჩილების ხერხთა უაღრესად გაუმჯობესებული სახე. თუ გეიდენი მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი იყო, — მაშასადამე, დუბასოვიც და სტოლიპინიც მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტები ყოფილან, რადგან **საქმით** მათ პოლიტიკას მხარს უჭერდა გეიდენიც. დუბასოვი და სტოლიპინი ვერ იქნებოდნენ ის, რაც იყვნენ, ვერ შესძლებდნენ ეწარმოებინათ თავიანთი პოლიტიკა, თუ მათ მხარს არ დაუჭერდნენ ოქტიაბრისტები და მათ შორის გეიდენიც. მაშ რის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, ჰოი, დიდად ბრძენნო «რიგიანო» დემოკრატებო, ადამიანის («კონსტიტუციონალისტის») პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ? მისი სიტყვების, მისი გულზე ხელის ცემის და ნიანგის ცრემლთა ღვრის მიხედვით? თუ საზოგადოებრივ სარბიელზე მისი ნამდვილი მოღვაწეობის მიხედვით?

რა არის დამახასიათებელი, რა არის ტიპიური გეიდენის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის? ის, რომ იგი ვერ შეუთანხმდა სტოლიპინს სამინისტროში მონაწილეობის შესახებ I სათათბიროს გარეკვის შემდეგ, თუ ის, რომ იგი ასეთი აქტის შემდეგ **დათანხმდა** სტოლიპინთან მოლაპარაკებას? ის,

რომ იგი წინათ, ამა და ამ დროს, ასეთ და ასეთ ლიბერალურ ფრაზებს ლაპარაკობდა, თუ ის, რომ იგი ოქტიაბრისტი (=კონტრრევოლუციონერი) გახდა 17 ოქტომბრის მეორე დღესვე? როცა გეიდენს მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტს უწოდებთ, თქვენ ამით ხალხს ასწავლით, რომ პირველია დამახასიათებელი და ტიპიური. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ უაზროდ იმეორებთ დემოკრატიული ლოზუნგების ნაწყვეტებს და დემოკრატიის ა ნ ა ბ ა ნ ა კი არ გესმით.

დემოკრატია, — დაიხსომეთ ეს, ბატონო რიგიანი საზოგადოების რიგიანო ადამიანებო, — ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კონტრრევოლუციონერ მემამულეთა სწორედ იმ ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას, რა ბატონობასაც მხარს უჭერდა და მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ახორციელებდა ბ-ნი გეიდენი.

— გეიდენი განათლებული კაცი იყოო, — გულაჩვილებით ამბობენ ჩვენებური სალონის დემოკრატები. დიახ, ჩვენ ეს უკვე ვაღიარეთ და ახლაც სიამოვნებით ვაღიარებთ, რომ იგი თვით დემოკრატებზე უფრო განათლებული და უ ფ რ ო ჭ კ ვ ი ა ნ ი იყო (ეს ყოველთვის როდია დაკავშირებული განათლებულობასთან), რადგან მას უკეთ გაეგებოდა თ ა ვ ი ს ი კლასისა და თ ა ვ ი ს ი კონტრრევოლუციური საზოგადოებრივი მოძრაობის ინტერესები, ვიდრე თქვენ, ვაჟბატონებო «ტოვარიშჩიდან», გაგეგებათ განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები. განათლებულ კონტრრევოლუციურ მემამულეს ეხერხებოდა თავისი კლასის ინტერესების მოქნილად და ოსტატურად დაცვა, მარჯვედ ფარავდა იგი ბატონყმობის მოტრფიალეთა ანგარებით სავსე მისწრაფებებსა და მტაცებლურ მადას კეთილშობილური სიტყვებისა და გარეგნული ჯენტლმენობის ნიღაბით, მტკიცედ მოითხოვდა (სტოლიპინებისაგან) ამ ინტერესების დაცვას კლასობრივი ბატონობის ყველაზე ცივილიზებული ფორმებით. გეიდენმა და მისმა მსგავსმა ადამიანებმა მთელი თავიანთი «განათლება» მსხვერპლად შესწირეს მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ინტერესების სამსა-

ხურს. ნამდვილ დემოკრატს, და არა რუსული რადიკალური სალონების «რიგიან» ხეპრეს, ეს გამოადგებოდა საუცხოო თემად პუბლიცისტისათვის, რომელიც დაგვანახვებდა, თუ როგორ რ ყ ვ ნ ი ა ნ განათლებას თანამედროვე საზოგადოებაში.

როდესაც «დემოკრატი» განათლებაზე ლაყბობს, მას სურს მკითხველის გონებაში გამოიწვიოს წარმოდგენა მდიდარ ცოდნაზე, ფართო ჰორიზონტზე, გონებისა და გულის გაკეთილშობილებაზე. ბატონ გეიდენებისათვის განათლება — ზედაპირული ელვარება, გაწვრთნილობა, «გაწაფულობაა» უაღრესად ტლანქი და უაღრესად ბინძური პოლიტიკური გეშეფტების ჯენტლმენური ფორმით მოჭახრაკებაში. გეიდენის მთელი ოქტიაბრიზმი, მთელი «მშვიდობიანი განახლება» [19], მთელი მისი მოლაპარაკება სტოლიპინთან I სათათბიროს გარეკვის შემდეგ — არსებითად იყო ყველაზე ტლანქი და ბინძური საქმის მოჭახრაკება, მოგვარება იმისა, რომ როგორმე უფრო საიმედოდ, უფრო ეშმაკურად, უფრო ოსტატურად, შიგნიდან უფრო მტკიცედ, გარედან უფრო შეუმჩნევლად დაეცვა რუსეთის კეთილშობილი თავადაზნაურობის უ ფ ლ ე ბ ე ბ ი მილიონობით იმ «ტეტიების» სისხლსა და ოფლზე, რომელსაც ეს გეიდენები მუდამ და განუწყვეტლივ ძარცვავდნენ, — 1861 წლამდეც, 1861 წელსაც, 1861 წლის შემდეგაც, და 1905 წლის შემდეგაც.

ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულვილს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი, ხოლო თანამედროვე რუსი ინტელიგენტი, კადეტური პარტიის * წევრი თუ კადეტთა დამქაში, რომელსაც თავი მო-

* კადეტებმა ათასჯერ უფრო მეტი მლიქვნელობა გამოიჩინეს გეიდენის შეფასებაში, ვიდრე ვაჟბატონებმა «ტოვარიშჩიდან». ჩვენ უკანასკ-

აქვს დემოკრატიული მემკვიდრეობის დამცველად, მონობას ასწავლის ხალხს და აღტაცებულია თავისი, როგორც უპარტიო დემოკრატის მიუდგომლობით. არა ნაკლებ საძაგელი სანახაობაა, ვიდრე დუბასოვისა და სტოლიპინის საგმირო საქმეთა სანახაობა...

— გეიდენი «ადამიანი» იყო, — აღტაცებით იმეორებს სალონის დემოკრატი. გეიდენი ჰუმანური იყო.

გეიდენის ჰუმანურობით ასეთი გულის აჩვილება გვაიძულებს მოვიგონოთ არა მარტო ნეკრასოვი და სალტიკოვი, არამედ ტურგენევის «მონადირის წერილებიც». ჩვენს წინაშეა ცივილიზებული, განათლებული, კულტურული მემამულე, მოპყრობის რბილი ფორმებით, ევროპული პეწით. მემამულე ღვინით უმასპინძლდება სტუმარს და მაღალ მატერიებზე საუბრობს. «ღვინო რათ არ გაგითბია?» — ეკითხება იგი ლაქიას. ლაქია დუმს და ფითრდება. მემამულე ზარს რეკს და, ხმის აუმაღლებლად, ეუბნება შემოსულ მსახურს: «თედორეს შესახებ... გაეცით განკარგულება».

აი ნიმუში გეიდენისებური «ჰუმანურობისა» ან გეიდენის á la * ჰუმანურობისა. ტურგენევის მემამულეც «ჰუმანური» ადამიანია... სალტიჩიხასთან შედარებით, მაგალითად, იმდენად ჰუმანურია, რომ თვითონ არ მიდის საჯინიბოში თვალყური ადევნოს — კარგად გასცეს თუ არა განკარგულება თედორეს გასაშოლტავად. იგი, ეს მემამულე იმდენად ჰუმანურია, რომ არ ზრუნავს მარილიან წყალში იმ შოლტების დასველებაზე, რომლებითაც თედორეს შოლტავენ. იგი, ეს მემამულე, თავს ნებას არ მისცემს დაარტყას ან შეაგინოს ლაქიას, იგი მხოლოდ შორიდან «სცემს განკარგულებას», როგორც განათლებული ადამიანი, რბილ და ჰუმანურ ფორმებში, უხმაუროდ, უსკანდალოდ, არა «საქვეყნოდ»...

---

ნელნი ავიღეთ, როგორც რუსეთის «საზოგადოების» «რიგიან ადამიანთა» «დემოკრატიზმის» ნიმუში.

* — მსგავსი. რ ე დ.

სავსებით ასეთივეა გეიდენის ჰუმანურობაც. მას თვითონ არ მიუღია მონაწილეობა გლეხების გაშოლტვასა და წამებაში ლუჟენოვსკებთან და ფილონოვებთან ერთად. მას არ უვლია დამსჯელ ექსპედიციებში რენენკამპფებთან და მელერ-ზაკომელსკებთან ერთად. მას არ მიუღია მონაწილეობა მოსკოვის დახვრეტაში დუბასოვთან ერთად. იგი იმდენად ჰუმანური იყო, რომ თავს იკავებდა ასეთი საგმირო საქმეებისაგან, სრულიად რუსეთის «საჯინიბოს» მსგავს გმირებს ანდობდა «განკარგულებების გაცემას», თვითონ კი თავის მყუდრო და კულტურულ კაბინეტს თავშეფარებული ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მხარს უჭერდა დუბასოვების მთავრობას და რომლის ბელადებიც სვამდნენ მოსკოვის გმირის დუბასოვის სადღეგრძელოს... მართლაცდა, განა ეს ჰუმანური არ არის: იმის მაგივრად, რომ თვითონ მიხვიდე საჯინიბოში, გაგზავნო იქ დუბასოვები «თედორეს შესახებ განკარგულების გასაცემად»? ბებრუხანა დედაკაცებისათვის, რომლებიც ჩვენს ლიბერალურ და დემოკრატიულ პრესაში პოლიტიკის განყოფილებას განაგებენ, — ეს ჰუმანურობის ნიმუშია... — ოქრო ადამიანი იყო, ბუზსაც კი არ შეურაცხყოფდა! «იშვიათი და ბედნიერი ხვედრია» დუბასოვებს მხარი დაუჭირო, დუბასოვების მიერ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტის ნაყოფით ისარგებლო და დუბასოვების მოქმედებისათვის პასუხი არ აგო.

სალონის დემოკრატს უაღრეს დემოკრატიზმად მიაჩნია ოხვრა იმის გამო, რომ მმართველებად გეიდენები არა გვყვანან (რადგან ამ სალონის ბრიყვს აზრადაც არ მოსდის, რომ შრომა «ბუნებრივად» არის დანაწილებული გეიდენსა და დუბასოვებს შორის). მოუსმინეთ:

**...«და რა სამწუხაროა, რომ იგი (გეიდენი) მოკვდა სწორედ ახლა, როდესაც იგი ყველაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა. ახლა იგი შეებრძოლებოდა უკიდურეს მემარჯვენეებს, გამოააშკარავებდა თავისი სულის საუკეთესო მხარეებს, დაიცავდა კონსტიტუციურ საფუძვლებს მთელი მისთვის ჩვეული ენერგიითა და მოხერხებულობით» («ტოვარიშჩ» № 299,**

პარასკევი, 22 ივნისი, «გრ. გეიდენის ხსოვნას», კორესპონდენცია ფსკოვის გუბერნიიდან).

სამწუხაროა, რომ განათლებული და ჰუმანური გეიდენი — მშვიდობიანგანმაახლებელი თავისი კონსტიტუციური ფრაზებით ვერ ფარავს III, ოქტიაბრისტული სათათბიროს სიტიტვლეს, სათათბიროს მომსპობი თვითმპყრობელობის სიტიტვლეს! «დემოკრატ»-პუბლიცისტის ამოცანაა არა ის, რომ ჩამოგლიჯოს მატყუარა სამოსელი, დაანახვოს ხალხს მისი მჩაგვრელი მტრები მთელი მათი სიტიტვლით, არამედ იჯავროს იმაზე, რომ აღარა გვყავს გამოცდილი ფარისევლები, რომლებიც ოქტიაბრისტების რიგებს ამშვენებენ... **Was ist der Philister? Ein hohler Darm, voll Furcht und Hoffnung, dass Gott erbarm!** რა არის ფილისტერი? ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შეიწყალებს [20]. რა არის რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული ფილისტერი კადეტთა და კადეტების ახლომდგომი ბანაკიდან? ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ კონტრრევოლუციური მემამულე შეიწყალებს!

1907 წლის ივნისი.

დაიბეჭდა 1907 წელს
პირველ კრებულში «გოლოს ჟიზნი»,
ს.-პეტერბურგი

ხელმოწერა: ნ. ლ.

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

# თეზისები პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 8 ივლისს წაკითხული მოხსენებისა მესამე სათათბიროსადმი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამოკიდებულების საკითხზე [21]

1. სათათბიროს ბოიკოტი, როგორც ეს რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ გვიჩვენა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა ისეთ ისტორიულ პირობებში, როდესაც ბოიკოტი წარმოადგენს ნამდვილად აქტიურ ბოიკოტს, ე. ი. გამოხატავს ფართო და საყოველთაო რევოლუციური აღმავლობის ძალას, რომელიც უშუალოდ მიმართულია პირდაპირი შეტევისაკენ ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ (მაშასადამე, შეიარაღებული აჯანყებისაკენ). ბოიკოტი ასრულებს დიდ ისტორიულ ამოცანას, როცა მის შინაარსს შეადგენს პროლეტარიატის მხრივ მთელი ხალხის გაფრთხილება კონსტიტუციური ილუზიებითა და პირველი, ძველი ხელისუფლების მიერ ბოძებული, ვითომ-კონსტიტუციური დაწესებულებებით ბრმა წვრილბურჟუაზიული გატაცებისაგან.

2. ბოიკოტის განხილვა, როგორც თავისთავად მოქმედი საშუალებისა ფართო, საყოველთაო, ძლიერი და სწრაფი რევოლუციური აღმავლობისა და ძველი ხელისუფლების დამხობისკენ მიმართული პირდაპირი საყოველთაო-სახალხო შეტევის პირობათა გარეშე, — ბოძებული კონსტიტუციით სახალხო

გატაცებასთან ბრძოლის ამოცანის გარეშე, — ნიშნავს გრძნობის და არა გონების ზეგავლენით მოქმედებას.

3. ამიტომ სათათბიროს ბოიკოტის გამოცხადება იმის საფუძველზე, რომ კადეტებისათვის ხელსაყრელი საარჩევნო კანონი შეცვლილია ოქტიაბრისტებისათვის ხელსაყრელი კანონით, — იმის საფუძველზე, რომ მეორე სათათბიროს შემცვლელად, რომელიც კადეტურად ლაპარაკობდა და ოქტიაბრისტულად მოქმედებდა და რომელშიც სოციალ-დემოკრატები რევოლუციის საქმის სასარგებლოდ მონაწილეობდნენ, მოდის აშკარა ოქტიაბრისტული სათათბირო, — ამ საფუძველზე ბოიკოტის გამოცხადება — ეს იქნებოდა არა მარტო მტკიცე რევოლუციური მუშაობის შეცვლა რევოლუციური ნერვიულობით, არამედ იმის გამომჟღავნებაც, რომ თვით სოციალ-დემოკრატებზე ბატონობენ უცუდესი ილუზიები კადეტური სათათბიროს და კადეტური კონსტიტუციის შესახებ.

4. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მთელი სააგიტაციო მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს ხალხისთვის იმის განმარტება, რომ 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება წარმოადგენს 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დამარცხების პირდაპირ და სრულიად აუცილებელ შედეგს. რუსეთის რევოლუციის მეორე პერიოდის, 1906 და 1907 წლების, გაკვეთილი ის არის, რომ რეაქციის ასეთივე სისტემატური შემოტევა და რევოლუციის უკანდახევა, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა, აუცილებელია კონსტიტუციის რწმენის ბატონობისას, აუცილებელია ბრძოლის ვითომ-კონსტიტუციური წესების ბატონობისას, აუცილებელია იმ დრომდე, ვიდრე პროლეტარიატი, გამაგრებული და ძალებმოკრებილი გადატანილ დამარცხებათა შემდეგ, არ აღსდგება გაცილებით უფრო ფართო მასებად უფრო გაბედული და შეტევითი რევოლუციური იერიშისთვის მეფის ხელისუფლების დასამხობად.

5. ამჟამად მოსკოვის სამრეწველო რაიონში გაჩაღებული საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც რუსეთის სხვა რაიონებსაც

ედება, უნდა განვიხილოთ, როგორც ახლო მომავალში შესაძ-ლებელი რევოლუციური აღმავლობის უდიდესი საწინდარი. ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ მთელი თავისი ძალღონე უნდა გამოიყენოს არა მარტო პროლეტარიატის ეკონომიური ბრძო-ლის მხარისდაჭერისა და განვითარებისათვის, არამედ ამ, ჯერ მხოლოდ პროფესიული, მოძრაობის გადაქცევისათვის მუშათა მასების ფართო რევოლუციურ აღმავლობად და უშუალო ბრძოლად ცარიზმის შეიარაღებული ძალის წინააღმდეგ. მხო-ლოდ მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიის ცდები ამ მი-მართულებით წარმატებით დაგვირგვინდება, მხოლოდ უკვე შექმნილი შეტევითი რევოლუციური მოძრაობის ნიადაგზე შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა მიიღოს ბოიკოტის ლო-ზუნგმა, განუწყვეტლივ დაკავშირებულმა მასების პირდაპირ მოწოდებასთან შეიარაღებული აჯანყებისადმი, მეფის ხელის-უფლების დამხობისადმი, დროებითი რევოლუციური მთავრო-ბით მისი შეცვლისადმი დამფუძნებელი კრების მოსაწვევად საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის-ყრის საფუძველზე.

დაწერილია 1907 წლის ივლისში

დაიბეჭდა ცალკე ფურცლად 1907 წლის ივლისში

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

# რსდმ პარტიის მესამე («სრულიად რუსეთის მეორე») კონფერენცია [22]

## 1

## პროექტი რეზოლუციისა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ აქტიური ბოიკოტი, როგორც რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ გვიჩვენა, სოციალ-დემოკრატიის სწორ ტაქტიკას წარმოადგენს მხოლოდ ფართო, საყოველთაო და სწრაფი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებაში გადადის, და მხოლოდ კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ ბრძოლის იდეურ ამოცანასთან დაკავშირებით ძველი ხელისუფლების მიერ პირველი საწარმომადგენლო კრების მოწვევის პირობებში;

2) რომ თუ ეს პირობები არ არსებობს, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სწორი ტაქტიკა მოითხოვს რევოლუციური ეპოქის ყველა პირობის არსებობის შემთხვევაშიც კი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, როგორც ეს კიდევაც მოხდა II სათათბიროს დროს;

3) რომ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მუდამ აღნიშნავდა კადეტების პარტიის ოქტიაბრისტულ დედაარსს და იმას, რომ თვითმპყრობელობის არსებობისას კადეტური საარჩევნო კანონი (11. XII. 1905) მტკიცე არ არის, არავითარი საფუძველი არა აქვს შესცვალოს თავისი ტაქტიკა ამ კანონის ოქტიაბრისტული საარჩევნო კანონით შეცვლის გამო;

4) რომ ამჟამად რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში საგაფიცვო მოძრაობის ზრდა, რაც უდიდესი საწინდარია ახლო მომავალში შესაძლებელი რევოლუციური აღმავლობისა, ამავე დროს მოითხოვს შეუპოვარ მუშაობას იმისათვის, რომ მოძრაობა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ პროფესიულია, გადაიქცეს პოლიტიკურ და უშუალო-რევოლუციურ, შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებულ, მოძრაობად, კონფერენცია ადგენს:

ა) მონაწილეობა მივიღოთ III სათათბიროს არჩევნებშიც;

ბ) განვუმარტოთ მასებს 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების კავშირი 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დამარცხებასთან და ლიბერალური ბურჟუაზიის ღალატთან; ამავე დროს დავუმტკიცოთ მასებს, რომ არ კმარა მარტო პროფესიული ბრძოლა, და ვეცადოთ პროფესიული საგაფიცვო მოძრაობა გადავაქციოთ მასების პოლიტიკურ და უშუალო რევოლუციურ ბრძოლად აჯანყების გზით მეფის მთავრობის დამხობისათვის;

გ) განვუმარტოთ მასებს, რომ სათათბიროს ბოიკოტს თავისთავად არ ძალუძს მუშათა მოძრაობა და რევოლუციური ბრძოლა აიყვანოს უმაღლეს საფეხურზე და რომ ბოიკოტის ტაქტიკა მართებული იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმატება ექნებოდა პროფესიული აღმავლობის რევოლუციურ შეტევად გადაქცევის ჩვენს ცდას.

## 2

## მოწახაზი რეზოლუციის პროექტისა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ

კონფერენცია პარტიის ყველა წევრის ვალდებულებად აღიარებს ენერგიულად განახორციელონ ლონდონის ყრილობის რეზოლუცია პროფესიულ კავშირთა შესახებ, ამასთან ანგარიში გაუწიონ ადგილობრივი პირობების მთელ ერთობლიობას სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან პროფესიულ კავშირ-

თა ორგანიზაციული კავშირურთიერთობის განხორციელებისას ან უკანასკნელთა მიერ პირველის მხრივ ხელმძღვანელობის აღიარებისას და ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უმთავრესი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სოციალ-დემოკრატები პროფესიულ კავშირებში «ნეიტრალური» პლატფორმისადმი პასიურ შეგუებას კი არ დასჯერდნენ, რაც ასე უყვართ ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს (კადეტები, უპარტიო პროგრესისტები [23], სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ.), არამედ განუხრელად დაიცვან სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი მთლიანად, განუხრელად ხელი შეუწყონ პროფესიული კავშირების მიერ სოციალ-დემოკრატიის მხრივ იდეური ხელმძღვანელობის აღიარებას და მათთან მუდმივი და ფაქტიური ორგანიზაციული კავშირურთიერთობის დამყარებას.

დაწერილია 1907 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# პუბლიცისტის შენიშვნები

მეორე სათათბიროს გარეკვის შემდეგ პოლიტიკური ლიტერატურის მთავარი დამახასიათებელი თვისება გახდა გულგატეხილობა, მონანიება, რენეგატობა. დაწყებული ბ-ნ სტრუვეთი, გაგრძელებული «ტოვარიშჩით» და გათავებული მთელი რიგი მწერლებით, რომლებიც სოციალ-დემოკრატიას ემხრობიან — ჩვენ ვხედავთ რევოლუციის, მისი ტრადიციების, მისი ბრძოლის წესების უარყოფას, მისწრაფებას — ასე თუ ისე მოეწყონ რაც შეიძლება მარჯვნივ. იმის დასახასიათებლად, თუ როგორ ლაპარაკობს და წერს დღეს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი, ავიღოთ პირველად ხელში მოხვედრილი მათი ნაწარმოებნი, მოთავსებული მიმდინარე პერიოდულ პრესაში: ბ-ნ ნევედომსკის სტატია «ობრაზოვანიეს» [24] მე-7 ნომერში და ბ-ნი ვლ. გორნისა «ტოვარიშჩის» 348-ე ნომერში.

ბ-ნი მ. ნევედომსკი თავისი სტატიის დასაწყისში სასტიკად აკრიტიკებს კადეტებს მეორე სათათბიროში და გადაჭრით იცავს მემარცხენე ბლოკისტურ ტაქტიკას და სოციალ-დემოკრატების მოქმედებას. სტატიას კი იგი ამთავრებს ასე:

«ვილაპარაკებ თხრობითი კილოთი და ვიტყვი, რომ ყოველი სოციალ-დემოკრატისათვის აშკარა უნდა იყოს ერთი რამ: პოლიტიკური ევოლუციის იმ სტადიაზე, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, სოციალისტური პარტიების საქმიანობა, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ გზას უკაფავს ბურჟუაზიულ პარტიებს, ამზადებს მათს დროებით გამარჯვებას.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი სახის ბრძანებითი კილო: რასაც უნდა წარმოადგენდეს ეს «მიმიკრული» («ამ წუთში შავგვრემანი, იმ წუთში ქერა») კადეტური პარტია, ვიდრე ის ერთადერთი ოპოზიციური პარტიაა, ძალაუნებურად მის საქმიანობას უნდა შეეუფარდოთ სოციალისტური საქმიანობა. ამას გვიკარნახებს ძალთა დაზოგვის პრინციპი»... «საერთოდ, ყოველგვარი ირონიის გარეშე თუ ვილაპარაკებთ» (ბ-ნ მ. ნეველომსკის ასეთი შენიშვნის გაკეთება დასჭირდა, რადგან მას არ შეუძლია წეროს პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად, რაც თავგზას უბნევს მკითხველებსაც და თვით ავტორსაც), «მილიუკოვის ეს ფრაზა არსებითად სავსებით სწორად განმარტავს ურთიერთობას ერთსა და მეორე პარტიებს შორის...» (ლაპარაკი» მილიუკოვის შემდეგ ფრაზაზე: «ხალხის ჩარევის მუქარის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ჩარევა წინასწარ მომზადებულია, — და სწორედ ამ მომზადებისაკენ უნდა იყოს მიმართული ყველა იმათი მუშაობა, ვისაც სათათბიროს საკუთარი ძალაუფლება საკმარისად არ მიაჩნია მისი უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის»; დაე მემარცხენეებმა მოამზადონ და შექმნან მოძრაობა, — სწორად განმარტავს ამ ფრაზას ბ-ნი ნეველომსკი, — «ხოლო ბატონმა კადეტებმა და სათათბიროს მხედველობაში მიიღონ ეს») ...«შეიძლება, ეს ცინიზმს მოკლებული არ იყოს, როდესაც ამას ამბობს მხედველობაში მიმღები პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ როდესაც საკითხს ასე სვამს, მაგალითად, პლეხანოვი, ეს არის მხოლოდ ზუსტი და რეალისტური განმარტება სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო ხაზისა და მის მიერ ლიბერალური ოპოზიციის ძალთა გამოყენების მეთოდისა».

ჩვენ მზადა ვართ დავუშვათ, რომ პლეხანოვი განიცდის ერთგვარ... რბილად რომ ვთქვათ, უხერხულობის გრძნობას, როდესაც ასეთი ვაჟბატონები თავაზიანად უთათუნებენ მას ხელს მხარზე. მაგრამ თავისი კადეტური ლოზუნგებით, როგორიცაა სოციალ-დემოკრატებისა და კადეტების ერთიანი პლატფორმა, ანდა სათათბიროს დაცვა, პლეხანოვმა უსათუოდ საბაბი მისცა სწორედ ასე გ ა მ ო ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა თ მისი სიტყვები.

ახლა მოუსმინეთ ბ-ნ ვლ. გორნს.

«ცხადია, ის რომ დავძლიოთ» (მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუების ანტიდემოკრატიული კოალიცია, რასაც 3 ივნისის საარჩევნო კანონი ქმნის), «საჭიროა ორი პირობა. ჯერ-ერთი, დემოკრატიის ყველა ფენა, პროლეტარიატის გამოუკლებლივ, უნდა შეუთანხმდეს ერთმანეთს, რათა ერთ კოალიციას დავუპირისპიროთ მეორე; მეორეც, ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ

არა იმ გზით, რომ გამოვიგონოთ რაც შეიძლება უფრო გაბედული ლოზუნგები არასაკმაოდ რევოლუციური ელემენტების ჩამოსაშორებლად და აშკარა რევოლუციური უმცირესობის მოძრაობის დასაჩქარებლად (ხაზგასმა ბ-ნ გორნისაა), არამედ რეალური კონკრეტული, თვით მასების ჩამბმელი, ბრძოლის გზით ანტიდემოკრატიული კოალიციის კონკრეტულივე ზომების წინააღმდეგ. დემოკრატიული კოალიციის შესაქმნელად საჭირო არ არის შეერთება, აუცილებელია მხოლოდ შეთანხმება ბრძოლის გზებსა და უშუალო მიზნებზე. ხოლო ასეთი შეთანხმებანი საკვლევით შესაძლებელია, თუ მასების შეგნებული წარმომადგენლები — პარტიები — დადგებიან სოციალური არსებობის პირობების რეალურ ცვლილებათა მიღწევის ნიადაგზე და არა მხოლოდ აგიტაციის თვალსაზრისზე».

ამ ამონაწერებიდან განა ცხადი არ არის, რომ კადეტური მოდადქცეული სიტყვების ეს ორივე გმირი არსებითად ერთსა და იმავეს ამბობს? ბ-ნი გორნი მხოლოდ ოდნავ უფრო გულახდილად ლაპარაკობს და ოდნავ უფრო მეტად გაშიშვლდა, მაგრამ მისი განსხვავება ბ-ნ ნევედომსკისაგან სწორედ ისეთივეა, როგორც ბ-ნ სტრუვეს განსხვავება ბ-ნ ნაბოკოვისაგან ან ბ-ნ მაკლაკოვისაგან.

პოლიტიკას თავისი შინაგანი ლოგიკა აქვს. რამდენჯერ მიუთითებიათ იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატებსა და ლიბერალებს შორის შესაძლებელია ტექნიკური შეთანხმება, რაც სრულიადაც არ იწვევს პოლიტიკურ ბლოკს, რომელსაც ყოველთვის უარყოფდა ყველა პარტიული სოციალ-დემოკრატი (ჩვენ აქ არას ვამბობთ უპარტიოებზე ან ისეთებზე, რომელნიც ორჭოფულად იქცევიან, პარტიაში ერთს ლაპარაკობენ, ხოლო «თავისუფალ», უპარტიო გაზეთში კი — მეორეს). და ცხოვრება მუდამ ამსხვრევდა ამ ლამაზ გეგმებსა და კეთილ სურვილებს, რადგან «ტექნიკურ» შეთანხმებათა საფარიდან მუდამ გზას იკაფავდა პოლიტიკური ბლოკის იდეები. წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, როცა მუშათა პარტიაში მრავლად მოიპოვებიან წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, ლიბერალებისადმი პროლეტარიატის პოლიტიკური

დამორჩილების ტენდენციას უაღრესად რეალური ფესვები აქვს. და ასეთი ტენდენცია, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს საქმის ობიექტურ მდგომარეობაში კადეტებთან კოალიციის თემაზე ყოველგვარი კვაზი *-სოციალისტური პოლიტიკანობის ნამდვილ შინაარსს წარმოადგენს. ბ-ნი გორნი, ვით გულუბრყვილო ინტელიგენტი, რომელსაც მხოლოდ სიტყვებიღა დარჩენია სოციალ-დემოკრატიული, ხოლო ყოველი ფიქრი, მთელი იდეური სარჩული, მთელი სული და გული, — წმინდა ლიბერალური ან მეშჩანურია, ბ-ნი გორნი პირდაპირ პოლიტიკურ ბლოკს, «დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ კ ო ა ლ ი ც ი ა ს» ქადაგებს, არც მეტს, არც ნაკლებს.

უაღრესად დამახასიათებელია, რომ ბ-ნ გორნს დ ა ს ჭ ი რ დ ა შენიშვნის გაკეთება: «საჭირო არ არის შეერთებაო»! ასეთი შენიშვნის გაკეთებით მან მხოლოდ შებღალული სოციალისტური სინდისის ნაშთები გამოამჟღავნა. განაცხადა რა: «საჭიროა არა შეერთება, არამედ მხოლოდ შეთანხმებაო», მან იქვე, წარბშეუხრელად, ამ «შეთანხმების» ისეთი აწერილობა, მისი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ისეთი განმარტება მოგვცა, რომელიც სრული სიცხადით ააშკარავებს მის სოციალ-დემოკრატიულ რენეგატობას. საქმე ის ხომ არ არის, თუ რა სიტყვას იხმარ, «შეერთებას» თუ «შეთანხმებას». საქმე ისაა, როგორია ამ «შ ე უ ღ ლ ე ბ ი ს» რეალური შინაარსი. საქმე ისაა, რ ა ს ა ფ ა ს უ რ ს თავაზობთ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას იმისათვის, რომ იგი ლიბერალიზმის ხასა გახდეს.

ფასი ნათლადაა განსაზღვრული.

1) ხელის აღება აგიტაციის თვალსაზრისზე.

2) უარისთქმა გაბედული ლოზუნგების «გამოგონებაზე».

3) შეწყვეტა არასაკმაოდ რევოლუციური ელემენტების ჩამოცილებისა.

4) უარისთქმა აშკარა რევოლუციური უმცირესობის მოძრაობის «დაჩქარებაზე».

---

* — ვითომ. რ ე დ.

მე მზად ვარ პრემია მივცე იმას, ვინც შესძლებდა შეედგინა ამაზე უფრო ნათელი და უფრო ზუსტი პროგრამა უსრულესი და უსაზიზღრესი რენეგატობისა. ბ-ნ სტრუვესგან ბ-ნი გორნი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბატონი სტრუვე ნათლად ხედავს თავის გზას და რამოდენიმედ «დამოუკიდებლად» განსაზღვრავს თავის ნაბიჯებს. ბატონ გორნს კი პირდაპირ სადავით მიათრევენ მისი კადეტური აღმზრდელნი.

— ხელი აიღეთ აგიტაციის თვალსაზრისზე, — ამას მუდამ ასწავლიდნენ ხალხს კადეტები მეორე სათათბიროში. ეს იმას ნიშნავს, რომ კი არ განვავითაროთ მუშათა მასებისა და გლეხობის შეგნება და მ ო მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ო ბ ა, არამედ დავაქვეითოთ, დავშრიტოთ, ჩავაქროთ როგორც ერთი, ისე მეორე, ვიქადაგოთ სოციალური ზავი.

— ნუ გამოიგონებთ გაბედულ ლოზუნგებს — მაშასადამე, უარი ვთქვათ, როგორც ეს კადეტებმა ჩაიდინეს, იმ ლოზუნგების ქადაგებაზე, რომლებიც სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე.

— ნუ ჩამოიცილებთ არასაკმაოდ რევოლუციურ ელემენტებს, — მაშასადამე, უარი ვთქვათ მასების წინაშე კადეტების ფარისევლობის, სიცრუისა და რეაქციულობის ყოველგვარ კრიტიკაზე, მაშასადამე, გულში ჩავიკრათ ბატონი სტრუვე.

— ნუ დააჩქარებთ აშკარა რევოლუციური უმცირესობის მოძრაობას, — მაშასადამე, არსებითად, უარი ვთქვათ ბრძოლის რევოლუციურ ხერხებზე. სრულიად უდავოა, რომ მთელი 1905 წლის მანძილზე რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა ა შ კ ა რ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა: სწორედ იმიტომ, რომ იბრძოდნენ თუმცა მასები, მაგრამ მაინც უმცირესობაში მყოფი მასები, სწორედ ამიტომ ბრძოლაში მათ სრული წარმატება არ ჰქონდათ. მაგრამ ყველა ის წარმატება, რასაც კი განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიაღწია რუსეთში, ყველა ის მონაპოვარი, რაც მან საერთოდ მოგვცა, — ყოველივე ეს მ თ ლ ი ა ნ ა დ და გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მოპოვებულია მ ხ ო ლ ო დ უმცირე-

სობაში მყოფი მასების ამ ბრძოლით. ეს ერთი. ხოლო, მეორეც, ის, რასაც ლიბერალები და მათი დამქაშები «დაჩქარებულ მოძრაობას» უწოდებენ, ერთადერთი მოძრაობა იყო, რომელშიც მასები (თუმცა თავდაპირველად, სამწუხაროდ, უმცირესობაში მყოფი მასები) დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ და არა მოადგილეების მეშვეობით, — ერთადერთი მოძრაობა, რომელსაც ხალხის არ ეშინოდა, რომელიც მასების ინტერესებს გამოხატავდა, რომელსაც თანაუგრძნობდნენ (ეს დაამტკიცა პირველ და განსაკუთრებით მეორე სათათბიროს არჩევნებმა) ის გიგანტური მასები, რევოლუციურ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას რომ არ იღებდნენ.

როცა ბატონი გორნი «აშკარა რევოლუციური უმცირესობის მოძრაობის დაჩქარებაზე» ლაპარაკობს, იგი ერთერთ უაღრესად გავრცელებულ, წმინდა ბურენინისებურ თაღლითობას სჩადის. როდესაც მეორე სათათბიროს ეპოქაში ბურენინის გაზეთი[25] ალექსინსკის წინააღმდეგ იბრძოდა, იგი საქმეს ყოველთვის ისე წამოგვიდგენდა, თითქოს მისი მტრობა ალექსინსკის მიმართ გამოწვეულია არა ალექსინსკის ბრძოლით პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ იმით, რომ ალექსინსკის თავისუფლება სურს... შუშების სამტვრევად, ფარნებზე საცოცავად და სხვ. სწორედ ასეთსავე შავრაზმულ სამზადისს ეწევა «ტოვარიშჩის» პუბლიცისტიც. იგი ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს სოციალისტების შეთანხმებას ლიბერალებთან ის კი არ უშლის ხელს, რომ სოციალისტები მუდამ მოითხოვენ და მომავალშიც მოითხოვენ მასების რევოლუციური შეგნებისა და რევოლუციური აქტიურობის განვითარებას საერთოდ, არამედ მხოლოდ ის, რომ სოციალისტები აჩქარებენ, ე. ი. ხელს უწყობენ, ხელოვნურად ძაბავენ მოძრაობას, რომ ისინი აღვივებენ აშკარად უიმედო მოძრაობას.

ასეთ არასაკადრის გამოლაშქრებაზე ჩვენ მოკლედ ვუპასუხებთ. მთელი სოციალისტური პრესა პირველი სათათბი-

როს ეპოქაშიც და მეორე სათათბიროს ეპოქაშიც, მენშევიკურიც და ბოლშევიკურიც, გმობდა მოძრაობის ყოველგვარ «დაჩქარებას»... მოძრაობის დაჩქარებისათვის კი არ ებრძოდნენ კადეტები სოციალ-დემოკრატებს პირველ და მეორე სათათბიროში, არამედ იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატები ა ვ ი თ ა რ ე ბ ე ნ მასების რევოლუციურ შეგნებას და მომთხოვნელობას, ა მ ხ ი ლ ე ბ ე ნ კადეტების რეაქციულობას და კონსტიტუციური ილუზიების მირაჟს. ამ საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს ვერავითარი საგაზეთო ეკვილიბრისტიკით გვერდს ვერ აუხვევთ. რაც შეეხება ბ-ნ გორნის გამოსვლის ფორმას, ის უკიდურესად დამახასიათებელია ჩვენი დროისთვის, როდესაც «განათლებული საზოგადოება», უარყოფს რა რევოლუციას, პორნოგრაფიას კიდებს ხელს. სუბიექტი, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატად თვლის, მიბრძანდება უპარტიო გაზეთში, რათა ფართო საზოგადოების წინაშე ილაპარაკოს ნოვოევრემიასებური სიტყვები — მუშათა პარტია «აშკარა» უმცირესობის მოძრაობას «აჩქარებსო»! რენეგატული განწყობილება ჩვენში რენეგატულ ზნე-ჩვეულებასაც ქმნის.

* * *

ახლა მეორე მხრივ მივუდგეთ საკითხს. ბატონ ნევედომსკებისა და გორნების შეხედულებები, რომლებიც ასეთ ზიზღს იწვევენ, როდესაც ამ შეხედულებებს ვითომ-სოციალ-დემოკრატები გვთავაზობენ, უსათუოდ ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენციის, მოლიბერალო «საზოგადოების», უკმაყოფილო მოხელეების და სხვათა ფართო წრეების უაღრესად ტიპიური და ბუნებრივი შეხედულებებია. არ კმარა ამ შეხედულებათა დახასიათება, როგორც წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკურად-უხასიათო, დუნე და მერყეევი განწყობილების გამოხატულება. გარდა ამისა, საჭიროა მათი განმარტება ჩვენი რევოლუციის განვითარების ახლანდელი მდგომარეობის თვალსაზრისითაც.

რატომ მაინცდამაინც ახლა, III სათათბიროს წინ, წარმოშობენ მეშჩანობის განსაზღვრული წრეები ასეთ შეხედულებებს? იმიტომ, რომ ამ წრეებს, რომლებიც მორჩილებით იცვლიან თავიანთ რწმენას მთავრობის პოლიტიკის ყოველი ცვლილებისთანავე, სწამთ ოქტიაბრისტული სათათბირო, ე. ი. სჯერათ, რომ მისი მისია შეიძლება შესრულდეს, და იჩქარიან შეეწყონ «ოქტიაბრისტულ რეფორმებს», იჩქარიან იდეურად დაასაბუთონ და გაამართლონ თავიანთი შეგუება ოქტიაბრიზმისადმი.

მთავრობის განზრახვით, ოქტიაბრისტული სათათბიროს მისია ის არის, რომ დაამთავროს რევოლუცია ძველი ხელისუფლების პირდაპირი მორიგებით მემამულეებთან და უმსხვილეს ბურჟუაზიასთან კონსტიტუციურ რეფორმათა განსაზღვრული მინიმუმის საფუძველზე. აბსტრაქტულად თუ ვილაპარაკებთ, აქ აბსოლუტურად შეუძლებელი არაფერია, რადგან დასავლეთ ევროპაში მთელი რიგი ბურჟუაზიული რევოლუციები მთავრდება «ოქტიაბრისტული» კონსტიტუციური წესწყობილების განმტკიცებით. საკითხი მხოლოდ ის არის, შესაძლებელია თუ არა თანამედროვე რუსეთში ისეთი ოქტიაბრისტული «რეფორმები», რომლებიც მოახერხებენ რევოლუციის შეჩერებას? ოქტიაბრისტულ «რეფორმებს», ჩვენი რევოლუციის სიღრმის გამო, ისეთივე კრახი ხომ არ მოელის, როგორიც კადეტურმა «რეფორმებმა» განიცადა? ოქტიაბრისტული სათათბირო ისეთივე მოკლე ეპიზოდი ხომ არ იქნება, როგორიც იყო კადეტური სათათბიროები, — ეპიზოდი შავრაზმელებისა და თვითმპყრობელობის ბატონობის აღდგენის გზაზე?

ჩვენ განვიცადეთ პერიოდი მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლისა (1905 წ.), რომელმაც თავისუფლების ზოგიერთი მონაპოვარი მოგვცა. ჩვენ განვიცადეთ შემდეგ ამ ბრძოლის შეჩერების პერიოდი (1906 წელი და 1907 წლის ნახევარი). ამ პერიოდში მთელი რიგი გამარჯვება ხვდა წილად რეაქციას და არც ერთი გამარჯვება რევოლუციას, რო-

მელმაც დაჰკარგა პირველი პერიოდის მონაპოვარნი. მეორე პერიოდი იყო კადეტური პერიოდი, კონსტიტუციური ილუზიების პერიოდი. მასებს ცოტად თუ ბევრად კიდევ სწამდათ «პარლამენტარიზმი» თვითმპყრობელობის დროს; თვითმპყრობელობაც, რომელსაც ესმოდა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა მარტოდმარტო შავრაზმელების ბატონობა, ცდილობდა შეთანხმებოდა კადეტებს, ახდენდა ცდებს, იზომებდა სხვადასხვა ტიპის კონსტიტუციურ კოსტიუმებს, სინჯავდა, რაგვარი რეფორმის მიღება შეუძლიათ რუსეთის «ბატონ-პატრონთ», ბატონ უმსხვილეს მემამულეებს. კადეტური კონსტიტუციის ცდა კრახით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ კადეტები მეორე სათათბიროში სავსებით ოქტიაბრისტულად იქცეოდნენ, არათუ თავს არ ესხმოდნენ მთავრობას, არა თუ ამხედრებდნენ მასებს მის წინააღმდეგ, არამედ სისტემატურად ამშვიდებდნენ მასებს, ებრძოდნენ «მემარცხენეებს», ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის პარტიებს, აშკარად და გადაჭრით უჭერდნენ მხარს არსებულ მთავრობას (ბიუჯეტი და სხვ.). ერთი სიტყვით, კადეტური კონსტიტუციის ცდა დამარცხდა არა იმიტომ, რომ კადეტებს ან მთავრობას კეთილი სურვილი არ ჰქონდათ, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის რევოლუციის ობიექტური წინააღმდეგობანი უაღრესად ღრმა აღმოჩნდნენ. ეს წინააღმდეგობანი იმდენად ღრმა აღმოჩნდნენ, რომ შეუძლებელი შეიქნა უფსკრულზე კადეტური ხიდის გადება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მაშინაც კი, როდესაც განსაზღვრული დროისათვის სრულიად ჩახშობილი იყო მასობრივი ბრძოლა, როდესაც ძველი ხელისუფლება სრულიად თვითნებურად აყალბებდა არჩევნებს და სხვ., გლეხთა მასებმა (ბურჟუაზიულ რევოლუციაში კი შედეგი ყველაზე მეტად გლეხობაზეა დამოკიდებული) წამოაყენეს ისეთი მოთხოვნები, რომელთა შეგუებაც პრივილეგიურ მემამულეთა ბატონობასთან კადეტური შუამავლების არავითარ დიპლომატიურ ოსტატობას არ ძალუძს. თუ ახლა ბ-ნი სტრუვე ღვარძლიანობს

ტრუდოვიკების[25] წინააღმდეგ (არას ვამბობთ სოციალ-დემოკრატებზე), თუ «რ ე ჩ ი»[27] მთელ ლაშქრობას აწყობს მათ წინააღმდეგ, ეს შემთხვევითი მოვლენა როდია და არც უბრალო წყენაა ბურჟუაზიული ვექილისა, რომლის სამსახურიც გლეხმა უარყო. ეს აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯია კადეტების ევოლუციაში: ვერ მოხერხდა მემამულეებისა და ტრუდოვიკების შეთანხმება, — მ ა შ ა ს ა დ ა მ ე (ბურჟუაზიული ინტელიგენციისთვის დასკვნა მ ხ ო ლ ო დ ასეთი შეიძლება იყოს), მაშასადამე, უფრო ფართო მასები კი არ უნდა ავამხედროთ მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ შ ე ვ ა მ ც ი რ ო თ ტრუდოვიკების მოთხოვნები, კ ი დ ე ვ დავუთმოთ მემამულეებს, «უკუვაგდოთ რევოლუციური უტოპიები», როგორც ამბობენ სტრუვე და «რეჩი», ან თავი დავანებოთ გაბედული ლოზუნგების გამოგონებას და მოძრაობის დაჩქარებას, როგორც ამბობს კადეტების ახალი მსახური, ბ-ნი გორნი.

მთავრობა ე გ უ ე ბ ა მემამულეებს იმით, რომ არჩევნებს მთლიანად მათ უგდებს ხელში, ფაქტიურად საარჩევნო უფლებებს ართმევს გლეხობას. კადეტები ეგუებიან მემამულეებს იმით, რომ ანადგურებენ ტრუდოვიკებს რევოლუციურობისა და დაუთმობლობისათვის. უპარტიო პოლიტიკანები, საერთოდ «ტოვარიშჩის» თანამშრომლებისა და განსაკუთრებით ბ-ნ გორნის მსგავსად, ეგუებიან მემამულეებს იმით, რომ პროლეტარიატსა და გლეხობას მოუწოდებენ თავიანთი პოლიტიკა «შეუთანხმონ» (შოახდინონ «კოორდინაცია», ბ-ნ ნევედომსკის თქმით) კადეტების პოლიტიკას, შევიდნენ «დემოკრატიულ კოალიციაში» კადეტებთან, ხელი აიღონ «გაბედულ ლოზუნგებზე» და სხვ. და სხვ.

მთავრობა სისტემატურად მოქმედებს. თანდათანობით გვართმევს იგი იმას, რაც მოპოვებულია «დაჩქარებული მოძრაობით» და რაც დაუცველი დარჩა ამ მოძრაობის მიყუჩების დროს. თანდათანობით სინჯავს იგი, თუ რა «რეფორმებზე» შეიძლება ბატონი მემამულეების დათანხმება. ვერ შესძლეს

ეს კადეტებმა? ვერ შესძლეს იმიტომ, რომ ხელი შეუშალეს მემარცხენეებმა, მიუხედავად თვით კადეტების გულწრფელი სურვილისა და ჭაპანწყვეტისა! მაშასადამე, საჭიროა «მემარცხენეების» საარჩევნო უფლებების შეკვეცა და საკითხის გადაჭრის გადაცემა ოქტიაბრისტებისათვის: ხოლო თუ ეს ცდაც უნაყოფო გამოდგა, მაშინ საჭირო გახდება სავსებით დავექვემდებაროთ «გაერთიანებულ თავადაზნაურთა საბჭოსო» [28].

მთავრობის მოქმედებაში არის აზრი, სისტემა, ლოგიკა. ეს არის მემამულის კლასობრივი ინტერესების ლოგიკა. საჭიროა ამ ინტერესების დაცვა და გინდა-არგინდა რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების დაცვა.

მთავრობის ამ გეგმების განსახორციელებლად საჭიროა მასების ინტერესებისა და მოძრაობის ძალდატანებით ჩახშობა, მათთვის საარჩევნო უფლებების წართმევა, მათი გადაცემა 130 ათასის საჯიჯგნად. შესძლებენ თუ არა ამ გეგმების განხორციელებას, — ამ საკითხის გადაჭრა ახლა არავის შეუძლია: ამ საკითხს მხოლოდ ბრძოლა გადაჭრის.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ამ საკითხს ჩვენი ბრძოლით ვჭრით. კადეტებიც ამ საკითხს სჭრიან ბრძოლით... მემარცხენეების წინააღმდეგ. კადეტები იბრძვიან ამ საკითხის მთავრობის სურვილისამებრ გადაჭრისათვის: ისინი ამას სჩადიოდნენ სისტემატურად მეორე სათათბიროში საპარლამენტო ასპარეზზე. ისინი ახლაც სისტემატურად სჩადიან ამას თავიანთი იდეური ბრძოლით სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი რუსი ინტელიგენტისთვის, ისევე როგორც ყოველი ნახევრადგანათლებული მეშჩანისთვის, ეს პარადოქსად გაისმის; კადეტები, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატებს უწოდებენ და ლიბერალურ სიტყვებს წარმოთქვამენ, იმისთვის იბრძვიან, რომ საკითხი მთავრობის სურვილისამებრ გადაიჭრას! ეს აშკარა შეუსაბამობაა! რაკი დემოკრატები არიან, — მაშასადამე, მიაკუთვნე ისინი «დემოკრატიულ კოალიციას»! ეს ხომ ისეთი ნათელი დასკვნაა პო-

ლიტიკური მიამიტებისთვის, რომლებსაც რუსეთის რევოლუციის ორმა წელმაც ვერ ასწავლა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი მოსძებნონ როგორც მთავრობის ღონისძიებათა, ისე ლიბერალური ენაწყლიანობის ნამდვილი სარჩული. და რამდენი არიან ჩვენში ინტელიგენტური ბანაკიდან გამოსული «მარქსისტები», რომლებიც კლასობრივი ბრძოლის პრინციპს აღიარებენ, ხოლო სინამდვილეში წმინდა ლიბერალურად მსჯელობენ კადეტებზეც, სათათბიროს როლზეც და ბოიკოტზეც! და ვინ იცის, ბიუჯეტისათვის კადეტების მიერ ხმის მიცემა რამდენჯერ იქნება კიდევ საჭირო ამ პოლიტიკური დოყლაპიებისათვის, სანამ მოინელებდნენ ევროპაში უკვე დიდი ხანია ცნობილ მოვლენას: ლიბერალი, რომელიც ორატორობს მთავრობის წინააღმდეგ და ყოველ სერიოზულ საკითხში მხარს უჭერს მთავრობას.

მეორე სათათბიროს შეცვლა მესამე სათათბიროთი — ეს არის ოქტიაბრისტულად მოქმედი კადეტის შეცვლა კადეტის დახმარებით მოქმედი ოქტიაბრისტით. მეორე სათათბიროში გაბატონებული იყო პარტია ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც ხალხის ხარჯზე თავიანთ თავს დემოკრატებს უწოდებდნენ, ხოლო ბურჟუაზიის ხარჯზე მხარს უჭერდნენ მთავრობას. მესამე სათათბიროში უნდა გაბატონდეს პარტია მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუებისა, რომლებიც მოჩვენებითი ოპოზიციისა და საქმიანი მომსახურებისათვის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ქირაობენ. ეს უბრალო რამ დამტკიცებულია კადეტების პარტიის მთელი პოლიტიკური საქმიანობით და განსაკუთრებით მეორე სათათბიროთი. ეს უბრალო რამ ახლა ობივატელმაც კი შეიგნო: ჩვენ დავასახელებთ ისეთ მოწმეს, როგორიცაა ბ-ნი ჟილკინი, რომელსაც სასაცილო იქნება დავწამოთ ბოლშევიზმისადმი სიმპათია ან წინასწარგანზრახული და შეურიგებელი მტრობა კადეტებისადმი.

დღევანდელ (№ 351) «ტოვარიშჩში» ბ-ნი ჟილკინი ასე გადმოგვცემს «მხნე» (sic! * «სიმხნევე» ბ-ნ ჟილკინს დაახლოებით ისევე ესმის, როგორც გორნს ან ნეველომსკის) პროვინციალის შთაბეჭდილებას:

«ოქტიაბრისტი მემამულეები, რომლებსაც მე ველაპარაკე, ასე მსჯელობენ: «კადეტების არჩევა შეიძლება. რით არიან ისინი კარგნი? დამთმობნი არიან. I სათათბიროში ბევრი მოითხოვეს. II-ში — დასთმეს. პროგრამაც კი შეჰკვეცეს. ჰოდა, III-ში კიდევ უფრო დასთმობენ. ნახავთ, რაიმეზე კიდეც შეთანხმდებიან. გარდა ამისა, მართალი გითხრათ, არც არის ვინმე ოქტიაბრისტებიდან რომ გავიყვანოთ.

...დაე ისევ კადეტები გავიდნენ. განსხვავება ჩვენს შორის არცთუ ისე დიდია. III სათათბიროში ისინიც გამემარჯვენდებიან... ოქტიაბრისტებთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, რადგანაც ეს გვჭირდება... სადა ჰყავთ მათ ორატორები ან დიდი ადამიანები?»»

ვინც პარტიებზე მათი სახელწოდების, პროგრამების, დაპირებებისა და სიტყვების მიხედვით მსჯელობს, ან ვინც კმაყოფილდება ტლანქი, ბერნშტეინიზირებული «მარქსიზმით», რაც იმაში მდგომარეობს, რომ გაიმეორო ჭეშმარიტება ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ბურჟუაზიული დემოკრატიისთვის მხარისდაჭერის შესახებ, — მას შეუძლია იმედი იქონიოს მემარცხენეებისა და კადეტების დემოკრატიული კოალიციისა III სათათბიროს დროს. მაგრამ ვისაც იოტის ოდენა რევოლუციური ალღო და ჩვენი რევოლუციის გაკვეთილებისადმი დაკვირვებული დამოკიდებულების უნარი შერჩენია, ან ვინც ნამდვილად ხელმძღვანელობს კლასობრივი ბრძოლის პრინციპით და პარტიებზე მათი კლასობრივი ხასიათის მიხედვით მსჯელობს, — მას სრულიად არ გაუკვირდება, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის პარტია გამოსადეგია მხოლოდ ლაქიური სამსახურისთვის მსხვილ ბურჟუათა პარტიის მიმართ. ბატონ გორნებსა და ნეველომსკებს უნარი აქვთ იფიქრონ, რომ კადეტების უთანხმოება დემოკრატიასთან გამონაკლისია, ხოლო ოქტიაბრისტებთან მათი უთანხმოება წე-

* — ასეა! რ ე დ.

სია. საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა. კადეტები მთელი თავიანთი კლასობრივი ბუნებით ოქტიაბრისტების ნამდვილი ნათესავები არიან. კადეტური დემოკრატიზმი — მოჩვენებაა, მასების დემოკრატიზმის დროებითი ანარეკლია, ანდა ეს არის პირდაპირი მოტყუება, რომელსაც ემორჩილებიან რუსეთის ბერნშტეინელები და მეშჩანები, განსაკუთრებით გაზეთ «ტოვარიშჩიდან».

და აი, თუ თქვენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ამ მხრივ შეხედავთ, თუ თქვენ გაიგებთ, ნამდვილად რა ისტორიულ როლს ასრულებს კადეტი — ეს ბურჟუაზიული ინტელიგენტი, რომელიც მემამულეს ეხმარება გლეხის მათხოვრული რეფორმით დაკმაყოფილებაში, მაშინ თქვენთვის აშკარა გახდება ბატონ გორნებისა და ნევედომსკების სიბრძნის მთელი სიღრმე, რომლებიც პროლეტარიატს ურჩევენ თავისი მოქმედება კადეტებს შ ე უ თ ა ნ ხ მ ო ნ! სურათი ოქტიაბრისტული «რეფორმებისა», რომლებსაც ჩვენ გვპირდებიან, სავსებით ნათელია. მემამულე «აწყობს» გლეხს და აწყობს ისე, რომ უდამსჯელექსპედიციებოდ, გლეხების გაუწკეპლავად და მუშების დაუხვრეტავად შეუძლებელია რეფორმები მიაღებინოთ მოსახლეობას. კადეტი პროფესორი ოპოზიციონერობს: იგი ამტკიცებს, თანამედროვე სამართლის მეცნიერების თვალსაზრისით, რომ აუცილებელია კონსტიტუციური დამტკიცება წესებისა დამსჯელი ექსპედიციების შესახებ და ჰკიცხავს პოლიციის გადაჭარბებულ გულმოდგინებას. კადეტი ვექილი ოპოზიციონერობს: იგი ამტკიცებს, რომ კანონით გლეხს უნდა მოხვდეს 60 და არა 200 როზგი, რომ საჭიროა მთავრობას მიეცეს ფული როზგების შესაძენად, ამასთან პირობად აყენებს კანონიერების დაცვას. კადეტი ექიმი მზადაა მაჯა გაუსინჯოს გაწკეპლილს და დასწეროს გამოკვლევა დარტყმის ზღვრული რიცხვის ერთიორად შემცირების აუცილებლობის შესახებ.

განა ასეთი არ იყო კადეტების ოპოზიცია მეორე სათათბიროში? და განა ცხადი არ არის, რომ ასეთი ოპოზიციისათვის

ოქტიაბრისტი მემამულე არათუ აირჩევს კადეტს სათათბიროში, არამედ კიდევაც დათანხმდება მისცეს მას პროფესორის ან სხვა რაიმე ჯამაგირი?

სოციალისტების დემოკრატიული კოალიცია კადეტებთან მეორე სათათბიროში, მეორე სათათბიროს შემდეგ ან III სათათბიროს დროს სინამდვილეში, საქმის ობიექტური ვითარების გამო, სხვა არა არის რა, თუ არა მუშათა პარტიის გადაქცევა ლიბერალების ბრმა და საცოდავ დანამატად, თუ არა პროლეტარიატის ინტერესებისა და რევოლუციის ინტერესების სრული ღალატი სოციალისტების მხრივ. სულ ადვილად შესაძლებელია, ბატონ ნეველომსკეებს და გორნებს არ ესმოდეთ, რასაც სჩადიან. ასეთ ადამიანებს ძალიან ხშირად რწმენა მხოლოდ ენის წვერზე აკერიათ. მაგრამ არსებითად მათი მისწრაფებანი ის არის, რომ ბოლო მოუღონ მუშათა კლასის დამოუკიდებელ პარტიას, ბოლო მოუღონ სოციალ-დემოკრატიას. სოციალ-დემოკრატიამ, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ამოცანები, ბოლო უნდა მოუღოს ასეთ ვაჟბატონებს. ჩვენში, სამწუხაროდ, ძალზე ცალმხრივად ესმით დღევანდლამდე ბურჟუაზიული რევოლუციის კატეგორია. ჩვენში, მაგალითად, მხედველობიდან უშვებენ, რომ ამ რევოლუციამ უნდა დაანახვოს პროლეტარიატს — და მხოლოდ მას შეუძლია პირველად დაანახვოს პროლეტარიატს, თუ ნამდვილად როგორია ამათუიმ ქვეყნის ბურჟუაზია, როგორია ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალური თავისებურებანი ამათუიმ ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციაში. პროლეტარიატის ნამდვილი, საბოლოო და მასობრივი განცალკევება კლასად, მისი დაპირისპირება ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც საკუთარი ქვეყნის ისტორია დაანახვებს პროლეტარიატს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, როგორც პოლიტიკური მთელის, სრულ სახეს, — მეშჩანობის, როგორც ფენის, როგორც განსაზღვრული იდეური და ისეთი პოლიტიკური სიდიდის სრულ სახეს, რომელიც თავს იჩენდა

ხოლმე ამა და ამ აშკარა, ფართო პოლიტიკურ მოქმედებაში. ჩვენ დაუღალავად უნდა განვუმარტოთ პროლეტარიატს თეორიული ჭეშმარიტებანი, რომლებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დედაარსს შეეხებიან. მაგრამ ეს ჭეშმარიტებანი მხოლოდ მაშინ გაუჯდება ძვალსა და რბილში ნამდვილად ფართო პროლეტარულ მასებს, როდესაც ეს მასები დაინახავენ, იგრძნობენ ამა თუ იმ კლასის პარტიათა მოქმედებას, — როდესაც მათი კლასობრივი ბუნების ნათელ შეგნებას მიემატება პროლეტარული ფსიქიკის უშუალო რეაქცია ბურჟუაზიულ პარტიათა მთელი სახის მიმართ. შეიძლება არსად ქვეყნად ბურჟუაზიულ რევოლუციაში ბურჟუაზიას არ გამოუჩენია ისეთი რეაქციული სიმხეცე, ისეთი მჭიდრო კავშირი ძველ ხელისუფლებასთან, ისეთი «თავისუფლება» რაიმესგან, რასაც კი შორეული მსგავსება მაინც აქვს გულწრფელ სიმპათიასთან კულტურისადმი, პროგრესისადმი, ადამიანური ღირსების დაცვისადმი, როგორც ჩვენში, — მაშ დაე ჩვენმა პროლეტარიატმა რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან გამოიტანოს სამკეცი სიძულვილი ბურჟუაზიისადმი და მტკიცე გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ ბრძოლისა. ალბათ, არსად ქვეყნად წვრილ ბურჟუაზიას — დაწყებული «სახალხო სოციალისტებით» [29] და ტრუდოვიკებით და გათავებული სოციალ-დემოკრატიისადმი მიტმასნებული ინტელიგენტებით — არ გამოუჩენია ასეთი სილაჩრე და უხასიათობა ბრძოლაში, რენეგატულ განწყობილებათა ასეთი საძაგელი თავაშვებულობა, ასეთი მლიქვნელობა ბურჟუაზიული მოდის ან რეაქციული ძალადობის გმირების მიმართ, — მაშ დაე ჩვენმა პროლეტარიატმა ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციიდან გამოიტანოს სამკეცი სიძულვილი წვრილბურჟუაზიული უხერხემლობისა და მერყეობისადმი. როგორიც უნდა იყოს ჩვენი რევოლუციის შემდგომი განვითარება, როგორი მძიმე დროის გადატანაც უნდა ხვდეს წილად ზოგჯერ პროლეტარიატს, — ეს სიძულვილი და ეს ზიზღი შეამჭიდროებს მის რიგებს, გას-

წმენდს მას სხვა კლასებიდან გამოსული უვარგისი ელემენტებისაგან, გაზრდის მის ძალებს, გამოაწრთობს მას იმ დარტყმებისათვის, რომლებითაც იგი თავის დროზე თავს დაატყდება მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

დაწერილია 1907 წლის 22 აგვისტოს
(14 სექტემბერს)

**დაიბეჭდა 1907 წელს «გოლოს ჟიზნის»**
პირველ კრებულში, ს. პეტერბურგი

**ხელმოწერა: ნ. ლ.**

იბეჭდება კრებულის ტექსტის
**მიხედვით**

# შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი [30]

მიმდინარე წლის აგვისტოში შტუტგარტში შემდგარი საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი არაჩვეულებრივი ხალხმრავლობითა და წარმომადგენლობის სისრულით განირჩეოდა. მსოფლიოს ხუთივე ნაწილმა გამოგზავნა დელეგატები, რომელთა საერთო რიცხვი 886-ს უდრიდა. მაგრამ გარდა პროლეტარული ბრძოლის საერთაშორისო ერთიანობის გრანდიოზული დემონსტრაციისა კონგრესმა თვალსაჩინო როლი შეასრულა სოციალისტური პარტიების ტაქტიკის განსაზღვრის საქმეში. კონგრესმა საერთო რეზოლუციები გამოიტანა მთელ რიგ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული სოციალისტური პარტიების შიგნით წყდებოდა. სოციალიზმის ერთ საერთაშორისო ძალად შემჭიდროება განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება სწორედ იმ საკითხების რიცხვის გადიდებით, რომლებიც ერთნაირ პრინციპულ გადაჭრას მოითხოვენ სხვადასხვა ქვეყანაში.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ შტუტგარტის რეზოლუციების სრულ ტექსტს [31]. ახლა კი მოკლედ შევჩერდებით თვითეულ მათგანზე, რათა აღვნიშნოთ მთავარი სადავო მუხლები და კონგრესზე გამართული კამათის ხასიათი.

კოლონიური საკითხი უკვე პირველად როდი იქცევს საერთაშორისო ყრილობათა ყურადღებას. აქამდე მათი გადაწყვეტილებანი მუდამ უცილობლად გმობდნენ ბურჟუაზიულ კოლონიურ პოლიტიკას, როგორც ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის პოლიტიკას. ამჯერად ყრილობის კომისია ისეთი შემადგენლობის აღმოჩნდა, რომ მასში თავისი გაიტანეს ოპორტუნისტულმა ელემენტებმა ჰოლანდიელ ვან-კოლის მეთაურობით. რეზოლუციის პროექტში ჩართულია ფრაზა, რომ კონგრესი პრინციპულად არ გმობს ყოველგვარ კოლონიურ პოლიტიკას, რომელსაც სოციალისტური რეჟიმის დროს შეუძლია ცივილიზატორული როლი შეასრულოსო. კომისიის უმცირესობამ (გერმანელი ლედებური, პოლონელი და რუსი სოციალ-დემოკრატები და სხვა მრავალნი) ენერგიული პროტესტი განაცხადა ასეთი აზრის დაშვების წინააღმდეგ. საკითხი გამოტანილ იქნა ყრილობაზე, და ორივე მიმდინარეობის ძალები იმდენად თანაბარი აღმოჩნდა, რომ ბრძოლა გაუგონარი სიმძაფრით გაჩაღდა.

ოპორტუნისტები ვან-კოლის გარშემო შემჭიდროვდნენ. ბერნშტეინი და დავიდი გერმანიის დელეგაციის უმრავლესობის სახელით ლაპარაკობდნენ «სოციალისტური კოლონიური პოლიტიკის» სასარგებლოდ და ანადგურებდნენ რადიკალებს რეფორმების უარყოფის უნაყოფობის, მათი მნიშვნელობის გაუგებლობის, პრაქტიკული კოლონიური პროგრამის უქონლობის გამო და სხვ. სხვათა შორის, მათ წინააღმდეგ გაილაშქრა კაუტსკიმ, რომელიც იძულებული გახდა ეთხოვა ყრილობისათვის — გამოეთქვა თავისი აზრი გერმანიის დელეგაციის უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, აქ ლაპარაკიც კი არ არის რეფორმებისათვის ბრძოლის უარყოფაზე: რეზოლუციის დანარჩენ ნაწილში, რომელსაც არავითარი დავა არ გამოუწვევია, ამაზე სრულიად გარკვეულად არის ნათქვამი. ლაპარაკია იმაზე, უნდა დავუთმოთ თუ არა ბურჟუაზიული ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის თანამედროვე რეჟიმსო. კონგრესმა უნდა განიხილოს ახლან-

ველი კოლონიური პოლიტიკა, ეს პოლიტიკა კი ემყარება ველურთა პირდაპირ დამონებას: ბურჟუაზიას ფაქტიურად მონობა შეაქვს კოლონიებში, გაუგონრად დასცინის მკვიდრ მცხოვრებთ და ძალმომრეობას მიმართავს მათ წინააღმდეგ, «ცივილიზაცია» შეაქვს მათში არაყისა და ათაშანგის გავრცელებით. და საქმის ასეთი ვითარების დროს სოციალისტებმა არაპირდაპირ უნდა ილაპარაკონ კოლონიური პოლიტიკის პრინციპულად აღიარების შესაძლებლობაზე! ეს იქნებოდა ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე პირდაპირი გადასვლა. ეს იქნებოდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა პროლეტარიატის დამორჩილებისაკენ ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, ბურჟუაზიული იმპერიალიზმისადმი, რომელიც ახლა განსაკუთრებით ამაყად სწევს თავსო.

კომისიის წინადადება უარყოფილ იქნა ყრილობაზე 128 ხმით 108-ის წინააღმდეგ, 10-მა თავი შეიკავა (შვეიცარია). უნდა აღინიშნოს, რომ შტუტგარტში კენჭისყრისას ერებმა პირველად მიიღეს ხმების სხვადასხვა რაოდენობა — 20-დან (დიდმა ერებმა, მათ შორის რუსეთმა) 2-მდე (ლუქსემბურგი). იმ წვრილ ერთა საერთო რიცხვმა, რომლებიც ან არ აწარმოებენ კოლონიურ პოლიტიკას, ან თვითონ იტანჯებიან მით, გადააჭარბა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც რამდენადმე პროლეტარიატსაც კი გადასდეს დაპყრობათა სენი.

კოლონიურ საკითხზე ამ კენჭისყრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ერთი, აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა თავი სოციალისტურმა ოპორტუნიზმმა, რომელიც ემორჩილება ბურჟუაზიულ ცთუნებას. მეორეც, აქ თავი იჩინა ევროპის მუშათა მოძრაობის ერთმა უარყოფითმა თვისებამ, რომელსაც ცოტა ზიანის მიყენება როდი შეუძლია პროლეტარიატის საქმისათვის და რომელიც ამიტომ სერიოზული ყურადღების ღირსია. მარქსს არა ერთხელ აღუნიშნავს სისმონდის ერთი გამოთქმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძველი ქვეყნის პროლეტარები, — ამბობს ეს გამო-

თქმა, — საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდნენ. თანამედროვე საზოგადოება პროლეტარების ხარჯზე ცხოვრობსო [32].

უქონელთა, მაგრამ არა მშრომელთა, კლასს არ შესწევს ექსპლოატატორების დამხობის უნარი. მხოლოდ მთელი საზოგადოების მარჩენალ პროლეტართა კლასს ძალუძს სოციალისტური რევოლუცია მოახდინოს. და აი, ფართო კოლონიურმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ ევროპელი პროლეტარი ნაწილობრივ ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომ მთელ საზოგადოებას არჩენს არა მისი შრომა, არამედ თითქმის დამონებულ კოლონიურ მკვიდრ მცხოვრებთა შრომა. ინგლისის ბურჟუაზია, მაგალითად, მეტ შემოსავალს იღებს ინდოეთისა და სხვა კოლონიების ათეული და ასეული მილიონობით მოსახლეობისაგან, ვიდრე ინგლისელი მუშებისაგან. ასეთ პირობებში განსაზღვრულ ქვეყნებში იქმნება მატერიალური, ეკონომიური საფუძველი ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატის დასნეულებისა კოლონიური შოვინიზმით. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მხოლოდ წარმავალი მოვლენა იყოს, მაგრამ ბოროტება მაინც ნათლად უნდა შევიგნოთ, გავიგოთ მისი მიზეზები, რათა ყველა ქვეყნის პროლეტარიატი დავრაზმოთ ასეთი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. და ეს ბრძოლა აუცილებლად გამარჯვებით დაგვირგვინდება, რადგან კაპიტალისტურ ერთა საერთო რიცხვში «პრივილეგიური» ერები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ნაწილს შეადგენენ.

ქალთა საარჩევნო უფლების საკითხს კონგრესზე თითქმის არ გამოუწვევია კამათი. მხოლოდ ერთი ინგლისელი ქალი აღმოჩნდა ინგლისის უკიდურესი ოპორტუნისტული «ფაბიანური საზოგადოებიდან» [33], რომელიც შეეცადა დაეცვა შესაძლებლობა სოციალისტური ბრძოლისა ქალთა შეზღუდული, ე. ი. არა საყოველთაო, არამედ ცენზიანი საარჩევნო უფლებისათვის. ფაბიანელი ქალი სრულიად განმარტოებული დარჩა. მის შეხედულებათა სარჩული მარტივია: ინგლისელ ბურჟუაზიულ მანდილოსნებს იმედი აქვთ, რომ თავისთვის

საარჩევნო უფლებებს მიიღებენ ამ უფლებების ქალთა პროლეტარიატზე გაუვრცელებლად.

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დროს შტუტგარტში, იმავე შენობაში მიმდინარეობდა ქალთა პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე და ყრილობის კომისიაში რეზოლუციის განხილვისას საინტერესო კამათი გაჩაღდა გერმანელ და ავსტრიელ სოციალ-დემოკრატებს შორის. უკანასკნელებმა, საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლის დროს, რამდენადმე უკანა რიგში დააყენეს მამაკაცებთან ქალთა გათანასწორების მოთხოვნა: პრაქტიციზმის გამო ისინი ხაზს უსვამდნენ არა საყოველთაო, არამედ მამაკაცთა საარჩევნო უფლებას, როგორც თავიანთ მოთხოვნას. ცეტკინმა და სხვა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა თავიანთ სიტყვებში სამართლიანად მიუთითეს ავსტრიელებს, რომ ისინი უმართებულოდ იქცეოდნენ, რომ ისინი ასუსტებდნენ მასობრივი მოძრაობის ძალას, როცა მთელი ენერგიით არ აყენებდნენ საარჩევნო უფლებების მოთხოვნას არა მარტო მამაკაცთათვის, არამედ ქალებისთვისაც. შტუტგარტის რეზოლუციის უკანასკნელ სიტყვებს («აუცილებელია საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნის წამოყენება ერთ დაიმავე დროს მამაკაცთათვისაც და ქალებისთვისაც») უეჭველი კავშირი აქვს ავსტრიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში მეტისმეტი «პრაქტიციზმის» ამ ეპიზოდთან.

ჩვენთვის, რუსებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რეზოლუციას სოციალისტური პარტიებისა და პროფესიული კავშირების ურთიერთობის შესახებ. რსდმ პარტიის სტოკჰოლმის ყრილობამ კავშირების უპარტიობა აღიარა და, ამრიგად, ის ნეიტრალობის თვალსაზრისზე დადგა. ამავე თვალსაზრისს იცავდნენ მუდამ ჩვენი უპარტიო დემოკრატები, ბერნშტეინელები და ესერები. პირიქით, ლონდონის ყრილობამ სულ სხვა პრინციპი წამოაყენა: კავშირების დაახლოება პარტიასთან — კავშირების (განსაზღვრულ პირობებ-

ში) პარტიულ ორგანიზაციებად აღიარებამდე. შტუტგარტში რუსული სექციის (საერთაშორისო კონგრესებზე ყოველი ქვეყნის სოციალისტები დამოუკიდებელ სექციებს ჰქმნიან) სოციალ-დემოკრატიული ქვესექცია ამ საკითხის განხილვის დროს გაითიშა (დანარჩენ საკითხებზე გათიშვა არ მომხდარა). სახელდობრ: პლეხანოვი პრინციპულად ნეიტრალობას იცავდა. ბოლშევიკი ვოინოვი[34] იცავდა ლონდონის ყრილობისა და ბელგიის რეზოლუციის (დაიბეჭდა კონგრესის მასალებში დე-ბრუკერის მოხსენებასთან ერთად; ეს მოხსენება მალე გამოქვეყნდება რუსულად) ანტინეიტრალისტურ თვალსაზრისს. კლ. ცეტკინმა სამართლიანად შენიშნა თავის გაზეთში «Die Gleichheit»[35], პლეხანოვის მოსაზრებანი ნეიტრალობის დასაცავად ისევე უხეირო იყვნენ, როგორც ფრანგთა მოსაზრებანი. შტუტგარტის ყრილობის რეზოლუციაც, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა კაუტსკიმ და როგორც დარწმუნდება ყველა, ვინც კი გულდასმით გაეცნობა მას, ბოლოს უღებს «ნეიტრალობის» პრინციპულ აღიარებას. ნეიტრალობაზე ან უპარტიობაზე მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. პირიქით, სოციალისტურ პარტიასთან კავშირების მჭიდრო ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობა სრულიად გარკვეულად არის აღიარებული.

რსდმ პარტიის ლონდონის რეზოლუციას პროფესიული კავშირების შესახებ შტუტგარტის რეზოლუციის სახით ახლა მტკიცე პრინციპული ბაზისი აქვს. შტუტგარტის რეზოლუცია საერთოდ ყველა ქვეყნისთვისაც ადგენს სოციალისტურ პარტიასთან კავშირების მტკიცე და მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობას; ლონდონის რეზოლუცია აღნიშნავს, რომ რუსეთისათვის, საამისო ხელსაყრელ პირობებში, ამ ურთიერთობის ფორმა უნდა იყოს კავშირების პარტიულობა და რომ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული პარტიის წევრთა მუშაობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეიტრალობის პრინციპმა შტუტგარტში თავისი მავნე მხარეები გამოააშკარავა იმით, რომ გერ-

მანიის დელეგაციის ნახევარი, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, ყველაზე უფრო გადაჭრით იცავდა ოპორტუნისტულ თვალსაზრისს. ამიტომ, მაგალითად, ესენში გერმანელები ვან-კოლის წინააღმდეგი იყვნენ (ესენში მხოლოდ პარტიის ყრილობა იყო და არა პროფესიული კავშირებისა), ხოლო შტუტგარტში ვან-კოლს ემხრობოდნენ. ნეიტრალობის ქადაგებამ ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მავნე ნაყოფი გამოიღო გერმანიაში, ხელი შეუწყო ოპორტუნიზმს სოციალ-დემოკრატიაში. ამიერიდან შეუძლებელია ამ ფაქტს ანგარიში არ გავუწიოთ და განსაკუთრებით უნდა გაეწიოს ანგარიში რუსეთში, სადაც ასე მრავლად არიან პროლეტარიატის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მრჩეველნი, რომლებიც მას პროფესიული მოძრაობის «ნეიტრალობას» ურჩევენ.

რეზოლუციაზე ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით. კომისიაში აქაც ს

რემოება, რომ ომი კაპიტალიზმის აუცილებელი პროდუქტია, და პროლეტარიატს არ შეუძლია უარი თქვას რევოლუციურ ომში მონაწილეობაზე, რადგან კაპიტალისტურ საზოგადოებებში ასეთი ომები შესაძლებელია და კიდევაც ყოფილა. მეორე მხრივ, მას არ ესმოდა ის, რომ ომზე «პასუხის გაცემის» შესაძლებლობა დამოკიდებულია იმ კრიზისის ხასიათზე, რომელსაც ომი იწვევს. ამ პირობებზეა დამოკიდებული ბრძოლის საშუალებათა არჩევა, ამასთან ეს ბრძოლა უნდა მდგომარეობდეს არა მარტო იმაში (ეს ჰერვეიზმის გაუგებრობათა თუ მოუსაზრებლობის მესამე მუხლია), რომ ომი მშვიდობით შეიცვალოს, არამედ იმაში, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმით შეიცვალოს. საქმის არსი ის კი არაა, რომ მხოლოდ ხელი შევუშალოთ ომის წარმოშობას, არამედ ის, რომ ომით გამოწვეული კრიზისი გამოვიყენოთ ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად. მაგრამ ჰერვეიზმის მთელ ნახევრადანარქისტულ უაზრობათა იქით იმალებოდა ერთი პრაქტიკულად სწორი მოსაზრება: ბიძგი მიეცეს სოციალიზმს იმ მხრივ, რომ არ დავკმაყოფილდეთ ბრძოლის მხოლოდ პარლამენტური საშუალებებით, რომ მასებში განვითარდეს მოქმედების რევოლუციური ხერხების აუცილებლობის შეგნება იმ კრიზისებთან დაკავშირებით, რომლებიც გარდუვალად თან სდევს ომს, — ბოლოს, იმ მხრივ, რომ მასებში გავრცელდეს უფრო ცოცხალი შეგნება მუშათა საერთაშორისო სოლიდარობისა და ბურჟუაზიული პატრიოტიზმის სიყალბისა.

ბებელის რეზოლუციას, რომელიც გერმანელებმა წარმოადგინეს და რომლის ყველა არსებითი მუხლი გედის რეზოლუციას ემთხვეოდა, სახელდობრ ის ნაკლი ჰქონდა, რომ არ შეიცავდა არავითარ მითითებას პროლეტარიატის აქტიურ ამოცანებზე. ეს შესაძლებლობას ქმნიდა ბებელის ორთოდოქსალური დებულებები ოპორტუნისტული სათვალეებით წაეკითხათ. ფოლმარმა ეს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ სინამდვილედ აქცია.

ამიტომ როზა ლუქსემბურგმა და რუსეთის სოციალ-დემოკრატმა დელეგატებმა თავიანთი შესწორებები შეიტანეს ბებელის რეზოლუციაში. ამ შესწორებებში 1) ლაპარაკი იყო, რომ მილიტარიზმი კლასობრივი ჩაგვრის მთავარი იარაღია; 2) აღნიშნული იყო ახალგაზრდობაში აგიტაციის ამოცანა; 3) ხაზგასმით იყო აღნიშნული სოციალ-დემოკრატიის ამოცანა — იბრძოლოს არა მარტო ომების წარმოშობის წინააღმდეგ, ან უკვე დაწყებული ომების რაც შეიძლება მალე შესაწყვეტად, არამედ იმისთვისაც, რომ ომით შექმნილი კრიზისი გამოიყენოს ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად.

ქვეკომისიამ (არჩეულმა ანტიმილიტარიზმის საკითხის კომისიის მიერ) ყველა ეს შესწორება შეიტანა ბებელის რეზოლუციაში. გარდა ამისა, კარგი გეგმა წარმოადგინა ჟორესმა: ნაცვლად ბრძოლის საშუალებათა (გაფიცვა, აჯანყება) მითითებისა აღნიშნული ყოფილიყო ომის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიული მაგალითები, დაწყებული ევროპაში მომხდარი დემონსტრაციებით და გათავებული რუსეთის რევოლუციით. მთელი ამ გადამუშავების შედეგად მივიღეთ რეზოლუცია, მართალია, ძალზე გრძელი, მაგრამ სამაგიეროდ აზრებით მართლაც მდიდარი და პროლეტარიატის ამოცანების ზუსტად აღმნიშვნელი. ამ რეზოლუციაში ორთოდოქსალური, ე. ი. ერთადერთი მეცნიერული მარქსისტული ანალიზის სიმკაცრე შეერთებულია მუშათა პარტიებისათვის რჩევის მიცემასთან — მიმართონ ბრძოლის უაღრესად გაბედულსა და რევოლუციურ ზომებს. ამ რეზოლუციის ფოლმარისებურად წაკითხვა შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მისი გულუბრყვილო ჰერვეიზმის ვიწრო ჩარჩოებში ჩატევაც.

საერთოდ და მთლიანად, შტუტგარტის ყრილობამ მთელ რიგ უდიდეს საკითხებში მკაფიოდ დაუპირისპირა ერთიმეორეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა და ეს საკითხები რევოლუციური

მარქსიზმის სულისკვეთებით გადაჭრა. ამ ყრილობის რეზოლუციები, გაშუქებული ყრილობაზე გამართული კამათით, მუდმივი თანამგზავრი უნდა გახდეს ყოველი პროპაგანდისტისა და აგიტატორისა. ყველა ქვეყნის პროლეტარების ტაქტიკის ერთიანობა და რევოლუციური ბრძოლის ერთიანობა ძლიერ წასწევს წინ შტუტგარტში გაკეთებულ საქმეს.

დაწერილია 1907 წლის აგვისტოს
დამლევს — სექტემბრის დამდეგს

დაიბეჭდა 1907 წლის 20 ოქტომბერს
გაზეთ «პროლეტარის» მე-17 ნომერში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

ამ ცოტა ხნის წინათ შტუტგარტში დამთავრებული კონგრესი პროლეტარული ინტერნაციონალის მეთორმეტე კონგრესი იყო. პირველი ხუთი კონგრესი პირველი ინტერნაციონალის ეპოქას ეკუთვნის (1866 — 1872 წლები); ამ ინტერნაციონალს ხელმძღვანელობდა მარქსი, რომელიც — ბებელის მოსწრებული თქმით — ცდილობდა მებრძოლი პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა ზემოდან შეექმნა. შეუძლებელი იყო ეს ცდა წარმატებით დამთავრებულიყო, სანამ ნაციონალური სოციალისტური პარტიები არ დაირაზმებოდნენ და არ მომაგრდებოდნენ, მაგრამ პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობამ უდიდესი სამსახური გაუწია ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობას და ღრმა კვალი დასტოვა.

მეორე ინტერნაციონალი იწყება პარიზის 1889 წლის საერთაშორისო სოციალისტური ყრილობით. შემდგომ ყრილობებზე ბრიუსელსა (1891), ციურიხსა (1893), ლონდონსა (1896), პარიზსა (1900) და ამსტერდამში (1904) ეს ახალი ინტერნაციონალი, რომელიც მტკიცე ნაციონალურ პარტიებს ეყრდნობა, საბოლოოდ განმტკიცდა. შტუტგარტში იყო 884 დელეგატი ევროპის, აზიის (იაპონიიდან და ნაწილი ინდოეთიდან), ამერიკის, ავსტრალიისა და აფრიკის (ერთი დელეგატი სამხრეთ აფრიკიდან) 25 ეროვნებისაგან.

შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დიდი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ იგი მოასწავებს

მეორე ინტერნაციონალის საბოლოო განმტკიცებას და საერთაშორისო ყრილობების გადაქცევას საქმიან კრებებად, რომელნიც უაღრესად სერიოზულ გავლენას ახდენენ სოციალისტური მუშაობის ხასიათსა და მიმართულებაზე მთელს მსოფლიოში. ფორმალურად საერთაშორისო ყრილობების გადაწყვეტილებანი სავალდებულო არ არის ცალკეული ერებისათვის, მაგრამ მათი მორალური მნიშვნელობა ისეთია, რომ სინამდვილეში გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა გამონაკლისს წარმოადგენს, თითქმის უფრო იშვიათს, ვიდრე ცალკეული პარტიების მიერ თავიანთი ყრილობების გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა. ამსტერდამის ყრილობამ მიაღწია ფრანგი სოციალისტების გაერთიანებას, და მისმა რეზოლუციამ მინისტერიალიზმის წინააღმდეგ მართლაც გამოხატა მთელი მსოფლიოს შეგნებული პროლეტარიატის ნება, განსაზღვრა მუშათა პარტიების პოლიტიკა.

შტუტგარტის ყრილობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმავე მიმართულებით; იგი მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში უმაღლესი დაწესებულება აღმოჩნდა სოციალიზმის პოლიტიკური ხაზის განსაზღვრის საქმეში. ეს ხაზი შტუტგარტის ყრილობამ კიდევ უფრო მტკიცედ, ვიდრე ამსტერდამისამ, განსაზღვრა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთების მიხედვით ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. გერმანელი სოციალ-დემოკრატი მუშა-ქალების ორგანო «Die Gleichheit» («თანასწორობა»), რომელიც კლარა ცეტკინის რედაქციით გამოდის, სამართლიანად ამბობს ამის გამო: «ყველა საკითხში ცალკეული სოციალისტური პარტიების სხვადასხვა გადახრა ოპორტუნიზმისაკენ გასწორებულ იქნა რევოლუციური აზრით, ყველა ქვეყნის სოციალისტთა თანამშრომლობის მეოხებით».

ამავე დროს ღირსშესანიშნავი და სამწუხარო მოვლენა იყო ის, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც დღემდე მარქსიზმში ყოველთვის რევოლუციურ თვალსაზრისს იცავდა, მერყევ ან ოპორტუნისტულ პოზიციაზე მდგომი




**Цѣна 25 коп.**

გარეკანი «კალენდარისა ყველასათვის 1908 წ.»,
რომელშიც დაბეჭდილი იყო ლენინის სტატია
«შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი».
ლენინის პირადი ეგზემპლარი
დაპატარავებულია

აღმოჩნდა. შტუტგარტის ყრილობამ დაადასტურა ენგელსის ერთი ღრმა შენიშვნა გერმანიის მუშათა მოძრაობის შესახებ. ენგელსი პირველი ინტერნაციონალის ვეტერანს, ზორგეს, 1886 წლის 29 აპრილს სწერდა: «ეს საერთოდ კარგია, რომ გერმანელებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ რაიხსტაგში ფილისტერების ასეთი დიდი რაოდენობა გაგზავნეს (რაც თუმცა აუცილებელი იყო), საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა როლს ეცილებიან. მშვიდ დროს გერმანიაში ყველაფერი ფილისტერული ხდება; ასეთ მომენტებში აბსოლუტურად აუცილებელია ნესტარი ფრანგული კონკურენციისა, რის ნაკლებობაც არ იქნება» [36].

ფრანგული კონკურენციის ნესტარი არც შტუტგარტში აკლდათ, და ეს ნესტარი მართლაც აუცილებელი აღმოჩნდა, რადგან გერმანელებმა ცოტა ფილისტერობა როდი გამოიჩინეს. ეს განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქონიონ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რადგან ჩვენი ლიბერალები (და არა მარტო ლიბერალები) წელებზე ფეხს იდგამენ, რათა წასაბაძ ნიმუშად სწორედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყველაზე ნაკლებ ბრწყინვალე მხარეები მოგვაჩვენონ. გერმანელი სოციალ-დემოკრატების აზრის ყველაზე უფრო ჭკუადამჯდარმა და გამოჩენილმა წინამძღვრებმა თვით აღნიშნეს ეს გარემოება, მათ ყოველგვარი ყალბი მორცხვობა უკუაგდეს და გაბედულად მიუთითეს მასზე, როგორც გაფრთხილებაზე. «ამსტერდამის — წერს კლარა ცეტკინის ორგანო — საერთაშორისო პროლეტარიატის პარლამენტში ყველა დებატის რევოლუციური ლეიტმოტივი დრეზდენის რეზოლუცია იყო, — შტუტგარტის კონგრესზე არასასიამოვნო ოპორტუნისტულ დისონანსად გაისმოდა ფოლმარის სიტყვები კომისიაში მილიტარიზმის შესახებ, პეპლოვისა — კომისიაში ემიგრაციის შესახებ, დავიდისა (და აგრეთვე, დავუმატებთ ჩვენი მხრივ, ბერნშტეინისაც) — კოლონიურ კომისიაში. კომისიათა უმრავლესობაში, საკითხთა უმრავლესობის გარჩევის დროს, გერმანიის წარმომადგენლები ამჯერად ოპორტუნიზმის წინა-

მძღოლებად გამოვიდნენ». ხოლო კ. კაუტსკი, შეფასებას აძლევს რა შტუტგარტის ყრილობას, წერს: «ის ხელმძღვანელი როლი, რომელსაც დღემდე მეორე ინტერნაციონალში ფაქტიურად გერმანიის სოციალ-დემოკრატია ასრულებდა, ამჯერად არაფერში გამოვლინებულა».

გადავიდეთ ცალკეულ საკითხებზე, რომელნიც კონგრესზე განიხილეს. კოლონიურ საკითხზე კომისიაში ვერ მოხერხდა უთანხმოების გადალახვა. დავა ოპორტუნისტებსა და რევოლუციონერებს შორის თვით ყრილობამ გადაწყვიტა და გადაწყვიტა 127 ხმის უმრავლესობით 108-ის წინააღმდეგ (10-მა თავი შეიკავა) რევოლუციონერების სასარგებლოდ. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ის სასიხარულო მოვლენა, რომ რუსეთის სოციალისტებმა ყველამ ერთსულოვნად ყველა საკითხში რევოლუციურ ხაზს მისცეს ხმა (რუსეთს 20 ხმა აქვს, მათგან 10 მიეცა რსდმ პარტიას, გარდა პოლონელებისა, 7 — ესერებს და 3 — პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს. შემდეგ პოლონეთს აქვს 10 ხმა: 4 პოლონელ სოციალ-დემოკრატებს, 6 პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს და პოლონეთის არარუსულ ნაწილებს. ბოლოს, ფინეთის ორ წარმომადგენელს 8 ხმა ჰქონდა).

კოლონიურ საკითხზე კომისიაში ოპორტუნისტული უმრავლესობა შეიქმნა, და რეზოლუციის პროექტში გასაოცარი ფრაზა გაჩნდა: «კონგრესი პრინციპულად და ყველა დროისათვის არ გმობს ყოველგვარ კოლონიურ პოლიტიკას, რომელსაც სოციალისტური რეჟიმის დროს შეუძლია ცივილიზატორული გავლენა მოახდინოს». ნამდვილად ეს დებულება უდრიდა პირდაპირ უკანდახევას ბურჟუაზიული პოლიტიკისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისაკენ, რომელიც ამართლებს კოლონიურ ომებსა და სიმხეცეს. ეს არის უკანდახევა რუზველტისაკენო, თქვა ერთმა ამერიკელმა დელეგატმა. მეტისმეტად სუსტი იყო ცდა ამ უკანდახევის გამართლებისა «სოციალისტური კოლონიური პოლიტიკის» და კოლონიებში პოზიტიური რეფორმატორული მუშაობის ამოცა-

ნებით. სოციალიზმს არასოდეს არ უთქვამს უარი და არც ახლა ამბობს უარს რეფორმების დაცვაზე კოლონიებშიც, მაგრამ ამას არაფერი აქვს და არც უნდა ჰქონდეს რაიმე საერთო იმასთან, რომ შესუსტდეს ჩვენი პრინციპული პოზიცია დაპყრობათა, სხვა ერების დამორჩილების, ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ, რაც «კოლონიურ პოლიტიკას» შეადგენს. ყველა სოციალისტური პარტიის პროგრამა-მინიმუმი მეტროპოლიებსაც ეხება და კოლონიებსაც. თვით «სოციალისტური კოლონიური პოლიტიკის» ცნება უსაზღვრო დომხალია. ყრილობა სავსებით მართებულად მოიქცა, როცა რეზოლუციიდან ზემოთ მოყვანილი სიტყვები ამოაგდო და წინანდელ რეზოლუციებზე კიდევ უფრო მკაცრად დაჰგმო კოლონიური პოლიტიკა.

ჩვენთვის, რუსებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რეზოლუციას პროფესიული კავშირებისადმი სოციალისტური პარტიების დამოკიდებულების შესახებ. ჩვენში ეს საკითხი დღის წესრიგში დგას. სტოკჰოლმის ყრილობამ იგი უპარტიო პროფესიული კავშირების სასარგებლოდ გადაჭრა, ე. ი. დაადასტურა პოზიცია ნეიტრალობის ჩვენებური მომხრეებისა, რომელთაც პლეხანოვი მეთაურობდა. ლონდონის ყრილობამ ნაბიჯი გადადგა პარტიული პროფესიული კავშირებისაკენ ნეიტრალობის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ლონდონის რეზოლუციამ დიდი კამათი და უკმაყოფილება გამოიწვია პროფესიული კავშირების ერთ ნაწილში, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრესაში.

შტუტგარტში საკითხი, არსებითად, სწორედ ასე დაისვა: კავშირების ნეიტრალობა თუ მათი უფრო მჭიდრო დაახლოება პარტიასთან? და საერთაშორისო სოციალისტურმა ყრილობამ, როგორც მკითხველს შეუძლია მისი რეზოლუციით დარწმუნდეს, ის აზრი გამოთქვა, რომ კავშირები უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ პარტიას. რეზოლუციაში სიტყვაც არაა დაძრული პროფესიული კავშირების არც ნეიტრალობასა

და არც უპარტიობაზე. ამიტომ კაუტსკის, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში კავშირებისა და პარტიის დაახლოების აზრს იცავდა ბებელის ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ, სრული უფლება ჰქონდა თავის ანგარიშში, რაც მან ლაიფციგელ მუშებს წარუდგინა შტუტგარტის ყრილობის შესახებ, განეცხადებინა («**Vorwärts**» [37], 1907, № 209, **Beilage** *):

«შტუტგარტის ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია ყველაფერი, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ი გ ი  ს ა მ უ დ ა მ ო დ  ბ ო ლ ო ს  უ ღ ე ბ ს  ნ ე ი ტ რ ა ლ ო ბ ა ს». კლარა ცეტკინი წერს: «პრინციპულად (შტუტგარტში) უკვე არავინ ეწინააღმდეგებოდა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ძირითად ისტორიულ ტენდენციას — შევაკავშიროთ პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა, რაც შეიძლება მჭიდროდ შევაკავშიროთ ორივე ორგანიზაცია სოციალისტური მუშათა კლასის ერთ გაერთიანებულ ძალად. მხოლოდ რუსი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი, ამხ. პლეხანოვი» (უნდა ეთქვა: წარმომადგენელი მენშევიკებისა, რომელთაც პლეხანოვი გაგზავნეს კომისიაში, როგორც «ნეიტრალობის» დამცველი) «და საფრანგეთის დელეგაციის უმრავლესობა საკმაოდ უხეირო საბუთებით ცდილობდნენ ამ პრინციპის ერთგვარი შეზღუდვა გაემართლებინათ მათი ქვეყნების თავისებურებათა დამოწმებით. კონგრესის დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიისა და პროფესიული კავშირების ერთიანობის მტკიცე პოლიტიკას მიემხრო»...

უნდა აღინიშნოს, რომ პლეხანოვის უხეირო, ცეტკინის სამართლიანი აზრით, საბუთმა რუსული ლეგალური გაზეთები შემოიარა ამ სახით. პლეხანოვმა შტუტგარტის კონგრესის კომისიაში აღნიშნა, «რუსეთში 11 რევოლუციური პარტიააო»; «რომელ მათგანს უნდა დაუკავშირდნენ პროფესიული კავშირები?» (ციტატი მოგვყავს «**Vorwärts**»-იდან, № 196, 1. **Beilage**). პლეხანოვის ეს საბუთი სწორი არ არის არც ფაქტიურად,

* — დამატება. რ ე დ.

არც პრინციპულად. ფაქტიურად რუსეთის თვითეულ ეროვნებაში სოციალისტურ პროლეტარიატზე გავლენის მოსაპოვებლად იბრძვის არა უმეტეს ორი პარტიისა: სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები, პოლონეთის სოციალ-დემოკრატები და პოლონეთის სოციალისტური პარტია, ლატვიის სოციალ-დემოკრატები და ლატვიის ესერები (ეგრეთწოდებული «ლატვიის სოციალ-დემოკრატიული კავშირი»), სომხეთის სოციალ-დემოკრატები და დაშნაკცაკანები და სხვ. შტუტგარტში რუსეთის დელეგაციაც მაშინვე ორ ნაწილად გაიყო. რიცხვი 11 სრულიად თვითნებურია და შეცდომაში შეჰყავს მუშები. პრინციპულად კი პლეხანოვი მართალი არ არის იმიტომ, რომ ბრძოლა პროლეტარულ და წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს შორის რუსეთში აუცილებელია ყველგან და ყოველ ადგილას, მათ შორის პროფესიულ კავშირებშიც. მაგალითად, ინგლისელებს არც უფიქრნიათ რეზოლუციის წინააღმდეგ წასულიყვნენ, თუმცა მათაც ორი მებრძოლი სოციალისტური პარტია ჰყავთ, სოციალ-დემოკრატია (SDF *) და «დამოუკიდებელნი» (ILP **).

შტუტგარტში უარყოფილმა ნეიტრალობის იდეამ რომ მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა მოასწრო უკვე მუშათა მოძრაობისათვის, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს გერმანიის მაგალითით. აქ ნეიტრალობას ყველაზე ფართოდ ქადაგებდნენ და ყველაზე მეტად იყენებდნენ. ამას შედეგად მოჰყვა გერმანიაში პროფესიული კავშირების ისეთი აშკარა გადახრა ოპორტუნიზმისაკენ, რომ ეს გადახრა საჯაროდ აღიარა ამ საკითხში თვით ისეთმა ფრთხილმა კაცმა, როგორიცაა კაუტსკი. თავის ანგარიშში ლაიფციგის მუშების წინაშე იგი პირდაპირ ამბობს: «კონსერვატიულობა», რაც გერმანიის დელეგაციამ შტუტგარტში გამოიჩინა, «გასაგები ხდება, თუ ამ დელეგა-

* — **Social-Demokratic Federation** — სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია. რ ე დ.

** — **Independent Labour Party** — დამოუკიდებელი მუშათა პარტია. რ ე დ.

ციის შემადგენლობას გადავხედავთ. მისი ნახევარი პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, და ამრიგად ჩვენი პარტიის «მარჯვენა ფრთა» უფრო ძლიერად აღმოჩნდა წარმოდგენილი, ვიდრე იგი ნამდვილად არის პარტიაში».

შტუტგარტის ყრილობის რეზოლუციამ, უეჭველად, უნდა დააჩქაროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გადაჭრით განთავისუფლება ნეიტრალობის იდეისაგან, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ლიბერალებისათვის. საჭირო სიფრთხილისა და თანდათანობის დაცვით, ყოველივე აჩქარებული და უტაქტო ნაბიჯების გადაუდგმელად, ჩვენ განუხრელად უნდა ვიმუშაოთ პროფესიულ კავშირებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მათი უფრო და უფრო მჭიდროდ დაახლოების სულისკვეთებით.

შემდეგ, შტუტგარტის კონგრესის კომისიაში ემიგრაციისა და იმიგრაციის საკითხზე სრულიად გარკვევით იჩინა თავი უთანხმოებამ ოპორტუნისტებსა და რევოლუციონერებს შორის. პირველნი იმ აზრს ულოლიავებდნენ, რომ შეეზღუდათ ჩამორჩენილი, განუვითარებელი მუშების, განსაკუთრებით იაპონელებისა და ჩინელების, გადასახლების უფლება. ამ ადამიანებში ვიწრო, ამქრული კარჩაკეტილობის, ტრედ-უნიონისტული განცალკევებულობის სულმა გადასძლია სოციალისტური ამოცანების შეგნებას: პროლეტარიატის იმ ფენების განათლებისა და ორგანიზაციისათვის მუშაობის შეგნებას, რომელნიც ჯერ კიდევ ჩაბმულნი არ არიან მუშათა მოძრაობაში. კონგრესმა უარყო ყველა ასეთი ცდა. თვით კომისიაშიც კი სავსებით განმარტოებულნი დარჩნენ ის პირნი, რომელნიც გადასახლების თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვდნენ, და საერთაშორისო ყრილობის რეზოლუცია გამსჭვალულია ყველა ქვეყნის მუშათა სოლიდარული კლასობრივი ბრძოლის აღიარებით.

ერთხმად მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლუცია ქალთა საარჩევნო უფლების საკითხზე. მხოლოდ ერთი ინგლისელი

ქალი ნახევრადბურჟუაზიული «ფაბიანური საზოგადოებიდან» იცავდა ბრძოლის შესაძლებლობას ქალთა არა სრული, არამედ შეძლებულთა სასარგებლოდ შეკვეცილი საარჩევნო უფლებისათვის. კონგრესმა ეს გადაჭრით უარყო და გამოსთქვა აზრი, რომ მუშა-ქალებს საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა ეწარმოებინათ არა ქალთა თანასწორუფლებიანობის ბურჟუაზიულ მომხრეებთან ერთად, არამედ პროლეტარიატის კლასობრივ პარტიებთან ერთად. კონგრესმა აღიარა, რომ კამპანიაში ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოდ საჭიროა სავსებით დაცულ იქნას სოციალიზმის პრინციპები და მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, ისე რომ ეს პრინციპები არ შეიბღალოს მოხერხებულობის არავითარი მოსაზრებებით.

კომისიაში ამის გამო საინტერესო უთანხმოებამ იჩინა თავი. ავსტრიელები (ვიქტორ ადლერი, ადელჰეიდ პოპი) ამართლებდნენ თავიანთ ტაქტიკას მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში; ამ უფლების მოპოვების გულისთვის მათ მოხერხებულად მიიჩნიეს აგიტაციის დროს პირველ რიგში არ წამოეყენებინათ საარჩევნო უფლების მოთხოვნა ქალებისათვისაც. გერმანელი სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ცეტკინი, ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავსტრიელები თავის კამპანიას აწარმოებდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის. ცეტკინი პრესაში აცხადებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილულიყო ქალთა საარჩევნო უფლების მოთხოვნა, რომ ავსტრიელები ოპორტუნისტულად სწირავდნენ პრინციპს მოხერხებულობის მოსაზრებათა გულისთვის, რომ ისინი აგიტაციის გაქანებას და სახალხო მოძრაობის ძალას კი არ შეასუსტებდნენ, არამედ გააძლიერებდნენ, ასევე ენერგიულად თუ დაიცავდნენ ქალთა საარჩევნო უფლებასაც. კომისიაში ცეტკინს სავსებით მიემხრო მეორე გამოჩენილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი ქალი, ციცი. ადლერის შესწორება, რომელიც არაპირდაპირ ამართლებდა ავსტრიელთა ტაქტიკას

(ამ შესწორებაში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ არ შეფერხდეს მართლაც ყველა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლა, და არა იმაზე, რომ ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის წარმოებდეს ყოველთვის მამაკაცთა და ქალთა უფლებების თანასწორობის მოთხოვნით), — **უ ა რ ყ ო ფ ი ლ** იქნა 12 ხმით 9-ის წინააღმდეგ. კომისიისა და კონგრესის თვალსაზრისი ყველაზე ზუსტად შეიძლება გამოითქვას ზემოაღნიშნული ციცის შემდეგი სიტყვებით, რომელნიც ამოღებულია მის მიერ სოციალისტ-ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან (ეს კონფერენცია შედგა შტუტგარტში კონგრესთან ერთად): «ჩვენ პრინციპულად უნდა მოვითხოვოთ ყველაფერი, რასაც მართებულად ვთვლით,— ამბობდა ციცი. — და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბრძოლისათვის ძალები არ გვყოფნის, დავკმაყოფილდეთ იმით, რის მიღწევაც შეგვიძლია. ასეთი იყო ყოველთვის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა. რაც უფრო მცირედი იქნება ჩვენი მოთხოვნები, მით უფრო მცირედი იქნება მთავრობის დათმობები»... ავსტრიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატ ქალთა ამ კამათიდან მკითხველს შეუძლია დაინახოს, როგორ მკაცრად ეპყრობიან საუკეთესო მარქსისტები უმცირეს გადახრებს მტკიცე, პრინციპული რევოლუციური ტაქტიკიდან.

ყრილობის უკანასკნელი დღე მიეძღვნა მილიტარიზმის საკითხს, რომელიც უაღრესად აინტერესებდა ყველას. ყბადაღებული ჰერვე მეტად უმწეო პოზიციას იცავდა, მან ვერ შესძლო დაეკავშირებინა ომები კაპიტალისტურ რეჟიმთან საერთოდ და ანტიმილიტარისტული აგიტაცია — სოციალიზმის მთელ მუშაობასთან. ჰერვეს პროექტმა — ყოველგვარ ომს გაფიცვითა და აჯანყებით «ვუპასუხოთო» — გამოააშკარავა იმის სრული გაუგებლობა, რომ ბრძოლის ამა თუ იმ საშუალების გამოყენება დამოკიდებულია არა რევოლუციონერების წინასწარ გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ კრიზისის, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის, ობიექტურ პირობებზე, რომელსაც ომი გამოიწვევს.

მაგრამ თუ ჰერვემ, უეჭველად, წინდაუხედაობა, ზერელობა და ეფექტიანი ფრაზით გატაცება გამოიჩინა, უდიდესი სიბეცე იქნებოდა მისთვის მხოლოდ სოციალიზმის ზოგად ჭეშმარიტებათა დოგმატური გადმოცემა დაგვეპირისპირებინა. ეს შეცდომა (რომლისგანაც არც ბებელი და გედი იყვნენ სავსებით თავისუფალნი) განსაკუთრებით ფოლმარმა ჩაიდინა. იმ კაცის არაჩვეულებრივი თვითკმაყოფილებით, რომელიც შეყვარებულია შაბლონურ პარლამენტარიზმზე, იგი აცამტვერებდა ჰერვეს და ვერ ამჩნევდა, რომ მისი საკუთარი ვიწრო და გამოფიტული ოპორტუნიზმი გ ვ ა ი ძ უ ლ ე ბ ს ცხოველი ნაკადი აღვიაროთ ჰერვეიზმში, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ თვით ჰერვე საკითხს თეორიულად უაზროდ და სულელურად აყენებს. ხანდახან ხომ ხდება ხოლმე, რომ თეორიული უაზრობანი ერთგვარ პრაქტიკულ ჭეშმარიტებას ჰფარავენ მოძრაობის ახალი შემობრუნებისას. და საკითხის ეს მხარე, მოწოდება — დაფასებულ იქნას არა მარტო ბრძოლის საპარლამენტო საშუალებები, მოწოდება — ვიმოქმედოთ მომავალი ომისა და მომავალი კრიზისების ახალი პირობების შესაბამისად, ხაზგასმით აღნიშნეს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ სიტყვებში, განსაკუთრებით როზა ლუქსემბურგმა. რუს სოციალ-დემოკრატ დელეგატებთან ერთად (ლენინი და მარტოვი, — აქ ორივე სოლიდარულად გამოდიოდა), როზა ლუქსემბურგმა ბებელის რეზოლუციის შესწორებანი შემოიტანა, და ამ შესწორებებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ აუცილებელია აგიტაცია ახალგაზრდობაში, აუცილებელია ომით გამოწვეული კრიზისის გამოყენება ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ გარდუვალია ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების შეცვლა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის მიხედვით. ამრიგად ბებელის დოგმატურად-ცალმხრივი და უსიცოცხლო რეზოლუციიდან, რომელიც შესაძლებელს ხდიდა მის ფოლმარისებურ გაგებას, ბოლოს და ბოლოს, მიღებულ იქნა სრულიად სხვა რეზოლუ-

ცია. იქ განმეორებული იყო ყველა თეორიული ჭეშმარიტება ჰერვეისტების ჭკუისსასწავლად, რომელთაც სოციალიზმი ხშირად ავიწყდებათ ანტიმილიტარიზმის გულისთვის. მაგრამ ეს ჭეშმარიტებანი წარმოადგენენ შესავალს არა პარლამენტური კრეტინიზმის გამართლებისათვის, არა მარტოოდენ მშვიდობიან საშუალებათა დაკანონებისათვის, არა არსებული, შედარებით მშვიდობიანი და წყნარი, სიტუაციის წინაშე მუხლმოდრეკისათვის, — არამედ ბრძოლის ყველა საშუალების აღიარებისათვის, რუსეთის რევოლუციის გამოცდილების გათვალისწინებისათვის, მოძრაობის ქმედითი, შემოქმედებითი მხარის განვითარებისათვის.

ცეტკინის ორგანოში, რომელზედაც ჩვენ არა ერთხელ მივუთითეთ, შესანიშნავი სისწორითაა შენიშნული სწორედ ეს, ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე კონგრესის რეზოლუციისა ანტიმილიტარიზმის შესახებ. «აქაც, — ამბობს ცეტკინი ანტიმილიტარისტული რეზოლუციის შესახებ, — ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა მუშათა კლასის რევოლუციურმა ენერგიამ (Tatkraft) და ვაჟკაცურმა რწმენამ, რომ მას ბრძოლის უნარი შესწევს, — მან დაამარცხა, ერთი მხრივ, უძლურების პესიმისტური სახარება და გაქვავებული მისწრაფება — დაკმაყოფილდეს ბრძოლის ძველი, მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო საშუალებებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაამარცხა გამარტივებული ანტიმილიტარისტული სპორტიც ჰერვეს მსგავსი ფრანგი ნახევრადანარქისტებისა. რეზოლუცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს ერთხმად იქნა მიღებული, როგორც კომისიის, ისე ყველა ქვეყნის თითქმის 900 დელეგატის მიერ, ენერგიული სიტყვებით აღნიშნავს რევოლუციური მუშათა მოძრაობის გიგანტურ აღმავლობას უკანასკნელი საერთაშორისო ყრილობის დროიდან; რეზოლუცია აყენებს, როგორც პროლეტარული ტაქტიკის პრინციპს, მის მოქნილობას, მისი განვითარების უნარს, მის გ ა მ ძ ა ფ რ ე ბ ა ს (Zuspitzung) იმისდა მიხედვით, რაც უფრო მომწიფდება საამისო პირობები».

ჰერვეიზმი უარყოფილია, მაგრამ იგი უარყოფილია არა ოპორტუნიზმის სასარგებლოდ, არა დოგმატიზმისა და პასიურობის თვალსაზრისით. საერთაშორისო პროლეტარიატმა საკვლევით აღიარა ცხოველი მისწრაფება ბრძოლის სულ უფრო და უფრო გაბედული და ახალი მეთოდებისადმი და დაუკავშირა ეს მისწრაფება ეკონომიურ წინააღმდეგობათა მთელ გამწვავებას, კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი კრიზისების მთელ პირობებს.

არა ცარიელი ჰერვეისტული მუქარა, — არამედ ნათელი შეგნება სოციალური რევოლუციის აუცილებლობისა, მტკიცე გადაწყვეტილება ბრძოლის ბოლომდე მიყვანისა, მზადყოფნა ბრძოლის ყველაზე რევოლუციურ საშუალებათა გამოყენებისათვის, — აი როგორია მნიშვნელობა შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რეზოლუციისა მილიტარიზმის საკითხზე.

პროლეტარიატის არმია მტკიცდება ყველა ქვეყანაში. მისი შეგნებულობა, დარაზმულობა და გაბედულება იზრდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით. კაპიტალიზმიც წარმატებით ზრუნავს კრიზისების გახშირებისათვის, რომელთაც ეს არმია გამოიყენებს კაპიტალიზმის დასანგრევად.

დაწერილია 1907 წლის სექტემბერში
დაიბეჭდა 1907 წ. ოქტომბერში «კალენდარში ყველასათვის 1908 წ.»
ხელმოწერა: ნ. ლ.

იბეჭდება კალენდარის ტექსტის მიხედვით

# წინასიტყვაობა კრებულისა «12 წლის მანძილზე»[38]

მკითხველისათვის წარდგენილი სტატიებისა და ბროშურების კრებული მოიცავს პერიოდს 1895-დან 1905 წლამდე. აქ ერთად შეკრებილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა თემას შეადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხები. ეს საკითხები ისმება და მუშავდება განუწყვეტლივ რუსეთში მარქსისტული მიმდინარეობის მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავდაპირველად ეს ბრძოლა წარმოებს წმინდა თეორიულ სფეროში 90-იანი წლების ჩვენი ლეგალური მარქსიზმის მთავარი წარმომადგენლის, ბ-ნ სტრუვეს, წინააღმდეგ. 1894 წლის დასასრული და 1895 წლის დამდეგი მკვეთრი გარდატეხის პერიოდი იყო ჩვენს ლეგალურ პუბლიცისტიკაში. მასში პირველად შეიჭრა მარქსიზმი, წარმოდგენილი არა მარტო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის საზღვარგარეთელი მოღვაწეებით, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატებითაც. გაცხოველება ლიტერატურაში და მარქსისტების გაცხარებული დავა ნაროდნიკობის ძველ მეთაურებთან, რომლებიც მანამდე თითქმის განუყოფლად ბატონობდნენ (მაგალითად, ნ. კ. მიხაილოვსკი) მოწინავე ლიტერატურაში, რუსეთის მუშათა მასობრივი მოძრაობის აღმავლობის შესავალი იყო. რუსი მარქსისტების ლიტერატურული გამოსვლები უშუალო წინამორბედი იყო პროლეტარიატის საბრძოლველად გამოსვლისა, პეტერბურგის 1896 წლის სახელოვანი გაფიცვებისა, რომლე-

Вл. Ильинъ.

# За 12 лѣтъ

СОБРАНІЕ СТАТЕЙ.

Томъ первый.

## Два направленія въ русскомъ марксизмѣ и русской соціалдемократіи.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
Типографія В. Безобразовъ и К°. В. О., Большой пр., д. № 61.
1908.

გარეკანი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა
კრებულისა «12 წლის მანძილზე»
დაპატარავებულია

ბითაც დაიწყო ერა შემდგომ განუხრელად აღმავალი მუშათა მოძრაობისა, — მთელი ჩვენი რევოლუციის ამ უაღრესად მძლავრი ფაქტორისა.

მაშინდელი ლიტერატურის პირობები სოციალ-დემოკრატებს აიძულებდა ელაპარაკნათ ეზოპეს ენით და პრაქტიკისა და პოლიტიკისაგან დიდად დაშორებულ მეტად ზოგად დებულებებს დასჯერებოდნენ. ამ გარემოებამ განსაკუთრებით გააადვილა მარქსიზმის სხვადასხვაგვარი ელემენტების შეკავშირება ნაროდნიკობასთან ბრძოლაში. საზღვარგარეთელ და რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან ერთად ამ ბრძოლას აწარმოებდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ბ-ნი სტრუვე, ბულგაკოვი, ტუგან-ბარანოვსკი, ბერდიაევი და სხვები. ესენი იყვნენ ბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებისთვისაც ნაროდნიკობასთან კავშირის გაწყვეტა ნიშნავდა მეშჩანური (ან გლეხური) სოციალიზმიდან არა პროლეტარულ სოციალიზმზე, როგორც ჩვენთვის, არამედ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმზე გადასვლას.

ამჟამად რუსეთის რევოლუციის ისტორიამ საერთოდ, კერძოდ კადეტების პარტიის ისტორიამ, განსაკუთრებით ბ-ნ სტრუვეს ევოლუციამ (თითქმის ოქტიაბრიზმამდე), ეს ჭეშმარიტება თავისთავად ცხადი გახადეს, პუბლიცისტიკის გაცვეთილ ხურდა ფულად გადააქციეს. მაშინ, 1894 — 1895 წლებში, ამ ჭეშმარიტების მტკიცება გვიხდებოდა მარქსიზმისაგან ამა თუ იმ მწერლის შედარებით მცირე გადახრების მიხედვით, მაშინ ამ ფულის ჯერ მხოლოდ მოჭრა გვიხდებოდა. ამიტომ ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ მიმართულ ჩემს ნაშრომს (სტატია «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში» კ. ტულინის ხელმოწერით ცენზურის შიერ დამწვარ კრებულში: «მასალები რუსეთის სამეურნეო განვითარების საკითხისათვის», სპბ. 1895 წ. *) აქ მე ვბეჭდავ მთლიანად სამი მიზნით. ჯერ-ერთი, რამდენადაც

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 1, გვ. 397 — 616. რ ე დ.

მკითხველი საზოგადოება გაეცნო ბ-ნ სტრუვეს წიგნს და ნაროდნიკების 1894 — 1895 წლების სტატიებს მარქსისტების წინააღმდეგ, იმდენად აქვს მნიშვნელობა ბ-ნ სტრუვეს თვალსაზრისის კრიტიკასაც. მეორე, რევოლუციური სოციალ-დემოკრატის მხრივ ბ-ნ სტრუვეს გაფრთხილებას, რომელიც მას მიეცა ნაროდნიკების წინააღმდეგ ჩვენს საერთო გამოსვლებთან ერთად, მნიშვნელობა აქვს იმათ საპასუხოდაც, ვინც არა ერთხელ გვდებდა ბრალს ასეთ ვაჟბატონებთან კავშირის გამო, და ბ-ნ სტრუვეს მეტად საგულისხმო პოლიტიკური კარიერის შესაფასებლადაც. მესამე, სტრუვესთან გამართულ ძველ და მრავალი მხრივ მოძველებულ პოლემიკას მნიშვნელობა აქვს, როგორც ჭკუისსასწავლ ნიმუშს. ეს ნიმუში ცხადყოფს შეურიგებელი თეორიული პოლემიკის პრაქტიკულ-პოლიტიკურ ღირებულებას. «ეკონომისტებთანაც», ბერნშტეინელებთანაც და მენშევიკებთანაც ასეთი პოლემიკისადმი გადაჭარბებული მიდრეკილების გამო უთვალავჯერ უსაყვედურებიათ რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისათვის. ასეთი საყვედურები ახლაც დიდი გასავლის მქონე საქონელია «შემრიგებელთათვის» სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით, «თანამგრძნობ» ნახევრადსოციალისტებისათვის მის გარეთ. ჩვენში ძალიან უყვართ ხოლმე ლაპარაკი იმაზე, რომ საერთოდ რუსებს, კერძოდ სოციალ-დემოკრატებს, განსაკუთრებით კი ბოლშევიკებს გადაჭარბებული მიდრეკილება აქვთ პოლემიკისა და გათიშვებისადმიო. ჩვენში აგრეთვე უყვართ ხოლმე იმის დავიწყებაც, რომ სოციალიზმიდან ლიბერალიზმში გადახტომისადმი გადაჭარბებულ მიდრეკილებას წარმოშობენ კაპიტალისტური ქვეყნების პირობები საერთოდ, კერძოდ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პირობები, განსაკუთრებით ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობები. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა გადავხედოთ იმას, თუ რა იყო ამ ათი წლის წინათ, რა თეორიული უთანხმოებანი ისახებოდა უკვე მაშინ «სტრუვიზმთან», რა მცირე (პირველი შეხედვით მცირე) უთანხმოები-

დან წარმოიშვა პარტიების სრული პოლიტიკური გამიჯვნა და ულმობელი ბრძოლა პარლამენტში, მთელ რიგ ბეჭდვითს ორგანოებში, სახალხო კრებებზე და სხვ.

ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ მიმართული სტატიის გამო უნდა შევნიშნო კიდევ, რომ მას საფუძვლად უდევს ის რეფერატი, რომელიც მე 1894 წლის შემოდგომაზე წავიკითხე მაშინდელი მარქსისტების პატარა წრეში. იმ სოციალ-დემოკრატების ჯგუფიდან, რომლებიც მაშინ პეტერბურგში მუშაობდნენ და რომლებმაც, ერთი წლის შემდეგ, მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი შექმნეს, ამ წრეში შევდიოდით სტ., რ. და მე. ლეგალური ლიტერატორ-მარქსისტებიდან იყვნენ პ. ბ. სტრუვე, ა. ნ. პოტრესოვი და კ.[39] ამ წრეში მე წავიკითხე რეფერატი სათაურით: «მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში». როგორც სათაურიდან ჩანს, სტრუვესთან კამათი აქ შეუდარებლად უფრო მკაცრი და გარკვეული იყო (სოციალ-დემოკრატიული დასკვნების მხრივ), ვიდრე 1895 წლის გაზაფხულზე დაბეჭდილ სტატიაში. შერბილებანი გაკეთებული იყო ნაწილობრივ ცენზურული მოსაზრებებით, ნაწილობრივ ლეგალურ მარქსიზმთან «კავშირის» გულისთვის ნაროდნიკობის წინააღმდეგ ერთად საბრძოლველად. პეტერბურგის სოციალ-დემოკრატების მიერ ბ-ნ სტრუვესთვის მაშინ მიცემული «ბიძგი მარცხნივ» საკმაოდ უშედეგო რომ არ დარჩენილა, ამას აშკარად ამტკიცებს ბ-ნ სტრუვეს სტატია დამწვარ კრებულში (1895 წ.) და მისი ზოგიერთი სტატია «ნოვოე სლოვოში»[40] (1897 წ.).

გარდა ამისა, ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ მიმართული 1895 წლის სტატიის კითხვის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ბევრი მხრივ ეს სტატია უფრო გვიანდელ ეკონომიურ ნაშრომთა (განსაკუთრებით «კაპიტალიზმის განვითარების») კონსპექტს წარმოადგენს. დასასრულ, საჭიროა მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ ამ სტატიის უკანასკნელ ფურცლებს, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული დ ა დ ე ბ ი თ ი, მარქსისტის შეხედულებით, თვისებები და მხარეები ნაროდნიკობისა, რო-

გორც რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობისა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეს განიცდის. ეს არის სწორედ იმ დებულებების თეორიული ფორმულირება, რომლებმაც 12 — 13 წლის შემდეგ პრაქტიკულ-პოლიტიკური გამოხატულება ჰპოვეს «მემარცხენე ბლოკში» II სათათბიროს არჩევნების დროს და «მემარცხენე-ბლოკისტურ» ტაქტიკაში. მენშევიკების იმ ნაწილმა, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეის წინააღმდეგ იბრძოდა და მემარცხენე ბლოკის აბსოლუტურ შეუწყნარებლობას იცავდა, უღალატა ამ მხრივ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მეტად ძველსა და მეტად მნიშვნელოვან ტრადიციას, რომელსაც ასე თავგამოდებით უჭერდა მხარს «ზარია»[41] და ძველი «ისკრა»[42]. თავისთავად ცხადია, «მემარცხენე-ბლოკისტური» ტაქტიკის პირობითი და შეკვეცილი შესაწყნარებლობა გარდუვალად გამომდინარეობს ნაროდნიკობაზე მარქსიზმის იმავე ძირითადი თეორიული შეხედულებებიდან.

სტრუვეს წინააღმდეგ მიმართულ სტატიას (1894 — 1895 წლები) მიჰყვება «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები»*, დაწერილი 1897 წლის დამლევს იმ მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, რასაც სოციალ-დემოკრატები 1895 წელს პეტერბურგში ეწეოდნენ. ამ ბროშურაში დადებითი ფორმითაა გადმოცემული ის შეხედულებები, რომლებიც ამ კრებულის სხვა სტატიებსა და ბროშურებში სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთასთან პოლემიკის სახითაა გამოთქმული. სხვადასხვა წინასიტყვაობანი «ამოცანებისადმი» იმიტომაა გადმობეჭდილი, რომ აღნიშნულ იქნას ის კავშირი, რომელიც ამ ნაშრომს ჰქონდა ჩვენი პარტიის განვითარების სხვადასხვა პერიოდთან (მაგალითად, აქსელროდის წინასიტყვაობა ხაზგასმით აღნიშნავს ბროშურის კავშირს «ეკონომიზმის» წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლასთან, ხოლო 1902 წლის წინა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 397 — 431. რ ე დ.

სიტყვაობა ხაზგასმით აღნიშნავს ნაროდოვოლცებისა და ნაროდოპრავცების ევოლუციას).

სტატია «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» * დაიბეჭდა 1901 წელს საზღვარგარეთულ «ზარიაში». ეს სტატია, ასე ვთქვათ, ბოლოს უღებს სოციალ-დემოკრატიულ ურთიერთობას სტრუვესთან, როგორც პოლიტიკოსთან. 1895 წელს მას აფრთხილებდნენ და ფრთხილად ემიჯნებოდნენ, როგორც მოკავშირეს. 1901 წელს მას ომს უცხადებენ, როგორც ლიბერალს, რომელსაც არ შესწევს უნარი რაოდენადმე თანამიმდევრულად დაიცვას წმინდა-დემოკრატიული მოთხოვნებიც კი.

1895 წელს, რამდენიმე წლით ადრე დასავლეთის «ბერნშტეინიადამდე» და რუსეთში მარქსიზმთან მთელი რიგი «მოწინავე» ლიტერატორების კავშირის გაწყვეტამდე, — მე აღვნიშნავდი, ბ-ნი სტრუვე არ არის საიმედო მარქსისტი, სოციალ-დემოკრატები მას უნდა გაემიჯნონ-მეთქი. 1901 წელს, რამდენიმე წლით ადრე, სანამ კადეტების პარტია გამოვიდოდა რუსეთის რევოლუციაში და სანამ ამ პარტიის პოლიტიკური ფიასკო მოხდებოდა I და II სათათბიროში, მე აღვნიშნავდი რუსეთის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის სწორედ იმ თვისებებს, რომლებმაც თავი იჩინეს 1905 — 1907 წლებში მასობრივ პოლიტიკურ მოქმედებასა და გამოსვლებში. სტატიაში «ლიბერალიზმის ჰანიბალები» გაკრიტიკებულია ერთი ლიბერალის უმართებულო მსჯელობა, და ეს კრიტიკა ახლა თითქმის სავსებით ზედგამოჭრილია ჩვენს რევოლუციაში მოქმედი უდიდესი ლიბერალური პარტიის პოლიტიკის მიმართ. სტატია «ლიბერალიზმის ჰანიბალები» დაანახვებს თავიანთ შეცდომას იმათ, ვინც მზადაა იფიქროს, თითქოს ჩვენ, ბოლშევიკებმა, ვუღალატეთ ძველ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას ლიბერალიზმის მიმართ, როდესაც ულმობელად ვებრძოდით კონსტიტუციურ ილუზიებს და კადეტების პარ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 25 — 89. რ ე დ.

ტიას 1905 — 1907 წლებში. ბოლშევიკები ერთგულნი დარჩენენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტრადიციებისა და არ აჰყვნენ იმ ბურჟუაზიულ თავბრუდახვევას, რომელსაც მხარს უჭერდნენ ლიბერალები «კონსტიტუციური ზიგზაგის» ეპოქაში და რომელმაც დროებით გონება დაუბნელა ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთას.

შემდეგი ბროშურა: «რა ვაკეთოთ?» გამოვიდა საზღვარგარეთ 1902 წლის დასაწყისში *. იგი მიძღვნილია უკვე არა ლიტერატურულ მიმდინარეობებში, არამედ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში არსებული მემარჯვენე ფრთის კრიტიკისადმი. 1898 წელს შესდგა სოციალ-დემოკრატების პირველი ყრილობა და საძირკველი ჩაეყარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია გახდა საზღვარგარეთული «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი», რომელშიც შედიოდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიც. მაგრამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები პოლიციამ გაანადგურა, და მათი აღდგენა შეუძლებელი გახდა. ფაქტიურად პარტიის ერთიანობა არ არსებობდა: ის დარჩა მხოლოდ იდეად, დირექტივად. საგაფიცვო მოძრაობით და ეკონომიური ბრძოლით გატაცებამ მაშინ წარმოშვა სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის განსაკუთრებული ფორმა, ეგრეთწოდებული «ეკონომიზმი». ამ ნიადაგზე გათიშვა უკვე ფაქტი იყო, როდესაც «ისკრის» ჯგუფმა მუშაობა დაიწყო საზღვარგარეთ სწორედ 1900 წლის მიწურულში. პლეხანოვი 1900 წლის გაზაფხულზე გამოვიდა საზღვარგარეთული «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირიდან» და შექმნა ცალკე ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი».

ფორმალურად «ისკრამ» მუშაობა დაიწყო ორივე ფრაქციისაგან დამოუკიდებლად, არსებითად კი — პლეხანოვის ჯგუფთან ერთად «კავშირის» წინააღმდეგ. შეერთების ცდა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 431 — 673. რედ.

(1901 წლის ივნისი, «კავშირისა» და «სოციალ-დემოკრატის» ყრილობა ციურიხში) უშედეგო დარჩა. ბროშურა «რა ვაკეთოთ?» სისტემატურად გადმოსცემს უთანხმოების მიზეზებს და ისკრული ტაქტიკისა და ორგანიზაციული მუშაობის ხასიათს.

ბროშურას «რა ვაკეთოთ?» ხშირად იხსენიებენ ბოლშევიკების ახლანდელი მოწინააღმდეგენი, მენშევიკები, და აგრეთვე ბურჟუაზიულ-ლიბერალური ბანაკის მწერლები (კადეტები, «ბეზზაგლავიელები» [43] გაზეთ «ტოვარიშჩიდან» და სხვ.). ამიტომ მე აქ მას ვბეჭდავ სულ მცირე შემოკლებით, ვუშვებ მხოლოდ ორგანიზაციულ ურთიერთობათა დეტალებს ან წვრილმან პოლემიკურ შენიშვნებს. არსებითად ამ ბროშურის შინაარსის გამო თანამედროვე მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს.

ძირითადი შეცდომა, რასაც სჩადიან ის ადამიანები, რომლებიც ამჟამად პოლემიკას აწარმოებენ «რა ვაკეთოთ?»-თან, ის არის, რომ ამ ნაწარმოებს სრულიად არ უკავშირებენ განსაზღვრულ ისტორიულ ვითარებას, ჩვენი პარტიის განვითარების განსაზღვრულ და ამჟამად უკვე დიდი ხანია განვლილ პერიოდს. ეს შეცდომა ცხადად ემჩნევა, მაგალითად, პარვუსს (არას ვამბობ მრავალრიცხოვან მენშევიკებზე), რომელიც ბროშურის გამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ წერდა მის მცდარ ან გაზვიადებულ იდეებზე პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის შესახებ.

ამჟამად ასეთი განცხადებანი პირდაპირ სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენენ: თითქოს სურთ ზურგი შეაქციონ ჩვენი პარტიის განვითარების მთელ პერიოდს, იმ მონაპოვართ, რომლებისთვისაც თავის დროზე ღირდა ბრძოლა, ახლა კი უკვე დიდი ხანია განმტკიცებულია და თავისი საქმე გააკეთეს.

ახლა იმაზე მსჯელობა, «ისკრამ» (1901 და 1902 წ ე ლ ს!) გააზვიადა პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის იდეაო, ეს იგივეა, რუსეთ-იაპონიის ომის შ ე მ დ ე გ იაპონელებს რომ უსაყვედურონ რუსეთის სამხედრო

ძალების გაზვიადება, გადაჭარბებული ზრუნვა ომამდე ამ ძალებთან ბრძოლის შესახებ. იაპონელებს გამარჯვების მოსაპოვებლად მთელი ძალები უნდა მოეკრიბათ რუსეთის მაქსიმალურად შესაძლებელი ძალების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ბევრნი შორიდან მსჯელობენ ჩვენს პარტიაზე, არ იცნობენ საქმის ვითარებას, ვერ ხედავენ იმას, რომ ახლა პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის იდეამ უკვე სრული გამარჯვება მოიპოვა. ხოლო გამარჯვება შეუძლებელი იყო უიმისოდ, რომ თავის დროზე პირველ რიგში არ წამოგვეყენებინა ეს იდეა, უიმისოდ, რომ «გადაჭარბებულად» არ ჩაგვეგონებინა ის იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ხელს უშლიდნენ ამ იდეის განხორციელებას.

«რა ვაკეთოთ?» 1901 და 1902 წლების ისკრული ტაქტიკის, ისკრული ორგანიზაციული პოლიტიკის შეჯამებაა. სწორედ: «შეჯამება», არც მეტი და არც ნაკლები. ვინც გაირჯება და გაეცნობა 1901 და 1902 წლების «ისკრას», ის ამაში უეჭველად დარწმუნდება *. ხოლო ვინც ამ შეჯამებაზე მსჯელობს ისე, რომ არ იცნობს «ისკრის» ბრძოლას მაშინ გაბატონებულ ეკონომიზმთან და არ ესმის ეს ბრძოლა, ის ტყუილად ხარჯავს სიტყვებს. «ისკრა» იბრძოდა პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის შესაქმნელად, იბრძოდა განსაკუთრებული ენერგიით 1901 და 1902 წლებში, მან დაამარცხა მაშინ გაბატონებული ეკონომიზმი, საბოლოოდ შექმნა ეს ორგანიზაცია 1903 წელს, შეინარჩუნა ეს ორგანიზაცია, მიუხედავად ისკრელთა შემდგომი გათიშვისა, მიუხედავად ქარიშხლისა და შეტევის ხანის მთელი მღელვარებისა, შეინარჩუნა იგი რუსეთის მთელი რევოლუციის განმავლობაში, შეინარჩუნა და შეინახა იგი 1901—1902-დან 1907 წლამდე.

და აი ახლა, როდესაც ბრძოლა ამ ორგანიზაციისათვის დიდი ხანია დამთავრებულია, როდესაც თესვა გათავდა, მარც-

* ამ გამოცემის მე-3 ტომში გადაბეჭდილი იქნება «ისკრის» ამ წლების უმნიშვნელოვანესი სტატიები [44].

ვალი დამწიფდა და მკაც მოთავებულია, — გამოდიან ადამიანები და აცხადებენ: «პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის იდეის გაზვიადებააო!». განა ეს სასაცილო არ არის?

აიღეთ მთელი წინარევოლუციური პერიოდი და რევოლუციის პირველი 2½ წელიწადი (1905 — 1907 წლები) მთლიანად. შეადარეთ ამდროინდელი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია სხვა პარტიებს მისი დარაზმულობის, ორგანიზებულობის, თანამომდევნო მთლიანობის მხრივ. თქვენ იძულებული იქნებით აღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენი პარტიის უპირატესობა ყველა დანარჩენი პარტიის მიმართ, კადეტების, ესერების და სხვათა მიმართ, უდავოა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რევოლუციამდე გამოიმუშავა ფორმალურად ყველა სოციალ-დემოკრატის მიერ აღიარებული პროგრამა და, შეჰქონდა რა მასში შესწორებები, არ გათიშულა პროგრამის გამო. მიუხედავად გათიშვისა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1903-დან 1907 წლამდე (ფორმალურად 1905-დან 1906 წლამდე) საზოგადოებას მიაწოდა ყველაზე მეტი ცნობები თავისი შინაური მდგომარეობის შესახებ (მეორე საერთო, III ბოლშევიკური და IV ანუ სტოკჰოლმის საერთო ყრილობების ოქმები). მიუხედავად გათიშვისა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ყველა სხვა პარტიაზე ადრე ისარგებლა თავისუფლების დროებითი გამოშუქებით ლეგალური ორგანიზაციის იდეალური დემოკრატიული წყობილების განსახორციელებლად, საარჩევნო სისტემით, ყრილობებზე წარმომადგენლობით პარტიის ორგანიზებულ წევრთა რიცხვის მიხედვით. ეს დღემდე არა აქვთ არც სოციალისტ-რევოლუციონერებს, არც კადეტებს — ამ, თითქმის ლეგალურ, საუკეთესოდ ორგანიზებულ ბურჟუაზიულ პარტიას, რომელსაც მოეპოვება, ჩვენთან შედარებით, განუზომლად მეტი ფინანსური სახსრები, პრესით სარგებლობის გასაქანი და აშკარად არსებობის შესაძლებლობა. ხოლო II სათათბიროს არჩევნებმა, რომელშიც ყველა პარტია იღებდა მონაწილეობას, განა ამ არ-

ჩვენებმა არ დაამტკიცა თვალსაჩინოდ, რომ ჩვენი პარტიისა და სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ორგანიზაციული დარაზმულობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ყველა სხვა პარტიისა?

იბადება კითხვა, ვინ შექმნა, ვინ გაახორციელა ჩვენი პარტიის ეს უდიდესი დარაზმულობა, სიმტკიცე და გამძლეობა? ეს გააკეთა, უმთავრესად «ისკრის» მონაწილეობით შექმნილმა, პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციამ. ვინც კარგად იცნობს ჩვენი პარტიის ისტორიას, ვინც თვითონ მონაწილეობდა მის მშენებლობაში, მისთვის საკმარისია თვალი გადაავლოს, ვთქვათ, ლონდონის ყრილობის რომელიც გინდათ ფრაქციის დელეგაციის შემადგენლობას, რომ დარწმუნდეს ამაში, რომ მაშინვე შეამჩნიოს ის ძველი, ძირითადი ბირთვი, რომელიც სხვებზე უფრო ბეჯითად ზრდიდა პარტიას და აღზარდა პარტია. რა თქმა უნდა, ასეთი წარმატების ძირითად პირობას ის შეადგენდა, რომ მუშათა კლასს, რომლის საუკეთესო ნაწილი ქმნიდა სოციალ-დემოკრატიას, ობიექტური ეკონომიური მიზეზების გამო კაპიტალისტური საზოგადოების ყველა კლასზე უფრო მეტი უნარი შესწევს შეკავშირებისა. უამპირობოდ პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაცია სათამაშო, ავანტიურა, უშინაარსო აბრა იქნებოდა; და ბროშურაც «რა ვაკეთოთ?» მრავალჯერ აღნიშნავს ხაზგასმით, რომ ორგანიზაციას, რომელსაც ის იცავს, აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ის დაკავშირებული იქნება «ნამდვილად-რევოლუციურ და ბრძოლისთვის სტიქიურად აღმდგარ კლასთან». მაგრამ პროლეტარიატის კლასად გაერთიანების ობიექტურად მაქსიმალური უნარი ხორციელდება ცოცხალი ადამიანების მიერ, ხორციელდება მხოლოდ ორგანიზაციის განსაზღვრულ ფორმებად. და არც ერთ სხვა ორგანიზაციას, გარდა ისკრულისა, ა რ შ ე ე ძ ლ ო ჩვენს ისტორიულ პირობებში, 1900 — 1905 წლების რუსეთში, შეექმნა ი ს ე თ ი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორიც შექმნილია ახლა. პროფესიონალმა რევოლუციონერმა გააკეთა თავისი საქმე რუსეთის პროლეტარული სოციალიზმის ისტორიაში. და ვერა-

ვითარი ძალა ვერ დაანგრევს ახლა ამ საქმეს, რომელიც დიდი ხანია უკვე გასცილდა 1902 — 1905 წლების «წრეების» ვიწრო ჩარჩოებს; ვერავითარი დაგვიანებული წუწუნი საბრძოლო ამოცანების გაზვიადების გამო იმათ მხრივ, ვისაც თავის დროზე მხოლოდ ბრძოლით შეეძლო უზრუნველეყო სწორი მიდგომა ამ ამოცანების შესრულებისადმი, ვერ შეარყევს უკვე მიღწეულ მონაპოვართა მნიშვნელობას.

მე ეს-არის მოვიხსენიე ძველი «ისკრის» დროინდელი წრეების ვიწრო ჩარჩოები (1903 წლის დამლევიდან, № 51-დან, «ისკრამ» პირი იბრუნა მენშევიზმისაკენ და განაცხადა: «ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევსო», — ტროცკის სიტყვები ბროშურიდან, რომელიც მოიწონა «ისკრის» მენშევიკურმა რედაქციამ). ამ წრეობანაზე თანამედროვე მკითხველს საჭიროა ზოგიერთი განმარტება მივაწოდოთ. როგორც ბროშურაში «რა ვაკეთოთ?», ისე ბროშურაში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» *, რომელიც შემდეგ იბეჭდება, მკითხველი ხედავს საზღვარგარეთული წრეების გაცხარებულ, ხშირად გაბოროტებულ, გამანადგურებელ ბრძოლას. უეჭველია, რომ ამ ბრძოლას ბევრი არასასიამოვნო მხარე აქვს. უეჭველია, რომ წრეების ეს ბრძოლა წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ ნორჩია, მოუმწიფებელია. უეჭველია, რომ რუსეთის თანამედროვე მუშათა მოძრაობის თანამედროვე მოღვაწეებმა უნდა გაწყვიტონ კავშირი წრეობანის ბევრ ტრადიციასთან, უნდა დაივიწყონ და უკუაგდონ წრის ცხოვრებისა და წრის კინკლაობის ბევრი წვრილმანი, რათა უფრო მტკიცედ შეასრულონ სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ახლანდელ ეპოქაში. მარტოოდენ პარტიის გაფართოებას პროლეტარული ელემენტებით და აშკარა მასობრივ მუშაობას შეუძლია აღმოფხვრას ძველი დროიდან მემკვიდრეობით მიღებული და ახლანდელი დროის ამოცანებისთვის შეუფერებელი წრეობანის ნაშთები. და მუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 7, გვ. 239 — 530. რედ.

შათა პარტიის დემოკრატიულ ორგანიზაციაზე გადასვლა, რაც ბოლშევიკებმა აღიარეს «ნოვაია ჟიზნში»[45] 1905 წლის ნოემბერში *, მაშინვე, როგორც კი შეიქმნა პირობები აშკარა მუშაობისათვის, — ეს გადასვლა, არსებითად, უკვე იყო საბოლოოდ კავშირის გაწყვეტა იმასთან, რამაც უკვე დრო მოჭამა ძველ წრეობანაში...

დიახ, «იმასთან, რამაც დრო მოჭამა», რადგან არ კმარა დაგმო წრეობანა, საჭიროა გაიგო მისი მნიშვნელობა წინანდელი ეპოქის თავისებურ პირობებში. თავის დროზე წრეები აუცილებელი იყვნენ და მათ დადებითი როლი შეასრულეს. თვითმპყრობელურ ქვეყანაში საერთოდ, — განსაკუთრებით ისეთ პირობებში, რომლებიც შექმნა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელმა ისტორიამ, სოციალისტურ მუშათა პარტიას არ შეეძლო განვითარებულიყო სხვანაირად, თუ არა წრეებიდან. წრეები, ე. ი. ვიწრო, კარჩაკეტილი, თითქმის მუდამ პირად მეგობრობაზე დამყარებული, პიროვნებათა მეტად მცირე რიცხვის გაერთიანებანი, სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის განვითარების აუცილებელი საფეხური იყო რუსეთში. ამ მოძრაობის ზრდასთან ერთად წამოიჭრა ამ წრეების გაერთიანების, მათ შორის მტკიცე კავშირის შექმნის, თანამომდევნობის დამყარების ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელი იყო მტკიცე ოპერატიული ბაზის შეუქმნელად იქ, სადაც თვითმპყრობელობას «ხელი არ მიუწვდებოდა», ე. ი. საზღვარგარეთ. ამრიგად, საზღვარგარეთული წრეები აუცილებლობის გამო წარმოიშვა. მათ შორის არ ყოფილა კავშირი, ისინი არ ემორჩილებოდნენ რუსეთის პარტიის ავტორიტეტს, მათ უეჭველად სხვადასხვანაირად ესმოდათ მოძრაობის ძირითადი ამოცანები არსებულ მომენტში, ე. ი. სხვადასხვანაირად ესმოდათ, სახელდობრ როგორ უნდა მოეწყოთ ესა თუ ის ოპერატიული ბაზა და რა მხრივ აღმოეჩინათ დახმარება საერთო პარტიული მშენებლობისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ამ წრეებს შორის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 15—27. რედ.

გარდუვალი იყო. ახლა, როდესაც უკან ვიხედებით, ნათლად ვხედავთ, რომელ წრეს შეეძლო ნამდვილად შეესრულებინა ოპერატიული ბაზის ფუნქცია. მაგრამ მაშინ, სხვადასხვა წრის მუშაობის დასაწყისში, ამის თქმა არავის შეეძლო, და მხოლოდ ბრძოლას შეეძლო დავის გადაჭრა. მახსოვს, პარვუსი უსაყვედურებდა შემდეგ ძველ «ისკრას» — გამანადგურებელ წრეობრივ ბრძოლას აწარმოებო, და უკანა რიცხვით ქადაგებდა შემარიგებელ პოლიტიკას. მაგრამ ამის თქმა ადვილია უკანა რიცხვით, და ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ გამოიჩინო მაშინდელი პირობების გაუგებლობა. ჯერ-ერთი, არ არსებობდა არავითარი კრიტერიუმი ამა თუ იმ წრის ძალისა და ს ე რ ი ო ზ უ ლ ო ბ ი ს ა. ბევრი იყო გაბერილი წრე, რომლებიც ახლა დავიწყებულია, მაგრამ რომლებსაც თავის დროზე ბრძოლით სურდათ დაემტკიცებინათ თავიანთი არსებობის უფლება. მეორეც, უთანხმოებანი წრეებს შორის იმაში მდგომარეობდა, თუ როგორ წ ა რ ე მ ა რ თ ა თ მაშინ ჯერ კიდევ ახალი მუშაობა. მე უკვე მაშინაც აღვნიშნავდი («რა ვაკეთოთ?»-ში), რომ უთანხმოებანი პატარა მოჩანან, მაგრამ სინამდვილეში დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი, რადგან ახალი მუშაობის დასაწყისში, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისში, ამ მუშაობისა და ამ მოძრაობის საერთო ხასიათის გამორკვევა უაღრესად არსებით გავლენას მოახდენს პროპაგანდასა, აგიტაციასა და ორგანიზაციაზე. მთელი შემდგომი დავა სოციალ-დემოკრატებს შორის იმას შეეხებოდა, თუ როგორ წარემართათ მუშათა პარტიის პოლიტიკური მუშაობა ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვევებში. მაშინ კი ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ გამოერკვიათ საერთოდ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ზოგადი საფუძვლები და ძირითადი ამოცანები.

წრეობანამ თავისი საქმე გააკეთა და ახლა, რა თქმა უნდა, თავისი დრო მოჭამა. მაგრამ მან თავისი დრო იმიტომ და მხოლოდ იმიტომ მოჭამა, რომ წრეების ბრძოლამ უაღრესი სიმწვავით დააყენა სოციალ-დემოკრატიის ძირითადი საკით-

ხები, შეურიგებელი რევოლუციური სულისკვეთებით გადაჭრა ისინი და ამით მტკიცე ბაზა შეუქმნა ფართო პარტიულ მუშაობას.

ბროშურა «რა ვაკეთოთ?»-თან დაკავშირებით ლიტერატურაში აღძრული კერძო საკითხებიდან აღვნიშნავ მხოლოდ შემდეგ ორს. პლეხანოვმა 1904 წელს, ბროშურის «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» გამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, «ისკრაში» საქვეყნოდ განაცხადა პრინციპული უთანხმოება ჩემთან სტიქიურობისა და შეგნებულობის საკითხის გამო. მე არ მიპასუხნია არც ამ განცხადებაზე (თუ არ ჩავთვლით ერთ შენიშვნას ჟენევის გაზეთ «ვპერიოდში» * [46]) და არც მენშევიკურ ლიტერატურაში მრავალჯერ ამ თემაზე განმეორებულ განცხადებაზე; არ მიპასუხნია იმიტომ, რომ პლეხანოვის კრიტიკას ცარიელი ახირების აშკარა ხასიათი ჰქონდა, ის ემყარებოდა მთელი წყობიდან ამოგლეჯილ ფრაზებს, ცალკეულ გამოთქმებს, რომლებიც ჩემს მიერ არ იყო სავსებით მარჯვედ ან სავსებით ზუსტად ფორმულირებული, ამასთან უგულებელყოფილი იყო ბროშურის საერთო შინაარსი და მთელი სულისკვეთება. «რა ვაკეთოთ?» გამოვიდა 1902 წლის მარტში. პარტიული პროგრამის პროექტი (პლეხანოვის შედგენილი, «ისკრის» რედაქციის შესწორებებით) დაიბეჭდა 1902 წლის ივნისში თუ ივლისში. სტიქიურობის დამოკიდებულება შეგნებულობისადმი ამ პროექტში ფორმულირებული იყო «ისკრის» რედაქციის საერთო თანხმობით (დავა ჩემსა და პლეხანოვს შორის პროგრამის შესახებ წარმოებდა რედაქციის შიგნით, მაგრამ სწორედ არა ამ საკითხზე, არამედ მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნის საკითხებზე, ამასთან მე მოვითხოვდი უფრო გარკვეულ ფორმულირებას, ვიდრე პლეხანოვისა იყო; დავა წარმოებდა აგრეთვე პროლეტარიატის ან საერთოდ მშრომელი კლასების თვალსაზრისის განსხვავების შესახებ, ამასთან მე მოვითხოვდი პარტიის წმინდა პროლეტარული ხასიათის უფრო ვიწროდ განსაზღვრას).

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 281—282. რ ე დ.

მაშასადამე, რაიმე პრინციპულ განსხვავებაზე პროგრამის პროექტსა და «რა ვაკეთოთ?»-ს შორის ამ საკითხზე ლაპარაკიც შეუძლებელია. მეორე ყრილობაზე (1903 წლის აგვისტო) მარტინოვმა, მაშინდელმა ეკონომისტმა, დავა დაიწყო სტიქიურობასა და შეგნებულობაზე პროგრამაში გამოთქმული ჩვენი შეხედულებების წინააღმდეგ. ყველა ისკრელი მარტინოვის წინააღმდეგ ილაშქრებდა, როგორც ამას ხაზგასმით აღვნიშნავ ბროშურაში «ნაბიჯი წინ და სხვ.». აქედან ცხადია, რომ არსებითად უთანხმოება იყო ისკრელებსა და ეკონომისტებს შორის; უკანასკნელნი თავს ესხმოდნენ იმას, რ ა ც ს ა ე რ თ ო ი ყ ო «რა ვაკეთოთ?»-ში და პროგრამის პროექტებში. ხოლო სპეციალურად «რა ვაკეთოთ?»-ში მოცემული ჩემი ფორმულირებების «პროგრამულ» რამედ, განსაკუთრებულ პრინციპებად აღიარება მე მეორე ყრილობაზეც არ მიფიქრნია. პირიქით, მე ვიხმარე გამოთქმა, რომელსაც შემდგომ ხშირად იმოწმებდნენ, ჯოხის გადაღუნვის შესახებ. მე ვთქვი (იხ. რსდმპ მეორე ყრილობის ოქმები, 1903 წ., ჟენევა, 1904 წ.), «რა ვაკეთოთ?»-ში გასწორებულია ეკონომისტების მიერ გადაღუნული ჯოხი, და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ენერგიულად ვასწორებთ გადაღუნვებს, ჩვენი «ჯოხი» მუდამ ყველაზე უფრო სწორი იქნება-მეთქი *.

ამ სიტყვების აზრი ნათელია: «რა ვაკეთოთ?» პოლემიკურად ასწორებს ეკონომიზმს, და მისი შინაარსის განხილვა ბროშურის ამ ამოცანის გარეშე უმართებულოა. აქვე შევნიშნავ, რომ პლეხანოვის სტატია «რა ვაკეთოთ?»-ის წინააღმდეგ ა რ ა რ ი ს გადაბეჭდილი ახალი «ისკრის» კრებულში («ორი წლის მანძილზე»), და ამიტომ მე ახლა არ ვეხები პლეხანოვის მოსაზრებებს; მე მხოლოდ საქმის შინაარსს ვუმარტავ თანამედროვე მკითხველს, რომელიც შეიძლება წააწყდეს ამ საკითხზე მითითებებს აურაცხელ მენშევიკურ ნაწარმოებებში.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 609. რ ე დ.

მეორე შენიშვნა ეხება ეკონომიური ბრძოლისა და პროფესიული კავშირების საკითხს. ლიტერატურაში ხშირად დამახინჯებულადაა გადმოცემული ჩემი შეხედულებები ამ საკითხზე. ამიტომ საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ «რა ვაკეთოთ?»-ის ბევრი გვერდი შეიცავს ეკონომიური ბრძოლისა და პროფესიული კავშირების უ დ ი დ ე ს ი მნიშვნელობის განმარტებას. კერძოდ, მაშინ მე ვიცავდი პროფესიული კავშირების ნ ე ი ტ რ ა ლ ო ბ ა ს. მას შემდეგ, მიუხედავად ჩემი ოპონენტების მრავალი მტკიცებისა, არც ბროშურებში, არც საგაზეთო სტატიებში მ ე ა რ გ ა მ ო მ ი თ ქ ვ ა მ ს ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი ა ზ რ ი. რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობამ და შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ შეუძლებელია პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი დაცვა. კავშირების უმჭიდროესი დაახლოება პარტიასთან — ასეთია ერთადერთი სწორი პრინციპი. მისწრაფება — დავუახლოვოთ და დავუკავშიროთ კავშირები პარტიას — ასეთი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა, ამასთან იგი უნდა ხორციელდებოდეს მტკიცედ და ურყევად მთელს ჩვენს პროპაგანდასა, აგიტაციასა და ორგანიზაციულ მუშაობაში, არ უნდა გამოვედევნოთ რა უბრალო «აღიარებებს» და არ განვდევნოთ სხვაგვარად მოაზროვნენი პროფესიული კავშირებიდან.

* * *

ბროშურა «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» გამოვიდა ჟენევაში 1904 წლის ზაფხულში. მასში აღწერილია ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მეორე ყრილობაზე (1903 წლის აგვისტო) დაწყებული გათიშვის პირველი სტადია. ამ ბროშურიდან მე ამოვაგდე თითქმის ნახევარი, რადგან ორგანიზაციული ბრძოლის, განსაკუთრებით პარტიული ცენტრების პირადი შემადგენლობის გამო წარმოებული ბრძოლის, წვრილმანები სრულიად არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს თანამედროვე მკითხველისათვის და, არსებითად, დავიწყების ღირსია.

მე აქ არსებითი მგონია ანალიზი ტაქტიკურ და სხვა შეხედულებათა ბრძოლისა მეორე ყრილობაზე და პოლემიკა მენშევიკების საორგანიზაციო შეხედულებათა გამო: ერთიც და მეორეც აუცილებელია იმისათვის, რომ გავიგოთ მენშევიზმი და ბოლშევიზმი, როგორც მიმდინარეობანი, რომლებმაც თავისი დაღი დაასვეს მუშათა პარტიის მთელ მუშაობას ჩვენს რევოლუციაში.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე გამართული კამათიდან აღვნიშნავ კამათს აგრარული პროგრამის შესახებ. მოვლენებმა უეჭველად დაამტკიცეს, რომ მაშინდელი ჩვენი პროგრამა (ჩამონაჭრების დაბრუნება) უაღრესად ვიწრო იყო და ჯ ე რ ო ვ ნ ა დ ვ ე რ ა ფ ა ს ე ბ დ ა გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ძალებს, — ამაზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ ამ გამოცემის მეორე ტომში *. აქ კი საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რ ო მ ე ს უ ა ღ რ ე ს ა დ ვ ი წ რ ო აგრარული პროგრამაც კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთას მაშინ ძ ა ლ ი ა ნ ფ ა რ თ ო ეჩვენებოდა. მარტინოვი და სხვა ეკონომისტები მის წინააღმდეგ იბრძოდნენ, იმიტომ, რომ იგი თითქოს ძალზე შორს მიდიოდა! აქედან შეგვიძლია დავინახოთ, რა სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი «ისკრის» მთელ ბრძოლას ეკონომიზმთან, ბრძოლას სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის მთელი ხასიათის შევიწროებისა და დამდაბლების წინააღმდეგ.

მაშინ (1904 წლის პირველი ნახევარი) უთანხმოებანი მენშევიკებთან ორგანიზაციული საკითხებით ამოიწურებოდა. მენშევიკების პოზიცია მე დავახასიათე, როგორც «ოპორტუნიზმი საორგანიზაციო საკითხებში». ილაშქრებდა რა ამის წინააღმდეგ, პ. ბ. აქსელროდი კაუტსკის სწერდა: «ჩემი სუსტი განსჯით ვერ გამიგია, რა ხილია ეს: «ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში», — რომელსაც აყენებენ როგორც რაღაც დამოუკიდებელს, პროგრამულ და ტაქტიკურ შეხედულებებ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 312 — 316. რ ე დ.

თან ორგანულად დაუკავშირებელსო» (წერილი 1904 წლის 6 ივნისის თარიღით, გადაბეჭდილია ახალი «ისკრის» კრებულში — «ორი წლის მანძილზე», ნაწ. II, გვ. 149).

თუ როგორი ორგანული კავშირია ოპორტუნიზმის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ შეხედულებებს შორის, ეს საკმაოდ ცხადყო მენშევიზმის 1905 — 1907 წლების მთელმა ისტორიამ. ხოლო რაც შეეხება «უცნობ ხილს»: «ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში», ცხოვრებამ ისე ბრწყინვალედ დაადასტურა ჩემი შეფასების სისწორე, რომ მე არც კი მოველოდი. საკმაოა მივუთითოთ, რომ მ ე ნ შ ე ვ ი კ ი ჩერევანინიც კი იძულებულია აღიაროს ახლა (იხ. მისი ბროშურა რსდმ პარტიის ლონდონის 1907 წლის ყრილობის შესახებ), აქსელროდის ორგანიზაციული გეგმებიდან (ყბადაღებული «მუშათა ყრილობა» და სხვ.) მხოლოდ პროლეტარიატის საქმის დამღუპველი გათიშვა გამომდინარეობსო. კიდევ მეტი. იგივე მენშევიკი ჩერევანინი მოგვითხრობს, პლეხანოვს ლონდონში მენშევიკური ფრაქციის შიგნით მოუხდა ბრძოლა «ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ა ნ ა რ ქ ი ზ მ ი ს» წინააღმდეგო. ამრიგად, ტყუილად როდი ვებრძოდი მე 1904 წელს «ოპორტუნიზმს ორგანიზაციულ საკითხებში», თუკი 1907 წელს ჩერევანინიც და პლეხანოვიც იძულებულნი შეიქნენ ეღიარებინათ გავლენიანი მენშევიკების «ორგანიზაციული ანარქიზმი».

ორგანიზაციული ოპორტუნიზმიდან მენშევიკები გადავიდნენ ტაქტიკურ ოპორტუნიზმზე. ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» * (გამოვიდა ჟენევაში 1904 წლის დამლევს, მგონი, ნოემბერში თუ დეკემბერში) აღნიშნავს მათ პირველ ნაბიჯს ამ გზაზე. თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ისეთ ადგილებს, თითქოს უთანხმოებანი საერობო კამპანიის საკითხზე გამოწვეული იყო — ბოლშევიკების მხრივ — ერობელთა წინაშე დემონსტრაციის ყოველგვარი სარგებლობის უარყოფით. მკითხველი დაინახავს, რომ ეს სრულიად შემცდარი შეხედულებაა. უთანხმოება გამოწვეუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 7, გვ. 621 — 648. რ ე დ.

ლი იყო იმით, რომ მენშევიკები მაშინ ალაპარაკდნენ, პ ა ნ ი კ ა არ გამოვიწვიოთ ლიბერალებშიო, — ხოლო კიდევ უფრო იმით, რომ როსტოვის 1902 წლის გაფიცვის შემდეგ, 1903 წლის ზაფხულის გაფიცვებისა და ბარიკადების შემდეგ, 1905 წლის 9 იანვრის წინადღით მენშევიკებს ცამდე აჰყავდათ დემონსტრაციები ერობელების წინაშე, როგორც დემონსტრაციების უ მ ა ღ ლ ე ს ი ტ ი პ ი. ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» პირველ ნომერში (ჟენევა, 1905 წ. იანვარი) «საერობო კამპანიის» მენშევიკური «გეგმის» ეს შეფასება გამოხატული იყო ამ საკითხისადმი მიძღვნილი ფელეტონის სათაურში: «პროლეტართა კარგი დემონსტრაციები და ინტელიგენტთა ცუდი მსჯელობანი» *.

ამ კრებულში გადმობეჭდილი უკანასკნელი ბროშურა: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» გამოვიდა ჟენევაში 1905 წლის ზაფხულზე **. აქ უკვე სისტემატურად არის გადმოცემული ძ ი რ ი თ ა დ ი ტაქტიკური უთანხმოებანი მენშევიკებთან; — ლონდონში გაზაფხულზე შემდგარი «რსდმ პარტიის III ყრილობის» (ბოლშევიკურის) და ჟენევის მენშევიკური კონფერენციის რეზოლუციებმა სავსებით ჩამოაყალიბეს ეს უთანხმოებანი და მიიყვანეს ისინი ძ ი რ ი თ ა დ უთანხმოებამდე მთელი ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის შეფასებაში პროლეტარიატის ამოცანების თვალსაზრისით. ბოლშევიკები მიუთითებდნენ პროლეტარიატს ბ ე ლ ა დ ი ს როლზე დემოკრატიულ რევოლუციაში. მენშევიკებს მისი როლი დაყავდათ «უკიდურესი ოპოზიციის» ამოცანებამდე. ბოლშევიკები დადებითად განსაზღვრავდნენ რევოლუციის კლასობრივ ხასიათსა და კლასობრივ მნიშვნელობას, როდესაც ამბობდნენ: ძლევამოსილი რევოლუცია — ეს არის «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა». მენშევიკები ბურჟუაზიული რევოლუციის ცნებას ყოველთვის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 16 — 23. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 9, გვ. 1 — 162. რ ე დ.

ისე უმართებულოდ განმარტავდნენ, რომ ურიგდებოდნენ პროლეტარიატის დაქვემდებარებულ და ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულ როლს რევოლუციაში.

ცნობილია, თუ რა კვალი დატოვა პრაქტიკაში ამ პრინციპულმა უთანხმოებამ. ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი ბოლშევიკების მხრივ და მენშევიკების მერყეობა. ვიტეს სათათბიროს ბოიკოტი ბოლშევიკების მხრივ და მერყეობა მენშევიკებისა, რომლებიც არჩევნებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ არა სათათბიროს არჩევნებისაკენ. კადეტური სამინისტროსა და კადეტების პოლიტიკის მხარის დაჭერა მენშევიკების მხრივ პირველ სათათბიროში და კონსტიტუციური ილუზიების და კადეტების კონტრრევოლუციურობის გაბედული მხილება ბოლშევიკების მხრივ «მემარცხენეთა აღმასრულებელი კომიტეტის» [47] იდეის პროპაგანდასთან ერთად. შემდეგ, ბოლშევიკების მემარცხენე ბლოკი II სათათბიროს არჩევნებში და მენშევიკების ბლოკი კადეტებთან და სხვ., და სხვ.

ახლა რუსეთის რევოლუციის «კადეტურ პერიოდს» (გამოთქმა ბროშურისა: «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები», 1906 წლის მარტი) *, მგონი, აღსასრული დაუდგა. კადეტების კონტრრევოლუციურობა სავსებით მხილებულია. კადეტები თვითონ იწყებენ იმის აღიარებას, რომ ისინი მუდამ რევოლუციის წინააღმდეგ იბრძოდნენ, და ბ-ნი სტრუვეც აშკარად გამოთქვამს კადეტური ლიბერალიზმის იდუმალ აზრებს. რაც უფრო ყურადღებით გადახედავს ახლა შეგნებული პროლეტარიატი მთელ ამ კადეტურ პერიოდს მთლიანად, მთელ ამ «კონსტიტუციურ ზიგზაგს», — მით უფრო აშკარა გახდება, რომ ბოლშევიკებმა წინდაწინვე სავსებით სწორად შეაფასეს ეს პერიოდიც და კადეტების პარტიის დედაარსიც, რომ მენშევიკები, მართლაც, ახორციელებდნენ შემცდარ პოლიტიკას, რომლის ობიექტური მნიშვნელობა უდრიდა დამოუკიდებელი პროლეტარული პოლი-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 227 — 329. რ ე დ.

ტიკის ბურჟუაზიული ლიბერალიზმისადმი პროლეტარიატის დამორჩილების პოლიტიკით შეცვლას.

*
* *

როცა საერთოდ თვალს ვავლებთ ორი მიმდინარეობის ბრძოლას რუსეთის მარქსიზმში და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში 12 წლის მანძილზე (1895 — 1907), არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ «ლეგალური მარქსიზმი», «ეკონომიზმი» და «მენშევიზმი» ერთი და იმავე ისტორიული ტენდენციის გამოხატულების სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ. ბ-ნ სტრუვეს (1894) და მის მსგავსთა «ლეგალური მარქსიზმი» იყო მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. «ეკონომიზმმა», როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშაობის განსაკუთრებულმა მიმართულებამ 1897 და შემდგომ წლებში, ფაქტიურად განახორციელა ბურჟუაზიულ-ლიბერალური «Credo» *-ს პროგრამა: მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლა. მენშევიზმი არის არა მარტო ლიტერატურული მიმდინარეობა, არა მარტო სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მიმართულება, არამედ ეს არის დარაზმული ფრაქცია, რომელმაც რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის მანძილზე (1905 — 1907 წლები) განახორციელა განსაკუთრებული პოლიტიკა, რომელიც სინამდვილეში პროლეტარიატს ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს უმორჩილებდა**.

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რედ.

** სხვადასხვა მიმდინარეობის და ელფერის ბრძოლის ანალიზი პარტიის მეორე ყრილობაზე (იხ. ბროშურა «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», 1904 წ.) ურყევად ამტკიცებს 1897 და შემდგომი წლების «ეკონომიზმის» პირდაპირ და უშუალო კავშირს «მენშევიზმთან». ხოლო სოციალ-დემოკრატიაში «ეკონომიზმის» კავშირი «ლეგალურ მარქსიზმთან» ანუ 1895 — 1897 წლების «სტრუვიზმთან» მე ცხადვყავი ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» (1902 წ.). ლეგალური მარქსიზმი-ეკონომიზმი-მენშევიზმი არა მარტო იდეურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ისინი დაკავშირებულნი არიან აგრეთვე პირდაპირი ისტორიული თანამომდევნობითაც.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატი გარდუვალად დაკავშირებულია ათასნაირი გარდამავალი საფეხურით თავის მეზობელთან მარჯვნივ: წვრილ ბურჟუაზიასთან. ყველა მუშათა პარტიაში აუცილებლად იქმნება ასე თუ ისე მკვეთრად გამოსახული მემარჯვენე ფრთა, რომელიც თავისი შეხედულებებით, თავისი ტაქტიკით, თავისი ორგანიზაციული «ხაზით» წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის ტენდენციებს გამოხატავს. ისეთ წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველ ჩანასახთა ეპოქაში ეს ტენდენციები არ შეიძლებოდა უფრო მკვეთრად, უფრო გარკვევით, უფრო თვალსაჩინოდ არ გამოხატულიყო, ვიდრე სადმე ევროპაში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ტენდენციის გამოვლინების სხვადასხვა ფორმის გაცნობა აუცილებელია რევოლუციური მარქსიზმის განსამტკიცებლად, განმათავისუფლებელ ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასის გამოსაწრთობად.

1907 წლის სექტემბერი

| | |
|---|---|
| დაიბეჭდა 1907 წლის ნოემბერში კრებულში «12 წლის მანძილზე», ს.-პეტერბურგი<br>ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი | იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით |

# რევოლუცია და კონტრრევოლუცია

1905 წლის ოქტომბერში რუსეთი უდიდეს რევოლუციურ აღმავლობას განიცდიდა. პროლეტარიატმა თავის გზაზე უკუაგდო ბულიგინის სათათბირო და ხალხის ფართო მასები ჩააბა უშუალო ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1907 წლის ოქტომბერში, როგორც ჩანს, ჩვენ აშკარა მასობრივი ბრძოლის უდიდეს დაცემას განვიცდით. მაგრამ 1905 წლის დეკემბრის დამარცხების შემდეგ დაწყებულ დაცემის პერიოდს თან მოჰყვა არა მარტო კონსტიტუციური ილუზიების აყვავება, არამედ მათი სრული კრახიც. მესამე სათათბირო, რომელსაც იწვევენ ორი სათათბიროს გარეკვისა და 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, აშკარად უღებს ბოლოს თვითმპყრობელობისა და სახალხო წარმომადგენლობის მშვიდობიანი თანაცხოვრების რწმენის პერიოდს და ახალ ეპოქას იწყებს რევოლუციის განვითარებაში.

ისეთ მომენტში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, შედარების საჭიროება რევოლუციისა და კონტრრევოლუციისა რუსეთში, რევოლუციური შეტევის პერიოდისა (1905 წ.) და კონსტიტუციობანას კონტრრევოლუციური თამაშის პერიოდისა (1906 და 1907 წლები) თავისთავად იბადება. უახლოესი დროისთვის პოლიტიკური ხაზის ყოველი განსაზღვრა აუცილებლად შეიცავს ასეთ შედარებას. «რევოლუციის შეცდომების» თუ «რევოლუციური ილუზიების» დაპირისპირება «დადებითი კონსტიტუციური მუშაობისადმი» თანამედროვე პოლიტიკური ლიტერატურის ძირითადი მოტივია. ამაზე გაჰყვირიან კადეტები წინასაარჩევნო კრებებზე. ამაზე მღერის, ჰგოდებს და ღაღა-

დებს ლიბერალური პრესა. აქვეა ბ-ნი სტრუვეც, რომელიც გაცხარებითა და გაბოროტებით იყრის ჯავრს რევოლუციონერებზე «კომპრომისის» იმედის საბოლოოდ გაცრუების გამო. აქვეა მილიუკოვიც, რომელიც მიუხედავად მთელი მისი პრანჭიობისა და იეზუიტიზმისა, მოვლენათა მსვლელობამ აიძულა დაეწერა აშკარა, ზუსტი და — რაც მთავარია — მართალი სტატია: «მტრები მარცხნივ». აქვე არიან «ტოვარიშჩის» ყაიდის პუბლიცისტებიც, კუსკოვა, სმირნოვი, პლეხანოვი, გორნი, იორდანსკი, ჩერევანინი და სხვ., რომლებიც ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლას ჰკიცხავენ მისი წინდაუხედაობის გამო და ასე თუ ისე აშკარად ჰქადაგებენ «დემოკრატიულ» კოალიციას კადეტებთან. ამ მღვრიე ნაკადის ნამდვილი კადეტური ელემენტები ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ინტერესებსა და ინტელიგენტური მეშჩანობის უსაზღვრო ლაქიობას გამოხატავენ. ხოლო იმ ელემენტების უმთავრეს თვისებას, რომლებიც ჯერ კიდევ სავსებით არ მისულან სტრუვემდე, წარმოადგენს რუსეთის რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის არსებული კავშირის გ ა უ გ ე ბ ლ ო ბ ა, უუნარობა მთელს ჩვენს მიერ განცდილ პერიოდს შეხედონ, როგორც ერთ მთლიან საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც თავისი შინაგანი ლოგიკით ვითარდება.

რევოლუციური შეტევის პერიოდმა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი გვიჩვენა რუსეთის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა და სხვადასხვა კლასის დამოკიდებულება ძველი თვითმპყრობელობისადმი. მოვლენებმა ასწავლა ახლა ყველას და თვითეულს, თვით იმათაც კი, ვისაც საერთო არაფერი აქვთ მარქსიზმთან, რომ რევოლუციის წელთაღრიცხვა აწარმოონ 1905 წლის 9 იანვრიდან, ე. ი. ერთი გარკვეული კ ლ ა ს ი ს მ ა ს ე ბ ი ს პირველი შ ე გ ნ ე ბ უ ლ-პოლიტიკური მოძრაობიდან. როდესაც სოციალ-დემოკრატიას რუსეთის ეკონომიური სინამდვილის ანალიზიდან გამოჰყავდა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი, მისი ჰეგემონია ჩვენს რევოლუციაში, — ეს თეორეტიკოსების მწიგნობრული გატაცება ეგონათ. რევოლუ-

ციამ დაადასტურა ჩვენი თეორია, რადგან ის არის ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური თეორია. პროლეტარიატი ნამდვილად მუდამ რევოლუციის სათავეში იდგა. სოციალ-დემოკრატია ნამდვილად პროლეტარიატის მოწინავე იდეური რაზმი აღმოჩნდა. მასების ბრძოლა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა, — უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე ამას ბევრი რევოლუციონერი მოელოდა. ერთი წლის მანძილზე ეს ბრძოლა განვითარდა რევოლუციური შეტევის უაღრესად გადამწყვეტ ფორმებამდე, როგორიც კი ახსოვს ისტორიას, მასობრივ გაფიცვამდე და შეიარაღებულ აჯანყებამდე. პროლეტარული მასების ორგანიზაცია გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა თვით ბრძოლის პროცესში. პროლეტარიატთან ერთად დარაზმვა იწყეს მოსახლეობის სხვა ფენებმა, რომლებიც რევოლუციური ხალხის მებრძოლ კადრებს შეადგენდნენ. ირაზმებოდა ყოველგვარ მოსამსახურეთა ნახევრადპროლეტარული მასა, შემდეგ გლეხური დემოკრატია, პროფესიული ინტელიგენცია და სხვ. პროლეტარულ გამარჯვებათა პერიოდი წარმოადგენდა საერთოდ მასობრივი დარაზმულობის ისეთი ზრდის პერიოდს, როგორიც რუსეთში ჯერ არნახულა და ევროპული თვალსაზრისითაც კი გიგანტური იყო. ამ პერიოდში პროლეტარიატმა მოიპოვა მთელი რიგი გაუმჯობესებანი თავისი შრომის პირობებისა. გლეხთა მასამ მიაღწია იმას, რომ «შემცირდა» მემამულეთა თვითნებობა, დაიკლო მიწის საიჯარო და გასაყიდმა ფასებმა. მთელმა რუსეთმა მოიპოვა კრებების, სიტყვისა და კავშირების მნიშვნელოვანი თავისუფლება, მოიპოვა ის, რომ თვითმპყრობელობამ საქვეყნოდ აიღო ხელი ძველ წესრიგზე და კონსტიტუცია აღიარა.

ყველაფერი, რაც კი დღემდე მოუპოვებია განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთში, მოპოვებულია სავსებით და მხოლოდ და მხოლოდ მასების რევოლუციური ბრძოლით პროლეტარიატის მეთაურობით.

გარდატეხა ბრძოლის განვითარებაში იწყება დეკემბრის აჯანყების დამარცხებით. კონტრრევოლუცია თანდათანობით გადმოდის შეტევაზე მასობრივი ბრძოლის შესუსტებისდა მიხედვით. პირველი სათათბიროს ეპოქაში ამ ბრძოლამ ჯერ კიდევ ფრიად საგრძნობლად იჩინა თავი გლეხთა მოძრაობის გაძლიერებით, მებატონე-მემამულეთა კარმიდამოების ფართოდ განადგურებით, ჯარისკაცთა მთელი რიგი აჯანყებებით. და რეაქციაც მაშინ ნელნელა უტევდა, ვერ ბედავდა ერთბაშად მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. მხოლოდ სვეაბორგისა და კრონშტადტის 1906 წლის ივლისის აჯანყებათა ჩაქრობის შემდეგ რეაქცია უფრო თამამდება, ამყარებს სამხედრო-საველე რეჟიმს, იწყებს საარჩევნო უფლების ნაწილ-ნაწილად წართმევას (სენატის განმარტებანი[48]), დასასრულ, საბოლოოდ პოლიციის ალყას არტყამს მეორე სათათბიროს და ამხობს მთელ ყბადაღებულ კონსტიტუციას. მასების ყოველგვარი თვითნებური, თავისუფალი ორგანიზაციები ამ დროს შეიცვალა «ლეგალური ბრძოლით» დუბასოვებისა და სტოლიპინების მიერ განმარტებული პოლიციური კონსტიტუციის ფარგლებში. სოციალ-დემოკრატიის მეთაურობა შეიცვალა კადეტების მეთაურობით, რომლებიც ორივე სათათბიროში ბატონობდნენ. მასების მოძრაობის დაცემის პერიოდი კადეტების პარტიის უმაღლესი გაფურჩქვნის პერიოდი იყო. იგი ხელს ითბობდა ამ დაცემით და კონსტიტუციისათვის «მებრძოლად» გამოდიოდა. იგი მთელი ძალღონით განამტკიცებდა ხალხში ამ კონსტიტუციისადმი რწმენას და ქადაგებდა სწორედ «საპარლამენტო» ბრძოლით დაკმაყოფილების აუცილებლობას.

«კადეტური კონსტიტუციის» კრახი არის კადეტური ტაქტიკისა და კადეტების ჰეგემონიის კრახი განმათავისუფლებელ ბრძოლაში. «რევოლუციური ილუზიების» და «რევოლუციის შეცდომების» თემაზე ჩვენი ლიბერალიზმის მთელი მსჯელობის ანგარებიან-კლასობრივი ხასიათი თვალსაჩინოდ აშკარავდება რევოლუციის ორივე პერიოდის შედარებისას. მასობრივმა პროლეტარულმა ბრძოლამ მთელ ხალხს მისცა მონაპოვარნი.

მოძრაობის ლიბერალურ ხელმძღვანელობას დამარცხებათა გარდა არაფერი მოუცია. პროლეტარიატის რევოლუციური შეტევა განუხრელად ამაღლებდა მასების შეგნებას და მათ დარაზმულობას, მათ წინაშე აყენებდა სულ უფრო და უფრო დიდ ამოცანებს, ავითარებდა მათ დამოუკიდებელ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასწავლიდა მათ ბრძოლას. ლიბერალების ჰეგემონია ორივე სათათბიროს პერიოდში აქვეითებდა მასების შეგნებას, შლიდა მათ რევოლუციურ დარაზმულობას, აჩლუნგებდა დემოკრატიული ამოცანების შეგნებას.

I და II სათათბიროს ლიბერალურმა ბელადებმა დიდებულად დაანახვეს ხალხს თავიანთი მუხლმოყრილი, ლეგალური «ბრძოლა», რომელმაც იქამდე მიიყვანა საქმე, რომ თვითმპყრობელობის მოტრფიალე მებატონეებმა კალმის ერთი მოსმით აღგავეს ლიბერალურ მოლაყბეთა კონსტიტუციური პარადიზი * და სასაცილოდ აიგდეს მინისტრთა დერეფნებში მოხეტიალეთა ფრთხილი დიპლომატია. ლიბერალების აქტივში არ ირიცხება არც ერთი მონაპოვარი რუსეთის რევოლუციის მთელი ხნის განმავლობაში, არც ერთი წარმატება, არც ერთი ასე თუ ისე დემოკრატიული საქმე, რომელსაც ხალხის ძალები დაერაზმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1905 წლის ოქტომბრამდე ლიბერალები ზოგჯერ თანაგრძნობის ნეიტრალიტეტს იცავდნენ მასების რევოლუციური ბრძოლის მიმართ, მაგრამ მაშინაც კი მათ უკვე დაიწყეს ამ რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ გამოსვლა: ისინი დეპუტაციას გზავნიდნენ მეფისადმი მიმართული საზიზღარი სიტყვებით, მხარს უჭერდნენ ბულიგინის სათათბიროს არა მოუაზრებლობის გამო, არამედ რევოლუციისადმი პირდაპირი მტრობის გამო. 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ ლიბერალები მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ სამარცხვინოდ ღალატობდნენ ხალხის თავისუფლების საქმეს.

* — სამოთხე. რ ე დ.

1905 წლის ნოემბერში ისინი ბ-ნ სტრუვეს გზავნიდნენ ინტიმური საუბრისათვის ბ-ნ ვიტესთან. 1906 წლის გაზაფხულზე ისინი ძირს უთხრიდნენ რევოლუციურ ბოიკოტს და თავიანთი უარით, რომ აშკარად გამოსულიყვნენ ევროპის წინაშე სესხის წინააღმდეგ, მთავრობას ეხმარებოდნენ მილიარდების შოვნაში რუსეთის დასაპყრობად. 1906 წლის ზაფხულში ისინი უკანა კარებიდან ევაჭრებოდნენ ტრეპოვს სამინისტრო პორტფელებზე და იბრძოდნენ I სათათბიროში «მემარცხენეების», ე. ი. რევოლუციის წინააღმდეგ. 1907 წლის იანვარში ისინი ისევ დაძვრებოდნენ პოლიციის ხელისუფლებთან (მილიუკოვის დარბაზობა სტოლიპინთან). 1907 წლის გაზაფხულზე ისინი მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ დ ნ ე ნ მთავრობას II სათათბიროში. რევოლუციამ ძლიერ ჩქარა ამხილა ლიბერალიზმი და საქმით დაგვანახვა მისი კონტრრევოლუციური ბუნება.

ა მ მხრივ კონსტიტუციური გატაცების პერიოდს სავსებით უსარგებლოდ არ ჩაუვლია ხალხისთვის. პირველი და მეორე სათათბიროს გამოცდილებამ ხალხს არა მარტო იმ როლის უსაზღვრო უბადრუკობა შეაგნებინა, რომელსაც ლიბერალიზმი ასრულებს ჩვენს რევოლუციაში. არა, ამ გამოცდილებამ საქმითაც აღმოფხვრა დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობის ცდა იმ პარტიის მხრივ, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური ბალღები ან გამოტვინებული მოხუცები თუ ჩათვლიან ნამდვილ კონსტიტუციურ-«დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ» პარტიად.

1905 წელს და 1906 წლის დამდეგს რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივი შემადგენლობა ჯერ კიდევ ყველასთვის ნათელი არ იყო. იმის იმედი, რომ შესაძლებელია თვითმპყრობელობის შეთავსება ხალხის ცოტად თუ ბევრად ფართო მასების ნამდვილ წარმომადგენლობასთან, არა მარტო სხვადასხვა მივარდნილი კუთხეების უმეცარ და დაბეჩავებულ მოსახლეობას ჰქონდა. ასეთი იმედები უცხო არ იყო თვითმპყრობელობის მმართველი წრეებისთვისაც. რატომ აძლევდა როგორც ბულიგინის, ისე ვიტეს სათათბიროს საარჩევნო კა-

ნონი საგრძნობ წარმომადგენლობას გლეხობას? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ იყო რწმენა სოფლის მონარქისტული განწყობილებისადმი. «ტეტია გლეხი გვიხსნისო», — მთავრობის გაზეთის ეს წამოძახილი 1906 წლის გაზაფხულზე გამოხატავდა მთავრობის იმედს, გლეხთა მასა კონსერვატიულიაო. იმ ხანებში კადეტებს არათუ შეგნებული არ ჰქონდათ ანტაგონიზმი გლეხების დემოკრატიზმსა და ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს შორის, არამედ კიდევაც ეშინოდათ გლეხების ჩამორჩენილობისა და ერთი რამ სურდათ: სათათბიროს დახმარება გაეწია კონსერვატიული თუ გულგრილი გლეხის ლიბერალად გადაქცევისათვის. 1906 წლის გაზაფხულზე ბ-ნი სტრუვე გაბედულ სურვილს გამოხატავდა, როდესაც წერდა: «გლეხი სათათბიროში კადეტი გახდებაო». 1907 წლის ზაფხულში იმავე ბ-მა სტრუვემ ბრძოლის დროშა ააფრიალა შრომის ანუ მემარცხენე პარტიების, როგორც ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა და თვითმპყრობელობას შორის გარიგების მოჭახრაკების საქმეში უმთავრესი დაბრკოლების წინააღმდეგ. წელიწადნახევრის განმავლობაში გლეხთა პოლიტიკური განათლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი ლიბერალებმა შეცვალეს პოლიტიკურად «მეტისმეტად» განათლებული და მომთხოვნელი გლეხის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით.

ლოზუნგების ასეთი შეცვლა უაღრესი სიცხადით გამოხატავს ლიბერალიზმის სრულ გაკოტრებას რუსეთის რევოლუციაში. სოფლის დემოკრატიული მოსახლეობის მასის და მეგატონე-მემამულეების კლასობრივი ანტაგონიზმი განუზომლად უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ მხდალსა და გონებაჩლუნგ კადეტებს. სწორედ ამიტომ ჩაიფუშა ასე ჩქარა და ასე საბოლოოდ მათი ცდა — ჰეგემონია ეკისრნათ დემოკრატიისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ დამარცხდა მთელი მათი «ხაზი» — შეერიგებინათ ხალხის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული მასა ოქტიაბრისტულ და შავრაზმულ მემამულეებთან. ორივე სათათბიროს კონტრრევოლუციური პერიოდის უდიდესი, თუმცა უარყო-

ფითი, მონაპოვარი ის არის, რომ გაკოტრდნენ «ხალხის თავისუფლებისათვის» მუხანათური «მებრძოლნი». ქვემოდან დაწყებულმა კლასობრივმა ბრძოლამ შორს გადაისროლა მინისტრის დერეფნის ეს გმირები, გადააქცია ისინი ხელმძღვანელობის პრეტენდენტებიდან კონსტიტუციური ლაქით ოდნავ შეფერილი ოქტიაბრიზმის უბრალო ლაქიებად.

ვისაც დღემდე ვერ დაუნახავს ეს გაკოტრება ლიბერალებისა, რომლებმაც საქმით გამოსცადეს, თუ რამდენად ვარგან ისინი დემოკრატიისათვის მებრძოლებად ან მებრძოლებად დემოკრატიის რიგებში მაინც, მას სრულებით ვერაფერი გაუგია ორი სათათბიროს პოლიტიკურ ისტორიაში. უაზროდ განმეორება გაზეპირებული ფორმულისა ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მხარისდაჭერის შესახებ ასეთ ადამიანებში კონტრრევოლუციურ წუწუნად იქცევა. გული კი არ უნდა დაწყდეთ სოციალ-დემოკრატებს კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევის გამო. მათ უნდა თქვან, როგორც მარქსი ამბობდა გერმანიის კონტრრევოლუციის შესახებ: ხალხმა მოიგო ის, რომ დაჰკარგა თავისი ილუზიები[49]. რუსეთის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ მოიგო ის, რომ დაჰკარგა უვარგისი ბელადები და უნიათო მოკავშირენი. მით უკეთესი ამ დემოკრატიის პოლიტიკური განვითარებისათვის.

პროლეტარიატის პარტიას ისღა დარჩენია, რომ იზრუნოს, რათა ჩვენი რევოლუციისა და კონტრრევოლუციის მდიდარი პოლიტიკური გაკვეთილები ფართო მასებმა უფრო ღრმად გაიაზრონ და უფრო მტკიცედ შეითვისონ. თვითმპყრობელობაზე შეტევის პერიოდმა გაშალა პროლეტარიატის ძალები და შეასწავლა მას რევოლუციური ტაქტიკის საფუძვლები, უჩვენა მასების უშუალო ბრძოლის წარმატების პირობები, მასების ბრძოლისა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მოიპოვოს ცოტად თუ ბევრად სერიოზული გაუმჯობესებანი. პროლეტარიატის ძალების მომზადების, მისი აღზრდისა და დარაზმვის ხანგრძლივი პერიოდი წინ უძღოდა ასი ათასობით მუშის იმ გამოსვლებს, რომლებმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს რუ-

სეთის ძველ თვითმპყრობელობას. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა გამოხატულების ხანგრძლივი და ჩუმი ხელმძღვანელობა, მტკიცე, ნაცადი პარტიის შექმნისათვის მუშაობა წინ უძღოდა ნამდვილი მასობრივი ბრძოლის აფეთქებას და უზრუნველყო ამ აფეთქების რევოლუციად გადაქცევის პირობები. და ახლა პროლეტარიატმა, როგორც ხალხის მოწინავე მებრძოლმა, უნდა განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია, მოიცილოს ინტელიგენტური ოპორტუნიზმის ყოველგვარი ობი, დარაზმოს თავისი ძალები ასეთივე ნაცადი და შეუპოვარი მუშაობისათვის. ისტორიის მსვლელობითა და ფართო მასების ობიექტური მდგომარეობით რუსეთის რევოლუციის წინაშე დასახული ამოცანები არ არის გადაჭრილი. ახალი, საერთო-სახალხო პოლიტიკური კრიზისის ელემენტები არა თუ არ არის ლიკვიდირებული, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდნენ და გაფართოვდნენ. ამ კრიზისის დაწყება პროლეტარიატს კვლავ საერთო-სახალხო მოძრაობის სათავეში დააყენებს. ამ როლისთვის მზად უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. და 1905 და შემდგომი წლების ამბებით განაყოფიერებულ ნიადაგზე ნათესი ათწილ უკეთეს მოსავალს მოგვცემს. თუკი პარტიას, მუშათა კლასის რამდენიმე ათასი შეგნებული, მოწინავე ადამიანისაგან შემდგარს, 1905 წლის მიწურულში მილიონი პროლეტარი გაჰყვა, ახლა ჩვენი პარტია, რომელიც ითვლის ათეულ ათასობით რევოლუციაში გამობრძმედილ და თვით ბრძოლაში მუშათა მასებთან უფრო მჭიდროდ შეკავშირებულ სოციალ-დემოკრატებს, თან გაიყოლიებს ათეულ მილიონებს და დაძლევს მტერს.

რევოლუციური ამბების ზეგავლენით რუსეთის მუშათა მოძრაობის როგორც სოციალისტური, ისე დემოკრატიული ამოცანები შეუდარებლად უფრო მკვეთრად გამოისახა, უფრო დაჟინებით წამოიჭრა პირველ რიგში. ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უმაღლეს საფეხურზე ადის. კაპიტალისტები ერთიანდებიან სრულიად რუსეთის კავშირებად, უფრო მჭიდ-

როდ უერთდებიან მთავრობას და უფრო ხშირად მიმართავენ ეკონომიური ბრძოლის უაღრესად უკიდურეს საშუალებებს, თვით მასობრივ ლოკაუტებსაც კი, რათა «ალაგმონ» პროლეტარიატი. მაგრამ დევნა მხოლოდ დრომოჭმულ კლასებს აშინებს, პროლეტარიატი კი იზრდება რიცხობრივად და ირაზმება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ჩქარია ბატონ კაპიტალისტების წარმატებანი. პროლეტარიატის უძლეველობის თავდებია როგორც რუსეთის, ისე მთელი მსოფლიოს ეკონომიური განვითარება. ბურჟუაზიამ ჩვენს რევოლუციაში პირველად დაიწყო ჩამოყალიბება კლასად, ერთიან და შეგნებულ პოლიტიკურ ძალად. მით უფრო წარმატებით წავა მუშების ერთიან კლასად დარაზმვაც მთელ რუსეთში. მით უფრო ღრმა იქნება უფსკრული კაპიტალის სამყაროსა და შრომის სამყაროს შუა, მით უფრო ნათელი იქნება მუშების სოციალისტური შეგნება. სოციალისტური აგიტაცია პროლეტარიატში, რევოლუციის გამოცდილებით გამდიდრებული, უფრო გარკვეულ ხასიათს მიიღებს. ბურჟუაზიის პოლიტიკური ორგანიზაცია საუკეთესო ბიძგია სოციალისტური მუშათა პარტიის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად.

ამ პარტიის ამოცანები დემოკრატიისათვის ბრძოლაში ამიერიდან შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ «თანამგრძნობ» ინტელიგენტებს შორის, რომლებიც ემზადებიან ლიბერალების მხარეზე გადასასვლელად. მუშათა მასებისათვის ეს ამოცანები უაღრესად აშკარა გახდა რევოლუციის ცეცხლში. ბურჟუაზიული დემოკრატიის, როგორც რუსეთის ისტორიული ძალის, საფუძველი და ერთადერთი საფუძველი რომ გლეხთა მასაა, ეს პროლეტარიატმა გამოცდილებით იცის. ამ მასის ბელადის როლი მებატონე მემამულეებისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე შეასრულა პროლეტარიატმა საერთო ნაციონალური მასშტაბით, და ახლა ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს მუშათა პარტიას სწორი გზიდან. როლი კადეტების ლიბერალური პარტიისა, რო-

მელსაც დემოკრატიზმის დროშით მიჰყავდა გლეხობა ოქტიაბრიზმის კალთის ქვეშ, დამთავრებულია; და სოციალ-დემოკრატია, ერთეულ მოწუწუნეთა მიუხედავად, განაგრძობს თავის საქმეს — მასებისათვის ლიბერალების ამ გაკოტრების განმარტებას, იმის განმარტებას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია ვერ შესძლებს თავისი საქმის შესრულებას, თუ საბოლოოდ არ გაიწმინდება ოქტიაბრიზმის ლაქიებთან კავშირისაგან.

ახლა არავის შეუძლია თქვას, თუ როგორი იქნება მომავალში ბურჟუაზიული დემოკრატიის ბედი რუსეთში. შესაძლებელია, რომ კადეტების გაკოტრებამ გამოიწვიოს გლეხთა დემოკრატიული პარტიის შექმნა, ნამდვილი მასობრივი პარტიისა და არა ტერორისტების იმ ორგანიზაციისა, როგორადაც დარჩნენ სოციალისტ-რევოლუციონერები. შესაძლებელია აგრეთვე, რომ წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური დარაზმვის ობიექტურმა სიძნელემ შეუძლებელი გახადოს ასეთი პარტიის შექმნა და დიდი ხნით დატოვოს გლეხური დემოკრატია ახლანდელი ფუყე, ჩამოუყალიბებელი, ფაფისებური ტრუდოვიკული მასის მდგომარეობაში. ორივე შემთხვევაში ჩვენი ხაზი ერთია: გამოვჭედოთ დემოკრატიული ძალები ყოველგვარი მერყეობის ულმობელი კრიტიკით, შეურიგებელი ბრძოლით იმის წინააღმდეგ, რომ დემოკრატია შეუერთდეს ლიბერალიზმს, რომელმაც თავისი კონტრრევოლუციურობა დაამტკიცა.

რაც უფრო ღრმავდება რეაქცია, მით უფრო მძვინვარებს შავრაზმელი მემამულე, რაც უფრო იმორჩილებს იგი თვითმპყრობელობას, მით უფრო ნელა წავა რუსეთის ეკონომიური განვითარება და მისი განთავისუფლება ბატონყმობის ნაშთებისაგან. ეს კი ნიშნავს: მით უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება შეგნებული და მებრძოლი დემოკრატიზმი ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მასებში. მით უფრო ძლიერი იქნება მასობრივი წინააღმდეგობა შიმშილობის, ძალადო-

ბისა და აბუჩად აგდების მიმართ, რასაც გლეხობას უმზადებენ ოქტიაბრისტები. სოციალ-დემოკრატია იზრუნებს იმისათვის, რომ დემოკრატიული ბრძოლის აუცილებელი აღმავლობის დროისათვის ლიბერალური კარიერისტების ბრბომ, რომელსაც კადეტების პარტია ეწოდება, ვერ შესძლოს ერთხელ კიდევ გათიშოს დემოკრატიის რიგები და არევდარევა შეიტანოს მის რიგებში. ან ხალხთან ერთად, ან ხალხის წინააღმდეგ, — ასეთ ალტერნატივას დიდი ხანია უყენებდა სოციალ-დემოკრატია რევოლუციაში «დემოკრატიულ» ბელადთა როლის ყოველი ჯურის პრეტენდენტებს. დღემდე ყველა სოციალ-დემოკრატს როდი შეეძლო ამ ხაზის თანამიმდევრობით დაცვა; ზოგიერთებს თვითონაც სჯეროდათ ლიბერალთა დაპირებები, ზოგიერთნი თვალს ხუჭავდნენ ამ ლიბერალების კონტრრევოლუციასთან ლაციცზე. ახლა ჩვენ უკვე ნასწავლი ვართ ორივე პირველი სათათბიროს გამოცდილებით.

რევოლუციამ შეასწავლა პროლეტარიატს მასობრივი ბრძოლა. რევოლუციამ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს შეუძლია გაუძღვეს გლეხთა მასებს დემოკრატიისათვის ბრძოლაში. რევოლუციამ უფრო მჭიდროდ დარაზმა წმინდა-პროლეტარული პარტია და ჩამოაცილა მას წვრილბურჟუაზიული ელემენტები. კონტრრევოლუციამ გადააჩვია წვრილბურჟუაზიული დემოკრატია იმ ცდებს, რომ თავისი ბელადები და მოკავშირეები ეძიოს ლიბერალიზმში, რომელსაც საშინლად ეშინია მასობრივი ბრძოლისა. ვეყრდნობით რა მოვლენათა ამ გაკვეთილებს, ჩვენ გაბედულად შეგვიძლია ვუთხრათ შავრაზმელი მემამულეების მთავრობას: განაგრძეთ იმავე ყაიდაზე, ბატონო სტოლიპინებო! ჩვენ მოვიმკით იმის ნაყოფს, რასაც თქვენ თესავთ!

«პროლეტარი» № 17, 1907 წლის
20 ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# მესამე სათათბიროდ

მთავრობა ანაღდებს მის მიერ 3 ივნისს ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი საძაგელი დანაშაულის შედეგებს: მახინჯმა საარჩევნო კანონმა, რომელიც ერთი მუჭა მემამულეებისა და კაპიტალისტების საამებლად სრულიად ამახინჯებს არათუ მთელი ხალხის, არამედ საარჩევნო უფლებით მოსარგებლე უმცირესობის ნება-სურვილსაც, ცარიზმს სასურველი ნაყოფი მისცა. 442 დეპუტატიდან, რომლებიც სათათბიროში უნდა აირჩიონ, იმ მომენტში, როდესაც ეს სტატია იწერება, არჩეულია 432; ასარჩევია კიდევ 10, ასე რომ არჩევნების საერთო შედეგები უკვე საკმარისადაა გარკვეული. დაახლოებით სწორი გამოანგარიშებით ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატები არჩეულია 18, სხვა მემარცხენეები — 13, კადეტები — 46, მათთან ახლო მდგომი ჯგუფების წევრნი — 55, ოქტიაბრისტები — 92, მიმართულებით მათი მონათესავე ჯგუფების წევრნი — 21, სხვადასხვა სახის მემარჯვენეები — 171, მათ რიცხვში რუსი ხალხის კავშირის 32 წევრი, უპარტიოები—16.

ამგვარად, თუ არ ჩავთვლით უპარტიოთა უმნიშვნელო რიცხვს, ყველა დანარჩენი დეპუტატი შეიძლება 4 ჯგუფად დავყოთ: უკიდურესი მემარცხენე ჯგუფი, რაც სულ შეადგენს 7 პროცენტზე ცოტათი მეტს, მემარცხენე (კადეტური) ცენტრი — 23 პროცენტს, მემარჯვენე (ოქტიაბრისტული) ცენტრი — 25,1 პროცენტს და მემარჯვენე — 40 პროცენტს; უპარტიოები 4 პროცენტზე ცოტათი ნაკლებს შეადგენენ.

არც ერთი ამ ჯგუფთაგანი, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას. არის თუ არა ახალი საარჩევნო კანონის სულისჩამდგმელებისა და შემდგენლებისათვის ასეთი შედეგი მათი სურვილებისა და მოლოდინის სავსებით შესაფერისი? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ დადებითად და რომ რუსეთის ახალი «პარლამენტი» მმართველი ჯგუფების თვალსაზრისით, რომლებიც მხარს უჭერენ თვითმპყრობელურ ცარიზმს, წარმოადგენს **chambre introuvable**-ს * ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

საქმე ისაა, რომ ჩვენში, როგორც თვითმპყრობელური ან ნახევრადთვითმპყრობელური რეჟიმის მქონე ყოველ ქვეყანაში, არსებობს ნამდვილად ორი მთავრობა: ერთი ოფიციალური — მინისტრთა კაბინეტი, მეორე კულისებს იქით — სასახლის კამარილია. ეს უკანასკნელი ყოველთვის და ყველგან ეყრდნობა საზოგადოების უაღრესად რეაქციულ წრეებს, ფეოდალურ — ჩვენებურად შავრაზმულ — თავადაზნაურობას, რომელიც თავის ეკონომიურ ძალას იღებს მსხვილი მიწათმფლობელობიდან და მასთან დაკავშირებული ნახევრადბატონყმური მეურნეობიდან. განებივრებული, გარყვნილი, გადაგვარებული — ეს საზოგადოებრივი ჯგუფი წარმოადგენს უაღრესად საძაგელი პარაზიტიზმის მკვეთრ ნიმუშს. თუ რა სიმახინჯემდე მიდის აქ გადაგვარება, — გვიჩვენებს მოლტკე-გარდენის სკანდალური პროცესი ბერლინში, პროცესი, რომელმაც გამოააშკარავა ბინძური კლოაკა, რასაც წარმოადგენდა გავლენიანი კამარილია გერმანიის ნახევრადთვითმპყრობელი იმპერატორის ვილჰელმ II სასახლის კარზე. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენშიც, რუსეთშიც, სათანადო წრეებში ამგვარივე სისაძაგლენი გამონაკლისი არ არის. «მემარჯვენეების» უდიდესი მასა III სათათბიროში, მისი დიდი უმრავლესობა მაინც, თუ მთლიანად არა, დაიცავს სწო-

* ისეთს, რომლის უკეთესს ვერ იპოვნი: ასე უწოდა 1815 წელს ლიუდოვიკო XVIII საფრანგეთის შავრაზმულ დეპუტატთა პალატას.

რედ ამ საზოგადოებრივი ობისა და ჟანგის, ბნელი წარსულისაგან ნაანდერძევ ამ «საფლავთა განგოზილთა» ინტერესებს. ბატონყმური მეურნეობის, თავადაზნაურული პრივილეგიებისა და თვითმპყრობელურ-თავადაზნაურული რეჟიმის შენარჩუნება ყოფნა-არყოფნის საკითხია ამ მასტოდონტებისა და იხტიოზავრებისათვის, რადგან «ზუბრები» მათთვის მეტად საპატიო სახელია.

მასტოდონტები და იხტიოზავრები ჩვეულებრივ ყოველგვარ ზომებს ხმარობენ, რათა ისარგებლონ სასახლის კარზე თავისი ყოვლისშემძლეობით და თავის სრულ და განუყოფელ მფლობელობაში მოაქციონ ოფიციალური მთავრობაც — მინისტრთა კაბინეტი. ჩვეულებრივ კაბინეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მათი კაცებისაგან შესდგება. მაგრამ ხშირად კაბინეტის უმრავლესობის შემადგენლობა სავსებით როდი შეეფერება კამარილიის მოთხოვნებს. ძველთაძველი მტაცებლის, ბატონყმური ეპოქის მტაცებლის კონკურენციას ამ შემთხვევაში წარმოადგენს პირველადი დაგროვების ეპოქის მტაცებელი, — ისიც უხეში, ხარბი, პარაზიტული, მაგრამ ერთგვარი კულტურული ელფერით და — რაც მთავარია — იმ სურვილით გაჟღენთილი, რომ მანაც ჩაიგდოს ხელში სახაზინო ქადის კარგი მოზრდილი ნაჭერი გარანტიების, სუბსიდიების, კონცესიების, მფარველობითი ტარიფების და სხვათა სახით. ეს ფენა სამიწათმფლობელო და სამრეწველო ბურჟუაზიისა, რომელიც ტიპიურია პირველადი დაგროვების ეპოქისათვის, გამოხატულებას პოულობს ოქტიაბრიზმსა და მის მონათესავე მიმდინარეობებში. მას ბევრი საერთო ინტერესი აქვს შავრაზმელებთან sans phrases * — სამეურნეო პარაზიტიზმი და პრივილეგიები; მჟავე პატრიოტიზმი ოქტიაბრისტული თვალსაზრისით ისევე საჭიროა, როგორც შავრაზმული თვალსაზრისით.

* — უფრაზოდ; ამ შემთხვევაში — შეულამაზებლად. რ ე დ.

ასე სდგება შავრაზმულ-ოქტიაბრისტული უმრავლესობა III სახელმწიფო სათათბიროში: ის ადის მნიშვნელოვან ციფრამდე — 284 კაცი 432-დან, ე. ი. 65,7 პროცენტამდე, დეპუტატთა მთელი რიცხვის $^{2}/_{3}$-ზე მეტი.

ეს არის სიმაგრე, რომელიც მთავრობისათვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას აგრარული პოლიტიკით დაეხმაროს გაჩანაგებულ მემამულეებს ხელსაყრელ ფასებში გაყიდონ თავიანთი მიწები და ამავე დროს სულიან-ხორციანად გაფცქვნან მცირემიწიანი გლეხები, მუშათა კანონმდებლობიდან შექმნას კაპიტალის მიერ პროლეტარიატის მეტად უხეში ექსპლოატაციის იარაღი, ფინანსურ პოლიტიკაში უზრუნველყოს გადასახადთა მთავარი სიმძიმის დატოვება ხალხის მასების ტვირთად. ეს არის პროტექციონიზმისა და მილიტარიზმის სიმაგრე. ოქტიაბრისტულ-შავრაზმული უმრავლესობის კონტრრევოლუციური ხასიათი არავისთვის არ არის სადავო.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს არ არის ერთადერთი უმრავლესობა, რომელიც III სათათბიროში არსებობს. არის კიდევ მეორე უმრავლესობაც.

შავრაზმელები ოქტიაბრისტების საიმედო მოკავშირენი არიან, მსგავსად იმისა, როგორც სასახლის კამარილია მინისტრთა კაბინეტის მოკავშირეა ცარიზმის დაცვის საქმეში. მაგრამ როგორც სასახლის კამარილია ორგანულ მიდრეკილებას იჩენს არა იმდენად მინისტრთა კაბინეტთან კავშირისადმი, რამდენადაც მასზე ბატონობისადმი, ისევე შავრაზმელებიც მოწყურებულნი არიან ოქტიაბრისტებზე დიქტატურას, მასხრად იგდებენ უკანასკნელთ, ცდილობენ გასთელონ ისინი.

კაპიტალიზმის, თუ გინდ უხეშად მტაცებლურის, პარაზიტულის, ინტერესები ვერ ურიგდება ბატონყმური მიწათმფლობელობის განუყოფელ ბატონობას. ორივე მონათესავე სოციალური ჯგუფი ცდილობს ქადის რაც შეიძლება დიდი და მსუქანი ნაჭერი მოიგდოს ხელში, — და აქედან წარმოსდგება მათი აუცილებელი უთანხმოება ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანიზაციის საკითხებში. შავრაზმელებისათვის ერობასა და ქალაქის საბჭოში სხვა არაფერია საჭირო, გარდა იმისა, რაც არის, ხოლო ცენტრში — «ძირს წყეული კონსტიტუცია». ოქტიაბრისტებისათვის ერობაშიც და საბჭოშიც საჭიროა თავისი გავლენის გაძლიერება, ხოლო ცენტრში აუცილებლად საჭიროა «კონსტიტუცია», თუნდაც მეტად შეკვეცილი, მასებისათვის ფიქტიური.

«რუსსკოე ზნამია»[50] ტყუილა კი არ ლანძღავს «ოქტომბრელებს», ხოლო «გოლოს მოსკვი»[51] თავის მხრივ თვლის, რომ III სათათბიროში მემარჯვენეები უფრო მეტია, ვიდრე საჭიროა.

და აი საქმის ობიექტური მსვლელობა აიძულებს ოქტიაბრისტებს ეძებონ მოკავშირეები ამ მხრივ. მათი პოვნა დიდი ხანია შეიძლებოდა მემარცხენე (კადეტურ) ცენტრში, რომელიც დიდი ხანია უკვე აცხადებს კონსტიტუციისადმი პირუთვნელ ერთგულებას, მაგრამ საქმეც ისაა, რომ კაპიტალისტური დაგროვების ეპოქის რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიამ, რომლის წარმომადგენლებიც ახლა კადეტები არიან, წარსულისაგან მეტად უხერხული მეგობრები და ზოგიერთი არასასიამოვნო ტრადიცია შეინარჩუნა. თუმცა, პოლიტიკურ სფეროში ტრადიციებთან გამოთხოვება იოლი აღმოჩნდა: კადეტებმა მონარქისტებად დიდი ხანია გამოაცხადეს თავი, ჯერ კიდევ პირველ სათათბირომდე, პასუხისმგებელ სამინისტროზე მათ ჩუმად უარი თქვეს მეორე სათათბიროში, კადეტების პროექტები სხვადასხვა «თავისუფლების» შესახებ იმდენ ზღუდეებს, ეკლიან მავთულ-ღობურებს და სამგლე ორმოებს შეიცავს ამ თავისუფლებათა წინააღმდეგ, რომ ამ მხრივ შემდგომი პროგრესის სრული იმედი არის. აჯანყებასა და გაფიცვას კადეტები წინათაც საყვედურით ხვდებოდნენ — ჯერ ალერსიანით, შემდეგ მელანქოლიურით, 1905 წ. დეკემბრის შემდეგ საყვედური სანახევროდ უგულებელყოფად გადაიქცა, ხოლო პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ — მკვეთრ

უარყოფად და გაკიცხვად. დიპლომატია, გარიგება, ვაჭრობა ძალაუფლების მქონეებთან — აი კადეტური ტაქტიკის საფუძველი. ხოლო რაც შეეხება უხერხულ მეგობრებს, მათ უკვე დიდი ხანია უბრალოდ უწოდებენ «მეზობლებს», ხოლო ამას წინათ საქვეყნოდ გამოაცხადეს «მტრებად».

შეთანხმება, მაშასადამე, შესაძლებელია, და აი ახალი, ისევ კონტრრევოლუციური უმრავლესობა — ოქტიაბრისტულ-კადეტური. ის, მართალია, ჯერჯერობით არჩეული დეპუტატების რიცხვის ნახევარზე რამდენიმედ ნაკლებია — 432-დან 214, — მაგრამ, ჯერ-ერთი, მას, უეჭველია, მიემხრობა თუ ყველა უპარტიო არა, მათი ნაწილი მაინც, ხოლო, მეორე, ყველაფერი იმას მოწმობს, ვივარაუდოთ, რომ შემდგომ არჩევნებში ის გაიზრდება, რადგან ქალაქები და საგუბერნიო საარჩევნო კრებების უმეტესი ნაწილი, სადაც არჩევნები კიდევ არ ყოფილა, ოქტიაბრისტების ან კადეტების დიდ უმრავლესობას აირჩევენ.

მთავრობა თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად თვლის. ლიბერალურ ბურჟუაზიას, ალბათ, ეს ნამდვილად მიაჩნია. ასეთ პირობებში შეთანხმებას უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა ესვას მეტად უხამსი და გამცემლური კომპრომისის, უფრო ზუსტად — ლიბერალიზმის ყველა იმ პოზიციის დათმობის დაღი, რაც კი დემოკრატიზმის რაიმე აჩრდილს ატარებს. ცხადია, ასეთი გარიგების გზით, თუ ახალი მასობრივი მოძრაობა არ არის, შეუძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი მართვა-გამგეობისა და ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოების თუნდაც რამდენადმე დემოკრატიულად მოწყობა. ოქტიაბრისტულ-კადეტურ უმრავლესობას ამის მოცემა არ ძალუძს. ხოლო შეიძლება თუ არა შავრაზმულ-ოქტიაბრისტული უმრავლესობისაგან, კაპიტალისტ-მტაცებლებთან შეკავშირებული ველური მემამულეებისაგან მოველოდეთ აგრარული საკითხის რამდენადმე მისაღებად გადაჭრას და მუშათა მდგომარეობის შემსუბუქებას? ამ კითხვის პასუხად შეიძლება მხოლოდ მწარედ გავიცინოთ.

მდგომარეობა ნათელია: *რევოლუციის ობიექტური ამოცანების განხორციელება თუნ-*

და ძალზე დამახინჯებული სახით ჩვენს chambre introuvable-ს არ ძალუძს. მას არ შეუძლია თუნდაც ნაწილობრივ მოაშუშოს ის მძიმე ჭრილობები, რომლებიც მიაყენა რუსეთს ძველმა წყობილებამ, — მას შეუძლია მხოლოდ ცოტათი დაფაროს ეს ჭრილობები უბადრუკი, მქავე, ფიქტიური რეფორმებით.

არჩევნების შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ჩვენს მტკიცე რწმენას: რუსეთს არ შეუძლია არსებულ კრიზისს მშვიდობიანი გზით დააღწიოს თავი.

ასეთ პირობებში სრულიად ნათელია ის ამოცანები, რომლებიც ამჟამად უახლოეს რიგში დგას სოციალ-დემოკრატიის წინაშე. სოციალ-დემოკრატია თავის საბოლოო მიზნად ისახავს სოციალიზმის გამარჯვებას; დარწმუნებული იმაში, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება, და მხედველობაში აქვს რა ის გარემოება, რომ ამჟამად შეუძლებელია ამ თავისუფლების განხორციელება მშვიდობიანი გზით, აშკარა მასობრივი გამოსვლების გარეშე, — ის ვალდებულია ახლა უახლოეს რიგში წინანდებურად დააყენოს დემოკრატიული და რევოლუციური ამოცანები და, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ უნდა თქვას უარი არც სოციალიზმის პროპაგანდაზე და არც პროლეტარული კლასობრივი ინტერესების დაცვაზე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. როგორც წარმომადგენელი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური კლასის — პროლეტარიატისა, რომელმაც რუსეთის რევოლუციაში საქმით დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მასობრივი ბრძოლის ბელადის როლისა, — სოციალ-დემოკრატია ვალდებულია ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუწყოს იმას, რომ ეს როლი შერჩეს პროლეტარიატს რევოლუციური ბრძოლის იმ ახალ სტადიაშიც, რომელიც იწყება, — სტადიაში, რომელსაც ახასიათებს სტიქიურობის მიმართ შეგნებულობის წინანდელზე გაცილებით მეტი სიჭარბე. ამ მიზნით სოციალ-დემოკრა-

ტია ვალდებულია მთელი ძალღონით მიისწრაფოდეს დემოკრატიულ მასაში ჰეგემონიისაკენ და ამ მასაში რევოლუციური ენერგიის განვითარებისაკენ.

ასეთი მისწრაფება იწვევს პროლეტარიატის პარტიის მკაცრ შეჯახებას სხვა კლასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომელთათვის, მათ მიერ წარმოდგენილი ჯგუფების ინტერესთა შესაბამისად, დემოკრატიული რევოლუცია საძულველი და საშიშია არა მარტო თავისთავად, არამედ აგრეთვე, განსაკუთრებით მასში პროლეტარიატის ჰეგემონიის გამო, სოციალისტური საფრთხის შედეგითაც.

სრულიად ნათელია და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სათათბიროს ორივე უმრავლესობა — შავრაზმულ-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური — რომლებზეც რიგრიგობით დაყრდნობით ფიქრობს წონასწორობის დაცვას სტოლიპინის მთავრობა, ორივე ეს უმრავლესობა, თვითეული თავისებურად — სხვადასხვა საკითხში — კონტრრევოლუციური იქნება. ერთი ან მეორე უმრავლესობის ან მათი ცალკეული ელემენტების სამინისტროსთან ბრძოლის — რამდენადმე სისტემატური და გეგმაშეწონილი ბრძოლის — შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული, დროებითი კონფლიქტები. ასეთი კონფლიქტები უწინარეს ყოვლისა შესაძლებელია პირველი უმრავლესობის შავრაზმულ ელემენტსა და მთავრობას შორის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კონფლიქტები შეუძლებელია რამდენადმე ღრმა იყოს, და მთავრობას შეუძლია სავსებით კონტრრევოლუციურ ნიადაგზე იდგეს და სრულიად მოხერხებულად და ადვილად გამოვიდეს გამარჯვებული ამ კონფლიქტებიდან მეორე უმრავლესობაზე დაყრდნობით. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას და მასთან ერთად III სათათბიროს ყველა დანარჩენ რევოლუციურად განწყობილ ელემენტებს, რა სურვილიც უნდა ჰქონდეთ მათ, არ შეუძლიათ გამოიყენონ ეს კონფლიქტები რევოლუციის სასარგებლოდ სხვანაირად, თუ

არა წმინდა აგიტაციური მიზნებით; რომელიმე მოწინააღმდეგე მხარისთვის «მხარდაჭერაზე» აქ ლაპარაკიც შეუძლებელია, რადგან ასეთი მხარდაჭერა თავისთავად კონტრრევოლუციური აქტი იქნებოდა.

შესაძლოა, რაოდენადმე უფრო მეტად და უკეთ იქნეს გამოყენებული შესაძლებელი კონფლიქტები მეორე უმრავლესობის ცალკეულ ელემენტებს შორის, — ერთი მხრივ, კადეტებსა და, მეორე მხრივ, ოქტიაბრისტებსა და მთავრობას შორის. მაგრამ მდგომარეობა აქაც ისეთია, რომ არა მხოლოდ სუბიექტურ განწყობილებათა და განზრახვათა ძალით, არამედ ობიექტური პირობების გამოც კონფლიქტები იქნება არა ღრმაც და წარმავალიც, ეს იქნება მხოლოდ საშუალება, რაც პოლიტიკურ ჩარჩებს გაუადვილებს გარიგებას გარეგნულად უფრო რიგიან პირობებში, არსებითად კი დემოკრატიის ინტერესების საწინააღმდეგო პირობებში. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიამ უარი არ უნდა თქვას ასეთ არა ღრმა და არა ხშირი კონფლიქტების გამოყენებაზეც კი და ამავე დროს მედგარი ბრძოლა უნდა აწარმოოს დემოკრატიული და რევოლუციური ამოცანებისათვის არა მარტო მთავრობის, შავი რაზმის და ოქტიაბრისტების, არამედ კადეტების წინააღმდეგაც.

ასეთია ის ძირითადი მიზნები, რომლებიც უნდა დაისახოს სოციალ-დემოკრატიამ მესამე სახელმწიფო სათათბიროში. სავსებით ცხადია, რომ ეს მიზნები იგივეა, რომლებიც იდგნენ პროლეტარიატის პარტიის წინაშე მეორე სათათბიროში. ეს მიზნები სრულიად ნათლად არის ჩამოყალიბებული სათათბიროს შესახებ ლონდონის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის პირველ მუხლში. ეს მუხლი ამბობს: «სოციალ-დემოკრატიის უშუალო პოლიტიკურ ამოცანებს სათათბიროში წარმოადგენს: ა) განუმარტოს ხალხს სათათბიროს, როგორც პროლეტარიატისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის მოთხოვნების განხორციელების

საშუალების სრული უვარგისობა, ბ) განუმარტოს ხალხს პარლამენტური გზით პოლიტიკური თავისუფლების განხორციელების შეუძლებლობა, ვიდრე რეალური ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელში რჩება, და განმარტოს, რომ აუცილებელია ხალხის მასების აშკარა ბრძოლა აბსოლუტიზმის შეიარაღებული ძალის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს სრული გამარჯვების უზრუნველყოფას — ძალაუფლების გადასვლას ხალხის მასების ხელში და დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე».

ამ რეზოლუციაში, განსაკუთრებით მის უკანასკნელ სიტყვებში, ჩამოყალიბებულია მესამე სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი სპეციალური ამოცანაც, რომელიც სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა უნდა შეასრულონ 3 ივნისის დანაშაულის მთელი სისაძაგლის მხილებასთან დაკავშირებით. ეს დანაშაული მათ უნდა ამხილონ, რა თქმა უნდა, არა კონსტიტუციის ფორმალური დარღვევის ლიბერალური თვალსაზრისით, არამედ როგორც ხალხის ფართო მასების ინტერესების უტიფარი და უხეში დარღვევა, როგორც სახალხო წარმომადგენლობის ურცხვი და აღმაშფოთებელი ფალსიფიკაცია. სწორედ აქედან უნდა გამომდინარეობდეს იმის გარკვევა ხალხის ფართო მასებისათვის, რომ III სათათბირო სრულიად არ შეესაბამება ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნებს, და ამასთან დაკავშირებით ფართოდ ენერგიული პროპაგანდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული სრულძალაუფლებიანი დამფუძნებელი კრების იდეისა.

იგივე ლონდონის რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ხასიათს ფრიად გარკვევით განსაზღვრავს შემდეგი გამოთქმებით:

«პირველ რიგში წამოყენებულ უნდა იქნას სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრიტიკული, პროპაგანდისტული, აგიტაციური და ორგანიზაციული როლი»; «სათათბიროში ბრძოლის საერთო ხასიათი უნდა ემორჩილებოდეს პროლეტარიატის მთელ სათათბიროსგარე ბრძოლას, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასობრივი ეკონომიური ბრძოლის გამოყენება და მისი ინტერესებისადმი სამსახური». სრულიად ნათელია, რა მჭიდროდ, განუყრელად არის დაკავშირებული სათათბიროში მუშაობის ასეთი ხასიათი იმ მიზნებთან, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სოციალ-დემოკრატიამ უნდა დაისახოს სათათბიროში ამჟამად. სოციალ-დემოკრატების მშვიდობიანი საკანონმდებლო მუშაობა III სათათბიროში ისეთ პირობებში, რომლებიც უაღრესად მოსალოდნელს ხდიან მასობრივ მოძრაობას, იქნებოდა არათუ მიზანშეუწონელი, არათუ სასაცილო დონკიხოტობა, არამედ პროლეტარიატის ინტერესების პირდაპირი ღალატიც. ასეთი მშვიდობიანი საკანონმდებლო მუშაობა აუცილებლად გამოიწვევდა «სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგების დაკნინებას, რასაც შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს მასის თვალში სოციალ-დემოკრატიას და მოწყვიტოს იგი პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას». პროლეტარიატის წარმომადგენლები სათათბიროში უფრო მეტ დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ.

სოციალ-დემოკრატიის კრიტიკული მოღვაწეობა უაღრესად უნდა გაიშალოს და ძლიერ გამახვილდეს მით უფრო, რომ III სათათბიროში მასალა ამისთვის არაჩვეულებრივ ბლომად იქნება. სოციალ-დემოკრატები სათათბიროში მოვალენი არიან ბოლომდე ამხილონ კლასობრივი სარჩული როგორც მთავრობის, ისე ლიბერალური ზომებისა და წინადადებებისა, რომელთაც მიიღებენ სათათბიროში, ამასთან, ყრილობის რეზოლუციასთან სრული თანხმობით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ზომებსა და წინადადებებს, რომლებიც ეხება ხალხის ფართო მასების ეკონომიურ ინტერესებს; ეს არის მუშათა და აგრარული საკითხები, ბიუჯეტის

საკითხი და სხვ. ყველა ამ საკითხში სოციალ-დემოკრატია ვალდებულია მთავრობისა და ლიბერალურ თვალსაზრისს დაუპირისპიროს თავისი სოციალისტური და დემოკრატიული მოთხოვნები, ეს საკითხები ხალხის ცხოვრების ყველაზე მგრძნობიარე ნერვია და მასთან ერთად ყველაზე მტკივნეული ადგილია მთავრობისა და იმ სოციალური ჯგუფებისა, რომლებსაც ეყრდნობა სათათბიროს ორივე უმრავლესობა.

მთელ ამ სააგიტაციო-საპროპაგანდო და საორგანიზაციო ამოცანებს სოციალ-დემოკრატები სათათბიროში განახორციელებენ, გარდა თავიანთი სიტყვებისა სათათბიროს ტრიბუნიდან, კიდევ კანონპროექტების შეტანით და შეკითხვებით მთავრობისადმი. მაგრამ აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიძნელეა: კანონპროექტის შესატანად ან შეკითხვის წასაყენებლად საჭიროა ხელის მოწერა არა ნაკლებ ოცდაათი დეპუტატისა.

ოცდაათი სოციალ-დემოკრატი III სათათბიროში არ არის და არც იქნება. ეს უეჭველია. მაშასადამე, მარტო სოციალ-დემოკრატიას, სხვა ჯგუფების დაუხმარებლად, არ შეუძლია არც კანონპროექტების შეტანა, არც შეკითხვების მიცემა. უეჭველია, ეს დიდად აძნელებს და ართულებს საქმეს.

ლაპარაკია, რა თქმა უნდა, თანამიმდევარი დემოკრატიული ხასიათის კანონპროექტებსა და შეკითხვებზე. შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიას ამ მხრივ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის დახმარების იმედი იქონიოს? რა თქმა უნდა, არა. განა კადეტები, რომლებიც ამჟამად უკვე სავსებით მზად არიან სრულიად დაუფარავი კომპრომისისთვის ისეთ პირობებზე, როცა მათი პროგრამული მოთხოვნებიდან, თუმცა ისინი ისედაც შეკვეცილი და მინიმუმამდე დაყვანილია სხვადასხვა შენიშვნებითა და გამონაკლისებით, აღარაფერი არ დარჩება, — განა კადეტები გაბედავენ მთავრობის გაღიზიანებას დემოკრატიული შეკითხვებით? ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ უკვე მეორე სათათბიროში კადეტების იმ ორატორთა სიტყვები, რომლებიც შეკითხვების დროს გამოდიოდნენ, ძლიერ გაუფერულდა და ხშირად იქცეოდა ან ბავშ-

ვურ ტიტინად, ანდა ზრდილობიან და მორიდებულ, თითქმის თავმოხრით მიცემულ კითხვებადაც კი. ხოლო ახლა, როდესაც სათათბიროს «მუშაობისუნარიანობა» ქსელში ხალხის გასაბმელად უფრო მტკიცე და საიმედოა, ისე რომ ეს ქსელი ბორკილებად გადაიქცეს, — როდესაც ეს «მუშაობისუნარიანობა» საარაკო გახდა, — მათ მაღალადმატებულებათ — ბატონ მინისტრებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ: მათ იშვიათად თუ შეაწუხებენ კადეტების მხრიდან, — დიახაც, რადგან ხომ უნდა იკანონმდებლონ! — ხოლო თუ მაინცდამაინც შეაწუხებენ, თავაზიანობის ყველა წესის დაცვით. ტყუილა კი არ გვპირდება მილიუკოვი წინასაარჩევნო კრებებზე «ცეცხლის შემონახვას». და განა მარტო მილიუკოვი? რას ნიშნავს დანის მხრივ უცილობელი უარყოფა ლოზუნგისა: «ძირს სათათბირო»? განა იგივე ცეცხლის შემონახვას არა? და განა «თავაზიანობის» იმავე მიმართულებით არ ურჩევს წასვლას სოციალ-დემოკრატიას პლეხანოვი, როდესაც ამბობს, «მხარი უნდა დავუჭიროთ ლიბერალურ ბურჟუაზიასო», რომლის «ბრძოლა» სხვა არაფერია, თუ არა რევერანსები და დიდი მოწიწებით თავის დაკვრა?

ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ კადეტები მიემხრონ სოციალ-დემოკრატების საკანონმდებლო წინადადებებს: ეს კანონპროექტები ხომ აშკარად გამოხატული სააგიტაციო ხასიათისა იქნება, მთელი სისრულით გამომხატველი თანამიმდევარ-დემოკრატიული მოთხოვნებისა, ეს კი, რა თქმა უნდა, არა ნაკლებ გაღიზიანებას გამოიწვევს კადეტების წრეში, ვიდრე ოქტიაბრისტულსა და შავრაზმულშიც კი.

ამრიგად, კადეტები ამ მხრივაც არ უნდა მივიღოთ ანგარიშში. შეკითხვების შეტანისა და კანონპროექტების წარდგენის საქმეში სოციალ-დემოკრატიას შეუძლია იმედი იქონიოს მხოლოდ კადეტებზე მემარცხენე ჯგუფების მხარდაჭერისა. ალბათ, ისინი სოციალ-დემოკრატებთან ერთად 30-მდე იქნებიან, და, მაშასადამე, სრული ტექნიკური შესაძლებლობა შეიქმნება ინიციატივის გამოსაჩენად ამ მხრივ. ლაპარაკია, რა-

საკვირველია, არა რაიმე ბლოკზე, არამედ იმ «საერთო მოქმედებაზე», რამაც, ლონდონის ყრილობის რეზოლუციის სიტყვებით, «უნდა გამორიცხოს სოციალ-დემოკრატიული პროგრამისა და ტაქტიკისაგან რაიმე გადახვევის ყოველგვარი შესაძლებლობა და ემსახუროს მხოლოდ როგორც რეაქციის წინააღმდეგ, ისე ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური ტაქტიკის წინააღმდეგ საერთო შეტევის მიზნებს».

«პროლეტარი» № 18,
1907 წლის 29 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

## პლეხანოვის სტატიის შესახებ [52]

30 ოქტომბრის «ტოვარიშჩში» მოთავსებულ თავის სტატიაში პლეხანოვი განაგრძობს სიცრუისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის დისციპლინის აბუჩად აგდების კამპანიას. აი ამ სიცრუის ნიმუშები: «როგორც მოგეხსენებათ, «ტოვარიშჩი» მემარცხენე ბლოკის ორგანო იყო», ამბობს პლეხანოვი იმ ბრალდების პასუხად, რომ იგი მუდმივი თანამშრომელი გახდა ბატონ პროკოპოვიჩისა, კუსკოვასი და კომპ. ეს ტყუილია. ჯერ-ერთი, მემარცხენე ბლოკის ორგანო «ტოვარიშჩი» არასოდეს არ ყოფილა. მემარცხენე ბლოკს არ შეეძლო საერთო ორგანო ჰქონოდა. მეორე, ბოლშევიკებს «ტოვარიშჩში» არასოდეს არავითარი პოლიტიკური კამპანია არ უწარმოებიათ, ისინი არასოდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანაწევრთა წინააღმდეგ ასეთს გაზეთში არ გამოსულან. მესამე, ბოლშევიკებმა მემარცხენე ბლოკის შექმნით გ ა თ ი შ ე ს «ტოვარიშჩი» და იქიდან გ ა ნ დ ე ვ ნ ე ს (მართალია, მხოლოდ ერთი კვირით) ისინი, ვინც კადეტებს ემხრობოდა. პლეხანოვი კი კადეტების წინაშე ლაქიობისაკენ ე წ ე ვ ა როგორც პროლეტარიატს, ისე წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას. ბოლშევიკებმა, თუმცა ისინი «ტოვარიშჩში» არ მონაწილეობენ, მარცხნივ გადახარეს იგი. პლეხანოვი მონაწილეობას იღებს და მარჯვნივ ეწევა. ძალიან მარჯვედ კი იმოწმებს ის მემარცხენე ბლოკს!

ამრიგად, გვერდს უვლის რა იმ საკითხს, რომ მას ბურჟუაზიულ გაზეთებში თანამშრომლად იყვანენ ბურჟუაზიისათვის სასიამოვნო ამბების წერისათვის, პლეხანოვი კიდევ უფ-

რო მეტ სიამოვნებას გვრის ლიბერალებს მუშათა პარტიის დისციპლინის აბუჩად აგდებით. მე ვალდებული არა ვარ დავემორჩილო, — გაიძახის იგი, — თუ ჩემგან პრინციპებისადმი ღალატს მოითხოვენო!

ეს უგვანო ანარქისტული ფრაზაა, უპატივცემულესო, რადგან პარტიის პრინციპებს ყრილობიდან ყრილობამდე იცავს და განმარტავს ცენტრალური კომიტეტი. თქვენ უფლება გაქვთ არ დაემორჩილოთ, თუ ცენტრალური კომიტეტი არღვევს ყრილობის ნებას, პარტიის წესდებას და სხვ., მაგრამ ამ შემთხვევაში არავინ არც კი ცდილა დაემტკიცებინა, რომ ცენტრალურ კომიტეტს თავისი დირექტივებით არჩევნების შესახებ ყრილობის ნება დაერღვიოს. მაშასადამე, პლეხანოვი სიტყვებით «პრინციპებისადმი ღალატის» შესახებ პირდაპირ ფარავს პარტიისადმი თავის ღალატს.

ბოლოს, პლეხანოვს სურს უჩხვლიტოს სანკტ-პეტერბურგის კომიტეტს: II სათათბიროს არჩევნებში იგი თვითონ არ ემორჩილებოდა ცენტრალურ კომიტეტსო. ჯერ-ერთი, ვუპასუხებთ ჩვენ, სანკტ-პეტერბურგის კომიტეტმა უარი თქვა ორგანიზაციის გაყოფის მოთხოვნის შესრულებაზე, ე. ი. უარყო ჩარევა თავის ავტონომიაში, რომელიც უზრუნველყოფილია პარტიის წესდებით. მეორე, II სათათბიროს არჩევნებში მენშევიკებმა გათიშეს ორგანიზაცია: მაშინდელი კონფლიქტის ამ მხარეზე პლეხანოვი დუმს ბურჟუაზიულ გაზეთში! თავისი საბუთებით პლეხანოვი ერთ რამეს ამბობს: II სათათბიროს არჩევნებში მენშევიკებმა გათიშეს პარტიის პეტერბურგის ნაწილი, — მაშასადამე, მე ახლა უფლება მაქვს მთელი პარტია გავთიშოო!! ასეთია პლეხანოვის ლოგიკა და ასეთია პლეხანოვის საქციელი. დაე ყველამ კარგად დაიხსომოს ეს: პლეხანოვი გათიშვას თესს. მას მხოლოდ ეშინია საგანს თავისი სახელი უწოდოს.

«პროლეტარი» № 18,
1907 წლის 29 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# რსდმპ ს.-პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია [52]

## საგაზეთო ანგარიშიდან

1

## მოხსენება III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ

მომხსენებელმა უწინარეს ყოვლისა დაახასიათა III სათათბიროს შემადგენლობა. მთავრობამ უბრალო ემპირიული გზით ისე გამოსჭრა 3 ივნისის საარჩევნო კანონი, რომ სათათბიროში ორი შესაძლებელი უმრავლესობა აღმოჩნდა: ოქტიაბრისტულ-შავრაზმული და ოქტიაბრისტულ-კადეტური. ერთიცა და მეორეც — უეჭველად კონტრრევოლუციურია. მთავრობა თავის რეაქციულ პოლიტიკაში ხან ერთ უმრავლესობას დაეყრდნობა და ხან მეორეს. ამასთან თავის თვითმპყრობელურ-ბატონყმურ მოქმედებას მთავრობა დაჰფარავს ფრაზებით ქაღალდის «რეფორმების» შესახებ. ამასთან კადეტები საქმით კონტრრევოლუციის გამცემლურ პოლიტიკას განახორციელებენ, სიტყვით კი თავიანთ თავს ჭეშმარიტად დემოკრატიული ოპოზიციის პარტიად გაასაღებენ.

კადეტების შეთანხმება ოქტიაბრისტებთან სათათბიროში აუცილებელია, და პირველი ნაბიჯები აქეთკენ, — როგორც მომხსენებელი ამტკიცებს მთელი რიგი ციტატებით კადეტებისა და ოქტიაბრისტების პარტიული გაზეთებიდან, მთელი რიგი ფაქტებით ამ პარტიების ცხოვრებიდან და ცნობებით კადეტების პარტიის უკანასკნელი ყრილობიდან, — უკვე გადადგმულია. ძველ რეჟიმთან საქმის მოჭახრაკების კადეტური

პოლიტიკა III სათათბიროში კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება, ვიდრე აქამდე, და მისი ჭეშმარიტი ხასიათის შესახებ ეჭვები აღარავის დარჩება.

მაგრამ სათათბიროს არც ერთსა და არც მეორე უმრავლესობას ობიექტურად არ ძალუძს დააკმაყოფილოს პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის დემოკრატიის ცოტად თუ ბევრად ფართო მასების საარსებო ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები. ხალხის ამ ფენების საჭიროებათა გამომხატველი, როგორც ეს აქამდე იყო, უწინარეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატია იქნება. III სათათბიროს შემადგენლობა და მუშაობა სოციალ-დემოკრატიას მისცემს უხვ და საუცხოო სააგიტაციო მასალას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას შავრაზმული მთავრობის, აშკარა მებატონე-მემამულეების, ოქტიაბრისტების წინააღმდეგ და კადეტების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიის ამოცანად წინანდებურად რჩება საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების იდეის პოპულარიზაცია ხალხის მეტად ფართო მასებში. ამიტომ სათათბიროში «მემარცხენე» ოქტიაბრისტებისა თუ კადეტებისათვის მხარისდაჭერაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სოციალ-დემოკრატებმა, თუმცა ასე მცირერიცხოვანი არიან ისინი III სათათბიროში, უნდა განახორციელონ დამოუკიდებელი სოციალისტური და თანამიმდევრად დემოკრატიული ხაზი, გამოიყენონ ამისათვის სათათბიროს ტრიბუნა, შეკითხვების უფლება და სხვ. ზოგიერთი შეთანხმება შესაწყნარებელია მხოლოდ მემარცხენე დეპუტატების ჯგუფთან (განსაკუთრებით იმის გამო, რომ შეკითხვის შეტანისთვის საჭიროა 30 დეპუტატის ხელმოწერა), მაგრამ მხოლოდ ისეთი შეთანხმებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასა და ტაქტიკას. ამ მიზნით აუცილებელია საინფორმაციო ბიუროს მოწყობა, რომელიც არავის შებოჭავს, სოციალ-დემოკრატებს კი შესაძლებლობას მისცემს გავლენა მოახდინონ მემარცხენე დეპუტატებზე.

სოციალ-დემოკრატთა რიგებიდან, — შენიშნა შემდეგ მომხსენებელმა, — უკვე გაისმის ხმები «მემარცხენე» ოქტიაბრისტებისთვის მხარისდაჭერის შესახებ (მაგალითად, პრეზიდიუმის არჩევნების დროს), კადეტებთან ერთად საინფორმაციო ბიუროს მოწყობისა და სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ეგრეთწოდებული «მოფრთხილების» შესახებ. ლაპარაკი ოქტიაბრისტებისთვის მხარისდაჭერის შესახებ, რაც მენშევიკებიდან მოდის, უადრესად თვალსაჩინოდ მოწმობს მენშევიკური ტაქტიკის სრულ გაკოტრებას. სათათბირო კადეტური იყო, და მენშევიკები გაჰყვიროდნენ კადეტებისათვის მხარისდაჭერაზე. საკმარისი გახდა სტოლიპინს შეეცვალა საარჩევნო კანონი ოქტიაბრისტების სასარგებლოდ, და მენშევიკებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ ოქტიაბრისტებს. ბოლოს და ბოლოს სად წავლენ მენშევიკები ამ გზით?

მომხსენებელს შეუწყნარებლად მიაჩნია საინფორმაციო ბიურო კადეტებთან ერთად, რადგან ეს იქნებოდა აშკარა მტრებისთვის ცნობების მიწოდება.

ფრაქციის «მოფრთხილების» შესახებ მომხსენებელმა თქვა: ფრაქციის მოფრთხილება მართლაც საჭიროა. მაგრამ რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ მას სათათბიროში მაღლა ეჭიროს სოციალ-დემოკრატიის დროშა, მხოლოდ იმისთვის, რომ მან სათათბიროში აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა ყველა სახისა და ყაიდის კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ, დაწყებული მოკავშირეებით და გათავებული კადეტებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმისათვის, რომ მან მხარი დაუჭიროს «მემარცხენე» ოქტიაბრისტებსა და კადეტებს. ფრაქციის არსებობა რომ შეპირობებული იყოს ამ ჯგუფებისთვის მხარისდაჭერის, ე. ი. სტოლიპინის თვითმპყრობელობასთან შეთანხმებისთვის მხარისდაჭერის აუცილებლობით, მაშინ მისთვის უმჯობესია სახელოვნად სავსებით შესწყვიტოს თავისი არსებობა და განუმარტოს მთელ ხალხს, თუ რისთვის განდევნეს იგი სათათბიროდან, თუ განდევნა მოხდება.

საბოლოო სიტყვაში ლენინი შეჩერდა, უმთავრესად, მენშევიზმის ძირითად შეცდომაზე — «საერთო-ნაციონალური ოპოზიციის» იდეაზე. რუსეთის ბურჟუაზია სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არასოდეს არ ყოფილა რევოლუციური, და ეს სრულიად გასაგები მიზეზით: რუსეთის მუშათა კლასის იმ მდგომარეობის გამო, რომელიც მას უკავია, და რევოლუციაში მისი როლის გამო. ლენინმა გაარჩია მენშევიკების ყველა დანარჩენი საბუთი და წარადგინა რეზოლუცია, რომელიც დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-19 ნომერში.

«პროლეტარი» № 20,
1907 წლის 19 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

2

## რეზოლუცია III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ

სავალდებულოდ ცნობს რა III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის ხელმძღვანელობდეს ლონდონის ყრილობის რეზოლუციით სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, აგრეთვე რეზოლუციით არაპროლეტარული პარტიების შესახებ, —

რსდმპ ს.-პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია ამ რეზოლუციების განსავითარებლად აუცილებლად თვლის აღნიშნოს შემდეგი:

1. III სათათბიროში უკვე გაირკვა ორი უმრავლესობა: შავრაზმულ-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური. პირველი უმრავლესობა კონტრრევოლუციურია და განსაკუთრებით მოითხოვს რეპრესიების გაძლიერებას, მემამულეთა პრივილეგიების დაცვას და თვითმპყრობელობის სრული აღდგენისაკენ მიისწრაფის. მეორე უმრავლესობაც უეჭველად კონტრრევოლუციურია, მაგრამ მიდრეკილებას იჩენს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთი მოჩვენებითი ბიუროკრატიული «რეფორმით» დაფაროს.

2. ასეთი მდგომარეობა სათათბიროში უაღრესად უწყობს ხელს ორმაგ პოლიტიკურ თამაშს მთავრობის მხრივაც და კადეტების მხრივაც. მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს და განაგრძობს სამხედრო ძალით რუსეთის «დაპყრობას», მაგრამ ამავე დროს მას სურს თავი მოგვაჩვენოს კონსტიტუციური რეფორმების მომხრედ. კადეტებს, თუმცა ისინი სინამდვილე-

ში ხმას აძლევენ კონტრრევოლუციურ ოქტიაბრისტებთან ერთად, სურთ თავი მოგვაჩვენონ არა მარტო ოპოზიციად, არამედ დემოკრატიის წარმომადგენლებადაც. ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატებს განსაკუთრებული სიძლიერით ეკისრებათ ამოცანა — დაუნდობლად ამხილონ ეს თამაში, ამხილონ ხალხის წინაშე როგორც შავრაზმული მემამულეებისა და მთავრობის ძალადობა, ისე კადეტების კონტრრევოლუციური ბუნება. სოციალ-დემოკრატების მიერ კადეტებისთვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარისდაჭერა (იქნება ეს მემარჯვენე კადეტებისა თუ «მემარცხენე» ოქტიაბრისტების სასარგებლოდ ხმისმიცემა პრეზიდიუმში არჩევისას, თუ საინფორმაციო ბიურო კადეტების მონაწილეობით, თავის მოქმედების კოორდინაცია მათ პოლიტიკასთან და სხვ.) ახლა პირდაპირ საზიანო იქნებოდა მუშათა მასების კლასობრივი აღზრდის საქმისა და რევოლუციის საქმისთვის.

3. სოციალ-დემოკრატებმა სრულიად შეუკვეცავად უნდა დაიცვან თავიანთი სოციალისტური მიზნები და ამ თვალსაზრისით გააკრიტიკონ ყველა, თვით ყველაზე დემოკრატიული და «შრომითი» ბურჟუაზიული პარტიები, ამასთან თავიანთ აგიტაციაში უწინარეს ყოვლისა უნდა განუმარტონ ხალხის ფართო მასებს, რომ III სათათბირო სრულიად არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნებს, და ამასთან დაკავშირებით [უნდა წარმოებდეს] საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭისყრაზე დამყარებული დამფუძნებელი კრების იდეის ფართო და ენერგიული პროპაგანდა.

4. III სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანების რიცხვს ეკუთვნის მთავრობისა და ლიბერალთა წინადადებების კლასობრივი სარჩულის მხილება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა იმ საკითხებისადმი, რომლებიც ეხებიან ხალხის ფართო მასების ეკონომიურ ინტერესებს (მუშათა და აგრარული საკითხები, ბიუჯეტი და სხვ.), — მით უმეტეს, რომ III სათათბიროს შემადგენლობა, ალბათ,

განსაკუთრებით უხვ მასალას მოგვცემს სოციალ-დემოკრატების სააგიტაციო მოღვაწეობისათვის.

5. კერძოდ, სოციალ-დემოკრატიამ სათათბიროში უნდა გამოიყენოს შეკითხვების უფლება, რისთვისაც აუცილებელია კადეტებზე მემარცხენე სხვა ჯგუფებთან ერთად მოქმედება სოციალ-დემოკრატიის პროგრამისა და ტაქტიკისაგან სრულიად გადაუხვევლად და რაიმე ბლოკის დაუდებლად.

II სათათბიროში სოციალ-დემოკრატების მიერ ჩადენილი შეცდომა რომ არ განმეორდეს, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაუყოვნებლივ წინადადება უნდა მისცეს სათათბიროს მემარცხენე და მხოლოდ მემარცხენე (ე. ი. კადეტების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიან) დეპუტატებს შექმნან საინფორმაციო ბიურო, რომელიც არაფრით არ შეზღუდავს მის მონაწილეთ, მაგრამ მუშათა დეპუტატებს საშუალებას მისცემს სისტემატურად მოახდინონ გავლენა დემოკრატიაზე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის მიმართულებით.

«პროლეტარი» № 19,
1907 წლის 5 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

## 3

## მოხსენება ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ

ამხ. ლენინის მეორე მოხსენება ეხებოდა ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხს. მომხსენებელმა გადმოგვცა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ორი ფრთის თვალსაზრისი ამის შესახებ და განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრ ორთოდოქსებისა და რევიზიონისტების შეხედულებანი. დრეზდენის პარტეიტაგზე[54] ორთოდოქსები დათანხმდნენ ისეთ პრესაში მონაწილეობის შესაძლებლობის ფორმულას, რომელიც მტრულად არ არის განწყობილი სოციალ-დემოკრატიის მიმართ, და ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ პრაქტიკულად ეს უდრის სრულ აკრძალვას, რადგან დღევანდელ განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც მტრულად არ იყვნენ განწყობილნი სოციალ-დემოკრატიის მიმართო.

მომხსენებელი დგას იმ თვალსაზრისზე, რომ უთუოდ შეუწყნარებელია ბურჟუაზიულ, განსაკუთრებით ვითომც უპარტიო პრესაში პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მონაწილეობა. ისეთ გაზეთებს, როგორიცაა, მაგალითად, «ტოვარიშჩი», თავისი ფარულ-პირმოთნე ბრძოლით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ გაცილებით უფრო მეტი ზიანი მოაქვთ მისთვის, ვიდრე სოციალ-დემოკრატიის მიმართ აშკარად მტრულად განწყობილ პარტიულ ბურჟუაზიულ გაზეთებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციად გამოდგება პლეხანოვის, მარტოვის, გორნის, კოგანისა

და სხვათა გამოსვლები «ტოვარიშჩში». ყველა ეს გამოსვლა მიმართულია პარტიის წინააღმდეგ, და სინამდვილეში ამხ. სოციალ-დემოკრატებს კი არ გამოუყენებიათ ბურჟუაზიული გაზეთი «ტოვარიშჩი», არამედ ამ გაზეთმა გამოიყენა დასახელებული ამხანაგები მისთვის საძულველი რსდმ პარტიის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატების არც ერთი სტატია, რომელიც არ მოსწონებია «ტოვარიშჩის» რედაქციას, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

«პროლეტარი» № 20,
1907 წლის 19 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# რსდმპ მეოთხე («სრულიად რუსეთის მესამე») კონფერენცია [55]

## საგაზეთო ანგარიშიდან

### 1

### მოხსენება III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ

ამხ. ლენინი იმ წანამძღვარს ემყარებოდა, რომ რუსეთის რევოლუციის ობიექტური ამოცანები არ არის გადაჭრილი, რომ დამდგარი რეაქციის პერიოდი პროლეტარიატს აკისრებს ამოცანას განსაკუთრებით მტკიცედ, წინააღმდეგ საყოველთაო მერყეობისა, დაიცვას დემოკრატიის საქმე და რევოლუციის საქმე. აქედან გამომდინარეობს ის შეხედულება, რომ სათათბირო გამოყენებულ უნდა იქნას რევოლუციის მიზნებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნას, უმთავრესად, პარტიის პოლიტიკურ და სოციალისტურ შეხედულებათა ფართოდ გავრცელების მიზნით, და არა საკანონმდებლო «რეფორმების» მიზნით, «რეფორმებისა», რომლებიც ყოველ შემთხვევაში კონტრრევოლუციის დამხმარე იქნება და ყოველნაირად შეკვეცავს დემოკრატიას.

ამხ. ლენინის თქმით, სათათბიროს საკითხის დედააზრი უნდა იყოს სამი შემდეგი დებულების გარკვევა: ა) როგორია სათათბიროს კლასობრივი შემადგენლობა, ბ) როგორი უნდა იყოს და იქნება სათათბიროს ცენტრების დამოკიდებულება

რევოლუციისა და დემოკრატიისადმი და გ) როგორია სათათბიროს მოღვაწეობის მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციის განვითარების მსვლელობაში.

პირველ საკითხზე — სათათბიროს შემადგენლობის ანალიზის საფუძველზე (დეპუტატების ამა თუ იმ პარტიისადმი მიკუთვნების ცნობების მიხედვით), ამხ. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყბადაღებული ეგრეთწოდებული «ოპოზიციის» შეხედულებათა მიღება III სათათბიროს შეუძლია მხოლოდ ერთი პირობით. თუ სულ ცოტა, 87 ოქტიაბრისტი ითანამშრომლებს კადეტებთან და მემარცხენეებთან ერთად. კადეტებსა და მემარცხენეებს კანონპროექტების ვოტუმის დროს საჭირო უმრავლესობის მისაღებად აკლიათ 87 ხმა. მაშასადამე, ფაქტიურად სათათბიროში საკანონმდებლო მოღვაწეობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მასში უეჭველად მონაწილეობას იღებს ოქტიაბრისტების დიდი უმრავლესობა. ცხადია, რა სახე შეიძლება მიიღოს ასეთმა საკანონმდებლო მოღვაწეობამ და რა სამარცხვინო ბოძზე გააკრავს სოციალ-დემოკრატიას ოქტიაბრისტებთან ერთად სიარული. საქმე აქ აბსტრაქტული პრინციპი როდია. აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, შეიძლება, ხოლო ხანდახან კიდევაც უნდა დავუჭიროთ მხარი მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია ანგარიში გაეწიოს რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების კონკრეტულ პირობებს. რუსეთის ბურჟუაზია უკვე დიდი ხანია დაადგა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თვითმპყრობელობასთან კომპრომისების გზას. კადეტების უკანასკნელმა ყრილობამ საბოლოოდ ჩამოგლიჯა ყველა ის ლეღვის ფოთოლი, რომლებსაც იფარებდნენ ბატონი მილიუკოვები, და ეს ყრილობა წარმოადგენს დიდ პოლიტიკურ მოვლენას, რადგან კადეტებმა ცინიკური გულახდილობით განაცხადეს, ოქტიაბრისტულ-შავრაზმულ სათათბიროში მივდივართ საკანონმდებლოდ, ხოლო «მემარცხენე მტრებს» ბრძოლას გავუმართავთო. ამრიგად, სათათბიროს ორი შესაძლებელი უმრავ-

ლესობა, ოქტიაბრისტულ-შავრაზმული და კადეტურ-ოქტიაბ-რისტული, ორივე სხვადასხვა გზით შეეცდება რეაქციის კვანძის მაგრად გამოსკვნას: პირველი — თვითმპყრობელობის აღდგენისაკენ მისწრაფებით, მეორე — მთავრობასთან შეთანხმებებით და მოჩვენებითი რეფორმებით, რომლებიც დაფარავს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ მისწრაფებებს. ამრიგად, სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია დადგეს საკანონმდებლო რეფორმების მხარისდაჭერის თვალსაზრისზე, რაც უდრის მ მ ა რ თ ვ ე ლ ი, ოქტიაბრისტული, პარტიის მხარისდაჭერას. «რეფორმების» გზა არსებულ პოლიტიკურ ნიადაგზე და ძალთა არსებული თანაფარდობის დროს ნიშნავს არა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას, არა თავისუფლების გაფართოებას, არამედ უთავისუფლებობისა და მასების დამონების ბიუროკრატიულ რეგლამენტაციას. ასეთია, მაგალითად, სტოლიპინის აგრარული რეფორმები 87-ე მუხლის მიხედვით [56]. ეს რეფორმები პროგრესულია, რადგან გზას უკაფავენ კაპიტალიზმს, მაგრამ ასეთ პროგრესს ვერც ერთი სოციალ-დემოკრატი ვერ დაუჭერდა მხარს. მენშევიკებმა დაისწავლეს ერთი შაბლონი: ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები უ ნ დ ა შეეჯახოს თვითმპყრობელობასო! მაგრამ ამ ვულგარულ ვითომდა მარქსიზმში ისტორიული სიმართლის ნატამალიც არ არის. განა ნაპოლეონ III და ბისმარკმა ვერ შესძლეს მსხვილი ბურჟუაზიის მადის დროებით დაკმაყოფილება? განა თავიანთი «რეფორმებით» მათ დიდი ხნით არ მოუჭირეს მარყუჟი კისერზე მშრომელ მასებს? მაშ რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის მთავრობა თავის გარიგებაში ბურჟუაზიასთან სხვაგვარ რეფორმებზე დათანხმდება?

«პროლეტარი» № 20,
1907 წლის 19 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

## 2

## რეზოლუცია III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ

ემყარება რა ლონდონის ყრილობის რეზოლუციას სახელმწიფო სათათბიროსა და არაპროლეტარული პარტიების შესახებ, რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციას ამ რეზოლუციების გასავითარებლად აუცილებლად მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი:

1) III სათათბიროში, რომელიც 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შედეგია, შესაძლებელია ორი უმრავლესობა: შავრაზმულ-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური. პირველი უმრავლესობა, რომელიც უპირატესად გამოხატავს მებატონე-მემამულეთა ინტერესებს, კონტრრევოლუციურია და უმთავრესად იცავს მემამულეთა ინტერესებს, რეპრესიების გაძლიერებას და თვითმპყრობელობის სრული აღდგენისაკენ მიისწრაფის. მეორე უმრავლესობაც, რომელიც უმთავრესად გამოხატავს მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, უეჭველად კონტრრევოლუციურია, მაგრამ მიდრეკილებას იჩენს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთი მოჩვენებითი ბიუროკრატიული რეფორმით დაფაროს;

2) ასეთი მდგომარეობა სათათბიროში უაღრესად უწყობს ხელს ორმაგ პოლიტიკურ თამაშს მთავრობის მხრივაც და კადეტების მხრივაც. მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს და განაგრძობს სამხედრო ძალით რუსეთის «დაპყრობას», მაგრამ ამავე დროს მას სურს თავი მოგვაჩვენოს კონსტიტუციური

რეფორმების მომხრედ. კადეტებს, თუმცა ისინი სინამდვილეში ხმას აძლევენ კონტრრევოლუციურ ოქტიაბრისტებთან ერთად, სურთ თავი მოგვაჩვენონ არა მარტო ოპოზიციად, არამედ დემოკრატიის წარმომადგენლებადაც. ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატებს განსაკუთრებული სიძლიერით ეკისრებათ ამოცანა — დაუნდობლად ამხილონ ეს თამაში, ამხილონ ხალხის წინაშე როგორც შავრაზმელი მემამულეებისა და მთავრობის ძალადობა, ისე კადეტების კონტრრევოლუციური პოლიტიკა. სოციალ-დემოკრატების მიერ კადეტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარისდაჭერა — იქნება ეს საინფორმაციო ბიურო კადეტების მონაწილეობით თუ თავის მოქმედების შეგუება მათი პოლიტიკისადმი და სხვ. — ახლა პირდაპირ საზიანო იქნებოდა მუშათა მასების კლასობრივი აღზრდის საქმისა და რევოლუციის საქმისთვის;

3) სოციალ-დემოკრატებმა უნდა დაიცვან თავიანთი სოციალისტური მიზნები და ამ თვალსაზრისით გააკრიტიკონ ყველა ბურჟუაზიული პარტია, ამასთან თავიანთ აგიტაციაში უწინარეს ყოვლისა უნდა განუმარტონ ხალხის ფართო მასებს, რომ III სათათბირო სრულიად არ შეესაბამება ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნებს, და ამასთან დაკავშირებით უნდა გასწიონ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭისყრაზე დამყარებული დამფუძნებელი კრების იდეის ფართო და ენერგიული პროპაგანდა;

4) III სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანების რიცხვს ეკუთვნის მთავრობისა და ლიბერალთა წინადადებების კლასობრივი სარჩულის მხილება და სისტემატური დაპირისპირება მათთვის სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-**minimum**-ის მოთხოვნებისა სრულიად შეუკვეცავად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა იმ საკითხებისადმი, რომლებიც ეხებიან ხალხის ფართო მასების ეკონომიურ ინტერესებს (მუშათა და აგრარული საკითხები, ბიუჯეტი და სხვ.), — მით უმეტეს, რომ III სათათბიროს შემადგენ-

ლობა, ალბათ, განსაკუთრებით უხვ მასალას მოგვცემს სოციალ-დემოკრატების სააგიტაციო მოღვაწეობისათვის;

5) სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატების ხმისმიცემის ესა თუ ის გარეგნული დამთხვევა შავრაზმულ-ოქტიაბრისტული ან ოქტიაბრისტულ-კადეტური ბლოკის ხმისმიცემასთან არ იქნას გამოყენებული ამა თუ იმ ბლოკის მხარდაჭერის აზრით;

6) სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში უნდა შეიტანონ კანონპროექტები და გამოიყენონ შეკითხვების უფლება, რისთვისაც აუცილებელია კადეტებზე მარცხნივ მდგომ სხვა ჯგუფებთან ერთად მოქმედება სოციალ-დემოკრატიის პროგრამისა და ტაქტიკისაგან სრულიად გადაუხვევლად და რაიმე ბლოკის დაუდებლად. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაუყოვნებლივ უნდა მისცეს წინადადება სათათბიროს მემარცხენე დეპუტატებს შექმნან საინფორმაციო ბიურო, რომელიც არაფრით არ შებოჭავს მის მონაწილეთ, მაგრამ მუშათა დეპუტატებს შესაძლებლობას მისცემს სისტემატური გავლენა მოახდინონ დემოკრატიაზე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის მიმართულებით;

7) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირველი კონკრეტული ნაბიჯების რიცხვიდან კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნოს, რომ აუცილებელია: 1) გამოვიდეს განსაკუთრებული დეკლარაციით, 2) შეიტანოს შეკითხვა 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების გამო, 3) რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილი ფორმით აღძრას სათათბიროში II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გასამართლების საკითხი.

«პროლეტარი» № 20,
1907 წლის 19 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# «საზიზღარი ორგიის» მომზადება

აფასებდა რა სოციალ-დემოკრატების ამოცანებს სრულიად რუსეთის მეორე სათათბიროში და რუსი ლიბერალების მისწრაფებებს, ცნობილი გერმანელი მარქსისტი ფრანც მერინგი [57] წერდა, რომ გერმანული ლიბერალიზმი უკვე 60 წელია უბადრუკი და სამარცხვინო გზით მიდის და თავს აფარებს ლოზუნგს: «დადებითი მუშაობა». როდესაც ეროვნულმა კრებამ 1789 წლის ზაფხულის ერთ ღამეს გაათავისუფლა ფრანგი გლეხები, გენიალურად-სინდისგარეცხილმა ავანტიურისტმა მირაბომ, კონსტიტუციური დემოკრატიის უდიდესმა გმირმა, ეს მოვლენა მონათლა მოსწრებული სიტყვით: «საზიზღარი ორგია». ჩვენებურად (სოციალ-დემოკრატიულად) კი ეს დადებითი მუშაობა იყო. პირიქით, პრუსიელი გლეხების განთავისუფლება, რომელიც კუს ნაბიჯით მიბობღავდა მთელი 60 წლის განმავლობაში, 1807-დან 1865 წლამდე, ამასთან უხეშად, შეუბრალებლად დაღუპულ იქნა გლეხების უთვალავი რაოდენობა, ჩვენი ლიბერალების თვალსაზრისით იყო «დადებითი მუშაობა», რის შესახებაც მათ ყველას გამოუჭედეს ყურები. ჩვენებურად ეს იყო «საზიზღარი ორგია» *.

ასე წერდა მერინგი. და შეუძლებელია არ მოვიგონოთ მისი სიტყვები ახლა, როდესაც III სათათბირო იხსნება, — როდესაც ოქტიაბრისტებს მტკიცედ სურთ მოაწყონ საზიზღარი ორგია, — როდესაც კადეტები მზად არიან ლაქიური გულმოდგინებით მიიღონ მასში მონაწილეობა, — როდესაც სოციალ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 12, გვ. 472 — 473. რ ე დ.

დემოკრატებს შორისაც მოიპოვებიან (ჩვენდა სამარცხვინოდ) პლეხანოველები, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ ამ ორგიას. გავეცნოთ უფრო ახლოს მთელ ამ მზადებას.

მესამე სათათბიროს წინადღეები აღინიშნა სხვადასხვა პარტიის გაძლიერებული ბჭობით სათათბიროს ტაქტიკის შესახებ. ოქტიაბრისტებმა მოსკოვის თათბირზე შეიმუშავეს 17 ოქტომბრის კავშირის საპარლამენტო ფრაქციის პროგრამის პროექტი, ხოლო მათმა ორატორმა, ბ-ნმა პლევაკომ, ბანკეტზე მოსკოვში «რუსეთის ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტიის. დროშა» აღმართა. კადეტებმა სამ თუ ოთხ დღეში დაამთავრეს თავიანთი ეგრეთწოდებული V «პარტიული» ყრილობა. მემარცხენე კადეტები სასტიკად დამარცხდნენ და სრულებით განდევნილ იქნენ კადეტების ცენტრალური კომიტეტიდან (ხოლო მათი ცენტრალური კომიტეტი შესდგება 38 კაცისაგან, რომლებიც მთლიანად ატრიალებენ «პარტიის» საქმეებს); მემარჯვენე კადეტებმა მოქმედების სრული თავისუფლება მიიღეს — როგორც ამას მოითხოვს «მოხსენება ტაქტიკაზე III სათათბიროში», «საზიზღარი ორგიის» ეს საუცხოო «ისტორიული» გამართლება. სოციალ-დემოკრატებმა III სათათბიროში თავიანთი ტაქტიკის განხილვა დაიწყეს ცენტრალურ კომიტეტში და რსდმპ სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე.

ოქტიაბრისტების საპარლამენტო პროგრამა განირჩევა იმ კონტრრევოლუციური პოლიტიკის აშკარა ა ღ ი ა რ ე ბ ი თ, რომელსაც არსებითად კადეტებიც აწარმოებდნენ II სათათბიროში, ეფარებოდნენ რა ყოველგვარ ფრაზებსა და შენიშვნებს. მაგალითად, ოქტიაბრისტები გულახდილად აცხადებენ, ძირითადი კანონებისა და საარჩევნო კანონის გადასინჯვა «დროული არ არისო»: დაე ჯერ «მთელი რიგი გადაუდებელი რეფორმებით» დამყარდეს «მშვიდობა, დაცხრეს ვნებათა ღელვა და კლასობრივი ინტერესების ჭიდილიო». კადეტებს ეს არ უთქვამთ, მაგრამ II სათათბიროში სწორედ ასე მოქმედებდნენ, და არა სხვანაირად. კიდევ მაგალითი. ოქტიაბრისტები

მოითხოვენ «ადამიანთა რაც შეიძლება ფართო წრის მიზიდვას თვითმმართველობაში მონაწილეობისათვის», მაგრამ ამასთანავე მოითხოვენ თავადაზნაურობისათვის «სათანადო წარმომადგენლობის უზრუნველყოფას». ეს გულახდილი კონტრრევოლუციურობა უფრო მართალია, ვიდრე კადეტების პოლიტიკა: დაპირება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნებისა, ნამდვილად კი სასტიკი ბრძოლა I და II ხათათბიროში ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების ასეთი წესით არჩევის წინააღმდეგ და წინადადებების წამოყენება, რომ ამ კომიტეტებში თანაბრად შედიოდნენ გლეხთა და მემამულეთა წარმომადგენლები, ე. ი. იმავე «წარმომადგენლობის უზრუნველყოფა თავადაზნაურობისათვის». კიდევ მაგალითი. ოქტიაბრისტები აშკარად უარყოფენ მემამულეთა მიწების იძულებით გასხვისებას. კადეტები ამას «აღიარებენ», აღიარებენ ისე, რომ II სათათბიროში ხმას აძლევენ მემარჯვენეებთან ერთად ტრუდოვიკებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ იმ საკითხზე, რომ აგრარული კამათი დამთავრებულიყო ისეთი ზოგადი ფორმულით, რომელშიც აღიარებული იქნებოდა იძულებითი გასხვისება.

კონტრრევოლუციის «გამარჯვებათა» განმტკიცების პირობით ოქტიაბრისტები მზად არიან ყოველგვარი ლიბერალური რეფორმების დაპირება მისცენ: «სათათბიროს საბიუჯეტო უფლებების გაფართოებაც» (ხუმრობა ხომ არ არის!), «ხელისუფლების მოქმედებათა კანონზომიერებაზე მისი ზედამხედველობის უფლებების გაფართოებაც», სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაც, «მუშათა სამეურნეო ორგანიზაციებისა და ეკონომიური გაფიცვების» («რომლებიც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს არ ემუქრებიან») «შევიწროებათა მოსპობაც», «მართლზომიერი სამოქალაქო თავისუფლების საწყისების განმტკიცებაც», და სხვა და ასე შემდეგ. ოქტიაბრისტთა მთავრობის პარტია ისევე უხვად ისვრის «ლიბერალურ» ფრაზებს, როგორც თვით ბ-ნ სტოლიპინის მთავრობა.

როგორღა დააყენეს კადეტებმა თავიანთ ყრილობაზე ოქტიაბრისტებისადმი დამოკიდებულების საკითხი? მემარცხენე კადეტების მცირე ჯგუფი შედგებოდა მხოლოდ მყვირალებისაგან, რომლებმაც საკითხის ხეირიანად დაყენებაც კი ვერ შესძლეს. ხოლო გადაცმული ოქტიაბრიზმის მემარჯვენე რაინდთა მასა მტკიცედ შემჭიდროვდა სიმართლის ფრიად გაიძვერულად მისაფუჩეჩებლად. მემარცხენე კადეტების უსუსურობა ყველაზე რელიეფურად გამოხატულია მათი რეზოლუციის პროექტში: მისი პირველი მუხლი ურჩევს კადეტებს «იდგნენ მკაცრად ოპოზიციურ ნიადაგზე და არ დაუახლოვდნენ ოქტიაბრისტებს, რომლებიც უცხონი არიან მისთვის (კადეტების პარტიისთვის) საერთო სულისკვეთებითა და პროგრამით». მეორე მუხლი კი მოუწოდებს «არ თქვან უარი ისეთი კანონპროექტების მხარისდაჭერაზე, რომელთაც ქვეყანა მიჰყავთ განთავისუფლებისაკენ და დემოკრატიული რეფორმებისაკენ, საიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ ასეთები». ეს კომიზმია, რადგან III სათათბიროში თუ არა ოქტიაბრისტებისგან, სხვა არავისგან ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გამომდინარეობდეს ისეთი კანონპროექტები, რომლებიც შესძლებენ უმრავლესობის შეკრებას! ბატონმა მემარცხენე კადეტებმა სავსებით დაიმსახურეს დამარცხება, რადგან ისე იქცეოდნენ, როგორც საცოდავი ლაჩრები თუ სულელები, რომლებსაც არ შეუძლიათ აშკარად და პირდაპირ თქვან, რომ ამგვარ სათათბიროში სირცხვილია საკანონმდებლოდ შეკრება, რომ ოქტიაბრისტებთან ერთად ხმისმიცემა კონტრრევოლუციის მხარისდაჭერას ნიშნავს. როგორც ჩანს, მემარცხენე კადეტების ცალკეულ პიროვნებებს ესმოდათ საქმის ვითარება, მაგრამ, როგორც სალონის დემოკრატები, დაფრთხნენ ყრილობაზე. ყოველ შემთხვევაში, ბ-ნი ჟილკინი გადმოგვცემს «ტოვარიშჩიშში» კადეტ საფონოვის ასეთ კ ე რ ძ ო საუბარს: «კადეტების ფრაქციამ ახლა, ჩემი აზრით, I სათათბიროს შრომის ჯგუფის მდგომარეობა უნდა დაიკავოს. ოპოზიცია, მაგარი სიტყვები — და მეტი არაფერი. ი ს ი ნ ი კ ი კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა ს ა პ ი რ ე ბ ე ნ. როგორღა

უნდა მოხდეს ეს? მეგობრობა, კავშირი ოქტიაბრისტებთან? ახირებული მიდრეკილებაა მარჯვნივ. მთელი ქვეყანა გამემარცხენდა, ჩვენ კი მარჯვნივ ვიხრებით» («ტოვარიშჩ» № 407). ცხადია, ბ-ნი საფონოვი ხანდახან სირცხვილისა და ნამუსის ნათელ წუთებს განიცდის... მაგრამ მხოლოდ პრივატულად!

სამაგიეროდ ბ-ნმა მილიუკოვმა და მისმა ხროვამ მთელი ბრწყინვალებით გამოააშკარავეს თავიანთი ძველი თვისებები უსირცხვილო და უნამუსო კარიერისტებისა. მიღებულ რეზოლუციაში საქმის არსი მიაფუჩეჩეს, რათა ფართო საზოგადოება მოეტყუილებინათ, როგორც ყოველთვის ატყუილებდნენ ხალხს პარლამენტური პროსტიტუციის ლიბერალი გმირები. ყრილობის რეზოლუციაში («თეზისები») ერთისიტყვაც კიარარის ნათქვამი ოქტიაბრისტებზე!! ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. კადეტების ყრილობის მთელი დედააზრია — ოქტიაბრისტებთან ერთად კადეტების ხმისმიცემის საკითხი. მთელი კამათი ამის გარშემო ტრიალებდა. მაგრამ ბურჟუაზიული პოლიტიკანების მთელი ოსტატობაც სწორედ ის არის, რომ მოატყუილონ მასები, რომ დაჰფარონ თავიანთი პარლამენტური ოინები. კადეტების ყრილობის მიერ 26 ოქტომბერს მიღებული «თეზისები ტაქტიკის შესახებ» წარმოადგენს კლასიკურ დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს, ჯერ-ერთი, თუ როგორ უერთდებიან კადეტები ოქტიაბრისტებს და, მეორე, როგორ იწერება რეზოლუციები, რომელთა დანიშნულებაა მასების მოტყუილება ლიბერალების მიერ. ეს დოკუმენტი უნდა შევადაროთ 17 ოქტომბრის კავშირის «საპარლამენტო პროგრამას». ეს დოკუმენტი უნდა შევადაროთ მილიუკოვის მიერ კადეტების ყრილობაზე წაკითხულ «მოხსენებას ტაქტიკის შესახებ» («რეჩი» № 255). აი ამ მოხსენების ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები:

«მოექცა რა ოპოზიციის მდგომარეობაში, პარტია, მაინც» (სწორედ: მაინც!) «არ ითამაშებს უპასუხისმგებლო უმცირესობის როლს, იმ აზრით, როგორც იგი თვითონ ხმარობდა ამ

ტერმინს სათათბიროში უკიდურეს მემარცხენეთა მოქმედების დასახასიათებლად» (თუ ამას პარლამენტური ენიდან გადავთარგმნით უბრალოდ და პირდაპირ, მივიღებთ: მოიღეთ მოწყალება, ბატონო ოქტიაბრისტებო, მოგვეცით ადგილები, ჩვენ ხომ მხოლოდ სახელწოდებით ვართ ოპოზიცია!). «სათათბიროს იგი არ მიიჩნევს საშუალებად სათათბიროს გარეთ გამოსვლათა მოსამზადებლად, არამედ სთვლის უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ, რომელსაც მინიჭებული აქვს კანონით ზუსტად განსაზღვრული უმაღლესი ხელისუფლების წილი» (განა უფრო პატიოსნები არ არიან ოქტიაბრისტები, რომლებიც პირდაპირ ამბობენ: ძირითადი კანონების გადასინჯვა დროული არ არისო?). «III სათათბიროში, ისევე როგორც პირველ ორში, პარტია მიდის მტკიცე განზრახვით — აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის საკანონმდებლო მუშაობაში. ასეთ მოღვაწეობას პარტია მუდამ თვლიდა მთავარ და ძირითად საქმედ, ერთნაირად უპირისპირებდა რა მას როგორც მემარცხენეთა სააგიტაციო მიზნებს, ისე მემარჯვენეთა კონსპირაციულ მოღვაწეობას». «კონსპირაციის» შესახებ თქვენც სტყუით, ბატონებო, რადგან ო რ ი ვ ე სათათბიროში თქვენ კ ო ნ ს პ ი რ ა ც ი ა გ ქ ო ნ დ ა თ მინისტრებთან ან მინისტრების ფარეშებთან! ხოლო აგიტაციის უარყოფა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს სრული და მტკიცე უარყოფაა.

III სათათბიროში რომ იკანონმდებლო, საჭიროა ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეუერთდე ოქტიაბრისტებს და სავსებით დადგე კონტრრევოლუციისა და მის გამარჯვებათა დაცვის ნიადაგზე. კადეტები ცდილობენ მიაფუჩეჩონ ეს აშკარა ამბავი. მაგრამ მოხსენების მეორე ადგილას მათ მაინც წამოცდათ: «საკანონმდებლო ინიციატივით სარგებლობა დამოკიდებული უნდა იყოს პარტიული პროექტების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს წინასწარ გარკვევაზე». პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია ოქტიაბრისტებზე. გარკვევა განხორციელების შესაძლებლობისა ნიშნავს ოქტიაბრისტებთან

უკანა კარებიდან ძრომას. შენი ინიციატივა რომ ასეთ გარკვევაზე დამოკიდებული გახადო, — ეს ნიშნავს ოქტიაბრისტების ს ა ა მ ე ბ ლ ა დ საკუთარი პროექტები შეკვეცო, საკუთარი პოლიტიკა ოქტიაბრისტებს დაუმორჩილო.

საშუალო რამ არ არსებობს, ბატონებო. ან ნამდვილი ოპოზიციის პარტია, და მაშინ გვექნება უპასუხისმგებლო უმცირესობა. ან აქტიური კონტრრევოლუციური კანონმდებლობის პარტია, და მაშინ — ლაქიობა ოქტიაბრისტების წინაშე. კადეტებმა მეორე აირჩიეს, და ამის ჯილდოდ, როგორც ამბობენ, შავრაზმულ სათათბიროს პრეზიდიუმში გაჰყავს მემარჯვენე კადეტი მაკლაკოვი! მაკლაკოვმა ეს დაიმსახურა.

მაგრამ როგორღა შეიძლებოდა მოძებნილიყო ისეთი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ახლაც კი ლაპარაკობენ კადეტებისათვის მხარისდაჭერაზე? ასეთი სოციალ-დემოკრატები წარმოშვა ინტელიგენციის მეშჩანობამ, მთელი რუსული ცხოვრების მეშჩანობამ. ასეთი სოციალ-დემოკრატები აღზარდა მარქსიზმის პლეხანოვურმა გაუგვანებამ. სანკტ-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მენშევიკები მემარჯვენე სათათბიროს კვალდაკვალ კიდევ უფრო მარჯვნივ მიდიან. ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ოქტიაბრისტებს, ე. ი. მ თ ა ვ რ ო ბ ი ს პარტიას! რატომღა არ უნდა მისცენ ხმა სოციალ-დემოკრატებმა ხომიაკოვს, რომელიც ბობრინსკიზე უკეთესია? ეს მიზანშეწონილების საკითხია! რად არ უნდა მისცენ ხმა ბობრინსკის, თუ არჩევანია მხოლოდ მასსა და პურიშკევიჩს შორის? რად არ უნდა დაუჭირონ მხარი ოქტიაბრისტებს შავრაზმელების წინააღმდეგ, როდესაც მარქსი გვასწავლიდა ბურჟუაზიის მხარისდაჭერას ფეოდალების წინააღმდეგ[58]?

დიახ, სირცხვილია ვაღიაროთ, მაგრამ ცოდვაა დავმალოთ, რომ პლეხანოვმა თავისი მენშევიკები სოციალ-დემოკრატიის უდიდეს შერცხვენამდე მიიყვანა. როგორც ნამდვილი ფუტლარის ადამიანი, იმეორებდა იგი გაზეპირებულ სიტყვებს «ბურ-

ჟუაზიისათვის მხარდაჭერაზე» და თავისი ჩ ი ჩ ი ნ ი თ გაბუნდოვანა რევოლუციაში პროლეტარიატის ბრძოლისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებული ამოცანებისა და განსაკუთრებული პირობების ყოველგვარი გაგება. მარქსის მთელი ანალიზი რევოლუციური ეპოქებისა ტრიალებს კონსტიტუციური ილუზიების, ლიბერალიზმის გამცემლობისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ნამდვილი დემოკრატიის და განსაკუთრებით პროლეტარიატის ბრძოლის გარშემო. პლეხანოვი ცნობს მარქსს, — გაყალბებულს სტრუვეს ყაიდაზე. დაე ახლა მოიმკას პლეხანოვმა ის, რაც დათესა!

ლიბერალიზმის კონტრრევოლუციური ხასიათი რუსეთის რევოლუციაში დამტკიცებულია 17 ოქტომბრის წინ და, განსაკუთრებით, 17 ოქტომბრის შემდეგ მომხდარი ამბების მთელი მსვლელობით. მესამე სათათბირო ბრმებსაც კი აუხელს თვალს. კადეტების დაახლოება ოქტიაბრისტებთან პოლიტიკური ფაქტია. ამის მიფუჩეჩება არავითარ მომიზეზებას და ფანდებს არ შეუძლია. დაე გონებაჩლუნგი ბერნშტეინელების გაზეთი «ტოვარიშჩი» დაკმაყოფილდეს უმწეო წუწუნით ამის გამო და ამ წუწუნს დაურთოს კადეტების წაბიძგება ოქტიაბრისტებისაკენ, პოლიტიკური მაჭანკლობა. სოციალ-დემოკრატიამ უნდა შეიგნოს რუსეთის ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობის კლასობრივი მიზეზები. სოციალ-დემოკრატიამ შეუბრალებლად უნდა ამხილოს სათათბიროში კადეტების მთელი დაახლოება ოქტიაბრისტებთან, ვითომდა დემოკრატიული ლიბერალიზმის მთელი სიმდაბლე. მუშათა პარტია ზიზღით უკუაგდებს ყოველგვარ მოსაზრებას «ცეცხლის დაზოგვის» შესახებ და გაშლის სოციალიზმის დროშას და რევოლუციის დროშას!

«პროლეტარი» № 19,
1907 წლის 5 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# მსაჯულნი ვინლა არიან?

ბურჟუაზიულ პრესაში მუდმივ მოვლენად გადაიქცა ნიშნის მომგები ხითხითი საერთოდ რსდმ პარტიაში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გათიშვის გამო და კერძოდ ლონდონის ყრილობაზე გამწვავებული ბრძოლის გამო. არავინ ფიქრობს უთანხმოებათა შესწავლაზე, ორი ტენდენციის ანალიზზე, იმაზე, რომ მკითხველ საზოგადოებას გააცნონ გათიშვის ისტორია და მენშევიკებისა და ბოლშევიკების განხეთქილების მთელი ხასიათი. «რეჩისა» და «ტოვარიშჩის» პუბლიცისტები, ბატონი ვერგეჟსკები, ე. კ., პერეიასლავსკები და **სხვა penny-a-liner**-ები (სტრიქონობით ჰონორარის გულისთვის მჯღაბნელები) ჰაერში იჭერენ ყოველგვარ ჭორებს, აგროვებენ სალონების მოყირჭებულ მოლაყბეთათვის «სკანდალების» «პიკანტურ» წვრილმანებს და ყოველნაირად ცდილობენ გამოუტენონ თავი მკითხველს ანეგდოტების ჩენჩოთი ჩვენი ბრძოლის შესახებ.

ამ უხამსი ღრეჭვის ჟანრს მიმართავენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. «ზნამია ტრუდას»[59] მე-6 ნომრის მოწინავე ათავსებს ჩერევანინის ნაამბობს ისტერიკის შემთხვევის შესახებ ლონდონის ყრილობაზე, ხითხითებს «ათეული ათასების» დახარჯვის გამო, სიამოვნებას განიცდის «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დღევანდელი შინაური მდგომარეობის არც ისე ცუდი სურათით». ლიბერალებს ასეთი შესავალი იმისთვის სჭირდებათ, რომ განადიდონ პლეხანოვის **à la*** ოპორტუნისტები, ესერებს კი იმისათვის, რომ მრისხანედ გაა-

* — მსგავსი. რ ე დ.

ცამტვერონ სოციალ-დემოკრატები (სოციალისტ-რევოლუციონერები ა ხ ლ ა იმეორებენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მოსაზრებებს მუშათა ყრილობის წინააღმდეგ! გონს მოვიდნენ!). მაგრამ სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული მძიმე ბრძოლის გამო ერთნიც და მეორენიც ერთნაირად ეძლევიან ბოროტ სიხარულს.

რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ამ ლაშქრობის ლიბერალ გმირებზე და ვრცლად შევჩერდებით «ოპორტუნიზმთან ბრძოლის» ესერ გმირებზე.

ლიბერალები ხითხითებენ სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული ბრძოლის გამო, რათა დაჰფარონ მათ მიერ საზოგადოების სისტემატური მ ო ტ ყ უ ი ლ ე ბ ა კადეტების პარტიის შესახებ. ისინი მუდამ ტყუიან, თვით კადეტების შინაურ ბრძოლას და მათს მოლაპარაკებას ხელისუფლებთან სისტემატურად მალავენ. ყველამ იცის, რომ მემარცხენე კადეტები ტუქსავენ მემარჯვენეებს, ყველამ იცის, რომ ბატონი მილიუკოვები, სტრუვეები და კომპ. დაძვრებოდნენ ბატონ სტოლიპინების დერეფნებში. მაგრამ ზუსტი ფაქტები დამალულია. უთანხმოებანი მიფუჩეჩებულია, ერთი სიტყვაც არ ისმის ბატონ სტრუვეების დავაზე მემარცხენე კადეტებთან. კადეტების ყრილობათა ოქმები არ არსებობს. თავიანთი პარტიის წევრთა რიცხვს არც შეჯამებულს, არც ორგანიზაციების მიხედვით ლიბერალები არ აქვეყნებენ. სხვადასხვა კომიტეტის მიმართულება უცნობია. უკუნეთი სიბნელე, «რეჩის» დაუსრულებელი ოფიციალური სიცრუე, დემოკრატიის სულ ერთიანი მოტყუება მინისტრების მოსაუბრეთაგან, აი რას წარმოადგენს კადეტების პარტია. ვექილები და პროფესორები, რომლებიც კარიერას იკეთებენ პარლამენტარიზმის საშუალებით და ფარისევლურად ჰკიცხავენ არალეგალურ მუშაობას, აქებ-ადიდებენ პარტიების აშკარა მოღვაწეობას, ნამდვილად კი დასცინიან საჯაროობის დემოკრატიულ პრინციპს და საზოგადოებას უმალავენ სხვადასხვა პოლიტიკურ ტენდენციას თავიანთ პარტიაში. საჭიროა მილიუ-

კოვის წინაშე მუხლმოყრილი პლეხანოვის მთელი სიბეცე, რომ ვერ დაინახო კადეტების მხრივ დემოკრატიის ეს ტლანქი, ბინძური, კულტურულობის ლაქით შელამაზებული მოტყუება.

ესერები? ასრულებენ თუ არა ისინი პატიოსანი დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს (სოციალისტებზე არ ვლაპარაკობთ, როდესაც ესერებზეა ლაპარაკი) მოვალეობას — ნ ა თ ლ ა დ დ ა მ ა რ თ ლ ა დ გააცნონ ხალხს სხვადასხვა პოლიტიკური ტენდენციის ბრძოლა იმათ წრეში, ვისაც სურს ხალხი გაიყოლიოს?

გადავხედოთ ფაქტებს.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის 1905 წლის დეკემბრის ყრილობა. პირველი და ერთადერთი, რომელმაც ოქმები გამოაქვეყნა. ბ-ნი ტუჩკინი, ცენტრალური ორგანოს დელეგატი, გაიძახის: «ოდესღაც სოციალ-დემოკრატები, როგორც ჩანს, სრულიად გულწრფელად იყვნენ დარწმუნებული, რომ პოლიტიკურ თავისუფლებათა მოპოვება პოლიტიკური სიკვდილი იქნებოდა ჩვენი პარტიისათვის... თავისუფლებათა ეპოქამ სულ სხვა დაამტკიცა» (ოქმების დამატების 28 გვ.). მართლა ასეა, ბ-ნო ტუჩკინ? ეს დაამტკიცა თავისუფლებათა ეპოქამ? ეს დაამტკიცა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ნამდვილმა პოლიტიკამ 1905 წელს? 1906 წელს? 1907 წელს?

გადავხედოთ ფაქტებს!

სოციალისტ-რევოლუციონერთა ყრილობის ოქმებში (1905 წლის დ ე კ ე მ ბ ე რ ი, გამოქვეყნდა 1 9 0 6 წ ე ლ ს!) ვკითხულობთ, რომ ლიტერატორთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ამ ყრილობაზე სათათბირო ხმა ქონდა, 17 ოქტომბრის შემდეგ «დ ა ჟ ი ნ ე ბ ი თ მ ო ი თ ხ ო ვ დ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი-ტ ე ტ ი ს წ ი ნ ა შ ე ღ ი ა პ ა რ ტ ი ი ს დ ა ა რ ს ე-ბ ა ს» (ოქმების 49 გვ.; აქედანვეა შემდგომი ციტატებიც). სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალურ კომიტეტს «წ ი-ნ ა დ ა დ ე ბ ა მ ი ე ც ა შ ე ე ქ მ ნ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა პ ა რ ტ ი ი ს ა რ ა ღ ი ა

ორგანიზაცია, არამედ განსაკუთრებული, მისი პარალელური სახალხო-სოციალისტური პარტია» (51). ცენტრალურმა კომიტეტმა უარი თქვა და საკითხი ყრილობაზე გამოიტანა. ყრილობამ უარყო სახალხო სოციალისტების წინადადება ყველა ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ, შვიდმა თავი შეიკავა (66). «განა შესაძლებელია ერთ და იმავე დროს ორ პარტიაში ყოფნა?» — გაიძახოდა მკერდზე ხელის ცემით ბ-ნი ტუჩკინი (გვ. 61). ხოლო ბ-ნმა შევიჩმა გადაკვრით აღნიშნა სახალხო სოციალისტების ახლო ნათესაობა ლიბერალებთან, ისე რომ სიმშვიდე დაჰკარგა (გვ. 59) სახალხო სოციალისტმა ბ-ნმა როუდესტვენსკიმ, რომელიც ირწმუნებოდა — «არავის უფლება არა აქვს» «ნახევრადლიბერალები» გვიწოდონო (59) *.

ასეთია ფაქტები. 1905 წელს სოციალისტ-რევოლუციონერებმა კავშირი გაწყვიტეს «ნახევრადლიბერალ» სახალხო სოციალისტებთან. გაწყვიტეს კი?

მასებზე პარტიის აშკარა ზეგავლენის უდიდეს საშუალებას 1905 წელს წარმოადგენდა პრესა. ოქტომბრის «თავისუფლებათა დღეებში» სოციალისტ-რევოლუციონერები გაზეთს წარმართავდნენ სახალხო სოციალისტებთან ერთად, თუმცა, დეკემბრის ყრილობამდე. ფორმალურად აქ ესერები მართალი არიან. არსებითად კი, მათ უდიდეს თავისუფლებათა პერიოდში, მასებზე უაღრესად აშკარა ზეგავლენის პერიოდში, დაუმალეს საზოგადოებას პარტიის შიგნით არსებული ორი სხვადასხვანაირი ტენდენცია. უთანხმოება არანაკლები იყო, ვიდრე სოციალ-დემოკრატიის შიგნით, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ზრუნავდნენ მათ გარკვევაზე,

* ბ-ნმა შევიჩმა ცოტათი უკან დაიხია ამ სიმშვიდედაკარგული სახალხო სოციალისტის შეურაცხყოფის წინაშე და «გამოასწორა» ნათქვამი, — გვ. 63 — «პირადი (!!) განმარტების სახით» განაცხადა: «მე არ მიფიქრნია ორატორის მიკუთვნება ლიბერალური პარტიისათვისო».

ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერები მათ დიპლომატიურად დამალვაზე. ასეთია 1905 წლის ფაქტები.

ავიღოთ 1906 წელი. პირველი სათათბიროს «მცირე თავისუფლებათა» პერიოდი. აღორძინდნენ სოციალისტური გაზეთები. ესერები კვლავ ბლოკში არიან სახალხო სოციალისტებთან, მათ საერთო გაზეთი აქვთ. «ნახევრადლიბერალებთან» კავშირის გაწყვეტა ყრილობაზე ტყუილად კი არ ყოფილა დიპლომატიური: გნებავთ, გავწყვიტოთ კავშირი, გნებავთ, არავითარი კავშირის გაწყვეტა! წინადადება უარყვეს, «ორ პარტიაში ერთ და იმავე დროს ყოფნის» აზრი სასაცილოდ აიგდეს და.... და განაგრძობდნენ ერთსა და იმავე დროს ორ პარტიაში ყოფნას, და მოკრძალებით იძახდნენ: გმადლობთ შენ, უფალო, რომ ჩვენ არა ვგავართ ერთმანეთთან მოჩხუბარ სოციალ-დემოკრატებსო! ასეთია ფაქტები. თავისუფალი პრესის ორივე პერიოდი რუსეთში იმით აღინიშნა, რომ ესერები ბლოკში იყვნენ სახალხო სოციალისტებთან, მოტყუებით («დიპლომატიით») უმალავდნენ დემოკრატიას ორ დიდად განსხვავებულ ტენდენციას, რომლებმაც მათი პარტიის შიგნითაც იჩინეს თავი.

ავიღოთ 1907 წელი. პირველი სათათბიროს შემდეგ სახალხო სოციალისტებმა ფორმალურად შექმნეს თავიანთი პარტია. ეს აუცილებელი იყო, რადგან I სათათბიროში, პარტიების პირველ გამოსვლაში გლეხთა შორის არჩევნების წინ მთელ რუსეთში სახალხო სოციალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები გამოვიდნენ სხვადასხვა აგრარული პროექტით (104-ისა და 33-ისა). სახალხო სოციალისტებმა დაამარცხეს სოციალისტ-რევოლუციონერები ტრუდოვიკ-დეპუტატების წინაშე, შეკრიბეს რა სამჯერ მეტი ხელმოწერა თავიანთ პროექტზე, თავიანთ აგრარულ პროგრამაზე. ეს პროგრამა კი, როგორც სოციალისტ-რევოლუციონერმა ვიხლიაევმა აღიარა («ნაშა მისლ», კრებული № 1, სპბ. 1907, სტატია: «სახალხო სოციალისტური პარტია და აგრარული საკითხი»), «ისევე უარყოფს თემური მიწათსარგებლობის ძი-

რითად საფუძვლებს», როგორც 1906 წლის 9 ნოემბრის კანონიო. ეს პროგრამა აკანონებს «ანგარებიანი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას» (ბ-ნ ვიხლიაევის სტატიის 89 გვ.), «ინდივიდუალისტურ ლაფში სვრის ფართო იდეურ ნაკადს» (იმავე სტატიის 91 გვ.), დგება «ხალხის მასებში ინდივიდუალისტურ დაეგოისტურ მიმდინარეობათა წახალისების გზაზე» (იქვე, გვ. 93).

გგონიათ, ცხადია? გლეხთა დეპუტატების უდიდესმა უმრავლესობამ ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი გამოიჩინა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პირველმა გამოსვლამ მთელი რუსეთის გლეხთა წარმომადგენლების წინაშე ბრწყინვალედ დაადასტურა სოციალ-დემოკრატების თეორია და ფაქტიურად სოციალისტ-რევოლუციონერები წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურეს მემარცხენე ფრთად გადააქცია.

მაგრამ, შეიძლება, სოციალისტ-რევოლუციონერები მას შემდეგ მაინც გაემიჯნენ სრული გარკვეულობით სახალხო სოციალისტებს, რაც სახალხო სოციალისტები მათ ჩამოშორდნენ და თავიანთი პროგრამა გაიყვანეს შრომის ჯგუფში? არა. II სათათბიროს არჩევნებმა პეტერბურგში საწინააღმდეგო დაამტკიცა. კადეტებთან ბლოკი მაშინ სოციალისტური ოპორტუნიზმის უდიდესი გამოხატულება იყო. შავრაზმული საფრთხე ფიქცია იყო, რომელიც ლიბერალებისადმი დამორჩილების პოლიტიკას ჰფარავდა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოააშკარავა კადეტების პრესამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მენშევიკებისა და სახალხო სოციალისტების «ზომიერება». როგორ ეჭირათ თავი ესერებს? ჩვენი «რევოლუციონერები» ბლოკში იყვნენ სახალხო სოციალისტებთან და ტრუდოვიკებთან; ამ ბლოკის პირობებს საზოგადოებას უმალავდნენ. ჩვენი რევოლუციონერები უკან მიჩანჩალებდნენ კადეტებს, სწორედ ისევე, როგორც მენშევიკები. სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენლები ბლოკს სთავაზობდნენ კადეტებს (1907 წ. 18 იანვრის თათბი-

რი. შეად. ნ. ლენინის ბროშურა — «მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა», სპბ. 1907 წ. 15 იანვარი *, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები პოლიტიკურად უსინდისოდ იქცეოდნენ შეთანხმებათა საკითხში, როცა ერთსა და იმავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სოციალ-დემოკრატებთანაც, რომლებმაც 1907 წლის 7 იანვარს ომი გამოუცხადეს კადეტებს, და კადეტებთანაც). მემარცხენე ბლოკში სოციალისტ-რევოლუციონერები მოხვდნენ თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, კადეტების უარის გამო.

ამრიგად, სახალხო-სოციალისტებთან კავშირის სრულიად გაწყვეტის შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერები სინამდვილეში სახალხო-სოციალისტებისა და მენშევიკების, ე. ი. ოპორტუნისტების პოლიტიკას აწარმოებენ. მათი «უპირატესობა» ის არის, რომ ისინი საზოგადოებას უმალავენ ამ პოლიტიკის მოტივებსა და მიმდინარეობათა არსებობას პარტიის შიგნით.

ესერების პარტიის საგანგებო ყრილობამ 1907 წლის თებერვალში არათუ არ დააყენა კადეტებთან ბლოკის საკითხი, არათუ არ შეაფასა ასეთი პოლიტიკის მნიშვნელობა, არამედ, პირიქით, დაადასტურა იგი! მოვიგონოთ გ. ა. გერშუნის მიერ ამ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც თავის დროზე ისევე შეაქო «რეჩმა», როგორც ის ყოველთვის აქებს პლეხანოვს. გერშუნი ლაპარაკობდა, ვადგივარ «ძველ შეხედულებას: კადეტები ჯერჯერობით ჩვენი მტრები არ არიანო» (გვ. 11 ბროშურისა: «გ. ა. გერშუნის სიტყვა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საგანგებო ყრილობაზე», 1907 წ., გვ. 1 — 15, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიული დევიზით: «ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას»). გერშუნი გაფრთხილებას იძლეოდა, არ გააჩაღოთ ურთიერთშორის ბრძოლა ოპოზიციის შიგნითო: «ხომ არ დაჰკარგავს ხალხი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 11, გვ. 552 — 575. რედ.

თვით იმის რწმენას, რომ შესაძლებელია სახალხო წარმომადგენლობის საშუალებით მართვა-გამგეობაო» (იქვე). ცხადია, სოციალისტ-რევოლუციონერთა ყრილობამ ამ კადეტთა მოყვარულის სულისკვეთების მიხედვით მიიღო რეზოლუცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«ყრილობა აღიარებს, რომ აშკარა პარტიული დაჯგუფება სათათბიროს შიგნით, როდესაც თვითეული ცალკე ჯგუფი დამოუკიდებლად გამოდის და გამწვავებულია ფრაქციათაშორის ბრძოლა, სავსებით მოშლიდა ოპოზიციური უმრავლესობის მუშაობას და ამით სახელს გაუტეხდა მშრომელი კლასების თვალში თვით სახალხო წარმომადგენლობის იდეას» (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის «პარტიინიე იზვესტია» № 6, 1907 წ. 8 მარტი).

ეს უკვე წმინდა წყლის ოპორტუნიზმია, ჩვენს მენშევიზმზე უარესი. გერშუნიმ ცოტა უფრო ტლანქად გაამეორებინა ესერების ყრილობას პ ლ ე ხ ა ნ ო ვ შ ჩ ი ნ ა. და სათათბიროს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მთელმა მოღვაწეობამ ასახა ნაციონალური ოპოზიციის ერთიანობაზე მზრუნველობის კადეტური ტაქტიკის ეს სულისკვეთება. განსხვავება სოციალ-დემოკრატ პლეხანოვსა და ესერ გერშუნის შორის მ ხ ო ლ ო დ ის არის, რომ პირველი — იმ პარტიის წევრია, რომელიც კი არ ჰფარავს ასეთ დეკადენტობას, არამედ ამჟღავნებს და ებრძვის მას, ხოლო მეორე — იმ პარტიის წევრია, რომელშიც ყველა ტაქტიკური პრინციპი და თეორიული შეხედულებანი არეულია და დაფარულია საზოგადოების თვალთაგან წრეობრივი დიპლომატიის სქელი ფარდით. «ქოხიდან ნაგავს ნუ გაიტანთ», — ამის უნარი კი აქვთ ბატონ ესერებს. მაგრამ ნაგვის გატანა მათ არც შ ე უ ძ ლ ი ა თ, რადგან იქ ნაგავის მეტი აღარაფერია! მათ არ შეეძლოთ ეთქვათ მთელი სიმართლე თავიანთ ურთიერთობაზე სახალხო სოციალისტებთან 1905, 1906 და 1907 წლებში. ისინი ვერ გამოამჟღავნებენ იმას, თუ როგორ შეუძლია პ ა რ ტ ი ა ს... პარტიას, და არა წრეს... დღეს 67 ხმით ერთის წინააღმდეგ არქიოპორ-

ტუნისტული რეზოლუცია მიიღოს, ხოლო ხვალ ქვეყანა გააყრუოს «რევოლუციური» წამოძახილებით.

დიახ, ბატონო «მსაჯულნო», ჩვენ არ შეგვშურს თქვენი ფორმალური უფლება ზეიმისა სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული მწვავე ბრძოლის და გათიშვების გამო. თქმა არ უნდა, ამ ბრძოლაში ბევრი რამ არის ცუდი. უდავოა, რომ ამ გათიშვებში ბევრი დამღუპველი რამ არის სოციალიზმის საქმისათვის. და მაინც ერთი წუთითაც არ მოვისურვებდით გაგვეცვალა ეს მძიმე სიმართლე თქვენს, «მსუბუქ» სიცრუეზე. ჩვენი პარტიის მძიმე სენი — მ ა ს ო ბ რ ი ვ ი პარტიის ზრდის სენია. რადგან არ შეიძლება არსებობდეს მასობრივი პარტია, კლასის პარტია, თუ არ იქნება არსებით ელფერთა სრული სიცხადე, თუ არ იქნება აშკარა ბრძოლა სხვადასხვა ტენდენციას შორის, თუ მ ა ს ე ბ ი არ გაეცნობიან იმას, პარტიის რომელი მოღვაწენი, პარტიის რომელი ორგანიზაციები ადგანან ამა თუ იმ ხაზს. უამისოდ შეუძლებელია ჩამოაყალიბო პარტია, რომელიც ღირსია ამ სიტყვისა, და ჩვენც ვაყალიბებთ მას. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ორივე ჩვენი მიმდინარეობის შეხედულებანი მართლად, ნათლად და გარკვევით დგას ყველას წინაშე. პირადი გაცხარება, ფრაქციული კინკლაობა და ჩხუბი, სკანდალები და გათიშვები, — ყოველივე ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რომ ო რ ი ტ ა ქ ტ ი კ ი ს გამოცდილებაზე სწავლობენ ნამდვილი პროლეტარული მასები, ნამდვილად სწავლობენ ყველანი, ვისაც კი უნარი შესწევს შეგნებულად მიუდგეს პოლიტიკას. ჩვენი ჩხუბი და გათიშვები დავიწყებას მიეცემა. ჩვენი გამოკვეთილი და გამობრძმედილი ტაქტიკური პრინციპები ქვაკუთხედად შევა რუსეთის მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ისტორიაში. გაივლის წლები, — შეიძლება, ათეული წლებიც კი, და ასეულ სხვადასხვაგვარ პრაქტიკულ საკითხზე გამოარკვევენ ამა თუ იმ მიმდინარეობის გავლენას. რუსეთის მუშათა კლასმაც და მთელმა ხალხმაც ი ც ი ს, ვისთან აქვთ საქმე ბოლშევიზმისა და მენშევიზმის სახით.

იცნობენ თუ არა ისინი კადეტებს? კადეტების პარტიის მთელი ისტორია განუწყვეტელი პოლიტიკური ოინბაზობაა, რასაც ახასიათებს უმთავრესზე დუმილი, მუდამ ერთი ზრუნვა: რადაც უნდა დაჯდეს დამალონ სიმართლე.

იცნობენ თუ არა ისინი ესერებს? შეკრავენ თუ არა სოციალისტ-რევოლუციონერები ხვალ ისევ ბლოკს სოციალ-კადეტებთან? არიან თუ არა სოციალისტ-რევოლუციონერები ახლა ამ ბლოკში? იმიჯნებიან თუ არა ისინი ტრუდოვიკების «ინდივიდუალისტური ლაფისაგან» თუ სულ უფრო და უფრო ავსებენ ამ ლაფით თავიანთ პარტიას? დგანან თუ არა ისინი წინანდებურად ნაციონალური ოპოზიციის ერთიანობის თეორიის ნიადაგზე? მხოლოდ გუშინ მიიღეს თუ არა მათ ეს თეორია? თავს გაანებებენ თუ არა ისინი ამ თეორიას ხვალ რამდენიმე კვირით? ეს არავინ იცის, ეს თვით ბატონმა ესერებმაც არ იციან, რადგან მათი პარტიის მთელი ისტორია უთანხმოებათა ერთიანი, სისტემატური, განუწყვეტელი მიჩქმალვა, დახლართვა და მიფუჩეჩებაა სიტყვებით, ფრაზებითა და ისევ ფრაზებით.

რატომაა ეს ასე? არა იმიტომ, რომ ესერები ბურჟუაზიული კარიერისტები არიან, როგორც კადეტები. არა, მათი, როგორც წრის, გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. მათი უბედურება ის არის, რომ არ შეუძლიათ მასობრივი პარტია შექმნან, არ შეუძლიათ კ ლ ა ს ი ს პარტიად გადაიქცნენ. ობიექტური მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი გლეხური დემოკრატიის მხოლოდ ფ რ თ ა ს უნდა წარმოადგენდნენ, არადამოუკიდებელ, უთანასწორო დანამატს, ტრუდოვიკებთან «არსებულ ჯგუფს» და არა თვითკმარ მთელს. ქარიშხლისა და შეტევის პერიოდმა ვერ გამართა წელში ესერები, — ამ პერიოდმა ისინი გადაისროლა სახალხო სოციალისტების მაგარ კლანჭებში, ისეთ მაგარ კლანჭებში, რომ გათიშვაც კი ვერ აცილებს მათ ერთმანეთს. კონტრრევოლუციური ომის პერიოდმა ვერ გამოაწრთო მათი კავშირი განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფენებთან; მან გამოიწვია მხო-

ლოდ ახალი ქანაობა და მერყეობა (რასაც ახლა ესერები თავგამოდებით მალავენ) გლეხის სოციალისტობის შესახებ. და როდესაც კითხულობ ახლა «ზნამია ტრუდას» პათოსით აღსავსე სტატიებს ესერების ტერორის გმირთა შესახებ, — უნებლიეთ ამბობ გულში: თქვენი ტერორიზმი, ბატონებო, თქვენი რევოლუციურობის შედეგი როდია. თქვენი რევოლუციურობა ტერორიზმით განისაზღვრება.

არა, ასეთ მსაჯულთ არ ძალუძთ სოციალ-დემოკრატია გაასამართლონ!

«პროლეტარი» № 19,
1907 წლის 5 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# წინასიტყვაობა ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურისა პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ[60]

ამხ. ვოინოვის ნაშრომს პროფესიული კავშირებისადმი პროლეტარიატის სოციალისტური პარტიის დამოკიდებულების საკითხზე ბევრი არასწორი აზრის გამოწვევა შეუძლია. ეს ხდება ორი მიზეზით: ჯერ-ერთი, გატაცებულია რა ბრძოლით მარქსიზმის ვიწრო და არასწორი გაგების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ არ სურთ მხედველობაში მიიღონ მუშათა მოძრაობის ახალი მოთხოვნები და საგანს შეხედონ უფრო ფართოდ და ღრმად, ავტორი ხშირად მეტისმეტად განყენებულად ლაპარაკობს. იგი თავს ესხმის ორთოდოქსიას, — მართალია, ორთოდოქსიას ბრჭყალებში, ე. ი. ცრუ-ორთოდოქსიას, — ანუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას საერთოდ იქ, სადაც არსებითად მისი თავდასხმები მიმართულია მხოლოდ ორთოდოქსიის ვულგარიზატორების, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ. მეორე, ავტორი წერს რუსი საზოგადოებისათვის, მაგრამ თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს სხვადასხვა ელფერს, რაც გამოწვეულია იმ საკითხების რუსულ ნიადაგზე დაყენებით, რომლებსაც იგი განიხილავს. ამხ. ვოინოვის თვალსაზრისი უსაზღვროდ დაშორებულია რუსი სინდიკალისტების, მენშევიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების შეხედულებებს.

მაგრამ უგულისყურო ან არაკეთილსინდისიერ მკითხველს ადვილად შეუძლია ჩაეჭიდოს ვოინოვის ცალკეულ ფრაზებს თუ აზრებს და ისარგებლოს იმით, რომ ავტორს უშუალოდ თვალწინ ჰყავდა უმთავრესად ფრანგები და იტალიელები და იგი მიზნად არ ისახავდა გამიჯნოდა ყოველგვარ რუსეთელ თავგზააბნეულ ადამიანებს.

ამ უკანასკნელთა ნიმუშად აღვნიშნავთ, მაგალითად, სოციალისტ-რევოლუციონერებს. «ზნამია ტრუდას» მეხუთე ნომერში ისინი ჩვეულებრივი სითამამით აცხადებენ: «სოციალისტურმა ინტერნაციონალმა მოიწონა ის თვალსაზრისი პროფესიულ მოძრაობაზე, რომელსაც ჩვენ (!) ყოველთვის (!)ვიცავდით». ხელთ ვიღებთ «სტატიათა კრებულს» № 1 (1907 წ.), გამომცემლობა «ნაშა მისლ». ბ-ნი ვიქტორ ჩერნოვი აცამტვერებს კაუტსკის და დ უ მ ს როგორც მანჰეიმის რეზოლუციაზე, ისე კაუტსკის ბრძოლაზე ოპორტუნისტი ნეიტრალისტების წინააღმდეგ! კაუტსკის სტატია, რომელსაც თავს ესხმის ესერი მოჯირითე, დაწერილია მანჰეიმის [61] წინადღეებში. მანჰეიმში კაუტსკი ებრძოდა ნეიტრალისტებს. მანჰეიმის რეზოლუცია «მნიშვნელოვნად ბზარავს პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობას» (კაუტსკის გამოთქმა სტატიაში მანჰეიმის ყრილობის შესახებ, «Neue Zeit» [62], 1906 წლის 6 ოქტომბერი). და აი 1 9 0 7 წ ე ლ ს ჩნდება კრიტიკოსი, რომელსაც რევოლუციონერად მოაქვს თავი და კაუტსკის უწოდებს «მარქსიზმის დიდ დოგმატიკოსს და ინკვიზიტორს», ბრალს სდებს მას — ოპორტუნისტ ნეიტრალისტებთან სავსებით შეხმატკბილებულად! — ტენდენციურად ამცირებს პროფესიულ კავშირთა როლს, ცდილობს «დაუმორჩილოს» ისინი პარტიასო და სხვ. თუ ამას დავუმატებთ, რომ ესერები მუდამ იცავდნენ პროფესიულ კავშირთა უპარტიულობას, რომ ჯერ კიდევ «ზნამია ტრუდას» მეორე ნომრის (1907 წლის 12 ივლისი) მოწინავეში ვკითხულობთ: «პარტიული პროპაგანდის ადგილი კავშირის გ ა რ ე თ არისო», ჩვენს წინაშე გამოჩნდება ესერთა რევოლუციონიზმის მთელი სახე.

როდესაც კაუტსკი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნისტული ნეიტრალიზმის წინააღმდეგ, უფრო ანვითარებდა, აღრმავებდა მარქსიზმის თეორიას, მარცხნივ ეწეოდა პროფესიულ კავშირებს, მაშინ ეს ვაჟბატონები აცამტვერებდნენ კაუტსკის, ოპორტუნისტთა სიტყვებს იმეორებდნენ და ამ ხმაურში კავშირთა უპარტიულობის დაცვას განაგრძობდნენ. როდესაც ი მ ა ვ ე კ ა უ ტ ს კ ი მ კიდევ უფრო მარცხნივ წასწია პროფესიული კავშირები, გაასწორა შტუტგარტში ბეერის რეზოლუცია, ამ რეზოლუციაში ხაზი გაუსვა ტრედ-უნიონების სოციალისტურ ამოცანებს, მაშინ ბატონმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა ყვირილი მორთეს: სოციალისტურმა ინტერნაციონალმა ჩვენი თვალსაზრისი მოიწონაო!

იბადება კითხვა, ეკადრებათ თუ არა ასეთი ფანდები სოციალისტური ინტერნაციონალის წევრთ? ასეთი კრიტიკა უპრინციპობას და თავაშვებულობას ხომ არ მოასწავებს?

სოციალ-დემოკრატებს შორის თავაშვებულობის ნიმუშია ლიბერალების მიერ დიდად პატივცემული ყოფილი რევოლუციონერი პლეხანოვი. წინასიტყვაობაში ბროშურისა «ჩვენ და ისინი» იგი უბადლო, შეუდარებელი თვითკმაყოფილებით აცხადებს: შტუტგარტის რეზოლუცია (პროფესიულ კავშირთა შესახებ) ჩ ე მ ი შ ე ს წ ო რ ე ბ ი თ მნიშვნელობას უკარგავს ლონდონის (რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობის) რეზოლუციასო. ალბათ, ბევრი მკითხველი, როცა ამ ჩვენი დიდებული ნარცისის განცხადებას წაიკითხავს, დაიჯერებს, თითქოს შტუტგარტში ბრძოლა წარმოებდა სწორედ პლეხანოვის შესწორების გამო და თითქოს ამ შესწორებას რაიმე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა.

სინამდვილეში ამ შესწორებას («საჭიროა მუდამ მხედველობაში ვიქონიოთ ეკონომიური ბრძოლის ერთიანობა») არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა ჰქონია, იგი სულაც არ ეხებოდა შტუტგარტში წამოჭრილ ს ა დ ა ვ ო საკითხთა არსს, საერთაშორისო სოციალიზმში არსებულ უთანხმოებათა არსს.

სინამდვილეში პლეხანოვის აღტაცებას «მისი» შესწორების გამო მეტად ვულგარული მნიშვნელობა აქვს: შეცდომაში შეიყვანოს მკითხველები პროფესიული მოძრაობის ნამდვილი სადავო საკითხებისაგან მათი ყურადღების ჩამოშორებით, დაფაროს ნეიტრალიზმის იდეის დამარცხება შტუტგარტში.

რსდმ პარტიის სტოკჰოლმის ყრილობა (1906), რომელზეც მენშევიკებმა გაიმარჯვეს, პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობის თვალსაზრისზე იდგა. რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობამ სხვა პოზიცია დაიკავა და გამოაცხადა, აუცილებელია კავშირთა პარტიულობისაკენ მივისწრაფოდეთო. შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც «სამუდამოდ ბოლოს უღებს ნეიტრალობას», როგორც სამართლიანად თქვა კ. კაუტსკიმ *. შტუტგარტის ყრილობის კომისიაში პლეხანოვი შევიდა ნეიტრალობის დასაცავად, როგორც ამაზე დაწვრილებით ლაპარაკობს ვოინოვი. ხოლო კლარა ცეტკინი გერმანიის მუშაქალთა მოძრაობის ორგანოში «Die Gleichheit» წერს, «პლეხანოვი საკმაოდ უხეირო საბუთებით ცდილობდა გაემართლებინა ამ პრინციპის ერთგვარი შეზღუდვაო» ** (ე. ი. პარტიასთან კავშირების უმჭიდროესი დაახლოების პრინციპისა).

ამრიგად, ნეიტრალობის პრინციპმა, რომელსაც პლეხანოვი იცავდა, მარცხი განიცადა. მისი მოსაზრებანი გერმანელმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა «უხეირო» საბუთებად აღიარეს. იგი კი თავმომწონედ აცხადებს: «ჩემი» შესწო-

* «Vorwärts», № 209, 1907, Beilage («წინ», № 209, 1907, დამატება. რ ე დ.), კაუტსკის ანგარიში ლაიფციგის მუშების წინაშე შტუტგარტის კონგრესის შესახებ. იხ. «კალენდარი ყველასათვის» 1908 წლისა, გამომც. «ზერნო», გვ. 173, ჩემს სტატიაში შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ. (იხ. ეს ტომი, გვ. 97 — 98. რ ე დ.).

** იხ. იგივე «კალენდარი ყველასათვის», გვ. 173, აგრეთვე კრებული «ზარნიცი» (სპბ. 1907), სადაც მთლიანად გადათარგმნილია ეს სტატია «Die Gleichheit»-დან («თანასწორობა». რ ე დ.).

რება მიიღეს, ლონდონის რეზოლუცია მნიშვნელობას კარგავსო...

დიახ, დიახ, სამაგიეროდ ლიბერალების მიერ პატივცემული სოციალისტის ნოზდრევისებური თავაშვებულობა, ჩანს, სრულიადაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

---

ჩემი აზრით, ამხ. ვოინოვი მართალი არ არის, როდესაც ლაპარაკობს, გერმანელი ორთოდოქსები იერიშის იდეას მავნედ აღიარებენ, ორთოდოქსიამ «ახალი ეკონომიზმის მთელი სული თითქმის შეითვისაო». კაუტსკის შესახებ ამის თქმა შეუძლებელია, და თვითონ ამხ. ვოინოვიც აღიარებს კაუტსკის შეხედულებათა სისწორეს. თვითონ ამხ. ვოინოვი, როდესაც გერმანელებს უსაყვედურებს, ისინი «ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ პროფესიულ კავშირთა, როგორც სოციალისტური წარმოების ორგანიზატორთა როლზეო», სხვა ადგილას მოგვაგონებს აზრს ლიბკნეხტ-მ ა მ ი ს ა ს, რომელმაც ეს როლი უაღრესად რელიეფური გამოთქმებით აღიარა. ტყუილად დაუჯერა აგრეთვე ამხ. ვოინოვმა პლეხანოვს, თითქოს ბებელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გ ა ნ გ ე ბ არაფერი თქვა რუსეთის რევოლუციაზე, თითქოს ბებელს ა რ უ ნ დ ო დ ე ს რუსეთზე ლაპარაკი. პლეხანოვის ეს სიტყვები პირდაპირ უხეში მასხარაობა იყო ლიბერალების მიერ დიდად პატივცემული სოციალისტისა, და ამ სიტყვების სერიოზულად მიჩნევა ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა, არც იმის შესაძლებლობის დაშვება შეიძლებოდა, თითქოს ამ სიტყვებში სიმართლის თუნდაც ნატამალი იყოს. მე, ჩემი მხრივ, შემიძლია დავადასტურო, რომ ბებელის სიტყვის დროს ჩემს ახლოს ბიუროში მჯდომი ვან-კოლი, სოციალისტების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი, თვალყურს ადევნებდა სწორედ იმას, მოიხსენიებდა თუ არა ბებელი რუსეთს. და როგორც კი ბებელმა სიტყვა დაამთავრა, ვან-კოლმა გაკვირვებით მომმართა; მას ეჭვი არ ეპარებოდა (როგორც ეჭვი არ ეპარებოდა კონგრესის არც ერთ სერიოზულ წევრსაც), რომ ბებელს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ დაა-

ვიწყდა რუსეთი. შეცდომები საუკეთესო და დიდად გამოცდილ ორატორებსაც მოსდით. მოხუცი ბებელის გულმავიწყობის «დამახასიათებლად» აღიარება ამხ. ვოინოვის მხრივ, ჩემი აზრით, უკიდურესი უსამართლობაა. ასევე დიდი უსამართლობაა ლაპარაკი საერთოდ «ა ხ ლ ა ნ დ ე ლ» ოპორტუნისტ ბებელზე. ასეთი განზოგადებისათვის მონაცემები არ არსებობს.

მაგრამ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ვიტყვი აქვე, რომ თუ ვინმე შეეცდება ისარგებლოს ვოინოვის ამ გამოთქმებით გერმანელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ეს იქნება ცალკეული სიტყვების არაკეთილსინდისიერი ამოგლეჯა. ამხ. ვოინოვმა მ თ ე ლ ი თავისი ბროშურით საკმაოდ დაამტკიცა, რომ იგი გერმანელი რევოლუციური მარქსისტების (როგორიცაა კაუტსკი) მხარეზეა, რომ იგი მ ა თ თ ა ნ ე რ თ ა დ მუშაობს ძველ ცრურწმენათა, ოპორტუნისტულ შაბლონთა და ბეცი თვითკმაყოფილების აღმოფხვრაზე. აი ამიტომ შტუტგარტშიც ვეთანხმებოდი ამხ. ვოინოვს ყველაფერ არსებითში და ახლაც ვეთანხმები მისი რევოლუციური კრიტიკის მთელ ხასიათში. იგი ათასჯერ მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახლა არა მხოლოდ გერმანელებისაგან, არამედ გერმანელთა მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ზ ე ც. მხოლოდ უმეცარ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერაფერი უსწავლიათ გერმანელებისაგან და ამიტომ ანაბანაც არ იციან, შეუძლიათ აქედან გამოიყვანონ დასკვნა, თითქოს «უთანხმოება» არსებობდეს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შიგნით. ჩვენ უშიშრად და აშკარად უნდა გავაკრიტიკოთ გერმანელი წინამძღოლები, თუ გვინდა ერთგული ვიყოთ მარქსის სულისკვეთებისა და დავეხმაროთ რუს სოციალისტებს — დადგნენ მუშათა მოძრაობის თანამედროვე ამოცანების სიმაღლეზე. ბებელი, უეჭველია, ცდებოდა ესენშიც, როცა იცავდა ნოსკეს, როცა იცავდა თავდაცვითი და შეტევითი ომის დაყოფას, როდესაც თავს ესხმოდა ვან-კოლის წინააღმდეგ «რადიკალების» ბრძოლის წ ე ს ს, როცა (ზინ-

გერთან ერთად) უარყოფდა შტუტგარტში გერმანელთა დელეგაციის ტაქტიკის წარუმატებლობას და უმართებულობას. ჩვენ ეს შეცდომები კი არ უნდა დავფაროთ, არამედ მათი მაგალითით უნდა ცხადვყოთ, რომ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა ისწავლონ მათი თავიდან აცილება, უნდა დააკმაყოფილონ რევოლუციური მარქსიზმის უფრო მკაცრი მოთხოვნები. და ნუ ცდილობენ რუსეთის ანარქისტუნები და სინდიკალისტუნები, ლიბერალები და ესერები ნიშნის მოგებას იმის გამო, რომ ჩვენ ბებელს ვაკრიტიკებთ. ამ ვაჟბატონებს ჩვენ ვეტყვით: ხდება ხოლმე რომ არწივი ქათამზე დაბლაც ეშვება, მაგრამ ქათამი არწივზე მაღლა ვერასოდეს ვერ აფრინდება!

---

ორ წელზე მეტი ხნის წინათ ბ-ნი სტრუვე, რომელიც მაშინ რევოლუციას იცავდა, რომელიც მაშინ აშკარა რევოლუციურ მოქმედებათა აუცილებლობაზე წერდა, რომელიც მაშინ ირწმუნებოდა, რევოლუცია ძალაუფლებად უნდა გახდესო, — ეს ბ-ნი სტრუვე საზღვარგარეთული «ოსვობოჟდენიეს» [63] 71-ე ნომერში წერდა: «ბატონ ლენინისა და ამხანაგების რევოლუციონიზმთან შედარებით დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიის — ბებელისა და თვით კაუტსკის რევოლუციონიზმი ოპორტუნიზმიაო». ბ-ნ სტრუვეს მე მაშინ ვუპასუხე: «სად და როდის ვიჩემებდი რომელიმე საგანგებო მიმართულების შექმნას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, განსხვავებულს ბებელისა და კაუტსკის მიმართულებისაგან?» («ორი ტაქტიკა», გვ. 50 რუსული გამოცემისა) *.

1907 წლის ზაფხულზე მე შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, ბროშურაში მესამე სათათბიროს ბოიკოტის საკითხზე, რომ სრულიად არ იქნებოდა სწორი ბოლშევიზმის გაიგივება ბოიკოტიზმთან ან ბრძოლიზმთან-მეთქი.

ახლა პროფესიულ კავშირთა საკითხის გამო აუცილებელია ასევე გადაჭრით და ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიზმი

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 9, გვ. 66. **რ ე დ.**

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას ანხორციელებს ბრძოლის ყველა სფეროში, მოღვაწეობის ყველა ასპარეზზე. ბოლშევიზმი მენშევიზმისაგან იმით კი არ განსხვავდება, რომ პირველი თითქოს «უარყოფდეს» მუშაობას პროფესიულ კავშირებში ან კოოპერატივებში და სხვ., არამედ იმით, რომ პირველი სხვა ხაზს ადგია მუშათა კლასის საპროპაგანდო, სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობაში. ახლა პროფესიულ კავშირებში მუშაობას, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. წინააღმდეგ მენშევიკების ნეიტრალიზმისა ეს მუშაობა ჩვენ უნდა ვაწარმოოთ პარტიასთან კავშირების დაახლოების, სოციალისტური შეგნების განვითარების და პროლეტარიატის მიერ რევოლუციური ამოცანების გაგების სულისკვეთებით. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში რევოლუციური სინდიკალიზმი ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის, პარლამენტური კრეტინიზმის პირდაპირი და გარდუვალი შედეგი იყო. ჩვენშიც «სათათბიროს მუშაობის» პირველმა ნაბიჯებმა უაღრესად გააძლიერა ოპორტუნიზმი, მენშევიკები კადეტების წინაშე მონურად ქედის მოხრამდე მიიყვანა. მაგალითად, პლეხანოვი ფაქტიურად თავის პოლიტიკურ ყოველდღიურ მუშაობაში შ ე უ ე რ თ დ ა ბატონ პროკოპოვიჩებს და კუსკოვებს. 1900 წელს პლეხანოვი აცამტვერებდა მათ ბერნშტეინელობის გამო, იმის გამო, რომ ისინი შეჰყურებენ რუსეთის პროლეტარიატის მხოლოდ «უკანა მხარეს» («**Vademecum** * «**რაბოჩეე დელოს**» რედაქციისთვის», ჟენევა, 1900 წ.). 1906 — 1907 წლებში პირველმა საარჩევნო ბიულეტენებმა პლეხანოვი ჩააკონა ამ ვაჟბატონებს, რომელნიც დღეს რუსეთის ლიბერალიზმის «უკანა მხარეს» შეჰყურებენ. სინდიკალიზმი არ შეიძლება არ განვითარდეს რუსულ ნიადაგზე, როგორც რეაქცია «გამოჩენილი» სოციალ-დემოკრატების ამ სამარცხვინო საქციელის წინააღმდეგ.

ამიტომ ამხ. ვოინოვს სავსებით სწორად აუღია თავისი ხაზი, როდესაც რუს სოციალ-დემოკრატებს მოუწოდებს ის-

* — გზის მაჩვენებელი. რ ე დ.

წავლონ ოპორტუნიზმის მ ა გ ა ლ ი თ ზ ე და სინდიკალიზმის მ ა გ ა ლ ი თ ზ ე. რევოლუციური მუშაობა პროფესიულ კავშირებში, სიმძიმის ცენტრის გადატანა პარლამენტური კუნსტშტუკებიდან პროლეტარიატის აღზრდაზე, წმინდა-კლასობრივი ორგანიზაციების დარაზმვაზე, პარლამენტის გარეთ ბრძოლაზე, უნარი — ისარგებლონ (და მასების მომზადება საიმისოდ, რომ წარმატებით ისარგებლონ) საყოველთაო გაფიცვით, აგრეთვე რუსეთის რევოლუციის «ბრძოლის დეკემბრის ფორმებით», — ყოველივე ეს წამოყენებულია განსაკუთრებული სიძლიერით, როგორც ბოლშევიკური მიმართულების ამოცანა. და რუსეთის რევოლუციის გამოცდილება უაღრესად გვიადვილებს ამ ამოცანას, გვაძლევს უთვალავ პრაქტიკულ მითითებებს, გვაძლევს უამრავ ისტორიულ მასალას, რაც საშუალებას იძლევა ფრიად კონკრეტულად შევაფასოთ ბრძოლის ახალი ხერხები, მასობრივი გაფიცვა და პირდაპირ ძალადობის გამოყენება. ბრძოლის ეს ხერხები ყველაზე ნაკლებად «ახალია» რუსი ბოლშევიკებისათვის, რუსეთის პროლეტარიატისათვის. ეს ხერხები «ახალია» ოპორტუნისტებისათვის, რომელნიც ძლიერ ცდილობენ აღმოფხვრან მუშების მეხსიერებიდან დასავლეთში — კომუნა, რუსეთში — 1905 წლის დეკემბერი. ამ მოგონებათა განმტკიცება, ამ დიდი გამოცდილების მეცნიერულად შესწავლა *, მისი გაკვეთილების და იმის შეგნების გავრცელება მასებში, რომ აუცილებელია ამ გამოცდილების ახალი მასშტაბით განმეორება — რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ეს ამოცანა ჩვენს წინაშე

* ბუნებრივია, რომ კადეტები ახლა სიამოვნებით სწავლობენ ორივე სათათბიროს ისტორიას. ბუნებრივია, რომ ისინი შემოქმედების მარგალიტებს ხედავენ როდიჩევ-კუტლერის ლიბერალიზმის უხამსობასა და გამცემლობაში. ბუნებრივია, რომ ისინი აყალბებენ ისტორიას, აფუჩეჩებენ თავიანთ მოლაპარაკებას რეაქციასთან და სხვა. არაბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატები გატაცებით არ სწავლობენ 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერს, თუმცა ამ პერიოდის თვითეულ დღეს ასჯერ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ყველა ხალხისა და განსაკუთრებით მუშათა კლასის ბედისთვის, ვიდრე როდიჩევის «ლოიალური» ფრაზებს სათათბიროში.

აყენებს შინაარსით განუზომლად უფრო მდიდარ პერსპექტივებს, ვიდრე სინდიკალისტების ცალმხრივი «ანტიოპორტუნიზმი» და «ანტიპარლამენტარიზმი».

სინდიკალიზმის, როგორც განსაკუთრებული მიმდინარეობის, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ამხ. ვოინოვმა წამოაყენა ოთხი ბრალდება (მისი ბროშურის მე-19 და შემდეგი გვერდები), რაც სრულიად რელიეფურად გვისურათებს მის სიყალბეს: 1) «ორგანიზაციის ანარქისტული გაფანტულობა»; 2) მუშების ნერვული დაძაბვა, ნაცვლად მტკიცე «კლასობრივი ორგანიზაციის სიმაგრის» შექმნისა; 3) იდეალისა და პრუდონის თეორიის მეშჩანურ-ინდივიდუალისტური ნიშნები; 4) უაზრო «ზიზღი პოლიტიკისადმი».

აქ ცოტა მსგავსება როდია ზოგიერთი რუსი სოციალ-დემოკრატის ძველ «ეკონომიზმთან». ამიტომ მე ამხ. ვოინოვივით ოპტიმისტი არა ვარ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან იმ ეკონომისტების «შერიგების» შესახებ, რომელნიც სინდიკალიზმის მხარეზე გადავიდნენ. აგრეთვე ვფიქრობ, რომ სრულიად არაპრაქტიკულია ამხ. ვოინოვის პროექტები სუპერ-არბიტრის როლში «გენერალური მუშათა საბჭოს» გამოსვლის შესახებ, ასეთ საბჭოში ესერების მონაწილეობით. ეს არის «მომავლის მუსიკის» აღრევა აწმყოს ორგანიზაციულ ფორმებთან. მაგრამ მე სრულიადაც არ მეშინია ამხ. ვოინოვის პერსპექტივისა: «პოლიტიკური ორგანიზაციების დამორჩილება კლასობრივი სოციალური ორგანიზაციისადმი»... «მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ (განვაგრძობ ამხ. ვოინოვის ციტირებას და ხაზს ვუსვამ არსებითს სიტყვებს), რ ო დ ე ს ა ც... ყ ვ ე ლ ა პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი გ ა ხ დ ე ბ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი». პროლეტარული მასის კლასობრივი ინსტინქტი რუსეთში უ კ ვ ე ახლა იჩენს თავს სრული სიძლიერით. კლასის ეს ინსტინქტი უკვე ახლა იძლევა უდიდეს გარანტიებს როგორც ესერების წვრილბურჟუაზიული უსახურობის, ისე კადეტების წინაშე მენშევიკების მლიქვნელობის წინააღმდეგ. უკვე ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთში

მასობრივი მ უ შ ა თ ა ორგანიზაცია (ის რომ შეიქმნებოდეს და რამდენადაც ის ერთი წუთით იქმნება თუნდაც არჩევნებით, გაფიცვებით, დემონსტრაციებით და სხვ.) უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ყველაზე ახლოს იქნება ბოლშევიზმთან, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან.

«მუშათა ყრილობის» ავანტიურას ამხ. ვოინოვი სამართლიანად უყურებს, როგორც «არასერიოზულ» წამოწყებას. გაძლიერებით ვიმუშაოთ პროფესიულ კავშირებში, ვიმუშაოთ ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე მარქსიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად პროლეტარიატში და კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ორგანიზაციის «სიმაგრის» შესაქმნელად. ყოველივე დანარჩენი ადვილად მოგვარდება.

დაწერილია 1907 წლის ნოემბერში,
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»[64]

დაწერილია 1907 წლის შემოდგომაზე

პირველად დაიბეჭდა 1908 წ.:
თავები X — XI კრებულში:
ვლ. ილინი. «აგრარული საკითხი»,
ნაწილი I, სპბ., და თავი XII
კრებულში «მიმდინარე ცხოვრება», სპბ.

იბეჭდება კრებულთა ტექსტის
მიხედვით

X

## გერმანელი გულგაკოვის, ე. დავიდის «ნაშრომი»

ედ. დავიდის წიგნი «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» წარმოადგენს იმ შემცდარ ხერხთა და მსჯელობათა განსაკუთრებით უხეშ და მოჩხორვილ შენაჯამს, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ ბატონ ბულგაკოვის, ჰერცისა და ჩერნოვის ნაწერებში. ამიტომ ჩვენ შეგვეძლო სავსებით დუმილით გვერდი აგვევლო დავიდისთვის. მაგრამ რადგან მისი «ნაშრომი» ამჟამად, უეჭველია, რევიზიონიზმის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს აგრარულ საკითხში, ამიტომ აუცილებლად ვთვლით კიდევ ერთხელ დავახასიათოთ, თუ როგორ წერენ მეცნიერულ შრომებს ბატონი რევიზიონისტები.

მანქანების საკითხს სოფლის მეურნეობაში დავიდი მთლიანად უთმობს თავისი წიგნის IV თავს (გვ. 115 — 193 რუსული თარგმანისა); გარდა ამისა მას მრავალრიცხოვანი კერძო მითითებები აქვს იმავე თემაზე სხვა თავებში. ავტორი მეტად დაწვრილებით განიხილავს ასობით ტ ე ქ ნ ი კ უ რ დეტალს და მათში ახრჩობს საქმის პოლიტიკურ-ეკონომიურ დედაარსს. მიწათმოქმედებაში მანქანები ისეთ როლს არ ასრულებენ, როგორც მრეწველობაში; მიწათმოქმედებაში არ არის ცენტრალური ძრავი; მანქანების უმეტესობა ხმარებაშია მხოლოდ დროებით; მანქანების ნაწილი არ იძლევა დანაზოგს წარმოების ხარჯებშიო და სხვ. და სხვ. ასეთ დასკვნებს (შეად. გვ. 190 — 193, დასკვნა მანქანების საკითხზე) დავიდი თვლის

მარქსისტული თეორიის გამაბათილებლად! მაგრამ ეს ხომ საკითხის მხოლოდ გაყალბებაა და არა გარკვევა. მიწათმოქმედების ჩამორჩენილობა დამმუშავებელ მრეწველობასთან შედარებით ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ ჩამორჩენილობის დამტკიცება არც არის საჭირო. დავიდი პუნქტებად ჩამოთვლის, თუ რით გამოიხატება ეს ჩამორჩენილობა, ახუხულავებს მაგალითებს, მაგალითებზე და კაზუსებს კაზუსებზე და ამით მხოლოდ შორს სწევს გამოკვლევის ნამდვილ საგანს: კაპიტალისტური ხასიათი აქვს თუ არა მანქანების გამოყენებას? დაკავშირებულია თუ არა მანქანის გამოყენების ზრდა კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდასთან?

დავიდს სრულიად არ ესმის თვით საკითხის ისეთი დაყენება, რაც აუცილებელია მარქსისტისთვის. არსებითად, დავიდის თვალსაზრისი თვალსაზრისია წვრილი ბურჟუისა, რომელიც თავს ინუგეშებს კაპიტალიზმის შედარებით ნელი პროგრესით, რადგან ეშინია შეხედოს მთელ საზოგადოებრივ ევოლუციას, მთლიანად აღებულს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკითხზე დავიდს ციტატები მოჰყავს ბენზინგიდან, მოჰყავს უთვალავჯერ[65] (გვ. 125, 135, 180, 182, 184, 186, 189, 506 და სხვ. რუსული თარგმანისა). შეიძლება ითქვას, რომ დავიდი პირდაპირ ტანჯავს მკითხველს, — გადადის წვრილმანიდან წვრილმანზე, მასალების დაუმუშავებლად, დაუკავშირებლად, საკითხის გააზრებულად დაუსმელად, უმიზნოდ. ამიტომ დავიდი ბენზინგის დასკვნებს არავითარ ჯამს არ უკეთებს. ის, რაც მე ვთქვი 1901 წელს ბ-ნ ბულგაკოვის წინააღმდეგ, მთლიანად ეხება დავიდსაც *. ჯერ-ერთი, ბენზინგის დასკვნების შეჯამება გვიჩვენებს იმ მეურნეობათა უდავო უპირატესობას, რომლებიც მანქანებს იყენებენ, იმათთან შედარებით, რომლებიც მანქანებს არ იყენებენ. არავითარი «შესწორებები» ბენზინგისადმი წვრილმანებში, რომლებითაც გაუვსია დავიდს თავისი წიგნი, დასკვნას არ სცვლის. დ ა ვ ი დ ი სწორედ ი ს ე ვ ე დუმს ამ საერთო

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 159. რ ე დ.

დასკვნის შესახებ, როგორც ბ-ნი ბულგაკოვი! მეორე, მოჰყავს რა ციტატები ბენზინგიდან დაუსრულებლივ, უაზროდ, დაუკავშირებლად, დავიდი სწორედ ისევე, როგორც ბ-ნი ბულგაკოვი, ვერ ამჩნევს ბენზინგის ბურჟუაზიულ შეხედულებებს მანქანებზე როგორც ინდუსტრიაში, ისე მიწათმოქმედებაში. ერთი სიტყვით, დავიდს არც კი ესმის საკითხის საზოგადოებრივ-ეკონომიური მხარე. მას უნარი არ შესწევს განაზოგადოს და ერთმანეთს დაუკავშიროს ის ფაქტიური ცნობები, რომლებიც მოწმობენ მსხვილი მეურნეობის უპირატესობას წვრილი მეურნეობის მიმართ. შედეგად რჩება მხოლოდ რეაქციული ლამენტაცია მეშჩანისა, რომელიც თავის იმედებს ამყარებს ტექნიკის ჩამორჩენილობაზე, კაპიტალიზმის განვითარების ნელ ტემპზე. მემარჯვენე კადეტი და «ქრისტიანი» რენეგატი ბ-ნი ბულგაკოვი თეორიულად სავსებით უდრის ოპორტუნისტ სოციალ-დემოკრატ დავიდს.

საქმის საზოგადოებრივ-ეკონომიური მხარე დავიდს არ ესმის სხვა საკითხებშიც, არ ესმის სრულებით. აიღეთ მისი ძირითადი დებულება, მისი სანუკვარი აზრი, მთელი ნაშრომის «დედააზრი»: წვრილი წარმოების სიცოცხლისუნარიანობა მიწათმოქმედებაში და მისი უპირატესობა მსხვილი წარმოების მიმართ. ჰკითხეთ დავიდს, რა არის წვრილი წარმოება?

29-ე გვერდზე, შენიშვნაში, თქვენ პოულობთ აკურატულ პასუხს: «ყველა იმ შემთხვევაში, სადაც წვრილ წარმოებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ იმ სამეურნეო კატეგორიას, რომელიც მოქმედებს სხვისი მუდმივი დახმარებისა და დამხმარე სარეწის გარეშე». ბ-ნ გროსმანის მიერ ეს უხეშად არის გამოთქმული და უვიცად თარგმნილი, მაგრამ ეს რამდენადმე მაინც ნათელია. ამის შემდეგ თქვენ უფლება გაქვთ მოელოდეთ, რომ დავიდი გამოიკვლევს წვრილი (ფართობის სიდიდის მიხედვით) მიწათმოქმედების პირობებს დაქირავებული შრომის გამოყენების ან მიწათმოქმედის მიერ მისი გაყიდვის თვალსაზრისით.

არავითარი ამის მსგავსი.

დავიდის ბურჟუაზიულობა ისე რელიეფურად არაფერში არ გამომჟღავნებულა, როგორც «წვრილ» მიწათმოქმედთა მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების და ამ მიწათმოქმედთა დაქირავებულ მუშებად გადაქცევის საკითხის სრულ უგულებელყოფაში. სრული უგულებელყოფა, ეს სიტყვა-სიტყვით სწორია. სტატისტიკური მონაცემები ამის შესახებ მოიპოვება გერმანულ სტატისტიკაში; ეს მონაცემები მოკლედ მოჰყავს კაუტსკის თავის «აგრარულ საკითხში» (მე ეს მონაცემები მოყვანილი მაქვს დაწვრილებით *). დავიდი იცნობს ამ სტატისტიკას და ანალიზს არ უკეთებს ამ მონაცემებს. დავიდს მოჰყავს მთელი გროვა ციტატები ცალკეული მონოგრაფიებიდან და სავსებით უგულებელყოფს მათ მონაცემებს ამ საკითხზე. ერთი სიტყვით, ეს არის წვრილი ბურჟუის მიერ სრული მიფუჩეჩება იმ საკითხისა, რომ მუყაით გლეხს «მოჯამაგირეები» ჰყავს.

აი მაგალითები.

109-ე გვერდზე ვკითხულობთ: «საერთოდ, მებოსტნეობაში სწორედ ისევე, როგორც სოფლის მეურნეობაშიც, დიდად ვითარდება წვრილი წარმოება».

თქვენ ელოდებით დამამტკიცებელ საბუთებს. გაწვდიან კი შემდეგს დამხოლოდ შემდეგს:

«1895 წლის სამრეწველო ** სტატისტიკის მონაცემებით 32 540 მებაღეობისა და მებოსტნეობის მეურნეობიდან 13 247=40% სიდიდით იყო 20 არზე ნაკლები; 8 257=25% იყო 20-დან 50 არამდე; 5 707=14% 50 არიდან 1 ჰექტარამდე; 3 397=10% სიდიდით იყო 1-დან 2 ჰექტარამდე და მხოლოდ 1 932=6%-ის მიერ დაკავებული მიწის ფართობი იყო 2 ჰექტარი და მეტი».

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 241 — 242. რედ.

** ეს, აშკარაა, ბ-ნმა გროსმანმა, თარგმანის რედაქტორმა, ასე თარგმნა: **Betriebs-statistik**. რა უბედურებაა ეს რუსული თარგმანები! უნდა ითქვას: «სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტატისტიკის».

ეს არის და ეს. ამან უნდა დაამტკიცოს წვრილი წარმოების დიდი განვითარება მებოსტნეობაში. ეს უნდა იქნას განხილული, როგორც აგრონომიაში განსწავლული დავიდის მეცნიერული შრომა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ვერ გაგვიგია, რას ეწოდება შარლატნობა მეცნიერებაში.

მხოლოდ 6%-ს აქვთ ორ-ორი და მეტი **ha**, ამბობს დავიდი. იქვე, იმავე სტატისტიკაში, რომლიდანაც ის ამ ციფრებს იღებს, არის მონაცემები ამ 6%-ის მიწის რაოდენობის შესახებ. დავიდი ამ მონაცემებს აფუჩეჩებს. ხოლო აფუჩეჩებს იმიტომ, რომ ისინი არღვევენ მის თეორიას. «1 932 მეურნის, ე. ი. ყველა მებოსტნის 5,94%-ის ხელში», — ვწერდი მე სწორედ ამ მონაცემების გამო *, — «თავმოყრილია ნახევარზე მეტი, 51,39%» მთელი მიწისა, რომელიც კომერციულ ბოსტნებს უკავიათ. ამ 1 932 მებოსტნიდან 1 441-ს აქვს 2 — 5 **ha** ბოსტნები; მათზე საშუალოდ მოდის 2,76 **ha** საბოსტნე მიწა და 109,6 **ha** მთელი მიწა თვითეულზე. ხუთი და მეტი ჰექტარი ბოსტანი აქვს 491 მეურნეს, რომელნიც საშუალოდ ფლობენ 16,54 **ha** ბოსტანს და 134,7 **ha** მთელ მიწას თვითეული (იქვე).

ამრიგად, მებოსტნეთა მხოლოდ 6%-ს აქვს მთელი საბოსტნე მიწის 51,39%. ესენი არიან მსხვილი კაპიტალისტები, რომელთათვისაც ბოსტნები წარმოადგენენ კაპიტალისტური მიწათმოქმედების (მეურნეობანი 100 — 135 ჰექტარით) დამატებას. სავაჭრო მებოსტნეობა, მაშასადამე, უდიდესად კონცენტრირებულია კაპიტალისტურად. დავიდს კი შესწევს... გამბედაობა ამტკიცოს, რომ «დიდად განვითარებულია წვრილი წარმოებაო», ე. ი. წარმოება დაქირავებული შრომის გამოუყენებლად. იმის შესახებ, თუ სავაჭრო მებოსტნეობაში რა მოცულობის მეურნეობანი მოითხოვენ დაქირავებული მუშების დახმარებას, იგი ცნობებს არ იძლევა.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 268 — 269. **რედ.**

ასე ეპყრობა სწავლული დავიდი სტატისტიკას. მონოგრაფიებისადმი მისი მოპყრობის მაგალითია იგივე ყბადაღებული ჰეხტი[66], რომელსაც იმოწმებდნენ ბატონი ბულგაკოვი, ჰერცი და ჩერნოვი*. თავის «ნაშრომში» დავიდი გადმოგვცემს ჰეხტს ორ გვერდზე (გვ. 394—395). და მერე *როგორ* გადმოგვცემს? *კრინტსაც არ სძრავს დაქირავებულ შრომაზე*; ის კრინტსაც არ სძრავს იმაზე, რომ ჰეხტი ალამაზებს ფაბრიკის მუშის — მიწის მცირე ნაკვეთის მქონე მუშის ერთ ადგილას «*ბინადრობას*», და მუშებს ურევს შეძლებულ გლეხობაში; კრინტსაც არ სძრავს იმაზე, რომ მცირერიცხოვან შეძლებულ გლეხთა «კეთილდღეობის» დროს მასა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ იძულებულიც კი ხდება რძე გაჰყიდოს და ის უფრო იაფი მარგარინით შეცვალოს.

დავიდი არათუ სდუმს ამაზე, არამედ კიდევაც აცხადებს, «ჰეხტს მეტისმეტად საინტერესო მონაცემები მოჰყავს ამ გლეხთა დიდ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა შესახებ» (გვ. 395). ამაზე უფრო უხეში ბურჟუაზიული აპოლოგეტიზმი ძნელი წარმოსადგენია.

აქვე უნდა ვთქვათ ჰეხტის ამ მითითების გამო, რომ გლეხები რძეს ჰყიდიან, რათა უფრო იაფი მარგარინი იყიდონო. თითქოს, ეს მეტად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ეკონომისტისთვის. მარქსი «ფილოსოფიის სიღატაკეში» ჯერ კიდევ 1847 წელს მიუთითებდა კაპიტალიზმის მიერ სახალხო კვების ამ გაუარესებაზე[67]. რუსეთში ჯერ კიდევ ენგელგარდტის[68] დროიდან (70-იანი წლები) ბევრჯერ, ბევრჯერ აღუნიშნავთ ეს მოვლენა რძის მეურნეობაში კაპიტალიზმის პროგრესის ყველა რამდენადმე კეთილსინდისიერად შემსწავლელს. «სწავლულმა» დავიდმა ეს ვერ შეამჩნია. ის კიდევაც ხითხითებს სოციალისტების ამგვარ მითითებათა გამო.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 199—205. *რედ.*

დავიდის წიგნის 427 — 428-ე გვერდზე ჩვენ ვხვდებით დაცინვებს კაუტსკის მიმართ, რომელიც ამბობს, რომ რძის პუნქტები, ავითარებენ რა რძის გაყიდვას გლეხების მიერ, აუარესებენ მათ კვებასო. მკითხველმა რომ ღირსეულად შეაფასოს გერმანელი ნაროდნიკი დავიდი, ჩვენ მოვიყვანთ მის საკუთარ სიტყვებს:

«...ყველა სხვა ადამიანს ჩვეულებად აქვს, იმ შემთხვევაში, თუ დიდი შემოსავალი მიიღო, იქიდან ცოტა რამ თავის კუჭსაც მოახმაროს. ასეთია, ასე ვთქვათ, ადამიანის ბუნება, რომ ის დიდი სიამოვნებით სჭამს რაიმე უკეთესს, თუ კი მას ამისთვის ცოტა ფული მოეპოვება. და აი, უაღრესად უცნაურია, რომ მხოლოდ და მხოლოდ გლეხი, რომელიც, ამხანაგობის წყალობით, საერთო აღიარებით, წინანდელზე მეტ ფულს ღებულობს თავის რძესა და თავის ღორებში, სრულიადაც ისე არ იქცევა, როგორც დანარჩენი მომაკვდავნი» და სხვ., და სხვ., და სხვ.

რეაქციონერი მეშჩანის ამ მასხრობაზე პასუხის გაცემა არა ღირს, რა თქმა უნდა. საკმარისია მისი ჩვენება მკითხველი საზოგადოებისთვის, საკმარისია მისი მზის სინათლეზე გამოტანა 550 გვერდზე გაფანტული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი აგრონომიული ციტატების გროვიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ დ ა ვ ი დ ი ს მ ი ე რ ც ი ტ ი რ ე ბ უ ლ ი ბურჟუაზიული აპოლოგეტი ჰეხტიც კი აღიარებს კვების გაუარესებას, რ ო გ ო რ ც ფ ა ქ ტ ს გასაყიდი რძის იაფი მარგარინით შეცვლის შედეგად. ეს ეხება სამხრეთ გერმანიას, ოლქს, სადაც წვრილი გლეხური მეურნეობა ჭარბობს. მეორე ოლქიდან — აღმოსავლეთ პრუსიიდან — ჩვენ გვაქვს Klawki-ს * სავსებით ანალოგიური მითითება, რომ წვრილი გლეხები «ძალიან ცოტა კარაქსა და მოუხდელ რძეს ხმარობენო».

დავიდის ბურჟუაზიული აპოლოგეტიზმი შეიძლება დავინახოთ უკლებლივ ყველა მის მიერ აღძრულ საკითხში. ის, მაგალითად, მრავალ ათეულ გვერდზე (413 — 435 და სხვ.) აქებადიდებს გერმანიისა და დანიის რძის ამხანაგობებს. მას მოჰყავს სტატისტიკაც... მხოლოდ ამხანაგობათა რიცხვის ზრდის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 216 — 218. რ ე დ.

საკითხზე! მას არ მოჰყავს გერმანიის სტატისტიკის მონაცემები კაპიტალისტურ მსხვილ მეურნეობათა * ხელში «საამხანაგო» რძის წარმოების კონცენტრაციის შესახებ. დავიდები ვერ ამჩნევენ ასეთ მონაცემებს იმ სტატისტიკაში, რომლითაც ისინი სარგებლობენ!

«ამხანაგობებად დარაზმულმა დანიელმა გლეხებმა — ამბობს დავიდი — მსხვილ მიწის მესაკუთრეთა კერძომფლობელობითს ფერმებსაც კი აჯობესო». მოყვანილია მაგალითი: ციტატი საცდელი ლაბორატორიის 46-ე მოხსენებიდან იმის შესახებ, რომ ამხანაგობათა კარაქი უფრო კარგი ხარისხისაა, ვიდრე მემამულისა. და დავიდი განაგრძობს:

«ასეთ შედეგებს მიაღწიეს იმ გლეხებმა, რომლებიც ოდესღაც თავის პატარა მეურნეობებში ამზადებდნენ მხოლოდ დაბალი ხარისხის კარაქს, რაშიც ისინი იმის ნახევარ ფასსაც ძლივს იღებდნენ, რასაც იღებდნენ მსხვილი მფლობელები. ამასთან, არსებითად, აქ ლაპარაკია საშუალოდ წვრილ გლეხებზე (ხაზგასმა დავიდისაა). 1898 წელს დანიაში იყო 179 740 მეძროხე: ამ რიცხვიდან მხოლოდ 7 544, ე. ი. 4%-ს ჰყავდა 30 და მეტი ძროხა თვითეულს; 49 371, ე. ი. 27,82%-ს ჰყავდა 10-დან 29-მდე ძროხა თვითეულს. 10-სულ პირუტყვზე ნაკლები ჰყავდა 122 589 მეძროხეს, ე. ი. 68,97%-ს. უკანასკნელთა ნახევარზე მეტს, სახელდობრ 70 218 მეძროხეს — რაც შეადგენს მთელი რაოდენობის 39 85%-ს — ჰყავდა მხოლოდ 1 — 3 სული, ე. ი. წვრილ მეურნეობებს ეკუთვნოდნენ. წვრილ გლეხურ მეურნეობათა რიცხვიდან რომ მნიშვნელოვანი უმეტესობა საამხანაგო ორგანიზაციებში იღებს მონაწილეობას, მტკიცდება იმ ფაქტით, რომ 1900 წელს, დანიაში 1 110 000 მეწველი ძროხის საერთო რაოდენობისას, დაახლოებით 900 000 ძროხის რძეს აბარებდნენ საამხანაგო სარძეველებს» (გვ. 424).

ასეთი არგუმენტები მოჰყავს სწავლულ დავიდს. სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობებში ძროხების განაწილების ზუსტი მონაცემების მოყვანას იგი გაურბის, მისთვის არ არის სასიამოვნო ამ მონაცემების მოყვანა. მაგრამ უკვე ავტორის მიერ მოყვანილი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ციფრებიდანაც ჩანს სინამდვილის სრული დამახინჯება მის მიერ. თუ ძროხების საერთო რიცხვს შევადარებთ ბოსლების განაწილებას მათში მოთავსე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 270. რედ.

ბული პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, მივიღებთ ასეთს — მ ა რ თ ა ლ ი ა, დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ს*, მაგრამ, საერთოდ და მთლიანად, უეჭველად სინამდვილის შესაბამისს — სურათს:

| დ ა ნ ი ა | მეურნეობათა რიცხვი ათასობით | მათი ძროხების რიცხვი ათასობით | 1 მეურნეობაზე ძროხები |
|---|---|---|---|
| მეურნეობანი 1—3 ძროხით | 70 | 100 | 1,43 |
| » 4—9 » | 52 | 250 | 4,81 |
| » 10—29 » | 49 | 550 | 11,22 |
| » 30 და მეტი » | 8 | 200 | 25,00 |
| ს უ ლ | 179 | 1 100 | 6,14 |

ამ ციფრებიდან ჩანს, ჯერ-ერთი, რომ რძის მესაქონლეობის კონცენტრაცია დანიაში ძ ლ ი ე რ დ ი დ ი ა. 750 ათასი ძროხა 1 100-დან, ე. ი. ს ა ე რ თ ო რ ი ც ხ ვ ი ს ო რ მ ე ს ა მ ე დ ზ ე მ ე ტ ი, ეკუთვნის მ ს ხ ვ ი ლ მ ე უ რ ნ ე ე ბ ს, 57 ათასს 179-დან, ე. ი. მეპატრონეთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე ნაკლებს. ასეთ მეურნეობებს, ალბათ, დაქირავებული შრომის გამოუყენებლად არსებობა არ შეუძლიათ, რაკი მათ 10 და მეტი ძროხა ჰყავთ თვითეულს. მაშასადამე, დავიდმა «ვერ შეამჩნია», რომ აქ მესაქონლეობის მეურნეობის სიდიდე სრულიადაც არ არის წვრილი; მიწის რაოდენობის მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა დანიელ მეურნეებზე. დავიდმა «ვერ შეამჩნია», რომ აქ, როგორც ყველგან და ყოველ-

* ეს ციფრები დაახლოებითია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ძროხების რიცხვი მოცემულია 1900 წლისა, ხოლო მეურნეობათა რიცხვი — 1898 წლისა; მეორე, იმიტომ, რომ ძროხების რიცხვი მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით იძულებული ვიყავით გამოგვერკვია დაახლოებით, რადგან ზუსტი ციფრები დავიდს არ მოეპოვება. მსხვილი მეურნეობის წილი ჩვენ ავიღეთ სინამდვილეში არსებულზე ნაკლები: 7 544 მეურნეობას ჰყავს 30 და მეტი ძროხა თვითეულს. ეს გვაძლევს, minimum-იც რომ ავიღოთ, ე. ი. 30 ძროხა მეურნეობაზე, 7 544 × 30 = 226 320 ძროხას. ჩვენ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი ციფრი ავიღეთ, თორემ წვრილ მეურნეობათა სიდიდე ძლიერ უახლოვდება ჯგუფების მინიმალურ და არა მაქსიმალურ საზღვრებს.

თვის კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში, წვრილ მეურნეობათა უდიდეს რაოდენობას ეკუთვნის საერთო წარმოების უმნიშვნელო წილი. წვრილი მეურნეებია 70 ათასი, ე. ი. თითქმის 40%, მათ კი ძროხების საერთო რიცხვის 1/11 ჰყავთ.

მეორე, მოყვანილი ციფრები ცხადყოფს, რომ ამხანაგობათასიკეთეებით დანიაშიც, ისევე როგორც გერმანიაში, უმთავრესად კაპიტალისტები სარგებლობენ. თუ 1 100 ათასი ძროხიდან 900 ათასის რძეს სარძეველებს აბარებენ, მაშასადამე, 200 ათასი ძროხა რჩება საამხანაგო გასაღების «სიკეთეთა» გარეშე. ეს, უმთავრესად, ყველაზე წვრილ მეურნეთა ძროხებია, რადგან გერმანიის შესახები მონაცემებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ მეურნეობებში 2 ha-მდე მხოლოდ ყველა მეურნეობის 0,3% იღებს მონაწილეობას რძის ამხანაგობებში, ხოლო მეურნეობებში, რომელთაც 100 და მეტი ha აქვთ — 35,1%. მაშასადამე, ყველაფერი იმას გვაფიქრებინებს, რომ წვრილი მეურნეები (70 ათასი მეპატრონე 100 ათასი ძროხით) ყველაზე ნაკლებად სარგებლობენ საამხანაგო გასაღების სარფიანობით.

დანიის მაგალითი სავსებით ამარცხებს დავიდს და ამტკიცებს რძის პროდუქტთა წარმოებაში სწორედ არა წვრილ და საშუალო, არამედ მსხვილ მეურნეობათა სიჭარბეს.

რამდენადმე რომ გავაცოცხლოთ ეს მკვდარი ციფრები და ცხრილები, რომ ცხადვყოთ ბურჟუაზიული მიწათმოქმედების კლასობრივი ხასიათი (რომელსაც სავსებით უგულებელყოფს გონებაჩლუნგი მეშჩანი დავიდი), მოვიყვანთ ცნობილ ფაქტს დანიის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. 1902 წელს დანიელმა გემთმფლობელებმა ხელფასი შეუმცირეს ცეცხლფარეშებს. მათ გაფიცვით უპასუხეს. ნავსადგურთა ყველა მუშის კავშირმა მხარი დაუჭირა მათ და აგრეთვე შეწყვიტა მუშაობა. მაგრამ... გაფიცვის საყოველთაოდ გადაქცევა, დანიის ყველა ნავსადგურზე მისი გავრცელება არ მოხერხდა. «გაფიცვაში ვერ ჩააბეს ნავსადგური ესბერგი (დანიის დასავლეთ ნა-

პირზე, მნიშვნელობა აქვს ინგლისთან ვაჭრობისათვის), რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაში, რადგან დანიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებმა განაცხადეს, დაუყოვნებლივ გავგზავნით ჩვენს წევრთა საჭირო რაოდენობას გემთა დასატვირთავად; დანიელი გლეხები ნებას არავის მისცემენ შეაჩერონ თავიანთი პროდუქტების გატანაო» *.

ამრიგად, დანიის ამხანაგობებმა მხარი დაუჭირეს მეპატრონეებს — გემთმფლობელებს მუშების წინააღმდეგ და ჩაახშეს გაფიცვა. სავსებით გასაგებია, რა თქმა უნდა, რომ კაპიტალისტ-ფერმერებმა, რომელთაც 10 და მეტი ძროხა ჰყავთ თვითეულს, კაპიტალისტებსვე დაუჭირეს მხარი მუშების წინააღმდეგ. გაუგებარი მხოლოდ ის არის, რომ სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს დავიდის მსგავსი მწერლები, რომლებიც ჩქმალავენ კლასობრივ ბრძოლას.

ტექნიკურ წარმოებებთან (შაქრის წარმოება, არაყის გამოხდა და სხვ.) სოფლის მეურნეობათა შეერთების საკითხში დავიდი ს ა ვ ს ე ბ ი თ ი მ ა ვ ე შეცდომას სჩადის, რასაც ბ-ნი ბულგაკოვი. რუსი პროფესორის მსგავსად, გერმანელმა «სწავლულმა» ოპორტუნისტმა უ ბ რ ა ლ ო დ გ ა დ მ ო წ ე რ ა ცხრილები გერმანული ანკეტიდან და არც კი უფიქრნია იმაზე, თუ რას ეხება ეს ცხრილები! კაუტსკი ამტკიცებს, შაქრის წარმოება სასოფლო-სამეურნეო მ ს ხ ვ ი ლ ი ინდუსტრიის ნიმუშიაო. ამის გასაბათილებლად დავიდს, ბულგაკოვის მსგავსად, მოჰყავს ციფრები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ ტექნიკურ წარმოებებთან შეერთებული წვრილი მეურნეობები უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი მეურნეობები (გვ. 406, 407, 410 დავიდის ნაშრომში). იმის შესახებ, რომ საერთოდ წვრილი მეურნეობები უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი, სწავ-

* Emil Helms. «Die socialdemokratische und gewerkschaftliche Bewegung in Dänemark». Lpz. 1907. S. 138 (ემილ ჰელმსი. «სოციალ-დემოკრატიული და პროფესიული მოძრაობა დანიაში». ლაიფციგი, 1907, გვ. 138. რ ე დ.).

ლულმა სტატისტიკოსმა დაივიწყა. ნაცვლად იმისა, რომ განესაზღვრა ტექნიკურ წარმოებებთან შეერთებულ მეურნეობათა პროცენტი ამა თუ იმ ჯგუფის მეურნეობათა მთელი რაოდენობის მიმართ, მან გადმოწერა ცხრილი, რომელიც იძლევა ასეთ მეურნეობათა პროცენტს ჯგუფების მიხედვით მათი საერთო ჯამის მიმართ. მე ზევით უკვე დაწვრილებით აღვნიშნე ბ-ნ ბულგაკოვის ეს შეცდომა *. დაგვრჩენია მხოლოდ შევნიშნოთ, რომ ასევე მეცნიერულად-კეთილსინდისიერი ე. დავიდი არ გაისარჯა გადაეთვალიერებინა მონაცემები კაპიტალისტების ხელში არსებული ჭარხლის ნათესებით დაკავებული მიწის წილის შესახებ.

თუ რა სასაცილო საზღვრებს აღწევს გერმანელი ოპორტუნისტისა და რუსი ლიბერალი პროფესორის სულიერი იგივეობა, ეს იქიდან ჩანს, რომ ისინი არა მარტო ერთნაირად დაუდევრად და უვიცად სარგებლობენ სტატისტიკით, არამედ ერთნაირად დაუდევრადაც იმოწმებენ მარქსს. დავიდი, ბულგაკოვის მსგავსად, ცნობს «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს». მართალია, დავიდი ცდილობს გადმოგვცეს იგი განსაკუთრებული შეზღუდვებით, შემოფარგლოს განსაკუთრებული პირობებით, მაგრამ საქმე ამით სრულებითაც არ უმჯობესდება. მაგალითად, 476-ე გვერდზე დავიდი ლაპარაკობს, რომ «ეს კანონი საერთოდ არ ეხება საკითხს, მერყეობს თუ არა ნაყოფიერება ერთი მეცნიერულ-ტექნიკური საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას. კანონი მხოლოდ და მხოლოდ ეხება ნაყოფიერების მერყეობას ერთ და იმავე მეცნიერულ-ტექნიკურ საფეხურზე». ეს სწორედ უბადაღებული კანონის ის შეზღუდვაა, რომელიც მე აღვნიშნე ბ-ნ ბულგაკოვის წინააღმდეგ **, ამასთან მაშინვე დავუმატე: ეს იქნება «კანონი» «იმდენად შეფარდებითი, რომ მიწათმოქმედების რაიმე კანონზე და რაიმე კარდინალურ თავისებუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 261 — 262. რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 125 — 126. რედ.

რებაზეც კი ლაპარაკიც შეუძლებელია-მეთქი».

დავიდი კი ამ კანონს კვლავ მიწათმოქმედების თავისებურებად აცხადებს. გამოდის წარმოუდგენელი არევ-დარევა, რადგან «მეცნიერულ-ტექნიკური» პირობების უცვლელობისას მრეწველობაშიც უკიდურესად შეზღუდულია კაპიტალის დამატებითი დაბანდებანი.

«სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა — ამბობს დავიდი დასკვნითს თავში — აიხსნება, ჯერ-ერთი, ბუნების ორგანული ძალების კონსერვატიულობით, რაც გამოიხატება კლებად მოსავალთა კანონით» (501). ამ დასკვნაში უკვე ამოგდებულია ეს-არის ახლა წამოყენებული დებულება, რომ «კანონი» არ ეხება უმაღლეს ტექნიკურ საფეხურზე გადასვლებს! «ბუნების ძალთა კონსერვატიულობა» ეს მხოლოდ სიტყვიერი თავდაძვრენაა რეაქციული მეშჩანობისა, რომელსაც არ ძალუძს გაიგოს ის საზოგადოებრივი პირობები, რაც განსაკუთრებით აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. დავიდი ააშკარავებს იმის გაუგებლობას, რომ ამ საზოგადოებრივ პირობებს ეკუთვნიან: ჯერ-ერთი, ფეოდალიზმის ნაშთები მიწათმოქმედებაში, მოჯამაგირეთა არათანასწორუფლებიანობა და სხვ. და ა. შ.; მეორე, მიწის რენტა, რომელიც ბერავს ფასებს და განამტკიცებს მაღალ რენტას მიწის ფასში.

«ჩვენ ვფიქრობთ, — წერს დავიდი, — რომ ამჟამად გერმანიის მიწათმოქმედება ვერ შესძლებდა პურის საჭირო რაოდენობის წარმოებას ისეთი პროდუქტიულობით, რომელიც, ოკეანესიქითა წარმოების წყალობით, ნორმალურად ითვლება მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით. კლებად მოსავალთა კანონი საშუალებას არ იძლევა პროდუქტიულობის შეუმცირებლად განუსაზღვრელად გავადიდოთ პროდუქტთა რაოდენობა მიწის განსაზღვრულ ფართობზე» (519) — უკანასკნელი ფრაზა დავიდს ხაზგასმული აქვს.

შეხედეთ ერთი ამ ეკონომისტს! იგი აცხადებს, კლებად მოსავალთა «კანონი» მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ეხება პროდუქტიულობის მერყეობას ერთ და იმავე მეცნიერულ-ტექნიკურ საფეხურზეო (476). დასკვნაში კი ნათქვამია: «კანონი ნებას არ იძლევა «განუსაზღვრელად» გავადიდოთ პროდუქტთა რაოდენობაო» (519)! მაშ საიდან გამოდის, რომ გერმანიის მიწათმოქმედების შემდგომ «მეცნიერულ-ტექნიკურ საფეხურზე» ა ყ ვ ა ნ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა, ხელი რომ არ შეეშალა მიწის კერძო საკუთრებას, ხელი რომ არ შეეშალა გაბერილ რენტას, ხელი რომ არ შეეშალა მოჯამაგირის უუფლებობას, დაბეჩავებას და დამცირებას, ხელი რომ არ შეეშალა იუნკრობის ველურ შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებს??

ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული აპოლოგეტი ცდილობს უგულებელყოს მიწათმოქმედების ჩამორჩენილობის საზოგადოებრივი და ისტორიული მიზეზები და ბრალს სდებს «ბუნების ძალთა კონსერვატიულობას» და «კლებადი ნაყოფიერების კანონს». აპოლოგეტიკისა და გონებასიჩლუნგის გარდა ამ ყბადაღებულ კანონში არაფერია.

ხოლო ბურჟუაზიული ეკონომიის ძველი ცრურწმენებისაკენ თავისი სამარცხვინო უკანდახევა რომ დაფაროს, დავიდი სწორედ ისევე, როგორც ბულგაკოვიც, ყალბად იმოწმებს მარქსს. დავიდს ციტატი მოჰყავს «კაპიტალის» III ტომის ი მ ა ვ ე გ ვ ე რ დ ი დ ა ნ (III. B., II. Theil, S. 277), რომელიც ბ-ნ ბულგაკოვსაც მოჰყავდა! (იხილე გვ. 481 დავიდის ნაშრომისა და ზემოთ ბ-ნ ბულგაკოვის გარჩევა *).

ის, რაც მე ნათქვამი მაქვს ბ-ნ ბულგაკოვის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ე ბ ი ს შესახებ, მ თ ლ ი ა ნ ა დ ეხება დავიდსაც. ბ-მა ბულგაკოვმა დაამახინჯა მარქსის შრომიდან მოყვანილი ციტატი. დავიდი დაკმაყოფილდა იმავე ციტატის პირველი სიტყვების მოყვანით: «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების შესახებ კაპიტალის თანამიმდევრად დაბანდე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 135 — 139. რ ე დ.

ბის დროს იხილე ლიბიხთან» («Das Kapital», III. B., II. Theil, S. 277 *) [69]. ბულგაკოვის მსგავსად, დავიდმა დაამახინჯა მარქსი და მკითხველს ისე წარმოუდგინა საქმე, თითქოს ეს იყოს მარქსის ერთადერთი მითითება. სინამდვილეში, ვიმეორებ, ყველამ, ვისაც «კაპიტალის» III ტომი (და «Theorien über den Mehrwert»-ის [70] მეორე ტომის მეორე ნაწილი) წაუკითხავს, იცის საწინააღმდეგო. (მარქსი ათეულჯერ გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დამატებით დაბანდებათა ნაყოფიერების შემცირების შემთხვევას) ის სავსებით ისევე თანასწორუფლებიანად, თანაბრად შესაძლებლად თვლის, როგორც კაპიტალის დამატებით დაბანდებათა ნაყოფიერების ზრდის შემთხვევას.

შენიშვნაში 481 გვ. დავიდი გვპირდება, რომ მომავალში განიხილავს ამ კანონის კავშირს რენტასთან, აგრეთვე «კრიტიკულად განიხილავს მარქსის ცდას — განავითაროს და გააფართოოს რენტის თეორია და უარყოს რენტის თეორიის ის საფუძვლები, რომლებიც მოცემულია მალთუსისა და რიკარდოს მიერ».

ვკისრულობთ წინასწარმეტყველებას, რომ დავიდის კრიტიკული განხილვა — ეს იქნება ბურჟუაზიულ ცრურწმენათა განმეორება à la ბ-ნ ბულგაკოვისა ან... à la ამხანაგ მასლოვისა.

გადავიდეთ დავიდის კიდევ ერთი სრულიად არასწორი დებულების განხილვაზე. მისი აპოლოგეტიკისა ან სტატისტიკის დამახინჯების უარყოფა მეტად უმადური მუშაობაა. იმ საკითხზე, რომელზეც ჩვენ გადავდივართ, ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ახალი მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ სინამდვილის ფაქტიური სურათი დავუპირისპიროთ თანამედროვე მეშჩანობის თეორიებს.

---

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწილი II, გვ. 277. რედ.

## XI

## მესაქონლეობა წვრილ და მსხვილ მეურნეობაში

«კრიტიკოსები» ანუ ბერნშტეინელები აგრარულ საკითხში, როდესაც იცავენ წვრილ წარმოებას, განსაკუთრებით ხშირად იმოწმებენ შემდეგ გარემოებას. წვრილ მიწათმოქმედთ მიწის ფართობის განსაზღვრულ ერთეულზე გაცილებით უფრო მეტი პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე მსხვილთ. მაშასადამე, — ამბობენ ისინი, — წვრილი მიწათმოქმედნი უკეთ აპოხიერებენ ნიადაგს. ტექნიკურად მათი მეურნეობა უფრო მაღლა დგას, რადგან გაპოხიერება გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე მიწათმოქმედებაში, ხოლო მეურნეობაში შენახული პირუტყვისგან მიღებული სასუქი ბევრად სჯობნის ყველა და ყოველგვარ ხელოვნურ სასუქს.

ედ. დავიდი თავის წიგნში: «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» ამ მოსაზრებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს (გვ. 326, 526, 527 რუს. თარგმანისა). იგი კურსივით წერს: «ნაკელი — სულია მიწათმოქმედებისა» (გვ. 308) და ამ ჭეშმარიტებას მთავარ საფუძვლად ხდის წვრილი მიწათმოქმედების დასაცავად. მას მოჰყავს გერმანული სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ წვრილ მეურნეობებში ფართობის ერთეულზე გაცილებით მეტი პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში. დავიდი დარწმუნებულია, რომ ეს მონაცემები საბოლოოდ მის სასარგებლოდ წყვეტენ მიწათმოქმედებაში მსხვილი და წვრილი წარმოების უპირატესობათა საკითხს.

უფრო ახლოს ჩავუკვირდეთ ამ თეორიას და სოფლის მეურნეობის ნაკელიან სულს.

მთავარი საბუთი დავიდისა და მისი მრავალრიცხოვანი მომხრეებისა ბურჟუაზიული ეკონომისტებიდან — სტატისტიკურია. ერთმანეთს ადარებენ პირუტყვის რაოდენობას (ფართობის ერთეულზე) სხვადასხვა სიდიდის მეურნეობებში. ამასთან იდუმალად ნავარაუდევია, რომ ერთმანეთს ადარებენ ერთგვაროვან ოდენობებს, ე. ი. რომ ერთი განსაზღვრული

სახის პირუტყვის თანაბარი რაოდენობა როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობებში წარმოადგენს, ასე ვთქვათ, თანაბარ სასოფლო-სამეურნეო ღირებულებას. ნავარაუდევია, რომ პირუტყვის თანაბარი რაოდენობა ნაკელის თანაბარ რაოდენობას იძლევა, რომ პირუტყვი ცოტად თუ ბევრად ერთნაირი ღირსებით განირჩევა მსხვილ და წვრილ მეურნეობებში და სხვ.

ცხადია, ამ ჩვეულებრივი იდუმალი ვარაუდის სისწორეზეა მთლიანად დამოკიდებული განსახილველი საბუთის დამამტკიცებელი მნიშვნელობა. სწორია თუ არა ეს დებულება? თუ შიშველი და უხეში, ზოგადი ხასიათის სტატისტიკიდან საერთოდ წვრილი და მსხვილი სამიწათმოქმედო წარმოების საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობების ანალიზზე გადავალთ, მაშინვე დავინახავთ, რომ სწორედ ის, რაც დასამტკიცებელია, ამ დებულებით დამტკიცებულად არის მიჩნეული. მარქსიზმი ამტკიცებს, რომ წვრილ საწარმოში პირუტყვის შენახვის პირობები (აგრეთვე, როგორც დავინახეთ, მიწის მოვლისა და მიწათმოქმედი მუშაკის შენახვის პირობები) მსხვილი მეურნეობის პირობებზე უ ა რ ე ს ი ა. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია და მასთან ერთად ბერნშტეინელები წინააღმდეგს ამტკიცებენ: წვრილი მიწათმოქმედის ს ი ბ ე ჯ ი თ ი ს გამო პირუტყვის შენახვის პირობები წვრილ მეურნეობაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე მსხვილ მეურნეობაშიო. ისეთი სტატისტიკური მონაცემების საპოვნელად, რომლებიც ა მ საკითხს აშუქებენ, საჭიროა სრულებითაც არა ის სტატისტიკა, რომლითაც დავიდი სარგებლობს. საჭიროა სტატისტიკური გამოკვლევა არა სხვადასხვა სიდიდის მეურნეობათა პირუტყვის რაოდენობის შესახებ, არამედ მისი ხარისხის შესახებ. გერმანულ ეკონომიურ ლიტერატურაში ასეთი გამოკვლევა არის და, შეიძლება, არა ერთიც. და მეტად დამახასიათებელია, რომ დავიდი, რომელმაც თავისი წიგნი აავსო აურაცხელი შეუსაბამო ციტატებით ყოველგვარი აგრონომიული თხზულებებიდან, სწორედ სრული დუმილით უვლის გვერდს ლიტერა-

ტურაში არსებულ ცდებს — გამო

მონაცემები დრეკსლერმა დაბეჭდა * დაუმუშავებელი სახით, სამივე მეურნეობიდან თვითეულის მიხედვით ცალ-ცალკე და სოფელთა სამივე ჯგუფის მიხედვით, ამასთან გლეხური მეურნეობანი სოფლებში დაყოფილია შვიდ ჯგუფად მიწის რაოდენობის მიხედვით (50 ჰექტარზე მეტი, 25 — 50, 12,5 — 25, 7,5 — 12,5, 2,5 — 7,5, 1,25 — 2,5 და 1,25 ჰექტარამდე). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დრეკსლერის მონაცემები ეხება პირუტყვის 11 სხვადასხვა სახეს, მკითხველისთვის ნათელი გახდება ყველა ამ ცხრილის სირთულე. ისეთი ნაკრები მონაცემების მისაღებად, რომლებიც საერთო და ძირითადი დასკვნების მიმოხილვის საშუალებას მოგვცემენ, ყ ვ ე ლ ა მეურნეობას დავყოფთ ხ უ თ მთავარ ჯგუფად: ა) მსხვილი მეურნეობანი; ბ) გლეხური მეურნეობანი, რომელთაც აქვთ 25 ha-ზე (ჰექტარზე) მეტი მიწა; გ) 7,5-დან 25 ha-მდე; დ) 2,5 — 7,5 ha, და ე) 2,5 ha-ზე ნაკლები.

მეურნეობათა რიცხვი და მიწის რაოდენობა ამ ჯგუფებში 1875 და 1884 წლებში იყო:

| | 1875 წელს | | | 1884 წელს | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მეურნეობათა რიცხვი | მათი მიწა | მიწა 1 მეურნ. | მეურნეობათა რიცხვი | მათი მიწა | მიწა 1 მეურნ. |
| | (ჰექტარებად = ha) | | | | | |
| ა) მამულები | 3 | 689 | 229 | 3 | 766 | 255 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 51 | 1 949 | 38 | 58 | 2 449 | 42 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 274 | 3 540 | 13 | 248 | 3 135 | 12 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 442 | 1 895 | 4,3 | 407 | 1 774 | 4,3 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 1 449 | 1 279 | 0,88 | 1 109 | 1 027 | 0,92 |
| ს უ ლ | 2 219 | 9 352 | 4,2 | 1 825 | 9 151 | 5,0 |

* 1875 წლისთვის «Schriften des Vereins für Sozialpolitik»-ში, Band XXIV, S. 112 («Bäuerliche Zustände», B. III), 1884 წლისთვის კი «Thiel's landwirtschaftliche Jahrbücher»-ში, Band XV (1886) («სოცია-

ამ ციფრების განსამარტებლად უპირველეს ყოვლისა შევჩერდეთ სხვადასხვა სიდიდის მეურნეობათა ეკონომიურ ტიპზე. დრეკსლერი თვლის, რომ 7,5 და მეტი ჰექტარი მიწის მქონე ყველა მეურნეობისთვის აუცილებელია დაქირავებული შრომა. ვღებულობთ (1875 წ.) 325 გლეხურ მეურნეობას, რომლებიც მუშებს ქირაობენ. ყველა მეურნეობა, რომელთაც აქვთ 2,5 ha-მდე, იძულებულია თვითონ დაქირავდეს. იმ მეურნეობიდან, რომელთაც 2,5-დან 7,5 ha-მდე აქვთ (საშუალო სიდიდე = 4,3 ha), ნახევარს, დრეკსლერის ანგარიშით, თავი გააქვს ისე, რომ ქირაზე არ მუშაობს, მეორე ნახევარი კი იძლევა დაქირავებულ მუშებს. მაშასადამე, სულ გლეხთა მეურნეობათაგან — 325 კაპიტალისტურია, 221 — წვრილი «შრომითი» (როგორც ჩვენი ნაროდნიკები იტყოდნენ), რომლებიც არც ქირაობენ და არც ქირავდებიან, და 1 670 ნახევრადპროლეტარული, რომლებიც ქირავდებიან.

სამწუხაროდ, დრეკსლერის დაჯგუფებანი განსხვავდებიან საერთო გერმანული სტატისტიკის დაჯგუფებათაგან; ეს სტატისტიკა საშუალო გლეხობად თვლის 5 — 20 ha-ს მქონე მეურნეებს. მაგრამ მაინც უეჭველი რჩება ის ფაქტი, რომ ამ საშუალო გლეხთა უმრავლესობა მიმართავს მუშების დაქირავებას. «საშუალო» გლეხები გერმანიაში წვრილი კაპიტალისტები არიან. ის გლეხები კი, რომლებიც არც ქირაობენ და არც ქირავდებიან, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ: 221-ს 2 216-დან, ე. ი. ერთ მეათედ ნაწილს.

ამრიგად, ჩვენს მიერ აღებული მეურნეობათა ჯგუფები მათი ეკონომიური ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდებიან: ა) მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობანი; ბ) საშუალო კაპიტალისტური («გროსბაუერები»); გ) წვრილი კაპიტალისტური; დ) წვრილი გლეხური და ე) ნახევრადპროლეტარული.

ლური პოლიტიკის კავშირის შრომები», ტომი XXIV, გვ. 112 («გლეხთა მდგომარეობა», ტომი III), ხოლო 1884 წლისთვის «თილის სასოფლო-სამეურნეო წელიწდეულებში», ტომი XV (1886). რ ე დ.).

მეურნეობათა საერთო რიცხვი და მათი მიწის საერთო რაოდენობა შემცირდა 1875-დან 1884 წლამდე. ეს შემცირება უმთავრესად მოდის წვრილ მეურნეობებზე: 2,5 ha-მდე მფლობელთა რიცხვი შემცირდა 1 449-დან 1 109-მდე, ე. ი. 340 მეურნეობით, თითქმის მეოთხედით. პირიქით, უდიდეს მეურნეობათა რიცხვი (25 ha-ზე მეტი) გაიზარდა 54-დან 61-მდე, ხოლო მათი მიწის რაოდენობა 2 638 ha-დან 3 215 ha-მდე, ე. ი. 577 ჰექტარით. მაშასადამე, ამა თუ იმ ადგილას მეურნეობის საერთო გაუმჯობესება და კულტურის ამაღლება, რითაც ასე აღფრთოვანებულია დრეკსლერი, ნიშნავს სოფლის მეურნეობის მოქცევას მესაკუთრეთა შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი რიცხვის ხელში. «პროგრესმა» მიწათმოქმედებიდან გააძევა თითქმის 400 მეურნე 2 219-დან (1884 წლისთვის დარჩა 1 825), დარჩენილებს კი მიწის საშუალო რაოდენობა მეურნეობაზე გაუდიდა 4,2 ჰექტარიდან 5-მდე. ერთ ადგილას კაპიტალიზმი აჯგუფებს მიწათმოქმედების ამა თუ იმ დარგს და პროლეტარიატის რიგებისაკენ მიერეკება მთელ რიგ წვრილ მეურნეებს. მეორე ადგილას სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა ჰქმნის მთელ რიგ ახალ წვრილ მეურნეობებს (მაგალითად, რძის მეურნეობას ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში და მთელ ქვეყნებში, რომლებსაც პროდუქტები გააქვთ საზღვარგარეთ, დანიის მსგავსად). მესამე ადგილას საშუალო მეურნეობათა დაქუცმაცება ადიდებს წვრილ მეურნეობათა რიცხვს. ზოგადი ხასიათის სტატისტიკა ფარავს ყველა ამ პროცესს, რომლის შესასწავლადაც საჭიროა დეტალური გამოკვლევები.

აწერილი ადგილის სოფლის მეურნეობის პროგრესი განსაკუთრებით გამოიხატა მესაქონლეობის გაუმჯობესებით. ამასთანავე პირუტყვის სულადობის საერთო რაოდენობა შემცირდა. 1875 წელს იყო 7 208 სული პირუტყვი (მსხვილზე გადაყვანით), 1884 წელს კი — 6 993. ზოგადი სტატისტიკისთვის პირუტყვის ეს შემცირება მესაქონლეობის დაცემის ნიშანი იქნებოდა. სინამდვილეში კი პირუტყვის ხარისხი გაუმ-

ჯობესდა, ასე რომ, თუ ავიღებთ არა პირუტყვის სულადობის რაოდენობას, არამედ მათ საერთო «ცოცხალ წონას», მივიღებთ 2 556 872 კილოგრამს 1875 წელს და 2 696 107 კგ 1884 წელს.

მესაქონლეობის კაპიტალისტური პროგრესი თავს იჩენს არა მარტო, ხანდახან კი არა იმდენად, რაოდენობის გადიდებით, რამდენადაც ხარისხის გაუმჯობესებით, ცუდი პირუტყვის კარგით შეცვლით, საკვების მომატებით და სხვ.

პირუტყვის სულადობის საშუალო რიცხვი ერთ მეურნეობაზე შეადგენდა:

| | 1875 წელს | | | 1884 წელს | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მსხვილი პირუტყვი | წვრილი | სულ | მსხვილი პირუტყვი | წვრილი | სულ |
| | მსხვილზე გადაყვანით) | | | | | |
| ა) მაჰულები | 105 | 69 | 174 | 110 | 41 | 151 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 13,2 | 11,0 | 24,2 | 13,7 | 10,5 | 24,2 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 5,4 | 3,8 | 9,2 | 4,9 | 4,2 | 9,1 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 2,2 | 1,4 | 3,6 | 2,2 | 1,8 | 4,0 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 0,3 | 0,6 | 0,9 | 0,4 | 0,7 | 1,1 |
| სულ | 1,7 | 1,5 | 3,2 | 2,0 | 1,8 | 3,8 |

უმსხვილეს მეურნეობებში პირუტყვის რაოდენობა შემცირდა. უწვრილეს მეურნეობებში კი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა და გაიზარდა მით უფრო სწრაფად, რაც უფრო წვრილია მეურნეობა. თითქოს ისე ჩანს, რომ გვაქვს წვრილი მეურნეობის პროგრესი და მსხვილის რეგრესი? ესე-იგი გვაქვს დავიდის თეორიის დადასტურება?

მაგრამ საკმარისია ავიღოთ მონაცემები პირუტყვის საშუალო წონის შესახებ, და ილუზიაც ჰქრება.

| | 1 სული პირუტყვის საშუალო წონა კილოგრამობით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1875 წელს | | | 1884 წელს | | |
| | მსხვილის | წვრილის * | სულ | მსხვილის | წვრილის | სულ |
| ა) მამულები | 562 | 499 | 537 | 617 | 624 | 619 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 439 | 300 | 376 | 486 | 349 | 427 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 409 | 281 | 356 | 432 | 322 | 382 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 379 | 270 | 337 | 404 | 287 | 352 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 350 | 243 | 280 | 373 | 261 | 301 |
| საშუალო | 412 | 256 | 354 | 446 | 316 | 385 |

პირველი დასკვნა ამ მონაცემებიდან ის არის, რომ პირუტყვის ხარისხი მით უკეთესია, რაც უფრო დიდია მეურნეობის მოცულობა. ამ მხრივ განსხვავება კაპიტალისტურ და წვრილგლეხურ ან ნახევრადპროლეტარულ მეურნეობებს შორის უდიდესია. მაგალითად, 1884 წელს ეს განსხვავება უდიდესი და უმცირესი სიდიდის მეურნეობათა შორის ას პროცენტს აჭარბებს: მსხვილკაპიტალისტურ მეურნეობებში საშუალო პირუტყვის საშუალო წონა უდრის 619 კილოგრამს, ხოლო ნახევრადპროლეტარულ მეურნეობებში — 301 კგ., ე. ი. ორჯერ და კიდევ უფრო ნაკლებია! აქედან შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ზერელედ მსჯელობენ დავიდი და მისი თანამოაზრეები, როდესაც ისინი ვარაუდობენ პირუტყვის ხარისხის ერთგვარობას მსხვილ და წვრილ მეურნეობებში.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირუტყვის შენახვა საერთოდ უფრო ცუდია წვრილ მეურნეობაში. ახლა ჩვენ გვაქვს ამის ფაქტიური დადასტურება. პირუტყვის ცოცხალი

* სხვადასხვა წვრილი პირუტყვი მსხვილზე გადაყვანილია ჩვეულებრივი ნორმების მიხედვით. ერთი წლის განმავლობაში პირუტყვის 11 სახეთაგან ერთში სულადობის რაოდენობა განსაზღვრულია დაახლოებით: მონაცემები არის მხოლოდ წონის და არა სულადობის შესახებ.

წონის ცნობები მეტად ზუსტ წარმოდგენას იძლევა პირუტყვის შენახვის ყველა პირობაზე: საკვები, სადგომი, მუშაობა, მოვლა — ყოველივე ეს შეჯამებულია, ასე ვთქვათ, იმ შედეგებში, რომლებმაც დრეკსლერის მონოგრაფიაში სტატისტიკური გამოხატულება მიიღო. როგორც ჩანს, წვრილი გლეხის მთელ «სიბეჯითეს» პირუტყვის მოვლის საქმეში — სიბეჯითეს, რასაც ქება-დიდებას ასხამს ჩვენი ბ-ნი ვ. ვ.[71] და გერმანელი დავიდი, — დაახლოებითაც კი არ შეუძლია გააწონასწოროს უპირატესობა მსხვილი წარმოებისა, რომელიც ერთიორად უკეთესი ხარისხის პროდუქტს იძლევა. კაპიტალიზმი წვრილ გლეხს განუმზადებს სამუდამო ჯახირს, შრომის უსარგებლო ფლანგვას, — რადგან პირუტყვის გულმოდგინედ მოვლა, როცა ნაკლებადაა სახსრები, საკვები, როცა პირუტყვი ცუდი ხარისხისაა, სადგომი ცუდია და სხვ., — შრომის უსარგებლო ფლანგვას უდრის. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია თავის შეფასებაში პირველ რიგში აყენებს არა გლეხის ამ გაჩანაგებას და ჩაგვრას კაპიტალიზმის მიერ, არამედ მშრომელის (კაპიტალისთვის მშრომელისა ექსპლოატაციის უაღრესად ცუდ პირობებში) «სიბეჯითეს».

მეორე დასკვნა მოყვანილი მონაცემებიდან ის არის, რომ პირუტყვის ხარისხი აღნიშნულ ათწლედში საშუალოდ გაუმჯობესდა, გაუმჯობესდა აგრეთვე მეურნეობის ყველა თანრიგში. მაგრამ ამ საერთო გაუმჯობესების შედეგად მესაქონლეობის პირობების განსხვავება მსხვილ და წვრილ მეურნეობაში გახდა არა უფრო ნაკლებად, არამედ უფრო მეტად მნიშვნელოვანი. საერთო გაუმჯობესებამ მსხვილი და წვრილი მეურნეობანი კი არ გაათანაბრა, არამედ უფრო გააღრმავა უფსკრული მათ შორის, — რადგან გაუმჯობესების ამ პროცესში მსხვილი მეურნეობა წინ უსწრებს წვრილს. ● ერთი სული საშუალო პირუტყვის საშუალო წონის შედარება ჯგუფების მიხედვით 1875 და 1884 წლებში.

| | ერთი სული საშუალო პირუტყვის საშუალო წონა კილოგრამობით | | ზრდა | ზრდა პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| | 1875 | 1884 | | |
| ა) მამულები | 537 | 619 | +82 | +15,2 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 376 | 427 | +51 | +13,6 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 356 | 382 | +26 | + 7,3 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 337 | 352 | +15 | + 4,4 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 280 | 301 | +21 | + 7,5 |
| საშუალო | 354 | 385 | +31 | + 8,7 |

ყველაზე მეტი გაუმჯობესებაა მსხვილკაპიტალისტურ მეურნეობებში, შემდეგ საშუალოკაპიტალისტურ მეურნეობებში, სულ უმნიშვნელოა წვრილგლეხურ მეურნეობებში და ძალიან მცირეა დანარჩენებში. დრეკსლერმა, ისე როგორც იმ აგრონომების დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის საკითხებზე წერენ, საქმის მხოლოდ ტექნიკური მხარე შეამჩნია. 1875 და 1884 წლების შედარებიდან გამოტანილ თავის მეხუთე დასკვნაში იგი ამბობს: «შესამჩნევია ფრიად მნიშვნელოვანი პროგრესი მესაქონლეობაში *: პირუტყვის სულადობის შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება; ერთი სული პირუტყვის საშუალო ცოცხალი წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლების სამივე ჯგუფში **. ეს იმას ნიშნავს, რომ პირუტყვის გამოზრდაში, კვებასა და მოვლაში ცოტად თუ ბევრად ყველგან (ziemlich allgemein) მოხდა არსებითი გაუმჯობესება».

* დრეკსლერი აქ ლაპარაკობს ყოველგვარ პირუტყვზე, გარდა მუშა-პირუტყვისა (ე. წ. Nutzvieh). ჩვენ ქვემოთ მუშა-პირუტყვზე ცალკე მოვიყვანთ ცნობებს. საერთო დასკვნა იგივე რჩება, რა სახეთა პირუტყვი ან პირუტყვის რა სახეთა ჯგუფებიც უნდა ავიღოთ.

** დრეკსლერი 22 სოფელს ჰყოფს სამ ჯგუფად მეურნეობის გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვ. პირობების მიხედვით. ჩვენ ავიღეთ მხოლოდ ნაკრები მონაცემები, რათა სტატია არ დაგვემძიმებინა ციფრებით. დასკვნები არ იცვლება, სოფლების რა ჯგუფებიც უნდა ავიღოთ.

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები: «ცოტად თუ ბევრად ყველგან» მოწმობს სწორედ იმას, რომ ავტორი უგულებელყოფს საკითხის საზოგადოებრივ-ეკონომიურ მხარეს; «ბევრად» ეხება მსხვილ მეურნეობებს, «ცოტად» — წვრილ მეურნეობებს. დრეკსლერმა ეს ვერ შენიშნა, რადგან ყურადღება მიაქცია მხოლოდ მონაცემებს სოფლების ჯგუფთა შესახებ და არა სხვადასხვა ტიპის მეურნეობათა ჯგუფების შესახებ.

გადავიდეთ ახლა მონაცემებზე მუშა-პირუტყვის შესახებ, რომლებიც აშუქებენ სამიწათმოქმედო მეურნეობის პირობებს ამ სიტყვის ვიწრო აზრით. მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით ჩვენს მიერ განსახილველ მეურნეობებს ახასიათებს ასეთი ციფრები:

| | მუშა-პირუტყვის სულადობა საშუალოდ 1 მეურნეობაზე | |
|---|---|---|
| | 1875 | 1884 |
| ა) მამულები | 27 | 44 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 4,7 | 5,5 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 2,1 | 2,4 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 1,3 | 1,5 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 0,07 | 0,16 |
| საშუალო | 0,7 | 1,0 |

მაშასადამე, ნახევრადპროლეტარულ მეურნეობათა (2,5 ha-მდე — ასეთი მეურნეობანი 1884 წ. იყო 1 109 1 825-დან) უდიდეს უმეტესობას სრულებით არა ჰყავს მუშა-პირუტყვი. ეს მეურნეობანი არც შეიძლება ჩაითვალოს სამიწათმოქმედო მეურნეობებად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ყოველ შემთხვევაში, მუშა-პირუტყვის გამოყენების პირობების მიხედვით მსხვილ მეურნეობებს არ შეიძლება შევადაროთ ისეთები, რომლებიც 93%-ით ან 84%-ით სრულებით არ იყენებენ მუშა-პირუტყვს. ხოლო თუ ამ მხრივ ერთიმეორეს შევადარებთ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებს და წვრილგლეხურ მეურნეობებს, დავინახავთ, რომ პირველში (ჯგუფი ა) 132

სული მუშა-პირუტყვი მოდის 766 ha მიწაზე, უკანასკნელში (ჯგუფი დ) 632 სული 1 744 ha-ზე (1884 წ.), ე. ი. პირველში 1 სული მუშა-პირუტყვი მოდის დაახლოებით ე ქ ვ ს ჰექტარზე, უკანასკნელში — დაახლოებით ს ა მ ჰექტარზე. ცხადია, წვრილი მეურნეობანი ო რ ჯ ე რ მეტ ხარჯს ეწევიან მუშა-პირუტყვის შენახვაზე. წვრილი წარმოება ნიშნავს მეურნეობის ტექნიკურ საშუალებათა დაქუცმაცებას და ამ დაქუცმაცების გამო შრომის გაფლანგვას.

ნაწილობრივ ამ დაქუცმაცების მიზეზი ისაა, რომ წვრილი მეურნეობები იძულებული არიან მიმართონ უფრო ც უ დ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს მუშა-პირუტყვის გამოყენებას, სახელდობრ ძროხების გამოყენებას მუშა-პირუტყვად. მ უ შ ა-პირუტყვის საერთო სულადობაში ძროხების პროცენტი შემდეგი იყო:

| | 1875 წ. | 1884 წ. |
|---|---|---|
| ა) მამულები | — | — |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | — | 2,5% |
| გ) » 7,5 — 25 ha | 6,3% | 11,4% |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 60,7% | 64,9% |
| ე) » 2,5 ha-მდე | 67,7% | 77,9% |
| ს ა შ უ ა ლ ო | 27,0% | 33,4% |

აქედან ნათლად ჩანს, რომ ძროხების გამოყენება მინდვრის სამუშაოზე იზრდება და რომ ნახევრადპროლეტარულ და წვრილგლეხურ მეურნეობებში მთავარ მუშა-პირუტყვს ძროხები წარმოადგენენ. დავიდს ეს პროგრესად მიაჩნია, — სავსებით ისევე, როგორც მთლად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე მდგომ დრეკსლერსაც, რომელიც თავის დასკვნებში წერს: «წვრილ მეურნეობათა დიდი რაოდენობა გადავიდა მ ა თ თ ვ ი ს უ ფ რ ო მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ძროხის გამოყენებაზე მუშა-პირუტყვად». წვრილ მეურნეთათვის ეს «უფრო მიზანშეწონილია» იმიტომ, რომ უ ფ რ ო ი ა ფ ი ა. ხოლო

უფრო იაფია იმიტომ, რომ უკეთესი მუშა-პირუტყვი შეცვლილია უარესით. წვრილ გლეხთა პროგრესი, რაც ასე ხიბლავს დრეკსლერებს და დავიდებს, სავსებით ეთანაბრება გაქრობის გზაზე დამდგარ იმ ხელით მომუშავე ფეიქრების პროგრესს, რომლებიც სულ უფრო და უფრო ცუდ მასალაზე, საფაბრიკო წარმოების ნარჩენებზე გადადიან.

მუშა-ძროხების საშუალო წონა 1884 წელს შეადგენდა 381 კილოგრამს *, მაშინ როდესაც მუშა-ცხენებისა — 482 კილოგრამს, ხოლო მუშა-ხარებისა — 553 კილოგრამს. მუშა-პირუტყვის ეს უკანასკნელი სახე, ყველაზე ღონიერი, 1884 წელს შეადგენდა ნახევარზე მეტს მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეთა მუშა-პირუტყვის მთელ შემადგენლობაში; — ერთ მეოთხედამდე — საშუალო და წვრილ კაპიტალისტებთან;—ერთ მეხუთედზე ნაკლებს — წვრილ გლეხებთან და მეათედ ნაწილზე ნაკლებს ნახევრადპროლეტარულ მეურნეობებში. მაშასადამე, რაც უფრო მსხვილია მეურნეობა, მით უფრო მაღალია მუშა-პირუტყვის ხარისხი. ერთი სული მუშა-პირუტყვის საშუალო წონა ასეთია:

| | 1875 წ. | 1884 წ. |
|---|---|---|
| ა) მამულები | 554 | 598 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 542 | 537 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 488 | 482 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 404 | 409 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 377 | 378 |
| საშუალო | 464 | 460 |

საერთოდ და მთლიანად, მაშასადამე, მუშა-პირუტყვი გაუარესდა. სინამდვილეში მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებში ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ყვე-

* იმ ძროხების საშუალო წონა, რომელთაც მინდვრის სამუშაოებზე არ იყენებენ, — 421 kg.

ლა დანარჩენში — ერთ დონეზე შეჩერებას ან გაუარესებას. მუშა-პირუტყვის ხარისხის მიხედვით განსხვავება მსხვილ და წვრილ წარმოებას შორის აგრეთვე გაიზარდა 1875-დან 1884 წლამდე. წვრილ მეურნეობათა გადასვლა ძროხების მუშა-პირუტყვად გამოყენებაზე საერთო მოვლენაა გერმანიაში *. და ჩვენი ცნობებიც დოკუმენტალური სიზუსტით ამტკიცებენ, რომ ეს გადასვლა ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუარესებას, ნიშნავს გლეხობის გაჭირვების ზრდას.

დრეკსლერის მონოგრაფიის მონაცემების მიმოხილვა რომ დავამთავროთ, მოვიყვანოთ კიდევ მთელი პირუტყვის რაოდენობისა და წონის გაანგარიშება მიწის ფართობის ერთეულზე, ე. ი. ის გაანგარიშება, რომელსაც დავიდი ახდენს გერმანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით საერთოდ:

| | მიწის 1 ha-ზე მოდის | | | |
|---|---|---|---|---|
| | მთელი პირუტყვის სულადობა (მსხვილზე გადაყვანით) | | მთელი პირუტყვის წონა კილოგრამობით | |
| | 1875 | 1884 | 1875 | 1884 |
| ა) მამულები | 0,77 | 0,59 | 408 | 367 |
| ბ) მეურნ. 25 და მეტი ha | 0,63 | 0,57 | 238 | 244 |
| გ) » 7,5 — 25 ha | 0,71 | 0,72 | 254 | 277 |
| დ) » 2,5 — 7,5 » | 0,85 | 0,94 | 288 | 328 |
| ე) » 2,5 ha-მდე | 1,02 | 1,18 | 286 | 355 |
| საშუალო | 0,77 | 0,76 | 273 | 294 |

მონაცემები პირუტყვის სულადობის რაოდენობის შესახებ მიწის 1 ჰექტარზე, ეს ის მონაცემებია, რომლებითაც დავიდი

* იხ. ამის შესახებ ზემოთ, თავი VIII: «გერმანიის სას.-სამ. სტატისტიკის საერთო მონაცემები». (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 241 — 256. რ ე დ.).

კმაყოფილდება. ჩვენს მაგალითში, ისე როგორც გერმანიის სოფლის მეურნეობაში მთლიანად, ეს მონაცემები ცხადყოფს პირუტყვის რაოდენობის შემცირებას მსხვილ მეურნეობებში ფართობის ერთეულზე. 1884 წელს, მაგალითად, ნახევრადპროლეტარულ მეურნეობებში სწორედ ორჯერ მეტი პირუტყვი მოდის 1 **ha**-ზე, ვიდრე მსხვილკაპიტალისტურ მეურნეობებში (1,18 წინააღმდეგ 0,59). მაგრამ ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ ასეთ გაანგარიშებაში ერთმანეთს ადარებენ შეუდარებ რამეებს. ცნობები პირუტყვის წონის შესახებ გვიჩვენებენ მეურნეობათა ნამდვილ თანაფარდობას: მსხვილი წარმოება უკეთაა დაყენებული ამ მხრივაც, — მას მოეპოვება ფართობის ერთეულზე პირუტყვის **maximum**-ი წონის მიხედვით, მაშასადამე, სასუქის **maximum**-იც. ამრიგად, დავიდის დასკვნა, რომ საერთოდ და მთლიანად სასუქით უკეთ უზრუნველყოფილი არიან წვრილი მეურნეობებიო, პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ცნობები, ჯერ-ერთი, არ ეხება ხელოვნურ სასუქს, რომლის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ შეძლებულ მეურნეებს; მეორეც, პირუტყვის რაოდენობის შედარება წონის მიხედვით ათანაბრებს მსხვილ და წვრილ პირუტყვს — ათანაბრებს, მაგალითად, 45 625 კგ — 68 სულის წონას მსხვილ მეურნეობაში — და 45 097 კგ — 1 786 თხის წონას წვრილ მეურნეობებში (1884 წ.). სინამდვილეში მსხვილ მეურნეობათა უპირატესობა ნაკელის სასუქით უზრუნველყოფის მხრივ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ციფრები გვიჩვენებს *.

---

* მოგაგონებთ **Klawki**-ს ზემოთ მოყვანილ მითითებებს (თავი VI) (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 210. რ ე დ.): «ნაკელის წარმოება წვრილ მეურნეებთან უფრო ცუდია: მათი პურის ჩალა უფრო მოკლეა, ჩალის უმეტესი ნაწილი პირუტყვის საკვებად მიდის (მაშასადამე, ისევ-ისე საკვების ხარისხის გაუარესება), პირუტყვის საგებადაც უფრო ნაკლები ჩალა იხმარება».

დასკვნა: ფრაზით «ნაკელი სულია სოფლის მეურნეობისა» დავიდმა გვერდი აუარა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას სპეციალურად მესაქონლეობის მეურნეობაში და ს ქმე სრულიად დამახინჯებულად წარმოგვიდგინა.

კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში მსხვილ წარმოებას უდიდესი უპირატესობა აქვს წვრილი წარმოების მიმართ საერთოდ პირუტყვის ხარისხის მიხედვით, კერძოდ მუშა-პირუტყვის ხარისხის მიხედვით, პირუტყვის შენახვის, მისი გაუმჯობესებისა და გაპოხიერებისთვის გამოყენების პირობების მიხედვით.

## XII

## «იდეალური ქვეყანა» აგრარულ საკითხში მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით *

დანიის სამიწათმოქმედო ურთიერთობა და წესები განსაკუთრებით დიდ ინტერესს წარმოადგენს ეკონომისტისათვის. ჩვენ უკვე დავინახეთ **, თუ როგორ ძლიერ იყენებს დანიის სასოფლო-სამეურნეო კავშირების და დანიის «წვრილი გლეხური» (ვითომდა) კულტურის მაგალითს აგრარულ საკითხში რევიზიონიზმის მთავარი წარმომადგენელი თანამედროვე ლიტერატურაში, ედ. დავიდი. ჰენრიხ პუდორი, რომლის ნაშრომითაც სარგებლობს ედ. დავიდი, დანიას «სასოფ-

* ეს სტატია წარმოადგენს ერთ თავს (XII) ავტორის ნაშრომიდან «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» — რომელიც შევიდა მის ამასწინათ გამოსულ წიგნში «აგრარული საკითხი», ნაწ. I (სპბ. 1908). ამ თავის მხოლოდ შემთხვევით დაგვიანებით მიღება იყო იმის მიზეზი, რომ ის არ მოხვდა აღნიშნულ წიგნში. ამიტომაც ყველა მითითება ამ ნაწყვეტში ეკუთვნის აღნიშნულ ნაშრომს.

** ვლ. ილინი, «აგრარული საკითხი», ნაწ. I, სტატია «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»», თავი X და XI. (იხ. ეს ტომი, გვ. 207 — 237. რ ე დ.)

ლო-სამეურნეო ამხანაგობათა იდეალურ ქვეყანას უწოდებს *. და ჩვენშიც, რუსეთში, ლიბერალურ-ნაროდნიკულ შეხედულებათა წარმომადგენლებსაც არანაკლებ ხშირად «თავი მოაქვთ» დანიის მაგალითით მარქსიზმის წინააღმდეგ, მიწათმოქმედებაში წვრილი მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის თეორიის სასარგებლოდ, — დავასახელებთ თუნდაც ლიბერალ გერცენშტეინის სიტყვას I სათათბიროში და ნაროდნიკ კარავაევისას — მეორე სათათბიროში.

ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, დანიაში ჩვენ მართლაც ვხედავთ «წვრილი გლეხური» მეურნეობის ყველაზე მეტ გავრცელებას და მიწათმოქმედების ყველაზე მეტ აყვავებას, რომელმაც შესძლო შეგუებოდა ბაზრის ახალ პირობებსა და მოთხოვნებს. თუკი შესაძლებელია წვრილი მიწათმოქმედების «აყვავება» სასაქონლო წარმოების ქვეყნებში, მაშინ, რა თქმა უნდა, ევროპის ყველა ქვეყნიდან დანია ამ მხრივ ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია. ამიტომ დანიის აგრარული წყობილების დაწვრილებით გაცნობა ორმაგ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ მთელი ქვეყნის მაგალითზე დავინახავთ, როგორია რევიზიონიზმის ხერხები აგრარულ საკითხში და როგორია «იდეალურ» კაპიტალისტურ ქვეყანაში კაპიტალისტური აგრარული წესწყობილების ნამდვილი ძირითადი თვისებები.

დანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსია. მაგრამ ზოგიერთი მხრივ ის უფრო დაწვრილებითს ცნობებს და უკეთ დამუშავებულ ციფრებს იძლევა, რაც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ საკითხის ისეთი მხარეები, რომლებიც ჩვეულებრივ დაჩრდილული რჩებიან. დავიწყოთ საერთო მონაცემებით მეურნეობათა ჯგუფებად დაყოფის შესახებ მიწის ფართობის სიდიდის მი-

* Dr. Heinrich Pudor. «Das landwirtschaftliche Genossenschaftswesen im Auslande», I. B. Lpz. 1904, S. V (დოქტორი ჰენრიხ პუდორი. «სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი საზღვარგარეთ», ტომი I, ლეიფციგი, 1904, გვ. V. რ ე დ.). პუდორი დაუძინებელი მტერია მარქსიზმისა.

ხედვით. დანიის მიწის ფართობის ჩვეულებრივ ზომას — «ჰარტკორნს» ჩვენ ჰექტარებზე (ha) გადავიტანთ და დანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მითითებათა თანახმად — 1 ჰარტკორნს 10 ჰექტარად ჩავთვლით *.

დანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა იძლევა ცნობებს მეურნეობათა განაწილების შესახებ 1873, 1885 და 1895 წლებში, ამასთან ყველა მეურნეობა 11 ჯგუფადაა დაყოფილი: უმიწაწყლო, 0,03 ha-მდე (უფრო ზუსტად: ჰარტკორნის 1/32-მდე), 0,03 — 2,5 ha, 2,5 — 10 ha, 10 — 20, 20 — 40, 40 — 80, 80 — 120, 120 — 200, 200 — 300, 300 და მეტი. მკითხველის ყურადღება რომ ძალზე არ დავფანტოთ, ჩვენ ამ ჯგუფებს 6 უფრო მსხვილ ჯგუფად შევაერთებთ (იხ. გვ. 240).

უწინარეს ყოვლისა ამ მონაცემებიდან ის ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს, რომელსაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია და მის კვალზე მავალი რევიზიონისტები ყოველთვის უშვებენ მხედველობიდან. ეს ის დასკვნაა, რომ მიწების უდიდესი უმეტესობა დანიაში იმ მიწათმოქმედთა ხელშია, რომლებიც მეურნეობას კაპიტალისტური წესით ეწევიან. ეჭვს გარეშეა, რომ არათუ 120 და მეტი ჰექტარი მიწის მფლობელი მეურნენი ეწევიან მეურნეობას დაქირავებული შრომის დახმარებით, არამედ ის მეურნენიც, რომელთაც 40 და მეტი ჰექტარი მიწა აქვთ. ეს ორი უმაღლესი ჯგუფი 1895 წელს სულ შეადგენდა ყველა მეურნეობის 11%-ს, მაგრამ მათ ხელში იყო თავმოყრილი მთელი მიწის რაოდენობის 62%, ე. ი. სამ მეხუთედზე მეტი. დანიის სოფლის მეურნეობას საფუძვლად უდევს მსხვილი და საშუალო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მიწათმოქმედება. «გლეხურ ქვეყანაზე» და «წვრილ კულტურაზე» ლაპარაკი ერთიანად ბურჟუაზიული აპოლოგეტიკაა,

* «Danmarks Statistik. Statistik Aarbog» 8-de aargang, 1903, p. 31 («დანიის სტატისტიკა. სტატისტიკური წელიწდეული». გამოცემის მერვე წელიწადი, 1903, გვ. 31. რ ე დ.), შენიშვნა. ყველა ქვემომოყვანილი მონაცემი შეეხება საკუთრივ დანიას, ე. ი. დანიას ბორნჰოლმის გამოკლებით.

| | 1878 | | | | 1885 | | | | 1895 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მეურნეობათა რიცხვი | % | მიწა ha | % | მეურნეობათა რიცხვი | % | მიწა ha | % | მეურნეობათა რიცხვი | % | მიწა ha | % |
| უმიწაწყლო | 31 253 | 13,3 | — | — | 35 329 | 13,6 | — | — | 32 946 | 12,4 | — | — |
| 2,5 ha-მდე | 65 490 | 27,9 | 54 340 | 1,5 | 82 487 | 31,8 | 62 260 | 1,7 | 92 656 | 34,8 | 63 490 | 1,8 |
| 2,5 — 10 » | 65 672 | 27,9 | 333 760 | 9,1 | 67 773 | 26,2 | 345 060 | 9,5 | 66 491 | 25,0 | 341 020 | 9,4 |
| 10 — 40 » | 41 671 | 17,7 | 928 310 | 25,5 | 43 740 | 16,9 | 966 850 | 26,5 | 44 557 | 16,8 | 981 070 | 26,8 |
| 40 — 120 » | 29 288 | 12,5 | 1 809 590 | 49,6 | 27 938 | 10,8 | 1 722 820 | 47,1 | 27 301 | 10,3 | 1 691 950 | 46,4 |
| 120 და მეტი | 1 856 | 0,7 | 522 410 | 14,3 | 1 953 | 0,7 | 551 530 | 15,2 | 2 031 | 0,7 | 568 220 | 15,6 |
| სულ | 235 230 | 100,0 | 3 648 410 | 100,0 | 259 220 | 100,0 | 3 648 520 | 100,0 | 265 982 | 100,0 | 3 645 750 | 100,0 |

ფაქტების დამახინჯებაა კაპიტალის სხვადასხვა ტიტულიანი და უტიტულო იდეოლოგების მხრივ.

ამასთან საჭიროა შევნიშნოთ, რომ დანიაში, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებშიც, სადაც კი სავსებით დამკვიდრებულია სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური წყობილება, მაღალი, კაპიტალისტური ჯგუფების წილი ნაციონალური მეურნეობის საერთო ჯამში დროის მიხედვით საკმაოდ სუსტად იცვლება. 1873 წელს კაპიტალისტური ფერმების 13,2%-ს ეკავა მთელი მიწის ფართობის 63,9%; 1885 წელს ფერმების 11,5%-ს — მიწის 62,3%. მსხვილი მიწათმოქმედების ეს სიმტკიცე ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, როცა ლაპარაკია სხვადასხვა წლის მონაცემთა შედარებაზე, რადგან ლიტერატურაში ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ამგვარი შედარებით, რაც დ ე ტ ა ლ ე ბ ი ს ცვლილებას შეეხება, იჩქმალება ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის ძ ი რ ი თ ა დ ი თვისებები.

უამრავი წვრილი მეურნეობა დანიაში, ისე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, უმნიშვნელო როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო ჯამში. 10 **ha**-მდე მიწის მქონე მეურნეობათა საერთო რიცხვი 1895 წელს ყველა მეურნეობის 72,2%-ს შეადგენდა, მიწა კი მათ მხოლოდ 11,2% ჰქონდათ. ეს თანაფარდობა ძირითადად 1885 და 1873 წლებშიც მუდმივი რჩება. წვრილი მეურნეობები ხშირად ნახევრადპროლეტარებს ეკუთვნიან, — როგორც დავინახეთ, გერმანულმა სტატისტიკამ ეს დაამტკიცა უცილობლივ იმ მეურნეობათა მიმართ, რომელნიც 2 **há**-მდე ფლობენ, ნაწილობრივ კი იმ მეურნეობათა მიმართაც, რომელნიც 5 **ha**-მდე ფლობენ. ქვემოთ, სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობებში პირუტყვის რაოდენობის შესახებ მონაცემების მოყვანისას, დავინახავთ, რომ ნამდვილად დამოუკიდებელ და ცოტად თუ ბევრად მტკიცე მიწათმოქმედებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია «წვრილი კულტურის» ამ უამრავ ყბადაღებულ წარმომადგენელთა მიმართ. მეურნეობათა 47,2%, ე. ი. თითქმის ნახევარი — პროლეტა-

რებს და ნახევრადპროლეტარებს ეკუთვნის (უმიწაწყლონი და 2,5 ha-მდე მფლობელნი); 25%, ე. ი. მეურნეობათა ერთი მეოთხედი (2,5 — 10 ha) გაჭირვებულ წვრილ გლეხებს, — ასეთია სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის «აყვავების» საფუძველი დანიაში. რა თქმა უნდა, ცნობებით მიწის ფართობის რაოდენობის შესახებ მხოლოდ სრულიად ზოგადად, საერთო ჯამის მიხედვით შეიძლება მსჯელობა ძლიერ განვითარებული სავაჭრო მესაქონლეობის ქვეყანაზე. მაგრამ მონაცემები მესაქონლეობის შესახებ, რომელთაც ჩვენ დაწვრილებით ვარჩევთ ქვემოთ, როგორც მკითხველი დაინახავს, მხოლოდ აძლიერებენ გაკეთებულ დასკვნებს.

ახლა ვნახოთ, როგორ იცვლებოდა დანიაში მიწების განაწილება მსხვილ და წვრილ მეურნეობათა შორის 1873-დან 1895 წლამდე. ჩვენ აქ ერთბაშად თვალში გვხვდება უკიდურესობათა ტიპიურ-კაპიტალისტური გაძლიერება და საშუალო მეურნეობათა შესუსტება. სამიწათმოქმედო მეურნეობათა (ე. ი. უმიწაწყლო მეურნეობათა ჩაუთვლელად) რიცხვის პროცენტული წილი უწვრილეს მეურნეობებში მატულობს 2,5 ha-მდე: 27,9% 1873 წელს, 31,8% 1885 წელს და 34,8% 1895 წელს. შემდეგ ეს წილი კლებულობს ყველა საშუალო ჯგუფში და უცვლელი რჩება (0,7%) მხოლოდ უმაღლეს ჯგუფში, 120 და მეტი ha-თი. მთელი მიწის პროცენტული წილი მატულობს უმსხვილეს, 120 და მეტი ha-ს მქონე მეურნეობაში: 14,3% — 15,2% — 15,6% სამი აღნიშნული წლის განმავლობაში, შემდეგ უფრო უმნიშვნელოდ მატულობს საშუალო გლეხურ მეურნეობაში (10-დან 40 ha-მდე: 25,5% — 26,5% — 26,8%), ამ ჯგუფის მეურნეობათა მთელი რიცხვის წილის შემცირებასთან ერთად; შემდეგ არასწორხაზობრივად მატულობს იმ მეურნეობაში, რომელსაც აქვს 2,5-დან 10 ha-მდე (9,1% — 9,5% — 9,4%) და შეუწყვეტლივ მატულობს უწვრილეს მეურნეობაში (1,5% — 1,7% — 1,8%). შედეგად ვღებულობთ უმსხვილეს და უწვრილეს მეურნეობათა ზრდის მეტად

აშკარა ტენდენციას. კიდევ უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ეს მოვლენა, საჭიროა ავიღოთ საშუალო სიდიდის მეურნეობანი ჯგუფების მიხედვით სხვადასხვა წელში. აი ამგვარი მონაცემები:

| | საშუალო სიდიდის მეურნეობანი (ჰექტარობით) | | |
|---|---|---|---|
| | 1873 | 1885 | 1895 |
| მეურნეობანი 2,5 ha-მდე | 0,83 | 0,75 | 0,68 |
| » 2,5— 10 » | 5,08 | 5,09 | 5,13 |
| » 10 — 40 » | 22,28 | 22,08 | 22,01 |
| » 40 —120 » | 61,00 | 61,66 | 61,97 |
| » 120 და მეტი ha | 281,40 | 282,30 | 279,80 |
| საშუალოდ | 15,50 | 14,07 | 13,70 |

ამ მონაცემებიდან ვხედავთ, რომ მეურნეობათა სიდიდე მეტწილ ჯგუფებში უაღრესად მყარია. მერყეობა უმნიშვნელოა: 1 — 2% (მაგალითად, 279,8 — 282,3 ha ან 22,01 — 22,28 ha და ა. შ.). გამონაკლისს წარმოადგენენ მ ხ ო ლ ო დ უწვრილესი მეურნეობები, რომლებიც, უსათუოდ, ქ უ ც მ ა ც დ ე ბ ი ა ნ: ასეთ მეურნეობათა საშუალო სიდიდე მცირდება (2,5 ha-მდე) 1873-დან 1885 წლამდე 10%-ით (0,83-დან 0,75 ha-მდე), იგივეა 1885-დან 1895 წლამდე. მეურნეობათა მთელი რიცხვის საერთო მატება დანიაში ხდება თითქმის მთელი მიწის რაოდენობის შეუცვლელად (1885-დან 1895 წლამდე მიწის საერთო რაოდენობა ცოტათი შემცირდა კიდეც). ამასთან მატების დიდი ნაწილი მოდის უწვრილეს მეურნეობებზე. ასე, მაგალითად, 1873-დან 1895 წლამდე მეურნეობათა მთელი რიცხვი გადიდდა 30 752 მეურნეობით; ხოლო იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც 2,5 ha-მდე აქვთ, გადიდდა 27 166 მეურნეობით; გასაგებია, რომ ასეთ პირობებში დანიის საერთოდ ყველა მეურნეობის საშუალო სიდიდის შემცირება (15,5 ha 1873 წ., 14,1 — 1885 წ. და 13,7 ha — 1895 წ.)

ნამდვილად მხოლოდ და მხოლოდ უწვრილეს მეურნეობათა დაქუცმაცებას ნიშნავს.

ჩვენს მიერ აღნიშნული მოვლენა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ ჯგუფების უფრო წვრილ დაყოფას ავიღებთ. დანიის 1895 წლის სამიწათმოქმედო სტატისტიკის წინასიტყვაობაში («Danmarks Statistik etc. Danmarks Jordbrug». 4-de Raekke, Nr. 9, litra C *) შემდგენელნი მეურნეობათა რიცხვში მომხდარ ცვლილებათა ასეთ გაანგარიშებას იძლევიან ჯგუფების მიხედვით:

| | | % მატებისა ან შემცირებისა | |
|---|---|---|---|
| | | 1885-დან 1895 წლამდე | 1873-დან 1885 წლამდე |
| მეურნეობანი | 300 და მეტი ჰ-ით | + 4,2 | + 5,0 |
| » | 200 — 300 » | 0 | + 6,1 |
| » | 120 — 200 » | + 5,2 | + 5,1 |
| » | 80 — 120 » | — 1,5 | — 2,1 |
| » | 40 — 80 » | — 2,4 | — 5,0 |
| » | 20 — 40 » | + 1,0 | + 3,6 |
| » | 10 — 20 » | + 2,8 | + 6,5 |
| » | 2,5 — 10 » | — 1,9 | + 3,2 |
| » | 0,3 — 2,5 » | + 2,1 | +17,8 |
| » | 0 — 0,3 » | +25,1 | +37,9 |

მაშასადამე, დიდდება ისეთი უწვრილესი მეურნეობანი, რომელნიც ან სპეციალურ კულტურებს მისდევენ, ან დაქირავებული მუშების «მეურნეობებს» მოასწავებენ.

ამ დასკვნის აღნიშვნა ღირს, იმიტომ რომ აპოლოგეტურ პროფესორულ «მეცნიერებას» სჩვევია საერთოდ ყველა მეურნეობის საშუალო სიდიდის შემცირებიდან ის დასკვნა გამოიყვანოს, თითქოს მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოება ამარც-

* — «დანიის სტატისტიკა და სხვ. დანიის მიწათმოქმედება». მე-4 სერია, № 9, ლიტერი C. რედ.

ხებს მსხვილს. ნამდვილად კი ჩვენ ვხედავთ უმსხვილესი მიწათმოქმედების პროგრესს, ყველა ჯგუფის მეურნეობის სიდიდის სიმყარეს, გარდა უწვრილესისა, და ამ უკანასკნელში მეურნეობათა დაქუცმაცებას. ეს დაქუცმაცება უნდა მიეწეროს წვრილი მიწათმოქმედების დაცემას და გაჩანაგებას: მეორე შესაძლებელი განმარტება, აგრიკულტურიდან, ვიწრო აზრით, მესაქონლეობაზე გადასვლა, არ შეიძლება მიღებულ იქნას ყველა უწვრილესი მეურნეობის მიმართ, რადგან ეს გადასვლა, როგორც ახლავე დავინახავთ, ყველა ჯგუფში ხდება. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა დანია, მიწათმოქმედთა მეურნეობის სიდიდეზე მსჯელობისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მონაცემები მესაქონლეობის შესახებ, ვიდრე მიწის ფართობის შესახებ, რადგან ერთსა და იმავე ფართობზე შესაძლებელია სხვადასხვა სიდიდის მეურნეობანი, როცა მესაქონლეობა და რძის მეურნეობა განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება.

სწორედ ამ მოვლენას ვხედავთ, როგორც ცნობილია, დანიაში. დანიის სოფლის მეურნეობის «აყვავება» უმთავრესად დამოკიდებულია სავაჭრო მესაქონლეობის სწრაფ წარმატებებზე — რძის პროდუქტების, ხორცის, კვერცხისა და სხვათა გატანაზე ინგლისში. აქ ჩვენ ვხვდებით პუდორის საჯარო განცხადებას, დანია «თავისი რძის მეურნეობის კოლოსალურ აღმავლობას უნდა უმადლოდეს სწორედ თავისი მესაქონლეობის და მესაქონლეობის მეურნეობის დეცენტრალიზაციასო» (l. c. *, გვ. 48, ხაზგასმა პუდორისაა). გასაკვირალი არ არის, რომ პუდორი, თავის შეხედულებათა მთელი სისტემით წმინდა წყლის ჩარჩი, რომლისთვისაც აბსოლუტურად უცხოა კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ყოველგვარი გაგება, თავს ნებას აძლევს ასე დაამახინჯოს ფაქტები. მაგრამ მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ პუდორს

* — loco citato — ციტირებულ ადგილას. რედ.

უკრიტიკოდ მიჩანჩალებს კუდში მეშჩანი დავიდიც, რომელიც გაუგებრობით ითვლება სოციალისტად!

ნამდვილად კი სწორედ დანია გვიჩვენებს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მესაქონლეობის **კონცენტრაციას** კაპიტალისტურ ქვეყანაში. პუდორს შეეძლო საწინააღმდეგო დასკვნა გამოეყვანა მხოლოდ თავისი უკიდურესი უვიცობისა და სტატისტიკის **იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი** მონაცემების დამახინჯების მეოხებით, რომლებიც მას თავის წიგნში მოჰყავს. პუდორი იძლევა — ხოლო დავიდი მონურად იმეორებს — ციფრებს, რომლებიც გვიჩვენებენ დანიის მესაქონლეობის მეურნეობათა მთელი რიცხვის განაწილებას პირუტყვის რიცხვის მიხედვით. პუდორის მიხედვით გამოდის, რომ **პირუტყვის მფლობელი** ყველა მეურნეობის 39,85%-ს ჰყავს მხოლოდ 1 — 3 სული პირუტყვი თვითეულს, შემდეგ 29,12%-ს — 4 — 9 **სული** თვითეულს და ა. შ. მაშასადამე, დაასკვნის პუდორი, მეურნეობათა უმრავლესობა «წვრილია»; «დეცენტრალიზაცია» და სხვ.

ჯერ-ერთი, პუდორს მოჰყავს **არასწორი** ციფრები. ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგან ეს პუდორი კვეხნით აცხადებს, ჩემს შრომაში ყველა «უახლეს» სტატისტიკურ მონაცემს იპოვნითო, ხოლო რევიზიონისტები «მარქსიზმს უარყოფენ», ემყარებიან რა უვიც ბურჟუაზიულ მჯღაბნელებს. მეორე, და ეს უმთავრესია,—პუდორებისა და დავიდების არგუმენტაციის **ხერხს** ძალიან ხშირად იმეორებენ ჩვენი კადეტები და ნაროდნიკები, რისთვისაც არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ამაზე. მსჯელობის **ასეთი** ხერხის მიხედვით აუცილებლად ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, თითქოს ხდება ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების **მრეწველობის** «დეცენტრალიზაცია», რადგან **ყველგან** და **ყოველთვის** წვრილ და უწვრილეს საწარმოთა პროცენტი მეტად დიდია, ხოლო მსხვილების პროცენტი — ძალიან მცირე. პუდორებსა და დავიდებს ავიწყდებათ «წვრილმანი»: მთე-

ლი წარმოების უდიდესი ნაწილის თავმოყრა მსხვილ საწარმოთა მცირე ნაწილში.

1898 წლის 15 ივლისის უკანასკნელი აღწერით მთელი რქიანი პირუტყვის განაწილება დანიაში ნამდვილად ასეთი იყო *:

| | | |

არასაკმაო რაოდენობა, როცა სავაჭრო მესაქონლეობის გაძღოლა, რძისა და ხორცის პროდუქტების გასაღება შეიძლება მხოლოდ საკუთარი კვების საზიანოდ (მოვიგონოთ ცნობილი ფაქტები: ერბო-კარაქს ჰყიდიან, ხოლო თავისთვის ყიდულობენ უფრო იაფ მარგარინს და სხვ.). მეორეთ ჰყავთ საშუალოდ 171 სული რქიანი პირუტყვი თვითეულს. ესენი არიან უმსხვილესი კაპიტალისტური ფერმერები, რძისა და ხორცის «მეფაბრიკენი», «ბელადები» ტექნიკური პროგრესისა და ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო კავშირებისა, რომლებითაც აღფრთოვანებული არიან «სოციალური მშვიდობის» მეშჩანი თაყვანისმცემელნი.

თუ შევაერთებთ წვრილ და საშუალო მეურნეებს, მივიღებთ იმ მფლობელთა საერთო რიცხვს, რომელთაც ჰყავთ დაახლოებით 9 სული რქიანი პირუტყვი თვითეულს — 121 875 მეურნეს, ე. ი. მეურნეთა საერთო რიცხვის ორ მესამედს (67,5%). მათ ჰყავთ 450 984 სული რქიანი პირუტყვი, ე. ი. მთელი რიცხვის ერთი მეოთხედი (25,8%). თითქმის ამდენივე, სახელდობრ 435 616 სული (25%) ჰყავთ იმ მეურნეთ, რომლებიც ფლობენ 30 და მეტ სულ პირუტყვს თვითეული, ამასთან ასეთ მეურნეთა რიცხვია 7 931, ე. ი. მეურნეთა მთელი რიცხვის 4,3%. კარგი «დეცენტრალიზაცია» კია!

დანიის სტატისტიკის ზემოაღნიშნულ წვრილ დაყოფას თუ სამ მსხვილ ჯგუფად შევაერთებთ, მივიღებთ:

| | მეურნეობათა რიცხვი | % | რქიანი პირუტყვის რაოდენობა | % | საშუალო ერთ მეურნ. |
|---|---|---|---|---|---|
| მეურნ. 1 — 3 სული რქ. პირ. | 68 292 | 37,9 | 140 730 | 8,0 | 2,1 |
| » 4 — 9 » » » | 53 583 | 29,6 | 310 254 | 17,8 | 5,8 |
| » 10 და მეტი სული » | 58 766 | 32,5 | 1 293 813 | 74,2 | 22,0 |
| ს უ ლ | 180 641 | 100,0 | 1 744 797 | 100,0 | 9,7 |

ამრიგად, დანიის მთელი მესაქონლეობის მეურნეობის ს ა მ ი მ ე ო თ ხ ე დ ი თავმოყრილია 58 766 მეურნის ხელ-

ში, ე. ი. მეურნეთა მთელი რიცხვის ერთ მესამედზე ნაკლების ხელში. მეურნეთა ეს მესამედი ნაწილი ღებულობს სარგებლობის უდიდეს წილს დანიის სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის მთელი «აყვავებიდან». ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ შეძლებულ გლეხთა და მდიდარ კაპიტალისტთა ასეთ მაღალ პროცენტს (32,5%, ე. ი. თითქმის მესამედს) ვღებულობთ იმის გამო, რომ გამოანგარიშების ხელოვნური ხერხის მეოხებით განდევნილია ყველა მეურნე, რომელსაც პირუტყვი არა ჰყავს. ნამდვილად ეს პროცენტი გაცილებით ნაკლებია. დანიის სოფლის მეურნეთა მთელი რიცხვი 1895 წლის აღწერით განსაზღვრულია, როგორც დავინახეთ, 265 982-ით, ხოლო პირუტყვის 1898 წლის 15 ივლისის აღწერა მეურნეთა საერთო რიცხვს 278 673 ანგარიშობს. სოფლის მეურნეთა მთელი რიცხვის ამ ნამდვილი ჯამისადმი 58 766 შეძლებული და მდიდარი მეურნე სულ 21,1%-ს შეადგენს, ე. ი. მხოლოდ მეხუთედ ნაწილს. თუ უმიწაწყლო «მეურნენი» დანიის სოფლის მეურნეთა საერთო რიცხვის 12,4%-ს შეადგენენ (1895 წელს: 32 946-ს 265 982-დან), მაშინ უპირუტყვო * მეურნენი დანიის სოფლის მეურნეთა მთელი რიცხვის 35,1%-ს შეადგენენ, ე. ი. მესამედზე მეტს (1898 წელს 98 032-ს 278 673-დან). ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, თუ რა ჯურისაა «სოციალიზმი» ბატონ დავიდებისა, რომელთაც ვერ შეუმჩნევიათ, რომ დანიის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური აყვავება ემყარება სოფლის მოსახლეობის მასობრივ პროლეტარიზაციას, «სოფლის მეურნეთა» მასისთვის წარმოების საშუალებათა წართმევას.

გადავიდეთ ახლა იმ მონაცემებზე, რომლებიც გვისურათებენ საერთოდ დანიის მთელ სამიწათმოქმედო და მესაქონ-

* უფრო სწორად, მეურნენი, რომელთაც რქიანი პირუტყვი არა ჰყავთ, რადგან დანიის სტატისტიკა, საბუნებაროდ, არ იძლევა ისეთ მეურნეთა რიცხვს, რომელთაც არ აქვთ არ პირუტყვი არა ჰყავთ. ამ სტატისტიკიდან ჩვენ ვგებულობთ მხოლოდ პირუტყვის თვითეული ცალკე ჯიშის მფლობელთა რიცხვს. მაგრამ რქიანი პირუტყვი, ცხადია, დანიის მთელი მესაქონლეობის მეურნეობის მთავარ დასაყრდენად უნდა ჩაითვალოს.

### მიწათმოქმედება და მესაქონლეობა დანიაში

| მეურნეობათა ჯგუფები | მეურნეობათა რიცხვი | % | მიწა ha | % | ცხენები | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| უმიწაწყლონი | 13 435 | 4,8 | — | — | 1 970 | 0,5 |
| მიწის გაიოურკვეველი რაოდენობით | 45 896 | 16,5 | ? | ? | 28 909 | 6,4 |
| 2,5 ha-მდე | 80 582 | 28,9 | 55 272 | 1,5 | 24 540 | 5,5 |
| 2,5 — 10 » | 63 420 | 22,8 | 323 430 | 8,9 | 54 900 | 12,2 |
| 10 — 40 » | 45 519 | 16,3 | 984 983 | 27,0 | 133 793 | 29,8 |
| 40 — 120 » | 27 620 | 9,9 | 1 692 285 | 46,4 | 168 410 | 37,5 |
| 120 და მეტი » | 2 201 | 0,8 | 588 318 | 16,2 | 36 807 | 8,1 |
| სულ | 278 673 | 100,0 | 3 644 288 | 100,0 | 449 329 | 100,0 |

შენიშვნა: 1898 წლის მონაცემები 1895 წლის მონაცემებისაგან განსხვავდება კოდებული იყოს დროის განმავლობაში მოხდარ ცვლილებებზე და ცნობების შეკრების რჩება. 1895 წლის აღწერა, 3 643 750 ha განაწილებული მიწის გარდა, ანგარიშობს კ დენობით» (1898 წ.) მასობრივად ეკუთვნის დაბალ ჯგუფებს, რასაც მოწმობს პირუტყვის

ლეობის მეურნეობას. 1898 წლის 15 ივლისის აღწერა დაწვრილებითი ცნობებს გვაძლევს პირუტყვის რაოდენობის შესახებ სოფლის მეურნეთა სხვადასხვა ჯგუფში, რომელნიც მიწის ამა თუ იმ რაოდენობას ფლობენ. ამ ჯგუფთა რაოდენობა დანიის სტატისტიკაში განსაკუთრებით დიდია (14 ჯგუფი: უმიწაწყლონი, $^1/_{32}$ ჰარტკორნამდე, $^1/_{32}$ — $^1/_{16}$, $^1/_{16}$ — $^1/_8$, $^1/_8$ — $^1/_4$, $^1/_4$ — $^1/_2$, $^1/_2$ — 1, 1 — 2, 2 — 4, 4 — 8, 8 —12, 12 — 20, 20 — 30, 30 და მეტი), და ჩვენ მონაცემებს ვაერთებთ უკვე ჩვენს მიერ მიღებულ 6 მსხვილ ჯგუფად. (იხ. ცხრილი ზემოთ 250 — 251 გვერდზე).

ამ მონაცემებიდან უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად დიდია მთელი მესაქონლეობის კონცენტრაცია დანიაში. მსხვილი კაპიტალისტური მეურნენი, რომელთაც 40 ha-ზე მეტი მიწა აქვთ, შეადგენენ სულ მეურნეთა საერთო რიცხვის მეათედ ნაწილს (10,7%) და ამავე დროს მათს ხელში თავმოყრილია მთელი მიწის სამ მეხუთედზე მეტი (62,6%) და მთელი პირუტყვის თითქმის ნა-

1898 წლის 15 ივლისის აღწერით

| ძროხები | % | სულ რქ. პირუტყვ | % | ცხვრები | % | ღორები | % | შინაური ფრინვ | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 707 | 0,3 | 4 633 | 0,3 | 8 943 | 0,8 | 8 865 | 0,8 | 220 147 | 2,5 |
| 28 072 | 2,6 | 42 150 | 2,4 | 42 987 | 4,0 | 42 699 | 3,7 | 780 585 | 8,9 |
| 66 171 | 6,2 | 88 720 | 5,1 | 99 705 | 9,3 | 94 656 | 8,1 | 1 649 452 | 18,8 |
| 175 1 82 | 16,4 | 247 618 | 14,2 | 187 460 | 17,5 | 191 291 | 16,4 | 1 871 212 | 21,4 |
| 303 214 | 28,5 | 515 832 | 29,6 | 383 950 | 35,7 | 308 863 | 26,4 | 1 957 726 | 22,3 |
| 361 669 | 33,9 | 630 563 | 36,3 | 310 686 | 28,9 | 407 294 | 35,0 | 1 998 595 | 22,8 |
| 129 220 | 12,1 | 206 231 | 11,8 | 40 682 | 3,8 | 112 825 | 9,6 | 289 155 | 3,3 |
| 1 067 265 | 100,0 | 1 744,797 | 100,0 | 1 074 413 | 100,0 | 1 168 493 | 100,0 | 8 766 902 | 100,0 |

მიწის რაოდენობის მიხედვით მეურნეობათა განაწილების მხრივ. ეს შეიძლება დამორამდენადმე განსხვავებულ ხერხებზე. მაგრამ ჯგუფთა შორის საერთო შეფარდება იგივე დევ გაუნაწილებელ 45 860 ha-ს. მეურნეობათა ჯგუფი «მიწის გამოურკვეველი რაოდენობა.

ხ ე ვ ა რ ი: ცხენების მთელი რიცხვის 45,6%, რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობის 48,4%, ცხვრების მთელი რაოდენობის 32,7% და ღორების მთელი რაოდენობის 44,6%.

თუ ამ კაპიტალისტურ მეურნეთ მივუმატებთ შეძლებულ გლეხობას, ე. ი. 10 — 40 ჰექტარი მიწის მფლობელებს, მივიღებთ მეურნეთა საერთო რიცხვის მეოთხედზე ცოტა მეტს (27,0%), რომელთა ხელშიც თავმოყრილია მთელი მიწის ცხრა მეათედი, ცხენების მთელი რიცხვის სამი მეოთხედი, რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობის ოთხი მეხუთედი, ღორების მთელი რიცხვის შვიდი მეათედი, შინაური ფრინველის მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარი. «სოფლის მეურნეთა» უდიდესი მასა, თითქმის სამი მეოთხედი (73%), ფლობს 10 ჰექტარზე ნაკლებ მიწას თვითეული, საერთოდ და მთლიანად შეადგენს გაპროლეტარებულ და ნახევრადგაპროლეტარებულ მასას, მთელი ქვეყნის სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის მეურნეობის საერთო ჯამში ძალიან მცირე როლს ასრულებს.

შემდეგ, რაც შეეხება სხვადასხვა სახის პირუტყვის განაწილებას, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეცხვარეობა და მეღორეობა. პირველი ეკუთვნის დაცემის გზაზე შემდგარ მესაქონლეობის დარგს, რომელიც ამჟამად ხელსაყრელი არ არის ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის საბაზრო პირობებისა და ოკეანესიქითა ქვეყნების კონკურენციის გამო. საერთაშორისო ბაზრის პირობები მოითხოვს მეცხვარეობის შეცვლას მესაქონლეობის სხვა სახეობით. მეღორეობა კი, პირიქით, სახორცე მესაქონლეობის განსაკუთრებით ხელსაყრელ და სწრაფად განვითარებად დარგებს ეკუთვნის ევროპაში. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დანიაშიც მეცხვარეობა ეცემა, ღორების მოშენება კი განსაკუთრებული სისწრაფით მატულობს. 1861-დან 1898 წლამდე ცხვრების სულადობამ დანიაში დაიკლო 1,7 მილიონიდან 1,1 მილიონამდე. რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 1,1 მილიონიდან 1,7 მილიონამდე. ღორების რიცხვი 0,3 მილიონიდან 1,2 მილიონამდე გაიზარდა, ე. ი. თითქმის ერთი-ოთხად გადიდდა.

და აი, როცა ვადარებთ ცხვრებისა და ღორების განაწილებას წვრილსა და მსხვილ მეურნეობებში, ნათლად ვხედავთ, რომ პირველში ფეხი მოუდგამს უდიდეს რუტინას, ის ყველაზე ნაკლებ შეგუებია ბაზრის მოთხოვნებს, იქ ნელი ტემპით მიმდინარეობს მეურნეობის გარდაქმნა ახალი პირობების შესაბამისად. მსხვილმა კაპიტალისტურმა მეურნეობებმა (40 — 120 ha, 120 და მეტი ha) არახელსაყრელი მეცხვარეობა შეამცირეს ყველაზე მნიშვნელოვნად (ცხვრების 28,9% და 3,8% წინააღმდეგ სხვა სახის პირუტყვის 33 — 37% და 8 — 12%-ისა). წვრილი მეურნეობანი უფრო ნაკლებ შეეგუენ ახალ პირობებს: მათ ახლაც მეტი ცხვარი ჰყავთ; მაგალითად, მეურნეობებს 2,5 ha-მდე ჰყავთ ცხვრების მთელი რიცხვის 9,3%, წინააღმდეგ სხვა სახის პირუტყვის 6 — 5%-ისა. ღორები მათ ჰყავთ 8,1% — ნ ა კ ლ ე ბ ი, ვიდრე ცხვრები. კაპიტალისტებს კი ჰყავთ 35% და 9,6%, ე. ი. მ ე ტ ი, ვიდრე ცხვრები. კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას გაცილებით უკეთ შეუძლია

შეეგუოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. გლეხებზე კი ახლაც გვიხდება ვთქვათ მარქსის სიტყვებით: გლეხი ხდება ვაჭარი და მრეწველი იმ პირობების უქონლად, როცა შეიძლება ნამდვილი ვაჭარი და მრეწველი გახდე [72]. ბაზარი ყ ო ვ ე ლ ი მეურნისაგან მ ო ი თ ხ ო ვ ს, როგორც აუცილებლობას, ახალი პირობებისადმი დამორჩილებას და მათთან სწრაფად შეგუებას. მაგრამ უ კ ა პ ი ტ ა ლ ო დ ეს სწრაფი შეგუება შეუძლებელია. ამრიგად, კაპიტალიზმის დროს წვრილი მეურნეობა გარდუვალად განწირულია საიმისოდ, რომ მასში უდიდესი რუტინა, ჩამორჩენილობა და ბაზრისადმი უმცირესი შემგუებლობა იყოს.

უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ამ გაჭირვებული მასის და პატარა შეძლებული უმცირესობის ნამდვილი სამეურნეო სახე, მოვიყვანთ მონაცემებს სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობათა მიწისა და პირუტყვის საშუალო რაოდენობის შესახებ. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისათვის (და ბატონ რევიზიონისტებისათვისაც) ბუნებრივია კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვა; სოციალისტურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ უნდა გამოარკვიოს მეურნეობის ტ ი პ ე ბ ი ს და ცხოვრების დონის განსხვავება აყვავებულ კაპიტალისტ მეურნეთა და გაჭირვებულ წვრილ მეურნეთა შორის.

| მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი | ერთ მეურნეობაზე მოდის საშუალოდ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მიწა | ცხენები | ძროხები | სულ ჩვეულებრივ პირუტყვი | ცხვრები | ღორები | ფინაური ფრინველი |
| უმიწო | — | 0,1 | 0,3 | 0,3 | 0,7 | 0,7 | 16,4 |
| მიწის გამოურკვეველი რაოდენობით | ? | 0,6 | 0,6 | 0,9 | 0,9 | 0,9 | 17,0 |
| 2,5 ha-მდე | 0,6 | 0,3 | 0,8 | 1,1 | 1,2 | 1,2 | 20,4 |
| 2,5 — 10 ha-მდე | 5,1 | 0,9 | 2,7 | 3,9 | 2,9 | 3,0 | 29,5 |
| 10 — 40 » | 21,6 | 2,9 | 6,6 | 11,3 | 8,4 | 6,8 | 43,0 |
| 40 — 120 » | 61,3 | 6,1 | 13,8 | 23,1 | 11,2 | 14,9 | 72,4 |
| 120 და მეტ » | 267,3 | 16,7 | 58,7 | 93,7 | 18,5 | 51,2 | 131,3 |
| ს ა შ უ ა ლ ო დ | 13,1 | 1,6 | 3,8 | 6,3 | 3,9 | 4,2 | 31,5 |

ეს მონაცემები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, რომ სამივე დაბალი ჯგუფი, რომლებიც ყველა მეურნეობის რიცხვის ნახევარს შეადგენენ — ღ ა რ ი ბ ე ბ ი ა. ჭარბობენ უცხენო და უძროხო «მეურნეები». მხოლოდ 2,5 ha-მდე მიწის მქონე ჯგუფზე მოდის მ თ ე ლ ი თითო სული რქიანი პირუტყვი, ცხვარი და ღორი. ცხადია, რომ მეურნეობათა მთელი რიცხვის ამ ნ ა ხ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს სარძეო და სახორცე მესაქონლეობიდან სარგებლობის მიღებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. დანიის სოფლის მეურნეობის აყვავება ამ ნახევრისათვის ნიშნავს მსხვილ მეურნეებზე დამოკიდებულებას, «გარესაშოვრების» ძებნის აუცილებლობას, ე. ი. ასე თუ ისე თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას, მუდმივ გაჭირვებას და ნახევრადგანადგურებულ მეურნეობას.

რასაკვირველია, ეს დასკვნა სწორია მხოლოდ ამ უღარიბეს მეურნეობათა მთელი მ ა ს ი ს მიმართ. გერმანული, ფრანგული და რუსული სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიწის რაოდენობით წვრილ მეურნეობათა შორისაც არიან მსხვილი მესაქონლეები, მეთამბაქოენი და სხვ. დიფერენციაცია უფრო ღრმად მიდის, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დანიის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით. მაგრამ ეს დიფერენციაცია, გამოყოფს რა თვითეულ ჯგუფში სპეციალური კულტურების მქონე მეურნეობათა უმნიშვნელო უმცირესობას, მხოლოდ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს უღარიბეს ჯგუფებში მეურნეთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს სიღატაკესა და გაჭირვებას.

შემდეგ, მოყვანილი მონაცემებიდან აგრეთვე ჩანს, რომ წვრილ გლეხთა ჯგუფიც, რომელთაც აქვთ 2½-დან 10 ჰექტარამდე მიწა, არ შეიძლება რამდენადმე მაინც უზრუნველყოფილად და ეკონომიური მხრივ მტკიცედ მოწყობილად ჩაითვალოს. გავიხსენოთ, რომ ამ ჯგუფში 63 ათასი მეურნეობაა, ე. ი. საერთო რიცხვის 22,8%. ამ ჯგუფშიც თვითეულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 0,9 ცხენი. უცხენონი, უთუოდ, უღელში აბამენ ძროხებს, რითაც სამიწათმოქმედო მეურნეობის პირო-

ბებსაც აუარესებენ (ნაკლებ სიღრმეზე მოხვნა) და მესაქონლეობისაც (რქიანი პირუტყვის დასუსტება). ძროხა თვითეულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 2,7. რძისა და ხორცის პროდუქტების მოხმარებას თუ შეამცირებ საკუთარ ოჯახში, ასეთი შემცირება კი უკვე პირდაპირი ნიშანია მეტისმეტი გაჭირვებისა, ამდენი ძროხიდან შესაძლებელია მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის პროდუქტის გატანა ბაზარზე. ასეთ მეურნეობათა — კომლზე საშუალოდ 2,7 ძროხის და 3,0 ღორის პატრონ მეურნეობათა მონაწილეობა რძისა და ხორცის ინგლისში «ეროვნული» გასაღების «აყვავებაში» ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მეტად მცირე ა რ ი ყ ო ს. სავაჭრო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მეურნეობის ასეთ ფარგლებში, ნიშნავს ნაწილობრივ ოჯახისათვის აუცილებლად საჭირო პროდუქტის გასხვისებას, კვების გაუარესებას, გაჭირვების გამწვავებას, ნაწილობრივ კი გასხვისებას წვრილწვრილად, ე. ი. სრულიად არახელსაყრელ პირობებში, და აუცილებელი სასწრაფო ხარჯებისთვის ფულადი ფონდის შექმნის შეუძლებლობას. ხოლო წვრილი გლეხის ნატურალურმა მეურნეობამ, თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ვითარებაში, შეიძლება მხოლოდ იბოგინოს და მოკვდეს წამებული სიკვდილით, მაგრამ მისი აყვავება კი შეუძლებელია. ბურჟუაზიული და რევიზიონისტული პოლიტიკური ეკონომიის მთელი «ფოკუსი» ის არის, რომ საგანგებოდ არ იკვლევენ პირობებს სწორედ ისეთი ტიპის წვრილი მეურნეობებისას, რომელნიც «საშუალოზე» დაბლა დგანან (დანიის «საშუალო» მეურნეს ჰყავს 1,6 ცხენი და 3,8 ძროხა) და მეურნეთა მთელი რიცხვის უ დ ი დ ე ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს შეადგენენ. არათუ საგანგებოდ არ იკვლევენ მეურნეობის ამ ტიპს, არამედ ჩქმალავენ კიდეც მხოლოდ და მხოლოდ «საშუალო» მონაცემების დამოწმებით, «წარმოებისა» და «გასაღების» საერთო ზრდის დამოწმებით და იმის დამალვით, რომ ხელსაყრელად გასაღება შ ე უ ძ ლ ი ა თ მხოლოდ შეძლებულ მეურნეობებს, რომლებიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ.

მხოლოდ 10 — 40-ჰექტარიან მეურნეთ ჰყავთ იმდენი პირუტყვი, რაც «აყვავების» შესაძლებლობას ნიშნავს. მაგრამ ასეთი მეურნეობანი საერთო რიცხვის მხოლოდ 16%-ია. და ეწევიან თუ არა ისინი მეურნეობას დაქირავებული შრომის სრულიად გამოუყენებლად, როცა თვითეულს საშუალოდ 21,6 ჰექტარი მიწა აქვს, ეს კიდევ საკითხია. დანიის მაღალი ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ასეთი სიდიდის საწარმო, ალბათ, შეუძლებელია მოჯამაგირეებისა თუ დღიური მუშების გამოუყენებლად. სამწუხაროდ, დანიის სტატისტიკაც და იმ მწერლების უმრავლესობაც, რომლებიც დანიის მიწათმოქმედებაზე წერენ, მთლიანად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგანან და არ იკვლევენ დაქირავებული შრომის საკითხს, იმ მეურნეობის სიდიდის საკითხს, რომელიც დაქირავებული შრომის გამოყენებას მოითხოვს, და სხვ. დანიის 1901 წლის მოსაქმეობის აღწერიდან ჩვენ ვგებულობთ მხოლოდ, რომ «დღიურ მუშათა» და სხვების ჯგუფში ირიცხება 60 ათასი მამაკაცი და 56 ათასი ქალი, ე. ი. 116 ათასი 972 ათასი სოფლის მცხოვრებიდან, რომელნიც დანაწილებულია წარმოებაში დაკავებული მდგომარეობის მიხედვით. დაკავებულია თუ არა ეს ათეული ათასი დაქირავებული მუშა (მათ გარდა დაქირავებით მუშაობენ «დამხმარე სამუშაოს» სახით წვრილი გლეხებიც) მხოლოდ და მხოლოდ 30 ათასი კაპიტალისტი მსხვილი მეურნის მიერ (27 620-ს აქვს 40-დან 120 ha-მდე და 2 201-ს 120 ha-ზე მეტი), თუ ნაწილობრივ აგრეთვე შეძლებული გლეხობის მიერაც, რომელნიც 10-დან 40 ჰექტარამდე ფლობენ, — ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ორ უმაღლეს ჯგუფზე, დანიის სოფლის მეურნეობის ზედა «30 ათასზე», ბევრი სალაპარაკო არაფერი გვაქვს: მათი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კაპიტალისტური ხასიათი თვალსაჩინოდაა გამოსახული დასაწყისში მოყვანილი ციფრებით.

ბოლოს, უკანასკნელი, საერთო ინტერესის შემცველი, მონაცემები, რომელთაც დანიის სასოფლო-სამეურნეო სტა-

ტისტიკა ეხება და ნაწილობრივ დამუშავებულია მის მიერ, შეეხებიან საკითხს, მესაქონლეობის დეცენტრალიზაცია ხდება თუ კონცენტრაცია ჩვენი «იდეალური ქვეყნის» «აყვავების» ამ მთავარი საფუძვლის განვითარების მიხედვით. ჩვენ მიერ უკვე მოყვანილი 1898 წლის სტატისტიკა მეტისმეტად საინტერესო მონაცემებს იძლევა 1893 წელთან შედარებით, ხოლო ერთი სახის პირუტყვის, მართალია, უმთავრესის, სახელდობრ მთელი რქიანი პირუტყვის მიმართ, ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მოვახდინოთ შედარება 1876 და 1898 წლების მონაცემებისაც.

1893-დან 1898 წლამდე განვლილი დროის პერიოდში მესაქონლეობის ყველა დარგიდან დანიაში ყველაზე უფრო მეღორეობა ვითარდებოდა. ღორების რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გადიდდა 829 ათასიდან 1 168 ათასამდე, ე. ი. 40%-ით, მაშინ როდესაც ცხენების რიცხვი გადიდდა სულ 410 ათასიდან 449 ათასამდე, რქიანი პირუტყვის სულადობა 1 696 ათასიდან 1 744 ათასამდე, ხოლო ცხვრების რიცხვმა დაიკლო კიდეც. მერე ვინ ისარგებლა უმთავრესად დანიის ამ უამრავ ამხანაგობებად გაერთიანებული მეურნეების კოლოსალური პროგრესით? 1898 წლის სტატისტიკის შემდგენელნი ამაზე გვიპასუხებენ 1893 და 1898 წლების მონაცემების შედარებით. ღორების ყველა მეპატრონე ოთხ ჯგუფად იყოფა: მსხვილი მფლობელნი 50 და მეტი სულით; საშუალოდ-მსხვილნი 15 — 49; საშუალოდ-წვრილნი 4 — 14 და წვრილი მფლობელნი, რომელთაც ჰყავთ 1 — 3 სული ღორი. ამ ოთხი ჯგუფის მიხედვით სტატისტიკის შემდგენელნი გვაძლევენ ასეთ ცნობებს:

| მეურნეობათა ჯგუფები | 1893 | | 1898 | | რიცხვის მატება %-ად ან დაკლება | | ღორების რიცხვის პროცენტული განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | | რიცხვი | | | | | |
| | მეურნეობანი | ღორები | მეურნეობანი | ღორები | მეურნ. | ღორები | 1893 | 1898 |
| 50 და მეტი სული | 844 | 79 230 | 1 487 | 135 999 | 76,2 | 71,7 | 9,6 | 11,6 |
| 15 — 49 » | 20 602 | 350 277 | 30 852 | 554 979 | 48,2 | 58,4 | 42,3 | 47,5 |
| 4 — 14 » | 38 357 | 211 868 | 50 668 | 292 642 | 32,1 | 33,4 | 25,5 | 24,2 |
| 1 — 3 » | 108 820 | 187 756 | 108 544 | 194 873 | 0,3 | 3,8 | 22,6 | 16,7 |
| სულ | 168 623 | 829 131 | 191 551 | 1 168 493 | 13,6 | 40,9 | 100,0 | 100,0 |

ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ ხდება მესაქონლეობის სწრაფი კონცენტრაცია. რაც უფრო მსხვილია მეურნეობა, მით უფრო მეტს იგებს იგი მესაქონლეობის «პროგრესით». მსხვილმა მეურნეობებმა პირუტყვის რაოდენობა გაადიდეს 71,7%-ით, საშუალოდ-მსხვილებმა — 58,4%-ით, საშუალოდ-წვრილებმა — 33,4%-ით, ხოლო წვრილებმა სულ 3,8%-ით. სიმდიდრის ზრდა უმთავრესად მოდის «ზედაფენების» პატარა უმცირესობაზე. ღორების რიცხვის მთელი ნამატი ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 339 ათასს; ამათგან 261 ათასი, ე. ი. სამ მეოთხედზე მეტი, მოდის მსხვილ და საშუალოდ-მსხვილ მეურნეობებზე, რიცხვით 32 ათასზე (მეურნეობათა საერთო რიცხვიდან — 266 — 277 ათასიდან!). წვრილ წარმოებას ამა თუ იმ დარგის მესაქონლეობაში აძევებს მსხვილი: ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა მსხვილი მეურნეობის (9,6-დან 11,6%-მდე) და საშუალოდ-მსხვილის წილი (42,3-დან 47,5%-მდე), ხოლო შემცირდა საშუალოდ-წვრილი მეურნეობის (25,5-დან 24,2%-მდე) და კიდევ უფრო წვრილის წილი (22,6%-დან 16,7%-მდე).

ფართობთა საერთო სტატისტიკის ნაცვლად რომ სამიწათმოქმედო მეურნეობის სტატისტიკის მიღება ყოფილიყო შესაძლებელი, რაც სწორედ ისე გამოხატავდა თვით წარმოების სიდიდეს, როგორც პირუტყვის სულადობის რიცხვი მესაქონლეობის მეურნეობის სიდიდეს გამოხატავს *, უეჭველია, აქაც იმ კონცენტრაციის პროცესს დავინახავდით, რომელსაც ბურჟუაზიული პროფესორები და ოპორტუნისტები უარყოფენ.

კიდევ უფრო საინტერესოა სათანადო მონაცემები რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობის შესახებ, ამასთან 1893 და 1898 წლების შედარება, რაც 1898 წლის სტატისტიკის შემდ-

* ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, დრეკსლერის მონაცემების მიხედვით, რომ მსხვილ მეურნეობებში პირუტყვიც უფრო მსხვილია. მაშასადამე, საერთო სტატისტიკა აქაც ამცირებს კონცენტრაციას.

გენლებს მოუხდენიათ, ჩვენ შეგვიძლია შევავსოთ შედარებით 1876 წლის 17 ივლისის აღწერის მონაცემებთან («**Danmarks Statistik. Statistik Tabelvaerk**», 4-de **Raekke, litra C. Nr. 1. Kreaturholdet d.** 17 **juli** 1876. **Kobenhavn**, 1878 *). აი სათანადო მონაცემები ამ სამი წლისა. (იხ. გვ. 260).

ეს მონაცემები, რომლებიც დროის უფრო დიდ პერიოდს და პირუტყვის უფრო მნიშვნელოვან სახეობას შეეხებიან, ისევე თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა - ც ი ი ს პროცესს. დანიის მესაქონლეობის მეურნეობის ზრდა, მესაქონლეობის ზრდა — ეს თ ი თ ქ მ ი ს მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის პროგრესია. პირუტყვის მთელი ნამატი 1876-დან 1898 წლამდე შეადგენს 424 ათასს სულს. ამ ნამატიდან 76 ათასი მოდის 50 და მეტ-სულიან მეურნეობებზე, და 303 ათასი სული 15 — 49-სულიან მეურნეობებზე, ე. ი. სულ ამ მსხვილ 38 ათას მეურნეობაზე მოდის 379 ათასი სული ნამატი, მ თ ე ლ ი ნ ა მ ა ტ ი ს თ ი თ ქ მ ი ს 9/10. კაპიტალისტური კონცენტრაციის ამაზე უფრო რელიეფური სურათის წარმოდგენა არც კი შეიძლება.

რქიანი პირუტყვის მფლობელ მეურნეობათა საერთო რიცხვი გადიდდა 1876-დან 1898 წლამდე 12 645 მეურნეობით (180 641 — 167 996), ე. ი. 7,5%-ით. დანიის მთელი მოსახლეობა კი გაიზარდა 1880-დან 1901 წლამდე (ე. ი. დროის რამდენიმედ ნაკლებ პერიოდშიც კი) 1 969 039-დან 2 449 540-მდე კაცით **, ე. ი. 24,4%-ით. ცხადია, რომ შედარებითი რაოდენობა «შეძლებულთა», ე. ი. პირუტყვის მფლობელთა, შ ე მ ც ი რ დ ა. მოსახლეობის ნ ა კ ლ ე ბ ი წილი მესაკუთრეთა რიცხვს ეკუთვნის. სულ უწვრილეს (1 — 3 სულის)

* «დანიის სტატისტიკა. სტატისტიკური ცხრილები», მე-4 სერია, ლიტერი C, № 1. მეცხოველეობა» 1876 წლის 17 ივლისისათვის, კოპენჰაგენი, 1878. რ ე დ.

** ქალაქის მოსახლეობის პროცენტი 1880 წელს იყო — 28%, 1901 წელს — 38%.

| მეურნეობათა ჯგუფები | 1876 | | 1893 | | 1898 | | მომატება ან დაკ-ლება %-ად | | | | რქიანი პირუტ-ყვის სულადობის პროცენტული განაწილება | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | | რიცხვი | | რიცხვი | | 1876-დან 1893 წლამ-დე | | 1893-დან 1898 წლამ-დე | | | | |
| | | | | | | | რიცხვი | | რიცხვი | | | | |
| | მეურნეობანი | რქიანი პირ-უტყვის სულადობა | მეურნეობანი | რქიანი პირ-უტყვის სულადობა | მეურნეობანი | რქიანი პირ-უტყვის სულადობა | მეურნეობანი | რქ. პირუტყვის სულადობა | მეურნეობანი | რქ. პირუტყვის სულადობა | 1876 | 1893 | 1898 |
| C 50 და მეტი სული | 1 634 | 156 728 | 2 209 | 221 667 | 2 281 | 232 933 | 35,2 | 41,4 | 3,3 | 5,1 | 11,8 | 13,0 | 13,4 |
| » 15 — 49 » | 24 096 | 514 678 | 35 200 | 793 474 | 36 110 | 818 190 | 46,1 | 54,1 | 2,6 | 3,1 | 39,0 | 46,8 | 46,8 |
| » 4 — 14 » | 64 110 | 504 193 | 72 173 | 539 301 | 73 958 | 552 944 | 12,5 | 6,9 | 2,5 | 2,5 | 38,2 | 31,8 | 31,7 |
| » 1 — 3 » | 78 156 | 144 930 | 70 218 | 141 748 | 68 292 | 140 730 | 10,2 | 2,2 | 2,7 | 2,7 | 11,0 | 8,4 | 8,1 |
| სულ | 167 996 | 1 320 529 | 179 800 | 1 696 190 | 180 641 | 1 744 797 | 7,0 | 28,4 | 0,5 | 2,9 | 100,0 | 100,0 | 100,0 |

მფლობელთა რიცხვი მუდამ აბსოლუტურად კლებულობს. საშუალოდ-წვრილ (4 — 14 სულამდე) მფლობელთა რიცხვი ძალიან ნელა მატულობს (1876-დან 1893 წლამდე+12,5%, 1893-დან 1898 წლამდე+2,5%), ჩამორჩება რა მოსახლეობის ზრდას. ნამდვილი და ჩქარი ზრდა მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტურ მესაქონლეობას ემჩნევა, ამასთან 1876-დან 1893 წლამდე საშუალოდ-მსხვილი მეურნეობანი მსხვილ მეურნეობებზე უფრო ჩქარა იზრდებიან, ხოლო 1893-დან 1898 წლამდე უმსხვილესი მეურნეობანი ყველაზე უფრო ჩქარა იზრდებიან.

თუ 1876 და 1898 წლების მონაცემების მიხედვით ავიღებთ უმსხვილეს მეურნეობათა თანრიგს, 200 და მეტი სული რქიანი პირუტყვის მფლობელთ, დავინახავთ, რომ 1876 წელს მათი რიცხვი იყო 79 (ყველა მესაქონლის 0,05%), რომელთაც ჰყავდათ 18 970 სული რქიანი პირუტყვი (მთელი რქიანი პირუტყვის 1,4%), ხოლო 1898 წელს მათი რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა — 195 (ჯამის 0,1%), რომელნიც ფლობდნენ 52 385 სულ რქიან პირუტყვს (მთელი ჯამის 3,0%). უმსხვილესი მეურნეები ორჯერ მეტი გახდნენ რიცხვით და მათ თითქმის გაასამკეცეს თავიანთი წარმოება.

წვრილი წარმოების გაძევება მსხვილის მიერ 1876-დან 1898 წლამდე განუწყვეტლივ ხდება. წვრილი მეურნეობის წილი საერთო ჯამში განუწყვეტლივ კლებულობს: 11,0%-დან 1876 წელს 8,4%-მდე 1893 წელს და 8,1%-მდე 1898 წელს. საშუალო მეურნეობის წილიც ასევე განუწყვეტლივ კლებულობს, თუმცა რამდენიმედ უფრო ნელა (38,2% — 31,8% — 31,7%). საშუალოდ-მსხვილმა მეურნეობამ თავისი წილი გაადიდა 1876-დან 1893 წლამდე 39,0%-დან 46,8%-მდე, ხოლო 1893-დან 1898 წლამდე იმავე დონეზე დარჩა. მხოლოდ უმსხვილესი მეურნეობა იზრდებოდა განუწყვეტლივ და ავიწროებდა ყველა სხვა თანრიგს (11,8% — 13,0% — 13,4%).

რაც უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება მესაქონლეობის მეურნეობისთვის, მით უფრო ჩქარია სავაჭრო მესაქონლეობის განვითარება და პროგრესი, მით უფრო ძლიერია კა-

პიტალისტური კონცენტრაციის პროცესიც. მაგალითად, კოპენჰაგენის ოლქში, სადაც 234 ათასი მცხოვრები ითვლებოდა 1880 წელს და 378 ათასი 1901 წელს, რძისა და ხორცის პროდუქტების გასაღება, რასაკვირველია, დიდად უზრუნველყოფილი იყო. ამ ოლქის სოფლის მეურნენი რქიანი პირუტყვით უფრო მდიდრები იყვნენ, ვიდრე დანიის დანარჩენი მეურნენი როგორც 1876 წელს, ისე 1898 წელს, — მათ ჰყავდათ საშუალოდ 8,5 სული და 11,6 სული პირუტყვი თვითეულს წინააღმდეგ 7,9-ისა და 9,7 სულისა, რაც მთელ ამ ქვეყანაზე მოდიოდა და ამ ოლქში, სადაც ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობის განვითარებისათვის, ჩვენ ვხედავთ კონცენტრაციის უფრო ძლიერ პროცესს.

აი 1876 და 1898 წლების მონაცემები ამ ოლქის შესახებ ზემოთ მიღებული ჯგუფების მიხედვით:

| | 1876 | | 1898 | |
|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | | რიცხვი | |
| | მეურნეობა | რქიანი პირუტყვის სულადობა | მეურნეობა | რქიანი პირუტყვის სულადობა |
| C 50 და მეტი სული | 44 | 4 488 | 86 | 9 059 |
| » 15 — 49 » | 1 045 | 22 119 | 1 545 | 35 579 |
| » 4 — 14 » | 2 011 | 16 896 | 1 900 | 14 559 |
| » 1 — 3 » | 2 514 | 4 468 | 1 890 | 3 767 |
| სულ | 5 614 | 47 971 | 5 421 | 62 964 |

აქ 22 წლის განმავლობაში მესაკუთრეთა აბსოლუტური რიცხვიც კი შემცირდა! პირუტყვის სიმდიდრე დაგროვდა მეურნეთა ნაკლები რაოდენობის ხელში. როგორც წვრილი, ისე საშუალო მეურნენი 22 წლის შემდეგ რიცხვითაც ნ ა კ ლ ე ბ ი აღმოჩნდნენ და პირუტყვის რაოდენობითაც. საშუალოდ-

მსხვილმა მეურნეებმა თავიანთი მფლობელობა ერთნახევარჯერ გაიდიდეს (22 ათასი და 35 ათასი). მსხვილმა მეურნეებმა — ერთიორად და მეტად. უმსხვილესი მეურნენი, რომელთაც 200 და მეტი სული რქიანი პირუტყვი ჰყავდათ, 1876 წელს იყო ორი 437 სული რქიანი პირუტყვით, ხოლო 1898 წელს იყო ათი მეურნე 2 896 სული რქიანი პირუტყვით.

ყოველგვარი პუდორების, დავიდების და სხვების, კაპიტალის ნებსით თუ უნებლიე მსახურთა ცოდვილს გასაღების პირობების გაუმჯობესებაზე, მეურნეთა კავშირებად გაერთიანების განვითარებაზე და მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ტექნიკურ პროგრესზე შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა: მოაახლოონ მთელ ქვეყანაში და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ისეთივე წესების შემოღება, როგორიცაა კოპენჰაგენის ოლქში, ე. ი. წარმოების განსაკუთრებით ჩქარი კონცენტრაცია კაპიტალისტთა ხელში, მოსახლეობის ექსპროპრიაცია და პროლეტარიზაცია, მესაკუთრეთა წილის შემცირება მოსახლეობის საერთო ჯამში, იმათი წილის გადიდება, ვისაც კაპიტალიზმი ერეკება სოფლიდან ქალაქში და სხვ.

დასკვნა: მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით «იდეალური ქვეყანა» აგრარულ საკითხში (მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიური სტატისტიკა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა და დაუმუშავებელია) სრული სიცხადით გვიჩვენებს კაპიტალისტურ აგრარულ წყობილებას, მკვეთრად გამოხატულ კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მზარდ კონცენტრაციას, მსხვილი წარმოების მიერ წვრილის გაძევებას, სოფლის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის პროლეტარიზაციასა და გაჭირვებას.

# სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში[73]

დაწერილია 1907 წლის ნოემბერ-დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1908 წელს (კონფისკებულია); 1917 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდა «ჟიზნ ი ზნანიეს» გამომცემლობამ

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია 1917 წლის გამოცემის ტექსტთან

რევოლუციის ორმა წელმა, 1905 წლის შემოდგომიდან 1907 წლის შემოდგომამდე, დიდი ისტორიული გამოცდილება მოგვცა რუსეთში გლეხთა მოძრაობის, მიწისათვის გლეხთა ბრძოლის ხასიათისა და მნიშვნელობის საკითხში. ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი» ევოლუციის ათეულ წლებს (ე. ი. ისეთი ევოლუციის ათეულ წლებს, როცა მილიონობით ხალხი მშვიდად აკრეჭინებს თავის თავს ზედა ფენის ათეულ ათასებს) არასოდეს არ შეუძლიათ მოგვცენ იმდენად მდიდარი მასალა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების შინაგანი მექანიზმის გასაშუქებლად, როგორიც ამ ორმა წელმა მოგვცა როგორც მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა მასების უშუალო ბრძოლის აზრით, ისე ხალხის წარმომადგენელთა კრებებზე გლეხთა მოთხოვნების რამდენადმე მაინც თავისუფლად გამოხატვის აზრით. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის გადასინჯვა ამ ორი წლის გამოცდილების თვალსაზრისით აუცილებელი ხდება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ რსდმ პარტიის ახლანდელი აგრარული პროგრამა მიღებულია სტოკჰოლმის ყრილობაზე 1906 წლის აპრილში, ე. ი. იმის წინ, როცა მთელი რუსეთის გლეხობის წარმომადგენლები პირველად აშკარად გამოვიდნენ გლეხთა აგრარული პროგრამით და ის დაუპირისპირეს მთავრობის პროგრამასა და ლიბერალური ბურჟუაზიის პროგრამას.

სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამის გადასინჯვას საფუძვლად უნდა დაედვას რუსეთის მიწათმფლობელობის უახლესი მონაცემები, რათა რაც შეიძლება მეტი სიზუსტით

გამოირკვეს, როგორია ნამდვილად ეკონომიური სარჩული ჩვენი ეპოქის ყველა აგრარული პროგრამისა, რისთვის არის ატეხილი ეს დიდი ისტორიული ბრძოლა. ნამდვილი ბრძოლის ამ ეკონომიურ საფუძველს უნდა შევადაროთ მისი იდეურ-პოლიტიკური ასახვა სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა პროგრამებსა, განცხადებებსა, მოთხოვნებსა და თეორიებში. მხოლოდ და მხოლოდ ასეთი გზით უნდა მიდიოდეს მარქსისტი იმ წვრილბურჟუაზიული სოციალისტისაგან განსხვავებით, რომელიც გამოდის «აბსტრაქტული» სამართლიანობიდან, «შრომითი საწყისების» თეორიიდან და სხვ., აგრეთვე იმ ლიბერალი ბიუროკრატისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველგვარ გარდაქმნათა დროს რეფორმის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობასა და «სახელმწიფოებრივ» თვალსაზრისზე მსჯელობით ფარავს ექსპლოატატორების ინტერესების დაცვას.

---

## თავი I

## რუსეთის აგრარული გადატრიალების ეკონომიური საფუძვლები და დედაარსი

### 1. მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში

ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის მიერ 1907 წელს გამოცემული «1905 წლის მიწათმფლობელობის სტატისტიკა» საშუალებას გვაძლევს ევროპის რუსეთის 50 გუბერნიის მიმართ ზუსტად წარმოვიდგინოთ გლეხური და მემამულური მიწათმფლობელობის სიდიდე. მაგრამ ჯერ მოვიყვანოთ საერთო მონაცემები. ევროპის რუსეთის (50 გუბერნიის) მთელი სივრცე განისაზღვრება (იხ. 1897 წ. 28 იანვრის აღწერა) 4 230,5 ათასი კვ. ვერსით, ე. ი. 440,8 მილიონი დესეტინით. 1905 წლის მიწათმფლობელობის სტატისტიკა აღრიცხავს 395,2 მილიონ დესეტინას, რაც შემდეგ სამ დიდ ნაწილად იყოფა:

| | მილიონი დესეტინა |
|---|---|
| ა) კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები | 101,7 |
| ბ) სანადელო მიწები | 138,8 |
| გ) სახაზინო, საეკლესიო და საუწყებო მიწები | 154,7 |
| სულ მიწა ევროპის რუსეთში | 395,2 |

ამ საერთო ციფრიდან უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვრიცხოთ სახაზინო მიწები, რომლებიც შორეულ ჩრდილოეთში მდებარეობენ და შეიცავენ ნაწილობრივ ტუნდრებს, ნაწილობრივ-კი ისეთ ტყეებს, რომელთა სასოფლო-სამეურნეო გამოყენების ვარაუდი უახლოესი მომავლისათვის არ შეიძლება. ასეთი მიწები «ჩრდილოეთ რაიონში» (არხანგელსკის, ოლონეცის და ვოლოგდის გუბერნიები) შეადგენს 107,9 მილიონ დესეტინას. მთელი ამ მიწების გამოკლებით, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ვაზვიადებთ მიწათმოქმედებისათვის უვარგისი მიწების რაოდენობას. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ისეთი ფრთხილი სტატისტიკოსი, როგორიც არის ბ-ნი ა. ა. კაუფმანი, ვოლოგდისა და ოლონეცის გუბერნიებში ითვლის 25,7 მილიონ დესეტინა ტყეს, რაც შეიძლებოდა დამატებით გადაცემოდა (როგორც ტყიანობის 25%-ზე ზედმეტი) გლეხებს *. მაგრამ, რადგან ჩვენ ვიღებთ მიწის რაოდენობის საერთო მონაცემებს და აქედან არ გამოვყოფთ მონაცემებს ტყის შესახებ, უფრო სწორი იქნება სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფონდი უფრო ფრთხილად განვსაზღვროთ. 107,9 მილიონი დესეტინის გამოკლების შემდეგ რჩება 287,3 მილიონი დესეტინა და, ვრიცხავთ რა აქედან საქალაქო მიწების ნაწილს (სულ 2,0 მილიონ დესეტინას) და ვიატკისა და პერმის გუბერნიების სახაზინო მიწების ნაწილს (სულ ორივე ამ გუბერნიაში სახაზინო მიწებია 16,3 მილიონი დესეტინა), ვიღებთ დამრგვალებულ ციფრს 280 მილიონ დესეტინას.

* «აგრარული საკითხი», გამოც. დოლგორუკოვისა და პეტრუნკევიჩისა. ტომი II. სტატიების კრებული. მ. 1907. გვ. 305.

გამოდის მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების რაოდენობის ასეთი ს ა ე რ თ ო დანაწილება ევროპის რუსეთში:

| | | |
|---|---|---|
| ა) კერძომფლობელური | 101,7 | მილიონი დესეტინა |
| ბ) სანადელო | 138,8 | » » |
| გ) სახაზინო და საუწყებო | 39,5 | » » |
| სულ ევროპის რუსეთში | 280,0 | მილიონი დესეტინა |

ახლა აუცილებელია გამოვყოთ მონაცემები წვრილ და მსხვილ (და განსაკუთრებით უმსხვილეს) მიწათმფლობელობაზე, რათა კონკრეტულად წარმოვიდგინოთ რუსეთის რევოლუციაში მიწისათვის გლეხთა ბრძოლის პირობები. მაგრამ ამგვარი მონაცემები სრული არ არის. 138,8 მილიონი დესეტინა სანადელო მიწიდან მიწათმფლობელობის სიდიდის მიხედვით დანაწილებულია 136,9 მილიონი დესეტინა; 101,7 მილიონი დესეტინა კერძომფლობელური მიწიდან — 85,9 მილიონი დესეტინა; დანარჩენი 15,8 მილიონი დესეტინა ეკუთვნის «საზოგადოებებსა და ამხანაგობებს». როცა ამ უკანასკნელი მიწების შემადგენლობას ვუკვირდებით, ვხედავთ, რომ აქედან 11,3 მილიონი დესეტინა ეკუთვნის გლეხთა საზოგადოებებსა და ამხანაგობებს; მაშასადამე, ეს, საერთოდ და მთლიანად, არის წვრილი მიწათმფლობელობა, რაც, სამწუხაროდ, დანაწილებული არ არის სიდიდის მიხედვით. შემდეგ, 3,7 მილიონი დესეტინა ეკუთვნის «სავაჭრო-სამრეწველო, საფაბრიკო და სხვ.» ამხანაგობებს, რიცხვით 1 042-ს. აქედან 272 ამხანაგობას აქვს ათას დესეტინაზე მეტი თვითეულს, ხოლო ყველა 272-ს — 3,6 მილიონი დესეტინა. ეს, ცხადია, მემამულეთა ლატიფუნდიებია. ამ მიწების უდიდესი მასა თავმოყრილია პერმის გუბერნიაში; აქ ც ხ რ ა ასეთ ამხანაგობას ეკუთვნის 1 448 902 დესეტინა! ცნობილია, რომ ურალის ქარხნებს ათეულ ათასობით დესეტინა მიწა აქვთ, — რაც პირდაპირი ნაშთია ბურჟუაზიული რუსეთის ბატონყმური, სენიორული ლატიფუნდიებისა.

მაშასადამე, ჩვენ გამოვყოფთ 3,6 მილიონ დესეტინას საზოგადოებათა და ამხანაგობათა მიწებიდან, როგორც უმსხვი-

ლეს მიწათმფლობელობას. დანარჩენი დაუნაწილებელია, მაგრამ საერთოდ წვრილი მიწათმფლობელობაა.

39,5 მილიონი დესეტინა სახაზინო და სხვ. მიწიდან შეიძლება გამოყოფილ იქნას სიდიდის მიხედვით მხოლოდ საუფლისწულო მიწები (5,1 მილიონი დესეტინა). ესეც ნახევრადშუასაუკუნეობრივი, უმსხვილესი მიწათმფლობელობაა. ვღებულობთ მიწათმფლობელობის სიდიდის მიხედვით დანაწილებული და დაუნაწილებელი მიწების ასეთ ჯამს:

| | მიწები დანაწილებული მიწათმფლობელობის | | | მიწები დაუნაწილებელი სიდიდის მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა) კერძომფლობელური | 89,5 * | მლნ. | დეს. | 12,2 | მლნ. | დეს. |
| ბ) სანადელო | 136,9 | » | » | 1,9 | » | » |
| გ) სახაზინო და საუწყებო | 5,1 | » | » | 34,4 | » | » |
| ს უ ლ | 231,5 | » | » | 48,5 | » | » |
| ჯ ა მ ი | 280,0 | | | | | |

გადავიდეთ სანადელო მიწების დანაწილებაზე მიწათმფლობელობის სიდიდის მიხედვით. ჩვენი წყაროების მონაცემთა რამდენიმე უფრო მსხვილ ჯგუფებად შეჯამებით მივიღებთ:

სანადელო მიწა

| კომლთა ჯგუფები | კომლი | მიწა დეს. | საშუალოდ 1 კომლზე დეს. |
|---|---|---|---|
| 5 დესეტინამდე ჩათვლით | 2 857 650 | 9 030 333 | 3,1 |
| 5 — 8 » » | 3 317 601 | 21 706 550 | 6,5 |
| სულ 8 დესეტინამდე ჩათვლით | 6 175 251 | 30 736 883 | 4,9 |
| 8 — 15 » » | 3 932 485 | 42 182 923 | 10,7 |
| 15 — 30 » » | 1 551 904 | 31 271 922 | 20,1 |
| 30 ზევით » | 617 715 | 32 695 510 | 52,9 |
| სულ ევროპის რუსეთში | 12 277 355 | 136 887 238 | 11,1 |

* 85,9 მილიონი დესეტინა კერძომფლობელური მიწა პლუს 3,6 მილიონი დესეტინა საფაბრიკო-საქარხნო და სავაჭრო-სარეწაო საზოგადოებათა და ამხანაგობათა ლატიფუნდიები.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ კომლთა ნახევარზე მეტს (12,3 მილიონიდან 6,2 მილიონს) აქვს 8 დესეტინამდე კომლზე, ე. ი. მიწის ისეთი რაოდენობა, რაც, საერთოდ და საშუალოდ, უსათუოდ საკმაო არ არის ოჯახის შესანახად. 15 დესეტინამდე აქვს სულ 10,1 მილიონ კომლს (მათ აქვთ 72,9 მილიონი დესეტინა), — ე. ი. კომლთა საერთო რიცხვის ოთხ მეხუთედზე მეტი, ახლანდელი გლეხური სამიწათმოქმედო ტექნიკის დონის დროს, ნახევრადმშიერი არსებობის საზღვარზე დგას. საშუალო და შეძლებული კომლები — საკუთარი მიწის რაოდენობის მიხედვით — 12,3 მილიონიდან შეადგენენ სულ 2,2 მილიონს, ამასთან მათ 136,9 მილიონი დესეტინიდან 63,9 მილიონი დესეტინა აქვთ. მდიდრებად ჩაითვლებიან მხოლოდ 30 დესეტინაზე მეტის მფლობელნი, — ასეთები სულ არის 0,6 მილიონი კომლი — ე. ი. კომლთა საერთო რიცხვის მეოცედი ნაწილი. მათ აქვთ მიწის მთელი რაოდენობის თითქმის 1/4: 136,9 მილიონი დესეტინიდან 32,7 მილიონი დესეტინა. იმაზე რომ ვიმსჯელოთ, თუ გლეხთა რა თანრიგიდან შესდგება კომლთა ეს მიწათმფლობელობით მდიდარი ჯგუფი, აღვნიშნავთ, რომ პირველი ადგილი აქ უჭირავთ კაზაკებს. კომლზე 30 დესეტინაზე მეტი მიწის მქონეთა ჯგუფში ისინი არიან 266 929 კომლი, რომლებიც ფლობენ 14 426 403 დესეტინას, ე. ი. ამ ჯგუფში ირიცხება კაზაკთა მთელი რიცხვის დიდი უმრავლესობა (ევროპის რუსეთში — 278 650 კომლი 14 689 498 დესეტინა მიწით, ე. ი. საშუალოდ კომლზე მოდის 52,7 დესეტინა).

იმაზე რომ ვიმსჯელოთ, თუ დაახლოებით როგორ ნაწილდება ყველა გლეხური კომლი მეურნეობის სიდიდის და არა სანადელო მიწათმფლობელობის მიხედვით, მთელი რუსეთის მიმართ მონაცემები მოგვეპოვება მხოლოდ ცხენიანობის შესახებ. ცხენების უკანასკნელი 1888 — 1891 წლების სამხედრო აღწერის მიხედვით ევროპის რუსეთის 48 გუბერნიაში გლეხთა კომლების დანაწილება ასეთი იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ღარიბები | უცხენონი | 2 765 970 | კომლი |
| | 1-ცხენიანი | 2 885 192 | » |
| საშუალო კომლები | 2 » | 2 240 574 | » |
| | 3 » | 1 070 250 | » |
| შეძლებულნი | 4 და მეტი | 1 154 674 | » |
| | სულ | 10 116 660 | » |

საერთოდ და მთლიანად ეს ნიშნავს: ღარიბები შეადგენენ ნახევარზე მეტს (5,6 მილიონი 10,1 მილიონიდან), საშუალო კომლები დაახლოებით მესამედს (2 — 3-ცხენიანი არის 3,3 მილიონი) და ერთ მეათედზე ცოტა მეტია შეძლებულნი (1,1 მილიონი 10,1 მილიონიდან).

ახლა ვნახოთ, როგორაა განაწილებული მიწის კერძო პირადი საკუთრება. სტატისტიკა საკმაო სიცხადით არ გამოყოფს აქ უწვრილეს მიწათმფლობელობას, მაგრამ სამაგიეროდ მეტად დაწვრილებითს ცნობებს იძლევა უდიდეს ლატიფუნდიებზე.

| მფლობელობათა ჯგუფები | მიწის კერძო პირადი საკუთრება ევროპის რუსეთში: მფლობელობა | მიწა დეს. | საშუალოდ 1 მფლობელობაზე დეს. |
|---|---|---|---|
| 10 და ნაკლები დეს. | 409 864 | 1 625 226 | 3,9 |
| 10 — 50 დეს. ჩათვლით | 209 119 | 4 891 031 | 23,4 |
| 50 — 500 » » | 106 065 | 17 326 495 | 163,4 |
| 500 — 2 000 » » | 21 748 | 20 590 708 | 947 |
| 2 000 — 10 000 » » | 5 386 | 20 602 109 | 3 825 |
| 10 000 დეს. ზევით | 699 | 20 798 504 | 29 754 |
| სულ 500 დეს. ზევით | 27 833 | 61 991 321 | 2 227 |
| სულ ევროპის რუსეთში | 752 881 | 85 834 073 | 114 |

ჩვენ აქ ვხედავთ, ჯერ-ერთი, მსხვილი მიწათმფლობელობის უდიდეს სიჭარბეს: 619 ათას წვრილ მიწათმფლობელს (50 დესეტინამდე) აქვს სულ 6½ მილიონი დესეტინა. მეორე, ჩვენ ვხედავთ თვალუწვდენლად დიდ ლატიფუნდიებს: 699 მესაკუთრეს აქვს თითქმის 30 000 დესეტინა თვითეულს! ოცდარვა ათასი მესაკუთრის ხელში თავმოყრილია 62 მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. თვითეულზე მოდის 2 227 დესეტინა. ამ

ლატიფუნდიების დიდი უმრავლესობა ეკუთვნის თავადაზნაურთ, სახელდობრ 18 102 მფლობელობა (27 833-დან) და 44 471 994 დესეტინა მიწა, ე. ი. ლატიფუნდიების მთელი ფართობის 70%-ზე მეტი. ეს მონაცემები სრული სიცხადით გვიხატავენ მებატონე-მემამულეთა შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას.

## 2. რის გამო წარმოქმნის ბრძოლა?

გლეხთა 10 მილიონ კომლს აქვს 73 მილიონი დესეტინა მიწა. ოცდარვა ათასი კეთილშობილი და გაუთლელი ლენდლორდი კი ფლობს 62 მილიონ დესეტინას. ასეთია ძირითადი ფონი იმ ასპარეზისა, რომელზეც ჩაღდება გლეხთა ბრძოლა მიწისათვის. ამ ძირითად ფონზე აუცილებელია ტექნიკის საოცარი ჩამორჩენილობა, მიწათმოქმედების გავერანება, გლეხთა მასის დაბეჩავება და დაძაბუნება, ბატონყმური, საბატონო ექსპლოატაციის დაუსრულებლად მრავალნაირი ფორმები. თემას რომ არ დავშორდეთ, აქ დავკმაყოფილდებით ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების ძალიან მოკლედ აღნიშვნით, რაც მეტად დაწვრილებითაა აღწერილი უამრავ ლიტერატურაში გლეხური მეურნეობის შესახებ. მიწათმფლობელობათა სხვადასხვა სიდიდე, ჩვენს მიერ მოხაზული, არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება მეურნეობათა სიდიდეს. მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედება წმინდა რუსულ გუბერნიებში უეჭველად უკანა რიგში დგას. მსხვილ ლატიფუნდიებში ჭარბობს წვრილი კულტურა: სხვადასხვა ფორმა ბატონყმურ-კაბალური იჯარისა, შრომამიგების (საბატონო) მეურნეობისა, «ზამთარში დაქირავებისა», ძოვების კაბალისა, ჩამონაჭრების კაბალისა და ასე დაუსრულებლივ. ბატონყმური ექსპლოატაციით დაბეჩავებული გლეხთა მასა ნადგურდება და ნაწილობრივ თვითონ აძლევს იჯარით თავის ნადელს «წესიერ» მეურნეებს. შეძლებულ გლეხთა პატარა უმცირესობა გლეხურ ბურჟუაზიად იქცევა, იჯარით იღებს მიწას კაპიტალისტური მეურნეობის გასამართავად, ექსპლოატაციას უწევს ასიათასობით მოჯამაგირესა და დღიურ მუშას.

ვიღებთ რა მხედველობაში ამ, რუსული ეკონომიური მეცნიერების მიერ სრულიად დადგენილ, ფაქტებს, მიწისათვის გლეხთა თანამედროვე ბრძოლის საკითხში უნდა გავარჩიოთ მიწათმფლობელობის ოთხი ძირითადი ჯგუფი: 1) ბატონყმური ლატიფუნდიების მიერ დაბეჩავებულ გლეხურ მეურნეობათა მასა, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია ლატიფუნდიების ექსპროპრიაციით და რომელიც პირდაპირ და ყველაზე უფრო მოიგებს ამ ექსპროპრიაციით. 2) საშუალო გლეხობის პატარა უმცირესობა, რომელიც უკვე ამჟამად ფლობს თითქმის საშუალო რაოდენობის მიწას, რაც რიგიანი მეურნეობის მოწყობის საშუალებას იძლევა. 3) შეძლებული გლეხობის პატარა უმცირესობა, რომელიც გლეხურ ბურჟუაზიად ხდება და მთელი რიგი თანდათანი გადასვლებით დაკავშირებულია კაპიტალისტურად მოწყობილ მიწათმფლობელობასთან. 4) ბატონყმური ლატიფუნდიები, რომლებიც თავიანთი სიდიდით დიდად ჭარბობენ დღევანდელი ეპოქის კაპიტალისტურ ეკონომიებს რუსეთში და რომლებიც ყველაზე მეტად იღებენ შემოსავალს გლეხობის კაბალური და შრომამიგებითი ექსპლოატაციით.

თავისთავად ცხადია, რომ მიწათმფლობელობის მონაცემების მიხედვით ამ ძირითადი ჯგუფების გამოყოფა შეიძლება მხოლოდ ძალიან დაახლოებით, სქემატურად. მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვალდებული ვართ გამოვყოთ ეს ჯგუფები, რადგან სხვანაირად არ შეიძლება რუსეთის რევოლუციაში მიწისათვის ბრძოლის მთლიანი სურათის მოცემა. წინდაწინვე შეიძლება სავსებით დაბეჯითებით ითქვას, რომ ციფრების ნაწილობრივ შესწორებებს, ამა თუ იმ ჯგუფის საზღვრების ნაწილობრივ გადაწევ-გადმოწევას არ შეუძლია რამდენადმე არსებითად შეცვალოს საერთო სურათი. მნიშვნელოვანია არა ეს ნაწილობრივი შესწორებანი, მნიშვნელოვანია ის, რომ ნათლად იქნას დაპირისპირებული წვრილი მიწათმფლობელობა, რომელიც მიწის შეძენას ცდილობს, და ბატონყმური ლატიფუნდიები, რომელნიც მიწების მონოპოლიზაციას ახდე-

ნენ. ძირითადი სიყალბე როგორც მთავრობის (სტოლიპინის), ისე ლიბერალური (კადეტური) ეკონომიისა ის არის, რომ მალავენ ან ჩქმალავენ ამ ნათელ დაპირისპირებას.

ვთქვათ, აღნიშნული ოთხი ჯგუფის მიწათმფლობელობის სიდიდე ასეთია: 1) 15 დესეტინამდე; 2) 15 — 20 დეს.; 3) 20 — 500 დეს. და 4) 500 დესეტინაზე ზევით თვითეულ მფლობელობაზე. მიწისთვის ბრძოლა რომ წარმოვიდგინოთ, როგორც მთლიანი რამ, ჩვენ, რასაკვირველია, თვითეულ ამ ჯგუფში უნდა შევაერთოთ სანადელო და კერძო მიწათმფლობელობა. ეს უკანასკნელი ჩვენს წყაროში დაყოფილია ჯგუფებად: 10 დესეტინამდე და 10-დან 20-მდე, ასე რომ 15 დესეტინამდე მფლობელი ჯგუფის გამოყოფა დაახლოებით გვიხდება. ის არასიზუსტე, რაც ამ დაახლოებითი გაანგარიშებითა და ჩვენ მიერ ციფრების დამრგვალებით არის გამოწვეული, სრულიად უმნიშვნელოა (მკითხველი ამაში ახლავე დარწმუნდება) და არ შეუძლია დასკვნების შეცვლა.

აი მიწების თანამედროვე დანაწილება ევროპის რუსეთში ჩვენ მიერ აღებული ჯგუფების მიხედვით:

| | მფლობელობათა რიცხვი | მიწის რაოდენობა დესეტინობით | საშუალოდ 1 მფლობელობაზე დესეტინობით |
|---|---|---|---|
| | (მილიონებად) | | |
| ა) ბატონყმური ექსპლოატაციით განადგურებული და დაბეჩავებული გლეხობა | 10,5 | 75,0 | 7,0 |
| ბ) საშუალო გლეხობა | 1,0 | 15,0 | 15,0 |
| გ) გლეხური ბურჟუაზია და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა | 1,5 | 70,0 | 46,7 |
| დ) ბატონყმური ლატიფუნდიები | 0,03 | 70,0 | 2 333,0 |
| ს უ ლ | 13,03 | 230,0 | 17,6 |
| მფლობელობათა მიხედვით დაუნაწილებელი | — | 50 | — |
| ს უ ლ* | 13,03 | 280,0 | 21,4 |

* ამ ცხრილის ციფრები, როგორც ვთქვით, დამრგვალებულია. აი ზუსტი ციფრები. სანადელო მიწა: ა) 10,1 მილიონი მფლობელობა და

ასეთია ის ურთიერთობანი, რაც იწვევს გლეხთა ბრძოლას მიწისათვის. ასეთია გლეხთა ბრძოლის გამოსავალი პუნქტი (7 — 15 დესეტინა კომლზე პლუს კაბალური იჯარა და სხვ.) უმსხვილეს მემამულეთა წინააღმდეგ (2 333 დესეტინა ეკონომიაზე). როგორია ამ ბრძოლის საბოლოო პუნქტის ობიექტური ტენდენცია? ცხადია, ეს ტენდენცია მსხვილი მემამულური ბატონყმური მიწათმფლობელობის მოსპობასა და გლეხების ხელში მის გადასვლაში მდგომარეობს (ამა თუ იმ საფუძველზე). ეს ობიექტური ტენდენცია სრული აუცილებლობით გამომდინარეობს ბატონყმური ლატიფუნდიების მიერ დამონებული წვრილი კულტურის სიჭარბის ფაქტიდან. ეს ტენდენცია რომ ისეთივე თვალსაჩინო სქემით გამოვხატოთ, როგორიც ბრძოლის გამოსავალი პუნქტის გამოსახატავად მოვიყვანეთ, ე. ი. ახლანდელი საქმეთა ვითარების გამოსახატავად, უნდა ავიღოთ საუკეთესო შესაძლებელი შემთხვევა, ე. ი. ბატონყმური ლატიფუნდიების ყველა მიწა და მფლობელობათა მიხედვით დაუნაწილებელი ყველა მიწა წარმოვიდგინოთ გაჩანაგებული გლეხობის ხელში

---

72,9 მილიონი დესეტინა; ბ) 874 ათასი მფლობელობა და 15,0 მილიონი დესეტინა; კერძო მიწათმფლობელობა 10 დესეტინამდე — 410 ათასი მფლობელობა და 1,6 მილიონი დესეტინა; 10 — 20 დესეტინა — 106 ათასი მფლობელობა და 1,6 მილიონი დესეტინა. ორივე სახის ა+ბ ჯამი: 11,5 მილიონი მფლობელობა და 91,2 მილიონი დესეტინა; გ) ჯგუფის ზუსტი ციფრი: 1,5 მილიონი მფლობელობა და 69,5 მილიონი დესეტინა მიწა; დ) ჯგუფისა — 27 833 მფლობელობა და 61,99 მილიონი დესეტინა მიწა. უკანასკნელთ ემატება, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, 5,1 მილიონი დესეტინა საუფლისწულო მიწა და უმსხვილეს საფაბრიკო-საქარხნო და სავაჭრო-სარეწაო ამხანაგობათა 3,6 მილიონი დესეტინა მიწა. მფლობელობათა მიხედვით დაუნაწილებელი მიწების ზუსტი ციფრი მოყვანილია ზემოთ — 48,5 მილიონი დესეტინა. აქედან მკითხველს შეუძლია დაინახოს, რომ ჩვენს მიერ დამრგვალებული ციფრები და დაახლოებითი გაანგარიშებანი ეხება სრულიად უმნიშვნელო რიცხობრივ ცვლილებებს და ერთი ბეწოთიც ვერ შეცვლიან დასკვნებს.

გადასულად. ეს არის ის უკეთესი შემთხვევა, რომელიც მეტ-ნაკლები სიცხადით ეხატება თანამედროვე აგრარული ბრძოლის *ყველა* მონაწილეს: მთავრობაც ლაპარაკობს მიწის «მიცემაზე» იმათთვის, ვინც მას «საჭიროებს», ლიბერალი მოხელეც (აგრეთვე კადეტიც) ლაპარაკობს მცირემიწიანთათვის მიწის დამატებით მიცემაზე, ტრუდოვიკი-გლეხიც მსჯელობს მიწათმფლობელობის გადიდებაზე «სამომხმარებლო» ანუ «შრომითს» ნორმამდე, სოციალ-დემოკრატიც, თუმცა მიწათსარგებლობის ფორმის საკითხში სხვა აზრისაა, მაგრამ მაინც საერთოდ იღებს ნაროდნიკულ ვარაუდებს უღარიბეს გლეხთათვის მიწის მიცემის შესახებ (წერეთელმა II სათათბიროში 47-ე სხდომაზე, 1907 წლის 26 მაისს, მიიღო ნაროდნიკ კარავაევის ციფრები 57 მილიონი დესეტინა მიწის 6½ მილიარდად გასხვისების შესახებ, აქედან უღარიბეს გლეხებს, რომელთაც 5 დესეტინამდე მიწა აქვთ, წილად ხვდებათ 2½ მილიარდის გადახდა, იხ. სტენოგრაფიული ანგარიშის 1221 გვ.). ერთი სიტყვით, რაგინდ სხვადასხვანაირად უნდა უყურებდნენ მემამულეები, მოხელეები, ბურჟუაზია, გლეხობა და პროლეტარიატი გარდაქმნის ამოცანებსა და პირობებს, ყველანი იმავე ტენდენციას ისახავენ: მსხვილი მემამულური მიწების გადასვლას ყველაზე უფრო გაჭირვებული გლეხობის ხელში. იმაზე, თუ როგორია შეხედულებათა ძირითადი განსხვავებანი კლასთა შორის ამ გადასვლის სიდიდესა და პირობებზე, ცალკე ვილაპარაკებთ თავის ადგილას. ახლა კი ბრძოლის გამოსავალი პუნქტის ჩვენს სქემას შევავსებთ მისი შესაძლებელი საბოლოო პუნქტის ასეთივე სქემით. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ის, რაც *ახლა* არის. ვნახოთ, რა შეიძლება იყოს *მაშინ*. ვთქვათ, 0,03 მილიონი მემამულე ინარჩუნებს ას-ას დესეტინას, ე. ი. 3 მილიონ დესეტინას, დანარჩენი 67 მილიონი და 50 მილიონი დაუნაწილებელი მიწა გადადის 10,5 მილიონი ქომლი ღარიბი გლეხის ხელში. მივიღებთ:

| | ა ხ ლ ა | | | მ ა შ ი ნ | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მფლობელობანი (მლნ. დესეტინა) | დესეტინა მიწა | საშუალოდ 1 მფლობელობაზე დესეტინა | მფლობელობანი (მლნ. დესეტინა) | დესეტინა მიწა | საშუალოდ 1 მფლობელობაზე დესეტინა |
| ა) გაჩანაგებული წვრილი გლეხობა | 10,5 | 75 | 7,0 | — | — | — |
| ბ) საშუალო გლეხობა | 1,0 | 15 | 15,0 | 11,5 | 207 | 18,0 |
| გ) მდიდარი გლეხობა და ბურჟუაზია | 1,5 | 70 | 46,7 | 1,53 | 73 | 47,7 |
| დ) მებატონე-მემამულენი | 0,03 | 70 | 2 333,0 | — | — | — |
| ს უ ლ | 13,03 | 230 | 17,6 | 13,03 | 280 | 21,4 |
| დაუნაწილებელი მიწები | — | 50 | — | — | — | — |
| ს უ ლ | 13,03 | 280 | 21,4 | — | — | — |

ასეთი ეკონომიური საფუძველი აქვს მიწისთვის ბრძოლას რუსეთის რევოლუციაში. ასეთია ამ ბრძოლის გამოსავალი პუნქტი და მისი ტენდენცია, ე. ი. მისი საბოლოო პუნქტი, მისი შედეგი, მებრძოლ ძალთა თვალსაზრისით, უკეთეს შემთხვევაში.

სანამ ამ ეკონომიური საფუძვლისა და მისი იდეური (და იდეურ-პოლიტიკური) სამოსლის განხილვაზე გადავიდოდეთ, შევჩერდეთ კიდევ შესაძლებელ გაუგებრობასა და საწინააღმდეგო აზრებზე.

პირველი. შეუძლიათ თქვან, რომ მე დასურათებული მაქვს მიწის დ ა ყ ო ფ ი ს ვარაუდი, მაშინ როდესაც მუნიციპალიზაციის, დაყოფის, ნაციონალიზაციის, სოციალიზაციის საკითხი მე ჯერ კიდევ არ განმიხილავს.

ეს გაუგებრობა იქნებოდა. ჩემს სურათში მიწათმფლობელობის პ ი რ ო ბ ე ბ ი სრულიად განზეა დატოვებული, გლეხების ხელში მიწის გადასვლის პ ი რ ო ბ ე ბ ს (საკუთრებად, თუ ამა თუ იმ ტიპის სარგებლობაში) სულაც არ შევხებივარ. მე აღებული მაქვს მხოლოდ ს ა ე რ თ ო დ მ ი წ ი ს გ ა დ ა ს ვ ლ ა წვრილი გლეხობის ხელში, — ხოლო ჩვენი აგრარული ბრძოლის ასეთ ტენდენციაში ეჭვის შეტანა შეუწყნარებელია. იბრძვის წვრილი გლეხობა, იბრძვის იმისთვის, რომ მიწა მ ი ს ხ ე ლ შ ი გადავიდეს. იბრძვის წვრილი (ბურჟუაზიული) კულტურა მსხვილი (ბატონყმური) მი-

წათმფლობელობის წინააღმდეგ *. გადატრიალების სხვა შედეგი უკეთეს შემთხვევაში, ვიდრე მე მაქვს დახატული, ყ ო ვ ლ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

მეორე. შეუძლიათ თქვან, რომ მე უფლება არ მქონდა მევარაუდა ყველა ჩამორთმეული მიწის (ან ექსპროპრიირებული მიწებისა, რადგან ჯერ კიდევ არ არის ჩემს ვარაუდში ლაპარაკი ექსპროპრიაციის პირობებზე) გადასვლა ყველაზე უფრო მცირემიწიანი გლეხობის ხელში. შეუძლიათ თქვან, რომ მიწები ეკონომიური აუცილებლობის გამო უ ნ დ ა გადავიდეს უფრო მდიდარი გლეხობის ხელში. — მაგრამ ასეთი რამ გაუგებრობა იქნებოდა. გადატრიალების ბურჟუაზიული ხასიათის დასამტკიცებლად მე უნდა ავიღო ნაროდნიკობის თვალსაზრისით უ კ ე თ ე ს ი შემთხვევა, მე უნდა ვ ი ვ ა რ ა უ დ ო იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც მებრძოლნი ისახავენ. მე უნდა ავიღო ისეთი მომენტი, რომელიც ყველაზე უფრო ახლოა ეგრეთწოდებულ «ჩორნი პერედელთან», და არა აგრარული გადატრიალების შემდგომი შედეგები. თუ ბრძოლაში მასა გაიმარჯვებს, ბრძოლის ნაყოფსაც ის წაიღებს. სხვა საკითხია, ეს ნაყოფი შემდგომ ვის ჩაუვარდება ხელში.

მესამე. შეუძლიათ თქვან, რომ არაჩვეულებრივად ხელსაყრელი შედეგი ღარიბი გლეხობისათვის (მთელი მისი მასის გადაქცევა საშუალო გლეხებად 18 დესეტინამდე მიწით კომლზე) იმიტომ გამომივიდა, რომ თავისუფალი მიწის ფონდი გ ა დ ა ჭ ა რ ბ ე ბ ი თ ვ ი ვ ა რ ა უ დ ე. შეუძლიათ თქვან, რომ საჭირო იყო გამოკლება ტყეებისა, რომელნიც არ შეიძლება გლეხებს გადაეცესო. — ასეთი რამ შესაძლებელია და აუცილებელიცაა მთავრობისა და კადეტთა ბანაკის ეკონომისტების მხრივ, მაგრამ ეს სწორი არ არის. ჯერ-ერთი, უნდა იყო მოხელე, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში წელმოხრილია მებატონე-მემამულის წინაშე, რომ წარმოიდგინო, თი-

* ის, რაც ფრჩხილებში მაქვს ნათქვამი, შეგნებული არა აქვს ან უარყოფილია ნაროდნიკობის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ. ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

თქოს გლეხი ვერ შესძლებს სატყეო მეურნეობის წესიერად წარმართვას და მისგან შემოსავლის მიღებას თ ა ვ ი ს და არა მემამულეების სასარგებლოდ. პოლიციელი მოხელისა და რუსი ლიბერალის თვალსაზრისი: როგორ უზრუნველვყოთ გლეხი ნადელით? შეგნებული მუშის თვალსაზრისი: როგორ გავათავისუფლოთ გლეხი ბატონყმური მსხვილი მიწათმფლობელობისაგან? როგორ დავამარცხოთ ბატონყმური ლატიფუნდიები? მეორე, მე გამოვრიცხე მ თ ე ლ ი ჩრდილოეთის რაიონი (არხანგელსკის, ვოლოგდისა და ოლონეცის გუბერნიები), აგრეთვე ვიატკისა და პერმის გუბერნიების ნაწილი, ე. ი. ისეთი ადგილები, სადაც უახლოეს მომავალში ძნელი წარმოსადგენია ტყით დაფარული ფართობების სასოფლო-სამეურნეო ექსპლოატაცია. მესამე, ტყიანი ფართობების საგანგებო აღრიცხვა არაჩვეულებრივად გაართულებდა გაანგარიშებას, შედეგებს კი ნაკლებად შეცვლიდა. მაგალითად, ბ-ნი კაუფმანი, კადეტი — მაშასადამე, კაცი, რომელიც საკმაოდ ფ რ თ ხ ი ლ ა დ ეპყრობა მემამულეთა მიწებს — თვლის, რომ ფართობი 25%-ზე მეტი ტყიანობით შეიძლება ჩაირიცხოს მიწის ნაკლებობის დასაფარავადო, და ამგვარად ღებულობს 101,7 მილიონ დესეტინას ფონდს 44 გუბერნიაში. ჩემი ანგარიშით 47 გუბერნიაში შესდგა ფონდი დაახლოებით 101 მილიონი დესეტინა, სახელდობრ 67 მილიონი დესეტინა 70 მილიონი ბატონყმური ლატიფუნდიებიდან და 34 მილიონი დესეტინა სახაზინო და სხვადასხვა დაწესებულების მიწებიდან. თუ ვივარაუდებთ მთელი მიწების ექსპროპრიაციას 100 დესეტინაზე ზევით, ეს ფონდი კიდევ 9 — 10 მილიონი დესეტინით გადიდდება *.

---

* განსხვისების საზღვარი — 500 დესეტინა — ტექსტში აღებული მაქვს მსოლოდ ვარაუდით. თუ ჩვენ საზღვრად 100 დესეტინას ავიღებთ, — ასევე მხოლოდ ვარაუდით, გადატრიალების სურათი ასეთი იქნება:

| ა ხ ლ ა | | |

## 3. ბრძოლის დედაარსის მიჩქმალვა კადეტი მწერლების მიერ

მოყვანილი ცნობები იმ როლის შესახებ, რომელსაც რუსეთში მემამულეთა უმსხვილესი მეურნეობანი მიწისთვის ბრძოლაში ასრულებენ, უნდა შეივსოს ერთი მხრივ. ჩვენი ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის აგრარული პროგრამების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ საკითხი, თუ რომელი კლასია გლეხობის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელი მფლობელობანი წარმოადგენენ საექსპროპრიაციო ფონდის მთავარ მასას, გაბუნდოვანებულია მოსაზრებებით «ნორმების» შესახებ. უმეტესად იმაზე ლაპარაკობენ (კადეტებიც და ტრუდოვიკებიც), თუ რამდენი მიწა არის საჭირო გლეხებისათვის ამა თუ იმ «ნორმის» მიხედვით, — იმის მაგივრად, რომ ილაპარაკონ გაცილებით უფრო კონკრეტულ და ცოცხალ საქმეზე: რამდენია სულ მიწა, რომლის ექსპროპრიაცია შეიძლება. საკითხის პირველნაირი დაყენება ჩქმალავს კლასობრივ ბრძოლას, ფარავს საქმის არსს «სახელმწიფოებრივი» თვალსაზრისის ცარიელი პრეტენზიით. საკითხის მეორენაირ დაყენებას სიმძიმის მთელი ცენტრი გადააქვს კლასობრივ ბრძოლაზე, მიწათმფლობელთა იმ განსაზღვრული ფენის კლასობრივ ინტერესებზე, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გამოხატავს ბატონყმურ ტენდენციებს.

ჩვენ სხვა ადგილას კიდევ შევჩერდებით «ნორმების» ამ საკითხზე. აქ კი აღვნიშნავთ ერთ «ბედნიერ» გამონაკლისს ტრუდოვიკებიდან და ერთსაც ტიპიურ კადეტ მწერალს.

მეორე სათათბიროში სახალხო სოციალისტი დელაროვი შეეხო საკითხს, თუ მფლობელთა რამდენ პროცენტს შეეხება გასხვისება (1907 წლის 26 მაისი, 47-ე სხდომა). ორატორი სწორედ (იძულებით) გასხვისებაზე ლაპარაკობდა, და კონფისკაციის საკითხი არ წამოუყენებია; როგორც ჩანს, მან გასხვისების სწორედ ის ნორმა მიიღო, რაც მე ვარაუდით ავიღე ჩემს ცხრილში, სახელდობრ: 500 დესეტინა. სამწუხაროდ, II სათათბიროს სტენოგრაფიულ ანგარი-

შებში დელაროვის სიტყვის სათანადო ადგილი (გვ. 1217) დამახინჯებულია, — ანდა, შეიძლება, თვით ბ-ნმა დელაროვმა დაუშვა შეცდომა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ იძულებითი გასხვისება შეეხება კერძო მფლობელობათა 32%-ს და მთელი მათი მიწის ფართობის 96%-ს, — ხოლო დანარჩენებს, მფლობელთა 68%-ს — საკუთარი მიწების მხოლოდ 4%-სო. ნამდვილად კი 32%-ის ნაცვლად უნდა იყოს 3,7%, რადგან 752 881 მფლობელიდან 27 833 მფლობელი შეადგენს 3,7%-ს, მათ კი 85,8 მილიონი დესეტინიდან 62 მილიონი დესეტინა მიწა აქვთ, ე. ი. 72,3%. გაუგებარი რჩება, წამოცდა ეს ბ-ნ დელაროვს, თუ არასწორი ციფრები აიღო. ყოველ შემთხვევაში, თუ არ ვცდებით, სათათბიროს მრავალი ორატორიდან მარტო ის მ ი უ.დ'გ ა უშუალოდ, კონკრეტულად საკითხს, თუ რის გამო წარმოებს ბრძოლა.

კადეტი მწერალი, რომლის «შრომები» არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამ საკითხის გარკვევის დროს, არის ბ-ნი ს. პროკოპოვიჩი. მართალია, ის, სწორედ რომ ვთქვათ, «ბეზზაგლავიელია», რომელიც — ბურჟუაზიული გაზეთის «ტოვარიშჩის» მწერლების უმრავლესობის მსგავსად — გამოდის ხან როგორც კადეტი, ხან კი როგორც მენშევიკი სოციალ-დემოკრატი. ის არის ტიპიური წარმომადგენელი თანამიმდევარ ბერნშტეინელთა იმ პატარა ჯგუფისა რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეში, რომელიც მერყეობს კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შუა, არ შედის (მეტ ნაწილად) არც ერთს პარტიაში და ლიბერალურ პრესაში სისტემატურად ღიღინებს პლეხანოვზე ოდნავ მარჯვნივ. ბ-ნი პროკოპოვიჩი აქ აღნიშნულ უნდა იქნას იმიტომ, რომ მან ერთმა პირველთაგანმა მოიყვანა პრესაში ციფრები მიწათმფლობელობის 1905 წლის სტატისტიკიდან, ამასთანავე ფაქტიურად კ ა დ ე ტ უ რ ი აგრარული რეფორმის ნიადაგზე დადგა. გაზეთ «ტოვარიშჩის» ორ სტატიაში (1907 წლის № 214, 13 მარტი და № 238, 10 აპრილი) ბ-ნი პროკოპოვიჩი ეკამათება ოფიციალური სტატისტიკის შემდგე-

ნელს, გენერალ ზოლოტარიოვს, რომელიც ამტკიცებს, რომ მთავრობას სავსებით შეუძლია არ მიმართოს არავითარ ძალდატანებით გასხვისებას და ისე მოაგვაროს მიწის რეფორმა და რომ გლეხისათვის მეურნეობის გასამართავად სრულიად საკმაოა 5 დესეტინა მიწა ერთ კომლზეო! ბ-ნი პროკოპოვიჩი მეტ ლიბერალობას იჩენს: ის იღებს 8 დესეტინას კომლზე. თან დასძენს, და ისიც არა ერთხელ, რომ ასეთი უზრუნველყოფა «სრულიად არ არის საკმაო», რომ ასეთი გაანგარიშება «სულ მცირეა» და სხვ.; მაგრამ მაინც «მიწის საჭიროების ოდენობის» (სათაურია ბ-ნ პროკოპოვიჩის პირველი სტატიისა ზემოაღნიშნულთაგან) განსასაზღვრავად იგი სწორედ ამ ციფრს იღებს. ბ-ნი პროკოპოვიჩი განმარტავს, რომ მას იღებს «ზედმეტი დავის თავიდან ასაცილებლად»... ალბათ, «ზედმეტი დავისა» ბატონ ზოლოტარიოვებთან? ანგარიშობს რა ამგვარად «აშკარა მცირემიწიან» გლეხთა კომლების რიცხვს საერთო რიცხვის ნახევრად, ბ-ნი პროკოპოვიჩი სწორედ ანგარიშობს, რომ მათი ნადელის შესავსებად 8 დესეტინამდე საჭიროა 18,6 მილიონი დესეტინა, ხოლო რადგან მთავრობის ფონდი სულ შეადგენს, ვითომ, 9 მილიონ დესეტინას, ამიტომ — «იძულებითს გასხვისებას გვერდს ვერ აუვლიო».

თავისი გაანგარიშებითაც და თავისი მსჯელობითაც ბ-ნმა მომენშევიკო კადეტმა ანუ მოკადეტო მენშევიკმა მშვენივრად გამოხატა ლიბერალური აგრარული პროგრამის სული და აზრი. კერძოდ ბატონყმური ლატიფუნდიებისა და საერთოდ ლატიფუნდიების საკითხი სრულიად მიჩქმალულია. ბ-ნმა პროკოპოვიჩმა ცნობები მოიყვანა მხოლოდ 50 დესეტინაზე ზევით მთელი კერძო მიწათმფლობელობის შესახებ. ამრიგად, ის, რის გამოც ნამდვილად წარმოებს ბრძოლა, მიჩქმალული აღმოჩნდა. კლასობრივი ინტერესები ერთი მუჭა — სწორედ ერთი მუჭა ლენდლორდებისა დაფარულია. მათი გამოაშკარავების ნაცვლად ჩვენს წინაშეა «სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი»: სახაზინო მიწები «საკმაო არ იქნებაო». ეს მიწე-

ბი რომ საკმაო ყოფილიყო, ბ-ნ პროკოპოვიჩს — ასე გამოდის მისი მსჯელობიდან — ბატონყმური ლატიფუნდიების საწინააღმდეგო აღარაფერი ექნებოდა...

საგლეხო ნადელად (8 დესეტინა) აღებულია მშიერი ნორმა. მემამულეთა «იძულებით გასასხვისებელი» მიწის ოდენობა აღებულია ძალიან მცირე (18 — 9=9 მილიონი დესეტინა, 62 მილიონიდან 500 დესეტინის ზევით!). ასეთი «იძულებითი გასხვისებისათვის» საჭირო იქნება, რომ მემამულეებმა აიძულონ გლეხები, — როგორც ეს იყო 1861 წელს!

ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბ-მა პროკოპოვიჩმა ყოველ შემთხვევაში სწორად გამოხატა კადეტთა აგრარული პროგრამის მემამულური არსი. კადეტები მხოლოდ უფრო ფრთხილი და მოხერხებული არიან: ისინი ამჯობინებენ სულ არაფერი თქვან იმაზე, მემამულეთა სახელდობრ რამდენი მიწის ექსპროპრიაციას ფიქრობენ ისინი.

## 4. აგრარული გადატრიალების ეკონომიური დედაარსი და მისი იდეური სამოსელი

ჩვენ დავინახეთ, რომ მიმდინარე გადატრიალების დედაარსს შეადგენს ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობა და თავისუფალი და (რამდენადაც არსებულ პირობებში შესაძლებელია) შეძლებული მიწათმოქმედი გლეხობის შექმნა, რომელსაც უნარი ექნება ერთ წერტილზე არ გაიყინოს და არ იჯახიროს მიწაზე, არამედ განავითაროს საწარმოო ძალები და წინ წასწიოს სასოფლო-სამეურნეო კულტურა. წვრილ მეურნეობას მიწათმოქმედებაში, ბაზრის ბატონობას მწარმოებელზე და, მაშასადამე, სასაქონლო წარმოების ბატონობასაც ეს გადატრიალება სრულიადაც არ ეხება და არც შეუძლია შეეხოს, რადგან მიწის ხელახალი განაწილებისათვის ბრძოლას არ ძალუძს საწარმოო ურთიერთობის შეცვლა ამ მიწაზე გამართულ მეურნეო-

ბაში. ჩვენ კი დავინახეთ, რომ ამ ბრძოლის თავისებურებაა ბატონყმური ლატიფუნდიების მიწებზე წვრილი კულტურის ძლიერი განვითარება.

მიმდინარე ბრძოლის იდეოლოგიური სამოსელია ნაროდნიკობის თეორიები. I და II სათათბიროში მთელი რუსეთის გლეხობის წარმომადგენლების აშკარა გამოსვლამ აგრარული პროგრამებით საბოლოოდ დაადასტურა, რომ ნაროდნიკული თეორიები და პროგრამები მიწისათვის გლეხთა ბრძოლის მართლაც იდეურ სამოსელს წარმოადგენენ.

ჩვენ ცხადვყავით, რომ საფუძველი, მთავარი შემადგენელი ნაწილი მიწის იმ ფონდისა, რომლის გამოც გლეხები იბრძვიან, მსხვილი ბატონყმური მამულებია. ექსპროპრიაციის ნორმა ჩვენ ძალიან მაღალი მივიღეთ — 500 დესეტინა. მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი დასკვნა სრულ ძალაში რჩება ამ ნორმის ყოველგვარი შემცირების დროსაც, — ვთქვათ, 100 ან 50 დესეტინამდე. დავყოთ ჯგუფი გ) — 20 — 500 დეს. სამ ქვედანაყოფად: აა) 20 — 50 დეს.; ბბ) 50 — 100 დეს. და გგ) 100 — 500 დეს., და ვნახოთ როგორია სანადელო და კერძო მიწათმფლობელობის ოდენობა ამ ქვედანაყოფთა მიხედვით:

| | სანადელო მიწა | | |
|---|---|---|---|
| ქვედანაყოფები | მფლობელობათა რიცხვი | მიწის რაოდენობა | საშუალოდ ერთ მფლობელობაზე |
| | | დესეტინა | |
| 20 — 50 დეს. | 1 062 504 | 30 898 147 | 29,1 |
| 50 — 100 » | 191 898 | 12 259 171 | 63,3 |
| 100 — 500 » | 40 658 | 5 762 276 | 141,7 |

| | კერძო მიწა | | სულ ევროპის რუსეთში | | |
|---|---|---|---|---|---|
| მფლობელობათა რიცხვი | მიწის რაოდენობა | საშუალოდ ერთ მფლობელობაზე | მფლობელობათა რიცხვი | მიწის რაოდენობა | საშუალოდ ერთ მფლობელობაზე |
| | დესეტინა | | | დესეტინა | |
| 103 237 | 3 301 004 | 32,0 | 1 165 741 | 34 199 151 | 29,3 |
| 44 877 | 3 229 858 | 71,9 | 236 775 | 15 489 029 | 65,4 |
| 61 188 | 14 096 637 | 230,4 | 101 846 | 19 858 913 | 194,9 |

აქედან, ჯერ-ერთი, ჩანს, რომ 100 დესეტინის ზევით მიწის კონფისკაცია მიწის ფონდს გაადიდებს, როგორც უკვე აღნიშნულია ზემოთ, 9 — 10 მილიონი დესეტინით, ხოლო 50 დესეტინაზე ზევით მიწის კონფისკაცია, თანახმად I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ჩიჟევსკის ვარაუდისა, მიწის ფონდს გაადიდებს 18½ მილიონი დესეტინით. მაშასადამე, მიწის ფონდის ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ ამ შემთხვევაშიც ბატონყმური ლატიფუნდიები დარჩება. ეს არის დედააზრი თანამედროვე აგრარული საკითხისა. ცნობილია აგრეთვე ამ მსხვილი მიწათმფლობელობის კავშირი უმაღლეს ბიუროკრატიასთან: გ. ა. ალექსინსკის II სათათბიროში მოჰყავდა ბ-ნ რუბაკინის მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია მაღალი მოხელეების მამულები რუსეთში. მეორეც, ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სანადელო მიწებისა და იმ მ ა მ უ ლ ე ბ ი ს გამოკლებითაც კი, რომელნიც 100 დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე მ ე ტ ს შ ე ი ც ა ვ ე ნ, დიდი განსხვავება რჩება უმაღლეს ნადელებს (და წვრილ მამულებს) შორის. გადატრიალება გლეხობას უსწრებს უკვე იმ დროს, როცა მასში მომხდარია დიფერენციაცია მიწათმფლობელობის ოდენობის მიხედვითაც და, კიდევ უფრო, კაპიტალის სიდიდის, პირუტყვის რაოდენობის, მკვდარი ინვენტარის რაოდენობისა და ხარისხის და სხვ. მიხედვითაც. ის გარემოება, რომ დიფერენციაცია გლეხების, ასე ვთქვათ, ნადელსგარეშე ქონების სფეროში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სანადელო მიწათმფლობელობის სფეროში, ეს საკმაოდ დამტკიცებულია ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში.

რა მნიშვნელობა აქვთ ნაროდნიკულ თეორიებს, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ზუსტად ასახავენ გლეხების შეხედულებებს მიწისათვის მათ ბრძოლაზე? ამ ნაროდნიკული თეორიების დედაარსს შეადგენს ორი «პრინციპი»: «შრომითი საწყისი» და «გამთანაბრებლობა». ამ პრინციპების წვრილბურჟუაზიული ხასიათი იმდენად ცხადია და ისე ხშირად, ისე საფუძვლიანად იყო ეს დამტკიცებული მარქსისტულ ლიტერატუ-

რაში, რომ აქ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მნიშვნელოვანია ამ «პრინციპების» იმ მხარის აღნიშვნა, რომელიც დღემდე ჯეროვანად არ შეუფასებიათ რუს სოციალ-დემოკრატებს. ბუნდოვანი ფორმით ეს პრინციპები მ ა რ თ ლ ა ც გამოხატავენ რაღაც რეალურს და პ რ ო გ რ ე ს უ ლ ს ახლანდელ ისტორიულ მომენტში. სახელდობრ: ისინი გამოხატავენ გამანადგურებელ ბრძოლას ბატონყმური ლატიფუნდიების წინააღმდეგ.

შეხედეთ ზემომოყვანილ სქემას ჩვენი აგრარული წყობილების ევოლუციისას ახლანდელი მდგომარეობიდან თანამედროვე, ბურჟუაზიული გადატრიალების «საბოლოო მიზნისაკენ». თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ მომავალი «მაშინ» განსხვავდება დღევანდელი «ახლა»-საგან მიწათმფლობელობის გაცილებით მეტი «გათანაბრებულობით», «შრომითს საწყისთან» მიწების ა ხ ა ლ ი დანაწილების გაცილებით მეტი შესატყვისობით. და ეს შემთხვევითი როდია. ეს არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს გლეხურ ქვეყანაში, რომლის ბურჟუაზიული განვითარება ათავისუფლებს მას ბატონყმობისაგან. ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობა ასეთ ქვეყანაში უსათუოდ კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნაა. ხოლო ეს მოსპობა, წვრილი კულტურის ბატონობის პირობებში, აუცილებლად ნიშნავს მიწათმფლობელობის მეტს «გამთანაბრებლობას». კაპიტალიზმი, ამსხვრევს რა შუასაუკუნეობრივ ლატიფუნდიებს, ი წ ყ ე ბ ს უფრო მეტი «გათანაბრებითი» მიწათმფლობელობით და ჰქმნის კიდეც ა ქ ე დ ა ნ ახალ მსხვილ მიწათმოქმედებას, — ჰქმნის მას დაქირავებული შრომის, მანქანებისა და მაღალი აგრიკულტურული ტექნიკის ბაზისზე, და არა შრომამიგებისა და კაბალის ბაზისზე.

ყველა ნაროდნიკის შეცდომა ის არის, რომ ისინი, წვრილი მეურნის ვიწრო თვალთახედვით შეზღუდულნი, ვერ ხედავენ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ბურჟუაზიულობას, რომელშიც შედის გლეხი ბატონყმური ბორკილებისაგან განთავისუფლების შემდეგ. ისინი წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მიწათმოქმედების «შრომითს საწყისს» და «გათანაბრებულო-

ბას», როგორც ბატონყმური ლატიფუნდიების განადგურების ლოზუნგს, აქცევენ აბსოლუტურ, თვითკმარ რამედ, რაც ნიშნავს განსაკუთრებულ, არა ბურჟუაზიულ, წყობილებას.

ზოგიერთი მარქსისტის შეცდომა ის არის, რომ ნაროდნიკობის თეორიის გაკრიტიკების დროს ვერ ამჩნევენ მის ისტორიულ-რეალურ და ისტორიულ-გეგმაშეწონილ შინაარსს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აკრიტიკებენ და სამართლიანადაც აკრიტიკებენ «შრომითს საწყისს» და «გათანაბრებულობას», როგორც ჩამორჩენილ, რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს, და ივიწყებენ, რომ ეს თეორიები გამოხატავენ მოწინავე, რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, რომ ეს თეორიები ძველი, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ უაღრესად გაბედული ბრძოლის დროშას წარმოადგენენ. თანასწოროობის იდეა — უაღრესად რევოლუციური იდეაა საერთოდ აბსოლუტიზმის ძველი წესწყობილების და განსაკუთრებით ძველი ბატონყმური, მსხვილმემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თანასწოროობის იდეა კანონიერი და პროგრესულია, როდესაც მას წვრილი ბურჟუა-გლეხი აყენებს, რამდენადაც ის ფეოდალური, ბატონყმური უთანასწოროობის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს. მიწათმფლობელობის «გათანაბრებულობის» იდეა კანონიერი და პროგრესულია, რამდენადაც ის გამოხატავს შვიდდესეტინიანი სანადელო მიწის ანაბარა დარჩენილი და მემამულეების მიერ გაჩანაგებული 10 მილიონი გლეხის მისწრაფებას — დაიყონ * 2 300 დესეტინიანი ბატონყმური ლატიფუნდიები. ხოლო ახლანდელ ისტორიულ მომენტში ეს იდეა მართლაც გამოხატავს ასეთ მისწრაფებას, იგი ბიძგს აძლევს თანამიმდევარი

* აქ ლაპარაკია არა საკუთრებად დაყოფაზე, არამედ სამეურნეოდ სარგებლობისათვის დაყოფაზე. ასეთი დაყოფა შესაძლებელია — ხოლო წვრილი კულტურის ბატონობის პირობებში აუცილებელიც არის ერთხანს — როგორც მუნიციპალიზაციის, ისე ნაციონალიზაციის დროს.

ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ, შეცდომით მოსავს რა ამას ბუნდოვანი, ქვაზი-სოციალისტური ფრაზეოლოგიით. და ცუდი იქნებოდა ის მარქსისტი, რომელიც გააკრიტიკებდა ბურჟუაზიული ლოზუნგების სოციალისტური საფარველის სიყალბეს და ამავე დროს ვერ შეაფასებდა მათ ისტორიულ-პროგრესულ მნიშვნელობას, როგორც უაღრესად გაბედული ბურჟუაზიული ლოზუნგებისას ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ გადატრიალების რეალური შინაარსი, რომელიც ნაროდნიკს «სოციალიზაციად» ეჩვენება, ის იქნება, რომ უაღრესი თანამიმდევრობით გაუკაფავს გზას კაპიტალიზმს, რომ გადაჭრით აღმოფხვრის ბატონყმობას. ის სქემა, რომელიც ზემოთ მომყავს, გვიჩვენებს სწორედ **maximum**-ს ბატონყმობის გადაგდების საქმეში და ამასთანავე **maximum**-ს «გათანაბრებულობის» მიღწევაში. ნაროდნიკი ფიქრობს, რომ ეს «გათანაბრებულობა» სპობს ბურჟუაზიულობას, მაშინ როდესაც ნამდვილად ის გამოხატავს უფრო რადიკალური ბურჟუაზიის მისწრაფებებს. ხოლო ყოველივე ის, რაც ამ «გათანაბრებულობაში» ამის მეტია, მხოლოდ იდეოლოგიური კვამლია, წვრილი ბურჟუას ილუზიაა.

ზოგიერთი რუსი მარქსისტის ბეცი და არაისტორიული მსჯელობა ნაროდნიკული თეორიების მნიშვნელობაზე რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში იმით აიხსნება, რომ ისინი არ ჩაკვირვებიან იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მემამულეთა მიწათმფლობელობის «კონფისკაციას», რომელსაც ისინი იცავენ. საკმარისია ცხადად წარმოვიდგინოთ ეკონომიური საფუძველი ასეთი გადატრიალებისა ჩვენი მიწათმფლობელობის ახლანდელ პირობებში, — და გავიგებთ არა მარტო ნაროდნიკული თეორიების ილუზორულობას, არამედ განსაზღვრული ისტორიული ამოცანით შეზღუდულ ბრძოლის სიმართლესაც, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმართლეს, რაც ამ ილუზორული თეორიების რეალურ შინაარსს შეადგენს.

## 5. ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი ტიპი

გავყვეთ ქვემოთ. ჩვენ ცხადვყავით, რომ ნაროდნიკული თეორიები, თუმცა ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის ბრძოლის თვალსაზრისით უაზრო და რეაქციულია, მაგრამ «გონივრული» (განსაკუთრებული ისტორიული ამოცანის აზრით) და პროგრესულია ბურჟუაზიულ ბრძოლაში ბატონყმობის წინააღმდეგ. ახლა იბადება კითხვა, რუსეთის მიწათმფლობელობაში და რუსეთის მთელ საზოგადოებრივ წყობილებაში ბატონყმობის კვდომის აუცილებლობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აგრარული გადატრიალების აუცილებლობა უნდა გავიგოთ თუ არა იმ აზრით, რომ ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი გარკვეული ფორმით? თუ იგი შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა ფორმით?

ამ საკითხს კარდინალური მნიშვნელობა აქვს ჩვენს რევოლუციაზე და სოციალ-დემოკრატიულ აგრარულ პროგრამაზე სწორ შეხედულებათა შესამუშავებლად. და ეს საკითხი უნდა გადავჭრათ იმ მონაცემების მიხედვით, რომელნიც ზემოთ მოვიყვანეთ რევოლუციის ეკონომიური საფუძვლის შესახებ.

ბრძოლის მთავარი საგანია ბატონყმური ლატიფუნდიები, როგორც ბატონყმური ნაშთების ყველაზე თვალსაჩინო განსახიერება და უმკვიდრესი დასაყრდენი რუსეთში. სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარება აბსოლუტური აუცილებლობით ბოლოს უღებს ამ ნაშთებს. ა მ მხრივ რუსეთის წინაშე ბურჟუაზიული განვითარების მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი გზაა.

მაგრამ ამ განვითარების ფორმები შეიძლება ორგვარი იყოს. ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრა შეიძლება მემამულურ მეურნეობათა გარდაქმნის გზითაც და მემამულური ლატიფუნდიების მოსპობის გზითაც, ე. ი. <u>რეფორმის გზითაც და რევოლუციის გზითაც</u>. ბურჟუაზიული განვითარება შეიძლება მიმდინარეობდეს მსხვილ მემამულურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც თანდათანობით სულ უფრო და უფრო

ბურჟუაზიული ხდებიან, ექსპლოატაციის ბატონყმურ წესებს თანდათან ბურჟუაზიულით ცვლიან, — ის შეიძლება აგრეთვე მიმდინარეობდეს წვრილ გლეხურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზმიდან რევოლუციური გზით ამოაგდებენ ბატონყმური ლატიფუნდიების «ხორცმეტს» და შემდეგ თავისუფლად ვითარდებიან ულატიფუნდიებოდ კაპიტალისტური ფერმერობის გზით.

ობიექტურად-შესაძლებელი ბურჟუაზიული განვითარების ამ ორ გზას ჩვენ ვუწოდებდით პრუსიული და ამერიკული ტიპის გზებს. პირველ შემთხვევაში ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ, მეურნეობად და გლეხებს ათეული წლობით უმწვავეს ექსპროპრიაციასა და კაბალას განუმზადებს, ამასთანავე გამოჰყოფს «გროსბაუერების» («მსხვილი გლეხების») პატარა უმცირესობას. მეორე შემთხვევაში მემამულური მეურნეობა ან არ არსებობს, ანდა მას ანადგურებს რევოლუცია, რომელიც ფეოდალური მამულების კონფისკაციას ახდენს და აქუცმაცებს მათ. ამ შემთხვევაში ჭარბობს გლეხი, იგი მიწათმოქმედების განსაკუთრებული აგენტი ხდება და კაპიტალისტურ ფერმერად გადაქცევის გზას ადგება. პირველ შემთხვევაში ევოლუციის მთავარ შინაარსს წარმოადგენს ბატონყმობის გადაზრდა კაბალად და კაპიტალისტურ ექსპლოატაციად ფეოდალების — მემამულეების — იუნკრების მიწა-წყალზე. მეორე შემთხვევაში ძირითად ფონს წარმოადგენს პატრიარქალური გლეხის ბურჟუაზიულ ფერმერად გადაზრდა.

რუსეთის ეკონომიურ ისტორიაში სრული სიცხადით მჟღავნდება ევოლუციის ორივე ეს ტიპი. აიღეთ ბატონყმობის დაცემის ეპოქა. მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლა წარმოებდა იმის გამო, თუ რა წესით განხორციელებულიყო რეფორმა. პირველნიც და მეორენიც იცავდნენ ბურჟუაზიული ეკონომიური განვითარების პირობებს (ამის შეუგნებლად), მაგრამ პირველნი — ისეთი განვითარების პირობებს, რომელიც უზრუნველყოფდა მემამულეთა მეურნეობების, მემამუ-

ლეთა შემოსავლის, ექსპლოატაციის მემამულური (კაბალური) წესების მაქსიმალურ შენარჩუნებას. მეორენი იცავდნენ ისეთი განვითარების ინტერესებს, რომელიც უზრუნველყოფდა საერთოდ კულტურის არსებულ დონეზე გლეხობის შესაძლებელ, რაც შეიძლება მეტ კეთილდღეობას, მემამულეთა ლატიფუნდიების მოსპობას, ექსპლოატაციის ყველა ბატონყმური და კაბალური წესის მოსპობას და თავისუფალი გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოებას. თავისთავად ცხადია, რომ მეორე შემთხვევაში კაპიტალიზმის განვითარება და საწარმოო ძალების განვითარება უფრო ფართო და ს წ რ ა ფ ი იქნებოდა, ვიდრე საგლეხო რეფორმის მემამულეთა მეთაურობით განხორციელების დროს *. მხოლოდ კარიკატურულ მარქსისტებს, როგორც მათ ასურათებდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ნაროდნიკები, შეეძლოთ გლეხების 1861 წელს უმიწოდ დატოვება კაპიტალისტური განვითარების საწინდრად ჩაეთვალათ. პირიქით, ის იქნებოდა — და მართლაც აღმოჩნდა —

* ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეში» (1900 წლის მაისი — ივნისი) ამის გამო ვწერდი: ...«რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები განთავისუფლების დროს და რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო სწრაფად, უფრო ფართოდ და უფრო თავისუფლად განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში, მით უფრო მაღალი იქნებოდა მოსახლეობის საარსებო დონე, მით უფრო ფართო იქნებოდა შინაური ბაზარი, მით უფრო სწრაფად გამოიყენებდნენ მანქანებს წარმოებაში, ერთი სიტყვით, მით უფრო დაემსგავსებოდა რუსეთის ეკონომიური განვითარება ამერიკის ეკონომიურ განვითარებას. აღვნიშნავ მხოლოდ ორ გარემოებას, რომელიც, ჩემი აზრით, ადასტურებს ამ უკანასკნელი შეხედულების სისწორეს: 1) ჩვენში მიწის სიმცირისა და გამოსაღებთა სიმძიმის ნიადაგზე მეტად მნიშვნელოვან რაიონში განვითარდა კერძომფლობელობითი მეურნეობის შრომამიგების სისტემა, ე. ი. ბატონყმობის პირდაპირი ნაშთი, და სრულიადაც არა კაპიტალიზმი; 2) სახელდობრ ჩვენს განაპირა მხარეებში, სადაც ბატონყმობა ან სულ არ იყო, ანდა ყველაზე სუსტი იყო, სადაც გლეხებს ყველაზე ნაკლებად აწუხებთ მიწის სიმცირე, შრომამიგება, გამოსაღების სიმძიმე, — იქ ყველაზე უფრო მეტად განვითარდა კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში». (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 740 — 741. რ ე დ.)

საწინდარი კ ა ბ ა ლ უ რ ი, ე. ი. ნახევრადბატონყმური იჯარისა და შრომამიგების, ე. ი. საბატონო, მეურნეობისა, რამაც არაჩვეულებრივად შეაფერხა კაპიტალიზმის განვითარება და საწარმოო ძალების ზრდა რუსეთის მიწათმოქმედებაში. გლეხთა და მემამულეთა ინტერესების ბრძოლა არ იყო «სახალხო წარმოებისა» თუ «შრომითი საწყისის» ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ (როგორც წარმოდგენილი ჰქონდათ და წარმოუდგენიათ ჩვენს ნაროდნიკებს), — ეს იყო ბრძოლა ბურჟუაზიული განვითარების ამერიკული ტიპისათვის, წინააღმდეგ იმავე ბურჟუაზიული განვითარების პრუსიული ტიპისა.

და რუსეთის იმ ადგილებში, სადაც არ იყო ბატონყმობა, სადაც მიწათმოქმედებას მთლიანად ან უმთავრესად ხელს ჰკიდებდა თავისუფალი გლეხი (მაგალითად, რეფორმის შემდეგ დასახლებულ ადგილებში: ზავოლჟიეს, ნოვოროსიის, ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე), საწარმოო ძალთა განვითარება და კაპიტალიზმის განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ბატონყმობის ნაშთებით დამძიმებულ ცენტრში *.

მაგრამ თუ რუსეთის სამიწათმოქმედო ცენტრი და მისი სამიწათმოქმედო განაპირა მხარეები გვიჩვენებენ იმ ადგილების, ასე ვთქვათ, სივრცობრივ ანუ გეოგრაფიულ დანაწილებას, სადაც ამა თუ იმ ტიპის აგრარული ევოლუცია ჭარბობს, ორთავე ევოლუციის ძირითადი ნიშნები ნათლად ჩანან აგრეთვე ყ ვ ე ლ ა იმ ადგილას, სადაც მემამულური და გლეხური მეურნეობა ერთიმეორის გვერდით არსებობს. ნაროდნიკული ეკონომიის ერთერთი ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ აგრარული კაპიტალიზმის წყაროდ მხოლოდ და მხოლოდ მემამულური მეურ-

* განაპირა მხარეების მნიშვნელობაზე რუსეთში, როგორც საკოლონიზაციო ფონდისა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, მე ვრცლად მაქვს მოთხრობილი «კაპიტალიზმის განვითარებაში». (სპბ. 1899 წ., გვ. 185, 444 და სხვ. მრავ.) (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 289—290, 664, 701—706. რ ე დ.) მათ მნიშვნელობაზე სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამის საკითხში ქვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

ნეობა მიაჩნდათ, ხოლო გლეხურ მეურნეობას «სახალხო წარმოების» და «შრომითი საწყისის» თვალთახედვით განიხილავდნენ (ასე იქცევიან ახლაც ტრუდოვიკები, «სახალხო სოციალისტები» და სოციალისტ-რევოლუციონერები). ჩვენ ვიცით, რომ ეს სწორი არ არის. მემამულური მეურნეობის ევოლუცია კაპიტალისტურად ხდება: იგი შრომამიგებას თანდათან ცვლის «ნებით დაქირავებული შრომით», სამმინდვროვან სისტემას — ინტენსიური კულტურით და ძველ მამაპაპურ გლეხურ ინვენტარს — სამესაკუთრეო ეკონომიის გაუმჯობესებული იარაღებით. გლეხური მეურნეობის ევოლუციაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ა დ ხდება, გამოჰყოფს რა სოფლის ბურჟუაზიას და სოფლის პროლეტარიატს. რაც უფრო უკეთესია «თემის» მდგომარეობა, რაც უფრო მაღალია გლეხობის კეთილდღეობა საზოგადოდ, მით უ ფ რ ო ჩ ქ ა რ ა მიმდინარეობს გლეხობის ეს დაშლა კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ანტაგონისტურ კლასებად. მაშასადამე, ყველგან გვაქვს აგრარული ევოლუციის ორი ნაკადი. გლეხთა და მემამულეთა ინტერესების ბრძოლა, რომელიც წითელ ზოლად გადის რუსეთის რეფორმისშემდგომ მთელ ისტორიაში და ჩვენი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ საფუძველს შეადგენს, არის ბრძოლა ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ამა თუ იმ ტიპისათვის.

როდესაც ნათლად გავიგებთ ამ ტიპების განსხვავებას და ო რ ი ვ ე ს ბურჟუაზიულ ხასიათს, მხოლოდ მაშინ შევძლებთ რუსეთის რევოლუციაში მიწის საკითხის სწორად განმარტებას და იმ სხვადასხვა აგრარული პროგრამების კლასობრივი მნიშვნელობის გაგებას, რომლებსაც სხვადასხვა პარტიები აყენებენ *. ვიმეორებთ: ბრძოლის მთავარი საგანია ბა-

* თუ როგორი არევ-დარევა ბატონობს ხშირად რუს სოციალ-დემოკრატთა თავში რუსეთის ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი გზის საკითხზე, ამას პ. მასლოვის მაგალითი გვიჩვენებს. «ობრაზოვანიეში» (1907, № 3) ის აღნიშნავს ორ გზას: 1) «განვითარებადი კაპიტალიზმი»; 2) «ამაო ბრძოლა ეკონომიურ განვითარებასთან». «პირველ გზას», —

ტონყმური ლატიფუნდიები. მათი კაპიტალისტური ევოლუცია სრულიად უდავოა, მაგრამ იგი შესაძლებელია ორი სახით: მათი რევოლუციურად მოცილება, მოსპობა გლეხ-ფერმერების მიერ, და მათი თანდათანობით გადაქცევა იუნკრულ მეურნეობებად (დამონებული გლეხის დამონებულ «კნეხტად» სათანადო გადაქცევით).

## 6. აგრარული პროგრამების ორი ხაზი რევოლუციაში

თუ ჩვენ ახლა ზემომოხაზულ ეკონომიურ საფუძველს დავუპირისპირებთ სხვადასხვა კლასების მიერ რევოლუციაში წამოყენებულ აგრარულ პროგრამებს, ერთბაშად დავინახავთ ამ პროგრამების ორ ხაზს, აგრარული ევოლუციის აღნიშნული ორი ტიპის შესაბამისად.

ავიღოთ სტოლიპინის პროგრამა, რომელსაც მემარჯვენე მემამულეები და ოქტიაბრისტები იზიარებენ. ეს არის აშკარა მემამულური პროგრამა. მაგრამ შეიძლება განა ითქვას, რომ

---

თურმე ნუ იტყვით, — «მუშათა კლასი და მასთან ერთად მთელი საზოგადოება სოციალიზმისაკენ მიჰყავს; მეორე გზა მუშათა კლასს ხელში (!) უგდებს ბურჟუაზიას (!), ითრევს მას მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის გამართულ ბრძოლაში, საიდანაც მუშათა კლასი, დამარცხებათა გარდა, ვერაფერს გამოიტანს» (გვ. 92). ჯერ-ერთი, «მეორე გზა» ცარიელი ფრაზაა, ოცნებაა და არა გზა; ეს არის ყალბი იდეოლოგია და არა განვითარების ნამდვილი შესაძლებლობა. მეორე, მასლოვს ვერ შეუნიშნავს, რომ სტოლიპინსაც და ბურჟუაზიასაც გლეხობა მიჰყავთ კაპიტალისტური გზით, — მაშასადამე, რეალური ბრძოლა წარმოებს არა კაპიტალიზმის გამო, არამედ კაპიტალისტური განვითარების ტიპის გამო. მესამე, ეს აშკარა სისულელეა, თითქოს რუსეთში შესაძლებელია რაიმე გზა, რომელიც მუშათა კლასს ბურჟუაზიის ბატონობას არ «უმორჩილებდეს»... მეოთხე, ასეთივე სისულელეა ისიც, თითქოს არსებობდეს ისეთი «გზა», რომელზეც ბრძოლა არ იყოს წვრილსა და მსხვილ მესაკუთრეთა შორის. მეხუთე, მასლოვი საერთო-ევროპული კატეგორიების (წვრილი და მსხვილი მესაკუთრეები) საშუალებით ჩქმალავს რუსეთის ისტორიულ თავისებურებას, რაც უდიდეს როლს ასრულებს ამა თუ იმ რევოლუციაში: წვრილ ბურჟუაზიულ და მსხვილ ფეოდალურ მესაკუთრეთა შორის ბრძოლას.

ის ეკონომიური აზრით რეაქციულია, ე. ი. რომ ის გამორიცხავს ან ცდილობს გამორიცხოს კაპიტალიზმის განვითარება? არ დაუშვას ბურჟუაზიული აგრარული ევოლუცია? არავითარ შემთხვევაში. პირიქით, სტოლიპინის ცნობილი აგრარული კანონმდებლობა, გამოცემული 87-ე მუხლის მიხედვით, სავსებით გამსჭვალულია წმინდაბურჟუაზიული სულით. ის, ყოველ ეჭვს გარეშე, მიდის კაპიტალისტური ევოლუციის გზით, აადვილებს, ბიძგს აძლევს ამ ევოლუციას, აჩქარებს გლეხობის ექსპროპრიაციას, თემის დაშლას, გლეხური ბურჟუაზიის შექმნას. ეს კანონმდებლობა, უეჭველად, პროგრესულია მეცნიერულ-ეკონომიური აზრით.

მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატებმა «მხარი დაუჭირონ» მას? არა. ასე შეიძლება იმსჯელოს მხოლოდ ვულგარულმა მარქსიზმმა, რომლის თესლს ასე უხვად აბნევენ პლეხანოვი და მენშევიკები, რომელნიც ჭიკჭიკებენ, გოდებენ, მოუწოდებენ და ღაღადებენ: მხარი უნდა დავუჭიროთ ბურჟუაზიას მის ბრძოლაში ძველი წესწყობილების წინააღმდეგო. არა. საწარმოო ძალთა განვითარების (საზოგადოებრივი პროგრესის ამ უმაღლესი კრიტერიუმის) გულისთვის ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ არა მემამულური ტიპის ბურჟუაზიულ ევოლუციას, არამედ გლეხური ტიპის ბურჟუაზიულ ევოლუციას. პირველი ნიშნავს კაბალისა და ბატონყმობის (ბურჟუაზიულად გარდაქმნილის) რაც შეიძლება მეტად შენარჩუნებას, საწარმოო ძალთა რაც შეიძლება ნაკლები სიჩქარით განვითარებას და კაპიტალიზმის განვითარების შენელებას, ნიშნავს გლეხობის ფართო მასების და, მაშასადამე, მასთან ერთად პროლეტარიატის განუზომლად მეტ უბედურებას და ტანჯვას, ექსპლოატაციას და ჩაგვრას. მეორე ნიშნავს საწარმოო ძალთა რაც შეიძლება სწრაფ განვითარებას და გლეხთა მასის არსებობის საუკეთესო პირობებს (როგორიც კი შესაძლებელია საერთოდ სასაქონლო წარმოების ვითარებაში). სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა რუ-

სეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში განისაზღვრება არა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერის ამოცანით, როგორც ოპორტუნისტები ფიქრობენ, არამედ მებრძოლი გლეხობისათვის მხარდაჭერის ამოცანით.

ავიღოთ ლიბერალური ბურჟუაზიის, ე. ი. კადეტების პროგრამა. ერთგული რჩებიან რა დევიზისა: «რას ინებებთ?» (ე. ი. რას ინებებენ ბატონი მემამულეები), პირველ სათათბიროში მათ წამოაყენეს ერთი, ხოლო მეორეში — სხვა პროგრამა. პროგრამების ცვლა მათთვის ისეთივე ადვილი და უმნიშვნელო საქმეა, როგორც ევროპის ბურჟუაზიის ყველა უპრინციპო კარიერისტისათვის. პირველ სათათბიროში ძლიერი ჩანდა რევოლუცია, — ლიბერალურმა პროგრამამ მისგან ნაციონალიზაციის პატარა ნაჭერი გადმოიღო («მიწის საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდი»). მეორე სათათბიროში ძლიერი ჩანდა კონტრრევოლუცია, — ლიბერალურმა პროგრამამ შორს გადაისროლა მიწის სახელმწიფოებრივი ფონდი და პირი იბრუნა მტკიცე გლეხური საკუთრების სტოლიპინური იდეისაკენ, გააძლიერა და გააფართოვა მემამულეთა მიწის იძულებითი გასხვისების საერთო წესიდან გამონაკლისის შემთხვევები. მაგრამ ლიბერალების ამ ორპირობას ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს სხვა რამ: ის პრინციპული საფუძველი, რომელიც ს ა ე რ თ ო ა ლიბერალური აგრარული პროგრამის ო რ ი ვ ე «ს ა ხ ი ს ა თ ვ ი ს». მათი ეს პრინციპული საერთო საფუძველია — 1) გამოყიდვა; 2) მემამულურ მეურნეობათა შენარჩუნება; 3) მემამულეთა პრივილეგიების შენარჩუნება რეფორმის განხორციელების დროს.

გამოყიდვა არის ხარკი, რომელიც ეკისრება საზოგადოებრივ განვითარებას, ხარკი ბატონყმური ლატიფუნდიების მფლობელთა სასარგებლოდ. გამოყიდვა არის ექსპლოატაციის ბატონყმური ხერხების ბიუროკრატიული, პოლიციური წესით უზრუნველყოფილი რეალიზაცია ბურჟუაზიული «საყოველთაო ეკვივალენტის» სახით. შემდეგ, მემამულურ მეურნეობათა შენარჩუნება ა მ ა თ უ ი მ ზომით კადეტების ორივე

პროგრამაში ჩანს, თუმცა ძალიან ცდილობენ ბურჟუაზიული პოლიტიკანები დაუმალონ ხალხს ეს ფაქტი. მესამე — მემამულეთა პრივილეგიები რეფორმის გატარების დროს — სრული სიცხადით გამოხატულია კადეტების დამოკიდებულებაში ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების არჩევნებისადმი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ჩვენ აქ არ შეგვიძლია ამას დაწვრილებით შევეხოთ *, — ამაზე სხვა ადგილას გვექნება ლაპარაკი. ჩვენ აქ უნდა გამოვარკვიოთ მხოლოდ კადეტების აგრარული პროგრამის ხ ა ზ ი. ამ მხრივაც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების შემადგენ-

---

* იხ. I სათათბიროს ოქმები, მე-14 სხდომა, 1906 წლის 24 მაისი, სადაც კადეტები კოკოშკინი და კოტლიარევსკი ოქტიაბრისტ (მაშინდელ ოქტიაბრისტ) გეიდენთან ხელიხელჩაკიდებულნი უსაზიზღრესი სოფიზმებით უარყოფენ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების იდეას. II სათათბიროში: კადეტ საველიევის მელაკუდობა (მე-16 სხდომა, 1907 წლის 26 მარტი) და კადეტ ტატარინოვის აშკარა ბრძოლა ადგილობრივი კომიტეტების იდეის წინააღმდეგ (24-ე სხდომა, 1907 წლის 9 აპრილი, სტენოგრაფიული ანგარიშის 1783 გვ.). გაზეთ «რეჩში» № 82 შესანიშნავი მოწინავეა 1906 წლის 25 მაისს, გადაბეჭდილი მილიუკოვის მიერ («გოდ ბორბი», № 117, გვ. 457 — 459). აი გადამწყვეტი ადგილი ამ გადაცმული ოქტიაბრისტისა: «ჩვენ ვფიქრობთ, რომ საყოველთაო კენჭისყრით ამ კომიტეტების შედგენა იქნებოდა მათი მომზადება ადგილებზე მიწის საკითხის არა მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად, არამედ რაღაც სულ სხვა რამესთვის. რეფორმის საერთო მიმართულების ხელმძღვანელობა სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს... ადგილობრივ კომისიებში წარმოდგენილ უნდა იქნას, რაც შეიძლება თანაბრად (sic!) (— ასეა! რ ე დ.), მხარეთა ის ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესები, რომელთა მორიგება შესაძლებელია განზრახული რეფორმის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეულახავად და ისე, რომ ის ცალმხრივი ძალმომრეობის აქტად არ იქცეს...» (გვ. 459). კადეტური «აგრარული საკითხის» მეორე ტომში ბ-ნი კუტლერი ბეჭდავს თავის კანონპროექტს, რომელიც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს მემამულეთა და მოხელეთა ს ი ჭ ა რ ბ ე ს გლეხების მიმართ ყ ვ ე ლ ა, მთავარ, საგუბერნიო და სამაზრო საადგილმამულო კომისიასა და კომიტეტში (გვ. 640 — 641), ხოლო ბ-ნი ა. ჩუპროვი — «ლიბერალი»! — პრინციპულად იცავს გლეხების მოტყუების იმავე საზიზღარ მემამულურ გეგმას (გვ. 33).

ლობის საკითხს კარდინალური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს შეუძლიათ თავი მოიტყუონ კადეტების ლოზუნგის სიტყვებით: «იძულებითი გასხვისება». საქმე ის არის, ვინ ვის აიძულებს: მემამულეები გლეხებს (სამმაგად მეტი იხადონ ქვიშნარებში), თუ გლეხები მემამულეებს? კადეტების სიტყვები «ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესთა თანაბარ წარმომადგენლობაზე» და «ცალმხრივი ძალმომრეობის» არასასურველობაზე ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს საქმის არსს, სახელდობრ იმას, რომ კადეტური იძულებითი გასხვისებით მემამულეები «აიძულებენ» გლეხებს!

კადეტების აგრარული პროგრამა სტოლიპინის, ე. ი. მემამულური ბურჟუაზიული პროგრესის ხაზით მიდის. ეს ფაქტია. ამ ფაქტის გაუგებლობა ძირითადი შეცდომაა იმ სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც, ზოგიერთი მენშევიკის მსგავსად, მზად არიან კადეტური აგრარული პოლიტიკა უფრო პროგრესულად მიიჩნიონ, ვიდრე ნაროდნიკული.

ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობის წარმომადგენლებს, ე. ი. ტრუდოვიკებს, სოციალ-ნაროდნიკებს და ნაწილობრივ ესერებს, ორივე სათათბიროში, მიუხედავად მათი მრავალგზისი მერყეობისა და ბორძიკისა, მემამულეთა წინააღმდეგ გლეხობის ინტერესების დაცვის საკითხში ნათელი ხაზი ჰქონდათ. მაგალითად არის მერყეობა გამოყიდვის საკითხში, რაც დაშვებულია ტრუდოვიკების პროგრამაში, მაგრამ, ჯერ-ერთი, ამას ხშირად ისე განმარტავენ, როგორც შრომის უნარმოკლებულ მემამულეებზე საზოგადოებრივ მზრუნველობას *; მეორე, II სათათბიროს ოქმებში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ გლეხთა მთელი რიგი მეტად დამახასიათებელი სიტყვები, სადაც უარყოფილია გამოყიდვა და აღია-

* შეადარეთ «სბორნიკ «იზვესტიი კრესტიანსკიხ დეპუტატოვ» და «ტრუდოვოი როსსიი»». სპბ., 1906 — პირველი სათათბიროს ტრუდოვიკების საგაზეთო სტატიების კრებული, მაგალითად, სტატია: «საზღაური და არა გამოყიდვა» (გვ. 44 — 49) და მრავალი სხვა.

რებულია ლოზუნგი: მთელი მიწა მთელ ხალხს *. ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების საკითხში, — ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში იმის შესახებ, ვინ ვის აიძულებს, — გლეხთა დეპუტატები ამ კომიტეტების საყოველთაო კენჭისყრით არჩევის იდეის მამამთავარნი და მომხრენი არიან.

ჩვენ ჯერ არ ვეხებით, ერთი მხრივ, ტრუდოვიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების, ხოლო მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის შინაარსის საკითხს. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის უდავო ფაქტი, რომ აგრარული პროგრამები ყ ვ ე ლ ა იმ პარტიისა და კლასისა, რომლებიც აშკარად გამოვიდნენ რუსეთის რევოლუციაში, ცხადად იყოფა ო რ ძირითად ტიპად, ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი ტიპის შესაბამისად. «მემარჯვენე» და «მემარცხენე» აგრარული პროგრამების გამმიჯნავი ხაზი გადის არა ოქტიაბრისტებსა და კადეტებს შორის, როგორც ხშირად ფიქრობენ სრულიად შეცდომით მენშევიკები (რომლებიც თავს იბრუებენ «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» სიტყვების რახარუხით და პარტიების სახელწოდების ანალიზით ცვლიან კლასობრივ ანალიზს). გამმიჯნავი ხაზი გადის კადეტებსა და ტრუდოვიკებს შორის. ამ ხაზს განსაზღვრავს რუსი საზოგადოების იმ ო რ ი ძ ი რ ი თ ა დ ი კ ლ ა ს ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი, რომლებიც მიწის გამო იბრძვიან: მემამულეებისა და გლეხობისა. კადეტები ინარჩუნებენ მემამულურ მიწათმფლობელობას და იცავენ მიწათმოქმედების კულტურულ, ევროპულ, მაგრამ ამავე დროს მ ე მ ა მ უ ლ უ რ

* შეადარეთ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე გლეხის პეტროჩენკოს სიტყვა II სათათბიროში (1907 წლის 5 აპრილის 22-ე სხდომა): კუტლერი კარგ პირობებს აყენებდაო... «რა თქმა უნდა, მან, როგორც მდიდარმა კაცმა, ძვირად დააფასა, ხოლო ჩვენ, ღარიბ გლეხებს, ამდენის გადახდა არ შეგვიძლია» (გვ. 1616). მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე გლეხი იმ ბურჟუაზიულ პოლიტიკანზე უ ფ რ ო მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ა, რომელსაც ლიბერალად მოაქვს თავი. შეადარეთ აგრეთვე უ პ ა რ ტ ი ო გლეხის სემინონვის სიტყვა (1907 წლის 12 აპრილი), რომელიც გაჟღენთილია სტიქიურ-რევოლუციური გლეხური ბრძოლის სულისკვეთებით, და მრავალი სხვა.

ბურჟუაზიულ ევოლუციას. ტრუდოვიკები (და სოციალ-დემოკრატი მუშათა დეპუტატები), ე. ი. გლეხობის წარმომადგენლები და პროლეტარიატის წარმომადგენლები, იცავენ მიწათმოქმედების გ ლ ე ხ უ რ ბურჟუაზიულ ევოლუციას.

საჭიროა სასტიკად გავარჩიოთ აგრარული პროგრამების იდეური სამოსელი, მათი სხვადასხვა პოლიტიკური დეტალები და სხვ., ამ პროგრამების ეკონომიური საფუძვლისაგან. ახლა ძნელი ის კი არ არის, რომ გავიგოთ როგორც მემამულეთა, ისე გ ლ ე ხ თ ა საადგილმამულო მოთხოვნებისა და პროგრამების ბურჟუაზიული ხასიათი: ეს სამუშაო უკვე შეასრულეს მარქსისტებმა რევოლუციამდე, და რევოლუციამაც დაადასტურა ის. სიძნელე ის არის, რომ სრული ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს იმაში, თუ რა უდევს საფუძვლად ორი კლასის ბრძოლას ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ბურჟუაზიული ევოლუციის ნ ი ა დ ა გ ზ ე. ამ ბრძოლას, როგორც კანონზომიერ საზოგადოებრივ მოვლენას, ვერ გავიგებთ, თუ ის კაპიტალისტური რუსეთის ეკონომიური განვითარების ობიექტურ ტენდენციებს არ მივუყენეთ.

ახლა, როცა ცხადვყავით რუსეთის რევოლუციაში ორი ტიპის აგრარული პროგრამების კავშირი ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორ ტიპთან, უნდა გადავიდეთ საკითხის ახალი, მეტად მნიშვნელოვანი, მხარის განხილვაზე.

## 7. რუსეთის მიწის ფართობი. კოლონიზაციის საკითხი

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეკონომიური ანალიზი გვაიძულებს რუსეთის კაპიტალიზმის საკითხში გავარჩიოთ სამიწათმოქმედო ცენტრი, უხვი ბატონყმური ნაშთებით, — და განაპირა მხარეები, სადაც ეს ნაშთები სულაც არ არის ან სუსტად არის წარმოდგენილი, სადაც გვაქვს ნიშნები თავისუფალი გლეხური კაპიტალისტური ევოლუციისა.

როგორ უნდა გვესმოდეს განაპირა მხარეები? — ცხადია, როგორც დაუსახლებელი, ან არასავსებით დასახლებული მი-

წები, ჯერ კიდევ არასავსებით ჩაბმული სამიწათმოქმედო კულტურაში. და ჩვენ ახლა ევროპული რუსეთიდან უნდა გადავიდეთ მთელი რუსეთის იმპერიაზე, რათა ზუსტად წარმოვიდგინოთ, როგორია ეს «განაპირა მხარეები» და როგორია მათი ეკონომიური მნიშვნელობა.

ბ-ნ პროკოპოვიჩისა და ბ-ნ მერტვაგოს ბროშურაში: «რამდენია მიწა რუსეთში და როგორ ვიყენებთ ჩვენ მას» (მ. 1907) უკანასკნელი დასახელებული ავტორთაგანი ცდილობს შეაჯამოს ყველა ის სტატისტიკური მონაცემები, რაც კი ლიტერატურაში მოიპოვება მ თ ე ლ ი რუსეთის მიწის რაოდენობის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორი სამეურნეო გამოყენება აქვს ყველა ამ ჩვენთვის ცნობილ მიწის ფართობს. თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ბ-ნ მერტვაგოს შეფარდება ცხრილის სახით და თან ვუმატებთ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ 1897 წლის აღწერის მიხედვით (იხ. გვ. 304).

ეს ციფრები თვალსაჩინოდ ხდიან, თუ მიწის რა თვალუწვდენელი სივრცე უკავია რუსეთს და რა ცოტა ვიცით ჩვენ ჯერ განაპირა მხარეების მიწებზე და მათ სამეურნეო მნიშვნელობაზე. ცხადია, დიდი შეცდომა იქნებოდა ეს მიწები დღეს ახლანდელი მათი სახით გამოსაყენებლად ჩაგვეთვალა რუსეთის გლეხობის მიწის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ყველა ასეთ გაანგარიშებას, რაც ხშირად რეაქციულ მწერლებს * სჩვევიათ, არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს. ამ მხრივ სრულიად მართალია ბ-ნი ა. ა. კაუფმანი, რომელსაც სასაცილოდ მიაჩნია თავისუფალი მიწების ძებნა გადასასახ-

* და რეაქციულ დეპუტატებსაც. II სათათბიროში ოქტიაბრისტ ტეტერევენკოს მოჰყავდა ციფრები შჩერბინის გამოკვლევიდან ველიან მხარეში 65 მილიონი დესეტინა მიწის შესახებ და აგრეთვე ციფრები მიწის რაოდენობის შესახებ ალტაის მხარეში — 39 მილიონი დეს. — როგორც საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ მიწების იძულებითი გასხვისება ევროპის რუსეთში საჭირო არ არის. აი ნიმუში ბურჟუასი, რომელიც ცდილობს მებატონე-მემამულეს შეეგუოს, რათა მასთან ერთად სტოლიპინური «პროგრესი» განახორციელოს (II სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშები, სხდომა 39-ე, 1907 წლის 16 მაისი, გვ. 658 — 661).

| | მთელი რუსეთის მიწის ფართობი | | | | | | | | მოსახლეობა 1897 წლის აღწერით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ მიწა | | მათ შორის | | | მათ შორის სახნავი მიწა | | | | |
| | კვადრატული ვერსი ათასობით | დესეტინა მილიონობით | მიწები, რომელთა ფასად ვითარი ცვლები არ არის | ალრიცხული მიწები | სახნავი | სათიბი | ტყეები | სულ | სულ (ათასობით) | ერთ კვადრატულ ვერსზე |
| | | | მილიონი დესეტინა | | | მილიონი დესეტინა | | | | |
| 10 გუბ. პოლონეთის სამეფოსი | 111,6 | 11,6 | — | 11,6 | 7,4 | 0,9 | 2,5 | 10,8 | 9 402,2 | 84,3 |
| 38 გუბ. ვოლგის დასავლეთით | 1 755,6 | 183,0 | — | 183,0 | 93,6 | 18,7 | 34,0 | 146,3 | — | — |
| 12 გუბ. ვოლგის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით | 2 474,9 | 258,0 | — | 258,0 | 22,3 | 7,1 | 132,0 | 161,4 | — | — |
| სულ 50 გუბ. ევროპის რუსეთისა | 4 230,5 | 441,0 | — | 441,0 | 115,9 | 25,8 | 168,0 | 307,7 | 93 442,9 | 22,1 |
| კავკასია | 411,7 | 42,9 | 22,1 | 20,8 | 6,5 | 2,2 | 2,5 | 11,2 | 9 289,4 | 22,6 |
| ციმბირი | 10 966,1 | 1 142,6 | 639,7 | 502,9 | 4,3 | 3,9 | 121,0 | 129,2 | 5 758,8 | 0,5 |
| შუა აზია | 3 141,6 | 327,3 | 157,4 | 169,9 | 0,9 | 1,6 | 8,0 | 10,5 | 7 746,7 | 2,5 |
| სულ აზიის რუსეთი | 14 519,4 | 1 512,8 | 819,2 | 693,6 | 11,7 | 7,7 | 131,5 | 150,9 | — | — |
| სულ რუსეთის იმპერია * | 18 861,5 | 1 965,4 | 819,2 | 1 146,2 | 135,0 | 34,4 | 300,0 | 469,4 | 125 640,0 | 6,7 |

* უფინეთოდ.

ლებლად კვადრატული ვერსების რიცხვის ცნობათა საფუძველზე. სავსებით მართალია ის აგრეთვე, უსათუოდ, როცა აღნიშნავს, რა ცოტაა ახლა რუსეთის განაპირა მხარეებში გადასახლებისათვის გამოსადეგი მიწები, რა უმართებულოა ის აზრი, თითქოს გადასახლებით შეიძლებოდეს რუსეთის გლეხობის მცირემიწიანობის განკურნებაო *.

მაგრამ ლიბერალ ბ-ნ კაუფმანის ეს სწორი მსჯელობა ერთ მეტად არსებით შეცდომას მაინც შეიცავს. ბ-ნი კაუფმანი ასე მსჯელობს: «გადასახლებულთა ახლანდელი შერჩევის, მათი დღევანდელი კეთილდღეობისა და კულტურული დონის პირობებში» (დასახელებული თხზ., გვ. 129) — მიწები რუსეთის გლეხთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გადასახლების საშუალებით უთუოდ არა კმარა. მაშასადამე, — დაასკვნის ის კადეტთა აგრარული პროგრამის დასაცავად — აუცილებელია კერძომფლობელური მიწების იძულებითი გასხვისება ევროპის რუსეთშიო.

ეს ჩვენი ეკონომისტების ჩვეულებრივი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული მსჯელობაა. ეს მსჯელობა ისეთნაირად არის აგებული, რომ ვღებულობთ დასკვნას: გადასასახლებლად გამოსადეგი მიწები რომ საკმაოდ იყოს, ბატონყმური ლატიფუნდიებისათვის შეიძლებოდა ხელიც არ გვეხლო! ბატონ კადეტებს და მათ მსგავს პოლიტიკოსებს, რომლებიც სავსებით გამსჭვალული არიან კეთილმოსურნე მოხელის თვალსაზრისით, პრეტენზია აქვთ კლასებზე, კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა დადგნენ. ბატონყმური ლატიფუნდიები იმიტომ კი არ უნდა მოვსპოთ, რომ ეს ლატიფუნდიები ნიშნავს მილიონობით ადგილობრივი მოსახლეობის ბატონყმურ ექსპლოატაციას, კაბალასა და საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერებას, არამედ იმიტომ, რომ ამჟამად არ შეიძლება მილიონობით ოჯა-

* «აგრარული საკითხი», გამოცემა დოლგორუკოვისა და პეტრუნკევიჩისა, ტ. I, ბ-ნ კაუფმანის სტატია: «გადასახლება და მისი როლი აგრარულ პროგრამაში». შეადარეთ აგრეთვე იმავე ავტორის წიგნი: «გადასახლება და კოლონიზაცია». სპბ. 1905.

ხის გადაკარგვა სადმე ციმბირში ან თურქესტანში! რუსეთის ლატიფუნდიების ბატონყმურ კლასობრივ ხასიათზე კი არ გადააქვთ სიმძიმის ცენტრი, არამედ კლასთა მორიგების შესაძლებლობაზე, გლეხის დაკმაყოფილებაზე მემამულის უწყენინებლად, ერთი სიტყვით, ყბადაღებული «სოციალური მშვიდობის» შესაძლებლობაზე.

ბ-ნი კაუფმანის და რუსეთის ინტელიგენციას შორის მისი აურაცხელი თანამოაზრის მსჯელობა უნდა გადმოატრიალო, რომ ის სწორი გახდეს. რ ა დ გ ა ნ რუსი გლეხი წელში გატეხილია ბატონყმური ლატიფუნდიებით, — ა მ ი ტ ო მ არაჩვეულებრივად ძნელდება მოსახლეობის თავისუფალი დასახლება რუსეთის ტერიტორიაზე და რუსეთის განაპირა მხარეების უამრავი მიწის რაციონალური სამეურნეო გამოყენება. რ ა დ გ ა ნ ბატონყმურ ლატიფუნდიებს რუსი გლეხობა ჩაყენებული ჰყავთ დაბეჩავებულ მდგომარეობაში და შრომამიგებისა და კაბალის საშუალებით ამარადისებენ სამიწათმოქმედო მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ წესებსა და მეთოდებს, — ა მ ი ტ ო მ ძნელდება ტექნიკური პროგრესიც და გლეხთა მასის გონებრივი ამაღლებაც, ძნელდება განვითარება მისი თვითმოქმედებისა, განათლებისა, ინიციატივისა, რაც საჭიროა რუსეთის მიწის მარაგის გაცილებით მეტი რაოდენობის სამეურნეო გამოყენებისათვის, ვიდრე ახლა ვიყენებთ. ვინაიდან ბატონყმური ლატიფუნდიები და კაბალის ბატონობა მიწათმოქმედებაში ნიშნავს აგრეთვე შესაფერ პოლიტიკურ ზედნაშენსაც, სახელმწიფოში შავრაზმელი მემამულის ბატონობას, მოსახლეობის უუფლებობას, ადმინისტრაციაში გურკოლიდვალის მეთოდების გავრცელებასა[74] და სხვ. და სხვ. და ა. შ.

ბატონყმური ლატიფუნდიები რომ რუსეთის სამიწათმოქმედო ცენტრში უაღრესად დამღუპველ გავლენას ახდენენ მთელ სოციალურ წყობილებაზე, მთელ საზოგადოებრივ განვითარებაზე, მიწათმოქმედების მთელ მდგომარეობაზე და გლეხთა მასების მთელ საარსებო დონეზე, ეს საყოველთაოდ

ცნობილია. მე შემიძლია დავჯერდე იმ უდიდესი რუსული ეკონომიური ლიტერატურის დამოწმებას, რომელმაც დაამტკიცა, რომ ცენტრალურ რუსეთში გაბატონებულია შრომამიგების სისტემა, კაბალა, კაბალური იჯარა, «ზამთრობით დაქირავება» და სხვა ასეთი შუასაუკუნეობრივი მშვენიერებანი *.

ბატონყმობის გადავარდნამ ისეთი პირობები შექმნა, რომ მოსახლეობა (როგორც დაწვრილებით ნაჩვენები მაქვს «კაპიტალიზმის განვითარებაში») აქეთ-იქით გ ა რ ბ ო დ ა ნა-ბოლარა-მებატონეთა ამ შეჩვეული ადგილებიდან. ცენტრალური სამიწათმოქმედო ზოლიდან მოსახლეობა გარბოდა სამრეწველო გუბერნიებშიც, დედაქალაქებშიც და ევროპის რუსეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა მხარეებშიც, სადაც სახლდებოდა მანამდე უდაბურ მიწებზე. ბ-ნი მერტვაგო ჩემ მიერ დასახელებულ ბროშურაში, სხვათა შორის, სრული სისწორით აღნიშნავს, მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი მიწის ცნება სწრაფად იცვლებაო:

«თავრიდის ველები» — წერს იგი — «თავისი ჰავითა და წყლის ნაკლებობის გამო ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს უაღრესად ღარიბი და დასამუშავებლად გამოუყენებელი ადგილების რიცხვს მიეკუთვნებიან». ასე ამბობდნენ 1845 წელს ბუნების ისეთი ავტორიტეტიანი დამკვირვებელნი, როგორც აკადემიკოსები ბერი და გელმერსენი. იმ დროს თავრიდის გუბერნიის მოსახლეობას, ერთიორად ნაკლებს, ვიდრე ახლაა, მოჰყავდა 1,8 მილიონი ჩეტვერტი ყოველნაირი პურეული... გავიდა 60 წელი, და გაორკეცებულ მოსახლეობას მოჰყავს 1903 წელს 17,6 მილიონი ჩეტვერტი, ე. ი. თითქმის 10-ჯერ მეტი» (გვ. 24).

ეს სწორია არა მარტო თავრიდის გუბერნიის მიმართ, არამედ ევროპის რუსეთის სამხრეთის და აღმოსავლეთის მთელი რიგი განაპირა მხარეების მიმართაც. სამხრეთის ველიანმა, აგ-

* შეადარეთ «კაპიტალიზმის განვითარება», თავი III, გადასვლა საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე და შრომამიგების სისტემის გავრცელებულობის შესახებ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 204 — 282. რ ე დ.)

რეთვე იმიერვოლგის გუბერნიებმა, რომლებიც 60-იან და 70-იან წლებში პურეულის წარმოების ოდენობაში ჩამორჩებოდნენ შუა-შავნიადაგიან გუბერნიებს, 80-იან წლებში გ ა უ ს წ რ ე ს ამ გუბერნიებს («კაპიტალიზმის განვითარება», გვ. 186) *. მთელი ევროპული რუსეთის მოსახლეობა 1863 წლიდან 1897 წლამდე გაიზარდა 53%-ით, მათ რიცხვში სოფლის მოსახლეობა — 48%-ით, ქალაქისა — 97%-ით, — მაშინ როდესაც ნოვოროსიის, ქვემოვოლგისა და აღმოსავლეთ გუბერნიებში მოსახლეობა ამავე დროის განმავლობაში გაიზარდა 92%-ით, მათ შორის სოფლისა — 87%-ით, ქალაქისა — 134%-ით (იქვე, გვ. 446) **.

«ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — განაგრძობს ბ-ნი მერტვაგო, — რომ ჩვენი მიწის მარაგის სამეურნეო მნიშვნელობის თანამედროვე მოხელური შეფასებაც არანაკლებ მცდარია, ვიდრე ბერისა და გელმერსენის შეფასება თავრიდის გუბერნიისა 1845 წელს» (იქვე).

ეს მართალია. მაგრამ ბ-ნ მერტვაგოს ვერ შეუნიშნავს ბერის შეცდომების, ყველა მოხელური შეფასების შეცდომების წ ყ ა რ ო. ამ შეცდომების წყარო ის არის, რომ, მხედველობაში იღებენ რა ტექნიკისა და კულტურის არსებულ დონეს, ანგარიშს არ უწევენ ამ დონის პროგრესს. ბერმა და გელმერსენმა ვერ გაითვალისწინეს ტექნიკის ცვლილება, რაც შესაძლებელი გახდა ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს დ ა ც ე მ ი ს შ ე მ დ ე გ. და ამჟამადაც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საწარმოო ძალთა უდიდესი აღმავლობა, ტექნიკისა და კულტურის დონის უდიდესი ამაღლება გარდუვალად მოჰყვება ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი ლ ა ტ ი ფ უ ნ დ ი ე ბ ი ს დ ა ც ე მ ა ს ე ვ რ ო პ ი ს რ უ ს ე თ შ ი.

საქმის ამ მხარეს რუსეთში აგრარულ საკითხზე მსჯელობის დროს შეცდომით ბევრი მხედველობიდან უშვებს. რუსეთის უდიდესი საკოლონიზაციო ფონდის ფართოდ გამოყენების პირობას შეადგენს ნამდვილად თავისუფალი, ბატონყმურ

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 290. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 666. რ ე დ.

ურთიერთობათა უღლისაგან სრულიად განთავისუფლებული გლეხობის შექმნა ევროპის რუსეთში. ამჟამად ამ ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუსადეგარია არა იმდენად ამა თუ იმ განაპირა მიწების ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი თვისებების გამო, რამდენადაც საკუთრივ რუსეთის მეურნეობის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი თვისებების გამო, იმ თვისებებისა, რომლებიც ტექნიკას ერთ წერტილზე გაყინვას, მოსახლეობას უუფლებობას, სიბეჩავეს, უმეცრებასა და უმწეობას განუმზადებენ.

აი საქმის ამ მეტად მნიშვნელოვან მხარეს მხედველობიდან უშვებს ბ-ნი კაუფმანი, როდესაც აცხადებს: «წინდაწინვე ვამბობ: არ ვიცი, შეიძლება თუ არა ერთი, სამი ან ათი მილიონის გადასახლებაო» (დასახ. თხზ., გვ. 128). იგი აღნიშნავს მიწის უვარგისობის ცნების პირობითობას. «მლაშე მიწები არათუ უსათუოდ უიმედოა, არამედ გარკვეული ტექნიკური წესების ხმარებით შეიძლება ძალიან ნაყოფიერიც გავხადოთ» (129). თურქესტანში, სადაც ერთ კვადრატულ ვერსზე 3,6 კაცია დასახლებული, «თვალუწვდენი სივრცეები დაუსახლებელი რჩება» (137). «თურქესტანის ბევრი «მშიერი უდაბნოს» ნიადაგი — შუააზიის ცნობილი ლიოსი, საკმაო მორწყვისას, მაღალი ნაყოფიერებით განირჩევა... ისეთი მიწების არსებობაზე, რომლებიც მოსარწყავად გამოსადეგი არიან, საკითხის დასმაც კი არა ღირს: საკმაოა გადასეროთ მხარე რომელი მიმართულებითაც გნებავთ, რომ ნახოთ ასეული წლების წინათ მიტოვებული მრავალი სოფლისა და ქალაქის ნანგრევები, რომლებიც ხშირად ათეული კვადრატული ვერსის სივრცეზე გარშემორტყმული არიან სარწყავი არხებისა და თხრილების ოდესღაც მოქმედი ქსელით, და ლიოსის უდაბნოების საერთო ფართობი, რომელიც ხელოვნურ მორწყვას ელოდება, უეჭველად, მრავალი მილიონი დესეტინაა» (დასახ. თხზ., გვ. 137).

ეს მრავალი მილიონი დესეტინა როგორც თურქესტანში, ისე რუსეთის ბევრ სხვა ადგილას «ელოდება» არა მარტო მორწყვას და ყოველნაირ მელიორაციას, არამედ იმასაც «ელო-

დება», რომ რუსეთის მიწათმოქმედი მოსახლეობა განთავისუფლდეს ბატონყმური ნაშთებისაგან, თავადაზნაურთა ლატიფუნდიების მხრივ ჩაგვრისაგან და სახელმწიფოში შავრაზმული დიქტატურისაგან.

მკითხაობა იმაზე, თუ რუსეთში სახელდობრ რამდენი «უვარგისი» მიწის ვარგისად გადაქცევაა შესაძლებელი, უსარგებლოა. მაგრამ საჭიროა ნათლად შევიგნოთ ის ფაქტი, რასაც რუსეთის მთელი სამეურნეო ისტორია ამტკიცებს და რაც რუსეთის ბურჟუაზიული გადატრიალების დიდ თავისებურებას შეადგენს. რუსეთს აქვს უზარმაზარი საკოლონიზაციო ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისათვის, მისაწვდომი გახდება კულტურისათვის არა მარტო საერთოდ სამიწათმოქმედო ტექნიკის ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად, არამედ აგრეთვე რუსეთის გლეხობის ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლების საქმეში ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთადაც.

ეს გარემოება წარმოადგენს ამერიკულის მსგავსად რუსეთის მიწათმოქმედების ბურჟუაზიული ევოლუციის ეკონომიურ საფუძველს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომელთაც ასე ხშირად იმოწმებენ ჩვენი მარქსისტები მოუფიქრებელი შაბლონური შედარებებისათვის, — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში მთელი ტერიტორია უკვე დაკავებული იყო. სამიწათმოქმედო ტექნიკის ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი ჰქმნიდა მხოლოდ იმ ახალს, რომ შესაძლებელი ხდებოდა შრომისა და კაპიტალის ახალ რაოდენობათა დაბანდება მიწაზე. რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება ისეთ პირობებში ხდება, როცა ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი სამიწათმოქმედო ტექნიკაში და ყოველი ნაბიჯი მოსახლეობის ნამდვილი თავისუფლების განვითარებაში ჰქმნის არა მარტო შრომისა და კაპიტალის დამატებითს დაბანდებათა შესაძლებლობას ძველ მიწებზე, არამედ მრავალი «თვალუწვდენელი», გვერდით მდებარე ახალი მიწების გამოყენების შესაძლებლობასაც.

## 8. I თავის ეკონომიური დასკვნების რეზიუმე

შევაჯამოთ ის ეკონომიური დასკვნები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამის საკითხის გადასინჯვის შესავლად უნდა გამოგვადგეს.

ჩვენ დავინახეთ, რომ აგრარული ბრძოლის დედააზრი ჩვენს რევოლუციაში არის ბატონყმური ლატიფუნდიები. გლეხთა ბრძოლა მიწისათვის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად არის ბრძოლა ამ ლატიფუნდიების მოსპობისათვის. მათი მოსპობა და გლეხობის ხელში სრულად გადასვლა, უეჭველია, რუსეთის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის ხაზზე ძევს. ამ ევოლუციის ასეთი გზა საწარმოო ძალთა ყველაზე უფრო სწრაფი განვითარების, მოსახლეობის მასისათვის შრომის უკეთესი პირობების, კაპიტალიზმის ყველაზე უფრო სწრაფი განვითარების მაჩვენებელი იქნებოდა თავისუფალი გლეხობის ფერმერებად გადაქცევისას. მაგრამ შესაძლებელია მიწათმოქმედების ბურჟუაზიული ევოლუციის მეორე გზაც: მემამულურ მეურნეობათა და ლატიფუნდიების შენარჩუნება მათი ნელი გადაზრდით ბატონყმურ-კაბალური მეურნეობიდან იუნკრულ მეურნეობებად. აგრარული პროგრამების ორ ტიპს, რომლებითაც სხვადასხვა კლასი გამოვიდა რუსეთის რევოლუციაში, საფუძვლად უძევს შესაძლებელი ბურჟუაზიული ევოლუციის სწორედ ეს ორი ტიპი. ამასთან რუსეთის თავისებურება, რომელიც «ამერიკული» ევოლუციის შესაძლებლობის ერთერთი ეკონომიური საფუძველია, უდიდესი საკოლონიზაციო ფონდის არსებობაში მდგომარეობს. თუმცა ეს ფონდი სრულიად არ გამოდგება რუსეთის გლეხობის დასახსნელად ბატონყმური უღლისაგან ევროპის რუსეთში, მაგრამ ის იმდენად უფრო გაფართოვდება და უფრო ხელმისაწვდომი გახდება, რამდენადაც უფრო თავისუფალი იქნება გლეხობა საკუთრივ რუსეთში და რაც უფრო მეტი გაქანება მიეცემა საწარმოო ძალების განვითარებას.

## თავი II

# რსდმ პარტიის აგრარული პროგრამები და მათი შემოწმება პირველი რევოლუციით

გადავიდეთ სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამის განხილვაზე. აგრარულ საკითხზე რუსეთის სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა განვითარების მთავარი ისტორიული მომენტები აღნიშნული მაქვს პირველ პარაგრაფში ბროშურისა: «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა» *. ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმის გარკვევაზე, თუ რა იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინანდელი აგრარული პროგრამების, ე. ი. 1885 და 1903 წლების პროგრამების, შეცდომა.

### 1. რა იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინანდელი აგრარული პროგრამების შეცდომა?

«შრომის განთავისუფლების» ჯგუფის იმ პროექტში, რომელიც 1885 წელს გამოქვეყნდა, აგრარული პროგრამა გადმოცემულია შემდეგნაირად: «რადიკალური გადასინჯვა ჩვენი აგრარული ურთიერთობისა, ე. ი. მიწის გამოყიდვის და გლეხთა საზოგადოებებისათვის მისი გადაცემის პირობებისა. ნადელზე უარის თქმის და თემიდან გამოსვლის უფლების მინიჭება იმ გლეხებისათვის, რომლებიც თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევენ ამას, და სხვ.».

ესაა და ეს. ამ პროგრამის შეცდომა ის კი არაა, თითქოს მასში იყოს მცდარი პრინციპები ან მცდარი კერძო მოთხოვნები. არა. მისი პრინციპები სწორია, ხოლო ერთადერთი კერძო მოთხოვნა, მის მიერ წამოყენებული (ნადელზე უარისთქმის უფლება), იმდენად უდავოა, რომ ის ამჟამად სტოლიპინის თავისებური კანონმდებლობით შესრულებული აღმოჩნდა. ამ პროგრამის შეცდომა მისი აბსტრაქტულობაა, ის, რომ მასში

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 189 — 195. რ ე დ.

არ არის არავითარი კონკრეტული შეხედულება საგანზე. ეს, სწორედ რომ ვთქვათ, პროგრამა კი არა, მეტად ზოგადი მარქსისტული განცხადებაა. რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა ეს შეცდომა დანაშაულად ჩაგვეთვალა პროგრამის შემდგენელთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მუშათა პარტიის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე პირველად აყალიბებდნენ ცნობილ პრინციპებს. პირიქით, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ პროგრამაში ოცი წლით ადრე რუსეთის რევოლუციამდე აღიარებულია საგლეხო რეფორმის საქმის «რადიკალურად გადასინჯვის» აუცილებლობა.

ამ პროგრამის განვითარება თეორიულად უნდა ყოფილიყო იმის გამორკვევა, თუ როგორია ჩვენი აგრარული პროგრამის ეკონომიური საფუძვლები, რას შეიძლება და უნდა ემყარებოდეს რ ა დ ი კ ა ლ უ რ ი გადასინჯვის მოთხოვნა არა-რადიკალურისაგან, რეფორმატორულისაგან განსხვავებით, და ბოლოს, კონკრეტულად უნდა განსაზღვრულიყო ამ გადასინჯვის შინაარსი პროლეტარიატის თვალსაზრისით (რომელიც არსებითად განსხვავდება საერთოდ რადიკალური თვალსაზრისისაგან). პრაქტიკულად პროგრამის განვითარებას მხედველობაში უნდა მიეღო გლეხთა მოძრაობის გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა. მასობრივი — კიდევ მეტი, საერთო-ნაციონალური გლეხური მოძრაობის გამოცდილების გარეშე, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა ვ ე რ გ ა ხ დ ე ბ ო დ ა კონკრეტული, რადგან მხოლოდ თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე გადაწყვეტა საკითხისა, თუ რამდენად დაიშალა უკვე კაპიტალისტურად ჩვენი გლეხობა, რამდენად შესწევს მას ძალა რევოლუციურ-დემოკრატიული გადატრიალებისათვის, — ძალიან ძნელი ან შეუძლებელიც იქნებოდა.

1903 წელსაც, როცა ჩვენი პარტიის II ყრილობამ მიიღო რსდმ პარტიის პირველი აგრარული პროგრამა, არა გვქონია ჩვენ ასეთი გამოცდილება გლეხთა მოძრაობის ხასიათის, სიდიდისა და ძალის შესახებ. გლეხთა აჯანყებანი სამხრეთ რუსეთში 1902 წლის გაზაფხულზე ცალკეულ აფეთქებად

დარჩნენ. ამიტომ გასაგებია სოციალ-დემოკრატების თავდაჭერილობა აგრარული პროგრამის გამომუშავების დროს: ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ამ პროგრამის «შეთხზვა» სულაც არ არის პროლეტარიატის საქმე, ხოლო სახელდობრ რამდენად შეიძლება განვითარდეს გლეხობის მოძრაობა ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, მოძრაობა, რომელიც ღირსია პროლეტარიატის მხარდაჭერისა, ეს ბნელით მოცული რჩებოდა.

1903 წლის პროგრამა ცდაა იმ «გადასინჯვის» შინაარსისა და პირობების კონკრეტული განსაზღვრისა, რომელზეც 1885 წელს სოციალ-დემოკრატები ზოგადად ლაპარაკობდნენ. ეს ცდა — პროგრამის მთავარ პუნქტში: «ჩამონაჭრების» შესახებ — ემყარებოდა იმ მიწების სავარაუდო გამოყოფას, რომლებსაც ბატონყმურ-კაბალური ექსპლოატაციისათვის იყენებდნენ («გლეხებს რომ ჩამოაჭრეს 1861 წელს»), და იმ მიწებისა, რომელთა ექსპლოატაციაც კაპიტალისტურად წარმოებდა. ასეთი სავარაუდო გამოყოფა სრული შეცდომა იყო, რადგან სინამდვილეში გლეხთა მასების მოძრაობა ვერ წარიმართებოდა მემამულეთა განსაკუთრებული თანრიგის მიწების წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ საერთოდ. 1903 წლის პროგრამა ისეთს საკითხს ა ყ ე ნ ებ ს, რომელიც 1885 წელს ჯერ კიდევ არ იყო წამოყენებული, სახელდობრ: საკითხს გლეხთა და მემამულეთა ინტერესების ბრძოლისა აგრარულ ურთიერთობათა იმ გადასინჯვის მომენტში, რომელიც ყველა სოციალ-დემოკრატს გარდუვალად მიაჩნდა. მაგრამ 1903 წლის პროგრამა ამ საკითხს არასწორად სჭრის, რადგან იმის ნაცვლად, რომ ერთიმეორეს დაუპირისპიროს ბურჟუაზიული გადატრიალების განხორციელების თანამიმდევარ-გლეხური და თანამიმდევარ-იუნკრული წესი, პროგრამა ხელოვნურად აშენებს რაღაც საშუალოს. მართალია, აქაც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აშკარა მასობრივი მოძრაობის არარსებობა საშუალებას არ იძლეოდა მაშინ საკითხი გადაჭრილიყო ზუსტი ცნობების სა-

ფუძველზე და არა ფრაზების ან გულუბრყვილო სურვილების ანდა მეშჩანური უტოპიების საფუძველზე, როგორც ამას ესერები სჩადიოდნენ. არავის არ შეეძლო დაბეჯითებით ეთქვა წინდაწინ, თუ რამდენად მოხდა გლეხთა დიფერენციაცია იმის გავლენით, რომ მემამულეები ნაწილობრივ შრომამიგებიდან დაქირავებულ შრომაზე გადავიდნენ. არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, თუ რამდენად დიდი იყო სასოფლო-სამეურნეო მუშების ფენა, რომელიც 1861 წლის რეფორმის შემდეგ გაჩნდა, რამდენად გამოცალკევდნენ მათი ინტერესები გაჩანაგებულ გლეხთა მასის ინტერესებისაგან.

1903 წლის აგრარული პროგრამის ძირითადი შეცდომა ყოველ შემთხვევაში ის იყო, რომ მას არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რის გამო შეიძლება და უნდა გაიშალოს აგრარული ბრძოლა რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პროცესში, — როგორია კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ის ტ ი პ ე ბ ი, რომლებიც ობიექტურად შესაძლებელია ამ ბრძოლაში ა მ ა თ უ ი მ საზოგადოებრივი ძალების გამარჯვების დროს.

## 2. რსდმ პარტიის ახლანდელი აგრარული პროგრამა

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახლანდელი აგრარული პროგრამა, მიღებული სტოკჰოლმის ყრილობაზე, ერთ მნიშვნელოვან საკითხში დიდ ნაბიჯს დგამს წინ წინანდელ პროგრამასთან შედარებით. სახელდობრ: აღიარებს რა მემამულეთა მიწების კონფისკაციას *, ამით სოციალ-დემოკრატიული პარტია გადაჭრით დაადგა გ ლ ე ხ უ რ ი აგრარული რევოლუციის ცნობის გზას. პროგრამის სიტყვები: «მხარს ვუჭერთ რა გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდე»... სავსებით გარკვეულად გამოხატავენ ამ აზრს. კამათში სტოკჰოლმის ყრილობაზე ერთერთი მომხსენებელი, პლეხანოვი, რომელმაც, ჯონთან[75] ერთად,

* პროგრამის ტექსტში (პ. 4) ლაპარაკია კ ე რ ძ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ მიწებზე. პროგრამისადმი დართულ რეზოლუციაში (აგრარული პროგრამის მე-2 ნაწილი) ლაპარაკია მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მიწების კონფისკაციაზე.

მიაღებინა ყრილობას ეს პროგრამა, პირდაპირ ლაპარაკობდა: აუცილებელია უკუვაგდოთ შიში «გლეხური აგრარული რევოლუციისა» (იხ. პლეხანოვის მოხსენება სტოკჰოლმის ყრილობის ოქმებში, მ. 1907, გვ. 42).

იმის აღიარებას, რომ ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუცია საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში განხილულ უნდა იქნას როგორც «გლეხური აგრარული რევოლუცია», თითქოს, ბოლო უნდა მოეღო დიდი უთანხმოებისათვის სოციალ-დემოკრატებს შორის აგრარული პროგრამის საკითხში. ნამდვილად კი უთანხმოებამ თავი იჩინა იმ საკითხში, სოციალ-დემოკრატებმა მხარი უნდა დაუჭირონ მემამულეთა მიწების გლეხებისათვის საკუთრებად დაყოფას, მემამულეთა მიწების მუნიციპალიზაციას თუ მთელი მიწის ნაციონალიზაციას. და ჩვენ, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა უნდა დავადგინოთ ის დებულება, რომელსაც სოციალ-დემოკრატები არაჩვეულებრივად ხშირად ივიწყებენ, ის დებულება, რომ ამ საკითხების სწორად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გლეხური აგრარული რევოლუციის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, საქმე ის კი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიამ უარი თქვას პროლეტარიატის, როგორც განსაკუთრებული კლასის, ინტერესების დამოუკიდებელ განსაზღვრაზე გლეხთა ამ რევოლუციაში. არა. საქმე ისაა, რომ გარკვევით წარმოვიდგინოთ სწორედ გლეხური აგრარული რევოლუციის, როგორც საერთოდ ბურჟუაზიული რევოლუციის ერთერთი სახის, ხასიათი და მნიშვნელობა. ჩვენ არ შეგვიძლია «გამოვიგონოთ» რეფორმის რომელიმე განსაკუთრებული «პროექტი». ჩვენ უნდა შევისწავლოთ კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგარი რუსეთის გლეხური აგრარული გადატრიალების ობიექტური პირობები, გამოვყოთ ამ ობიექტური ანალიზის საფუძველზე ამა თუ იმ კლასების შემცდარი იდეოლოგია ეკონომიური ცვლილებების რეალური შინაარსისაგან, — და განვსაზღვროთ, რას მოითხოვენ ამ რეალური ეკონომიური ცვლილებების ნიადაგზე საწარმოო ძალთა განვითა-

რების ინტერესები და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები.

რსდმ პარტიის ახლანდელ აგრარულ პროგრამაში აღიარებულია (განსაკუთრებული ფორმით) ჩამორთმეული მიწების საზოგადოებრივი საკუთრება (ტყეების, წყლებისა და საგადასახლებო ფონდის ნაციონალიზაცია, კერძომფლობელური მიწების მუნიციპალიზაცია) — «რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების» შემთხვევაში მაინც. «არახელსაყრელი პირობების» შემთხვევაში აღიარებულია მემამულეთა მიწების დ ა ყ ო ფ ა გლეხების საკუთრებად. ყველა შემთხვევაში აღიარებულია, რომ გლეხებსა და საერთოდ წვრილ მიწათმფლობელთ საკუთრებად რჩებათ მათი ახლანდელი მიწები. მაშასადამე, პროგრამაში გათვალისწინებულია ო რ გ ვ ა რ ი მიწათმოწყობა განახლებულ ბურჟუაზიულ რუსეთში: მიწის კერძო საკუთრება და (რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების შემთხვევაში მაინც) საზოგადოებრივი საკუთრება მუნიციპალიზაციისა და ნაციონალიზაციის სახით.

რით ხსნიდნენ პროგრამის ავტორები ამ ორმაგობას? უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად გლეხობის ინტერესებით და მოთხოვნებით, გლეხობასთან განხეთქილების შიშით, პროლეტარიატისა და რევოლუციის წინააღმდეგ გლეხობის ამხედრების შიშით. ა ს ე თ ი საბუთის წამოყენებით პროგრამის ავტორები და მომხრეები დგებოდნენ გლეხური აგრარული რევოლუციის ცნობის ნიადაგზე, პროლეტარიატის მხრივ გლეხთა განსაზღვრული მოთხოვნებისათვის მხარდაჭერის ნიადაგზე. და ამ საბუთს აყენებდნენ პროგრამის ყველაზე უფრო გავლენიანი მომხრეები, ამხ. ჯონის მეთაურობით! ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმაოა გადავხედოთ სტოკჰოლმის ყრილობის ოქმებს.

ამხ. ჯონმა თავის მოხსენებაში პირდაპირ და გადაჭრით წამოაყენა ეს საბუთი. «რევოლუციას გლეხთა სანადელო მიწების ან მემამულეთა ჩამორთმეული მიწების ნაციონალიზაციის ცდა რომ გამოეწვია — ამბობდა იგი, — რა წინადადებასაც

ამხ. ლენინი აყენებს, ასეთ ღონისძიებას კონტრრევოლუციური მოძრაობა მოჰყვებოდა არა მარტო განაპირა მხარეებში, არამედ ცენტრშიც. ჩვენ გვექნებოდა არა ერთი ვანდეა, არამედ გლეხობის საყოველთაო აჯანყება, მიმართული გლეხთა საკუთარი (ხაზგასმა ჯონისაა) სანადელო მიწების განკარგულებაში სახელმწიფოს ჩარევის ცდის წინააღმდეგ, მათი ნაციონალიზაციის ცდის წინააღმდეგ» (სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები, გვ. 40).

ვფიქრობთ, ეს ნათელია? გლეხთა საკუთარი მიწების ნაციონალიზაცია გამოიწვევდა გლეხობის საყოველთაო აჯანყებას! აი სად არის იმის მიზეზი, თუ იქსის პირვანდელი მუნიციპალიზატორული პროექტი, რომლის მიხედვით ერობებს უნდა გადასცემოდა არა მარტო კერძომფლობელური მიწები, არამედ, «თუ შესაძლებელია», მთელი მიწები (ციტატი მომყავს ბროშურაში: «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა» *), რატომ იქნა შეცვლილი მასლოვის მუნიციპალიზატორული პროექტით, რომლითაც იგი გამორიცხავდა გლეხთა მიწებს. მართლაც, როგორ არ უნდა გაუწიო ანგარიში ამ, 1903 წლის შემდეგ აღმოჩენილ, ფაქტს, თითქოს აუცილებელია გლეხთა აჯანყება სრული ნაციონალიზაციის ცდის წინააღმდეგ! როგორ არ უნდა დადგე მაშინ მეორე ცნობილი მენშევიკის, კოსტროვის[76] თვალსაზრისზე, რომელიც სტოკჰოლმში გაიძახოდა:

«გლეხებთან ამით (ნაციონალიზაციით) მისვლა იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩამოიშორო. გლეხთა მოძრაობა ან გვერდს აგვივლის ან ჩვენს წინააღმდეგ წავა, და ჩვენ რევოლუციის გარეთ დავრჩებით. ნაციონალიზაცია ასუსტებს სოციალ-დემოკრატიას, სწყვეტს მას გლეხობას და ამრიგად რევოლუციასაც აუძლურებს» (გვ. 88).

შეუძლებელია ამ არგუმენტაციას დამაჯერებლობა დავუწუნოთ. გლეხურ აგრარულ რევოლუციაში გლეხობის ნების

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 193. რედ.

წინააღმდეგ მისი ს ა კ უ თ ა რ ი მიწების ნაციონალიზაციის ცდა! გასაკვირველი როდია, რომ სტოკჰოლმის ყრილობამ უარყო ეს იდეა, რაკი ჯონსა და კოსტროვს დაუჯერა.

მაგრამ ტყუილად ხომ არ დაუჯერა სტოკჰოლმის ყრილობამ მათ?

ამის შესახებ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ სრულიად რუსეთის ვანდეის[77] საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო, ზედმეტი არ იქნება პატარა ისტორიული ცნობა მოვიყვანოთ.

### 3. მუნიციპალისტების მთავარი საბუთის ცხოვრებით შემოწმება

ჯონისა და კოსტროვის ჩემ მიერ მოყვანილი გადამწყვეტი განცხადებანი გაკეთებულია 1906 წლის აპრილში, ე. ი. პირველი სათათბიროს წინახანებში. მე ვამტკიცებდი (იხ. ჩემი ბროშურა «გადასინჯვის» * შესახებ), რომ გლეხობა ნაციონალიზაციის მომხრეა. მიპასუხებდნენ, რომ გლეხთა კავშირის[78] ყრილობების დადგენილებანი დამამტკიცებელი არაა, რომ ისინი ესერობის იდეოლოგების ზეგავლენის შედეგია, რომ გლეხთა მასა არასოდეს არ გაჰყვება ასეთ მოთხოვნებსო.

მას შემდეგ პირველმა და მეორე სათათბირომ დოკუმენტურად გადაჭრეს ეს საკითხი. გლეხობის წარმომადგენლები რუსეთის ყველა კუთხიდან გამოდიოდნენ პირველ, და, განსაკუთრებით, მეორე სათათბიროში. მხოლოდ «როსსიას»[79] ან «ნოვოე ვრემიას» პუბლიცისტებს თუ შეუძლიათ იმის უარყოფა, რომ გლეხთა მ ა ს ე ბ ი ს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მოთხოვნებმა ორივე ამ სათათბიროში ჰპოვეს გამოხატულება. თითქოს, გლეხთა მიწების ნაციონალიზაციის იდეა საბოლოოდ უნდა დაიმარხოს ახლა, სხვა პარტიების წინაშე გლეხთა დეპუტატების დამოუკიდებლად გამოსვლის შემდეგ? თითქოს, ჯონისა და კოსტროვის მომხრეებს ადვილად შეეძლოთ სათათბიროში გამოეწვიათ გლეხთა დეპუტა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 185 — 223. რ ე დ.

ტების გოდება ნაციონალიზაციის შეუწყნარებლობის შესახებ? თითქოს, სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობენ, მართლაც უნდა «ჩამოეჭრა» რევოლუციისაგან ნაციონალიზაციის მომხრეები, რომლებიც სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციურ ვანდეას იწვევენ?

ნამდვილად კი რაღაც სხვა აღმოჩნდა. პირველ სათათბიროში გლეხთა საკუთარ (ხაზგასმა ჯონისაა) მიწებზე მზრუნველობა სტოლიპინისკომ და გურკომ გამოიჩინეს. ორივე სათათბიროში მიწის კერძო საკუთრებას იცავდნენ უკიდურესი მემარჯვენეები, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, ერთნაირად უარყოფდნენ რა მიწის საზოგადოებრივი საკუთრების ყოველგვარ ფორმას: მუნიციპალიზაციასაც, ნაციონალიზაციასაც და სოციალიზაციასაც. ორივე სათათბიროში გლეხთა დეპუტატები რუსეთის ყველა კუთხიდან ნაციონალიზაციას მიემხრნენ.

ამხ. მასლოვი 1905 წელს წერდა: «მიწის ნაციონალიზაცია, როგორც აგრარული საკითხის გადაჭრის (?) საშუალება, რუსეთში ამჟამად არ შეიძლება აღიარებულ იქნას უწინარეს ყოვლისა» (დაიხსომეთ ეს «უწინარეს ყოვლისა») «იმიტომ, რომ იგი გამოუსწორებლად უტოპიურია. მიწის ნაციონალიზაცია გულისხმობს ყველა მიწის სახელმწიფოს ხელში გადაცემას. მაგრამ განა გლეხები, განსაკუთრებით მეკომური გლეხები, დათანხმდებიან ნებაყოფლობით გადასცენ ვისმეს თავიანთი მიწები?» (პ. მასლოვი: «აგრარული პროგრამების კრიტიკა», მ. 1905, გვ. 20).

ამრიგად, 1905 წელს — ნაციონალიზაცია «უწინარეს ყოვლისა» გამოუსწორებლად უტოპიურია, იმიტომ რომ გლეხები არ დათანხმდებიანო.

1907 წელს, მარტში, იგივე მასლოვი წერდა: «ყველა ნაროდნიკული ჯგუფი (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები) ამა თუ იმ ფორმით მიწის ნაციონალიზაციას ემხრობა» («ობრაზოვანიე», 1907, № 3, გვ. 100).

აი თქვენ ახალი ვანდეაც! აი თქვენ გლეხთა სრულიად რუსეთის აჯანყებაც ნაციონალიზაციის წინააღმდეგ!

მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაფიქრებულიყო იმ სასაცილო მდგომარეობაზე, რომელშიც ჩავარდნენ ის ადამიანები, ვინც წერდა და ლაპარაკობდა გლეხურ ვანდეაზე ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, ორი სათათბიროს გამოცდილების შემდეგ, — იმის მაგივრად, რომ თავისი 1905 წელს ჩადენილი შეცდომის მიზეზები მოეძებნა, პ. მასლოვი ივანე გულმავიწყივით მოიქცა. მან ამჯობინა დ ა ე ვ ი წ უ ნ ა ჩემ მიერ მოყვანილი სიტყვებიც და სტოკჰოლმის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებიც! ეს კიდევ ცოტაა. ისევე ადვილად, როგორც ის 1905 წელს ამტკიცებდა, გ ლ ე ხ ე ბ ი ა რ დ ა თ ა ნ ხ მ დ ე ბ ი ა ნ ო, — ახლა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ს მტკიცება დაიწყო. მოუსმინეთ:

...«ნაროდნიკები, რომლებიც წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებს და იმედებს გამოხატავენ (მოუსმინეთ!), ნაციონალიზაციას უნდა მიმხრობოდნენ» («ობრაზოვანიე», იქვე).

აი ჩვენი მუნიციპალიზატორების მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში! წყვეტდნენ რა ძნელ საკითხს მთელი რუსეთის გლეხობის წარმომადგენელთა პოლიტიკური გამოსვლების წ ი ნ, ისინი წვრილი მესაკუთრეების ს ა ხ ე ლ ი თ ამტკიცებდნენ ერთს, — ხოლო ამ გამოსვლების შ ე მ დ ე გ ორ სათათბიროში იმავე «წვრილი მესაკუთრეების» სახელით პირდაპირ საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

როგორც განსაკუთრებული კურიოზი, უნდა მოვიხსენიოთ, რომ რუსი გლეხების ამ მიდრეკილებას ნაციონალიზაციისადმი მასლოვი ხსნის არა გლეხთა აგრარული რევოლუციის განსაკუთრებული პირობებით, არამედ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი მესაკუთრის ზ ო გ ა დ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი თ. ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ფაქტია:

«წვრილ მესაკუთრეს — ღაღადებს მასლოვი — ყველაზე უფრო მეტად მსხვილი მესაკუთრის კონკურენციისა და ბატონობის, კაპიტალის ბატონობის ეშინია»... ურევთ, ბ-ნო,

მასლოვ! მიწის მსხვილ (ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ) მესაკუთრეს რომ გვერდით კაპიტალის მესაკუთრე ამოუყენო — ეს მეშჩანობის ცრუშეხედულებათა განმეორებას ნიშნავს. გლეხი სწორედ იმიტომ იბრძვის ასე ენერგიულად ბატონყმური ლატიფუნდიების წინააღმდეგ, რომ ის ახლანდელ ისტორიულ მომენტში მიწათმოქმედების თავისუფალი კაპიტალისტური ევოლუციის წარმომადგენელია.

...«რაკი წვრილ მესაკუთრეს არ ძალუძს კაპიტალთან ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე, იგი იმედებს ამყარებს მთავრობის ხელისუფლებაზე, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს წვრილ მესაკუთრეს მსხვილის წინააღმდეგ... თუ რუს გლეხს მთელი საუკუნეების განმავლობაში იმის იმედი ჰქონდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება დაიცავდა მას მემამულეებისა და მოხელეების წინააღმდეგ, თუ საფრანგეთში ნაპოლეონმა, გლეხებზე დაყრდნობით, რესპუბლიკა ჩაახრჩო, ეს იმიტომ შესძლო, რომ გლეხობას ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა» («ობრაზოვანიე», გვ. 100).

დიდებულად მსჯელობს პეტრე მასლოვი! ჯერ-ერთი, თუ რუსი გლეხი ახლანდელ ისტორიულ მომენტში იმავე თვისებებს იჩენს, რასაც ფრანგი გლეხი ნაპოლეონის დროს იჩენდა, მაშინ რა შუაშია აქ მიწის ნაციონალიზაცია? ფრანგი გლეხი ნაპოლეონის დროს არასდროს არ იყო მიწის ნაციონალიზაციის მომხრე და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორღაც უთავბოლოდ გამოგიდით, ბ-ნო მასლოვ!

მეორე, რა შუაშია აქ კაპიტალთან ბრძოლა? ლაპარაკია მიწის გლეხური საკუთრების შედარებაზე მთელი მიწის ნაციონალიზაციასთან, მათ შორის გლეხთა მიწებისაც. ფრანგი გლეხი ნაპოლეონის დროს ფანატიკურად ებღაუჭებოდა წვრილ საკუთრებას, მასში ხედავდა დამცველ ზღუდეს კაპიტალის წინააღმდეგ, ხოლო რუსი გლეხი... ერთხელ კიდევ, სადღაა თქვენს მსჯელობაში კავშირი თავსა და ბოლოს შორის, უპატივცემულესო?

მესამე, როცა მასლოვი მთავრობის ხელისუფლებაზე იმედის დამყარების შესახებ ლაპარაკობს, მას საქმე ისე აქვს

წარმოდგენილი, თითქოს გლეხებს არ ესმოდეთ ბიუროკრატიის მავნეობა, არ ესმოდეთ თვითმმართველობის მნიშვნელობა, ის კი, მოწინავე პეტრე მასლოვი, აფასებს ამას. ეს რაღაც ძალიან გამარტივებული კრიტიკაა ნაროდნიკებისა! საკმაოა გადავათვალიეროთ ტრუდოვიკების ცნობილი აგრარული პროექტი (104-ის პროექტი), რომელიც მათ შეიტანეს როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროში, რომ მასლოვის მსჯელობის (თუ გადაკვრის?) სიყალბე დავინახოთ. პ ი რ ი ქ ი თ, ფაქტები მეტყველებენ, რომ ტრუდოვიკების პროექტში თვითმმართველობის პრინციპები და მიწის საკითხის ბიუროკრატიული გადაწყვეტისადმი მტრული განწყობილება უ ფ რ ო ნ ა თ ლ ა დ არის გამოხატული, ვიდრე სოციალ-დემოკრატიის მასლოვისებურად დაწერილ პროგრამაში! სახელდობრ, ჩვენს პროგრამაში ლაპარაკია მხოლოდ ადგილობრივი ორგანოების არჩევნების «დემოკრატიულ პრინციპებზე», ხოლო ტრუდოვიკების პროექტში (§ 16) პირდაპირ და ზუსტად არის ლაპარაკი ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევაზე «საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით». ეს კიდევ ცოტაა. იმავე პროექტში წამოყენებულია, როგორც ვიცით, სოციალ-დემოკრატების მიერ მოწონებული ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები, რომლებიც ასეთივე კენჭისყრით უნდა იქნან არჩეული და რომლებმაც (§§ 17—20) უნდა მოაწყონ მიწის რეფორმის განხილვა და მოამზადონ ეს რეფორმა. აგრარული რეფორმის ბიუროკრატიულად განხორციელების წესს იცავდნენ კ ა დ ე ტ ე ბ ი და არა ტრუდოვიკები, ლიბერალური ბურჟუები და არა გლეხები. რად დასჭირდა მასლოვს ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების დამახინჯება?

მეოთხე, თავის შესანიშნავ «განმარტებაში», თუ რატომ «უნდა ყოფილიყვნენ ნაციონალიზაციის მომხრენი» წვრილი შესაკუთრენი, მასლოვი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ გლეხს იმედი აქვს, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ხელისუფლება დამიცავსო. ეს პუნქტი განასხვავებს მუნიციპალიზაციას ნაციონალიზაციი-

საგან; აქ — ადგილობრივი ხელისუფლებანი, იქ კი — ცენტრალური ხელისუფლება. ეს მასლოვის ამოჩემებული უსუსური იდეაა, რომელსაც ჩვენ მისი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის მხრივ დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მასლოვი გვერდს უვლის იმ საკითხს, რომელიც მას ჩვენი რევოლუციის ისტორიამ წაუყენა, სახელდობრ საკითხს: რატომ არ ეშინიათ გლეხებს თავიანთი მიწების ნაციონალიზაციისა? ეს არის საკითხის დედააზრი!

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. მასლოვის ამ ცდაში — ახსნას მუნიციპალიზაციისაგან განსხვავებით ტრუდოვიკული ნაციონალიზაციის კლასობრივი საფუძვლები, ყველაზე უფრო პიკანტურია შემდეგი გარემოება. მასლოვი მკითხველს უმალავს, რომ მიწების უშუალო გამგებლობის საკითხი ნაროდნიკებმა აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობებისა სარგებლოდ გადაწყვიტეს! მასლოვის მსჯელობა თემაზე, რომ გლეხი «იმედს» ამყარებს ცენტრალურ ხელისუფლებაზე, — ინტელიგენტური ჭორია გლეხზე და მეტი არაფერი. წაიკითხეთ ორივე სათათბიროში შეტანილი ტრუდოვიკების აგრარული პროექტის § 16. აი ამ პარაგრაფის ტექსტი:

«მიწის საერთო-სახალხო ფონდის გამგებლობა უნდა დაეკისროს ადგილობრივ თვითმმართველობებს, არჩეულთ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, რომლებიც კანონით დაწესებულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებენ».

შეადარეთ ამას ჩვენი პროგრამის შესატყვისი მოთხოვნა: «...რსდმ პარტია მოითხოვს: ...4) კერძომფლობელური მიწების კონფისკაციას, გარდა წვრილი მიწათმფლობელობისა, და მათ გადაცემას დემოკრატიულ საფუძვლებზე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოების (რომლებიც აერთიანებენ — პ. 3 — საქალაქო და სასოფლო ოკრუგებს) განკარგულებაში»...

რა განსხვავებაა აქ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებათა თვალსაზრისით? რით განსხვავდება «გამგებლობა» «განკარგულებისაგან»?

რატომ დასჭირდა მასლოვს, როცა ნაციონალიზაციისადმი ტრუდოვიკების დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს, დაემალა მკითხველებისთვის — და, შეიძლება, თავის თავისთვისაც?— ამ § 16-ის შინაარსი? იმიტომ, რომ ეს § მ თ ლ ი ა ნ ა დ ამსხვრევს მის უაზრო «მუნიციპალიზაციას».

გაეცანით მასლოვის საბუთებს ამ მუნიციპალიზაციის სასარგებლოდ სტოკჰოლმის ყრილობის წინ, წაიკითხეთ ამ ყრილობის ოქმები, — თქვენ ნახავთ უამრავ მითითებას, რომ შეუძლებელია ეროვნებათა დათრგუნვა, განაპირა მხარეების ჩაგვრა, ადგილობრივი ინტერესების განსხვავებისათვის გვერდის ავლა და სხვ. და ა. შ. მე ჯერ კიდევ სტოკჰოლმის ყრილობამდე მივუთითებდი მასლოვს (იხ. ზემოთ «გადასინჯვა», გვ. 18 *), რომ ყ ვ ე ლ ა ამგვარი საბუთი «სრული გაუგებრობაა», რადგან ჩვენი პროგრამით — ვამბობდი მე — უკვე აღიარებულია ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებაც და ფართო ადგილობრივი დ ა ს ა ო ლ ქ ო თვითმმართველობაც. მაშასადამე, ა მ. მხრივ რაიმე დამატებითი «უზრუნველყოფის» გამოგონება ზედმეტი ცენტრალიზაციის, ბიუროკრატიზაციისა და რეგლამენტაციის წინააღმდეგ არც საჭიროა და არც შეიძლება, რადგან ეს ან უშინაარსო იქნება, ანდა შეიძლება გაგებულ იქნას ანტიპროლეტარული, ფედერალისტური, აზრით.

ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ მ ა მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ს ტ ე ბ ს დ ა უ მ ტ კ ი ც ე ს, რ ო მ მ ე მ ა რ თ ა ლ ი ვ ი ყ ა ვ ი.

მასლოვმა ახლა უნდა აღიაროს, რომ ყ ვ ე ლ ა ჯგუფი, რომლებიც გლეხობის ინტერესებს და თვალსაზრისს გამოხატავენ, ნაციონალიზაციას მიემხრო ი ს ე თ ი ფ ო რ მ ი თ, რომ მათ ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებანი და

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 206. რ ე დ.

რწმუნებულებანი არა ნაკლებ აქვთ დაცული, ვიდრე მასლოვს! ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებების ფარგლების განსაზღვრის კანონი ცენტრალურმა პარლამენტმა უნდა გამოსცეს, — მასლოვი ამას არ ამბობს, მაგრამ ფრთებქვეშ არავითარი თავის დამალვა მას აქ არ უშველის, რადგან სხვაგვარი წესის წარმოდგენა არც შეიძლება.

სიტყვები: «გადაეცეს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა შ ი» — უდიდეს არევ-დარევას იწვევს. არავინ უწყის, ვინღაა მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწების მ ე ს ა კ უ თ რ ე! * ხოლო თუ ეს ცნობილი არ არის, მესაკუთრე შეიძლება იყოს მ ხ ო ლ ო დ სახელმწიფო. რაში უნდა მდგომარეობდეს «განკარგულება», როგორია მისი ფარგლები, ფორმები და პირობები, — ისევ-ისე ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ მ ა პარლამენტმა უნდა განსაზღვროს. ეს თავისთავად ცხადია, ხოლო ჩვენი პარტიის პროგრამაში, გარდა ამისა, ცალკე გამოყოფილია «ტყეებიც, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ», და «საგადასახლებო ფონდიც». გასაგებია, რომ მხოლოდ ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია გ ა მ ო ყ ო ს ტყეების მთელი მასიდან «საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის» ტყეები და მიწების მთელი მასიდან «საგადასახლებო ფონდი».

ერთი სიტყვით, მასლოვის პროგრამა, რომელიც ახლა განსაკუთრებით დამახინჯებული სახით ჩვენი პარტიის პროგრამა გახდა, ს რ უ ლ უ ა ზ რ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს, თუ მას ტრუდოვიკების პროგრამას შევადარებთ. გასაკვირველი როდია, რომ მასლოვს ნაციონალიზაციის გამო ლაპარაკი მოუხდა ნაპოლეონის დროის გლეხზედაც კი, ოღონდ როგორმე

* მენშევიკებმა სტოკჰოლმის ყრილობაზე უ ა რ ყ ვ ე ს შესწორება, რომლის მიხედვით სიტყვა: «განკარგულებაში» უნდა შეცვლილიყო სიტყვით: «საკუთრებად» (ოქმები, გვ. 152). მხოლოდ ტ ა ქ ტ ი კ უ რ რ ე ზ ო ლ უ ც ი ა შ ი ა ნათქვამი: «მფლობელობაში», «რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების» შემთხვევაში, რაც უფრო ზუსტად განსაზღვრული სრულიად არ არის.

საზოგადოებისათვის დაემალა, თუ რა სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდით ჩვენ ამ აბნეული «მუნიციპალიზაციის» წყალობით ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლების წინაშე!

ერთადერთი განსხვავება, სრულიად რეალური და უცილობელი, — ეს არის გლეხთა სანადელო მიწებისადმი დამოკიდებულება. ეს მიწები მასლოვმა მხოლოდ იმიტომ გამოყო, რომ «ვანდეის» ეშინოდა. და აღმოჩნდა, რომ I და II სათათბიროს გლეხთა დეპუტატებმა სასაცილოდ აიგდეს მაჩანჩალა სოციალ-დემოკრატების შიში, მხარი დაუჭირეს რა თ ა ვ ი ა ნ თ ი მიწების ნაციონალიზაციას!

მუნიციპალიზაციის მომხრეები ახლა ტრუდოვიკ-გლეხების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ უნდა წავიდნენ და უ მ ტ კ ი ც ო ნ, რომ მათ არ უნდა მოახდინონ თავიანთი მიწების ნაციონალიზაცია. ისტორიის ირონიამ მასლოვს, ჯონს, კოსტროვსა და კომპ. თავს დაატეხა მათივე საბუთები!

## 4. გლეხობის აგრარული პროგრამა

ვცადოთ გავერკვეთ იმ საკითხში (რატომ უნდა დაეჭირათ მხარი ნაციონალიზაციისათვის ყველა იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომლებიც წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებსა და იმედებს გამოხატავდნენ), რომლის წინაშე ასე უმწეოდ ფართხალებდა პ. მასლოვი.

უწინარეს ყოვლისა გავარჩიოთ, თუ რამდენად მართლა გამოხატავს 104-ის, ე. ი. პირველი და მეორე სათათბიროს ტრუდოვიკების, აგრარული პროექტი სრულიად რუსეთის გლეხობის მოთხოვნებს. ამას მოწმობს ორივე სათათბიროში წარმომადგენლობის ხასიათი და იმ პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი, რომელიც «საპარლამენტო» ასპარეზზე გაიშალა მიწის საკითხის გამო სხვადასხვა კლასის ინტერესების გამომხატველთა შორის. მიწის საკუთრების იდეა საერთოდ, გლეხური საკუთრებისა განსაკუთრებით, არათუ უკანა რიგში არ იყო დაყენებული სათათბიროში, არამედ, პირიქით, გარკვეუ-

ლი პარტიები მუდამ წინ აყენებდნენ მას. და მთავრობაც, ბატონ სტიშინსკის, გურკოს, ყველა მინისტრისა და მთელი ოფიციალური პრესის სახით, იცავდა ამ იდეას, რისთვისაც სპეციალურად მიმართავდა გლეხთა დეპუტატებს. მემარჯვენე პოლიტიკური პარტიებიც, დაწყებული «სახელგანთქმული» სვიატოპოლკ-მირსკით II სათათბიროში, მუდამ იმას ჩასჩიჩინებდნენ გლეხებს, მიწის გლეხური საკუთრება დიდი სიკეთეაო. ძალთა ფაქტიური განაწილება ამ საკითხში ისეთი ფართო მონაცემებით გამოისახა, რომ მის სისწორეში ეჭვის შეტანა (კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით) ყოვლად შეუძლებელია. კადეტების პარტიაც I სათათბიროში, როცა ლიბერალები რევოლუციურ ხალხს ძალად თვლიდნენ და ელაციცებოდნენ მას, საყოველთაო ნიაღვარმა მიწის ნაციონალიზაციისაკენ დასძრა. როგორც ცნობილია, კადეტების პირველი სათათბიროს აგრარულ პროექტში გვხვდება «მიწის სახელმწიფო მარაგი», რომელშიც გადადის ყველა გასხვისებული მიწა და აქედან გადაეცემა გრძელვადიან სარგებლობაში. რა თქმა უნდა, რაიმე პრინციპის გამო კი არ წამოუყენებიათ ეს მოთხოვნა კადეტებს I სათათბიროში — სასაცილოცაა კადეტების პარტიის პრინციპულობაზე ლაპარაკი — არა, ეს მოთხოვნა ლიბერალებს გაუჩნდათ, როგორც გლეხთა მასის მოთხოვნათა სუსტი გამოძახილი. გლეხთა დეპუტატებმა უკვე პირველ სათათბიროშივე ერთბაშად დაიწყეს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ჯგუფად გამოყოფა, და «104-ის» აგრარული პროექტი მთავარი და ძირითადი პლატფორმა გახდა მთელი რუსეთის გლეხობისა, რომელიც გამოდიოდა როგორც შეგნებული საზოგადოებრივი ძალა. გლეხთა დეპუტატების სიტყვებმა I და II სათათბიროში, «ტრუდოვიკული» გაზეთების («იზვესტია კრესტიანსკიხ დეპუტატოვ», «ტრუდოვაია როსსია») სტატიებმა ცხადყვეს, რომ 104-ის პროექტი სისწორით გამოხატავს გლეხთა ინტერესებსა და იმედებს. ამიტომ საჭიროა ამ პროექტზე რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

საინტერესოა, სხვათა შორის, თვალი გადავავლოთ იმ დეპუტატების შემადგენლობას, რომლებმაც ხელი მოაწერეს მას. I სათათბიროდან აქ ვხედავთ 70 ტრუდოვიკს, 17 უპარტიოს, 8 გლეხს, რომელთაც არავითარი ცნობები არ მოუციათ თავიანთ პოლიტიკურ მიმართულებაზე, ხუთ კადეტს *, სამ სოციალ-დემოკრატს ** და ერთ ლიტველ-ავტონომისტს. II სათათბიროდან «104-ის» პროექტზე 99 ხელმოწერაა, განმეორებით ხელმომწერთა გამოკლებით კი — 91; ამათგან 79 ტრუდოვიკია, 4 სახალხო სოციალისტი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი, 2 კაზაკთა ჯგუფიდან, 2 უპარტიო, 1 კადეტებზე მემარცხენე (პეტერსონი) და 1 კადეტი (ოდნოკოზოვი, გლეხი). ხელმომწერთა შორის გლეხები ჭარბობენ (II სათათბიროში 91-დან არა ნაკლებ 54-ისა, ხოლო I სათათბიროში 104-დან არა ნაკლებ 52-ისა). ამასთან საინტერესოა, რომ პ. მასლოვის განსაკუთრებული მოლოდინი მეკომურ-გლეხთა შესახებ (ციტატი მოყვანილია ზემოთ ***), რომელნიც არ შეიძლება დაეთანხმონ ნაციონალიზაციასო, აგრეთვე სულ ერთიანად გაბათილებულია ორივე სათათბიროს გლეხთა წარმომადგენლობის მიერ. მაგალითად, პოდოლსკის გუბერნიაში თითქმის ყველა გლეხი — მიწათმოქმედი-მეკომური (1905 წელს 457 134 მეკომური-გლეხი ირიცხებოდა, ხოლო მოთემე სულ იყო 1 630). «104-ის» აგრარულ პროექტს ხელი მოაწერა 13 პოდოლსკელმა (უმეტესად მიწათმოქმედმა გლეხებმა) პირველ სათათბიროში და 10-მა მეორეში! სხვა გუბერნიებიდან, სადაც საკომლო მიწათმფლობელობაა, აღვნიშნავთ ვილნოს, კოვნოს, კიევის, პოლტავის, ბესარაბიისა და ვოლინის გუბერნიებს, რომელთა დეპუტატებმა ხელი მოაწერეს 104-ის პროექტს. განსხვა-

* გაბრ. ზუბჩენკო, ტ. ვოლკოვი და ი. გერასიმოვი — სამივე გლეხი; ექიმი ს. ლოჟკინი და მღვდელი აფანასიევი.

** ანტონოვი, მუშა პერმის გუბერნიიდან, ერშოვი, მუშა ყაზანის გუბერნიიდან და ვ. ჩურუკოვი, მუშა მოსკოვის გუბერნიიდან.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 319—320. რ ე დ.

ვება მიწის ნაციონალიზაციის თვალსაზრისით მეკომურთა და მოთემეთა შორის შეიძლება მნიშვნელოვანი და არსებითი მოეჩვენოთ მხოლოდ ნაროდნიკულ ცრურწმენათა მომხრეებს, — ხოლო ამ ცრურწმენებს, სწორედ რომ ვთქვათ, საერთოდ ძლიერი ლახვარი ჩასცა მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტატების პირველმა გამოსვლამ აგრარული პროგრამით. ნამდვილად მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა გამოწვეულია სრულიადაც არა მიწათმფლობელობის განსაკუთრებული ფორმით და არც გლეხების «თემური ჩვევებითა და ინსტინქტებით», არამედ მთელი იმ წვრილი გლეხური მიწათმფლობელობის (როგორც თემურის, ისე საკომლოს) საერთო პირობებით, რომელიც დაბეჩავებულია ბატონყმური ლატიფუნდიებით.

I და II სათათბიროს დეპუტატთა რიცხვში, რომლებიც 104-ის ნაციონალიზაციის პროექტით გამოვიდნენ, ჩვენ ვხედავთ რუსეთის ყველა კუთხის წარმომადგენლებს, არა მარტო სამიწათმოქმედო ცენტრის და სამრეწველო, არაშავნიადაგიანი გუბერნიების, არა მარტო ჩრდილოეთის (არხანგელსკის, ვოლოგდის — II სათათბიროში), აღმოსავლეთისა და სამხრეთის განაპირა მხარეების (ასტრახანის, ბესარაბიის, დონის, ეკატერინოსლავის, ყუბანის, თავრიდის, სტავროპოლის გუბერნიების და ოლქების), არამედ აგრეთვე მალოროსიის, სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, პოლონეთის (სუვალკის გუბ.) და ციმბირის (ტობოლსკის გუბ.) გუბერნიების წარმომადგენლებს. ცხადია, წვრილი გლეხის დაბეჩავება ბატონყმური მემამულური მიწათმფლობელობით, რაც ყველაზე ძლიერად და უშუალოდ წმინდა-რუსულ სამიწათმოქმედო ცენტრშია გამოხატული, თავს იჩენს მთელ რუსეთში და ყველგან აიძულებს წვრილ მიწათმოქმედთ მხარი დაუჭირონ ბრძოლას მიწის ნაციონალიზაციის სასარგებლოდ.

ამ ბრძოლის ხასიათი წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის აშკარა ნიშნებს ატარებს. ამ მხრივ საჭიროა განსა-

კუთრებით ხაზგასმით აღინიშნოს ის ფაქტი, რომელსაც ჩვენს სოციალისტურ პრესაში ძალიან ხშირად უგულებელყოფენ, სახელდობრ: რომ სოციალისტ-რევოლუციონერების «სოციალიზმმა» საშინელი მარცხი განიცადა გლეხების პირველი გამოსვლისთანავე სრულიად რუსეთის აშკარა პოლიტიკურ ასპარეზზე თავიანთი დამოუკიდებელი აგრარული პროგრამით. ესერების მიწის სოციალიზაციის პროექტს («33-ის» პროექტი I სათათბიროში) მხარი დაუჭირა მოწინავე გლეხ-დეპუტატების მხოლოდ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა მ. უდიდესი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა 1 0 4-ის, ს ა ხ ა ლ ხ ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს პროექტის, მხარეზე აღმოჩნდა, რომელთა პროგრამის შესახებ თვით ესერები ამბობენ — ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ს ტ უ რ ი პროგრამაა.

ესერების «სტატიათა კრებულში» (წიგნის გამომცემლობა «ნაშა მისლ», სპბ. 1907, № 1) ვხვდებით, მაგალითად, ბ-ნ პ. ვიხლიაევის სტატიას: «სახალხო-სოციალისტური პარტია და აგრარული საკითხი». ავტორი აკრიტიკებს ს. ს., სახალხო სოციალისტს, პეშეხონოვს და თვითონ მოჰყავს მისი სიტყვები, რომ «104-ის პროექტი გამოხატავს ჩვენს (სახალხო სოციალისტების) თვალსაზრისს იმაზე, თუ რა გზით შეიძლება მიწის ხელში ჩაგდება» (დასახ. «კრებული», გვ. 81). სოციალისტ-რევოლუციონერები პირდაპირ ამბობენ, რომ 104-ის პროექტი «უარყოფს თემური მიწათსარგებლობის ძირითად პრინციპს», — «ი ს ე ვ ე» (sic!), როგორც სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობა, როგორც 1906 წლის 9 ნოემბრის კანონი (იქვე, გვ. 86; ქვემოთ ცხადვყოფთ, როგორ შეუშალა ხელი ესერებს მათივე ცრურწმენებმა შეეფასებინათ რეალური ეკონომიური განსხვავება ორივე გზისა: სტოლიპინისა და ტრუდოვიკებისა). სოციალისტ-რევოლუციონერები პეშეხონოვის პროგრამულ შეხედულებებში ხედავენ «ანგარებიანი ინდივიდუალიზმის გამოხატულებას» (გვ. 89), «ფართო იდეური ნაკადის გაბინძურებას ინდივიდუალური ჭუჭ-

ყით» (გვ. 91), «ხალხის მასებში ინდივიდუალისტურ და ეგოისტურ მიმდინარეობათა წაქეზებას» (იქვე, გვ. 93).

ყოველივე ეს მართალია. ოღონდ ტყუილად ფიქრობენ ესერები «მაგარი» სიტყვებით მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ საქმის არსი ბატონ პეშეხონოვებისა და კომპ. ოპორტუნიზმი კი არ არის, არამედ წ ვ რ ი ლ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი ს ინდივიდუალიზმია. საქმე ის კი არ არის, რომ პეშეხონოვები აბინძურებენ ესერობის იდეურ ნაკადს, არამედ ის, რომ მ ო წ ი ნ ა ვ ე გ ლ ე ხ-დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ გამოამჟღავნა ნაროდნიკობის ნამდვილი ეკონომიური შინაარსი, წვრილ მიწათმოქმედთა ნამდვილი მისწრაფებანი. ესეროების კრახი გლეხთა მასების ფართო, მართლაცდა სრულიად რუსეთის, წარმომადგენლობის წინაშე გამოსვლისას — აი რა დაგვანახეს I და II სათათბიროში 104-ის აგრარულმა პროექტებმა *.

ემხრობიან რა მიწის ნაციონალიზაციას, ტრუდოვიკები თავიანთ პროექტში მეტად აშკარად ამჟღავნებენ წვრილ მიწათმოქმედთა «ეგოისტურ და ინდივიდუალისტურ» მისწრაფებებს. სანადელო და წვრილ კერძომფლობელურ მიწებს ისინი უტოვებენ ახლანდელ მფლობელთ (104-ის აგრარული პროექტის მე-3 პარაგრაფი) მხოლოდ იმ პირობით, რომ მიღებულ იქნას საკანონმდებლო ზომები, რომელნიც უზრუნველყოფენ «მათ თანდათანობით გადასვლას საერთო-სახალხო საკუთრებად». ნამდვილ ეკონომიურ ურთიერთობათა ენაზე რომ

* მეორე სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ჩანს, რომ სოციალისტ-რევოლუციონერმა მუშენკომ შეიტანა აგრარული პროექტი 105 დეპუტატის ხელმოწერით. სამწუხაროდ, ვერ შევძელი ამ პროექტის შოვნა. სათათბიროს მასალებიდან ჩემს განკარგულებაში იყო მხოლოდ ტრუდოვიკების პროექტი, შეტანილი აგრეთვე მეორე სათათბიროში 104 ტრუდოვიკის ხელმოწერით. ესერების 105-ის პროექტი და ტრუდოვიკების 104-ის ეს ორი პროექტი (I და II სათათბიროსი), მაშასადამე, საუკეთესო შემთხვევაში გვიჩვენებს მხოლოდ ზოგიერთი გლეხი დეპუტატის მერყეობას ნახალხო სოციალისტებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს შორის, მაგრამ არ აბათილებს იმას, რასაც მე ტექსტში ვამბობ.

გადავიტანოთ, ეს ნიშნავს აი რას: ჩვენ გამოვდივართ ნამდვილ მ ე უ რ ნ ე თ ა, ნამდვილ, და არა მხოლოდ ნომინალურ, მიწათ-მოქმედთა ინტერესებიდან, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მათი სამეურნეო საქმიანობა სრულიად თავისუფლად გაიშალოს ნაციონალიზებულ * მიწაზეო. პროექტის მე-9 პარაგრაფი, რომელიც ამბობს, რომ «რიგში უპირატესობა ეძლევა ადგილობრივ მოსახლეობას გარეშეთა წინაშე და მიწათმოქმედს არამიწათმოქმედის წინაშე», ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ წვრილ მეურნეთა ინტერესები პირველ ადგილზე აქვთ წამოყენებული ტრუდოვიკებს. «თანასწორი უფლება მიწის მიმართ» — ეს არის ცარიელი ფრაზა; სახელმწიფო სესხი და დახმარება უნდა მიეცეთ «იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ საკმაო სახსარი მეურნეობის მოსაწყობად ყოველივე იმით, რაც მისთვის აუცილებელიაო» (104-ის აგრარული პროექტის მე-15 პარაგრაფი), ეს უბრალო სურვილებია, ნამდვილად კი აუცილებ-

---

* სხვათა შორის. ა. ფინ-ენოტაევსკის, რომელსაც არა სჯერა გლეხთა კავშირის და საერთოდ გლეხობის ნაციონალიზატორულ მისწრაფებათა სერიოზულობა და შეგნებულობა, მოჰყავს ბ-ნ ვ. გრომანის ჩვენება, რომ გლეხთა ყრილობების დელეგატები «არ ითვალისწინებენ რაიმე ფასის გაღებას მიწისათვის» და ვერც წარმოუდგენიათ, რომ დიფერენციული რენტა მთლიან კოლექტივს უნდა გადაეცეს (ა. ფინი, «აგრარული საკითხი და სოციალ-დემოკრატია», გვ. 69). 104-ის პროექტის მე-7 და მე-14 პარაგრაფები გვიჩვენებენ, რომ ეს აზრი შ ე მ ც დ ა რ ი ა. ამ პარაგრაფებში ტრუდოვიკები ითვალისწინებენ მიწის ფასსაც (მიწის გადასახადი, რომელიც იზრდება ნადელის ზომის მიხედვით) და დიფერენციული რენტის სახელმწიფოს ხელში გადასვლასაც (მიწის «ღირებულების მატების უფლების შეზღუდვა», «რამდენადაც ის დამოკიდებულია არა მათ, მფლობელთა, შრომასა და კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე, — ეს NB! (Nota Bene — დაიხსომეთ. რ ე დ.) ტრუდოვიკები კაპიტალის წინააღმდეგი არ არიან! — არამედ საზოგადოებრივ პირობებზე»). მართალია, საქალაქო და სხვა მიწების შესახებ მე-7 პარაგრაფში ნათქვამია: «ამ ქონებათა საერთო-სახალხო საკუთრებად გადასვლამდე» მფლობელთა უფლებები და სხვ. უნდა შეიზღუდოს. მაგრამ ეს, ალბათ, წამოცდათ: თორემ გამოდის, რომ ტრუდოვიკები რენტას ართმევენ მესაკუთრეებს, მაგრამ რენტას უბრუნებენ საერთო-სახალხო მიწის მფლობელებს, მოიჯარადრეებს!

ლად და გარდუვალად ისინი მოიგებენ, ვისაც ახლა შ ე უ ძ ლ ი ა წელმაგარი მეურნე გ ა ხ დ ე ს, შეუძლია დამონებული მიწათმოქმედიდან თავისუფალ და შეძლებულ მიწათმოქმედად იქცეს. ცხადია, პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს ისეთი ზომების მხარდაჭერას, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად შეუწყობდნენ ხელს იმას, რომ რუსეთში მიწათმოქმედება მებატონე-მემამულეთა და დამონებულ, უმეცრებით, გაჭირვებითა და რუტინით დაბეჩავებულ მიწათმოქმედთა ხელიდან ფერმერების ხელში გადავიდეს. და «104-ის» პროექტი არის მხოლოდ დამონებული გლეხობის შეძლებული ნაწილის თავისუფალ ფერმერებად გადაქცევისათვის ბრძოლის პლატფორმა.

## 5. შუასაუკუნეოობრივი მიწათმფლობელობა და ბურჟუაზიული რევოლუცია

ახლა იბადება კითხვა, არის თუ არა რუსეთის აგრარული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ეკონომიურ პირობებში მატერიალური საფუძვლები, რომლებიც წვრილ მესაკუთრეებს აიძულებენ მოითხოვონ მიწის ნაციონალიზაცია, თუ ეს მოთხოვნაც მხოლოდ ფრაზაა, უბრალო გლეხის მხოლოდ გულუბრყვილო სურვილია, პატრიარქალური მიწათმოქმედის ცარიელი ოცნებაა?

ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, ჯერ უფრო კონკრეტულად უნდა წარმოვიდგინოთ მიწათმოქმედებაში ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების პირობები და შემდეგ ამ პირობებს შევადაროთ კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ის ო რ ი გ ზ ა, რომლებიც შესაძლებელია რუსეთისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

მიწათმოქმედებაში ბურჟუაზიული გადატრიალების პირობებზე, მიწათმფლობელობის ურთიერთობათა თვალსაზრისით, ძალიან რელიეფურად ლაპარაკობს მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» («**Theorien über den Mehrwert**», **II. Band**, 2. **Teil**, **Stuttgart**, 1905) უკანასკნელ ტომში.

არჩევს რა როდბერტუსის შეხედულებებს და გვიჩვენებს რა ამ პომერანიელი მემამულის თეორიის მთელ შეზღუდულობას, «ჩამოთვლის რა დაწვრილებით მისი გონებაჩლუნგობის ყოველ ცალკეულ გამოვლინებას» (II, 1. Teil, S. 256 — 258, erster Blödsinn—sechster Blödsinn des Herrn Rodbertus *), მარქსი გადადის რიკარდოს რენტის თეორიაზე (II, 2. Teil, § 3 b) «რიკარდოს თეორიის ისტორიული პირობები») [80].

«ორივენი — ამბობს მარქსი რიკარდოსა და ანდერსონზე — ორივენი იმ შეხედულებას ემყარებიან, რომელიც კონტინენტზე ძალიან უცნაურად მოჩანს, სახელდობრ, 1) რომ სრულიად არ არსებობს მიწის ისეთი საკუთრება, რომელიც ხელს უშლიდეს კაპიტალის რაიმე დაბანდებას მიწათმოქმედებაში; 2) რომ მიწათმოქმედნი კარგი მიწებიდან გადადიან უცუდესზე. რიკარდო ამ წანამძღვარს აბსოლუტურ მნიშვნელობას ანიჭებს, თუ არ ჩავთვლით განვითარების შეწყვეტებს, რაც მეცნიერებისა და ინდუსტრიის ჩარევით არის გამოწვეული; ანდერსონი კი ამ წანამძღვარს შედარებითს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან უცუდესი ნიადაგი კვლავ უკეთეს ნიადაგად იქცევა ხოლმე; 3) რომ ყოველთვის არის კაპიტალი, ყოველთვის არის კაპიტალის საკმაო მასა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მიწათმოქმედებაში.

რაც შეეხება 1 და 2 პუნქტს, კონტინენტის მცხოვრებთ აუცილებლად ძალიან უცნაურად უნდა ეჩვენოთ ის გარემოება, რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც, მათი წარმოდგენით, ყველაზე უფრო ძლიერ არის დარჩენილი მიწის ფეოდალური საკუთრება, ეკონომისტები — რიკარდო და ანდერსონი — გამოდიან იმ ვარაუდიდან, თითქოს მიწის საკუთრება არ არსებობდეს. ეს გარემოება აიხსნება:

ჯ ე რ-ე რ თ ი, ინგლისის «law of enclosures»-ის (შემოღობვის, ე. ი. სათემო მიწების შემოღობვის კანონი) თავისე-

* — ტომი II, ნაწილი 1, გვ. 256 — 258, ბატონ როდბერტუსის პირველი — მეექვსე უაზრობანი. რ ე დ.

ბურებიდან, რასაც სრულიად არაფერი აქვს საერთო კონტინენტის საერთო მიწების დაყოფასთან;

მ ე ო რ ე, არსად ქვეყნად კაპიტალისტური წარმოება, დაწყებული ჰენრიხ VII ეპოქიდან, ისე შეუბრალებლად არ გასწორებია ტრადიციულ სამიწათმოქმედო წესებს, არსად არ შეუქმნია მას თავისთვის ასეთი სრულყოფილი (ადეკვატური=იდეალურად შესაფერისი) პირობები, არსად ასე არ დაუმორჩილებია ეს პირობები. ინგლისი ამ მხრივ ყველაზე რევოლუციური ქვეყანაა მსოფლიოში. ყველა ისტორიულად მემკვიდრეობით დარჩენილი წესები, იქ, სადაც ისინი მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური წარმოების პირობებს ეწინააღმდეგებოდნენ ან არ შეეფერებოდნენ ამ პირობებს, დაუნდობლად აღგვილ იქნენ: შეცვლილ იქნა არა მხოლოდ სასოფლო დასახლებათა განლაგება, არამედ აღგვილ იქნა თვით ეს დასახლებანიც; აღგვილ იქნა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის საცხოვრებელი შენობები და სამოსახლო ადგილები, არამედ თვით ეს მოსახლეობაც; აღგვილ იქნა არა მხოლოდ მეურნეობის ძველისძველი ცენტრები, არამედ თვით ეს მეურნეობაც. მაგალითად, გერმანელების ეკონომიური წესები განსაზღვრული აღმოჩნდა სათემო (**Feldmarken**) მიწების ტრადიციული ურთიერთობით, სამეურნეო ცენტრების განლაგებით, იმ გარკვეული ადგილებით, სადაც მოსახლეობა იყო თავმოყრილი. ინგლისელების მიწათმოქმედების ისტორიულ წესებს თანდათან ქმნიდა კაპიტალი XV საუკუნიდან დაწყებული. შეერთებულ სამეფოში გავრცელებული ტექნიკური გამოთქმა «**clearing of estates**» (სიტყვასიტყვით=მამულების ანუ მიწების გაწმენდა) არც ერთ კონტინენტურ ქვეყანაში არ გვხვდება. ხოლო რას ნიშნავს ეს «**clearing of estates**»? ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს არც ბინადარ მოსახლეობას, — მას ერეკებოდნენ, — არც არსებულ სოფლებს — მათ მიწასთან ასწორებდნენ, — არც სამეურნეო ნაგებობებს — მათ ანგრევდნენ, — არც სოფლის მეურნეობის არსებულ დარგებს — მათ ერთი დაკვრით

ცვლიდნენ სხვა დარგებით, მაგალითად, სახნავ-სათეს მინდვრებს პირუტყვის საძოვრებად აქცევდნენ, — ერთი სიტყვით, წარმოების არც ერთ პირობას არ ღებულობდნენ იმ სახით, რა სახითაც ისინი ტრადიციულად არსებობდნენ, არამედ ისტორიულად ქ მ ნ ი დ ნ ე ნ ამ პირობებს ისეთი ფორმით, რომ თვითეულ ცალკე შემთხვევაში ეს პირობები კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელი გამოყენების მოთხოვნების შესაფერისი ყოფილიყო. მაშასადამე, ამდენადვე მართლაც ა რ ა რ ს ებ ობ ს მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა, რადგან ეს საკუთრება საშუალებას აძლევს კაპიტალს — ფერმერს — მეურნეობას გაუძღვეს თავისუფლად და იხელმძღვანელოს მხოლოდ და მხოლოდ ფულადი შემოსავლის მიღების ინტერესით. რომელიმე პომერანიელმა მემამულემ, რომელიც მხოლოდ ძველ მამაპაპურ (angestammten) სათემო მიწებზე, მეურნეობის ცენტრებზე, მიწათმოქმედების კოლეგიაზე, და სხვა ასეთებზე ფიქრობს, შეიძლება ამიტომ თავზარდაცემულმა ხელი ხელს შემოკრას სამიწათმოქმედო წესების განვითარებაზე რიკარდოს «არაისტორიული» შეხედულების გამო. მაგრამ ამით ის მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ პომერანიულ და ინგლისურ პირობებს გულუბრყვილოდ ურევს ერთმანეთში. მეორე მხრივ, სრულიადაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ რიკარდო, რომელიც ამ შემთხვევაში ინგლისურ პირობებს ეყრდნობა, ისევე გონებაშეზღუდული იყოს, როგორც პომერანიელი მემამულე, რომელიც მხოლოდ პომერანიულ ურთიერთობათა ფარგლებში აზროვნებს. ვინაიდან ინგლისური პირობები — ერთადერთი პირობებია, რომლებშიც ადეკვატურად (იდეალური სრულყოფით) განვითარდა მიწის თანამედროვე საკუთრება, ე. ი. მიწის საკუთრება, ს ა ხ ე შ ე ც ვ ლ ი ლ ი კაპიტალისტური წარმოებით. ინგლისური თეორია ამ პუნქტში წარმოების თანამედროვე, ე. ი. კაპიტალისტური წესის კლასიკურ თეორიად უნდა ჩაითვალოს. პომერანიული თეორია კი, პირიქით, განვითარებულ პირობებზე მსჯელობს ურთიერთობათა ისტორიულად უფრო დაბალი, ჯერ კიდევ

არა სავსებით ჩამოყალიბებული (არა ადეკვატური) ფორმის თვალსაზრისით» (Seiten * 5—7).

ეს — მარქსის შესანიშნავად ღრმა მსჯელობაა. დაფიქრებულან კი ამაზე ოდესმე ჩვენი «მუნიციპალისტები»?

მარქსი ჯერ კიდევ «კაპიტალის» III ტომში (2. Teil, S. 156) აღნიშნავდა, რომ მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელიც დახვდა ისტორიაში განვითარების გზაზე შემდგარ წარმოების კაპიტალისტურ წესს, აღარ შეეფერება კაპიტალიზმს. კაპიტალიზმი თვითონ იქმნის საადგილმამულო ურთიერთობათა შესაფერ ფორმას ძველი ფორმებიდან — ფეოდალურ-მემამულურიდან, გლეხურ-თემური, კლანური მიწათმფლობელობიდან და სხვ[81]. მოყვანილ ციტატში მარქსი ერთმანეთს უპირისპირებს კაპიტალის მიერ მიწათმფლობელობის იმ ფორმების შექმნის სხვადასხვა წესს, რომლებიც მას შეეფერება. გერმანიაში მიწათმფლობელობის შუასაუკუნეობრივი ფორმების გარდაქმნა ხდებოდა, ასე ვთქვათ, რეფორმატორულად, რუტინასთან, ტრადიციასთან შეგუებით, ბატონყმური მამულების იუნკრულ მეურნეობებად ნელ-ნელა გადაქცევით, უქნარა გლეხების ** რუტინულ ნაკვეთებთან შეგუებით, იმ გლეხებისა, რომელნიც განიცდიდნენ ძნელ გარდამავალ პერიოდს საბატონო სისტემიდან კნეხტსა და გროსბაუერზე. ინგლისში ეს გარდაქმნა მიმდინარეობდა რევოლუციურად, ძალდატანებით, მაგრამ ძალდატანება ხდებოდა მემამულეთა სასარგებლოდ. ძალდატანება ხდებოდა გლეხთა მასებზე, რომელთაც ტანჯავდნენ გადასახადებით, მიერეკებოდნენ სოფლებიდან, ასახლებდნენ; ისინი იხოცებოდნენ და უცხოეთში იხვეწებოდნენ. ამერიკაში ეს გარდაქმნა ხდებოდა ძალდატანებით სამხრეთის შტატების მონათმფლობელური ეკონომიების მიმართ. აქ

---

* — გვერდები. რ ე დ.

** შეადარეთ «Theorien über den Mehrwert», II. Band, 1. Teil, Seite 280: წარმოების კაპიტალისტური წესის პირობა მიწათმოქმედებაში — «უქნარა გლეხის შეცვლა მრეწველით» (Geschäftsmann)[82].

ძალდატანება გამოყენებულ იქნა მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ. მათი მიწები დანაწილებულ იქნა, დაიწყო მსხვილი ფეოდალური მიწის საკუთრების გარდაქმნა წვრილ ბურჟუაზიულ საკუთრებად. ხოლო ამერიკის უამრავი «თავისუფალი» მიწის მიმართ წარმოების ახალი წესისათვის (ე. ი. კაპიტალიზმისათვის) ახალი საადგილმამულო წესების შექმნის ეს როლი შეასრულა «მიწის ხელახალმა გადანაწილებამ», 40-იანი წლების მოძრაობამ რენტის წინააღმდეგ (**Anti-Rent-Bewegung**), კანონმდებლობამ ჰომსტედებზე [83] და სხვ. როცა გერმანელი კომუნისტი გერმან კრიგე 1846 წელს მიწების გამთანაბრებელ გადაყოფას ქადაგებდა ამერიკაში, მარქსმა სასაცილოდ აიგდო ამ ქვაზი-სოციალიზმის ესერული ცრურწმენანი და მეშჩანური თეორია, მაგრამ დ ა ა ფ ა ს ა მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიმართული ამერიკული მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა *, როგორც ისეთი მოძრაობისა, რომელიც პროგრესულად გამოხატავდა ამერიკის საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესებს, კაპიტალიზმის ინტერესებს.

---

* «ვპერიოდ», 1905, № 15 (ივნისი, 7 (20) აპრილი), სტატია: «მარქსი ამერიკული «მიწის ხელახლა გადანაწილების შესახებ»» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 377 — 385. რ ე დ). (მარქსისა და ენგელსის თხზულებათა მერინგისეული კრებულის მეორე ტომი). «ჩვენ სავსებით ვცნობთ, — წერდა მარქსი 1846 წელს, — ამერიკელი ნაციონალ-რეფორმისტების მოძრაობის ისტორიულ კანონზომიერებას. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოძრაობა მიმართულია ისეთი შედეგის მიღწევისაკენ, რომელიც, მართალია, ამჟამად წინ წასწევდა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ინდუსტრიალიზმის განვითარებას, მაგრამ რომელმაც, აუცილებლად, რაკი იგი პროლეტარული მოძრაობის ნაყოფია, როგორც თავდასხმამ მიწის საკუთრებაზე საერთოდ და განსაკუთრებით ამერიკაში ამჟამად არსებულ პირობებში, მისივე საკუთარი შედეგების მეოხებით, უნდა გამოიწვიოს წინსვლა კომუნიზმისაკენ. კრიგე, რომელიც ნიუ-იორკის გერმანელ კომუნისტებთან ერთად მიემხრო რენტის საწინააღმდეგო მოძრაობას (**Anti-Rent-Bewegung**), ამ უბრალო ფაქტს მაღალფარდოვან ფრაზებში ახვევს და თვით მოძრაობის შინაარსს კი არ უკვირდება» [84].

## 6. რატომ უნდა დაეჭირათ მხარი წვრილ მესაკუთრეებს რუსეთში ნაციონალიზაციისათვის?

აღნიშნული თვალსაზრისით შეხედეთ რუსეთის აგრარულ ევოლუციას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

რას წარმოადგენს ჩვენი «დიდი» საგლეხო რეფორმა, გლეხებისაგან მიწების ჩამოჭრა, გლეხების გადასახლება «რიყეზე», სამხედრო ძალის, დახვრეტებისა და ეგზეკუციების საშუალებით ახალი საადგილმამულო წესების შემოღება? ეს არის პირველი მასობრივი ძალადობა გლეხობის მიმართ მიწათმოქმედებაში ახლად გაჩენილი კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ეს არის მემამულური «წმენდა მიწებისა» კაპიტალიზმისათვის.

რას წარმოადგენს სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობა 87-ე მუხლის მიხედვით, კულაკების მიერ თემის ძარცვა-გლეჯის ეს წაქეზება, ძველ საადგილმამულო ურთიერთობათა ეს რღვევა ერთი მუჭა შეძლებულ მეურნეთა სასარგებლოდ მასების ჩქარი გაჩანაგების ფასად? ეს არის გლეხობის მიმართ მასობრივი ძალადობის მეორე დიდი ნაბიჯი კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ეს არის მეორე მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი «წმენდა მიწებისა» კაპიტალიზმისათვის.

ხოლო რას წარმოადგენს მიწის ტრუდოვიკული ნაციონალიზაცია რუსეთის რევოლუციაში?

ეს არის გ ლ ე ხ უ რ ი «წ მ ე ნ დ ა მ ი წ ე ბ ი ს ა» კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს.

ჩვენი მუნიციპალისტების მთელი აბდაუბდის ძირითადი წყარო სწორედ ის არის, რომ მათ არ ესმით რუსეთის ბურჟუაზიული აგრარული გადატრიალების ს ა მ ე უ რ ნ ე ო საფუძველი, ამ გადატრიალების ორი შესაძლებელი სახით: მემამულურ-ბურჟუაზიული და გლეხურ-ბურჟუაზიული სახით. თუ არ «გაიწმინდა» შუასაუკუნეობრივი საადგილმამულო ურთიერთობა და წესები, ნაწილობრივ ფეოდალური, ნაწილობრივ აზიური, ი ს ე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მოხდეს

ბურჟუაზიული გადატრიალება მიწათმოქმედებაში, რადგან კაპიტალმა, — ეკონომიური აუცილებლობის აზრით, — უ ნ დ ა შექმნას თავისთვის ა ხ ა ლ ი საადგილმამულო წესები, შეგუებული თავისუფალი სავაჭრო მიწათმოქმედების ახალ პირობებთან. შუახაუკუნეობრივი ხარახურის ეს «წმენდა» საერთოდ აგრარული ურთიერთობის და პირველ რიგში ძველი მიწათმფლობელობის სფეროში უმთავრესად უნდა შეეხოს მემამულეთა და ნადელიან გლეხთა მიწებს, რადგან როგორც პირველი, ისე მეორეგვარი მიწათმფლობელობა ამჟამად, თავისი ახლანდელი სახით, შეგუებულია შრომამიგების სისტემასთან, საბატონო სისტემის მემკვიდრეობასთან, კაბალასთან, და არა კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგარ თავისუფალ მეურნეობასთან. სტოლიპინური «წმენდა», უეჭველად, რუსეთის პროგრესული კაპიტალისტური განვითარების ხაზით ხდება, მაგრამ ეს წმენდა ერთიანად შეგუებულია მემამულეთა ინტერესებთან: დაე მდიდარმა გლეხებმა სამკეცად გადაუხადონ «საგლეხო» (იგულისხმე: მემამულეთა) ბანკს, — სამაგიეროდ ჩვენ მათ საშუალებას მივცემთ თავისუფლად ძარცვონ თემი, ძალდატანებით გაყვლიფონ მასა, დაამრგვალონ თავიანთი მიწის ნაკვეთები, გაასახლონ ღარიბი გლეხობა, მოშალონ მთელი სოფლების ცხოვრების საფუძვლებიც კი, შექმნან რადაც უნდა დაჯდეს, მიუხედავად ყველაფრისა, თუნდაც ამას მოჰყვეს აურაცხელ «ძველისძველ» ნადელის მქონე მიწათმოქმედთა მეურნეობისა და სიცოცხლის განადგურება, — შექმნან ახალი ჩამონაჭრები, ახალი კაპიტალისტური მიწათმოქმედების საფუძველი. ამ გეზში უსათუოდ არის სამეურნეო აზრი, ის ს წ ო რ ა დ გამოხატავს განვითარების ნ ა მ დ ვ ი ლ მსვლელობას, როგორიც უნდა იყოს ის მემამულეთა ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, როცა ისინი იუნკრები ხდებიან.

როგორია მეორე, გლეხური, გეზი? ან ის ეკონომიურად შეუძლებელია — და მაშინ ყოველგვარი ლაპარაკი გლეხების მიერ მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე, გლეხურ აგრა-

რულ რევოლუციაზე და სხვა — მხოლოდ შარლატნობა ან ცარიელი ოცნებაა. ან ის ეკონომიურად შესაძლოა, იმ პირობით, თუ ბურჟუაზიული საზოგადოების ერთი ელემენტი გაიმარჯვებს ბურჟუაზიული საზოგადოების მეორე ელემენტზე, — და მაშინ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ და ნათლად უნდა დავანახოთ ხალხს ამ განვითარების კონკრეტული პირობები, ძველი სამიწათმფლობელო ურთიერთობის ახლებურად, კაპიტალისტურად გლეხური გარდაქმნის პირობები.

აქ ბუნებრივად იბადება აზრი: სწორედ ეს გლეხური გეზი არის მემამულეთა მიწების გლეხობის საკუთრებად დ ა ყ ო ფ ა. ჩინებულია. მაგრამ ეს საკუთრებად დაყოფა რომ მართლა შეეფერებოდეს მიწათმოქმედების ნამდვილად ახალ, კაპიტალისტურ პირობებს, — საჭიროა, რათა დაყოფა მოხდეს ახლებურად და არა ძველებურად. დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს არა ძველი სანადელო მიწა, რომელიც ასი წლის წინათ იყო განაწილებული გლეხებს შორის მემამულეთა ბურმისტრების ან აზიური დესპოტიის მოხელეების ნებისამებრ, — საფუძვლად უნდა დაედოს თავისუფალი, სავაჭრო მიწათმოქმედების მოთხოვნები. დაყოფა, მან რომ კაპიტალიზმის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, უნდა იყოს დაყოფა ფ ე რ მ ე რ ე ბ ს შორის და არა დაყოფა «უქნარა» გლეხებს შორის, რომელთა უდიდესი უმრავლესობა მეურნეობას ეწევა რუტინის, ტრადიციის მიხედვით, პატრიარქალურ და არა კაპიტალისტურ პირობებთან შეფარდებით. დაყოფა ძველი ნორმების მიხედვით, ე. ი. ძველ, სანადელო, მიწათმფლობელობასთან შეფარდებით, იქნება არა ძველი მიწათმფლობელობის წ მ ე ნ დ ა, არამედ მისი გ ა მ ა რ ა დ ი ს ე ბ ა, — არა გზის განთავისუფლება კაპიტალიზმისათვის, არამედ მისი დ ა მ ძ ი მ ე ბ ა შეუგუებელ და შეგუების უნარმოკლებულ «უქნარა» გლეხთა მასით, რომელთაც არ შეუძლიათ ფერმერები გახდნენ. დაყოფა, იგი რომ პროგრესული იქნეს, უნდა ემყარებოდეს მიწათმოქმედ-გლეხთა ა ხ ა ლ დაშლას, — დაშლას, რომელიც ფერმერებს გამოჰყოფს უვარგისი ხარახური-

საგან. და აი ეს ახალი დაშლა არის სწორედ მიწის ნაციონალიზაცია, ე. ი. მიწის კერძო საკუთრების სრული მოსპობა, მიწაზე მეურნეობის გამართვის სრული თავისუფლება, ძველი გლეხობიდან ფერმერების წარმოშობის თავისუფლება.

. წარმოიდგინეთ თანამედროვე გლეხური მეურნეობა და სანადელო, ე. ი. ძველი გლეხური მიწათმფლობელობის ხასიათი. «გლეხები, გაერთიანებულნი თემის საშუალებით პაწაწა ადმინისტრაციულ-ფისკალურ და მიწათმფლობელურ კავშირებად, ნადელის სიდიდის, გადასახდელთა რაოდენობისა და სხვათა მიხედვით დაქუცმაცებული არიან მთელ რიგ სხვადასხვა თანრიგებად, კატეგორიებად. ავიღოთ თუნდაც სარატოვის გუბერნიის საერობო-სტატისტიკური კრებული; გლეხობა აქ იყოფა შემდეგ თანრიგებად: ნაბოძარნი, მესაკუთრენი, სრული მესაკუთრენი, სახელმწიფოსანნი, სახელმწიფოსანნი თემური მფლობელობით, სახელმწიფოსანნი სამეოთხედო მფლობელობით, სახელმწიფოსანნი საბატონო გლეხებიდან, საუფლისწულონი, სახაზინო მიწების მოიჯარადრეები, უმიწონი, მესაკუთრენი — ყოფილი საბატონო გლეხები, გამოყიდულ სამოსახლოზე მცხოვრებნი, მესაკუთრენი — ყოფილი საუფლისწულონი, მესაკუთრე გლეხები, გადმოსახლებულნი, ნაბოძარნი — ყოფილი საბატონონი, მესაკუთრენი — ყოფილი სახელმწიფოსანნი, გააზატებულნი, არამოღალენი, თავისუფალი მხვნელ-მთესველნი, დროებით ვალდებულნი, ყოფილი საფაბრიკო გლეხები და სხვ., ამას გარდა კიდევ მიწერილი, მოსული და სხვა გლეხები. ყველა ეს თანრიგი განირჩევა ერთიმეორისაგან აგრარული ურთიერთობის ისტორიით, ნადელებისა და გადასახდელთა ოდენობით და სხვ. და სხვ.. თანრიგთა შიგნითაც ყოველ მათგანში აუარებელი განსხვავებაა: ზოგჯერ ერთი და იმავე სოფლის გლეხები იყოფიან ორ სრულებით სხვადასხვანაირ კატეგორიად: «ბატონ № №-ის ნაყმევნი» და «ქ-ნ MM-ის ნაყმევნი». მთელი ეს სიჭრელე ბუნებრივი და აუცილებელი იყო

შუა საუკუნეებში» *. მემამულეთა მიწების ახალი დაყოფა ამ ფეოდალურ მიწათმფლობელობასთან შეფარდებით რომ მოხდეს — სულ ერთია, ერთიან ნორმამდე შევსებით, ე. ი. თანაბრად დაყოფა, ან რაიმე პროპორციულობის დამყარებით ახალსა და ძველს შორის, ანდა როგორმე სხვანაირად, — ეს დაყოფა არათუ არ უზრუნველყოფდა დაყოფილი ნაკვეთების შესაბამობას კაპიტალისტური აგრიკულტურის მოთხოვნებთან, არამედ, პირიქით, აშკარა შეუსაბამობას განამტკიცებდა. ასეთი დაყოფა გააძნელებდა საზოგადოებრივ ევოლუციას, ძველზე მიაკრავდა ახალს, იმის ნაცვლად, რომ ახალი ძველისაგან გაეთავისუფლებინა. ნამდვილი განთავისუფლებაა მხოლოდ მიწის ნაციონალიზაცია, რომელიც საშუალებას იძლევა გამომუშავდნენ ფერმერები, ჩამოყალიბდეს ფერმერული მეურნეობა ძველისაგან დამოუკიდებლად, ყოველი ურთიერთობის გაწყვეტით შუასაუკუნეობრივ სანადელო მიწათმფლობელობასთან.

რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთში გლეხობის შუასაუკუნეობრივ სანადელო მიწებზე კაპიტალისტური ევოლუცია ისე წარმოებდა, რომ პროგრესული სამეურნეო ელემენტები ნადელის განმსაზღვრელი გავლენისაგან თავისუფლდებოდნენ. ერთი მხრივ, თავისუფლდებოდნენ პროლეტარები, რომლებიც ან იჯარით აძლევდნენ სხვებს თავიანთ ნადელებს, ანდა თავს ანებებდნენ, აღარ ამუშავებდნენ მიწას. მეორე მხრივ, თავისუფლდებოდნენ მეპატრონეები, თავისუფლდებოდნენ მიწის შეყიდვის და იჯარით აღების გზით, აწყობდნენ რა ახალ მეურნეობას ძველი, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის სხვადასხვა ნაჭრებიდან. მიწა, რომელზედაც მეურნეობას ეწევა თანამედ-

* «კაპიტალიზმის განვითარება», თავი V, IX: «რამდენიმე შენიშვნა ჩვენი სოფლის წინაკაპიტალისტური ეკონომიკის შესახებ», გვ. 293. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 445 — 446. რედ.)

როვე ცოტად თუ ბევრად შეძლებული რუსი გლეხი, ე. ი. ისეთი, რომელსაც ნამდვილად შეუძლია რევოლუციის გამარჯვების პირობებში თავისუფალი ფერმერი გახდეს, — ეს მიწა ნაწილობრივ შედგება მისივე საკუთარი ნადელისაგან, ნაწილობრივ — მეზობლის — თემის წევრისაგან იჯარით აღებული ნადელისაგან, ნაწილობრივ კი, შეიძლება, ხაზინისაგან გრძელვადიანი იჯარით აღებული მიწისაგან, მემამულისაგან წლიური იჯარით აღებული მიწისაგან, ბანკისაგან ნაყიდი მიწისაგან, და სხვ. კაპიტალიზმი მოითხოვს, რომ თანრიგების ყ ვ ე ლ ა ეს განსხვავება მოისპოს, რომ ყოველგვარი მეურნეობა მიწაზე აგებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ ბაზრის ახალ პირობებთან და მოთხოვნებთან, აგრიკულტურის მოთხოვნებთან შეფარდებით. მიწის ნაციონალიზაცია ამ მოთხოვნას ასრულებს რევოლუციურ-გლეხური მეთოდით, ხალხს ერთბაშად და მთლიანად აცილებს შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ყ ვ ე ლ ა ფორმის მთელ დამპალ ძველმანს. აღარ უნდა იყოს არც მემამულური, **არც სანადელო** მიწათმფლობელობა, უნდა იყოს მხოლოდ ახალი, თავისუფალი მიწათმფლობელობა, — ასეთია რადიკალური გლეხის ლოზუნგი. და ეს ლოზუნგი უაღრესი სისწორით, უაღრესი თანამიმდევრობით და გადაჭრით გამოხატავს კაპიტალიზმის (რომლისგანაც რადიკალური გლეხი გულუბრყვილობის გამო თავს იცავს პირჯვრისწერით) ინტერესებს, სასაქონლო წარმოების დროს მიწის საწარმოო ძალთა რაც შეიძლება მეტად განვითარების ინტერესებს.

ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ პეტრე მასლოვის გონებამახვილობაზე, რომელსაც აგრარული პროგრამის მ თ ე ლ ი განსხვავება ტრუდოვიკული გლეხური აგრარული პროგრამისაგან ძველი, შუასაუკუნეობრივი, სანადელო მიწათმფლობელობის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა მ დ ე დაჰყავდა! გლეხის სანადელო მიწა, — ეს არის გეტო, რომელშიც სული ეხუთება გლეხობას, სურს თავი დააღწიოს მას და თავისუფა-

ლი* მიწისაკენ მიისწრაფის. პეტრე მასლოვი კი, მიუხედავად იმისა, რომ გლეხები მოითხოვენ თავისუფალ, ე. ი. ნაციონალიზებულ, მიწას, ამარადისებს ამ გეტოს, განამტკიცებს ძველს, საუკეთესო მიწებს, რომლებიც მემამულეებს უნდა ჩამოერთვას და საზოგადოებრივ სარგებლობაში გადაიცეს, უქვემდებარებს ძველი მიწათმფლობელობის და ძველი მეურნეობის პირობებს. გლეხი-ტრუდოვიკი — საქმით უაღრესად მტკიცე ბურჟუაზიული რევოლუციონერია, სიტყვით — მეშჩანური უტოპისტია, რომელსაც ჰგონია, რომ მიწის ხელახალი გადანაწილება ჰარმონიისა და ძმობის** გამოსავალი პუნქტია, და არა კაპიტალისტური ფერმერობისა. პეტრე მასლოვი საქმით რეაქციონერია, რომელიც მომავალი კონტრრევოლუციის ვანდეის წინაშე შიშით განამტკიცებს ძველი მიწათმფლობელობის დღევანდელ ანტირევოლუციურ ელემენტებს, ამარადისებს გლეხთა გეტოს, სიტყვით კი მას ენაზე აკერია მოუფიქრებელი, უაზროდ გაზეპირებული სიტყვები ბურჟუაზიული პროგრესის შესახებ. რუსეთის მიწათმოქმედების ნამდვილი თავისუფალ-ბურჟუაზიული და არა სტოლიპინისებურ-ბურჟუაზიული პროგრესის ნამდვილი პირობები მასლოვმა და კომპ. აბსოლუტურად ვერ გაიგეს.

---

* «სოციალისტ-რევოლუციონერმა» ბ-ნმა მუშენკომ, რომელიც II სათათბიროში ყველაზე უფრო სრულად გამოთქვამდა თავისი პარტიის შეხედულებებს, პირდაპირ განაცხადა: «ჩვენ მაღლა ვწევთ მიწის განთავისუფლების დროშას» (1907 წლის 26 მაისი, 47-ე სხდომა, გვ. 1174). ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ამ ვითომდა «სოციალისტური» დროშის არა მხოლოდ კაპიტალისტური რეალური ხასიათი (ამას პეტრე მასლოვიც ხედავს), არამედ ასეთი აგრარული რევოლუციის ეკონომიური პროგრესულობაც სტოლიპინურ-კადეტურთან შედარებით (ამას კი ვერ ხედავს პეტრე მასლოვი).

** შეადარეთ «სახალხო. სოციალისტის» ვოლკ-კარაჩევსკის სიტყვაში გულუბრყვილო გამოთქმა ამ ბურჟუაზიულ-რევოლუციური თვალსაზრისისა «თანასწორობის, ძმობის, თავისუფლების» შესახებ (II სათათბირო, მე-16 სხდომა, 1907 წლის 26 მარტი, გვ. 1077 — 1080).

განსხვავება პეტრე მასლოვის ვულგარულ მარქსიზმსა და კვლევა-ძიების იმ ხერხებს შორის, რომელთაც მარქსი მართლაც იყენებდა, ყველაზე უფრო ნათლად შეიძლება დავინახოთ ნაროდნიკების (მათ შორის ესერებისაც) წვრილბურჟუაზიული უტოპიებისადმი დამოკიდებულებიდან. 1846 წელს მარქსმა დაუნდობლად გამოააშკარავა მეშჩანობა ამერიკელი ესერის, გერმან კრიგესი, რომელიც ამერიკისთვის მიწის ნამდვილი ხელახლა გადანაწილების წინადადებას აყენებდა და ამ გადანაწილებას «კომუნიზმს» უწოდებდა. მარქსის დიალექტიკური და რევოლუციური კრიტიკა ჩენჩოს აშორებდა ამ მეშჩანურ დოქტრინას და «მიწის საკუთრებაზე თავდასხმების» და «რენტის საწინააღმდეგო მოძრაობის» საღ ბირთვს გ ა მ ო ჰ ყ ო ფ დ ა. ჩვენი ვულგარული მარქსისტები კი, აკრიტიკებენ რა «გათანაბრებითს გადაყოფას», «მიწის სოციალიზაციას», «თანასწორ უფლებას მიწის მიმართ», ჯ ე რ დ ე ბ ი ა ნ დოქტრინის უარყოფას და ამით თვითონვე ამეღავნებენ თავიანთ ჩლუნგ დოქტრინიორობას, რომელიც ნაროდნიკული თეორიის მკვდარ დოქტრინაში ვერ ხედავს გლეხური რევოლუციის ცხოველმყოფელობას! მასლოვმა და მენშევიკებმა ეს ჩლუნგი დოქტრინიორობა, რაც გამოხატულია ჩვენს ყველაზე ჩამორჩენილ, შუასაუკუნეობრივი მიწის საკუთრების განმამტკიცებელ «მუნიციპალიზაციის» პროგრამაში, იქამდე მიიყვანეს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით მეორე სათათბიროში შესაძლებელი გახდა ასეთი ჭეშმარიტად სამარცხვინო სიტყვების წარმოთქმა: ...«თუ მიწის გასხვისების წესის საკითხში ჩვენ (სოციალ-დემოკრატები) ამ (ნაროდნიკულ) ფრაქციებთან გაცილებით უფრო ახლო ვდგავართ, ვიდრე სახალხო თავისუფლების ფრაქციასთან, სამაგიეროდ მიწათსარგებლობის ფორმების საკითხში ჩვენ მათგან უფრო შორსა ვართ» (47-ე სხდ., 1907 წლის 26 მაისი, სტენოგრაფიული ანგარიშის 1230 გვ.).

მართლაც, გლეხურ აგრარულ რევოლუციაში მენშევიკები უფრო შორს დგანან რევოლუციური გლეხური ნაციონა-

ლიზაციისაგან და უფრო ახლოს — სანადელო (და არა მარტო სანადელო) საკუთრების ლიბერალურ-მემამულურ შენარჩუნებასთან. სანადელო საკუთრების შენარჩუნება არის დაბეჩავების, ჩამორჩენილობის, კაბალის შენარჩუნება. ბუნებრივია, რომ ლიბერალი მემამულე, ოცნებობს რა მიწის გამოყიდვაზე, თავგამოდებით იცავს სანადელო საკუთრებას*... მემამულური საკუთრების კარგა მოზრდილი ნაწილის შენარჩუნებასთან ერთად! ხოლო სოციალ-დემოკრატს, «მუნიციპალიზატორების» მიერ თავგზააბნეულს, ვერ გაუგია, რომ სიტყვების რახარუხი ჰქრება, საქმე კი რჩება. გათანაბრების, სოციალიზაციისა და სხვათა შესახებ სიტყვების რახარუხი გაქრება, რადგან სასაქონლო წარმოების პირობებში გათანაბრებულობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. მაგრამ ს ა ქ მ ე დარჩება, ე. ი. დარჩება რაც შეიძლება დიდი, კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი, გათიშვა ფეოდალურ სიძველესთან, შუასაუკუნეობრივ სანადელო მიწათმფლობელობასთან, ყველა და ყოველნაირ რუტინასა და ტრადიციასთან. როცა ამბობენ «გათანაბრებითი გადაყოფიდან არაფერი გამოვაო», მარქსისტს უნდა ესმოდეს, რომ ეს «არაფერი» მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ სოციალისტურ ამოცანებს შეეხება, მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ კაპიტალიზმს ეს ვერ

* სხვათა შორის, მენშევიკები (მათ შორის ამხ. წერეთელიც, რომლის სიტყვიდანაც ციტატი მოვიყვანე) დიდად ცდებიან, როცა ფიქრობენ, თითქოს კადეტები რამდენადმე მაინც თანამიმდევრად იცავენ გლეხების თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ საკუთრებას. ეს ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს. კადეტთა პარტიის სახელით ბ-ნმა კუტლერმა მეორე სათათბიროში საკუთრების სასარგებლოდ ილაპარაკა (განსხვავებით კადეტების მიერ პირველ სათათბიროში წარდგენილი პროექტისა სახელმწიფო მიწის მარაგის შესახებ), მაგრამ იმავე დროს თქვა: «პ ა რ ტ ი ა ფ ი ქ რ ო ბ ს შ ე ზ ღ უ დ ო ს მ ა თ ი (გ ლ ე ხ ე ბ ი ს) მ ხ ო ლ ო დ (!) გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი ს ა დ ა დ ა გ ი რ ა ვ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ე. ი. თავიდან აიშოროს მომავალში მიწების ყიდვა-გაყიდვის ფართოდ განვითარება» (მე-12 სხდომა, 1907 წლის 19 მარტი, სტენოგრაფიული ანგარიშის 740 გვ.). ეს ლიბერალად გადაცმული ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ს ა რ ქ ი რ ე ა ქ ც ი უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ა ა.

მოსპობს. მაგრამ ასეთი გადაყოფის ცდებიდან, ასეთი გადაყოფის მარტო იდეიდანაც კი ძალიან ბევრი გამოვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების სასარგებლოდ.

ვინაიდან ეს გადატრიალება შეიძლება მოხდეს ან მემამულეთა უპირატესობით გლეხებზე — ეს კი მოითხოვს ძველი საკუთრების შენარჩუნებას და მის სტოლიპინისებურ რეფორმირებას, მხოლოდ და მხოლოდ მანეთის ძალით. ანდა ის მოხდება მემამულეებზე გლეხების გამარჯვების გზით — ეს კი, კაპიტალისტური ეკონომიის ობიექტური პირობების გამო, შეუძლებელია, თუ არ მოისპო მიწის მთელი შუასაუკუნეობრივი საკუთრება, როგორც მემამულური, ისე გლეხური. ან სტოლიპინის აგრარული რეფორმა, ან გლეხურ-რევოლუციური ნაციონალიზაცია. მხოლოდ ეს გადაწყვეტილებანია ეკონომიურად რეალური. სხვა ყველა საშუალო კი, დაწყებული მენშევიკური მუნიციპალიზაციით და გათავებული კადეტური გამოყიდვით, არის მეშჩანური შეზღუდულობა, დოქტრინის ჩლუნგი დამახინჯება, ცუდი გამონაგონი.

## 7. გლეხები და ნაროდნიკები სანადელო მიწების ნაციონალიზაციის შესახებ

სანადელო მიწების მიმართ კერძო საკუთრების გაუქმება რომ თავისუფალი, ახალ კაპიტალისტურ პირობებთან შეფარდებული, გლეხური მეურნეობის შექმნის პირობაა, ეს სრულიად გარკვევით აქვთ შეგნებული თვითონ გლეხებსაც. ბ-ნ გრომანს, რომელიც ვრცლად და ზუსტად ასწერს გლეხთა ყრილობებზე გამართულ კამათს *, მოჰყავს გლეხის შემდეგი შესანიშნავი აზრი:

* «მასალები გლეხთა საკითხისათვის» (სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის დელეგატთა ყრილობის სხდომების ანგარიში, 1905 წლის 6 — 10 ნოემბერი. ვ. გრომანის შესავალი სტატიით. გამომცემლობა «ნოვი მირ». სპბ. 1905, გვ. 12).

«გამოყიდვის საკითხის განხილვის დროს ერთმა დელეგატმა, როცა დაინახა, რომ მას არსებითად არ ეწინააღმდეგებიან, თქვა: «ამბობდნენ, გამოუყიდავად დაზარალდება ბევრი გლეხი, რომელთაც შრომით შეძენილი ფულით იყიდეს მიწაო. ასეთები ცოტაა, მათ მიწაც ცოტა აქვთ. ი ს ი ნ ი ს ულ ერ თ ი ა მ ი წ ა ს მ ა ი ნ ც მ ი ი ღ ე ბ ე ნ გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს». აი საიდან მომდინარეობს მზადყოფნა როგორც სანადელო, ისე ნაყიდი მიწის საკუთრების უფლებაზე უარისთქმისა».

და ცოტა ქვემოთ (20 გვ.) ბ-ნი გრომანი ამას იმეორებს, როგორც გლეხების საერთო აზრს.

«ს უ ლ ე რ თ ი ა, გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს მ ი ი ღ ე ბ ე ნ ო»! განა ცხადი არ არის, თუ რა ს ა მ ე უ რ ნ ე ო აუცილებლობამ უკარნახა მათ ეს საბუთი? მთელი მიწის, როგორც მემამულეთა, ისე სანადელოსი, ახლად განაწილებას არ შეუძლია მიწათმფლობელობა შეუმციროს გლეხობის ცხრა მეათედს (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ოთხმოცდაცხრამეტ მეასედს); საშიში აქ არაფერია. ეს კი საჭიროა იმიტომ, რომ საშუალებას მისცემს ნამდვილ, ჭეშმარიტ მეურნეებს თავიანთი მიწათსარგებლობა მოაწყონ ახალი პირობების შესაბამისად, კაპიტალიზმის მოთხოვნების (ცალკე მწარმოებელთათვის «ბაზრის ბრძანებათა») შესაბამისად და არ დაემორჩილონ იმ შუასაუკუნეობრივ ურთიერთობას, რომელმაც განსაზღვრა სწორედ სანადელო საკუთრების რაოდენობა, განლაგება და განაწილება.

ბ-ნი პეშეხონოვი, პრაქტიკული და ფხიზელი «სახალხო სოციალისტი» (იგულისხმე: სოციალ-კადეტი), რომელმაც, როგორც დავინახეთ, შესძლო შეგუებოდა სრულიად რუსეთის წვრილ მეურნეთა მასის მოთხოვნებს, კიდევ უფრო გარკვევით გამოხატავს ამ თვალსაზრისს.

«სანადელო მიწები, — წერს იგი, — წარმოების მხრივ ტერიტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, განმტკიცებულია წოდებაზე, კიდევ უარესი: მის წვრილ ჯგუფებზე, ცალკე კომლებსა და სოფლებზე. ამის მეოხებით, სანადელო ფართობის ფარგლებშიც კი გლეხობას, მასობრივად აღებულს, არ შეუძლია თავისუფლად დასახლება... არასწორი, ბ ა ზ რ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ შ ე უ ფ ა რ დ ე ბ ე ლ ი (ეს დაიხსომეთ!) გ ა ნ ლ ა გ ე-

ბა მოსახლეობისა... უნდა მოიხსნას აკრძალვა სახაზინო მიწებზე. უნდა განთავისუფლდეს სანადელო მიწა საკუთრების ხუნდებისაგან, უნდა მოიშალოს ზღუდეები კერძომფლობელურ მიწებზე. უნდა დაუბრუნდეს რუს ხალხს მისი მიწა, და მაშინ იგი მოეწყობა მასზე, როგორც ამას მოითხოვს მისი სამეურნეო საჭიროება» (ა. ვ. პეშეხონოვი: «აგრარული პრობლემა გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით», სპბ. 1906 წ., გვ. 83, 86, 88 — 89. ხაზგასმა ჩვენია).

ნუთუ ცხადი არ არის, რომ ამ «სახალხო სოციალისტის» ბაგეებით ლაპარაკობს ფერმერი, რომელსაც სურს საკუთარ ფეხზე დადგეს? ნუთუ ცხადი არ არის, რომ «სანადელო მიწების განთავისუფლება საკუთრების ხუნდებისაგან» მართლაც აუცილებელია მისთვის ახლად მოსაწყობად, მიწის ნაკვეთების ახლად შესაქმნელად, «ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად», ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედების მოთხოვნების შესაბამისად? ბ-ნი პეშეხონოვი ხომ — ერთხელ კიდევ მოგაგონებთ — იმდენად ფხიზელია, რომ უარყოფს ყოველგვარ სოციალიზაციას, უარყოფს ყოველგვარ შეგუებას სათემო უფლებასთან — ტყუილად კი არ წყევლიან მას, როგორც ინდივიდუალისტს, სოციალისტ-რევოლუციონერები! — უარყოფს გლეხურ მეურნეობაში დაქირავებული შრომის ყოველგვარ აკრძალვას.

სანადელო გლეხური საკუთრებისათვის მხარდაჭერის რეაქციულობა გლეხობის ამნაირ ნაციონალიზატორულ მისწრაფებათა პირობებში სრულიად ცხადი ხდება. ა. ფინი, რომელსაც თავის ბროშურაში ბ-ნ პეშეხონოვის ზოგი ჩვენ მიერ აღნიშნული მსჯელობა მოჰყავს, აკრიტიკებს მას, როგორც ნაროდნიკს და უმტკიცებს გლეხური მეურნეობიდან და თვით გლეხური მეურნეობის შიგნითაც კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას (გვ. 14 და შემდეგნი დასახელებული ბროშურისა). ეს არ არის დამაკმაყოფილებელი კრიტიკა, რადგან ზოგადი საკითხის — კაპიტალიზმის განვითარების საკითხის გამო ა. ფინს მხედველობიდან გამოეპარა სანადელო მიწებზე კაპიტალისტური მიწათმოქმედე-

ბის უფრო თავისუფლად განვითარების პირობების კონკრეტული საკითხი! ა. ფინი სჯერდება მხოლოდ საკითხის დაყენებას კაპიტალიზმის შესახებ საერთოდ და იოლ გამარჯვებას აღწევს უკვე დიდი ხანია დამარცხებულ ნაროდნიკობაზე. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ უფრო კონკრეტულ* საკითხზე: კაპიტალიზმისათვის მიწის «ზღუდეების მოშლის» (ბ-ნ პეშეხონოვის გამოთქმაა), «წმენდის» მემამულურ და გლეხურ ტიპზე.

მეორე სათათბიროში სოციალისტ-რევოლუციონერების ოფიციალურმა ორატორმა, ბ-ნმა მუშენკომ, როცა აგრარულ საკითხზე საბოლოო სიტყვას ამბობდა, ისეთივე გარკვეულობით, როგორც ბ-ნმა პეშეხონოვმა, გამოხატა მიწის იმ ნაციონალიზაციის კაპიტალისტური დედაარსი, რასაც მეშჩანურ სოციალისტებს ნებავთ «სოციალიზაცია», «მიწის მიმართ თანასწორი უფლების» დაწესება და სხვ. უწოდონ.

«სწორი დასახლება, — თქვა ბ-ნმა მუშენკომ, — შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიწა აღარ იქნება შემოღო-

* «ბოლოს და ბოლოს სანამდე შეუძლია მიგვიყვანოს პეშეხონოვის ამ შრომითმა მეურნეობამ?» — აყენებს კითხვას ა. ფინი და სრულიად სამართლიანად უპასუხებს: «კაპიტალიზმამდე» (გვ. 19 დასახ. ბროშურისა). ამ უეჭველი ჭეშმარიტების შემდეგ, რომლის განმარტება მართლაც საჭირო იყო ნაროდნიკისათვის, უნდა განგვეგრძო და გამოგვერკვია კაპიტალიზმის მოთხოვნების გამოვლინების განსაკუთრებული ფორმები გლეხური აგრარული რევოლუციის პირობებში. ამის ნაცვლად ა. ფინი უკან დაბრუნდა: «იბადება კითხვა, — წერს იგი, — რატომ უნდა დავბრუნდეთ უკან, ვიტრიალოთ რაღაც თავისებური გზებით, რათა ბოლოს და ბოლოს კვლავ იმ გზაზე გამოვიდეთ, რომლითაც უკვე მივდივართ? ფუჭი შრომაა ეს, ბ-ნო პეშეხონოვ!» (იქვე). არა, ფუჭი და «ბოლოს და ბოლოს» კაპიტალიზმისაკენ წამყვანი შრომა კი არ არის, არამედ ეს არის შრომა, რომელსაც ყველაზე სწორად, თავისუფლად და ჩქარა მივყავართ კაპიტალიზმის გზით. ა. ფინმა ვერ აწონ-დაწონა რუსეთის მიწათმოქმედების სტოლიპინისებური კაპიტალისტური ევოლუციისა და რუსეთის მიწათმოქმედების გლეხურ-რევოლუციური კაპიტალისტური ევოლუციის შედარებითი თავისებურებანი.

ბილი, როცა ყველა ზღუდე, რაც მიწის კერძო საკუთრების პრინციპის მიხედვით არის შექმნილი, მოიხსნება» (47-ე სხდ., 1907 წლის 26 მაისი, სტენოგრაფიული ანგარიშის 1172 გვ.). სწორედ ასეა! «სწორი» დასახლება ეს არის ის, რასაც მოითხოვს ბაზარი, კაპიტალიზმი. «წესიერი» მეურნეების «სწორ» დასახლებას ხელს უშლის როგორც მემამულური, ისე **სანადელო** მიწათმფლობელობა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დაკვირვება გლეხთა კავშირის დელეგატების განცხადებებზე. ბ-ნი გრომანი დასახელებულ ბროშურაში წერს:

««თემის» ყბადაღებული საკითხი — ეს ქვაკუთხედი როგორც ძველი, ისე ახალი ნაროდნიკობისა — სრულებითაც არ წამოჭრილა და ჩუმად გადაწყდა უარყოფითად: მიწა უნდა იყოს ცალკე პირთა და ამხანაგობათა სარგებლობაშიო, ნათქვამია როგორც პირველი, ისე მეორე ყრილობის რეზოლუციებში» (გვ. 12).

ამრიგად, გლეხებმა ცხადად და გადაჭრით გაილაშქრეს ძველი თემის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირეს თავისუფალ ამხანაგობებს და ცალკეულ პირთა მიწათსარგებლობას. ეს რომ მართლაც მთელი გლეხობის ხმაა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან შრომის ჯგუფის (104-ის) პროექტიც კრინტსაც არა სძრავს თემზე. თემი კი არის სანადელო მიწის მფლობელობის კავშირი!

სტოლიპინი ძალდატანებით სპობს ამ თემს ერთი მუჭა მდიდრების სასარგებლოდ. გლეხობას სურს მოსპოს იგი და შესცვალოს თავისუფალი ამხანაგობებით და «ცალკეულ პირთა» მიწათსარგებლობით ნაციონალიზებულ სანადელო მიწაზე. ხოლო მასლოვი და კომპ. ბურჟუაზიული პროგრესის გულისთვის ეწინააღმდეგებიან სწორედ ამ პროგრესის ძირითად მოთხოვნას და შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას იცავენ. ღმერთო დაგვიხსენ ამგვარი «მარქსიზმისაგან»!

## 8. მ. შანინისა და დაყოფის სხვა მოშმხრეთა შეცდომა

მ. შანინი თავის ბროშურაში * საკითხს ცოტა სხვა მხრივ მიუდგა და მისდაუნებურად მოგვცა კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი მისთვის ესოდენ საძულველი ნაციონალიზაციისა. ირლანდიის მაგალითით, მიწათმოქმედების დარგში ბურჟუაზიული რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ო ბ ი ს პირობების ანალიზით მ. შანინმა მხოლოდ ერთი რამ დაამტკიცა: მიწის კერძო საკუთრების პრინციპების შეუთავსებლობა მიწის საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ მფლობელობასთან (მაგრამ ეს შეუთავსებლობა საერთო თეორიული ანალიზითაც უნდა დამტკიცდეს, რაც შანინს არც კი გახსენებია), — შემდეგ მან ის თუ დაამტკიცა, რომ აუცილებელია აღიარებულ იქნას საკუთრება ყოველი სახელმწიფოებრივ-რეფორმატორული საქმიანობისათვის კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი მიწათმოქმედების დარგში. მაგრამ შანინის ყველა ეს მტკიცება სრულიად ამაოა: რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული რეფორმატორობის პირობებში შესაძლებელია მიწის მ ხ ო ლ ო დ კერძო საკუთრება; რა თქმა უნდა, შეერთებული სამეფოს მიწების მთავარი მასის კერძო საკუთრების შენარჩუნება მის ნაწილს სხვა გზას, გარდა კერძო საკუთრების გზისა, არ უტოვებდა. მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამას რუსეთის «გლეხურ აგრარულ რევოლუციასთან»? სწორი გზა, თუ გნებავთ, უჩვენა მ. შანინმა, მაგრამ მან სწორი გზა უჩვენა სტოლიპინის აგრარულ რეფორმას და არა გლეხურ აგრარულ რევოლუციას **. მ. შანინს ერთსა და მეორეს შორის

---

* «მუნიციპალიზაცია თუ საკუთრებად დაყოფა». მ. შანინი, ვილნო, 1907 წ.

** და შანინის მითითებაც ირლანდიის მაგალითზე, რაც ამტკიცებს კერძო საკუთრების უპირატესობას იჯარის მიმართ (და არა მთელი მიწის ნაციონალიზაციის მიმართ), ახალი რამ არ არის. «ლიბერალური» პროფესორი ბ-ნი ა. ი. ჩუპროვიც სწ ო რ ე დ ა ს ე ვ ე ირლანდიის მაგალითით

განსხვავების შეგნების ნასახიც არ მოეპოვება, — ხოლო ამ განსხვავების გამოურკვევლად სასაცილოა ლაპარაკი სოციალ-დემოკრატიულ აგრარულ პროგრამაზე რუსეთის რევოლუციაში. და როცა მ. შანინი, რასაკვირველია, საუკეთესო სურვილებით გატაცებული, გამოყიდვის წინააღმდეგ კონფისკაციას იცავს, მას ყოველგვარი ისტორიული პერსპექტივა ეკარგება. ის ივიწყებს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კონფისკაცია, ე. ი. ექსპროპრიაცია გამოუყიდველად, ისევე აბსოლუტურად შეუთავსებელია რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ო ბ ა სთ ა ნ, როგორც მიწის ნაციონალიზაციაც. კონფისკაციაზე ილაპარაკო და იმავე დროს შესაძლებლად სცნო აგრარული საკითხის რეფორმატორულად და არა რევოლუციურად გადაჭრა, ეს იგივეა, რომ თხოვნა მიართვა სტოლიპინს მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის შესახებ.

შანინის ბროშურის მეორე მხარეა გაძლიერებული ხაზგასმა ჩვენი სამიწათმოქმედო კრიზისის ა გ რ ი კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ხასიათისა, მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე გადასვლის, რუსეთში მეტად დაბალი სამიწათმოქმედო ტექნიკის განვითარების აუცილებელი საჭიროებისა, და სხვ. ეს სწორი დებულებები შანინმა იმდენად წარმოუდგენლად ცალმხრი-

---

ასაბუთებს მიწის გლეხური ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უპირატესობას («აგრარული საკითხი», ტ. II, გვ. 11). ხოლო თუ როგორია ნამდვილი ბუნება ამ «ლიბერალისა» და «კონსტიტუციური დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს ა ც» კი, ეს ჩანს მისი სტატიის 33-ე გვერდზე. აქ, წარმოუდგენელი უტიფრობით, მხოლოდ რუსეთში შესაძლებელი ლიბერალური უტიფრობით, ბ-ნი ჩუპროვი გვირჩევს ყ ვ ე ლ ა მიწათმომწყობ კომისიაში გლეხები დავუმორჩილოთ მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს!! ხუთი წევრი გლეხებისაგან და 5 მემამულეებისაგან, ხოლო თავმჯდომარეს «ნიშნავს საერობო კრება», ე. ი. მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს კ რ ე ბ ა. I სათათბიროში ირლანდიის მაგალითს იმოწმებდა მ ე მ ა რ ჯ ვ ნ ე თ ა ვ ა დ ი დრუცკი-ლიუბეცკი მიწის კერძო საკუთრების აუცილებლობისა და კადეტების პროექტის მიუღებლობის დასამტკიცებლად (1906 წლის 24 მაისის სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიშის 626 გვ.).

ვად განავითარა, ისეთი დუმილით აუარა გვერდი ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობას და მიწათმფლობელობის ურთიერთობის შეცვლას, როგორც ამ ტექნიკური გადატრიალების პირობას, რომ პერსპექტივა ძირიანფესვიანად ყალბი გამოდგა. რადგან მიწათმოქმედების ტექნიკური აღმავლობისაკენ მიდის აგრეთვე, და მემამულეთა ინტერესების თვალსაზრისით სამართლიანადაც მიდის, სტოლიპინის აგრარული რეფორმაც. თემის ძალდატანებით დაქუცმაცება 1906 წლის 9 ნოემბრის კანონებით და სხვ., ფერმების დანერგვა და ჩამონაჭერ მიწებზე მოწყობილ მეურნეობათათვის ხელის გამართვა, — ეს სულაც არ არის მოჩვენება, როგორც ამას ზოგჯერ ამბობენ დემოკრატიული ჟურნალისტიკის ქარაფშუტა მოლაყბენი; ეს არის მემამულეთა ბატონობისა და მემამულეთა ინტერესების დაცვის ნიადაგზე ეკონომიური პროგრესის სინამდვილე. ეს გზა წარმოუდგენლად ნელი და წარმოუდგენლად მტანჯველია გლეხობის უფართოესი მასებისა და პროლეტარიატისათვის, მაგრამ ეს გზა ერთადერთი შესაძლებელი გზაა კაპიტალისტური რუსეთისათვის, თუ გლეხურმა აგრარულმა რევოლუციამ არ გაიმარჯვა.

შეხედეთ შანინის მიერ წამოყენებულ საკითხს ასეთი რევოლუციის თვალსაზრისით. ახალი სამიწათმოქმედო ტექნიკა მოითხოვს სანადელო მიწაზე მოწყობილი ძველი მამაპაპური, დახავსებული, ველური, უმეცარი, ღატაკური გლეხური მეურნეობის ყველა პირობის გარდაქმნას. უკუგდებულ უნდა იქნას სამმინდვროვანი სისტემაც, შრომის პირველყოფილი იარაღებიც, მიწათმოქმედის პატრიარქალური უფულობაც, რუტინული მესაქონლეობაც, ბაზრის პირობებისა და მოთხოვნების გულუბრყვილო, დათვური უცოდინარობაც. მერმე? განა შესაძლებელია მეურნეობის ასეთი რევოლუციური გარდაქმნა მიწათმფლობელობის კონსერვაციის პირობებში? ხოლო მიწების დაყოფა ნადელის ახლანდელ მესაკუთრეთა შორის შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის

სანახევროდ * კონსერვაციას ნიშნავს. დაყოფა შეიძლებოდა პროგრესული ყოფილიყო, ის რომ განამტკიცებდეს ა ხ ა ლ მეურნეობას, ა ხ ა ლ აგრიკულტურას და უკუაგდებდეს ძველს. მაგრამ დაყოფას არ შეუძლია იმპულსის როლი შეასრულოს ახალი აგრიკულტურისათვის, თუ ის ძველ სანადელო მიწათმფლობელობას ეყრდნობა. ამხ. ბორისოვი,[85] დაყოფის მომხრე, სტოკჰოლმში ამბობდა: «ჩვენი აგრარული პროგრამა განვითარების პროცესში მყოფი რევოლუციის პერიოდის, ძველი წესწყობილების მსხვრევისა და ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ორგანიზაციის პერიოდის პროგრამაა. ეს არის მისი ძირითადი აზრი. სოციალ-დემოკრატიამ ხელფეხი არ უნდა შეიბოჭოს ისეთი გადაწყვეტილებებით, რომლებიც ავალდებულებენ მას დაიცვას მეურნეობის რომელიმე ფორმა. ძველი წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ ახალი საზოგადოებრივი ძალების ამ ბრძოლაში დახლართული ნასკვი გადამწყვეტი დარტყმით უნდა გაიკვეთოს» (ოქმები, გვ. 125). ყოველივე ეს სავსებით სწორია და ჩინებულადაც არის გამოთქმული. და ყოველივე ეს ნაციონალიზაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რადგან მხოლოდ ის «ამსხვრევს» ნამდვილად მთელ ძველ შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას, მხოლოდ ის ჰკვეთს ნამდვილად დახლართულ ნასკვს და ახალ მეურნეობებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას — მოეწყონ ნაციონალიზებულ მიწაზე.

იბადება კითხვა, სად არის იმის კრიტერიუმი, მოეწყო თუ არა უკვე ახალი მიწათმოქმედება იმდენად, რომ მ ა ს შეუფარდდეს მიწის დაყოფა და რომ ამ დაყოფამ არ განამტკიცოს ახალი მეურნეობის ძველი დაბრკოლებები? ამის კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — პრაქტიკა. არავითარ სტატისტიკას ქვეყნად არ შეუძლია გაითვალისწინოს, თუ სახელდობრ რამდენად «გამაგრდნენ» გლეხური ბურ-

* ზემოთ მე აღვნიშნე, რომ ევროპის რუსეთის 280 მილიონ დესეტინა მიწის ფონდიდან ნახევარს — 138,8 მილიონ დესეტინას — სანადელო მიწათმფლობელობა შეადგენს. (იხ. ეს ტომი, გვ. 270. რ ე დ.)

ჟუაზიის ელემენტები ამა თუ იმ ქვეყანაში, რათა მიწათმფლობელობა შეუფარდონ მიწაზე მოწყობილ მეურნეობას. ამის გათვალისწინება შეუძლიათ მ ხ ო ლ ო დ თვით მეურნეთა მასებს. ამის გათვალისწინების შეუძლებლობა ახლანდელ მომენტში დ ა ა მ ტ კ ი ც ა გლეხთა მასის გამოსვლამ ჩვენს რევოლუციაში მიწის ნაციონალიზაციის პროგრამით. წვრილი მიწათმოქმედი იმდენად ესისხლხორცება ყოველთვის და მთელ ქვეყნიერებაზე თავის მეურნეობას (თუ ეს მართლა მ ი ს ი მეურნეობაა და არა შრომამიგებითი საბატონო მეურნეობის ნაჭერი, როგორც ეს რუსეთში ხშირად ხდება), — რომ მისთვის მიწის საკუთრების «ფანატიკურად» დაცვა განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში და განსაზღვრული დროის მანძილზე აუცილებელი ხდება. თუ რუს გლეხთა მასაში ა მ ჟ ა მ ა დ შესაკუთრეთა ფანატიზმის ნაცვლად, — იმ ფანატიზმისა, რომელსაც მას უნერგავს ყველა მმართველი კლასი, ყველა ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოლიტიკოსი, — გავრცელდა და განმტკიცდა მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, ბავშვობა ან უგუნური პედანტობა იქნებოდა ეს აგვეხსნა «რუსსკოე ბოგატსტვოს»[86] პუბლიცისტების ან ბ-ნ ჩერნოვის ბროშურების გავლენით. ეს იმით აიხსნება, რომ წვრილი მიწათმოქმედის, წვრილი მეურნის ცხოვრების რეალური პირობები სოფლად მის წინაშე აყენებენ ეკონომიურ ამოცანას — კი არ განამტკიცოს უკვე ჩამოყალიბებული ახალი აგრიკულტურა მიწის საკუთრებად დაყოფით, არამედ ნიადაგი გ ა წ მ ი ნ დ ო ს ახალი აგრიკულტურის შესაქმნელად (არსებული ელემენტებისაგან) «თავისუფალ», ე. ი. ნაციონალიზებულ, მიწაზე. მესაკუთრის ფანატიზმი შეიძლება და უნდა გაჩნდეს კიდეც თავის დროზე, როგორც თავისი მეურნეობის უზრუნველყოფის მოთხოვნა კვერცხიდან უკვე გ ა მ ო ჩ ე კ ი ლ ი ფერმერის მხრივ. მიწის ნაციონალიზაცია რუსეთის რევოლუციაში გლეხთა მასების მოთხოვნად უნდა გამხდარიყო, როგორც ლოზუნგი ფერმერებისა, რ ო მ ე ლ თ ა ც ს უ რ თ შუასაუკუნეობრივი

ნაჭუჭი დაამსხვრიონ. ამიტომ სოციალ-დემოკრატების მხრივ დაყოფის ქადაგება, მიმართული ნაციონალიზატორულად განწყობილი გლეხთა მასისადმი, რომელიც სწორედ ახლა იწყებს საბოლოო «დაშლის» პირობებში შესვლას, რამაც უნდა გამოჰყოს კაპიტალისტური აგრიკულტურის შექმნის უნარის მქონე ფერმერები, — ასეთი ქადაგება აშკარა ისტორიული უტაქტობაა, კონკრეტული ისტორიული მომენტის გათვალისწინების უუნარობაა.

დაყოფის მომხრე ჩვენი სოციალ-დემოკრატები, ამხ. ფინი, ბორისოვი, შანინი, თავისუფალი არიან იმ თეორიული დუალიზმისაგან, რომელშიც ვარდებიან «მუნიციპალისტები» და რომლებიც იქამდეც კი მიდიან, რომ მარქსის რენტის თეორიას უგვანოდ აკრიტიკებენ (ამაზე ქვემოთ), მაგრამ ისინი უშვებენ სხვაგვარ შეცდომას, ისტორიული პერსპექტივის შეცდომას. თეორიული მხრივ ისინი საერთო სწორ პოზიციაზე დგანან (და ამით განსხვავდებიან «მუნიციპალისტებისაგან»), მაგრამ ჩვენი 1903 წლის «ჩამონაჭრების» პროგრამის შეცდომას იმეორებენ. ამ უკანასკნელი შეცდომის წყარო ის იყო, რომ, სწორად ვსაზღვრავდით რა განვითარების მიმართულებას, სწორად ვერ განვსაზღვრეთ განვითარების მომენტი. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ კაპიტალისტური მიწათმოქმედების ელემენტები უკვე სავსებით ჩამოყალიბდნენ რუსეთში, ჩამოყალიბდნენ მემამულურ მეურნეობაშიც (კაბალური «ჩამონაჭრების» გამოკლებით — აქედან წარმოიშვა ჩამონაჭრების მოთხოვნა), ჩამოყალიბდნენ გლეხურ მეურნეობაშიც, რომელმაც თითქოს წარმოშვა წელმაგარი გლეხური ბურჟუაზია და ამიტომ მას არ შეეძლო «გლეხური აგრარული რევოლუცია» მოეხდინა. შემცდარი პროგრამა წარმოშვა არა გლეხური აგრარული რევოლუციის «შიშმა», არამედ რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური განვითარების დონის გადაჭარბებით შეფასებამ. ბატონყმობის ნაშთები მაშინ წვრილმანებად გვეჩვენებოდა, ხოლო სანადელო და მემამულეთა მიწაზე გამართული კაპიტა-

ლისტური მეურნეობა — სავსებით მომწიფებულ და განმტკიცებულ მოვლენად.

რევოლუციამ გამოააშკარავა ეს შეცდომა. მან დაადასტურა განვითარების ჩვენ მიერ განსაზღვრული მიმართულება. რუსეთის საზოგადოების კლასთა მარქსისტული ანალიზი ისე ბრწყინვალედ დაადასტურა ამბების მთელმა მსვლელობამ საერთოდ და პირველმა ორმა სათათბირომ კერძოდ, რომ არამარქსისტული სოციალიზმი საბოლოოდ ძირგამოთხრილია. მაგრამ ბატონყმობის ნაშთები სოფლად გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა; ამ ნაშთებმა გამოიწვიეს გლეხობის საერთო-ნაციონალური მოძრაობა, ამ მოძრაობიდან მათ შექმნეს მთელი ბურჟუაზიული რევოლუციის სასინჯი საშუალება. ჰეგემონის როლი, რომელზეც რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მუდამ მიუთითებდა პროლეტარიატს ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ახლა უფრო ზუსტად უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ბელადის როლი, რომელიც წინ მიუძღვება გ ლ ე ხ ო ბ ა ს. მიუძღვება საით? სრული თანამიმდევრობითი და გადაჭრითი ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ. შეცდომის გასწორება იმაში მდგომარეობდა, რომ მიწათმოქმედების წყობის ძ ვ ე ლ ნ ა შ თ ე ბ თ ა ნ ბრძოლის კერძო ამოცანის ნაცვლად ჩვენ უნდა წამოგვეყენებინა მ თ ე ლ ი ძ ვ ე ლ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს წ ყ ო ბ ა ს თ ა ნ ბრძოლის ამოცანები. მემამულური მეურნეობის გაწმენდის ნაცვლად მიზნად დავისახეთ მისი მ ო ს პ ო ბ ა.

მაგრამ შეცდომის ამ გასწორებამ, რაც მნიშვნელოვანი ამბების მსვლელობის ზეგავლენით მოხდა, ბევრი ჩვენგანი ვერ აიძულა ბოლომდე მოეფიქრებინა რუსეთის მიწათმოქმედების კაპიტალისტური განვითარების დონის ჩვენი ახალი განსაზღვრა. თუ ყველა მემამულური მიწის კონფისკაციის მოთხოვნა ისტორიულად სწორი აღმოჩნდა, — ხოლო ის, უსათუოდ, ასეთი აღმოჩნდა, — ეს იმას ნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის ფართო განვითარება მოითხოვს მიწათმფლო-

ბელობის ახალ ურთიერთობას, რომ კაპიტალიზმის ჩანასახები მემამულურ მეურნეობაში შეიძლება და უნდა მსხვერპლად შეეწიროს კაპიტალიზმის ფართო და თავისუფალ განვითარებას განახლებული წვრილი მეურნეობის ნიადაგზე. მემამულეთა მიწების კონფისკაციის მოთხოვნის მიღება ნიშნავს წვრილი სამიწათმოქმედო მეურნეობის განახლების შესაძლებლობისა და აუცილებლობის აღიარებას კაპიტალიზმის დროს.

დასაშვებია მერე ეს? კაპიტალიზმის დროს წვრილი მეურნეობისათვის მხარდაჭერა ავანტიურა ხომ არ არის? ცარიელი ოცნება ხომ არ არის წვრილი კულტურის ეს განახლება? ხომ არ არის ეს დემაგოგიურად «გლეხების დაჭერა», **Bauernfang**? ასეა, უსათუოდ ასეა, — ფიქრობდა ბევრი ამხანაგი. მაგრამ ისინი ცდებოდნენ. წვრილი მეურნეობის განახლება შესაძლებელია კაპიტალიზმის დროსაც, თუ ისტორიული ამოცანა წინაკაპიტალისტურ წყობილებასთან ბრძოლაში მდგომარეობს. ასე განაახლა წვრილი მეურნეობა ამერიკამ, რომელმაც რევოლუციურად დაშალა მონათმფლობელური ლატიფუნდიები და შექმნა პირობები კაპიტალიზმის უაღრესად სწრაფი და უაღრესად თავისუფალი განვითარებისათვის. რუსეთის რევოლუციაში მიწისათვის ბრძოლა სხვა არა არის რა, თუ არა ბრძოლა კაპიტალისტური განვითარების განახლებული გზისათვის. ასეთი განახლების თანამიმდევარი ლოზუნგია — მიწის ნაციონალიზაცია. აქედან სანადელო მიწების გამოკლება — ეკონომიურად რეაქციულია (ასეთი გამოკლების პოლიტიკურ რეაქციულობაზე ჩვენ ცალკე ვილაპარაკებთ). დაყოფის მომხრენი კი ახლანდელი რევოლუციის ისტორიულ ამოცანას გადაახტნენ და გადაჭრილად გულისხმობენ იმ საკითხს, რის გამოც მხოლოდ ახლახან დაიწყო გლეხთა მასობრივი ბრძოლა. იმის ნაცვლად, რომ წინ წასწიონ განახლების პროცესი, — იმის ნაცვლად, რომ გლეხობას განუმარტონ თანამიმდევარი განახლების პირობები, ისინი უკვე ხალათის გამოჭრას იწყებენ დამშვიდებული განახლებული ფერმერისთვის *.

---

* დაყოფის მომხრეებს ხშირად მოჰყავთ მარქსის სიტყვები: «თავისუფალი საკუთრება გლეხისა, რომელიც თვითონ ამუშავებს მიწას, ცხადია, მიწის საკუთრების უაღრესად ნორმალური ფორმაა წვრილი წარმო-

«ყველაფერს თავისი დრო აქვს». დაყოფის მხარდაჭერაზე სოციალ-დემოკრატია უარს ვერ იტყვის. სხვა ისტორიულ მომენტში, აგრარული რევოლუციის სხვა საფეხურზე, დაყოფა შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს. მაგრამ რუსეთის 1907 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებს დაყოფა სრულიად არასწორად გამოხატავს.

## თავი III

## ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის თეორიული საფუძვლები

თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატიული პრესის მთავარი ნაკლი აგრარული პროგრამის საკითხში საერთოდ და კერძოდ კამათის ნაკლი სტოკჰოლმის ყრილობაზე ის არის, რომ პრაქტიკული მოსაზრებები ჭარბობენ თეორიულს, პოლიტიკური — ეკონომიურს *. ბევრი ჩვენგანისთვის გასამართლებელ საბუთს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, დაძაბული პარტიული მუშაობის ის პირობები, რომლებშიც ჩვენ ვიხილავდით აგრარულ საკითხს რევოლუციაში: ჯერ 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ,

ებისათვის... მიწის საკუთრება წარმოების ამ წესის სრული განვითარებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც იარაღების საკუთრება ხელოსნური წარმოების თავისუფალი განვითარებისათვის» («Das Kapital», III, 2, 341)[87]. აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ თავისუფალი გლეხური კულტურის სრული გამარჯვებისათვის შეიძლება საჭირო დარჩეს კერძო საკუთრება. მაგრამ ახლანდელი წვრილი კულტურა თავისუფალი არ არის. სახაზინო მიწათმფლობელობა — «ინსტრუმენტია უფრო მემამულის ხელში, ვიდრე გლეხისა, ის უფრო შრომამიგების მიღების იარაღია, ვიდრე გლენის თავისუფალი შრომის იარაღი». ფეოდალური მიწათმფლობელობის ყველა ფორმის განადგურება და თავისუფალი დასახლება აუცილებელია თავისუფალი წვრილი კულტურის შესაქმნელად.

* ჩემს ბროშურაში «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა», რომელსაც მე ვიცავდი სტოკჰოლმში, არის სავსებით გარკვეული (მხოლოდ მოკლე, როგორც მოკლეა მთელი ბროშურაც) მითითებანი მარქსისტული აგრარული პროგრამის თეორიულ დებულებებზე. მე იქ

რამდენიმე თვით ადრე აფეთქებამდე (ბოლშევიკების «რსდმპ მე-3 ყრილობა» ლონდონში 1905 წლის გაზაფხულზე და იმავე დროს კონფერენცია უმცირესობისა ჟენევაში), შემდეგ დეკემბრის აჯანყების[88] მეორე დღეს და პირველი სათათბიროს წინახანებში სტოკჰოლმში. მაგრამ ეს ნაკლი ყოველ შემთხვევაში ახლა უნდა გამოსწორდეს, და კერძოდ ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის საკითხის თეორიული მხარის განხილვა განსაკუთრებით აუცილებელია.

## 1. რა არის მიწის ნაციონალიზაცია?

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებული დებულების გავრცელებული ფორმულირება: «ყველა ნაროდნიკული ჯგუფი ემხრობა მიწის ნაციონალიზაციას». მაგრამ ნამდვილად ეს გავრცელებული ფორმულირება მეტად არაზუსტია, და მასში, თუ მხედველობაში აქვთ ის, რომ ამ «ნაციონალიზაციაზე» სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულე-

---

ვამბობდი, რომ «ნაციონალიზაციის ხელაღებით უარყოფა» «მარქსიზმის თეორიული დამახინჯება» იქნებოდა-მეთქი (გვ. 16 ძველი გამოცემისა, გვ. 41 ამ გამოცემისა). (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 204. რ ე დ.). შეადარეთ აგრეთვე ჩემი «მოხსენება» სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ, გვ. 27 — 28 ძველი გამოცემისა (გვ. 63 ამ გამოცემისა). (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 415. რ ე დ.) «და მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისით, საერთოდ კაპიტალიზმის განვითარების პირობების თვალსაზრისით, ჩვენ უეჭველად უნდა ვთქვათ, თუ არ გვინდა დავშორდეთ «კაპიტალის» მე-3 ტომს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიწის ნაციონალიზაცია შესაძლებელია, რომ იგი ხელს უწყობს ეკონომიურ განვითარებას, აადვილებს კონკურენციას და კაპიტალის მიზღვავებას მიწათმოქმედებაში, ამცირებს პურის ფასს და სხვ.». შემდეგ იგივე მოხსენება, გვ. 59 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ.457. რ ე დ.): «მას (სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას), მიუხედავად თავისი დაპირებისა, სწორედ «ლოგიკურ» ბოლომდე არ მიჰყავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება მიწათმოქმედებაში, რადგან ასეთ «ლოგიკურ» (დ ა ე კ ო ნ ო მ ი ურ) შედეგს კაპიტალიზმის დროს წარმოადგენს მხოლოდ მიწის ნაციონალიზაცია, როგორც აბსოლუტური რენტის მოსპობა».

ბის წარმომადგენლები ნამდვილად ერთნაირი წარმოდგენის არიან, — «საყოველთაოდ აღიარებული» ძალიან ცოტაა. გლეხთა მასა მიწას მოითხოვს სტიქიურად, რადგან იგი დაჩაგრულია ბატონყმური ლატიფუნდიებით და არავითარ ცოტად თუ ბევრად ზუსტ ეკონომიურ წარმოდგენებს არ უკავშირებს ხალხის ხელში მიწის გადასვლას. გლეხს აქვს მხოლოდ სავსებით მომწიფებული, ასე ვთქვათ, ტანჯვით განცდილი და ხანგრძლივი ჩაგვრით გამობრძმედილი მოთხოვნა განაახლოს, გაამაგროს, განამტკიცოს, გააფართოოს წვრილი მიწათმოქმედება, გახადოს იგი გაბატონებული, — და სხვა არაფერი. გლეხს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მემამულეთა ლატიფუნდიების გადასვლა მის ხელში; გლეხი ამ ბრძოლაში ყველა გლეხის, როგორც მასის, ერთიანობის ბუნდოვან იდეას მოსავს სიტყვებით მიწის სახალხო საკუთრების შესახებ. გლეხს ამოქმედებს ინსტინქტი მეპატრონისა, რომელსაც ხელს უშლის შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის თანამედროვე ფორმების უსაზღვრო დაქუცმაცება და სრული «მეპატრონის» მოთხოვნების თანახმად მიწის დამუშავების აგების შეუძლებლობა, თუ შენარჩუნებული იქნება მიწათმფლობელობის მთელი ეს შუასაუკუნეობრივი სიჭრელე. მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის **აგრეთვე სანადელო მიწათმფლობელობის «ხუნდების» მოსპობის** ეკონომიური აუცილებლობა, — აი რა უარყოფითი ცნებები ამოსწურავენ ნაციონალიზაციის გლეხურ იდეას. მიწათმფლობელობის რა ფორმები აღმოჩნდება შემდეგში აუცილებელი განახლებული წვრილი მეურნეობისათვის, რომელმაც, ასე ვთქვათ, მოინელა მემამულეთა ლატიფუნდიები, ამაზე გლეხი არა ფიქრობს.

და ნაროდნიკულ იდეოლოგიაში, რომელიც გლეხობის მოთხოვნებსა და იმედებს გამოხატავს, უარყოფითი მხარეები ნაციონალიზაციის ცნებაში (ან ბუნდოვან იდეაში) აუცილებლად ჭარბობენ. ძველი დაბრკოლებების უკუგდება, მემამულის თავიდან მოშორება, მიწის «ღობეების მოშლა», სანადე-

ლო მიწათმფლობელობის ხუნდების მოგლეჯა, წვრილი მეურნეობის განმტკიცება, «უთანასწორობის» (მემამულეთა ლატიფუნდიები) შეცვლა «თანასწორობით, ძმობითა და თავისუფლებით» — აი რით ამოიწურება, ცხრა მეათედით, ნაროდნიკული იდეოლოგია. თანასწორი უფლება მიწის მიმართ, გათანაბრებითი მიწათსარგებლობა, სოციალიზაცია, — ყოველივე ეს მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა იმავე იდეების გამოსახატავად და ყოველივე ეს უმთავრესად უარყოფითი ცნებებია, რადგან ახალი წესები, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განსაზღვრული წყობა, ნაროდნიკს ვერც კი წარმოუდგენია. ნაროდნიკისთვის ახლანდელი აგრარული გადატრიალება არის გადასვლა ბატონყმობიდან, უთანასწორობიდან, საერთოდ ჩაგვრიდან თანასწორობასა და თავისუფლებაზე, და სხვა არაფერი. ეს არის ტიპიური შეზღუდულობა ბურჟუაზიული რევოლუციონერისა, რომელიც ვერ ხედავს მის მიერ შექმნილი ახალი საზოგადოების კაპიტალისტურ თვისებებს.

მარქსიზმი, წინააღმდეგ ნაროდნიკობის გულუბრყვილო შეხედულებისა, იკვლევს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ წყობილებას. გლეხური მეურნეობის უაღრესად სრული თავისუფლების პირობებში, იმ წვრილ მეურნეთა უაღრესად სრული თანასწორობის პირობებში, რომელთაც უჭირავთ საერთო-სახალხო ან არავისი ან «ღვთის» მიწა, — ჩვენს წინაშეა სასაქონლო წარმოების წყობილება. წვრილ მწარმოებლებს აკავშირებს და იმორჩილებს ბაზარი. პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლით ყალიბდება ფულის ბატონობა, სამიწათმოქმედო პროდუქტის ფულად გადაქცევას მოსდევს სამუშაო ძალის ფულად გადაქცევა. სასაქონლო წარმოება ხდება კაპიტალისტურ წარმოებად. და ეს თეორია დოგმატი კი არ არის, არამედ უბრალო აწერაა, განზოგადებაა იმისა, რაც ხდება რუსეთის გლეხურ მეურნეობაშიც. რაც უფრო თავისუფალია ეს მეურნეობა მიწის სივიწროვისაგან, მემამულეთა ჩაგვრისაგან, მი-

წათმფლობელობის შუასაუკუნეობრივი ურთიერთობისა და წესების ზეგავლენისაგან, კაბალისა და თვითნებობისაგან, — მით უფრო ძლიერ ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა თვით გლეხური მეურნეობის შიგნით. ეს ფაქტია, რომელსაც სრული უეჭველობით მოწმობს რუსეთის მთელი რეფორმის-შემდგომი ისტორია.

მაშასადამე, მიწის ნაციონალიზაციის ცნება, დაყვანილი ეკონომიური სინამდვილის ნიადაგზე, არის სასაქონლო და კაპიტალისტური საზოგადოების კატეგორია. ამ ცნებაში რეალურია არა ის, თუ რას ფიქრობენ გლეხები ან ლაპარაკობენ ნაროდნიკები, არამედ ის, თუ რა გამომდინარეობს ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობიდან. მიწის ნაციონალიზაცია კაპიტალისტური ურთიერთობის დროს არის რენტის გადაცემა სახელმწიფოსთვის, არც მეტი, არც ნაკლები. მერე რა არის რენტა კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ეს სულაც არ არის მიწის შემოსავალი საერთოდ. ეს არის ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რჩება კაპიტალის საშუალო მოგების გამოკლების შემდეგ. მაშასადამე, რენტა გულისხმობს დაქირავებულ შრომას მიწათმოქმედებაში, მიწათმოქმედის გადაქცევას ფერმერად, მეწარმედ. ნაციონალიზაცია (წმინდა სახით) გულისხმობს სახელმწიფოს მიერ რენტის მიღებას მიწათმოქმედ მეწარმეთაგან, რომელნიც ხელფასს უხდიან დაქირავებულ მუშებს და ღებულობენ საშუალო მოგებას თავის კაპიტალზე, — საშუალოს ამა თუ იმ ქვეყნის თუ ქვეყნების კომპლექსის ყველა, როგორც სამიწათმოქმედო, ისე არასამიწათმოქმედო, საწარმოს მიმართ.

ამგვარად ნაციონალიზაციის თეორიული ცნება განუყრელად დაკავშირებულია რენტის თეორიასთან, ე. ი. სწორედ კაპიტალისტურ რენტასთან, როგორც განსაკუთრებული (მიწათმფლობელური) კლასის განსაკუთრებული სახის შემოსავალთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

მარქსის თეორია განასხვავებს ორგვარი სახის რენტას: დიფერენციულს და აბსოლუტურს. პირველი არის შედეგი მიწის განსაზღვრულობისა, მისი დაკავებულობისა კაპიტალისტური მეურნეობების მიერ სრულიად დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა მიწის საკუთრება და როგორია მიწათმფლობელობის ფორმა. მიწაზე გამართულ ცალკეულ მეურნეობათა შორის აუცილებელია განსხვავება, რაც გამომდინარეობს მიწის მოსავლიანობის, ბაზრის მიმართ ნაკვეთის მდებარეობის, მიწაში კაპიტალის დამატებითი დაბანდების ნაყოფიერების განსხვავებიდან. მოკლედ ეს განსხვავებანი (არ უნდა დავივიწყოთ კი ამა თუ იმ განსხვავებათა წყაროების არაერთნაირობა) შეიძლება შევაჯამოთ, როგორც უკეთესი და უცუდესი მიწების განსხვავებანი. შემდეგ. სამიწათმოქმედო პროდუქტის წარმოების ფასს განსაზღვრავენ წარმოების პირობები არა საშუალო, არამედ უცუდეს მიწებზე, რადგან მარტო უკეთესი მიწების პროდუქტი არ კმარა მოთხოვნილების დასაფარავად. განსხვავება წარმოების ინდივიდუალურ ფასსა და წარმოების უმაღლეს ფასს შორის წარმოადგენს სწორედ დიფერენციულ რენტას. (მოგაგონებთ, რომ წარმოების ფასს მარქსი უწოდებს კაპიტალის დანახარჯს პროდუქტის წარმოებაზე პლუს კაპიტალის საშუალო მოგება.)

დიფერენციული რენტა აუცილებლივ იქმნება კაპიტალისტური მიწათმოქმედების დროს, თუნდაც მიწის კერძო საკუთრების სრული გაუქმების პირობებში. მიწის საკუთრების არსებობისას ამ რენტას მიიღებს მიწათმფლობელი, რადგან კაპიტალების კონკურენცია აიძულებს ფერმერს (მოიჯარადრეს) დაკმაყოფილდეს კაპიტალის საშუალო მოგებით. მიწის კერძო საკუთრების გაუქმების დროს ამ რენტას მიიღებს სახელმწიფო. ა მ რენტის მოსპობა შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, სანამ წარმოების კაპიტალისტური წესი არსებობს.

აბსოლუტური რენტა მომდინარეობს მიწის კერძო საკუთრებიდან. ეს რენტა შეიცავს მონოპოლიის ელემენტს, მონო-

პოლიური ფასის ელემენტს *. მიწის კერძო საკუთრება ხელს უშლის თავისუფალ კონკურენციას, ხელს უშლის მოგების გათანაბრებას, საშუალო მოგების წარმოშობას სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო საწარმოებში. ხოლო რადგან მიწათმოქმედებაში ტექნიკა უფრო დაბალია, კაპიტალის აგებულება განსხვავდება ცვალებადი კაპიტალის მეტი წილით მუდმივთან შედარებით, ვიდრე მრეწველობაში, სამიწათმოქმედო პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულებაც საშუალოზე მაღალია. ამიტომ მიწის კერძო საკუთრება, აფერხებს რა მოგების თავისუფალ გათანაბრებას სამიწათმოქმედო საწარმოებსა და არასამიწათმოქმედო საწარმოებში, შესაძლებლობას იძლევა სამიწათმოქმედო პროდუქტი გაიყიდოს არა წარმოების მაღალი ფასის, არამედ პროდუქტის კიდევ უფრო მაღალი ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით (რადგან წარმოების ფასს განსაზღვრავს კაპიტალის საშუალო მოგება, ხოლო აბსოლუტური რენტა არ იძლევა ამ «საშუალოს» წარმოშობის შესაძლებლობას, მონოპოლიურად განამტკიცებს რა საშუალოზე უფრო მაღალ ინდივიდუალურ ღირებულებას).

ამგვარად დიფერენციული რენტა აუცილებელი თვისებაა ყოველგვარი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა. აბსოლუტური რენტა — არა ყოველგვარისა, არამედ მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების არსებობის დროს, მხოლოდ მიწათმოქმე-

---

* «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მეორე ტომის მეორე ნაწილში მარქსი ააშკარავებს «რენტის სხვადასხვა თეორიის დედაარსს»: სამიწათმოქმედო პროდუქტის მონოპოლიური ფასის თეორიას და დიფერენციული რენტის თეორიას. ის გვიჩვენებს, თუ რა არის სწორი ერთსა და მეორე თეორიაში, რამდენადაც მონოპოლიის ელემენტი არის აბსოლუტურ რენტაში. შეად. გვ. 125-ე ადამ სმიტის თეორიის გამო: «სრული ჭეშმარიტებაა», რომ რენტა არის მონოპოლიური ფასი, რამდენადაც მიწის კერძო საკუთრება ხელს უშლის მოგების გათანაბრებას და განამტკიცებს საშუალოზე უფრო მაღალ მოგებას [89].

ღების ისტორიულად * შექმნილი ჩამორჩენილობის, მონოპოლიით განმტკიცებული ჩამორჩენილობის პირობებში.

კაუტსკი ერთმანეთს უპირისპირებს რენტის ორივე სახეს, სხვათა შორის სპეციალურად მიწის ნაციონალიზაციისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით, შემდეგ დებულებებში:

«რამდენადაც მიწის რენტა დიფერენციული რენტაა, იგი წარმოსდგება კონკურენციისაგან. რამდენადაც იგი აბსოლუტური რენტაა, — მონოპოლიისაგან... სინამდვილეში მიწის რენტა გვევლინება არა როგორც ნაწილებად დაყოფილი; ვერ გაიგებ, რომელი ნაწილია მასში დიფერენციული რენტა და რომელი — აბსოლუტური. გარდა ამისა, ჩვეულებრივ მას ერთვის კაპიტალის პროცენტი მიწათმფლობელის მიერ გაწეული დანახარჯებისათვის. იქ, სადაც მიწათმფლობელი იმავე დროს სოფლის მეურნეცაა, მიწის რენტა უერთდება სასოფლო-სამეურნეო მოგებას.

მიუხედავად ამისა, რენტის ორივე სახის განსხვავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიფერენციული რენტა წარმოსდგება წარმოების კაპიტალისტური ხასიათიდან და არა მიწის კერძო საკუთრებიდან.

ეს რენტა დარჩებოდა მიწის ნაციონალიზაციის დროსაც, რასაც (გერმანიაში) მოითხოვენ მიწის რეფორმის მომხრეები, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურად წარმართვის შენარჩუნების პირობებში. მხოლოდ ამ რენტას მაშინ მიიღებდნენ არა კერძო პირები, არამედ მიიღებდა სახელმწიფო.

აბსოლუტური რენტა წარმოსდგება მიწის კერძო საკუთრებიდან, მიწათმფლობელისა და დანარჩენი საზოგადოების ინტერესთა წინააღმდეგობიდან. მ ი წ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს მ ო გ ვ ც ე მ დ ა მ ო გ ვ ე ს პ ო ე ს რ ე ნ ტ ა დ ა ა მ რ ე ნ ტ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ შ ე გ ვ ე მ ც ი რ ე ბ ი ნ ა ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო პ რ ო დ უ ქ ტ თ ა ფ ა ს ე ბ ი (ხაზგასმა ჩვენია).

---

* შეად. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტომი II, ნაწ. 1 (გერმანული დედანი), გვ. 259: «მიწათმოქმედებაში ხელით შრომა კიდევ ჭარბობს, ხოლო წარმოების ბურჟუაზიულ წესს სჩვევია ინდუსტრია განავითაროს უფრო სწრაფად, ვიდრე მიწათმოქმედება. თუმცა ეს განსხვავება ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა, რომელიც შეიძლება გაქრეს». (აგრეთვე გვ. 275, და II ტომი, ნაწ. მე-2, გვ. 15).[30]

შემდეგ, მეორე განსხვავება დიფერენციულ და აბსოლუტურ რენტას შორის ის არის, რომ პირველი გავლენას არ ახდენს, როგორც შემადგენელი ნაწილი, სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასზე, მეორე კი ახდენს გავლენას. პირველი წარმოსდგება წარმოების ფასიდან, მეორე — წარმოების ფასებზე საბაზრო ფასების გადაჭარბებიდან. პირველი წარმოსდგება ნაჭარბიდან, ზემოგებიდან, რომელსაც იძლევა უფრო ნაყოფიერი შრომა უკეთეს მიწაზე ან უკეთესი ადგილმდებარეობის პირობებში. მეორე წარმოსდგება არა სამიწათმოქმედო შრომის ზოგიერთი სახის დამატებითი შემოსავლიდან; იგი შესაძლებელია მხოლოდ როგორც ღირებულებათა არსებული რაოდენობის გ ა მ ო ნ ა რ ი ც ხ ი მიწათმფლობელის სასარგებლოდ, ზედმეტი ღირებულების მასის გამონარიცხი, — მაშასადამე, ან მოგების შემცირება, ან ხელფასის გამონარიცხი. თუ პურის ფასი იზრდება და იზრდება აგრეთვე ხელფასიც, მაშინ კლებულობს კაპიტალის მოგება. თუ პურის ფასი იზრდება ხელფასის გაუდიდებლად, მაშინ ზარალდებიან მუშები. ბოლოს, ისე შეიძლება მოხდეს, — და ეს საერთო წესადაც კი უნდა ჩაითვალოს, — რომ აბსოლუტური რენტით ზარალდებიან მუშებიც და კაპიტალისტებიც» *.

ამრიგად, მიწის ნაციონალიზაციის საკითხი კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყოფა ორ, არსებითად განსხვავებულ, ნაწილად: დიფერენციული და აბსოლუტური რენტის საკითხად. ნაციონალიზაცია ცვლის პირველის მფლობელს და ძირს უთხრის მეორის არსებობას. მაშასადამე, ნაციონალიზაცია არის, ერთი მხრივ, კერძო რეფორმა კაპიტალიზმის ფარგლებში (ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილის მფლობელის გამოცვლა), — ხოლო მეორე მხრივ, გაუქმება მონოპოლიისა, რომელიც აფერხებს საერთოდ კაპიტალიზმის მთელ განვითარებას.

ამ ორი მხარის, ე. ი. დიფერენციული და აბსოლუტური რენტის ნაციონალიზაციის, განუსხვავებლად შეუძლებელია გავიგოთ რუსეთში ნაციონალიზაციის საკითხის მთელი ეკონომიური მნიშვნელობა. მაგრამ აქ ჩვენ ვხვდებით აბსოლუტური რენტის თეორიის უარყოფას პ. მასლოვის მხრივ.

---

* «აგრარული საკითხი», გერმანული დედანი, **Seiten** (გვერდები. რ ე დ.) 79 — 80.

## 2. პეტრე მასლოვი ასწორებს კარლ მარქსის შავად დაწერილ მონახაზს[91]

1901 წელს საზღვარგარეთულ «ზარიაში» მე უკვე აღვნიშნე მასლოვის მიერ რენტის თეორიის არასწორი გაგება ჟურნალ «ჟიზნში» გამოქვეყნებული მისი სტატიების გამო *.

კამათი სტოკჰოლმის წინ და სტოკჰოლმში კონცენტრირებული იყო, როგორც უკვე აღვნიშნე, ძლიერ გადაჭარბებულად, საკითხის პოლიტიკურ მხარეზე. მაგრამ სტოკჰოლმის შემდეგ მ. ოლენოვმა სტატიაში «მიწის მუნიციპალიზაციის თეორიული საფუძვლების შესახებ» («ობრაზოვანიე», 1907, № 1) გაარჩია მასლოვის წიგნი რუსეთის აგრარულ საკითხზე და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა უმართებულობა მისი ეკონომიური თეორიისა, რომელიც საერთოდ უარყოფს აბსოლუტურ რენტას.

მასლოვმა უპასუხა ოლენოვს სტატიით «ობრაზოვანიეს» მე-2 და მე-3 ნომერში. თავის ოპონენტს ის უსაყვედურებდა «მოურიდებლობას», «ღვარძლიან გამოჯირითებას», «თავაშვებულობას» და სხვ. ნამდვილად კი, მარქსისტული თეორიის დარგში სწორედ პეტრე მასლოვია მოურიდებელი და გონებაჩლუნგი მოჯირითე, რადგან ძნელია იმაზე უფრო უმეცრული რამის წარმოდგენა, ვიდრე მარქსის თვითკმაყოფილი «გაკრიტიკება» მასლოვის მიერ, რომელიც დაჟინებით იცავს თავის ძველ შეცდომებს.

«აბსოლუტური რენტის თეორიის წინააღმდეგობა განაწილების მთელი თეორიისადმი, რაც გადმოცემულია III ტომში, — წერს ბ-ნი მასლოვი, — იმდენად მკვეთრად გვხვდება თვალში, რომ იგი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ III ტომი სიკვდილშემდგომი გამოცემაა, სადაც შევიდა ავტორის შავად ნაწერი მონახაზებიც» («აგრარული საკითხი», მე-3 გამოცემა; გვ. 108, შენიშვნა).

---

* იხ. «აგრარული საკითხი», ნაწ. I, სპბ., 1908, სტატია «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»», შენიშვნა 178 — 179 გვ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 150 — 151. რ ე დ.)

ასეთი რამის დაწერა საერთოდ შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც ვერაფერი გაუგია მარქსის რენტის თეორიაში. მაგრამ დიდებული პეტრე მასლოვის შემწყნარებლური ქედმაღლობა შავად ნაწერი მონახაზების ავტორისადმი ჭეშმარიტად უბადლოა! ეს «მარქსისტი» არც კი კადრულობს სხვების სასწავლებლად გ ა ე ც ნ ო ს მარქსს, შეისწავლოს თუნდაც 1905 წელს გამოსული «ზედმეტი ღირებულების თეორიები», სადაც რენტის თეორია გადაღეჭილია, შეიძლება ითქვას, მასლოვებისთვისაც კი!

აი მასლოვის საბუთები მარქსის წინააღმდეგ:

«აბსოლუტური რენტა თითქოს ჩნდება სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულების მეოხებით... რადგან კაპიტალის აგებულება გავლენას არ ახდენს არც პროდუქტის ფასზე, არც მოგების ნორმაზე და საერთოდ ზედმეტი ღირებულების განაწილებაზე მეწარმეთა შ ო რ ი ს, ამიტომ მას არავითარი რენტის შექმნა არ შეუძლია. თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის აგებულება სამრეწველო კაპიტალის აგებულებაზე უფრო დაბალია, დიფერენციული რენტა ჩნდება თვით მიწათმოქმედებაშივე მიღებული ზედმეტი ღირებულებიდან, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს რენტის შ ე ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ. მაშასადამე, თუ კაპიტალის «აგებულება» შეიცვლება, ეს სრულიადაც არ მოახდენს გავლენას რენტაზე. რენტის ოდენობა სრულიადაც არ ისაზღვრება მისი წარმოშობის ხასიათით, არამედ მარტოოდენ სხვადასხვა პირობებში შრომის ნაყოფიერების ზემოთ აღნიშნული განსხვავებით» (გვ. 108 — 109 დასახელებული თხზულებისა. ხაზგასმა მასლოვისაა).

საინტერესოა ვიცოდეთ, მარქსის ბურჟუაზიულ «კრიტიკოსებს» ოდესმე მიუღწევიათ კი უარყოფის ასეთ სიადვილემდე? ჩვენი დიდებული მასლოვი ხომ ერთიანად ურევს, ურევს უკვე მაშინ, როცა მარქსს გ ა დ მ ო ს ც ე მ ს (თუმცა ეს მანერაა ბ-ნ ბულგაკოვისაც და მარქსიზმის ყველა ბურჟუაზიული გამანადგურებლისაც, რომელნიც მასლოვისაგან განსხვავდებიან მეტი კეთილსინდისიერებით იმ მხრივ, რომ მარქსისტებს არ უწოდებენ თავს). არ არის მართალი, თითქოს მარქსის მიხედვით აბსოლუტური რენტა ჩნდება სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულების მეოხებით. აბსოლუტური რენ-

ტა ჩნდება მიწის კერძო საკუთრების მეოხებით. ეს კერძო საკუთრება ქმნის განსაკუთრებულ მონოპოლიას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს წარმოების კაპიტალისტურ წესთან, რაც შეიძლება არსებობდეს როგორც სათემო, ისე ნაციონალიზებულ მიწაზე *. მიწის კერძო საკუთრების არაკაპიტალისტური მონოპოლია ხელს უშლის მოგების გათანაბრებას წარმოების იმ დარგებში, რომელნიც დაჩრდილულია ამ მონოპოლიით. იმისათვის, რომ «კაპიტალის აგებულებამ გავლენა არ მოახდინოს მოგების ნორმაზე» (უნდა დაემატოს: ინდივიდუალური კაპიტალის ან მრეწველობის ცალკეული დარგის კაპიტალის აგებულებამ; მასლოვი აქაც ურევს, როცა მარქსს გადმოსცემს), — იმისათვის, რომ შეიქმნას მოგების ს ა შ უ ა ლ ო ნორმა, აუცილებელია ყველა ცალკეული საწარმოს და მრეწველობის ყველა ცალკეული დარგის მოგების გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ა. გათანაბრება ხდება კონკურენციის თავისუფლებით, წარმოების ყველა დარგში განურჩევლად კაპიტალის დაბანდების თავისუფლებით. შეიძლება განა ეს თავისუფლება იყოს იქ, სადაც არაკაპიტალისტური მონოპოლია არსებობს? არა, არ შეიძლება. მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს კაპიტალის დაბანდების თავისუფლებას, ხელს უშლის კონკურენციის თავისუფლებას, ხელს უშლის (სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულების გამო) არაპროპორციულად მაღალი სამიწათმოქმედო მოგების გათანაბრებას. მასლოვის საწინააღმდეგო მოსაზრება სულ მთლად მოუაზრებლობაა, და ამ მოუაზრებლობას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვხედავთ, როცა ორი გვერდის შემდეგ ვკითხულობთ მითითებას... ა გ უ რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე (გვ. 111), სადაც ტექნიკაც ჩამორჩენილია, კაპიტალის ორგანული აგებულებაც

* შეად. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 1, გვ. 208, სადაც მარქსი არკვევს, რომ მიწათმფლობელი სრულიად ზედმეტი ფიგურაა კაპიტალისტური წარმოებისათვის, რომ ამ უკანასკნელის მიზანი «სავსებით მისაღწევია» თუ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის [92].

საშუალოზე დაბალია, როგორც მიწათმოქმედებაშიც, ხოლო რენტა არ არის!

და არც შეიძლება რენტა იყოს აგურის წარმოებაში, პატივცემულო «თეორეტიკოსო», რადგან აბსოლუტურ რენტას წარმოშობს არა სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულება, არამედ მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია, რომელიც ხელს უშლის კონკურენციას — გაათანაბროს «დაბალაგებულებიანი» კაპიტალის მოგება. უარყო აბსოლუტური რენტა — ეს ნიშნავს უარყო მიწის კერძო საკუთრების ეკონომიური მნიშვნელობა.

მასლოვის მეორე მოსაზრება მარქსის წინააღმდეგ:

«რენტა «უკანასკნელად» დანახარჯი კაპიტალიდან, როდბერტუსის რენტა და მარქსის აბსოლუტური რენტა ქრება, იმიტომ რომ მოიჯარადრეს ყოველთვის შეუძლია «უკანასკნელი» კაპიტალი აქციოს «წინარეუკანასკნელად», თუ იგი იძლევა რაიმეს, გარდა ჩვეულებრივი მოგებისა» (გვ. 112).

ურევს, «მოურიდებლად» ურევს პეტრე მასლოვი.

ჯერ-ერთი, როდბერტუსისა და მარქსის შედარება რენტის საკითხში სრული უმეცრებაა. როდბერტუსის თეორია ემყარება იმ მოსაზრებას, რომ პომერანელი მემამულის შემცდარი ანგარიში («არ ჩათვალოს» ნედლი პროდუქტი მიწათმოქმედებაში!) სავალდებულოა კაპიტალისტ-ფერმერისთვისაც. როდბერტუსის თეორიაში არ არის ი ს ტ ო რ ი ზ მ ი ს ნატამალი, ისტორიული რეალობის ნატამალი, რადგან ის იღებს მიწათმოქმედებას საერთოდ, დროისა და სივრცის გარეშე, რომელიც გინდა ქვეყნისა და რომელიც გინდა ეპოქის მიწათმოქმედებას. მარქსი იღებს განსაკუთრებულ ისტორიულ პერიოდს, როცა კაპიტალიზმმა უფრო სწრაფად განავითარა მრეწველობის ტექნიკა, ვიდრე მიწათმოქმედებისა. მარქსი იღებს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მიწათმოქმედებას, შევიწროებულს მიწის ა რ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი კერძო საკუთრებით.

მეორე, მითითება მოიჯარადრეზე, რომელსაც «ყოველთვის შეუძლია» უკანასკნელი კაპიტალი წინარეუკანასკნელად

გადააქციოს, გვიჩვენებს, რომ დიდებულ პეტრე მასლოვს ვერ გაუგია არათუ მარქსის აბსოლუტური, არამედ დიფერენციული რენტაც! ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. მოიჯარადრეს იმ ვადის განმავლობაში, რომლითაც მან აიღო მიწა იჯარით, «ყოველთვის შეუძლია» მიითვისოს და ყოველთვის **ითვისებს ყოველგვარ** რენტას, რაკი ის «უკანასკნელ კაპიტალს წინარეუკანასკნელად აქცევს», რაკი ის, — უფრო უბრალოდ და (ახლავე დავინახავთ ამას) უფრო სწორად რომ ვთქვათ, — აბანდებს ახალ კაპიტალს მიწაში. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მიწის კერძო საკუთრება აღარ არსებობს მოიჯარადრისთვის: იჯარის გადახდით მან უკვე «გამოიყიდა თავი» ამ მონოპოლიისაგან, მას უკვე აღარ შეუძლია ხელის შეშლა *. ამიტომ, როდესაც მოიჯარადრის მიერ თავის ნაკვეთზე კაპიტალის ახალი დანახარჯი აძლევს მას ახალ მოგებასაც, და ახალ რენტასაც, ამ რენტას ღებულობს არა მიწათმფლობელი, არამედ მოიჯარადრე. მიწათმფლობელი ამ ახალ რენტას მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც ძველი საიჯარო ხელშეკრულების ვადა გათავდება, მას შემდეგ, რაც ახალი საიჯარო ხელშეკრულება დაიდება. რა მექანიზმი გადაიტანს მაშინ ახალ რენტას ფერმერის ჯიბიდან მიწათმფლობელის ჯიბეში? თავისუფალი კონკურენციის მექანიზმი, რადგან მოიჯარადრის მიერ არა მარტო საშუალო მოგების, არამედ ზემოგების (=რენტის) მიღებაც კაპიტალებს მიიზიდავს არაჩვეულებრივად მომგებიან საწარმოში. აქედან გასაგებია, ერთი მხრივ, თუ რატომ არის მოიჯარადრეებისათვის ხელსაყრელი დანარჩენ თანასწორ პირობებში გრძელვადიანი იჯარა, ხოლო მიწათმფლობელებისათვის — მოკლევადიანი იჯარა. აქედან გასაგებია, მეორე მხრივ, თუ რატომ, მაგალითად, ინგლისელი მიწათმფლობელნი ინგლისში პურის კანონების

* მასლოვს რომ ოდნავ მაინც ყურადღებით წაეკითხა III ტომის «შავად ნაწერი მონახაზები», მას არ შეეძლო არ შეენიშნა, თუ რა ხშირად განმარტავს დაწვრილებით ამას მარქსი.

გაუქმების შემდეგ ხელშეკრულებით ავალდებულებდნენ ფერმერებს რვა გირვანქა სტერლინგის ნაცვლად არა ნაკლებ თორმეტისა (დაახლოებით 110 მან.) დაეხარჯათ მათი ნაკვეთის თვითეულ აკრზე. ამნაირად მიწათმფლობელები ითვალისწინებდნენ საზოგადოებრივად-აუცილებელ სამიწათმოქმედო ტექნიკას, რომელიც წინ მიდიოდა პურის კანონების გაუქმების გამო.

ახლა ვიკითხოთ, რა სახის ახალ რენტას ითვისებს მოიჯარადრე საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის დროს? მხოლოდ აბსოლუტურს, თუ დიფერენციულსაც? ერთსაც და მეორესაც. რადგან პეტრე მასლოვი რომ გარჯილიყო და მარქსი გაეგო, სანამ სასაცილოდ «გააკრიტიკებდა შავად ნაწერ მონახაზებს», მას ეცოდინებოდა, რომ დიფერენციულ რენტას იძლევა არა მარტო მიწის სხვადასხვაგვარი ნაკვეთები, არამედ კაპიტალის სხვადასხვაგვარი დანახარჯებიც ერთსა *დაიმავე ნაკვეთზე*.

მესამე (ბოდიშს ვიხდით, რომ მკითხველს ვღლით მასლოვის შეცდომების ასე ვრცლად ჩამოთვლით მისი ყოველი ფრაზის გამო, მაგრამ რა გაეწყობა, როცა ჩვენს წინაშე ასეთი «ნაყოფიერი» **Konfusionsrat**-ი, «დაბნეული მრჩეველია», როგორც გერმანელები ამბობენ?), — მესამე, მასლოვის მსჯელობა უკანასკნელ და წინარეუკანასკნელ კაპიტალზე აგებულია ყბადაღებულ «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონზე». ბურჟუაზიული ეკონომისტების მსგავსად, მასლოვი აღიარებს ამ კანონს (უწოდებს რა ამ სულელურ მონაგონს

---

* დიფერენციულ რენტას, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მიწის განსხვავების გამო, მარქსი უწოდებს I სახის დიფერენციულ რენტას, ხოლო იმას, რომელსაც იღებენ იმავე მიწაზე დამატებითს დანახარჯთა სხვადასხვა ნაყოფიერების გამო — II სახის დიფერენციულ რენტას. მესამე ტომის «შავად ნაწერ მონახაზებში» ეს განსხვავება გატარებულია აბსოლუტური სიზუსტით (განყ. VI, თავი 39—43), და უნდა იყო ბატონ ბულგაკოვების მსგავსი «მარქსის კრიტიკოსი», რომ ეს «ვერ შენიშნო» [93].

«სერიოზულობის გულისთვის» ფაქტს). ბურჟუაზიული ეკონომისტების მსგავსად, მასლოვი ამ კანონს უკავშირებს რენტის თეორიას, აცხადებს რა თეორიაში სრული უმეცარის გაბედულებით: «კაპიტალის უკანასკნელ დანახარჯთა ნაყოფიერების კლების ფაქტი რომ არ იყოს, არც მიწის რენტა იქნებოდაო» (114).

ამ უხამსი ბურჟუაზიული «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის» კრიტიკისათვის მკითხველს მივუთითებთ იმაზე, რაც ნათქვამი მაქვს 1901 წელს ბ-ნ ბულგაკოვის წინააღმდეგ *. ამ საკითხში ბულგაკოვსა და მასლოვს შორის ა რ ს ე ბ ი თ ა დ ა რ ა ვ ი თ ა რ ი განსხვავება არ არის.

ბულგაკოვის წინააღმდეგ ნათქვამის დასამატებლად მოვიყვანთ კიდევ მხოლოდ ერთ ადგილს III ტომის «შავად ნაწერი მონახაზებიდან», რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამჟღავნებს მასლოვურ-ბულგაკოვური კრიტიკის დიდმშვენიერებას:

«იმის ნაცვლად, რომ განეხილათ მიწის გამოფიტვის ნამდვილი ბუნებრივ-ისტორიული მიზეზები — თუმცა ამ მიზეზებს არ იცნობდნენ ეკონომისტები, რომელნიც დიფერენციულ რენტაზე წერდნენ, მათ დროს აგრიკულტურული ქიმიის მდგომარეობის გამო, — ამის ნაცვლად მიმართავდნენ იმ უგვანო მოსაზრებას, რომ არ შეიძლება კაპიტალის რამდენიც გნებავთ რაოდენობის დახარჯვა მიწის ნაკვეთის განსაზღვრულ სივრცეზე; მაგალითად, «Westminster Review» («ვესტმინსტერის მიმოხილვა») უპასუხებდა რიჩარდ ჯონსს (Jones), სოხო სკვერის ** დამუშავებით მთელ ინგლისს ვერ გამოვკვებავთო»... [94].

ეს პასუხი — ის ერთადერთი საბუთია, რომელსაც არგუმენტად იყენებენ მასლოვიც და «კლებადი ნაყოფიერების კანონის» ყველა სხვა მომხრეც: ეს კანონი რომ არ იყოს, კაპიტალის შემდგომი დანახარჯები ისეთივე პროდუქტიული

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 123 — 140. რ ე დ.

** პატარა სკვერი ლონდონში.

რომ იყოს, როგორც წინადანახარჯები, მაშინ საჭიროც აღარ იქნებოდა დასამუშავებელი მიწის გაფართოება, მაშინ სამიწათმოქმედო პროდუქტის ყოველგვარი რაოდენობის მიღება შესაძლებელი იქნებოდა სულ მცირედი ფართობიდან, მიწაზე ახალი კაპიტალის დანახარჯების გადიდებითო, ე. ი. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა «მთელი ინგლისის გამოკვება მარტო სოხო სკვერიდან» ან «მთელი დედამიწის მიწათმოქმედების მოთავსება ერთ დესეტინაზეო» * და სხვ. მაშასადამე, მარქსი ანალიზს უკეთებს ძირითად საბუთს კლებადი ნაყოფიერების «კანონის» სასარგებლოდ.

...«თუ ეს, — განაგრძობს მარქსი, — განიხილება, როგორც მიწათმოქმედების განსაკუთრებული არასარგებლიანობა, მაშინ სწორია სწორედ საწინააღმდეგო დებულება. მიწათმოქმედებაში შეიძლება პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული კაპიტალის თანამიმდევარი დანახარჯები, იმიტომ რომ მიწა თვითონ მოქმედებს როგორც საწარმოო იარაღი, მაშინ როცა ფაბრიკაში, სადაც მიწა მხოლოდ საფუძველს, სადგომ ადგილს, ტერიტორიულ საოპერაციო ბაზას წარმოადგენს, ეს არ ხდება ან ეს მეტად ვიწრო ფარგლებში ხდება. მართალია, შეიძლება დიდი წარმოების თავმოყრა, დაქუცმაცებულ ხელოსნობასთან შედარებით, პატარა სივრცეზე, და მსხვილი ინდუსტრია სწორედ ამგვარად იქცევა. მაგრამ თუ მოცემულია საწარმოო ძალის განვითარების განსაზღვრული საფეხური, მაშინ ყოველთვის საჭიროა განსაზღვრული სივრცეც, ხოლო მშენებლობას სიმაღლეზე აგრეთვე თავისი გარკვეული პრაქტიკული ფარგლები აქვს. ამ ფარგლებს იქით წარმოების გაფართოება მოითხოვს აგრეთვე მიწის ფართობის გა-

* იხ. ზემოთ «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» კლებადი ნაყოფიერების კანონის შესახებ. ამავე სისულელეს ამბობს მასლოვიც: «მეწარმე თანამიმდევრად დახარჯავს ყველა (!) თავის კაპიტალს, მაგალითად, ერთ დესეტინაზე, თუ ახალი დანახარჯებიც ასეთივე მოგებას იძლევაო» (107) და სხვ.

ღიდებასაც. ძირითადი კაპიტალი, დახარჯული მანქანებზე და სხვ., ხმარებით კი არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, ცვდება. ახალ გამოგონებათ აქაც შეუძლია მოახდინოს ცალკეული გაუმჯობესებანი, მაგრამ თუ ავიღებთ საწარმოო ძალის განვითარების მონაცემ საფეხურს, მაშინ მანქანა შეიძლება მხოლოდ გაუარესდეს. საწარმოო ძალის სწრაფი განვითარების პირობებში ყველა ძველი მანქანა შეცვლილ უნდა იქნას უფრო ხელსაყრელი მანქანებით, ე. ი. სრულიად უნდა იქნას გადაგდებული. მიწა, პირიქით, მუდამ უმჯობესდება თუ წესიერად მოვეპყრობით მას. მიწის ის უპირატესობა, რომ კაპიტალის თანამიმდევარ დანახარჯებს შეუძლია მოგების მოცემა წინა დანახარჯთა ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, ეს უპირატესობა შეიცავს აგრეთვე კაპიტალის თანამიმდევარ დანახარჯთა სხვადასხვაგვარი ნაყოფიერების შესაძლებლობასაც» («Das Kapital», III. Band, 2. Teil, Seite 314 *) [95].

მასლოვმა მარქსის მიერ მოცემული კრიტიკის ჩაფიქრებას ამჯობინა გაემეორებინა ბურჟუაზიული ეკონომიის დაზეპირებული ზღაპარი კლებადი ნაყოფიერების კანონის შესახებ. და მასლოვს კიდევ შესწევს გამბედაობა იქვე, თვით ამავე საკითხებზე, დაამახინჯოს მარქსი და ამავე დროს მარქსიზმის გადმოცემის პრეტენზია განაცხადოს!

რამდენად ამახინჯებს მასლოვი, თავისი წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით კლებადი ნაყოფიერების «ბუნებრივ კანონზე», რენტის თეორიას, ჩანს აგრეთვე შემდეგი ტირადიდან, რომელსაც მასლოვი კურსივით წერს: «მიწის იმავე ფართობზე კაპიტალის თანამიმდევარი დანახარჯი, რომელიც იწვევს მეურნეობის ინტენსიფიკაციას, ისევე ნაყოფიერი რომ იყოს, ახალი მიწების კონკურენცია ერთბაშად გაქრებოდა, რადგან გადაზიდვის ღირებულება, წარმოების ხარჯებს გარდა, პურის ფასს აწვება» (გვ. 107).

ამრიგად, ოკეანისიქითური კონკურენცია აიხსნება მხოლოდ კლებადი ნაყოფიერების კანონის საშუალებით! სავსე-

* — «კაპიტალი», ტომი III, ნაწ. 2, გვ. 314. რ ე დ.

ბით ისე, როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტები ამბობენ! მაგრამ თუ მასლოვს არ შეეძლო წაეკითხა ან უნარი არ შესწევდა გაეგო III ტომი, იგი უნდა გაცნობოდა თუნდაც კაუტსკის «აგრარულ საკითხს» ან პარვუსის ბროშურას სასოფლო-სამეურნეო კრიზისზე. მასლოვს, იქნებ, გაეგო ამ მარქსისტთა პოპულარული განმარტებებით, რომ კაპიტალიზმი ზ რ დ ი ს რენტას, ადიდებს რა ინდუსტრიულ მოსახლეობას. მიწის ფასი კი (=კაპიტალიზებული რენტა) გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს უზომოდ გაბერილ რენტას. ეს ითქმის დიფერენციულ რენტაზეც, ასე რომ ჩვენ აქ მეორედ ვხედავთ, რომ მასლოვს ვერაფერი გაუგია მარქსის ნაწერებში რენტის უმარტივესი სახის მიმართაც კი.

ბურჟუაზიული ეკონომია «ახალი მიწების კონკურენციას» ხსნის «კლებადი ნაყოფიერების კანონით», რადგან ბურჟუა ნებსით თუ უნებლიეთ უგულებელყოფს საქმის საზოგადოებრივ-ისტორიულ მხარეს. სოციალისტური ეკონომია (ე. ი. მარქსიზმი) ოკეანისიქითურ კონკურენციას იმით ხსნის, რომ მიწები, რომელნიც რენტას არ იხდიან, ძირს უთხრიან პურის უზომოდ მაღალ ფასებს, რაც განმტკიცებულია იმ ძველი ევროპული ქვეყნების კაპიტალიზმით, რომელთაც წარმოუდგენლად გაბერეს მიწის რენტა. ბურჟუაზიულ ეკონომისტს არ ესმის (ან თავსაც უმალავს და სხვებსაც), რომ მიწის კერძო საკუთრების საშუალებით განმტკიცებული რენტის სიდიდე მიწათმოქმედების პროგრესს ა ფ ე რ ხ ე ბ ს, და ბრალი გადაყავს კლებადი ნაყოფიერების «ფაქტის» «ბუნებრივ» დაბრკოლებაზე.

### 3. აუცილებელია თუ არა ნაროდნიკობის უარსაყოფად მარქსის უარყოფა?

პეტრე მასლოვის აზრით, აუცილებელია. «ავითარებს» რა შემდგომ თავის სულელურ «თეორიას», ის ჭკუას გვასწავლის «ობრაზოვანიეში»:

«მიწის იმავე ფართობზე შრომის თანამიმდევარ დანახარჯთა ნაყოფიერების დაცემის «ფაქტი» რომ არ არსებობდეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდ-

განხორციელებულიყო ის იდილია, რომელსაც გვიხატავენ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-ნაროდნიკები: თვითეული გლეხი სარგებლობს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით და იმდენ შრომას აბანდებს მასში, რამდენიც უნდა, ხოლო მიწა «მიუზღავს» მას ყოველ «დაბანდებაში» პროდუქტის სათანადო რაოდენობას» (№ 2, 1907 წ., გვ. 123).

ამგვარად, პეტრე მასლოვს რომ არ გაებათილებინა მარქსი, შეიძლება, მართალი ყოფილიყვნენ ნაროდნიკები! აი როგორი მარგალიტები ცვივა ბაგეთაგან ჩვენს «თეორეტიკოსს». ჩვენ კი აქამდე უბრალოდ, მარქსისტულად, ვფიქრობდით, რომ წვრილი წარმოების გამარადისების იდილიას უარყოფს სრულებითაც არა ბურჟუაზიულ-უმეცრული «კლებადი ნაყოფიერების კანონი», არამედ სასაქონლო წარმოების ფაქტი, ბაზრის ბატონობა, წვრილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების მიმართ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების უპირატესობანი და სხვ. მასლოვმა ყველაფერი ეს გადააკეთა! მასლოვმა აღმოაჩინა, რომ მარქსის მიერ გაბათილებული ბურჟუაზიული კანონი რომ არ ყოფილიყო, მართალი იქნებოდნენ ნაროდნიკები!

ეგ კიდევ არაფერი. მართალი იქნებოდნენ რევიზიონისტებიც. აი კიდევ ჩვენი პრიმიტიული ეკონომისტის მსჯელობა:

«თუ არ ვცდები, მე (პეტრე მასლოვს) მომიხდა პირველად (აი როგორი ვართ ჩვენ!) განსაკუთრებით მკვეთრად აღმენიშნა მიწის კულტურისა და ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობის განსხვავება მეურნეობის განვითარებისათვის და კერძოდ მსხვილი და წვრილი წარმოების ბრძოლისათვის. თუ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, შრომისა და კაპიტალის შემდგომი დანახარჯები ერთნაირად ნაკლებ ნაყოფიერია როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობაში, მაშინ ტექნიკური პროგრესი, რომელიც ადიდებს სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერებას, ისე როგორც ინდუსტრიაში, უდიდეს და განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს მსხვილ მეურნეობას. ეს უპირატესობანი თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ პირობებზეა დამოკიდებული»... ურევთ, უპატივცემულესო: მსხვილი წარ-

მოების უპირატესობებს კომერციული მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

...«პირიქით, მიწის კულტურა, ჩვეულებრივ, შეიძლება ერთნაირად გამოყენებულ იქნას როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობაშიც»... მიწის კულტურა «შეიძლება» გამოყენებულ იქნას.

ღრმააზროვანი მასლოვი, ალბათ, იცნობს ისეთ მეურნეობას, რომელშიც შეიძლება არ იქნას გამოყენებული მიწის კულტურა. ...«მაგალითად, სამმინდვრიანობის შეცვლა მრავალმინდვრიანობით, სასუქის რაოდენობის გადიდება, ხვნის გაღრმავება და სხვა ერთნაირად გამოსაყენებელია როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობაში და ერთნაირ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. მაგრამ, მაგალითად, სამკალი მანქანის შემოღება შრომის ნაყოფიერებას ადიდებს მხოლოდ უფრო მსხვილ მეურნეობებში, იმიტომ რომ პურეულის პატარა ზოლების ხელით მომკა ან მოცელვა უფრო მოსახერხებელია»...

დიახ, მასლოვს, უეჭველია, «პირველს» მოუხდა ასეთი უსაზღვრო არევ-დარევის შეტანა საკითხში! დაუფიქრდით მხოლოდ: ორთქლის გუთანი (ხვნის გაღრმავება), ეს—«მიწის კულტურაა», სამკალი მანქანა, ეს — «ტექნიკაა». გამოდის, ჩვენი სწორუპოვარი მასლოვის მოძღვრებით, რომ ორთქლის გუთანი ა რ ყოფილა ტექნიკა. გამოდის, რომ სამკალი მანქანა ა რ ყოფილა შრომისა და კაპიტალის შემდგომი დანახარჯი. ხელოვნური სასუქი, ორთქლის გუთანი, ბალახთესვა, ეს — «ინტენსიფიკაცია ყოფილა». სამკალი მანქანა და საერთოდ «სასოფლო-სამეურნეო მანქანების მეტი ნაწილი», ეს — «ტექნიკური პროგრესი ყოფილა». ასეთი სისულელის შეთხზვა «მოუხდა» მასლოვს იმიტომ, რომ როგორმე ხომ უნდა დაეცვა «კლებადი ნაყოფიერების კანონი», რომელსაც ტექნიკური პროგრესი უ ა რ ყ ო ფ ს. ბულგაკოვი თავს იმით იძვრენდა, რომ ამბობდა: ტექნიკური პროგრესი დროებითია, შეფერხება — მუდმივიაო. მასლოვი თავს იმით იძვრენს, რომ იგონებს მიწათმოქ-

მედებაში ტექნიკური პროგრესის უაღრესად სასაცილო დაყოფას «ინტენსიფიკაციად» და «ტექნიკად».

რა არის ინტენსიფიკაცია? შრომისა და კაპიტალის შემდგომი დანახარჯი. სამკალი მანქანა, დიადი მასლოვის აღმოჩენით, ა რ ყოფილა კაპიტალის დანახარჯი. მწკრივად სათესი მანქანა ა რ ყოფილა კაპიტალის დანახარჯი! «სამმინდვრიანობის შეცვლა მრავალმინდვრიანობით» ე რ თ ნ ა ი რ ა დ გამოსაყენებელია როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობაში? ტყუილია. მრავალმინდვრიანობის შემოღებაც მოითხოვს კაპიტალის დამატებით დანახარჯებს და იგი ბ ე ვ რ ა დ უ ფ რ ო გამოსაყენებელია მსხვილ მეურნეობაში. იხილე ამაზე, სხვათა შორის, ზემოთ მოყვანილ მონაცემებში გერმანიის მიწათმოქმედების შესახებ («აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» *). რუსული მონაცემებიც ამასვე ამოწმებენ. და სულ უბრალო დაფიქრებაც გიჩვენებთ, რომ სხვანაირად არც შეიძლება, არ შეიძლება ე რ თ ნ ა ი რ ა დ გამოყენებულ იქნას მრავალმინდვრიანობა წვრილ და მსხვილ მეურნეობაში. არ შეიძლება «ერთნაირად იქნას გამოყენებული» სასუქის რაოდენობის გადიდება, რადგან მსხვილ მეურნეობას 1) მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მხრივ, 2) უკეთ ჰკვებავს პირუტყვს და ისე არ «უფრთხილდება» ჩალას და სხვ., 3) აქვს საუკეთესო მოწყობილობა სასუქის შესანახად, 4) მეტ ხელოვნურ სასუქს ხმარობს. მასლოვი ჭეშმარიტად «მოურიდებლად» ამახინჯებს საყოველთაოდ ცნობილ მონაცემებს თანამედროვე მიწათმოქმედებაზე. ბოლოს, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე რ თ ნ ა ი რ ა დ იქნას გამოყენებული წვრილ და მსხვილ მეურნეობაში აგრეთვე ხვნის გაღრმავებაც. საკმარისია აღვნიშნოთ ორი ფაქტი: ჯერ-ერთი, მსხვილ მეურნეობაში იზრდება ორთქლის გუთნის ხმარება (შეად. ზემოთ მოყვანილი ცნობები გერმანიის შესახებ; ახლა, ალბათ, ელექტრონის

* იხ. თხზულებანი, ვამოც. მე-4. ტომი 5, გვ. 223. რ ე დ.

გუთნისაც) *. შეიძლება, მასლოვმაც მოისაზროს, რომ იგი «ერთნაირად» არ გამოიყენება მსხვილ და წვრილ მეურნეობაში. ამ უკანასკნელში ვითარდება ძ რ ო ხ ე ბ ი ს გამოყენება მუშა-პირუტყვად. აბა, დაფიქრდით, დიადო მასლოვო, შ ე ი ძ ლ ე ბ ა ეს ნიშნავდეს ხვნის გაღრმავების ერთნაირ გამოყენებას? მეორე, კიდეც რომ გამოიყენოს მსხვილმა და წვრილმა მეურნეობამ ერთნაირი სახის მუშა-პირუტყვი, უკანასკნელი უფრო ს უ ს ტ ძ ა ლ ო ვ ა ნ ი ა წვრილ მეურნეობაში და ამიტომ არ შეიძლება იყოს პირობების თანასწორობა ხნულის სიღრმის მხრივ.

ერთი სიტყვით, ძნელად უპოვით მასლოვს ფრაზას, რომელიც «თეორიული» აზროვნების ნაცოდვილარს შეიცავს, რომ აღვსილი არ იყოს უამრავი ყოვლად წარმოუდგენელი დაბნეულობითა და ყოვლად გასაოცარი უმეცრებით. მაგრამ მასლოვი შეუშფოთებლად დაასკვნის:

«ვინც გაიგო სოფლის მეურნეობის განვითარების აღნიშნული ო რ ო მხარის განსხვავება (კულტურის გაუმჯობესება და ტექნიკის გაუმჯობესება), ის ადვილად გაიგებს რევიზიონიზმის, ჩვენში კი ნაროდნიკობის მთელ არგუმენტაციას» («ობრაზოვანიე», 1907, № 2, გვ. 125).

დიახ. დიახ. მასლოვი მ ხ ო ლ ო დ იმიტომ არ არის ნაროდნიკი და რევიზიონისტი, რომ შესძლო მარქსის შავად ნაწერ მონახაზებზე მაღლა დამდგარიყო და დახავსებული ბურჟუაზიული ეკონომიის დახავსებულ ცრურწმენებში «გარკვეულიყო». ძველი სიმღერაა ახალ ჰანგზე! მარქსი მარქსის წინააღმდეგ — იძახდნენ ბერნშტეინი და სტრუვე. ვერ დაამხობ რევიზიონიზმს, თუ არ დაამხე მარქსი, — გაიძახის მასლოვი.

დასასრულ — დამახასიათებელი წვრილმანი. თუ მართალი არ არის მარქსი, — რომელმაც შექმნა აბსოლუტური რენტის თეორია, თუ შეუძლებელია რენტა იყოს «კლებადი ნაყოფიერების კანონის» არსებობის გარეშე, მართალი თუ იქნებოდნენ ნაროდნიკები და რევიზიონისტები ამ კანონის არარსებობის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 155. რ ე დ.

შემთხვევაში, — მაშინ, თითქოს მასლოვის «თეორიაში» მის მიერ მარქსიზმის «შ ე ს წ ო რ ე ბ ე ბ ს» ქვაკუთხედის ადგილი უნდა ეკავოს. დიახ, მათ სწორედ ასეთი ადგილი უკავიათ. მაგრამ მასლოვი ამჯობინებს მაინც დამალოს ისინი. ამასწინათ გამოვიდა მისი წიგნის — «აგრარული საკითხი რუსეთში» გერმანული თარგმანი. დავინტერესდი მენახა, რ ა ს ა ხ ი თ აწვდის მასლოვი ევროპის სოციალ-დემოკრატებს თავის წარმოუდგენელ თეორიულ უხამსობას. აღმოჩნდა, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი სახით. ევროპელებს მასლოვმა დ ა უ მ ა ლ ა «მ თ ე ლ ი» თ ა ვ ი ს ი თ ე ო რ ი ა. მან ამოაგდო ყველაფერი, რაც ეხებოდა აბსოლუტური რენტის უარყოფას, კლებადი ნაყოფიერების კანონი და სხვ. ამის გამო უნებურად მომაგონდა ამბავი ერთ უცნობზე, რომელიც პირველად დაესწრო ანტიკური ფილოსოფოსების საუბარს და ამასთან მუდამ დუმდა. თუ ჭკვიანი ხარ, — უთხრა ამ უცნობს ერთერთმა ფილოსოფოსმა, — სულელურად იქცევი. თუ სულელი ხარ, ჭკვიანურად იქცევიო.

## 4. დაკავშირებულია თუ არა აბსოლუტური რენტის უარყოფა მუნიციპალიზაციის პროგრამასთან?

თუმცა მასლოვი აღვსილია შეგნებით, რომ მისი შესანიშნავი აღმოჩენები პოლიტიკური ეკონომიის თეორიის დარგში დიდმნიშვნელოვანია, მიუხედავად ამისა მას, როგორც ჩანს, რამოდენიმედ ეჭვი ეპარება, არსებობს თუ არა ასეთი კავშირი? ყოველ შემთხვევაში, ციტირებულ სტატიაში («ობრაზოვანიე», № 2, გვ. 120) იგი უარყოფს მუნიციპალიზაციის კავშირს კლებადი ნაყოფიერების «ფაქტთან». გამოდის რაღაც უცნაური რამ: «კლებადი ნაყოფიერების კანონი» დაკავშირებულია აბსოლუტური რენტის უარყოფასთან, დაკავშირებულია ნაროდნიკობის წინააღმდეგ ბრძოლასთანაც, მაგრამ, ვითომ, დაკავშირებული არ არის მასლოვის აგრარულ პროგრამასთან! მაგრამ სწორი რომ არ არის, ეს აზრი — კავშირი არ არსებობს ზოგად აგრარულ თეორიასა და მასლოვის რუსულ

აგრარულ პროგრამას შორისო, — ამაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ პირდაპირი გზითაც.

აბსოლუტური რენტის უარყოფა არის მიწის კერძო საკუთრების ეკონომიური მნიშვნელობის უარყოფა კაპიტალიზმის დროს. ვინც მარტო დიფერენციული რენტის არსებობას სცნობს, ის აუცილებლად იმ დასკვნამდე მიდის, რომ კაპიტალისტური მეურნეობისა და კაპიტალისტური განვითარების პირობები სრულიად არ იცვლება იმის მიხედვით, მიწა სახელმწიფოს საკუთრება იქნება თუ კერძო პირთა საკუთრება. ორივე შემთხვევაში, იმ თეორიის თვალსაზრისით, რომელიც აბსოლუტურ რენტას უარყოფს, არსებობს მხოლოდ დიფერენციული რენტა. ცხადია, რომ ასეთმა თეორიამ უ ნ დ ა მიგვიყვანოს ნაციონალიზაციის, როგორც ისეთი ღონისძიების, ყოველგვარი მნიშვნელობის უარყოფამდე, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალიზმის განვითარებაზე მისი დაჩქარების მხრივ, მისთვის გზის გაკაფვის მხრივ და სხვ. ვინაიდან ასეთი შეხედულება ნაციონალიზაციაზე გამომდინარეობს ორგვარი რენტის არსებობის აღიარებიდან, კაპიტალისტურისა, ე. ი. ისეთის, რომლის მოსპობა კაპიტალიზმის დროს თუნდაც ნაციონალიზებულ მიწაზე შეუძლებელია (დიფერენციული რენტა), და ა რ ა კაპიტალისტურისა, რომელიც დაკავშირებულია მონოპოლიასთან, კაპიტალიზმს არ სჭირდება და ხელს უშლის კაპიტალიზმის სრულ განვითარებას (აბსოლუტური რენტა).

ამიტომ მასლოვი, გამოდიოდა რა თავისი «თეორიიდან», აუცილებლივ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «სულ ერთია, ვუწოდებთ მას (მიწის რენტას) აბსოლუტურს თუ დიფერენციულს» («ობრაზოვანიე», № 3, გვ. 103), რომ საკითხი მ ხ ო ლ ო დ ის არის, ეს რენტა ადგილობრივ დაწესებულებებს გადაეცემა თუ ცენტრალურ ხელისუფლებას. მაგრამ ასეთი შეხედულება თეორიული უვიცობის შედეგია. სრულიად დამოუკიდებლად იმ საკითხისაგან, თუ ვის ხელში გადავა რენტა და რა პოლიტიკური მიზნით გამოიყენებენ მას, არის კიდევ გაცილებით უფრო ღრმა საკითხი კაპიტალისტური მეურნეობისა და კაპიტალის-

ტური განვითარების საერთო პირობებში ცვლილებების შესახებ, რასაც გამოიწვევს მიწის კერძო საკუთრების მოსპობა.

ეს წმინდა ეკონომიური საკითხი სრულებითაც არ დაუყენებია მასლოვს, არ შეუგნია მას და არც შეიძლებოდა შეეგნო აბსოლუტური რენტის უარყოფის გამო. აქედან გამომდინარეობს მახინჯი, ცალმხრივი, მე ვიტყოდი, «პ ო ლ ი ტ ი კ ა ნ უ რ ი» გაგება მემამულეთა მიწის კონფისკაციის საკითხისა მხოლოდ და მხოლოდ იმ აზრით, თუ ვინ წაიღებს რენტას. აქედან გამომდინარეობს მახინჯი დ უ ა ლ ი ზ მ ი პროგრამაში, რომელიც გათვალისწინებულია «რევოლუციის ძლევამოსილი განვითარებისთვის» (ტაქტიკური რეზოლუციის გამოთქმა, რომელიც სტოკჰოლმის ყრილობაზე მასლოვის პროგრამას დაემატა). ბურჟუაზიული რევოლუციის ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი განვითარება გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ძირითად ე კ ო ნ ო მ ი უ რ გარდაქმნებს, რაც მართლაც აღგვის ფეოდალიზმისა და შუასაუკუნეობრივი მონოპოლიების ყველა და ყოველგვარ ნაშთს. ამავე დროს მუნიციპალიზაციაში ჩვენ ვხედავთ ნამდვილ ა გ რ ა რ უ ლ ბ ი მ ე ტ ა ლ ი ზ მ ს: ყველაზე ძველი, მობერებული და დრომოჭმული, შუასაუკუნეობრივი სანადელო საკუთრების შეერთებას მიწის კერძო საკუთრების არარსებობასთან, ე. ი. საადგილმამულო ურთიერთობის უაღრესად მოწინავე, თეორიულად იდეალურ წყობასთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს აგრარული ბიმეტალიზმი თეორიული აბსურდია, წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით რაღაც შეუძლებელი რამაა. მიწის კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებასთან შეერთება აქ წმინდა მექანიკურია, «გამოგონილი» ისეთი ადამიანის მიერ, რომელიც თვით კაპიტალისტური მეურნეობის წყობაში ვერ ხედავს ვერავითარ განსხვავებას არსებობს მიწის კერძო საკუთრება თუ არ არსებობს კერძო საკუთრება. ასეთი «თეორეტიკოსისთვის» საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, თუ როგორ განალაგოს რენტა, «სულ ერთია, აბსოლუტურს დავარქმევთ მას თუ დიფერენციულს».

ნამდვილად კი კაპიტალისტურ ქვეყანაში ნახევარი მიწის (138 მილიონი დესეტინისა 280-დან) კერძო საკუთრებად დატოვება შეუძლებელია. ორში ერთი. ან მიწის კერძო საკუთრებას მართლაც მოითხოვს ეკონომიური განვითარების არსებული საფეხური, მართლაც შეეფერება იგი მიწის კაპიტალისტურ მეპატრონეთა კლასის ძირეულ ინტერესებს. მაშინ აუცილებელია მიწის კერძო საკუთრება ყველგან, როგორც ამ ტიპის მიხედვით ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული საზოგადოების ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი.

ან მიწის კერძო საკუთრება არ არის სავალდებულო კაპიტალისტური განვითარების არსებულ საფეხურზე, გარდუვალად არ გამომდინარეობს ფერმერთა კლასის ინტერესებიდან, ეწინააღმდეგება კიდეც ამ ინტერესებს, — მაშინ შეუძლებელია ამ საკუთრების შენარჩუნება მისი დრომოჭმული სახით.

მონოპოლიის შენარჩუნება მიწის კულტურული ფართობის ე რ თ ნახევარზე, პრივილეგიის შექმნა ერთი თანრიგის წვრილ მეურნეთათვის, გამარადისება თავისუფალ კაპიტალისტურ საზოგადოებაში «ბ ი ნ ა დ რ ო ბ ი ს მ ი ჯ ნ ი ს ა», რომელიც ჰყოფს მესაკუთრეთ და საზოგადოებრივი მიწის მოიჯარადრეთ, არის უაზრობა, განუყრელად დაკავშირებული მასლოვის ეკონომიური თეორიის უაზრობასთან.

და ჩვენც ახლა უნდა გადავიდეთ ნაციონალიზაციის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მნიშვნელობის განხილვაზე, რაც უკანა რიგში დააყენეს მასლოვმა და მისმა მომხრეებმა *.

## 5. მიწის კერძო საკუთრების კრიტიკა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით

აბსოლუტური რენტის, კაპიტალისტურ შემოსავალში მიწის კერძო საკუთრების რეალიზაციის ამ ფორმის, უმართე-

* ამ მომხრეთა რიცხვში მოხვდა სტოკჰოლმში პლეხანოვიც. ისტორიის ირონიამ ისა ჰქნა, რომ ორთოდოქსიის ამ ვითომდა მკაცრმა დამცველმა ვ ე რ შ ე ა მ ჩ ნ ი ა თ უ ა რ მ ო ი ს ურ ვ ა შ ე ე მ ჩ ნ ი ა მასლოვის მიერ მარქსის ეკონომიური თეორიის დამახინჯება.

ბულო უარყოფამ გამოიწვია რუსეთის რევოლუციაში აგრარულ საკითხზე სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურისა და მთელი სოციალ-დემოკრატიული პოზიციის ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. იმის ნაცვლად, რომ თავის ხელში აეღოთ მიწის კერძო საკუთრების კრიტიკა, იმის ნაცვლად, რომ ეს კრიტიკა დაეყენებინათ ეკონომიური ანალიზის, განსაზღვრული ეკონომიური ევოლუციის ანალიზის საფუძველზე, — ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა, გაყვნენ რა მასლოვს, ეს კრიტიკა ნაროდნიკებს ჩაუგდეს ხელში. მივიღეთ მარქსიზმის უაღრესი თეორიული გაუგვანება და რევოლუციაში მისი პროპაგანდისტული ამოცანების დამახინჯება. მიწის კერძო საკუთრების კრიტიკას სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებში, პროპაგანდისტულ და სააგიტაციო ლიტერატურაში და სხვ. ეწეოდნენ მ ხ ო ლ ო დ ნაროდნიკული, ე. ი. მეშჩანური, ქვაზი-სოციალისტური თვალსაზრისით. ამ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიიდან რეალური ბირთვის გამოყოფას მარქსისტები ვერ ახერხებდნენ, რაკი მათ ვერ გაიგეს თავისი ამოცანა — შეეტანათ ისტორიული ელემენტები საკითხის განხილვაში და წვრილი ბურჟუების თვალსაზრისი (გამთანაბრებლობის, სამართლიანობის და სხვ. განყენებული იდეა) შეეცვალათ პროლეტარიატის თვალსაზრისით განვითარების პროცესში მყოფ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი ფესვების საკითხზე. ნაროდნიკი ფიქრობს, რომ მიწის კერძო საკუთრების უარყოფა არის კაპიტალიზმის უარყოფა. ეს არ არის სწორი. მიწის კერძო საკუთრების უარყოფა არის უაღრესად წმინდა კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნათა გამოხატულება. და ჩვენ გვიხდება მარქსისტების შეგნებაში გავაცოცხლოთ «დავიწყებული სიტყვები» მარქსისა, რომელიც მიწის კერძო საკუთრებას აკრიტიკებდა კაპიტალისტური მეურნეობის პირობების თვალსაზრისით.

ასეთ კრიტიკას მარქსი მიმართავდა არა მარტო მსხვილი, არამედ წვრილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგაც.

განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში წვრილი გლეხის მიწის თავისუფალი საკუთრება მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების აუცილებელი თანამგზავრია. ა. ფინი სავსებით მართალი იყო მასლოვის წინააღმდეგ, როცა ამას ხაზგასმით აღნიშნავდა. მაგრამ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ დამტკიცებული ისტორიული აუცილებლობის ასეთი აღიარება არ გამორიცხავს მარქსისტის მოვალეობას — ყოველმხრივ შეაფასოს მიწის წვრილი საკუთრება. ასეთი საკუთრების ნამდვილი თავისუფლება წარმოუდგენელია, თუ მიწის ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება არ იქნება. მიწის კერძო საკუთრება ნიშნავს მიწის საყიდლად კაპიტალის დახარჯვის აუცილებლობას. ამის გამო მარქსი «კაპიტალის» III ტომში წერდა: «წვრილი მიწათმოქმედების ერთერთი სპეციფიკური ნაკლი იქ, სადაც იგი დაკავშირებულია მიწის თავისუფალ საკუთრებასთან, გამომდინარეობს იქიდან, რომ მიწის დამმუშავებელი კაპიტალს აბანდებს მიწის საყიდლად» (III, 2, 342) [96]. «კაპიტალის დახარჯვა მიწის საყიდლად ამ კაპიტალს ართმევს კულტურას» (ib. *, 341) [97].

«ფულადი კაპიტალის დახარჯვა მიწის საყიდლად სულაც არ წარმოადგენს სამიწათმოქმედო კაპიტალის დახარჯვას. პირიქით, იგი ნიშნავს იმ კაპიტალის სათანადო შემცირებას, რომელიც შეუძლიათ მოიხმარონ თავის წარმოების სფეროში წვრილმა გლეხებმა. ის სათანადოდ ამცირებს მათი წარმოების საშუალებათა ოდენობას და ამიტომ ავიწროებს რეპროდუქციის ეკონომიურ ბაზას. იგი წვრილ გლეხს უმორჩილებს მევახშეობას, რადგან ამ დარგში საერთოდ იშვიათადაა ნამდვილი საკრედიტო ურთიერთობა. იგი წარმოადგენს აგრიკულტურის დაბრკოლებას აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა ხდება მსხვილ მემამულურ მეურნეობათა ყიდვა. იგი მართლადაც ეწინააღმდეგება წარმოების კაპიტალისტურ წესს, რომლისთვისაც საერთოდ განურჩეველია მიწათმფლობელის დავა-

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

ლიანება, სულ ერთია, მემკვიდრეობით მიიღო მან თავისი მიწის ნაკვეთი თუ იყიდა იგი» (344 — 345) [99].

ამრიგად, მიწის დაგირავებაც და მევახშეობაც წარმოადგენს, ასე ვთქვათ, კაპიტალის მიერ იმ სიძნელეების გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი ს ფორმებს, რომელთაც მიწის კერძო საკუთრება უქმნის მიწათმოქმედებაში კაპიტალის თავისუფალ შეჭრას. უკაპიტალოდ არ შეიძლება მეურნეობის წარმართვა საასაქონლო წარმოების საზოგადოებაში. ეს არ შეიძლება არ შეიგნოს გლეხმაც და მისმა იდეოლოგმა ნაროდნიკმაც. მაშასადამე, საკითხი იმას ეხება, შეუძლია თუ არა კაპიტალს სრულიად თავისუფლად შეიჭრას მიწათმოქმედებაში პირდაპირ და უშუალოდ, თუ მევახშისა და საკრედიტო დაწესებულების საშუალებით. აზრი გლეხისა და ნაროდნიკისა, რომელთაც ნაწილობრივ ვერ შეუგნიათ კაპიტალის სრული ბატონობა თანამედროვე საზოგადოებაში, ნაწილობრივ კი თვალებზე იფარებენ ილუზიებისა და ოცნებათა ქუდს, რათა არასასიამოვნო სინამდვილე არ დაინახონ, — ეს აზრი მიმართულია გარედან ფულადი დახმარებისაკენ. «იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მიწა საერთო-სახალხო ფონდიდან, — ამბობს 104-ის მიწის პროექტის § 15, — და რომელთაც არა აქვთ საკმაო საშუალება შეიძინონ ყოველივე საჭირო მოწყობილობა მეურნეობისათვის, უნდა აღმოეჩინოთ დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე სესხისა და დახმარების სახით». რა თქმა უნდა, ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ფულადი დახმარება აუცილებელი იქნებოდა ძლევამოსილი გლეხური რევოლუციის მიერ რუსეთის მიწათმოქმედების რეორგანიზაციის დროს. კაუტსკი თავის ნაშრომში «აგრარული საკითხი რუსეთში» სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ამას ხაზგასმით. მაგრამ ჩვენში ამჟამად ლაპარაკია იმაზე, თუ როგორია ყველა ამ «ფულადი სესხისა და დახმარების» საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც ნაროდნიკს ვერ შეუმჩნევია. სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ შუამავალი კაპიტალისტებისაგან ფულის გადაცემის საქმეში, მაგრამ თვითონ მას მხოლოდ კაპიტალისტებისაგან

შეუძლია ფულის მიღება. მაშასადამე, სახელმწიფო დახმარების საუკეთესო, როგორიც კი შესაძლებელია, ორგანიზაციის პირობებში კაპიტალის ბატონობა სრულიად არ ისპობა, და საკითხი იგივე რჩება: როგორია მიწათმოქმედებაში კაპიტალის გამოყენების შესაძლებელი ფორმები.

ეს საკითხი კი აუცილებლივ იწვევს მიწის კერძო საკუთრების მარქსისტულ კრიტიკას. ეს საკუთრება დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ა ს წარმოადგენს მიწაზე კაპიტალის თავისუფალი გამოყენებისათვის. ან ამ გამოყენების სრული თავისუფლება, — და მაშინ მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, ე. ი. მიწის ნაციონალიზაცია. ან მიწის კერძო საკუთრების შენარჩუნება, — და მაშინ კაპიტალის შეჭრის შ ე მ ო ვ ლ ი თ ი ფორმები: მიწის დაგირავება მემამულისა და გლეხის მიერ, გლეხის დამონება მევახშის მიერ, მიწის გადაცემა კაპიტალის მფლობელი მოიჯარადრისთვის.

«წვრილი მიწათმოქმედების დროს, — ამბობს მარქსი, — მიწის ფასი, მიწის კერძო საკუთრების ეს ფორმა და ასეთი საკუთრების შედეგი, გვევლინება თვითონ როგორც წარმოების შეზღუდვა. მსხვილი მიწათმოქმედების და მიწის მსხვილი საკუთრების დროსაც, რომელიც მეურნეობის კაპიტალისტურ წესს ემყარება, საკუთრება შეზღუდვას წარმოადგენს, რადგან იგი ბოჭავს ფერმერს კაპიტალის პროდუქტიულად ხარჯვაში, რასაც საბოლოო ანგარიშით სარგებლობა მოაქვს არა მისთვის, არამედ მიწათმფლობელისთვის» («Das Kapital», III. Band, 2. Teil, 346 — 347 *) [99].

მაშასადამე, მიწის კერძო საკუთრების გაუქმება არის მაქსიმალური, როგორიც კი შესაძლებელია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მოსპობა ყოველგვარი დაბრკოლებებისა, რომლებიც ხელს უშლიან მიწათმოქმედებაში კაპიტალის თავისუფალ გამოყენებას და კაპიტალის თავისუფალ გადასვლას წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. კაპიტალიზმის განვითა-

* — «კაპიტალი», ტომი III, ნაწილი 2, გვ. 346 — 347. რ ე დ.

რების თავისუფლება, სიფართოვე და სისწრაფე, კლასობრივი ბრძოლის სრული თავისუფლება, ჩამოშორება ყოველგვარ ზედმეტი შუამავლებისა, რომელნიც მიწათმოქმედებას ამსგავსებენ «ილაჯგამწყვეტ» მრეწველობას, — აი რა არის მიწის ნაციონალიზაცია კაპიტალისტური წარმოების დროს.

## 6. მიწის ნაციონალიზაცია და «ფულადი» რენტა

ნაციონალიზაციის წინააღმდეგ საინტერესო ეკონომიური საბუთით გამოვიდა დაყოფის მომხრე ა. ფინი. ნაციონალიზაციაც და მუნიციპალიზაციაც, — ამბობს ის, — არის რენტის გადაცემა განსაზღვრული საზოგადოებრივი კოლექტივისათვის. მაგრამ იბადება კითხვა, რომელ რენტაზეა აქ ლაპარაკი. არა კაპიტალისტურზე, რადგან «გლეხები ჩვეულებრივ თავისი მიწიდან რენტას კაპიტალისტური აზრით არ იღებენ» («აგრარული საკითხი და სოციალ-დემოკრატია», გვ. 77, შეად. გვ. 63), არამედ წინაკაპიტალისტურ ფულად რენტაზე.

ფულად რენტად მარქსი გულისხმობს გლეხის მიერ მემამულისთვის მთელი ზედმეტი პროდუქტის გადახდას ფულადი სახით. წარმოების წინაკაპიტალისტური წესების დროს მემამულისაგან გლეხის ეკონომიური დამოკიდებულების თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს შრომამიგებითი რენტა (**Arbeitsrente**), ე. ი. საბატონო ბეგარა, შემდეგ რენტა პროდუქტებით ანუ ნატურალური რენტა და, ბოლოს, ფულადი რენტა. ეს რენტა, — ამბობს ა. ფინი, — «ჩვენში ახლაც ყველაზე უფრო გავრცელებულია» (გვ. 63).

უეჭველია, რომ ბატონყმურ-კაბალური იჯარა ძალიან ფართოდ გავრცელებულია ჩვენში და რომ, მარქსის თეორიის მიხედვით, გლეხების გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთი იჯარის დროს ფულად რენტას წარმოადგენს. რა ძალა იძლევა შესაძლებლობას გლეხებს ასეთი რენტა გამოსწურონ? ბურჟუაზიისა და განვითარებადი კაპიტალიზმის ძალა ხომ არა? სრულიადაც არა. ბატონყმური ლატიფუნდიების ძალა. რამდენადაც უკანასკნელნი დანაწილდებიან, — ეს კი

გლეხური აგრარული რევოლუციის გამოსავალი წერტილი და ძირითადი პირობაა, — იმდენად «ფულად რენტაზე» ლაპარაკი წინაკაპიტალისტური გაგებით შეუძლებელია. მაშასადამე, ფინის შემოდავებას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს გლეხთა სანადელო მიწების დანარჩენი მიწებისაგან გ ა მ ო ყ ო ფ ი ს უაზრობას რევოლუციური აგრარული გადატრიალების დროს: რადგან სანადელო მიწები ხშირად გარშემორტყმულია მემამულეთა მიწებით, რადგან გლეხთა და მემამულეთა მიწების გამიჯვნის ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი პირობებიდან კაბალა გამომდინარეობს, ამიტომ ამ გამიჯვნის დატოვება რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ა. **მუნიციპალიზაცია კი ინარჩუნებს მას როგორც დაყოფის, ისე ნაციონალიზაციისაგან განსხვავებით.**

მიწის წვრილი საკუთრების ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წვრილი მეურნეობის არსებობას, რა თქმა უნდა, ერთგვარი ცვლილება შეაქვს კაპიტალისტური რენტის თეორიის საერთო დებულებებში, მაგრამ არ სპობს ამ თეორიას. მარქსი აღნიშნავს, მაგალითად, რომ აბსოლუტური რენტა, როგორც ასეთი, ჩვეულებრივ არ არსებობს წვრილი მიწათმოქმედების დროს, რომელიც უმთავრესად მუშაობს თვით მიწათმოქმედის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (III, 2, 339, 344) [100]. მაგრამ რაც უფრო ვითარდება სასაქონლო მეურნეობა, მით უფრო ეფარდება ეკონომიური თეორიის ყ ვ ე ლ ა დებულება გლეხურ მეურნეობასაც, რაკი იგი კაპიტალისტური სამყაროს პირობებში ჩადგა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწის ვერავითარი ნაციონალიზაცია, მიწათსარგებლობის ვერავითარი გათანაბრება ვერ მოსპობს იმ, რუსეთში სავსებით ჩამოყალიბებულ, მოვლენას, რომ შეძლებული გლეხობა უკვე კაპიტალისტურად ეწევა მეურნეობას. «კაპიტალიზმის განვითარებაში» მე ცხადვყავი, რომ, გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მონაცემების მიხედვით, გლეხურ კომლთა დაახლოებით 1/5-დის ხელშია თავმოყრილი ნ ა ხ ე ვ რ ა მ დ ე გლეხური სამიწათმოქმედო წარმოება და ი ჯ ა რ ი ს გაცი-

ლებით უფრო დიდი წილი, რომ ასეთი გლეხების მეურნეობა ახლა უკვე უფრო სასაქონლოა, ვიდრე ნატურალური, — რომ, ბოლოს, ამ გლეხობას არ შეუძლია იარსებოს, თუ არ იქნება მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების მილიონიანი კონტინგენტი*. ამ გლეხობაში კაპიტალისტური რენტის ელემენტები უკვე წინდაწინ მოცემულია. ეს გლეხობა თავის ინტერესებს გამოხატავს ბატონ პეშეხონოვების პირით, რომელნიც «გონივრულად» უარყოფენ როგორც დაქირავებული შრომის აკრძალვას, ისე «მიწის სოციალიზაციას», გონივრულად იცავენ იმ გლეხის თვალსაზრისს, რომელიც იკაფავს სამეურნეო ინდივიდუალიზმის გზას. თუ ჩვენ ნაროდნიკების უტოპიებში მკაცრად გავაცალკევებთ რეალურ ეკონომიურ მომენტს ყალბი იდეოლოგიისაგან, ერთბაშად დავინახავთ, რომ ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობით — როგორც დაყოფის, ისე ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის დროს — ყველაზე უფრო მოიგებს სწორედ ბურჟუაზიული გლეხობა. სახელმწიფოს «სესხი და დახმარება» ასევე არ შეიძლება მის სასარგებლოდ არ წავიდეს უწინარეს ყოვლისა. «გლეხთა აგრარული რევოლუცია» არის მხოლოდ მთელი მიწათმფლობელობის დაქვემდებარება სწორედ ამ ფერმერთა მეურნეობების პროგრესისა და აყვავების პირობებისადმი.

ფულადი რენტა, ეს არის მომაკვდავი გუშინდელი დღე, რომელიც არ შეიძლება არ მოკვდეს. კაპიტალისტური რენტა, ეს არის ხვალინდელი დღე, რომელიც იბადება და არ შეიძლება არ განვითარდეს როგორც უღარიბესი გლეხების სტოლიპინური ექსპროპრიაციის («87-ე მუხლით»), ისე უმდიდრეს მემამულეთა გლეხური ექსპროპრიაციის პირობებში.

### 7. რა პირობებში შეიძლება განხორციელდეს ნაციონალიზაცია?

მარქსისტებს შორის ხშირად ვხვდებით იმ შეხედულებას, რომ ნაციონალიზაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების მაღალ საფეხურზე, როცა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 142 — 147. რ ე დ.

იგი უკვე სავსებით მოამზადებს «მიწათმოქმედებისაგან მიწათმფლობელთა გამოყოფის» პირობებს (იჯარისა და ჰიპოთეკის საშუალებით). ვარაუდობენ, რომ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედება უკვე უნდა ჩამოყალიბდეს, სანამ განხორციელდებოდეს მიწის ნაციონალიზაცია, რომელიც ჰკვეთს რენტას და არ ეხება სამეურნეო ორგანიზმს *.

სწორია თუ არა ასეთი შეხედულება? თეორიულად მისი დასაბუთება შეუძლებელია; მარქსზე პირდაპირი მითითებით მას ვერ დაიცავ; გამოცდილების მონაცემები უფრო მის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ.

თეორიულად ნაციონალიზაცია წარმოადგენს მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის «იდეალურად»-წმინდა განვითარებას. სხვა საქმეა ის საკითხი, თუ რამდენად ხშირად განსახორციელებელია ისტორიაში პირობების ისეთი შეხამება და ძალთა ისეთი თანაფარდობა, რომელნიც შესაძლებელს ხდიან ნაციონალიზაციას კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ იგი არის კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების არა მარტო შედეგი, არამედ პირობაც. იმის ფიქრი, რომ ნაციონალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალიზმის განვითარება მიწათმოქმედებაში მეტად მაღალ დონეს მიაღწევსო, — ეს, თითქოს, ნიშნავს ნაციონალიზაციის, როგორც ბურჟუაზიული პროგრესის ღონისძიების, უარყოფას, რადგან სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მაღალმა განვითარებამ უკვე ყველგან რიგში დააყენა (და აუცილებლად დააყენებს თავის დროზე ახალ ქვეყნებშიც) «სამიწათმოქმედო წარმოების სოციალიზაცია», ე. ი. სოციალისტური გადატრიალება. ბურჟუაზიული პროგრესის ღონისძიება, როგორც ბურჟუაზიული

* აი ამ შეხედულების ერთერთი უზუსტესი გამოთქმა დაყოფის მომხრის, ამხ. ბორისოვისა: «...შემდეგში მას (მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას) წამოაყენებს ისტორია, წამოაყენებს მაშინ, როცა წვრილბურჟუაზიული მეურნეობის დეგრადაცია მოხდება, კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში მტკიცე პოზიციებს დაიპყრობს, და რუსეთიც უკვე აღარ იქნება გლეხური ქვეყანა» (გვ. 127 სტოკჰოლმის ყრილობის ოქმებისა).

ღონისძიება, წარმოუდგენელია პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის ძლიერი გამწვავების დროს. ასეთი ღონისძიება უფრო შესაძლებელია «ახალგაზრდა» ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ განუვითარებია თავისი ძალები, ჯერ კიდევ არ გაუშლია თავისი წინააღმდეგობანი ბოლომდე, ჯერ კიდევ არ შეუქმნია ისეთი ძლიერი პროლეტარიატი, რომელიც უშუალოდ მიისწრაფის სოციალისტური გადატრიალებისკენ. და მარქსი შესაძლებლად თვლიდა, ხოლო ნაწილობრივ პირდაპირ იცავდა, ნაციონალიზაციას არა მარტო გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, არამედ 1846 წელსაც ამერიკისთვის, რომლის მიმართ ის მაშინვე სრული სიზუსტით აღნიშნავდა, რომ იგი მ ხ ო ლ ო დ ახლა ი წ ყ ე ბ ს «ინდუსტრიულ» განვითარებასო. სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის გამოცდილება არ გვიჩვენებს მიწის ნაციონალიზაციას რამდენადმე წმინდა სახით. რაღაც ამის ანალოგიურს ვხედავთ ახალ ზელანდიაში, — ახალგაზრდა კაპიტალისტურ დემოკრატიაში, სადაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის დიდ განვითარებაზე. რაღაც ამის ანალოგიური იყო ამერიკაშიც, როცა სახელმწიფო სცემდა კანონს ჰომსტედების შესახებ და ნომინალური რენტის ფასად მიწის ნაკვეთებს ურიგებდა წვრილ მეურნეთ.

არა. ნაციონალიზაციის მიკუთვნება დიდად-განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქისთვის—ნიშნავს მისი, როგორც ბურჟუაზიული პროგრესის ღონისძიების, უარყოფას. ასეთი უარყოფა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ეკონომიურ თეორიას. მე ვფიქრობ, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიების» შემდგომ მსჯელობაში მარქსმა დასახა ნაციონალიზაციის განხორციელების ს ხ ვ ა პირობები, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ.

ცხადყოფს რა, რომ მიწათმფლობელი სრულიად ზედმეტი ფიგურაა კაპიტალისტური წარმოებისათვის, რომ ამ უკანასკნელის მიზანი «სავსებით მიიღწევა», თუ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის, მარქსი განაგრძობს:

«ამიტომ რადიკალური ბურჟუა თეორიულად მიდის მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე... მაგრამ სინამდვილეში მას არ ჰყოფნის გამბედაობა, რადგან თავდასხმა საკუთრების ერთ ფორმაზე, შრომის პირობების კერძო საკუთრების ფორმაზე, ფრიად საშიში იქნებოდა სხვა ფორმისათვისაც. გარდა ამისა, ბურჟუამ თვითონვე გაიტერიტორიალა თავი» («**Theorien über den Mehrwert**», II. **Band**, 1. **Teil**, S. 208) [101].

მარქსი აქ არ აღნიშნავს, როგორც ნაციონალიზაციის განხორციელების დაბრკოლებას, კაპიტალიზმის განუვითარებლობას მიწათმოქმედებაში. ის აღნიშნავს ო რ სხვა დაბრკოლებას, რომელიც გაცილებით უფრო მეტს მეტყველებს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ეპოქაში ნაციონალიზაციის განსახორციელებლობის აზრის სასარგებლოდ.

პირველი დაბრკოლება: რადიკალურ ბურჟუას გ ა მ ბ ე დ ა ო ბ ა ა რ ჰ ყ ო ფ ნ ი ს თავს დაესხას მიწის კერძო საკუთრებას ყოველგვარ კერძო საკუთრებაზე სოციალისტური თავდასხმის, ე. ი. სოციალისტური გადატრიალების, საშიშროების გამო.

მეორე დაბრკოლება: «ბურჟუამ თვითონვე გაიტერიტორიალა თავი». მარქსს მხედველობაში აქვს, ალბათ, რომ სწორედ წარმოების ბურჟუაზიულმა წესმა უკვე განიმტკიცა თავი მიწის კერძო საკუთრებაში, ე. ი. რომ ეს კერძო საკუთრება გახდა გაცილებით უფრო ბურჟუაზიული, ვიდრე ფეოდალური. როცა ბურჟუაზია, როგორც კლასი, ფართო, გადაჭარბებულ ფარგლებში, უ კ ვ ე დაუკავშირდა მიწათმფლობელობას, უ კ ვ ე «თვითონვე გაიტერიტორიალა თავი», «დაბინადრდა მიწაზე», სავსებით დაიმორჩილა მიწათმფლობელობა — მაშინ ბურჟუაზიის ნამდვილი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მოძრაობა ნაციონალიზაციის სასარგებლოდ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთი კლასი არ წავა თავისი თავის წინააღმდეგ.

ორივე ეს დაბრკოლება, საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლება თავიდან აშორებულ იქნას მ ხ ო ლ ო დ კაპიტალიზმის და-

საწყისის და არა დასასრულის ეპოქაში, ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში და არა სოციალისტური რევოლუციის წინადღით. იმ აზრს, რომ ნაციონალიზაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დიდად განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, არ შეიძლება მარქსისტული ეწოდოს. იგი ეწინააღმდეგება როგორც მარქსის თეორიის საერთო დებულებებს, ისე მის მოყვანილ სიტყვებს. ნაციონალიზაციის, როგორც ამგვარი ძალების და კლასების მიერ გატარებული ღონისძიების, ისტორიულ-კონკრეტული ვითარების საკითხს იგი ამარტივებს სქემატურ და ცარიელ აბსტრაქციამდე.

«რადიკალი ბურჟუა» შეუძლებელია მამაცი იყოს დიდად განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში. ასეთ ეპოქაში ეს ბურჟუა მასობრივად უკვე გარდუვალად კონტრრევოლუციურია. ასეთ ეპოქაში აუცილებელია ბურჟუაზიის უკვე თითქმის სრული «ტერიტორიალიზაცია». პირიქით, ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ობიექტური პირობები აიძულებენ «რადიკალ ბურჟუას» იყოს მამაცი, რადგან ამ დროის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისას მას, როგორც კლასს, ჯერ კიდევ არ შეიძლება პროლეტარული რევოლუციის ეშინოდეს. ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ გატერიტორიალებულა: ასეთ ეპოქაში მიწათმფლობელობა ჯერ კიდევ მეტისმეტად გაჟღენთილია ფეოდალიზმით. შესაძლებელი ხდება ის მოვლენა, რომ ბურჟუაზიულ მიწათმოქმედთა, ფერმერთა, მასამ იბრძოლოს მიწათმფლობელობის მთავარი ფორმების წინააღმდეგ, ამიტომაც მივიდეს «მიწის» სრული ბურჟუაზიული «განთავისუფლების», ე. ი. ნაციონალიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე.

ყველა ამ მხრივ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია ყოველნაირად განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. წმინდა-ეკონომიური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, უცილობლად უნდა ვაღიაროთ ფეოდალიზმის ნაშთების მაქ-

სიმუმი რუსეთის მიწათმფლობელობაში, როგორც მემამულურ, ისე გლეხურ სანადელო მიწათმფლობელობაში. ასეთ პირობებში წინააღმდეგობა მრეწველობაში შედარებით განვითარებულ კაპიტალიზმსა და სოფლის საშინელ ჩამორჩენილობას შორის აშკარა ხდება და, ობიექტური მიზეზების გამო, იწვევს ბურჟუაზიული რევოლუციის უდიდესად გაღრმავებას, უსწრაფესი აგრიკულტურული პროგრესის პირობების შექმნას. მიწის ნაციონალიზაცია არის სწორედ ჩვენი მიწათმოქმედების უსწრაფესი კაპიტალისტური პროგრესის პირობა. ჩვენ რუსეთში გვყავს ისეთი «რადიკალი ბურჟუა», რომელსაც თავისი თავი ჯერ კიდევ არ «გაუტერიტორიალებია», რომელსაც არ შეიძლება ეშინოდეს ამჟამად პროლეტარული «თავდასხმისა». ეს რადიკალი ბურჟუა — რუსი გლეხია.

აღნიშნული თვალსაზრისით სავსებით გასაგები ხდება რუსი ლიბერალური ბურჟუების მასის და რუსი გლეხების მასის სხვადასხვა დამოკიდებულება მიწის ნაციონალიზაციისადმი. ლიბერალურმა მემამულემ, ვექილმა, მსხვილმა მრეწველმა, ვაჭარმა — ყველა ამათ სავსებით საკმაოდ «გაიტერიტორიალეს» თავი. მათ არ შეუძლიათ პროლეტარული თავდასხმისა არ ეშინოდეთ. მათ არ შეუძლიათ სტოლიპინურ-კადეტური გზა არ ამჯობინონ. აბა იფიქრეთ, რა ოქროს მდინარე მიუდით ახლა მემამულეებს, მოხელეებს, ვექილებს, ვაჭრებს იმ მილიონების სახით, რომელთაც ურიგებს «საგლეხო» ბანკი დაშინებულ მემამულეებს! კადეტური «გამოყიდვის» დროს ეს ოქროს მდინარე შეიძლება ოდნავ სხვანაირად ყოფილიყო მიმართული; შესაძლოა, ოდნავ ნაკლებად უხვი ყოფილიყო, მაგრამ მაინც ისიც ასეული მილიონებისაგან იქნებოდა შემდგარი და იმავე ხელში იდენდა.

მიწათმფლობელობის ყ ვ ე ლ ა ძველი ფორმის რევოლუციური დამხობით შეიძლება ერთი კაპიკიც არ ხვდეს არც მოხელეს და არც ვექილს. ხოლო ვაჭარს — მასობრივად — არ შეუძლია ისე შორს გასჭვრიტოს, რომ გლეხთა შინაური ბაზრის მომავალი გაფართოება ამჯობინოს ბატონისგან დაუყოვ-

ნებლივ რაიმეს წაგლეჯის შესაძლებლობას. მხოლოდ გლეხს, რომელიც სიკვდილის პირამდე მიჰყავს ძველ რუსეთს, შესწევს უნარი იბრძოლოს მიწათმფლობელობის სრული განახლებისათვის.

### 8. ნაციონალიზაცია — დაყოფაზე გადასვლაა?

თუ ნაციონალიზაციას შევხედავთ როგორც ისეთ ღონისძიებას, რომელიც ყველაზე უფრო შეიძლება განხორციელდეს ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, ასეთი შეხედულება აუცილებლად იმ აზრამდე მიგვიყვანს, რომ ნაციონალიზაცია შეიძლება გადაიქცეს დაყოფაზე უბრალო გადასვლად. რეალურ ეკონომიურ მოთხოვნილებას, რომელიც გლეხობის მასას აიძულებს ეცადოს ნაციონალიზაციის განხორციელებას, წარმოადგენს აუცილებლობა — ძირფესვიანად განახლდეს მიწათმფლობელობის ყველა ძველი ურთიერთობა, «გაიწმინდოს» მთელი მიწა, ახლად შეგუებულ იქნას იგი ახალი, საფერმერო მეურნეობისათვის. რაკი ეს ასეა, ცხადია, რომ შეგუებულ ფერმერებს, რომელთაც განაახლეს მ თ ე ლ ი მიწათმფლობელობა, შეუძლიათ მოითხოვონ ამ ა ხ ა ლ ი საადგილმამულო წესების დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა, ე. ი. მათ მიერ სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული ნაკვეთების საკუთრებად გადაქცევა.

დიახ, ეს სრულიად უდავოა. ნაციონალიზაცია ჩვენ გამოგვყავს არა განყენებული მოსაზრებებიდან, არამედ კონკრეტული ეპოქის კონკრეტული ინტერესების კონკრეტული გათვალისწინებიდან. და, რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა «იდეალისტებად» ჩაგვეთვალა წვრილ მეურნეთა მასა, სასაცილო იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ისინი შეჩერდებიან დაყოფის წინაშე, რაკი ამას მათი ინტერესები მოითხოვს. მაშასადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ, 1) შეიძლება თუ არა მათმა ინტერესებმა მოითხოვოს დაყოფა, 2) რა პირობებში და 3) რა გავლენა უნდა მოახდინოს ამან პროლეტარულ აგრარულ პროგრამაზე.

პირველ კითხვაზე ჩვენ უკვე გავეცით დადებითი პასუხი. მეორეზე ამჟამად არ შეიძლება გარკვეულად პასუხის გაცემა. დაყოფა შეიძლება გამოიწვიოს, რევოლუციური ნაციონალიზაციის პერიოდის შემდეგ, მისწრაფებამ — განმტკიცებულ იქნას მაქსიმალური შესაძლებლობით მიწათმფლობელობის ახალი, კაპიტალიზმის მოთხოვნების შესაბამისი, ურთიერთობა, იგი შეიძლება გამოიწვიოს მიწის მ ო ც ე მ უ ლ მფლობელთა მისწრაფებამ — გაიდიდონ შემოსავალი დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე. ბოლოს, იგი შეიძლება გამოიწვიოს მისწრაფებამ — «დაამშვიდონ» (ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩაახშონ) პროლეტარიატი და ნახევრადპროლეტარული ფენები, რომელთათვისაც მიწის ნაციონალიზაცია იქნება ის ელემენტი, რომელიც მათ მთელი საზოგადოებრივი წარმოების სოციალიზაციის «მადას აღუძრავს». სამივე ეს შესაძლებლობა ემყარება ერთ ეკონომიურ საფუძველს, რადგან ახალ ფერმერთა ახალი კაპიტალისტური მიწათმფლობელობის განმტკიცებიდან თავისთავად წარმოიშვება როგორც ანტიპროლეტარული სულისკვეთება, ისე მისწრაფება — შეიქმნან თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ახალი პრივილეგია საკუთრების უფლების სახით. მაშასადამე, საკითხი სწორედ ის არის, რომ სამეურნეო განმტკიცება მოხდეს. მისი მუდმივი ხელისშემშლელი იქნება კაპიტალიზმის განვითარება, რომელიც აძლიერებს მსხვილი მიწათმოქმედების უპირატესობას და მოითხოვს ფერმერთა წვრილი ნაკვეთების მსხვილ ნაკვეთებად «კონსოლიდაციის» მუდმივ სიადვილეს. დროებითი შემაფერხებელი იქნება რუსეთის საკოლონიზაციო ფონდი: ახალი მეურნეობის განმტკიცება ნიშნავს სამიწათმოქმედო ტექნიკის ამაღლებას. ჩვენ კი უკვე ცხადვყავით, რომ სამიწათმოქმედო ტექნიკის თვითეული წინგადადგმული ნაბიჯი რუსეთის საკოლონიზაციო ფონდის ახალ-ახალი ფართობის «აღმოჩენაა».

ჩვენ მიერ დაყენებული მეორე საკითხის გარჩევის შედეგად უნდა გავაკეთოთ დასკვნა: ზუსტად იმ პირობების წინასწარმეტყველება, თუ ახალი ფერმერების მოთხოვნა დაყოფისა

როდის დასძლევს ყველა ხელისშემშლელ გავლენას, შეუძლებელია. იმის ანგარიშის გაწევა, რომ შემდგომი კაპიტალისტური განვითარება უსათუოდ შექმნის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ასეთ პირობებს, აუცილებელია.

სამაგიეროდ უკანასკნელ საკითხზე, ახალი ფერმერების მიერ დაყოფის შესაძლებელი მოთხოვნისადმი მუშათა პარტიის დამოკიდებულების შესახებ, შეიძლება სავსებით გარკვეული პასუხი გავცეთ. პროლეტარიატს შეუძლია და ვალდებულიცაა მხარი დაუჭიროს მებრძოლ ბურჟუაზიას, როდესაც იგი ეწევა ნამდვილ რევოლუციურ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ პროლეტარიატის საქმე არ არის მხარი დაუჭიროს დამშვიდებულ ბურჟუაზიას. თუ უეჭველია, რომ ძლევამოსილი ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში შეუძლებელია მიწის ნაციონალიზაციის მოუხდენლად, მაშინ კიდევ უფრო უეჭველია, რომ შემდგომი მიბრუნება დაყოფისაკენ შეუძლებელია ისე, რომ არ მოხდეს ერთგვარი «რესტავრაცია», გლეხობის (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნავარაუდევი ურთიერთობის თვალსაზრისით — ფერმერობის) მიუბრუნებლად კონტრრევოლუციისაკენ. პროლეტარიატი ხელს კი არ შეუწყობს ყველა ასეთ მისწრაფებას, არამედ დაიცავს რევოლუციურ ტრადიციას ამ მისწრაფებათა წინააღმდეგ.

ყოველ შემთხვევაში დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ნაციონალიზაცია იმ შემთხვევაში, თუ ახალი ფერმერობა მოითხოვს დაყოფას, დარჩებოდა სწრაფლწარმავალ, სერიოზულ მნიშვნელობას მოკლებულ, მოვლენად. მას ყოველ შემთხვევაში ექნებოდა გიგანტური მნიშვნელობა, როგორც მატერიალური, ისე მორალური. მატერიალური — იმ მხრივ, რომ არაფერს შეუძლია ისე სრულად აღმოფხვრას შუასაუკუნეობრივი ნაშთები რუსეთში, ისე სრულად განაახლოს აზიურობით ნახევრადდამპალი სოფელი, ისე სწრაფად წასწიოს წინ აგრიკულტურული პროგრესი, როგორც ნაციონალიზაციას. აგრარული საკითხის ყოველი სხვაგვარი გადაწყვეტა რევო-

ლუციაში ნაკლებ ხელსაყრელ გამოსავალ პუნქტებს ქმნის შემდგომი ეკონომიური განვითარებისათვის.

რევოლუციურ ეპოქაში ნაციონალიზაციის მორალური მნიშვნელობა ის არის, რომ პროლეტარიატი ეხმარება ისეთი ლახვარი ჩასცენ «კერძო საკუთრების ერთ ფორმას», რომლის გამოხმაურება აუცილებელია მთელ მსოფლიოში. პროლეტარიატი იცავს ყველაზე თანამიმდევარ და ყველაზე გადამწყვეტ ბურჟუაზიულ გადატრიალებას, კაპიტალისტური განვითარების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს და ამნაირად უდიდესი წარმატებით ეწინააღმდეგება ყოველგვარ ნახევრულობას, მოდუნებულობას, უხასიათობას, პასიურობას, — იმ თვისებებს, რომლებიც არ შეიძლება არ გამოიჩინოს ბურჟუაზიამ.

## თავი IV

## პოლიტიკური და ტაქტიკური მოსაზრებანი აგრარული პროგრამის საკითხებში

სწორედ ამგვარი მოსაზრებები, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, არაპროპორციულად დიდ ადგილს იკავებენ ჩვენს პარტიულ დისკუსიაში აგრარული პროგრამის შესახებ. ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ ასეთი მოსაზრებანი რაც შეიძლება უფრო სისტემატურად და მოკლედ, ამასთან, აღვნიშნოთ სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებათა (და თვალსაზრისთა) დამოკიდებულება აგრარული გადატრიალების ეკონომიურ საფუძვლებთან.

### 1. «გარანტია რესტავრაციისაგან»

«მოხსენებაში» სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ მე ვარჩევდი ამ მოსაზრებას, აღვადგენდი რა კამათს მეხსიერებით, ახლა ხელთა გვაქვს ოქმების ზუსტი ტექსტი.

«ჩემი პოზიციის გასაღები — წამოიძახა პლეხანოვმა სტოკჰოლმის ყრილობაზე — რესტავრაციის შესაძლებლობაზე მი-

თითება�» (115). გავსინჯოთ უფრო ახლოს ეს გასაღები. აი პირველი მითითება მასზე პლეხანოვის პირველ სიტყვაში.

«ლენინი ამბობს: «ჩვენ უვნებელვყოფთ ნაციონალიზაციასო», მაგრამ ნაციონალიზაცია რომ უვნებელყო, აუცილებელია იპოვო გარანტია რესტავრაციის წინააღმდეგ; ასეთი გარანტია კი არ არის და არც შეიძლება იყოს. მოიგონეთ საფრანგეთის ისტორია; მოიგონეთ ინგლისის ისტორია; თვითეულ ამ ქვეყანაში ფართო რევოლუციურ გაქანებას მოჰყვა რესტავრაცია. იგივე შეიძლება მოხდეს ჩვენშიც; და ჩვენი პროგრამა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ზიანი, რომელიც შეიძლება რესტავრაციამ მოიტანოს. ჩვენმა პროგრამამ უნდა მოსპოს ცარიზმის ეკონომიური საფუძველი; მიწის ნაციონალიზაცია კი რევოლუციურ პერიოდში არ სპობს ამ საფუძველს. ამიტომ ნაციონალიზაციის მოთხოვნას მე ანტირევოლუციურ მოთხოვნად ვთვლი» (44). როგორია ეს «ცარიზმის ეკონომიური საფუძველი», ამაზე პლეხანოვი იმავე სიტყვაში ამბობს: «ჩვენში საქმე ისე მოეწყო, რომ მიწა მიწათმოქმედთან ერთად დაიმონა სახელმწიფომ და ამ დამონების საფუძველზე განვითარდა რუსული დესპოტიზმი. ამ დესპოტიზმის გასანადგურებლად აუცილებელია მისი ეკონომიური საფუძვლის მოსპობა. ამიტომ მე ახლა ნაციონალიზაციის წინააღმდეგი ვარ» (44).

შეხედეთ უპირველეს ყოვლისა *რ ე ს ტ ა ვ რ ა ც ი ა ზ ე* ამ მსჯელობის *ლ ო გ ი კ ა ს*. პირველი: «რესტავრაციის თავიდან აშორების გარანტია არ არის და არც შეიძლება იყოს!» მეორე: საჭიროა «მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ზიანი, რომელიც შეიძლება რესტავრაციამ მოიტანოს». ესე იგი, *უ ნ დ ა მ ო ვ ი ს ა ზ რ ო თ* გარანტია რესტავრაციისაგან, თუმცა ასეთი გარანტია შეუძლებელია არსებობდეს! და შემდგომ 45-ე გვერდზე (იგივე სიტყვა) პლეხანოვმა საბოლოოდ მოისაზრა გარანტია: «რესტავრაციის შემთხვევაში — პირდაპირ ამბობს იგი — ის (მუნიციპალიზაცია) მიწას ხელთ არ უგდებს

(მოისმინეთ!) ძველი წესწყობილების პოლიტიკურ წარმომადგენლებს». რესტავრაციის თავიდან აშორების გარანტია ნაპოვნია, თუმცა ასეთი გარანტია «შეუძლებელია არსებობდეს». ოინი ბრწყინვალედ არის შესრულებული, და მენშევიკური ლიტერატურაც დიდად აღტაცებულია ამ ოინბაზის ოსტატობით.

როცა პლეხანოვი ლაპარაკობს, ის ენამახვილობს, ხუმრობს, ხმაურობს, ჭექს, ტრიალებს და ბრწყინავს, როგორც შუშხუნას ბორბალი. მაგრამ უბედურებაა, როცა ასეთი ორატორი თავის სიტყვას სისწორით ჩაიწერს და შემდეგ მას ლოგიკურად გაარჩევენ.

რა არის რესტავრაცია? სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ძველი წესწყობილების პოლიტიკურ წარმომადგენელთა ხელში. შეიძლება თუ არა იყოს ასეთი რესტავრაციის თავიდან აშორების გარანტია? არა, გარანტია შეუძლებელია იყოს. ამიტომ ჩვენ ვიგონებთ ასეთ გარანტიას: მუნიციპალიზაციას, რომელიც «მიწას არ უგდებს ხელში»... მაშ რა არის ის დაბრკოლება, ვეკითხებით შემდეგ, რომელსაც მუნიციპალიზაცია ქმნის, რომ «ხელთ არ ჩაუგდოს მიწა»? **მხოლოდ** და მხოლოდ კანონი, რომელსაც რევოლუციური პარლამენტი სცემს და რომელიც ამა და ამ მიწებს (ყოფილი მემამულეთა და სხვ.) საოლქო სეიმების საკუთრებად აცხადებს. მერე რა არის კანონი? იმ კლასების ნების გამოხატულება, რომლებმაც გაიმარჯვეს და ხელთ უპყრიათ სახელმწიფო ძალაუფლება.

გესმით თუ არა ახლა, რომ ასეთი კანონი «ხელთ არ უგდებს მიწას» «ძველი წესწყობილების წარმომადგენლებს», როცა მათ ხელში გადავა სახელმწიფო ძალაუფლება?

— და ასეთ გაუგონარ სისულელეს ქადაგებდნენ სტოკჰოლმის შემდეგ სოციალ-დემოკრატები და ისიც სათათბიროს ტრიბუნიდან! *

* წერეთლის სიტყვა 1907 წლის 26 მაისისა, მეორე სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშების 1234-ე გვ.

არსებითად «რესტავრაციისაგან გარანტიის» ამ ყბადაღებულ საკითხზე უნდა შევნიშნოთ შემდეგი. რადგან რესტავრაციისაგან გარანტია შეუძლებელია ხელთ გქონდეს, ამიტომ ამ საკითხის წამოყენება აგრარულ პროგრამასთან დაკავშირებით ნიშნავდა მსმენელთა ყურადღების განზე მიქცევას, მათი თავის გამოტენას აბდაუბდით, კამათის არევ-დარევას. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს ნებაზე გამოვიწვიოთ სოციალისტური გადატრიალება დასავლეთში, — რუსეთში რესტავრაციის თავიდან აშორების ეს ერთადერთი აბსოლუტური გარანტია. შედარებითს და პირობითს «გარანტიას» კი, ე. ი. რესტავრაციის რაც შეიძლება მეტ გაძნელებას, წარმოადგენს რევოლუციური გადატრიალების რაც შეიძლება უფრო ღრმად, თანამიმდევრულად, გადაჭრით განხორციელება რუსეთში. რაც უფრო შორს წავა რევოლუცია, მით უფრო ძნელი იქნება ძველის რესტავრაცია, მით უფრო მეტი დარჩება რესტავრაციის შემთხვევაშიც კი. რაც უფრო ღრმად იქნება რევოლუციით მოხნული ძველი ნიადაგი, მით უფრო ძნელი იქნება რესტავრაცია. პოლიტიკურ სფეროში უფრო ღრმა გადატრიალება არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიდრე დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, იგი გულისხმობს (და იგი ფართოდ შლის) ხალხის დიდი მასების დიდ რევოლუციურ ენერგიას, შეგნებულობას, დარაზმულობას, ის სტოვებს ტრადიციებს, რომელთა აღმოფხვრა ბევრად უფრო ძნელია. ამიტომ არის, მაგალითად, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატები ასე აფასებენ საფრანგეთის რევოლუციის დიად ნაყოფს, მიუხედავად ყველა რესტავრაციისა, — განსხვავდებიან რა ამით კადეტებისაგან (და მოკადეტო სოციალ-დემოკრატებისაგან?), რომლებიც უპირატესობას აძლევენ დემოკრატიულ ერობებს მონარქიის დროს, როგორც «რესტავრაციისაგან გარანტიას».

ეკონომიურ სფეროში ბურჟუაზიული აგრარული გადატრიალების დროს ყველაზე შორს მიდის ნაციონალიზაცია, რადგან ის ამსხვრევს მთელ შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობე-

ლობას. გლეხი ახლა მეურნეობას ეწევა საკუთარი სანადელო მიწის ნაკვეთზე, იჯარით აღებულ სანადელო მიწის ნაკვეთზე, იჯარით აღებულ მემამულის მიწის ნაკვეთზე და სხვ. ნაციონალიზაცია მაქსიმალურ საშუალებას იძლევა დამსხვრეულ იქნას მიწათმფლობელობის ყველა ზღუდე და მთელი მიწა «გაიწმინდოს» ახალი მეურნეობისათვის, რომელიც შეესაბამება კაპიტალიზმის მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, არც ასეთი წმენდის დროს არის გარანტია ძველის დაბრუნებისაგან — ასეთი «რესტავრაციისაგან გარანტია» რომ ხალხს აღუთქვა, ეს თაღლითობა იქნებოდა. მაგრამ ძველი მიწათმფლობელობის ასეთი წმენდა იმდენად განამტკიცებდა ახალ მეურნეობას, რომ ძველი მიწათმფლობელობისადმი დაბრუნება მაქსიმალურად გაძნელდებოდა, რადგან კაპიტალიზმის განვითარების შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. მუნიციპალიზაციის დროს კი ძველი მიწათმფლობელობისადმი დაბრუნება ადვილდება, რადგან ის ამარადისებს «ბინადრობის ფარგლებს», მიჯნას, რომელიც შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას ჰყოფს ახალი, მუნიციპალიზებული მიწათმფლობელობისგან. ნაციონალიზაციის შემდეგ რესტავრაციამ უნდა დაარღვიოს მილიონობით ახალი, კაპიტალისტური (ფერმერული) მეურნეობა, რომ აღადგინოს ძველი მიწათმფლობელობა. მუნიციპალიზაციის შემდეგ კი რესტავრაციას მეურნეობათა არავითარი დარღვევა არ სჭირდება, არავითარი ახალი გადამიჯვნა არ სჭირდება, — საკმაოა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ხელი მოაწერო ქაღალდს, რომლითაც «მუნიციპიის» X-ის მიწები გადაირიცხება კეთილშობილი მემამულეების Y-ის, Z-ისა და სხვ. საკუთრებად, ან მემამულეებს გადაეცემათ «მუნიციპალიზებული» მიწების რენტა.

შემდეგ, რესტავრაციის საკითხში პლეხანოვის ლოგიკური შეცდომიდან, პოლიტიკურ ცნებათა არევ-დარევიდან უნდა გადავიდეთ რესტავრაციის ეკონომიურ დედაარსზე. სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები სავსებით ადასტურებენ «მოხსე-

ნებაში» ჩემ მიერ ნათქვამს, რომ პლეხანოვი შეუწყნარებლად ურევს ერთმანეთში კაპიტალიზმის საფუძველზე საფრანგეთში მომხდარ რესტავრაციას და «ჩვენი ძველი ნახევრადაზიური წესწყობილების» რესტავრაციას (სტოკჰოლმის ყრილობის ოქმების 116-ე გვ.). ამიტომ ამ საკითხზე მე აღარ მჭირდება რაიმე დავუმატო იმას, რაც ნათქვამია «მოხსენებაში». შევჩერდეთ მხოლოდ «დესპოტიზმის ეკონომიური საფუძვლის მოსპობაზე». აი ამის შესახებ პლეხანოვის სიტყვის ყველაზე საყურადღებო ადგილი:

«რესტავრაციას» (საფრანგეთში) «ფეოდალიზმის ნაშთები არ აღუდგენია, ეს მართალია, მაგრამ ის, რაც ჩვენში ამ ნაშთებს შეესაბამება, ეს არის მიწის და მიწათმოქმედის ჩვენი ძველი დამონება სახელმწიფოსადმი, მიწის ჩვენი ძველი თავისებური ნაციონალიზაცია. ჩვენი რესტავრაციისათვის მით უფრო ადვილი იქნება ამ (sic!) ნაციონალიზაციის აღდგენა, როცა თქვენ თვითონ მოითხოვთ მიწის ნაციონალიზაციას, როცა თქვენ ხელუხლებლად სტოვებთ ჩვენი ძველი ნახევრადაზიური წესწყობილების ამ მემკვიდრეობას» (116).

ამრიგად, რესტავრაციისათვის «უფრო ადვილი იქნება» აღადგინოს ე ს, ე. ი. ნახევრადაზიური, ნაციონალიზაცია, რადგან ლენინი (და გლეხობა) ა ხ ლ ა მოითხოვენ ნაციონალიზაციას! რა არის ეს? ისტორიულ-მატერიალისტური ანალიზი თუ წმინდა-რაციონალისტური «სიტყვების რახარუხი» *? ს ი ტ ყ ვ ა «ნაციონალიზაცია» აადვილებს ნახევრადაზიური წესწყობილების აღდგენას თუ განსაზღვრული ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ვ ლ ი ლ ებ ებ ი? პლეხანოვი რომ ამაზე დაფიქრებულიყო, დაინახავდა, რომ მუნიციპალიზაცია და დაყოფა სპობენ აზიურობის ე რ თ საფუძველს, მემამულურ შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას, მაგრამ სტოვებენ მეორეს: სანადელო შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას. მაშასადამე, ა რ ს ებ ი თ ა დ, გადატრიალების ე კ ო ნ ო-

* ამხ. შმიდტი სტოკჰოლმში, ოქმების 122-ე გვ.

მიური არსებით (და არა მისი ამა თუ იმ ტერმინით აღნიშვნით) სწორედ ნაციონალიზაცია სპობს ბევრად უფრო რადიკალურად აზიურობის ეკონომიურ საფუძველს. პლეხანოვის «ოინი» ის არის, რომ მან «თავისებური ნაციონალიზაცია» უწოდა შუასაუკუნეობრივ, დამოკიდებულ, საბეგრო, მოხელურ მიწათმფლობელობას, გადაახტა რა ამ მიწათმფლობელობის ორ სახეს: სანადელოს და მემამულურს. სიტყვების ასე გადამახინჯების წყალობით მიჩქმალული აღმოჩნდა რეალური ისტორიული საკითხი: შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის რა და რა სახეს სპობს ესა თუ ის აგრარული ღონისძიება. რა მარტივია პლეხანოვის ფეიერვერკის ხერხები!

რესტავრაციის საკითხში პლეხანოვის მთელი ეს, თითქმის წარმოუდგენელი, დომხალი აიხსნება ორი გარემოებით. ჯერ-ერთი, პლეხანოვს, როცა «გლეხთა აგრარულ რევოლუციაზე» ლაპარაკობს, სრულიად ვერ გაუგია მისი, როგორც კაპიტალისტური ევოლუციის, თავისებურება. იგი ერთმანეთში ურევს ნაროდნიკობას, არაკაპიტალისტური ევოლუციის შესაძლებლობის მოძღვრებას და მარქსისტულ შეხედულებას კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ორი სახის შესაძლებლობაზე. პლეხანოვის სიტყვებში მუდამ გამოსჭვივის ბუნდოვანი «შიში გლეხთა რევოლუციისა» (როგორც ეს სტოკჰოლმშივე ვუთხარი მას, გვ. 106 — 107 *), იმის შიში, ხომ არ აღმოჩნდება ეს გლეხთა რევოლუცია ეკონომიურად რეაქციული, რომელიც მიგვიყვანს არა ამერიკულ ფერმერობამდე, არამედ შუასაუკუნეობრივ დავონებამდე. ნამდვილად კი ეს ეკონომიურად შეუძლებელია. ამის დამამტკიცებელია საგლეხო რეფორმა და ევოლუციის მსვლელობა მის შემდგომ. საგლეხო რეფორმაში ფეოდალიზმის გარსი (როგორც მემამულური ფეოდალიზმის, ისე «სახელმწიფოებრივი ფეოდალიზმისა», როგორც ამაზე პლეხანოვის შემდეგ მარტი-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 339. რედ.

ნოვმაც ილაპარაკა სტოკჰოლმში) მეტად ძლიერია. მაგრამ ეკონომიური ევოლუცია უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი აღმოჩნდა და ეს ფეოდალური გარსი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი შინაარსით გაავსო. მიუხედავად შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ხელისშეშლისა, როგორც გლეხური, ისე მემამულური მეურნეობა ვითარდებოდნენ, თუმცა არაჩვეულებრივ ნელა, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ზ ი თ. პლეხანოვის შიში აზიურობისადმი დაბრუნებისა რომ რეალური ყოფილიყო, სახელმწიფო გლეხების (80-იან წლებამდე) ან ყოფილი სახელმწიფო გლეხების (80-იანი წლების შემდეგ) მიწათმფლობელობა «სახელმწიფოებრივი ფეოდალიზმის» ყველაზე წმინდა ტიპი უნდა აღმოჩენილიყო. ნამდვილად კი იგი უფრო თავისუფალი აღმოჩნდა, ვიდრე მემამულური მიწათმფლობელობა, რადგან ფეოდალური ექსპლოატაცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე შეუძლებელი გახდა. «მრავალმიწიან» * სახელმწიფო გლეხებში უფრო ნაკლებ იყო გაბატონებული კაბალა და უფრო სწრაფად ვითარდებოდა გლეხური ბურჟუაზია. რუსეთში ახლა შესაძლებელია ან ნელი და მტანჯველი პრუსიული იუნკრული ტიპის ბურჟუაზიული ევოლუცია, ან სწრაფი და თავისუფალი — ამერიკული ტიპის ევოლუცია. ყოველივე დანარჩენი — მოჩვენებაა.

მეორე მიზეზი, რომელმაც ზოგიერთი ამხანაგის თავში «რესტავრაციული დომხალის» გაჩენას შეუწყო ხელი, — ეს არის მდგომარეობის გაურკვევლობა 1906 წლის გაზაფხულზე. გლეხობამ, როგორც მასამ, საბოლოოდ კიდევ ვერ გვიჩვენა თავისი თავი. გლეხთა მოძრაობაც და გლეხთა კავშირიც ჯერ კიდევ არ შეგვეძლო მიგვეღო გლეხთა დიდი უმრავლესობის ნამდვილ მისწრაფებათა საბოლოო მაჩვენებლად. თვითმპყრობელურ ბიუროკრატიას და ვიტეს საბოლოოდ კიდევ არ

* ჩვენი ყოფილი სახელმწიფო გლეხები «მრავალმიწიანები» არიან, ცხადია, მხოლოდ ყოფილ საბატონო გლეხებთან შედარებით. პირველთ 1905 წლის სტატისტიკის მიხედვით საშუალოდ აქვთ 12,5 დესეტინა სანადელო მიწა კომლზე, ხოლო მეორეთ — 6,7 დესეტინა.

დაკარგოდათ იმის იმედი, რომ «ტეტია გვიხსნისო» (კლასიკური ფრაზა ვიტეს ორგანოს «რუსსკოე გოსუდარსტვოსი» 1906 წლის გაზაფხულზე), ე. ი. გლეხი მარჯვნივ დადგებაო. აქედან გამომდინარეობს გლეხობის ასეთი ძლიერი წარმომადგენლობა 1905 წლის 11 დეკემბრის კანონით. თვითმპყრობელობის რაიმე ავანტიურა გლეხური იდეის ნიადაგზე: «უმჯობესია მთელი მიწა მეფის იყოს, ოღონდ არა ბატონისო», ბევრ სოციალ-დემოკრატს მაშინ კიდევ შესაძლებლად მიაჩნდა. მაგრამ ორ სათათბიროს, 1907 წლის 3 ივნისის კანონს და სტოლიპინის აგრარულ კანონმდებლობას ყველასათვის თვალი უნდა აეხილათ. თვითმპყრობელობა, რათა გადაერჩინა, რის გადარჩენაც შეიძლებოდა, იძულებული გახდა დამდგარიყო თემის ძალდატანებით დანგრევის გზაზე მიწის კერძო საკუთრების სასარგებლოდ, ე. ი. კონტრრევოლუციის დასაყრდენად გაეხადა არა გლეხების ბუნდოვანი სიტყვები ნაციონალიზაციის შესახებ (მიწა «ქვეყნისაა» და სხვ.), არამედ მემამულეთა ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი შესაძლებელი ეკონომიური საფუძველი, პრუსიული ტიპის კაპიტალისტური ევოლუციის საფუძველი.

ახლა მდგომარეობა სავსებით გამოირკვა, და მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ გლეხთა მოძრაობის ნიადაგზე «აზიური» რესტავრაციის ბუნდოვანი შიში დროა არქივს ჩაბარდეს *.

## 2. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც «დასაყრდენი რეაქციის წინააღმდეგ»

...«საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით, რომელნიც მიწას ფლობენ, — ამბობდა პლეხანოვი სტოკჰოლმში — ის (მუნიციპალიზაცია) ქმნის დასაყრდენს რეაქციის წინააღმდეგ. და ეს მეტად ძლიერი დასაყრდენი იქნება.

* მე აქ არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ რესტავრაციით დაშინება ბურჟუაზიის პოლიტიკური იარაღია პროლეტარიატის წინააღმდეგ, რადგან ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო ამ თემაზე, უკვე ნათქვამია «მოხსენებაში». (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 405. რ ე დ.)

აიღეთ ჩვენი კაზაკები» (45)... ჩვენ ახლა «ავიღებთ ჩვენს კაზაკებს» და დავინახავთ, რა მნიშვნელობა აქვს მათ დამოწმებას. მაგრამ ჯერ განვიხილოთ ამ შეხედულების ზოგადი საფუძვლები, თითქოს ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია იყოს დასაყრდენი რეაქციის წინააღმდეგ. ეს შეხედულება უთვალავჯერ მოუყვანიათ ჩვენს მუნიციპალისტებს და, პლეხანოვის ფორმულირების გარდა, საკმაო იქნება კიდევ ერთი ციტატი ჯონის სიტყვიდან: «რა განსხვავებაა მიწის ნაციონალიზაციასა და მუნიციპალიზაციას შორის, თუ კი ჩვენ ვცნობთ, რომ ერთიც და მეორეც შესაძლებელია განხორციელდეს და ერთნაირად არის დაკავშირებული პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციასთან? განსხვავება ის არის, რომ მუნიციპალიზაცია უკეთ განამტკიცებს რევოლუციის მონაპოვართ, დემოკრატიულ წყობილებას, და მისი შემდგომი განვითარების საფუძველი გახდება, მაშინ როდესაც ნაციონალიზაცია მხოლოდ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას განამტკიცებს» (112).

ჭეშმარიტად მენშევიკები რესტავრაციისაგან გარანტიის შესაძლებლობას უარყოფენ და შემდეგ კი, ხალხის თვალწინ, აცხობენ «გარანტიებს» და «დასაყრდენებს», როგორც ხმლებისყლაპია ოინბაზები. როგორ შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას დასაყრდენი იყოს რეაქციის წინააღმდეგ ან განამტკიცოს რევოლუციის მონაპოვარნი, აბა დაფიქრდით ცოტათი მაინც, ბატონებო! რეაქციის წინააღმდეგ დასაყრდენი და მონაპოვართა განმამტკიცებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ: პროლეტარიატისა და გლეხობის მასების შეგნებულობა და დარაზმულობა. ხოლო ეს დარაზმულობა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, რომელიც ცენტრალიზებულია არა ბიუროკრატიის თვითნებობით, არამედ ეკონომიური განვითარების გარდუვალი მოთხოვნების ძალით, უნდა იყოს მთელ სახელმწიფოში ერთ მთლიან ძალად შემჭიდროება. თუ მთელ სახელმწიფოში არ მოხდა გლეხთა მოძრაობის ცენტრალიზაცია, გლეხობის პოლიტიკური ბრძოლის ცენტრალიზაცია, — გლეხობისა, რომელიც ცენტრალიზებულ პროლეტარიატს მიჰ-

ყვება, ისე არ შეიძლება იყოს რევოლუციის რაიმე სერიოზული «მონაპოვარი», რომლის «განმტკიცებაც» ღირდეს, არ შეიძლება იყოს რაიმე «დასაყრდენი რეაქციის წინააღმდეგ».

ადგილობრივი თვითმმართველობა, მართლაც რამდენადმე დემოკრატიული, შეუძლებელია მემამულეთა ხელისუფლების სრული დამხობისა და მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის გარეშე; — აღიარებენ რა ამას სიტყვიერად, მენშევიკები გასაოცარ ზერელობას იჩენენ და არ უფიქრდებიან იმას, თუ რას ნიშნავს ეს სინამდვილეში. სინამდვილეში ამის განხორციელება შეუძლებელია, თუ მთელ სახელმწიფოში რევოლუციურმა კლასებმა არ დაიპყრეს პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო ორი წლის რევოლუციას, თითქოს, თვით უჯიუტეს «ფუტლარის ადამიანებისთვისაც» კი უნდა ესწავლებინა ის, რომ რუსეთში ამ კლასებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ პროლეტარიატი და გლეხობა. «გლეხთა აგრარულმა რევოლუციამ», რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, ბატონებო, რომ გაიმარჯვოს, ის უნდა გახდეს ცენტრალური ხელისუფლება მთელ სახელმწიფოში, როგორც ასეთი, როგორც გლეხთა რევოლუცია.

დემოკრატიული თვითმმართველობა შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილი დემოკრატიული გლეხობის ამ ცენტრალური ხელისუფლებისა და მხოლოდ გლეხობის ადგილობრივ და კუთხურ დაქსაქსულობასთან ბრძოლით, მხოლოდ საერთოსახელმწიფოებრივი, სრულიად რუსეთის ცენტრალიზებული მოძრაობის ქადაგებით, მომზადებითა და ორგანიზებით შეიძლება მართლა სამსახური გავუწიოთ «გლეხთა აგრარული რევოლუციის» საქმეს, და არა გლეხობის სამრევლო დახავსებულობისა და ადგილობრივ-კუთხური გამოსულელების წაქეზების საქმეს. სწორედ ასეთ გასულელებას ემსახურებით თქვენ, ბ-ნო პლეხანოვო და ბ-ნო ჯონო, როცა ისეთს სულელურ და არქირეაქციულ აზრს ჰქადაგებთ, თითქოს ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია გახდეს «დასაყრდენი რეაქციის წი-

ნააღმდეგ» ან «რევოლუციის მონაპოვართა განმამტკიცებელი». სახელდობრ რუსეთის რევოლუციის ორი წლის გამოცდილებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სწორედ გლეხთა მოძრაობის ადგილობრივი და კუთხური დაქსაქსულობა (ХარисКацთა მოძრაობა გლეხთა მოძრაობის ნაწილია) ყველაზე მეტად იყო დამარცხების მიზეზი.

«გლეხთა აგრარული რევოლუციის» პროგრამის შემუშავება და მისი დაკავშირება მ ხ ო ლ ო დ ადგილობრივი თვითმმართველობის და არა ცენტრალური ხელისუფლების დემოკრატიზაციასთან, პირველის წამოყენება, როგორც ნამდვილი «დასაყრდენისა» და «განმამტკიცებლისა», — ეს, არსებითად, არის რ ე ა ქ ც ი ა ს თ ა ნ კადეტური გ ა რ ი გ ე ბ ა და სხვა არაფერი *. კადეტები დაჟინებით მოითხოვენ ადგილობრივ «დემოკრატიულ» თვითმმართველობას და არ სურთ ან ეშინიათ შეეხონ უ ფ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ საკითხებს. მენშევიკები არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რა დიდი სიტყვა თქვეს, როცა დროის ამოცანად აღიარეს «გლეხთა აგრარული რევოლუცია», და თავიანთი აგრარული პროგრამისადმი

* «მოხსენებაში» ეს უფრო ვრცლად მაქვს განმარტებული. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 403 — 405. რ ე დ.) აქ კი დავუმატებ მენშევიკ ნოვოსელსკის სიტყვას, რომელიც საუცხოოდ ადასტურებს ამას; ეს სიტყვა მე არ მომისმენია ყრილობაზე (იხ. «მოხსენება»). ამხედრდა რა შესწორების წინააღმდეგ: «დემოკრატიული სახელმწიფოს» ნაცვლად ითქვას «დემოკრატიული რესპუბლიკა», ნოვოსელსკიმ თქვა: ...«ჭეშმარიტად დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობისას ახლა მიღებული პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ი ს ე თ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს დ რ ო ს ა ც, რ ო მ ე ლ ს ა ც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე წ ო დ ო ს მ ი ს ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ფ ე ხ უ რ ი. ა ს ე ვ თ ქ ვ ა თ, შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს დ რ ო ს ა ც მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ზ ა ც ი ა მ ა ვ ნ ე ბ ლ უ რ ი კ ი ა რ ა, ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ი ქ ნ ებ ა» (138. ხაზგასმა ჩვენია). ეს ცხადზე უცხადესია. გლეხთა აგრარული რევოლუცია თვითმპყრობელობის დ ა უ მ ხ ო ბ ლ ა დ, აი მენშევიკების ურეაქციულესი იდეა.

დართულ პოლიტიკურ მოსაზრებებში პროვინციული დახავსებულობის აპოთეოზი მოგვცეს.

აი ინებეთ ჯონის ასეთი მსჯელობა:

«ამხ. ლენინი შიშობს, რომ რეაქცია ადგილობრივ თვითმმართველობას ხელიდან გამოგლეჯს ჩამორთმეულ მიწებს; თუ ეს შეიძლება ითქვას იმ მიწების შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს ჩაუვარდა ხელში, იგივე არასგზით არ შეიძლება ითქვას მუნიციპალიზებული მიწების შესახებ. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამაც კი ვერ შესძლო მიწების წართმევა სომეხთა თვითმმართველობისათვის, რადგან ამან მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია მოსახლეობის მხრივ» (113).

მართლაც რომ უბადლოა! თვითმპყრობელობის მთელი ისტორია ადგილობრივი, კუთხური, ნაციონალური მიწების ერთიან ძარცვას წარმოადგენს, ხოლო ჩვენი ბრძენნი ამშვიდებენ მიყრუებული პროვინციის დაჩლუნგების გზაზე შემდგარ ხალხს: «თვითმპყრობელობამაც კი» ვერ წაართვა მიწები სომხურ ე კ ლ ე ს ი ე ბ ს, თუმცა დაიწყო კი წართმევა და თუმცა სინამდვილეში მ ხ ო ლ ო დ სრულიად რუსეთის რევოლუციამ შეუშალა ხელი წაერთმია... ცენტრში თვითმპყრობელობაა, პროვინციაში «სომეხთა მიწები», რომელთა «წართმევას ვერ ბედავენ»... და საიდან გაჩნდა ამდენი მეშჩანური სიყეყეჩე ჩვენს სოციალ-დემოკრატიაში?

აი ინებეთ პლეხანოვის კაზაკები.

«აიღეთ ჩვენი კაზაკები. ისინი ისე იქცევიან, როგორც ნამდვილი რეაქციონერები, მაგრამ თუ (თვითმპყრობელური) მთავრობა განიზრახავდა ხელი ეხლო მათი მიწისთვის, ისინი სულ ერთიანად აჯანყდებოდნენ ამ მიწის დასაცავად. მაშასადამე, მუნიციპალიზაცია სწორედ იმით არის კარგი, რომ ის რესტავრაციის შემთხვევაშიც გამოსადეგია» (45).

მართლაც რომ, «მაშასადამე»! თუ თვითმპყრობელობა აჯანყდებოდა თვითმპყრობელობის დამცველთა წინააღმდეგ, მაშინ თვითმპყრობელობის დამცველებიც აჯანყდებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ჰო, ჰო, რა ღრმააზროვნებაა! მაგრამ კაზაკთა მიწათმფლობელობა გამოსადეგია არა მარ-

ტო რესტავრაციის შემთხვევაში, არამედ იმის დასაცავადაც, რაც უნდა მანამდე დაემხოს, ვიდრე მისი რესტავრაცია მოხდებოდეს. მუნიციპალიზაციის ამ საინტერესო მხარეს ყურადღება მიაქცია პლეხანოვის წინააღმდეგ გამოსულმა შმიდტმა:

...«მოგაგონებთ, რომ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ თვითმპყრობელობამ კაზაკებს შეღავათები მისცა, მაშასადამე, თვითმპყრობელობას არ ეშინია მუნიციპალიზაციისა, იმიტომ რომ კაზაკთა მიწებს ახლაც ისეთი წესით განაგებენ, რომელიც შესამჩნევად მოგვაგონებს მუნიციპალიზაციას... ის (მუნიციპალიზაცია) კონტრრევოლუციურ როლს შეასრულებს» (123 — 124).

პლეხანოვი იმდენად ღელავდა ამ სიტყვის გამო, რომ ერთხელ სიტყვაც კი შეაწყვეტინა ორატორს (სრულიად არა საყურადღებო საკითხის გამო — ორენბურგელ კაზაკებზე ხომ არ არის ლაპარაკი), და რეგლამენტის დარღვევასაც შეეცადა, რომ რიგს გარეშე მიეღო სიტყვა განცხადებისათვის. აი ტექსტი მის მიერ შემდეგ შეტანილი წერილობითი განცხადებისა:

«ამხ. შმიდტმა არასწორად გადმოსცა კაზაკობაზე ჩემი მითითება. ორენბურგელ კაზაკებზე მე სულაც არ მიმითითებია. მე ვთქვი: შეხედეთ კაზაკობას; ის არქირეაქციულად იქცევა, მაგრამ, თუ კი მთავრობა მოინდომებდა ხელი ეხლო მისი მიწისთვის, ისიც კი ერთიანად აჯანყდებოდა მის წინააღმდეგ. და ამასვე, მეტ-ნაკლებად, ჩაიდენენ, ასეთი ცდის შემთხვევაში, ყველა ის ადგილობრივი დაწესებულებები, რომელთაც რევოლუცია გადასცემდა მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწებს. და ასეთი მათი მოქმედება იქნებოდა რეაქციის საწინააღმდეგო ერთერთი გარანტია რესტავრაციის შემთხვევაში» (127).

ეს, რასაკვირველია, უაღრესად გენიალური გეგმაა თვითმპყრობელობის დამხობისა თვითმპყრობელობის ხელუხლეპლად: ჩამოერთვას მას ცალკეული ოლქები, და მერე დაე სცადონ მათი უკან დაბრუნება. ეს თითქმის ისევე გენიალურია, როგორც კაპიტალიზმის ექსპროპრიაცია შემნახველი სალაროების საშუალებით. მაგრამ საკითხი ახლა ეს როდია. საკითხი ისაა, რომ საოლქო მუნიციპალიზაცია, რომელმაც ძლევა-

მოსილი რევოლუციის შემდეგ სასწაულებრივი როლი «უნდა» შეასრულოს, ახლა კონტრრევოლუციურ როლს ასრულებს. აი რას აუარა გვერდი პლეხანოვმა!

კაზაკთა მიწები ახლა ნამდვილ მუნიციპალიზაციას წარმოადგენენ. დიდი ოლქები ეკუთვნის კაზაკთა ცალკეულ ჯარს: ორენბურგისას, დონისას და სხვ. კაზაკებს საშუალოდ აქვთ კომლზე 52 დესეტინა, გლეხებს კი — 11 დესეტინა. გარდა ამისა, ორენბურგის ჯარს ეკუთვნის 1½ მილიონი ₾ესეტინა საჯარისო მიწა, დონისას—1,9 მილიონი დესეტინა და სხვ. ასეთი «მუნიციპალიზაციის» ნიადაგზე წმინდა ფეოდალური ურთიერთობა ვითარდება. ეს, ფაქტიურად არსებული, მუნიციპალიზაცია ნიშნავს იმ გლეხების წოდებრივ და კუთხურ კარჩაკეტილობას, რომლებიც დაქუცმაცებული არიან მიწათმფლობელობის ოდენობის, გადასახადების, სამსახურისათვის მიწათსარგებლობის შუასაუკუნეობრივი პირობების განსხვავებით და სხვ. «მუნიციპალიზაცია» ხელს უწყობს არა საერთო-დემოკრატიულ მოძრაობას, არამედ მის დაქუცმაცებას, იმის კუთხურ დაუძლურებას, რასაც შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ როგორც ცენტრალიზებულმა ძალამ; ხელს უწყობს ერთი კუთხის მეორისაგან განცალკევებას.

და ჩვენც ვხედავთ II სათათბიროში მემარჯვენე კაზაკს კარაულოვს, რომელიც იცავდა სტოლიპინს (სტოლიპინიც ხომ დასაშვებად სცნობს თავის დეკლარაციაში მიჯნების იძულებით გადაწევასო), პლეხანოვზე არა ნაკლებ აცამტვერებდა ნაციონალიზაციას და პირდაპირ ემხრობოდა საოლქო მუნიციპალიზაციას (მე-18 სხდომა, 1907 წლის 29 მარტი, სტენოგრაფიული ანგარიშის 1366 გვ.).

მემარჯვენე კაზაკმა კარაულოვმა ათასჯერ უფრო მეტი სისწორით გაიგო საქმის არსი, ვიდრე მასლოვმა და პლეხანოვმა. ოლქების დაქუცმაცება არის გარანტია რევოლუციისაგან. თუ რუსი გლეხობა (ცენტრალიზებული და არა «კუთხური» პროლეტარული მოძრაობის დახმარებით)

ვერ შესძლებს თავისი კუთხური კარჩაკეტილობის ჩარჩოების გაგლეჯას, ვერ შესძლებს სრულიად რუსეთის მოძრაობის მოწყობას, მაშინ რევოლუციას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დაამარცხებენ ცალკეული, კარგად მოწყობილი, ოლქების წარმომადგენლები, რომელთაც ძველი ხელისუფლების ცენტრალიზებული ძალა გაგზავნის საბრძოლველად საჭიროებისდა მიხედვით.

მუნიციპალიზაცია რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ლოზუნგია, რომელიც აიდეალებს ოლქების შუასაუკუნეობრივ თავისებურებას, ასუსტებს გლეხობაში ცენტრალიზებული აგრარული რევოლუციის აუცილებლობის შეგნებას.

### 3. ცენტრალური ხელისუფლება და ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცება

სწორედ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება იწვევს მუნიციპალისტების ყველაზე მეტ ზიზღს. სანამ სათანადო მსჯელობათა გარჩევაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ, რა არის ნაციონალიზაცია პოლიტიკურ-იურიდიული მხრივ (ჩვენ ზემოთ გამოვარკვიეთ მისი ეკონომიური შინაარსი).

ნაციონალიზაცია არის მთელი მიწის გადაცემა სახელმწიფოს ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ. საკუთრება ნიშნავს რენტის მიღების უფლებას და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიწის მფლობელობისა და სარგებლობის მთელი სახელმწიფოსთვის ს ა ე რ თ ო წესების განსაზღვრას. ასეთი საერთო წესების რიცხვს ნაციონალიზაციის დროს უთუოდ ეკუთვნის ყოველგვარი შუამავლობის აკრძალვა, ე. ი. აკრძალვა მიწის გადაცემისა სუბმოიჯარადრეებისთვის, აკრძალვა მიწის დათმობისა იმათთვის, ვინც თვითონ არ არის მეურნე, და სხვ. შემდეგ. თუ სახელმწიფო, რომელზეც ლაპარაკია, მართლაც დემოკრატიულია (არა მენშევიკური აზრით **à la** ნოვოსელდსკი), მაშინ მისი მიწის საკუთრების უფლება სრულიადაც არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მ ო ი თ ხ ო ვ ს მიწის **გამგებლობის** გადაცემას, საერთო-სახელმწიფოებრივი კანონების ფარგლებ-

ში, თვითმმართველობის ადგილობრივი და საოლქო ორგანოებისთვის. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი, როგორც აღნიშნული მაქვს ბროშურაში «გადასინჯვა * და სხვ.», პირდაპირ მოითხოვს ამას, როცა ლაპარაკობს ეროვნებათა თვითგამორკვევაზეც, ფართო საოლქო თვითმმართველობაზეც და სხვ. ამიტომ დეტალური წესები, რომლებიც ადგილობრივ თავისებურებებს შეესაბამებიან, მიწების პრაქტიკული გამოყოფა ან ნაკვეთების განაწილება ცალკეულ პირთა, ამხანაგობათა და სხვათა შორის — ყოველივე ეს აუცილებლად გადადის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ე. ი. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელში.

ყოველივე ამაზე, თუ კი რაიმე გაუგებრობა იყო, ის გამომდინარეობდა ან ისეთ ცნებათა განსხვავების გაუგებლობიდან, როგორიც არის: საკუთრება, მფლობელობა, გამგებლობა, სარგებლობა, ან პროვინციალიზმთან და ფედერალიზმთან დემაგოგიური ლაქუციდან **. მუნიციპალიზაციასა და ნაციონალიზაციას შორის განსხვავების საფუძველია არა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 205 — 207. რედ.

** ასეთ ლაქუცს ჩვენ ვხედავთ მასლოვის სტატიაში. ...«შეიძლება, — წერს იგი «ობრაზოვანიეს» მე-3 ნომერში, 1907, გვ. 104, — ზოგიერთ ადგილას გლეხები კიდევაც დათანხმდნენ თავიანთი მიწები გაუნაწილონ სხვებს, მაგრამ საკმარისია ერთი დიდი რაიონის (მაგალითად, პოლონეთის) გლეხებმა უარი თქვან თავიანთი მიწების განაწილებაზე, რომ მთელი მიწის ნაციონალიზაციის პროექტი სისულელე აღმოჩნდეს». ეს ნიმუშია ვულგარული მოსაზრებისა, სადაც აზრის ნატამალიც კი არა ჩანს, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებული რაიონის «უარისთქმას» არ შეუძლია შესცვალოს საერთო პროგრამა და არც სისულელედ ხდის მას: «უარისთქმა» ზოგიერთ რაიონს მუნიციპალიზაციაზეც შეუძლია. მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ ერთიან კაპიტალისტურ სახელმწიფოში მიწის კერძო საკუთრება და ნაციონალიზაცია ფართო მასშტაბით ვერ შეთვისდება, როგორც ორი სისტემა. ერთმა მათგანმა უნდა გაიმარჯვოს. მუშათა პარტიის საქმეა — დაიცვას უფრო უკეთესი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოო ძალების ჩქარ განვითარებას და კლასობრივი ბრძოლის თავისუფლებას.

ცენტრსა და პროვინციას შორის უფლებათა განაწილება და მით უფრო ნაკლებ ცენტრის «ბიუროკრატიზმი» — ასე ფიქრი და ლაპარაკი კი შეუძლიათ მხოლოდ სრულიად უვიც ადამიანებს, — არამედ მიწის კერძო საკუთრების შენარჩუნება მიწების ერთი თანრიგისთვის მუნიციპალიზაციის დროს, მიწის კერძო საკუთრების სრულიად გაუქმება ნაციონალიზაციის დროს. განსხვავების საფუძველია — «აგრარული ბიმეტალიზმი», რაც პირველ პროგრამას დასაშვებად მიაჩნია და რასაც მეორე უკუაგდებს.

ხოლო თუ ახლანდელ პროგრამას ცენტრალური ხელისუფლების თვითნებობის შესაძლებლობის და სხვ. თვალსაზრისით მიუდგებით — (ასეთი თვალსაზრისით ცდილობენ ხშირად ფონს გასვლას მუნიციპალიზაციის ვულგარული დამცველები), დაინახავთ, რომ ახლანდელი პროგრამა ამ მხრივ დიდი არევ-დარევით და გაურკვევლობით ხასიათდება. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახლანდელი პროგრამა «დემოკრატიულ სახელმწიფოს სამფლობელოდ» აძლევს იმ «მიწებსაც, რომლებიც აუცილებელია საგადასახლებო ფონდისათვის», და იმ «ტყეებსა და წყლებსაც, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ». ცხადია, ეს ცნებები სრულიად გაურკვეველია, და ნიადაგი კონფლიქტებისათვის აქ უსაზღვროა. აიღეთ, მაგალითად, ბ-ნ კაუფმანის ახალი ნაშრომი კადეტების «აგრარული საკითხის» II ტომში («მიწის დამატებით გაცემის ნორმების საკითხისათვის»), სადაც მოცემულია გაანგარიშება 44 გუბერნიის მიწის მარაგისა გლეხებისათვის დამატებით მიწის მისაცემად 1861 წლის უმაღლესი ნორმების მიხედვით. «ნადელისგარეშე საადგილმამულო ფონდი» გამოანგარიშებულია ჯერ ტყეების გამოკლებით, შემდეგ კი ტყეებიანად (ტყიანობის 25%-ზე ზევით). ვინ განსაზღვრავს, ამ ტყეებიდან რომელს აქვს «საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა»? რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება, — და, მაშასადამე, მენშევიკური პროგრამა მას ხელში უგდებს მიწის უზარმაზარ ფართობს —

57 მილიონ დესეტინას 44 გუბერნიაში (კაუფმანის მიხედვით). ვინ განსაზღვრავს, რა არის «საგადასახლებო ფონდი»? რა თქმა უნდა, მხოლოდ ცენტრალური ბურჟუაზიული ხელისუფლება. მხოლოდ ის სწყვეტს, არის თუ არა, მაგალითად, ორენბურგელ კაზაკთა 1½ მილიონი დესეტინა ანდა დონელ კაზაკთა 2 მილიონი დესეტინა საჯარისო მიწა «საგადასახლებო ფონდი» მთელი ქვეყნისათვის (ვინაიდან კაზაკებს 52,7 დესეტინა აქვთ კომლზე). ცხადია, საკითხი სრულიადაც არ დგას ისე, როგორც მას მასლოვი, პლეხანოვი და კომპ. აყენებენ. საქმე ის კი არ არის, რომ ცარიელი დადგენილებით დაიცვა ადგილობრივი საოლქო თვითმმართველობები ცენტრის ხელყოფისაგან, — ეს არათუ ქაღალდით, ზარბაზნითაც არ შეიძლება, რადგან კაპიტალისტური განვითარება მიდის ცენტრალიზაციისაკენ, ცენტრალურ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას ისეთ ძალას ანიჭებს, რომელსაც «ოლქები» ვერასოდეს ვერ გაუმკლავდებიან. საქმე ის არის, რომ ერთსა და იმავე კლასს ჰქონდეს პოლიტიკური ძალაუფლება ცენტრშიც და ადგილზეც, რათა იქაც და აქაც სავსებით თანამიმდევრად გატარდეს სრულიად ერთნაირი დემოკრატიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, მაგალითისათვის რომ ვთქვათ, მოსახლეობის უმრავლესობის, ე. ი. გლეხობის, სრულ ბატონობას. მხოლოდ და მხოლოდ ეს არის რეალური გარანტია ცენტრის «გადაჭარბებული» ხელყოფისაგან, ოლქების «კანონიერი» უფლებების დარღვევისაგან; ყველა სხვა გარანტია, შეთხზული მენშევიკების მიერ, — სრული სისულელეა, ეს არის კაპიტალიზმის ხელში თავმოყრილი ცენტრალური ხელისუფლების ძალისაგან დაცვა პროვინციელი ფილისტერის ქაღალდის ჩაჩით. სწორედ ასეთ ფილისტერულ სისულელეს სჩადის ნოვოსელოვი, ისე როგორც ამას სჩადის მთელი ახლანდელი პროგრამა, დასაშვებად თვლის რა ადგილობრივ თვითმმართველობათა სრულ დემოკრატიზმს და «არა უმაღლესი საფეხურის» დემოკრატიზმს ცენტრში. ცენტრის არასრული დემოკრატიზმი

ნიშნავს ძალაუფლების უზრუნველყოფას ცენტრში მოსახლეობის არა უმრავლესობისათვის, არა იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობებში ჭარბობენ, ეს კი ნიშნავს არა მხოლოდ კონფლიქტების შესაძლებლობას, არამედ მათ აუცილებლობასაც, საიდანაც გამარჯვებული, ეკონომიური განვითარების კანონების გამო, უსათუოდ გამოვა არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლება!

ამ მხრივ «მუნიციპალიზაცია», როგორც ოლქების რითიმე «უზრუნველყოფა» ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, სრული ფილისტერული სირეგვნეა. თუ ეს არის «ბრძოლა» ცენტრალიზებულ ბურჟუაზიულ ხელისუფლებასთან, მაშინ ეს რაღაც ისეთი «ბრძოლაა», რომელსაც ანტისემიტები აწარმოებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ: ისეთივე მაღალფარდოვანი დაპირებებია, რომლებიც იზიდავენ გონებაჩლუნგ და უმეცარ მასებს, და ისეთივე ეკონომიური და პოლიტიკური შეუძლებლობაა ამ დაპირებათა შესრულებისა.

აიღეთ მუნიციპალისტების ყველაზე «გავრცელებული» საბუთი ნაციონალიზაციის წინააღმდეგ: ნაციონალიზაცია გააძლიერებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს (გახსოვთ ჯონის დიდებული ფრაზა: «განამტკიცებს მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლებას»), გაადიდებს ანტიპროლეტარული ბურჟუაზიული ხელისუფლების შემოსავალს, ხოლო... სწორედ ასეა: მუნიციპალიზაცია კი შემოსავალს მოგვცემს მოსახლეობის ს ჭიროებათა, პროლეტარიატის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადო. ასეთი მოსაზრება სირცხვილს გვგვრის სოციალდემოკრატიისათვის, რადგან ეს წმინდა ანტისემიტური სისულელე და ანტისემიტური დემაგოგიაა. რომ არ დავასახელო ვინმე «იმ მცირეთაგანი», რომელთაც თავგზა აუბნიეს პლეხანოვმა და მასლოვმა, დავასახელებ «თვითონ» მასლოვს:

«სოციალ-დემოკრატია — ასწავლის ის «ობრაზოვანიეს» მკითხველებს — ყოველთვის ისე ვარაუდობს, რომ მისი გეგმები და ამოცანები ყველაზე უარეს გარემოებაშიც კი გამართლდეს... უნდა ვიგულისხმოთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გაბატონებული იქნება ბურჟუაზიული წყობილება ყველა თავისი უარყოფითი მხარით. თვითმმართველობაც ისევე ბურჟუაზიული იქნება, როგორც მთელი სახელმწიფოებრივი წყობილება, მასშიც ისეთივე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა იქნება, როგორც დასავლეთ ევროპის მუნიციპალიტეტებშია.

რაღა განსხვავებაა თვითმმართველობასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის? რატომ ცდილობს სოციალ-დემოკრატია მიწები გადასცეს არა სახელმწიფოს, არამედ ადგილობრივ თვითმმართველობას?

სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანების გასარკვევად შევადაროთ ბიუჯეტი ერთისაც და მეორისაც» («ობრაზოვანიე», 1907, № 3, გვ. 102). მოყვანილია შედარება: ერთერთ უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯარსა და ფლოტზე იხარჯება ბიუჯეტის 42%. ასევეა საფრანგეთში, ინგლისში და სხვ. «მემამულური ერობები» რუსეთში ხარჯავენ მედიცინაზე 27,5%, სახალხო განათლებაზე — 17,4%, გზებზე — 11,9%.

«ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფოების და ყველაზე ნაკლებ დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმმართველობათა ბიუჯეტების შედარებით ჩვენ ვხედავთ, რომ თავიანთი ფუნქციების მიხედვით პირველნი ემსახურებიან გაბატონებული კლასების ინტერესებს, რომ სახელმწიფო სახსრები იხარჯება ჩაგვრის იარაღებზე, დემოკრატიის დათრგუნვის იარაღებზე; რომ, პირიქით, ყველაზე არადემოკრატიული, ყველაზე ცუდი ადგილობრივი თვითმმართველობა იძულებულია, თუმცა ცუდად, მაგრამ მაინც ემსახუროს დემოკრატიას, დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნილებანი» (103).

«სოციალ-დემოკრატი იმდენად გულუბრყვილო არ უნდა იყოს, რომ შეურიგდეს მიწის ნაციონალიზაციას იმის გამო, მაგალითად, რომ ნაციონალიზებული მიწების შემოსავალი დაიხარჯება რესპუბლიკის ჯარე-

ბის შესანახად... მეტისმეტად გულუბრყვილო იქნება ის მკითხველი, რომელიც ოლენოვს დაუჯერებს, რომ მარქსის თეორია «საშუალებას გვაძლევს» პროგრამაში შევიტანოთ მხოლოდ მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, ე. ი. არმიასა და ფლოტზე მიწის რენტის (სულ ერთია, აბსოლუტურს დავარქმევთ მას თუ დიფერენციულს?) დახარჯვის მოთხოვნა, და რომ იგივე თეორია წინააღმდეგია მიწის მუნიციპალიზაციისა, ე. ი. მოსახლეობის საჭიროებაზე რენტის დახარჯვისა» (103).

მგონი, ცხადია? ნაციონალიზაცია — არმიასა და ფლოტზე. მუნიციპალიზაცია — მოსახლეობის საჭიროებაზე. ებრაელი კაპიტალისტია. ძირს ებრაელი — მაშასადამე, ძირს კაპიტალისტები!

კეთილ მასლოვს ვერ მოუსაზრებია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობათა კულტურული ხარჯების დიდი პროცენტი მეორეხარისხოვანი ხარჯების დიდი წილია. რატომ არის ეს ასე? იმიტომ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობათა უწყების ჩარჩოებს და მათ ფინანსურ უფლებამოსილებას განსაზღვრავს იგივე ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება და განსაზღვრავს ისე, რომ არმიისა და სხვათა საჭიროებებზე იღებს დიდ თანხებს, «კულტურისთვის» კი გროშებს იძლევა. სავალდებულოა თუ არა ასეთი განაწილება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში? სავალდებულოა, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზია ვერ იბატონებდა, რომ თავისი, როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველსაყოფად დიდ თანხას არ ხარჯავდეს, ხოლო კულტურული ხარჯებისათვის გროშებს არ ტოვებდეს. და მასლოვი უნდა იყო, რომ გენიალური აზრი მოგვიდეს: რა იქნება, რომ ა ხ ა ლ ი დ ი დ ი თ ა ნ ხ ე ბ ი ერობების საკუთრებად გამოვაცხადო, ამით ხომ ბურჟუაზიის ბატონობას გ ვ ე რ დ ს ა ვ უ ვ ლ ი ო! რა მარტივი იქნებოდა პროლეტარების ამოცანა, ისინი რომ მასლოვივით მსჯელობდნენ: საკმარისია მოვითხოვოთ რკინიგზების, ფოსტის, ტელეგრაფის, მაგარი სასმელების მონოპოლიის შემოსავლის «მუნიციპალიზაცია» და არა «ნაციონალიზაცია» — და ეს შემოსავალი არმიასა და ფლოტზე კი არ დაიხარჯება, არამედ კულტურულ მიზნებს მოხმარდება. სულაც არ არის საჭირო ცენტ-

რალური ხელისუფლების დამხობა ან მისი ძირფესვიანად გარდაქმნა, — საჭიროა მხოლოდ შემოსავლის ყველა დიდი წყაროს «მუნიციპალიზაცია», და საქმეც მოგვარდება. ოჰ, რა ბრძენნი ხართ!

მუნიციპალური შემოსავალი ევროპაში და ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, — ეს ისეთი შემოსავალია, — დაე დაიხსომოს ეს კეთილმა მასლოვმა! — რომელიც ბურჟუაზიული ცენტრალური ხელისუფლება თანახმაა გაიღოს კულტურული მიზნებისთვის, რადგან ეს შემოსავალი მეორეხარისხოვანია, რადგან ამ შემოსავლის აკრეფა ცენტრში უხერხულია, რადგან ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ბატონობის მთავარი, ძირითადი, არსებითი მოთხოვნილებანი უკვე უზრუნველყოფილია დიდი თანხებით. ამიტომ რჩევის მიცემა ხალხისთვის: მიიღე ახალი დიდი თანხა, ასეული მილიონები მუნიციპალიზებული მიწებიდან, და უზრუნველყავი მისი კულტურული დანიშნულება ამ თანხის გადაცემით ერობების და არა ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებადო, — თაღლითური რჩევაა. ბურჟუაზიას ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ შეუძლია გაიღოს ნამდვილად კულტურული მიზნებისათვის რაიმე, გარდა გროშებისა, რადგან დიდი თანხები მას ესაჭიროება ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველყოფისთვის. რატომ არის, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თავისთვის მიაქვს მიწის, სავაჭრო დაწესებულებების და სხვ. გადასახადების ცხრა მეათედი, ხოლო ერობებს ნებას აძლევს მხოლოდ ერთი მეათედი აიღონ, ადგენს რა კანონს, რომ დამატებითი საერობო დაბეგვრა განსაზღვრულ დაბალ პროცენტს არ უნდა აღემატებოდესო? იმიტომ, რომ დიდი თანხა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველყოფას სჭირდება და, რჩება რა ბურჟუაზიად, გროშზე მეტი მას არ შეუძლია კულტურისათვის გაიღოს *.

* კაუფმანის მეტად საფუძვლიანი ნაშრომიდან (Kaufmann R. «Die Kommunalfinanzen», 2 Bände. Lpz. 1906, II Abt. 5. Band des Hand-

ევროპის სოციალისტები დიდი თანხისა და გროშების ამ განაწილებას იღებენ, როგორც ფაქტს, რადგან კარგად იციან, რომ სხვანაირად არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. იღებენ რა ამ განაწილებას, როგორც ფაქტს, ისინი ამბობენ: ცენტრალურ ხელისუფლებაში ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას, რადგან ის ჩაგვრის იარაღია; მუნიციპალიტეტებში კი შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა, რადგან აქ გროშები იხარჯება კულტურულ საქმეებზე. მაგრამ რას ეტყოდნენ ეს სოციალისტები იმ ადამიანს, რომელიც მუშათა პარტიას ურჩევდა აგიტაცია გაეწია იმის სასარგებლოდ, რომ ევროპის მუნიციპალიტეტს მისცენ საკუთრებად მართლაც დიდი შემოსავალი: ადგილობრივი მიწების მთელი რენტა,

---

**und Lehrbuches der Staatswissenschaften, begr. von Frankenstein, fortges. von Heckel)** (კაუფმანი რ. «ადგილობრივი ფინანსები», 2 ტომი, ლაიფციგი, 1906, II ნაწილი. სახელმწიფო მეცნიერებათა სახელმძღვანელოს მე-5 წიგნი, სახელმძღვანელოს საფუძველი ჩაუყარა ფრანკენშტეინმა, განაგრძო ჰეკელმა. რ ე დ.) ჩანს, რომ ინგლისში ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო გასავლის განაწილება ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უ ფ რ ო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა, ვიდრე პრუსიასა და საფრანგეთში. ინგლისში ადგილობრივი დაწესებულებები ხარჯავენ 3 მილიარდ მარკას, ხოლო სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება ხარჯავს 3,6 მილიარდს; საფრანგეთში — 1,1 მილიარდს წინააღმდეგ 2,9 მილიარდისა; პრუსიაში — 1,1 და 3,5. გამოვყოთ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ხარჯები, მაგალითად, იმ ქვეყნის განათლებაზე, რომელიც ყველაზე უკეთაა (მუნიციპალისტების თვალსაზრისით) დაყენებული, ე. ი. ინგლისისა. დავინახავთ, რომ ადგილობრივი ხარჯებიდან განათლებას ხმარდებოდა 16,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი 151,6 მილიონიდან (1902 — 1903 წ.), ე. ი. $^1/_{10}$-ზე ცოტა მეტი; ცენტრალური ხელისუფლება კი, 1908 წლის ბიუჯეტით (იხ. **«Almanach de Gotha»**) — («გოთას ალმანახი». რ ე დ.), განათლებაზე ხარჯავს 16,9 მლნ. გირვანქა სტერლინგს 198,6-დან, ე. ი. $^1/_{10}$-ზე ნაკლებს. არმიისა და ფლოტის ხარჯები=59,2 მლნ. გირვანქა სტერლინგი, ამას მიუმატეთ კიდევ სახელმწიფო ვალების ხარჯები = 28,5 მლნ. გირვანქა სტერლინგი, კიდევ 3,8 მლნ. სასამართლოსა და პოლიციაზე, 1,9 მლნ. საგარეო საქმეებზე, 19,8 მლნ. გადახდევინების ხარჯები, — და დაინახავთ, რომ ბურჟუაზია კულტურაზე ხარჯავს გ რ ო შ ე ბ ს, ხოლო თავისი, როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველსაყოფად — დ ი დ თ ა ნ ხ ე ბ ს.

ადგილობრივი საფოსტო დაწესებულებების, ადგილობრივი რკინიგზებისა და სხვ. მთელი მოგება? ასეთ ადამიანს ან გიჟად ჩათვლიდნენ, ან «ქრისტიან სოციალისტად», რომელიც შეცდომით მოხვედრილა სოციალ-დემოკრატებში.

ის ადამიანები, რომლებიც მსჯელობენ რუსეთის თანამედროვე (ე. ი. ბურჟუაზიული) რევოლუციის ამოცანებზე და ლაპარაკობენ: ჩვენ არ უნდა განვამტკიცოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებაო, — სრულიად მოკლებული არიან აზროვნების უნარს. გერმანელებს შეუძლიათ და უნდა იმსჯელონ კიდეც ასე, რადგან მათ წინაშე მხოლოდ იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიაა; არავითარი სხვა გერმანია სოციალიზმამდე არ შეიძლება იყოს. ჩვენში კი მასების მიმდინარე რევოლუციური ბრძოლის მთელი შინაარსი ის არის, იუნკრულ-ბურჟუაზიული გახდება რუსეთი (როგორც ეს სურს სტოლიპინსა და კადეტებს), თუ გლეხურ-ბურჟუაზიული (როგორც ეს სურთ გლეხებსა და მუშებს). არ შეიძლება მონაწილეობას იღებდე ასეთს რევოლუციაში და მხარი არ დაუჭირო ბურჟუაზიის ერთ ფენას, ბურჟუაზიული ევოლუციის ერთ ტიპს მეორის წინააღმდეგ. ობიექტური ეკონომიური მიზეზების გამო ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს, ახლანდელ რევოლუციაში, სხვა «არჩევანი», თუ არ გლეხ-ფერმერების ცენტრალიზებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკასა და მემამულე-იუნკრების ცენტრალიზებულ ბურჟუაზიულ მონარქიას შორის. ამ ძნელი «არჩევანის» გვერდის ავლა მასების ყურადღების მიქცევით იქითკენ, რომ «ჩვენ ერობა მაინც გვქონდეს უფრო დემოკრატიული», უდიდესი ფილისტერული უხამსობაა.

## 4. პოლიტიკურ და აგრარულ გადატრიალებათა გაქანება

ძნელია «არჩევანი», ვთქვით ჩვენ, გვქონდა რა მხედველობაში, რა თქმა უნდა, არა სუბიექტური არჩევანი (რაც უფრო სასურველია), არამედ იმ საზოგადოებრივი ძალების ბრძოლის

ობიექტური შედეგი, რომლებიც წყვეტენ ისტორიულ საკითხს. რაშია, სახელდობრ, «სიძნელე» გლეხებისათვის ხელსაყრელი შედეგისა, ეს სრულიად ვერ აწონ-დაწონა იმ ხალხმა, ვინც ჩემი აგრარული პროგრამის ოპტიმიზმზე ლაპარაკობს, — პროგრამისა, რომელიც რესპუბლიკას ნაციონალიზაციას უკავშირებს. აი პლეხანოვის მსჯელობა ამ თემაზე:

«ლენინი გვერდს უვლის საკითხის სიძნელეს ოპტიმისტური მოსაზრებებით. ეს უტოპიური აზროვნების ჩვეულებრივი ხერხია; ასე, მაგალითად, ანარქისტები ამბობენ: «არავითარი იძულებითი ორგანიზაცია საჭირო არ არისო», ხოლო როცა ჩვენ მათ ვეუბნებით, იძულებითი ორგანიზაციის უქონლობა საზოგადოების ცალკეულ წევრებს შესაძლებლობას მისცემდა ზიანი მიეყენებინათ ამ საზოგადოებისათვის, თუ კი მათ ასეთი სურვილი ექნებათ, ანარქისტები გვიპასუხებენ: «ეს შეუძლებელიაო». ჩემი აზრით, ეს ნიშნავს საკითხის სიძნელის გვერდის ავლას ოპტიმისტური მოსაზრებებით. და ამას სჩადის ლენინი. ის მთელი რიგი ოპტიმისტური «თუ»-ებით განაპირობებს მის მიერვე წამოყენებულ ღონისძიებათა შესაძლებელ შედეგებს. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ლენინის საყვედურს მასლოვისადმი. იგი თავისი ბროშურის 23 გვ.* ამბობს: «მასლოვის პროექტი, არსებითად, უსიტყვოდ გულისხმობს იმას, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნა მთლიანად არ არის განხორციელებული, რომ ხალხის თვითმპყრობელობა არ არის უზრუნველყოფილი, მუდმივი ჯარი არ არის მოსპობილი, მოხელეების არჩევითობა არ არის შემოღებული და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი დემოკრატიული რევოლუცია ისევე არ მისულა ბოლომდე, როგორც ევროპის დემოკრატიული რევოლუციების მეტი ნაწილი, ისევე შეკვეცილი, დამახინჯებული და «უკან დაწეულია», როგორც ყველა ეს უკანასკნელი. მასლოვის პროექტი სპეციალურად შეგუებულია ნახევრულ, არათანამიმდევარ, არასრულ თუ შეკვეცილ და რეაქციით «უვნებელყოფილ» დემოკრატიულ გადატრიალებასთან». ვთქვათ, მისი საყვედური მასლოვისადმი საფუძვლიანია, მაგრამ მოყვანილი ციტატი ცხადყოფს, რომ ლენინის საკუთარი პროექტი კარგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მის მიერ ნაჩვენები «თუ» განხორციელდება. ხოლო თუ აქ ეს «თუ»-ები არ იქნება, მაშინ მისი პროექტის** განხორციელება საზიანო იქნება. მაგრამ ასეთი პროექტები ჩვენთვის საჭირო არ არის.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 212 — 213. რ ე დ.

** მაგრამ ეს მაშინ ჩ ე მ ი პროექტი აღარ იქნება! ულოგიკოდ მსჯელობს პლეხანოვი!

ჩვენი პროექტი ყოველმხრივ დამუშავებული უნდა იყოს, ე. ი. არახელსაყრელი «თუ»-ების შემთხვევისათვის» («სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები», 44 — 45).

მე მთლიანად ამოვწერე ეს მსჯელობა, რადგან იგი ნათლად გვიჩვენებს პლეხანოვის შეცდომას. ოპტიმიზმი, რამაც ის ასე დააშინა, მან სრულიად ვერ გაიგო. «ოპტიმიზმი» იმას კი არ გულისხმობს, რომ გაითვალისწინო ხალხის მიერ მოხელეების არჩევითობა და სხვ., არამედ იმას, რომ გაითვალისწინო გლეხთა აგრარული რევოლუციის გამარჯვება. ნამდვილი «სიძნელე» ის არის, რომ იმ ქვეყანაში, რომელიც 1861 წლიდან მაინც იუნკრულ-ბურჟუაზიული ტიპის მიხედვით ვითარდება, გაიმარჯვა გლეხთა აგრარულმა რევოლუციამ, ხოლო რაკი თქვენ ცნობთ ამ ძირითად ეკონომიურ სიძნელეს, სასაცილოა დაინახო თითქმის ანარქიზმიც კი პოლიტიკური დემოკრატიზმის სიძნელეში. საჭაცილოა იმის დავიწყება, რომ აგრარულ და პოლიტიკურ გარდაქმნათა გაქანებას შორის არ შეიძლება შესაბამისობა არ იყოს, რომ ეკონომიური გადატრიალება შესაფერ პოლიტიკურ ზედნაშენს გულისხმობს. სწორედ იმის გაუგებლობაში, თუ სად არის ძირი ჩვენი საერთო, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური, აგრარული პროგრამის «ოპტიმიზმისა», მდგომარეობს პლეხანოვის ძირითადი შეცდომა ამ საკითხში.

მართლაც, წარმოიდგინეთ კონკრეტულად, რას ნიშნავს თანამედროვე რუსეთში «გლეხთა აგრარული რევოლუცია» მემამულური მიწათმფლობელობის კონფისკაციით. ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალიზმი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გზას იკაფავდა მემამულური მეურნეობის პირობებში, რომელიც საერთოდ და მთლიანად უსათუოდ მაღლა დგას გლეხურ მეურნეობაზე ამჟამად არა მარტო მოსავლიანობის სიდიდით (რაც ნაწილობრივ მემამულეთა მიწების უკეთესი ხარისხით აიხსნება), არამედ გაუმჯობესებული იარაღებისა და თესლთაბრუნვის (ბალახთესვა) გავრცელების

დონითაც *. ეჭვს გარეშეა, რომ მემამულური მეურნეობა ათასგვარი ძაფით არის დაკავშირებული არა მარტო ბიუროკრატიასთან, არამედ ბურჟუაზიასთანაც. კონფისკაცია ძირს უთხრის მსხვილი ბურჟუაზიის უამრავ ინტერესს, ხოლო გლეხთა რევოლუცია, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა კაუტსკი, იწვევს სახელმწიფოს გაკოტრებასაც, ე. ი. არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიის ინტერესების დარღვევას. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში გლეხთა რევოლუციის გამარჯვება, წვრილი ბურჟუების გამარჯვება როგორც მემამულეებზე, ისე მსხვილ ბურჟუებზედაც, მოითხოვს გარემოებათა განსაკუთრებით ხელსაყრელ დამთხვევას, მოითხოვს ობივატელის ან ობივატელური ისტორიკოსის თვალსაზრისით სრულიად არაჩვეულებრივ, «ოპტიმისტურ» ვარაუდებს, მოითხოვს გლეხის ინიციატივის, რევოლუციური ენერგიის, შეგნებულობის, დარაზმულობისა და ხალხური შემოქმედების სიმდიდრის გიგანტურად გაშლას. ეს უდავოა, და პლეხანოვის ობივატელური ხუმრობა ხალხური შემოქმედების შესახებ იაფფასიანი ფანდია სერიოზული ** საკითხის გვერდის ასავლელად. ხოლო რადგან სასაქონლო წარმოება გლეხობას კი არ აერთიანებს და რაზმავს, არამედ შლის და ქსაქსავს

---

* შეადარეთ კაუფმანის «აგრარული საკითხის» II ტომში შეჯამება ახალი და მასობრივი ხასიათის მონაცემებისა ბალახთესვის გავრცელებულობის მხრივ გლეხური მეურნეობის მიმართ მემამულური მეურნეობის უპირატესობის შესახებ.

** «ხალხური შემოქმედება» — ეს «ნაროდოვოლცობა�ა», — ოხუნჯობდა პლეხანოვი სტოკჰოლმში. ეს იმავე ყაიდის კრიტიკაა, რომელიც, «ჩიჩიკოვის თავგადასავალს» აკრიტიკებს გვარის დაცინვით: «ჩიჩიკოვი. ჩხი... ჩხი... ოჰ, რა სასაცილოა!» [102]. «ხალხური შემოქმედების», რუსეთის რევოლუციაში გლეხობის ბრძოლის ახალი ფორმების, ორგანიზაციის ახალი ფორმების აუცილებლობის იდეის სერიოზულად მიჩნევა ნაროდოვოლცობად შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც თვით გლეხური რევოლუციის დაშვება ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ ნაროდოვოლცობა ჰგონია.

მას, ამიტომ გლეხური რევოლუცია ბურჟუაზიულ ქვეყანაში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, — გარემოება, რაც ამ რევოლუციის წინააღმდეგ კიდევ უფრო მეტად ამხედრებს მთელი მსოფლიოს უძლიერეს ბურჟუაზიას.

განა შეიძლება აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ მარქსისტებმა აზრადაც არ უნდა გაივლონ თავში გლეხური აგრარული რევოლუცია? არა, ასეთი დასკვნა მხოლოდ ისეთი ხალხის საკადრისია, ვისი მსოფლმხედველობა მარქსიზმის ლიბერალურ პაროდიას წარმოადგენს. ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ, ჯერ-ერთი, მარქსიზმს არ შეუძლია სოციალიზმის ბედი რუსეთში დაუკავშიროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების შედეგს; მეორე, რომ მარქსიზმმა ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთში მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის ორივე შესაძლებლობას და ნათლად დაანახვოს ხალხს თვითეული შესაძლებლობის პირობები და მნიშვნელობა; მესამე, რომ მარქსიზმი გადაჭრით უნდა ებრძოდეს იმ შეხედულებას, თითქოს რუსეთში შესაძლებელი იყოს რადიკალური აგრარული გადატრიალება რადიკალური პოლიტიკური გადატრიალების მოუხდენლად.

1) სოციალისტ-რევოლუციონერებს, ისე როგორც არც ერთს რამდენადმე თანამიმდევარ ნაროდნიკს, არ გაეგებათ გლეხთა რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი და მას უკავშირებენ მთელ თავიანთ კვაზი-სოციალიზმს. გლეხური რევოლუციის ხელსაყრელად დასრულება, ნაროდნიკების აზრით, რუსეთში ნაროდნიკული სოციალიზმის გამარჯვების მაჩვენებელი იქნებოდა. ნამდვილად კი ასეთი დასრულება ნაროდნიკული (გლეხური) სოციალიზმის უაღრესად სწრაფი და უაღრესად გადამწყვეტი კრახი იქნებოდა. რაც უფრო სრული და გადამწყვეტი იქნება გლეხური რევოლუციის გამარჯვება, მით უფრო სწრაფად გადაიქცევა გლეხობა თავისუფალ ბურჟუაზიულ ფერმერებად, რომლებიც «გადააყენებდნენ» ნაროდნიკულ «სოციალიზმს». პირიქით, არახელსაყრელი შე-

დეგი რამდენიმე ხნით გაახანგრძლივებს ნაროდნიკული სოციალიზმის აგონიას და საშუალებას მისცემს რამდენიმე ხნით იარსებოს იმ ილუზიას, თითქოს კაპიტალიზმის მემამულურ-ბურჟუაზიული ნაირსახეობის კრიტიკა საერთოდ კაპიტალიზმის კრიტიკა იყოს.

სოციალ-დემოკრატია, პროლეტარიატის პარტია, არასგზით არ უკავშირებს სოციალიზმის ბედს ბურჟუაზიული რევოლუციის ამა თუ იმ შედეგს. ორივე შედეგი ნიშნავს კაპიტალისტურ განვითარებას და პროლეტარიატის ჩაგვრას — მემამულეების მონარქიაშიც, სადაც მიწის კერძო საკუთრება იარსებებს, და ფერმერების რესპუბლიკაშიც, თუნდაც იქ მიწის ნაციონალიზაცია განხორციელდეს. ამიტომ მხოლოდ სრულიად დამოუკიდებელ და წმინდა პროლეტარულ პარტიას შეუძლია დაიცვას სოციალიზმის საქმე «დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყოველგვარ მდგომარეობაში» *, როგორც ეს ნათქვამია ჩემი აგრარული პროგრამის დასკვნითს ნაწილში (ეს ნაწილი შესულია სტოკჰოლმის ყრილობის ტაქტიკურ რეზოლუციაში).

2) მაგრამ აგრარული გადატრიალების ორივე შედეგის ბურჟუაზიული ხასიათი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ გულგრილად უყურონ ბრძოლის ასე თუ ისე დასრულებას. მუშათა კლასის ინტერესები უსათუოდ მოითხოვს ყველაზე ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხურ რევოლუციას, კიდევ მეტი: შეასრულოს ხელმძღვანელი როლი გლეხურ რევოლუციაში. ვიბრძვით რა გლეხური რევოლუციის ხელსაყრელი დაბოლოებისათვის, ჩვენ მასებში უნდა გავავრცელოთ უაღრესად მკაფიო გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს აგრარული ევოლუციის მემამულური გზის შენარჩუნება, რა აურაცხელი უბედურება (გამომდინარე არა კაპიტალიზმიდან, არამედ კაპიტალიზმის არასაკმაოდ განვითარებიდან) მოაქვს მას მშრო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 223. რ ე დ.

მელთა მთელი მასებისათვის. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა განვმარტოთ აგრეთვე გლეხური რევოლუციის წვრილბურჟუაზიული ხასიათი და მასზე «სოციალისტური» იმედების დამყარების უსაფუძვლობა.

ამასთან ჩვენი პროგრამა — რაკი ჩვენ სოციალიზმის ბედს არ ვუკავშირებთ ბურჟუაზიული გადატრიალების ამა თუ იმ შედეგს, — არ შეიძლება ერთნაირი იყოს ხელსაყრელი და «არახელსაყრელი შემთხვევისათვის». თუ პლეხანოვმა თქვა, ჩვენ არ გვჭირდება პროექტები, რომლებიც განსაკუთრებით ითვალისწინებენ ერთსაც და მეორესაც (მაშასადამე, «თუ»-ზე დამყარებულნი), ეს მას მოუვიდა დაუფიქრებლობით. რადგან სწორედ მისი თვალსაზრისით, უარესი შედეგის შესაძლებლობის თუ მისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საჭიროა პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა, რაც კიდევაც მქონდა მე. აუცილებელია ითქვას, რომ მემამულურ-ბურჟუაზიული განვითარების ამ გზაზე მუშათა პარტია იცავს ამა და ამ ზომებს, მაგრამ ამასთან ერთად ის ყოველი ძალღონით ეხმარება გლეხობას სრულიად მოსპოს მემამულური მიწათმფლობელობა და ამით შექმნას განვითარების შესაძლებლობის უფრო ფართო და თავისუფალი პირობები. საქმის ამ მხარეზე მე ვრცლად მაქვს ნათქვამი «მოხსენებაში» (მუხლი იჯარის შესახებ, პროგრამაში მისი შეტანის საჭიროება «უარესი შემთხვევისათვის»; ეს მასლოვს არა აქვს)*. დავუმატებ მხოლოდ, რომ სწორედ ახლა, როცა სოციალ-დემოკრატების საქმიანობის უშუალო პირობები ყველაზე ნაკლებ გვანან ოპტიმისტურ ვარაუდებს, პლეხანოვის შეცდომა კიდევ უფრო ცხადი ხდება. მესამე საათბიროს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გვაიძულოს ჩვენ შევწყვიტოთ ბრძოლა გლეხური აგრარული რევოლუციის სასარგებლოდ, მაგრამ განსაზღვრული დროის განმავლობაში გვიხდება მუშაობა ისეთი აგრარული ურთიერთობის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 410—412. რედ.

ნიადაგზე, რაც მემამულეებს საშუალებას აძლევს უაღრესად სასტიკი ექსპლოატაცია აწარმოონ. სწორედ პლეხანოვი, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა უარეს შემთხვევაზე, ახლა უპროგრამოდ აღმოჩნდა უარესი შემთხვევისათვის!

3) რაკი ჩვენ ამოცანად ვისახავთ გლეხური რევოლუციისათვის ხელშეწყობას, საჭიროა ნათლად შევიგნოთ ამ ამოცანის სიძნელე და პოლიტიკურ და აგრარულ გარდაქმნათა შორის შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ი ს აუცილებლობა. თორემ აგრარული «ოპტიმიზმის» (კონფისკაცია პლუს მუნიციპალიზაცია ან დაყოფა) შეერთება პოლიტიკურ «პესიმიზმთან» (ნოვოსედსკი: «შედარებითი» დემოკრატიზაცია ცენტრში) მეცნიერულად-უსაფუძვლო, პრაქტიკულად-რეაქციული გამოდის.

მენშევიკები თითქოს უნებურად აღიარებენ გლეხურ რევოლუციას, არ უნდათ ცხადად და გარკვევით დაანახონ ხალხს მთელი მისი სახე. მათი შეხედულება უბადლო გულუბრყვილობით გამოთქვა მენშევიკმა პტიცინმა სტოკჰოლმში: «ჩაივლის რევოლუციური შეხლა-შემოხლა, ბურჟუაზიული ცხოვრება ჩადგება ჩვეულებრივ კალაპოტში და, თუ დასავლეთში მუშათა რევოლუცია არ მოხდა, ბურჟუაზია ჩვენში აუცილებლად ძალაუფლებას დაეპატრონება. ამას ვერ უარყოფს ამხ. ლენინი და მას არც შეუძლია ეს უარყოს» («ოქმების» 91 გვ.). ისე გამოვიდა, რომ ბურჟუაზიული გადატრიალების განუაზრებელმა აბსტრაქტულმა ცნებამ დაფარა მისი იმ ნაირსახეობის საკითხი, როგორიცაა გლეხური რევოლუცია! ყოველივე ეს — მხოლოდ «შეხლა-შემოხლაა», ხოლო რეალურია მარტო «ჩვეულებრივი კალაპოტი». ძნელია უფრო რელიეფურად გამოთქვა ობივატელური თვალსაზრისი და იმის გაუგებლობა, თუ სახელდობრ რის გამო წარმოებს ბრძოლა ჩვენს ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

აგრარულ გადატრიალებას გლეხობა ვერ მოახდენს ისე, თუ თავიდან არ მოიშორა ძველი ხელისუფლება, მუდმივი ჯარი და ბიუროკრატია, რადგან ყველაფერი ეს მემამულური მიწათმფლობელობის უაღრესად საიმედო დასაყრდენია,

დაკავშირებული მასთან ათასნაირი ძაფებით. ამიტომ მეცნიერულად-უსაფუძვლოა აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს გლეხური გადატრიალება მხოლოდ ადგილობრივ დაწესებულებათა დემოკრატიზმის პირობებში, ცენტრალურ დაწესებულებათა სავსებით დაუმსხვრევლად. პრაქტიკულად-რეაქციულია ეს აზრი იმიტომ, რომ ის ხელს უწყობს წვრილბურჟუაზიულ სიჩლუნგეს და წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმს, — «სულ უბრალოდ» რომ ფიქრობს: მიწა საჭიროა, პოლიტიკა კი — ღმერთმა უწყისო! მიწა სულ მთლად უნდა ავიღოთ, ხოლო საჭიროა თუ არა მთელი ძალაუფლების, შეიძლება თუ არა მთელი ძალაუფლების აღება, როგორ ავიღოთ იგი, ამაზე გლეხი როდი ფიქრობს (ან არ უფიქრია, ვიდრე ორი სათათბიროს გარეკვამ არ შეაგონა მას). ამიტომ უაღრესად რეაქციულია თვალსაზრისი «გლეხი კადეტის», ბ-ნ პეშეხონოვისა, რომელიც ჯერ კიდევ თავის «აგრარულ პრობლემაში» წერდა: «ახლა გაცილებით უფრო საჭიროა გარკვეული პასუხი აგრარულ საკითხზე, ვიდრე, მაგალითად, რესპუბლიკის საკითხზე» (გვ. 114). და პოლიტიკური გლახაკობის ეს თვალსაზრისი (რეაქციულ საქმეთა ოსტატის, ბ-ნ ვ. ვ-ის მემკვიდრეობა) დაეტყო, როგორც ცნობილია, «სახალხო სოციალისტების» პარტიის მთელ პროგრამასა და მთელ ტაქტიკას. ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლონ გლეხის მოუაზრებლობას, რომელიც ვერ მიმხვდარა, თუ რა კავშირი არსებობს აგრარულ რადიკალიზმსა და პოლიტიკურ რადიკალიზმს შორის, ენესები («სახალხო სოციალისტები») ურიგდებიან გლეხის მოუაზრებლობას. მათ ჰგონიათ, რომ «ეს უფრო პრაქტიკულია», ნამდვილად კი საკითხის სწორედ ასეთი დაყენება აბსოლუტურ წარუმატებლობას განუმზადებს გლეხობის აგრარულ პროგრამას. თქმა არ უნდა, ძნელია რადიკალური პოლიტიკური გადატრიალება, მაგრამ ძნელია აგრარულიც; მეორე შეუძლებელია პირველთან დაუკავშირებლად, და სოციალისტების მოვალეობაა არ დაუფარონ ეს

გლეხებს, არ გახვიონ ბურუსში ისინი (საკმაოდ გაურკვეველი, ნახევრადკადეტური ფრაზებით «დემოკრატიული სახელმწიფოს» შესახებ, როგორც ეს ჩვენს აგრარულ პროგრამაშია), არამედ თქვან ბოლომდე, ასწავლონ გლეხებს, რომ, თუ ისინი პოლიტიკაში ბოლომდე არ მივლენ, ისე არ შეუძლიათ სერიოზულად იფიქრონ მემამულეთა მიწის კონფისკაციაზე.

აქ «თუ»-ებს კი არა აქვს მნიშვნელობა პროგრამაში. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უნდა არსებობდეს აგრარულ და პოლიტიკურ გარდაქმნათა შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა. «თუ»-ს მაგივრად იგივე აზრი შეიძლება სხვანაირად გამოითქვას: «პარტია განმარტავს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიწის ფლობის უკეთეს ფორმას წარმოადგენს მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მიწის ნაციონალიზაცია, მისი გადასვლა სახელმწიფოს საკუთრებად, და რომ ამ ღონისძიების არც შესრულება შეიძლება და მას არც ნამდვილი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ არ განხორციელდა სრული დემოკრატიზმი არა მარტო ადგილობრივი დაწესებულებებისა, არამედ სახელმწიფოს მთელი წყობილებისა თვით რესპუბლიკის დაარსებამდე, მუდმივი ჯარის გაუქმებამდე, ხალხის მიერ მოხელეების არჩევითობამდე და სხვ.».

ასეთი განმარტება რომ არ შევიტანეთ ჩვენს აგრარულ პროგრამაში, ამით ხალხს ჩავუნერგეთ ც რ უ აზრი, ვითომ შესაძლებელი იყოს მემამულეთა მიწების კონფისკაცია ცენტრალური ხელისუფლების სრული დემოკრატიზმის განუხორციელებლად. ჩვენ ჩამოვქვეითდით ოპორტუნისტული წვრილი ბურჟუაზიის, ე. ი. «სახალხო სოციალისტების» დონემდე, რადგან ორივე სათათბიროში მოხდა ისე, რომ მათი პროგრამაც (104-ის პროექტი) და ჩვენიც მიუთითებდა აგრარულ გარდაქმნათა კავშირს მ ხ ო ლ ო დ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ დაწესებულებათა დემოკრატიზმთან. ასეთი შეხედულება მეშჩანური სიჩლუნგეა, რომლისაგანაც 1907 წლის 3 ივნისს და III სათათბიროს ბევრი უნდა განეკურნა, ხოლო სოციალ-დემოკრატები უწინარეს ყოვლისა.

## 5. გლეხური რევოლუცია გლეხობის მიერ ძალაუფლების დაუპყრობლად?

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა არის პროლეტარული პროგრამა გლეხურ რევოლუციაში, რომელიც მიმართულია ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც შუასაუკუნეობრივია ჩვენს აგრარულ წყობაში. თეორიულად ამ დებულებას, როგორც დავინახეთ, მენშევიკებიც აღიარებენ (პლეხანოვის სიტყვა სტოკჰოლმში). მაგრამ მენშევიკები სრულიადაც არ ჩაუფიქრდნენ ამ დებულებას, მათ ვერ შენიშნეს განუწყვეტელი კავშირი ამ დებულებასა და რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ზოგად საფუძვლებს შორის. და სწორედ პლეხანოვის ნაწარმოებებში ყველაზე უფრო ნათლად ჩანს ეს ჩაუფიქრებლობა.

ყოველი გლეხური რევოლუცია, მიმართული შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის დროს, არის ბურჟუაზიული რევოლუცია. მაგრამ ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია გლეხური რევოლუცია როდია. თუ რომ იმ ქვეყანაში, სადაც მიწათმოქმედება სავსებით კაპიტალისტურად არის მოწყობილი, კაპიტალისტი მიწათმოქმედნი დაქირავებული მუშების დახმარებით მოახდენენ აგრარულ რევოლუციას, მოსპობენ, მაგალითისთვის ვთქვათ, მიწის კერძო საკუთრებას, ეს იქნებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ სრულიადაც არა გლეხური რევოლუცია. თუ რომ იმ ქვეყანაში, რომლის აგრარული წყობილება იმდენად შეეზარდა უკვე კაპიტალისტურ მეურნეობას საერთოდ, რომ ამ წყობილების მოსპობა შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალიზმის მოუსპობლად, მოხდებოდა რევოლუცია, რომელიც, ვთქვათ, თვითმპყრობელური ბიუროკრატიის ადგილას ხელისუფლების სათავეში სამრეწველო ბურჟუაზიას დააყენებდა, ეს იქნებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ სრულიადაც არა გლეხური რევოლუცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შესაძლებელია

ბურჟუაზიული ქვეყანა უგლეხობოდ და შესაძლებელია ბურჟუაზიული რევოლუცია ასეთ ქვეყანაში უგლეხობოდ. შესაძლებელია ბურჟუაზიული რევოლუცია იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გლეხობა შეადგენს და, მაინც, ისეთი რევოლუცია, რომელიც სრულიადაც არ არის გლეხთა რევოლუცია, ე. ი. ისეთი, რომელიც არ არევოლუციურებს სპეციალურად გლეხობის საადგილმამულო ურთიერთობას და არ აყენებს გლეხობას იმ რამდენადმე აქტიურ საზოგადოებრივ ძალთა რიცხვში, რომლებიც ქმნიან რევოლუციას. მაშასადამე, ზოგადი მარქსისტული ცნება: «ბურჟუაზიული რევოლუცია» შეიცავს ცნობილ დებულებებს, რომლებიც აუცილებლად შეეფარდებიან გლეხთა ყოველნაირ რევოლუციას განვითარებადი კაპიტალიზმის ქვეყანაში, მაგრამ ეს ზოგადი ცნება ჯერ კიდევ სრულიად არაფერს ლაპარაკობს იმაზე, უნდა გახდეს (ობიექტური აუცილებლობის მხრივ) ამა თუ იმ ქვეყნის ბურჟუაზიული რევოლუცია გლეხთა რევოლუციად, რათა სრული გამარჯვება მოიპოვოს, თუ არ უნდა გახდეს.

პლეხანოვის და მის მიმდევარ მენშევიკთა მთელი ტაქტიკური ხაზის უსწორობის ძირითადი წყარო რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში (ე. ი. 1905—1907 წლებში) ის არის, რომ მათ სრულიად ვერ გაიგეს ეს თანაფარდობა საერთოდ ბურჟუაზიულ რევოლუციასა და გლეხურ ბურჟუაზიულ რევოლუციას შორის. მენშევიკურ ლიტერატურაში ატეხილი ჩვეულებრივი მრისხანე ხმაური * იმის გამო, რომ ბოლშევიკებს არ ესმით მიმდინარე რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათიო, სხვა არ არის რა, თუ არა ამ მოუაზრებლობის დაფარვა. ნამდვილად არც ერთი სოციალ-დემოკრატი არც ერთი და არც მეორე ფრაქციისა არც რევოლუციამ-

* პლეხანოვის «ახალ წერილებში ტაქტიკასა და უტაქტობაზე» (გამოც. გლაგოლევისა, სპბ) ეს ხმაური პირდაპირ კომიკურია. მრისხანე სიტყვები, ლანძღვა ბოლშევიკების წინააღმდეგ და პრანჭვა-გრეხა უამრავი, აზრი კი არც ერთი ბეწო.

დე, არც რევოლუციის დროს გვერდს არ უვლიდა მარქსისტულ შეხედულებას რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე; მხოლოდ ფრაქციულ უთანხმოებათა «გამმარტივებლებს», ვულგარიზატორებს შეეძლოთ წინააღმდეგის მტკიცება. მაგრამ მარქსისტების ერთი ნაწილი, სახელდობრ მარჯვენა ფრთა, ყოველთვის კმაყოფილდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადი, აბსტრაქტული, შაბლონური გაგებით და ვერ შესძლო გაეგო ამ ბურჟუაზიული რევოლუციის, სწორედ როგორც გლეხური რევოლუციის, განსაკუთრებული ხასიათი. სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია, რომ სოციალ-დემოკრატიის ამ ფრთას არ შეეძლო გაეგო ჩვენი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობის წყარო რუსეთის რევოლუციაში, არ შეეძლო ნათლად განესაზღვრა, თუ რომელ კლასებს შეეძლოთ ამ რევოლუციაში სრული გამარჯვება მოეპოვებინათ, არ შეეძლო არ დამდგარიყო მცდარ შეხედულებაზე: ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულ რევოლუციაში მთავარ მოქმედ ძალად უნდა გამოდიოდეს ბურჟუაზია, რევოლუციის გაქანება შესუსტდება, თუ ბურჟუაზია მას ჩამოშორდებაო და სხვ. და ა. შ.

პირიქით, ბოლშევიკებმა რევოლუციის დაწყებიდანვე 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე, როცა ჯერ კიდევ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ბოლშევიზმის არევაზე ბოიკოტიზმთან, მებრძოლიზმთან და სხვა მსგავსთან, რაც ახლა ასე გავრცელებულია უვიც და რეგვენ ადამიანთა შორის, — ნათლად აღნიშნეს ჩვენი ტაქტიკური უთანხმოების წყარო, გამოყვეს გლეხური რევოლუციის, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის ერთერთი სახეობის, ცნება და განსაზღვრეს მისი გამარჯვება: «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა». უდიდესი იდეური გამარჯვება, რაც მოიპოვა ბოლშევიზმმა მას შემდეგ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, იყო კაუტსკის გამოსვლა სტატიით რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძა-

ლების შესახებ (რუსული თარგმანი ნ. ლენინის რედაქციითა და წინასიტყვაობით: «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები», მ. 1907, გამომცემლობა «ახალი ეპოქა»). როგორც ცნობილია, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მომხდარი გათიშვის დასაწყისში, 1903 წელს, კაუტსკი უკანასკნელთა მხარეზე დადგა. 1907 წელს, რუსეთის რევოლუციის დაკვირვების შემდეგ, რომლის შესახებაც არა ერთხელ დაუწერია კაუტსკის, იგი ერთბაშად მიხვდა, რა შეცდომა დაუშვა პლეხანოვმა, რომელმაც მას თავისი ცნობილი შეკითხვის ფურცელი გაუგზავნა. ამ შეკითხვის ფურცელში პლეხანოვი ეკითხებოდა მ ხ ო ლ ო დ რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე და არ გამოჰყოფდა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის ცნებას, არ ცდილობდა გაეხსნა ფრჩხილები: «ბურჟუაზიული დემოკრატია», «ბურჟუაზიული ოპოზიციური პარტიები». კაუტსკიმ გაასწორა ეს შეცდომა და პლეხანოვს უპასუხა, რომ ბურჟუაზია არ წარმოადგენს რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელ ძალას, რომ ა მ გაგებით ბურჟუაზიული რევოლუციების დრო წასულია, რომ «ინტერესთა მტკიცე ერთობა მთელი რევოლუციური ბრძოლის პერიოდში არსებობს მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის» (დასახელებული ბროშურა, გვ. 30—31); რომ «სწორედ ეს (ინტერესთა ეს სიმტკიცე) უნდა დაედოს საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელ რევოლუციურ ტაქტიკას» (იქვე, გვ. 31). აქ სრულიად ნათლად არის გამოთქმული ბოლშევიკური ტაქტიკის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მენშევიკურისა. პლეხანოვი ამის გამო საშინლად ჯავრობს თავის «ახალ წერილებში და სხვ.». მაგრამ მისი გაოცება მხოლოდ უფრო მკვეთრად ააშკარავებს არგუმენტაციის უძლურებას. კრიზისი, რომელსაც განვიცდით, «მაინც ბურჟუაზიულია» — დაჟინებით იმეორებს პლეხანოვი და ბოლშევიკებს ლანძღავს — «უვიცნი» ხართო (გვ. 127). ეს ლანძღვა — გაჯავრებულის უძლურებაა. პლეხანოვმა ვერ გაიგო გლეხური ბურჟუაზიუ-

ლი რევოლუციის არა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავების საკითხი. როცა პლეხანოვი ამბობს, რომ კაუტსკი «აზვიადებს ჩვენი გლეხის განვითარების სისწრაფეს» (გვ. 131), რომ «აზრის სხვადასხვაობა ჩვენს შორის (პლეხანოვსა და კაუტსკის შორის) შესაძლოა მხოლოდ წვრილმანებშიო» (131) და სხვ., იგი მიმართავს მეტად უმწეო, ლაჩრულ ფანდებს, რადგან ყოველი ოდნავ მოაზროვნე ადამიანი დაინახავს სწორედ წინააღმდეგს. საქმე «წვრილმანები» ან განვითარების სისწრაფე, ანდა ძალაუფლების «ხელში ჩაგდება» კი არ არის, რაზეც გაჰყვირის პლეხანოვი, არამედ ის, თუ რა ძირითადი შეხედულება გაქვს კლასებზე, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა. პლეხანოვი და მენშევიკები გარდუვალად, ნებსით თუ უნებლიეთ, ადგებიან ბურჟუაზიის მხარდაჭერის ოპორტუნისტულ გზას, რადგან მათ არ ესმით ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა გლეხურ ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ბოლშევიკებმა ერთბაშად განსაზღვრეს ამ რევოლუციის გამარჯვების საერთო და ძირითადი კლასობრივი პირობები, როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. კაუტსკიც, არსებითად, იმავე შეხედულებამდე მივიდა «მამოძრავებელ ძალებში» და გაიმეორა ეს თავისი «სოციალური რევოლუციის» მეორე გამოცემაში, სადაც ის ამბობს: «ეს (რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება ახლო მომავალში) შეიძლება მოხდეს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის შეკავშირებით» (einer koalition) («Die soziale Revolution», von K. Kautsky. Zweite Auflage. Berlin. 1907, Seite 62 *). (ადგილი ნებას არ გვაძლევს შევჩერდეთ კაუტსკის სხვა დამატებაზე მეორე გამოცემაში, მის მიერ 1905 წლის დეკემბრის გაკვეთილების შეფასებაზე, რაც ძირფესვიანად განსხვავდება მენშევიზმისაგან).

* — კარლ კაუტსკი. «სოციალური რევოლუცია», მე-2 გამოცემა, ბერლინი, 1907, გვ. 62. რედ.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ პლეხანოვი სრულიად დაიბ-ნა საკითხში, თუ როგორია საფუძვლები საერთოდ მთელი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკისა ისეთ ბურჟუა-ზიულ რევოლუციაში, რომელსაც შეუძლია გაიმარჯვოს მხო-ლოდ როგორც გლეხურმა რევოლუციამ. ჩემი სიტყვები სტოკჰოლმში (1906 წლის აპრილში) *, პლეხანოვმა მენშე-ვიზმი აბსურდამდე მიიყვანა, როცა უარყო ძალაუფლების დაპყრობა გლეხობის მიერ გლეხთა რევოლუციაში-მეთქი, სავსებით დადასტურდა შემდგომი პერიოდის ლიტერატურა-ში. და ტაქტიკური ხაზის ეს ძირითადი შეცდომა არ შეიძ-ლებოდა არ დამჩნეოდა მენშევიკურ აგრარულ პროგრამას. მუნიციპალიზაცია, როგორც არა ერთხელ მაქვს აღნიშნული ზემოთ, არც ეკონომიურ და არც პოლიტიკურ სფეროში სრულიად არ გამოხატავს გლეხური რევოლუციის ნამდვილი გამარჯვების პირობებს, პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ძალაუფლების ნამდვილ დაპყრობას. ეკონომიურ სფე-როში ასეთი გამარჯვება არ შეიძლება ძველი სანადელო მი-წათმფლობელობის განმტკიცებასთან იქნას შეთავსებული; ხოლო პოლიტიკურ სფეროში — მარტოოდენ საოლქო დე-მოკრატიზმთან ცენტრალური ხელისუფლების არასრული დემოკრატიზმის დროს.

## 6. საკმაოდ მოქნილი საშუალებაა თუ არა მიწის ნაციონალიზაცია?

ამხ. ჯონი სტოკჰოლმში ამბობდა (ოქმების 111 გვ.), რომ «მიწის მუნიციპალიზაციის პროექტი უფრო მისაღებია, რო-გორც უფრო მოქნილი, ის ითვალისწინებს სამეურნეო პირო-ბების მრავალფეროვნებას და მის განხორციელებას შესაძლებ-ლად ცნობს თვით რევოლუციის პროცესში». მუნიციპალიზა-ციის ძირითადი ნაკლი ამ მხრივ მე უკვე აღვნიშნე: სანადე-ლო მიწათმფლობელობის საკუთრებად განმტკიცება. ნაციო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 338 — 339. რ ე დ.

ნალიზაცია ამ მხრივ განუზომლად უფრო მოქნილია, რადგან იგი საშუალებას იძლევა გაცილებით უფრო თავისუფლად მოეწყოს ახალი მეურნეობანი «ღობეებისგან განთავისუფლებულ» მიწაზე. აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს ჯონის სხვა, უფრო წვრილმანი, მოსაზრებები.

«მიწის დაყოფა — ამბობს ჯონი — ზოგ ადგილას კვლავ შექმნიდა ძველ საადგილმამულო ურთიერთობას. ზოგიერთ ოლქში თვითეულ კომლზე 200 დესეტინა მოვიდოდა, და ამრიგად, მაგალითად, ურალში ჩვენ შევქმნიდით ახალ მემამულეთა კლასს». ეს ნიმუშია საბუთისა, რომელიც თავის საკუთარ სისტემას ამტყუნებს. და ასეთი საბუთები წყვეტდნენ საკითხებს მენშევიკურ ყრილობაზე! სწორედ მუნიციპალიზაციას, და მხოლოდ მას, აქვს ის ნაკლი, რომელზეც აქაა მითითებული, რადგან მხოლოდ ის განამტკიცებს მიწებს ცალკეული ოლქების საკუთრებად. დაყოფა კი არ არის აქ მიზეზი, როგორც ფიქრობს ჯონი, რომელიც სასაცილო ლოგიკურ შეცდომას სჩადის, არამედ მუნიციპალისტების პროვინციალიზმი. ურალის მუნიციპალიზებული მიწა სულ ერთია, მენშევიკების პროგრამით, მაინც ურალელების «მფლობელობად» დარჩებოდა. ეს იქნებოდა ა ხ ა ლ ი რეაქციული კაზაკობის შექმნა, რეაქციულისა იმიტომ, რომ პრივილეგიური წვრილი მიწათმოქმედნი, ათჯერ უფრო უზრუნველყოფილნი მიწით, ვიდრე მიწათმოქმედთა მთელი დანარჩენი მასა, უსათუოდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ გლეხურ რევოლუციას, უსათუოდ დაიცავდნენ მიწის კერძო საკუთრების პრივილეგიებს. დაგვრჩენია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმავე პროგრამის საფუძველზე «დემოკრატიული სახელმწიფო» შესძლებდა ურალის ათეული მილიონი დესეტინა ტყეები გამოეცხადებინა «საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებად», ან «საგადასახლებო ფონდად» (ურალის ტყეების ასეთი დანიშნულება კადეტ კაუფმანსაც ხომ დასაშვებად მიაჩნია 25% ტყიანობის ფარგლებში, რაც იძლევა 21 მილიონ დესეტინას ვიატკის, უფისა და პერმის გუბერნიებში!) — და ამ საფუძველზე ჩამოართვას ისი-

ნი თავის «სამფლობელოდ». არა მოქნილობით, არამედ არევ-დარევით განირჩევა მუნიციპალიზაცია, — ეს არის და ეს!

შემდეგ, ვნახოთ როგორ განხორციელდება მუნიციპალიზაცია თვით რევოლუციის პროცესში. აქ ჩვენ ვხვდებით თავ-დასხმებს ჩემს «გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებზე», როგორც წოდებრივ დაწესებულებაზე. ჩვენ ხომ წოდებრიობის წინააღმდეგი ვართო — ლიბერალობდნენ მენშევიკები სტოკ-ჰოლმში. რა იაფფასიანი ლიბერალიზმია! ის კი ვეღარ მოიფიქრეს ჩვენმა მენშევიკებმა, რომ უწოდებრიო თვითმმართველობის შემოსაღებად საჭიროა გამარჯვება მოიპოვო და ძალაუფლება წაართვა იმ პრივილეგიურ წოდებას, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა წარმოებს. სწორედ «თვით რევოლუციის პროცესში», როგორც ჯონი ამბობს, ე. ი. მემამულეთა გაძევებისათვის ბრძოლის პროცესში, «გ ლ ე ხ ო ბ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ა მ ო ს ვ ლ ე ბ ი ს» პროცესში, რომ-ლებზეც მენშევიკების ტაქტიკური რეზოლუციაც კი ლაპარა-კობს, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გლეხთა კომიტეტები. უწოდებრიო თვითმმართველობის შემოღება უზრუნველყო-ფილია ჩვენი პოლიტიკური პროგრამით, ის გარდუვალად დაწესდება და უნდა დაწესდეს კიდეც, როგორც მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ი ს ორგანიზაცია გამარჯვების შემდეგ, როცა უკვე მთელი მოსახლეობა იძულებულია იცნოს ახალი წესწყო-ბილება. მაგრამ თუ ლიტონი ფრაზა არ არის ჩვენი პროგრამის სიტყვები «გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისათვის მხარდაჭერაზე თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდე», მაშინ ხომ უნდა ვიფიქროთ მასების ორგანიზაციაზე ა მ «გა-მოსვლებისათვის»! ამაზე მენშევიკური პროგრამა არ ფიქრობს. იგი ისეა აგებული, რომ ადვილი იყოს მისი მთლიანად გადაქ-ცევა პარლამენტურ კანონპროექტად იმ ბურჟუაზიული პარ-ტიების კანონპროექტებთან ერთად, რომელთაც სძაგთ ყოველ-გვარი «გამოსვლები» (როგორც კადეტებს) ან ოპორტუნის-ტულად გაურბიან ამოცანას — სისტემატურად ხელი შეუწყონ ამ გამოსვლებს და მათი ორგანიზაციის საქმეს (როგორც

ენესები). მაგრამ პროგრამის ასეთი აგება არ შეეფერება მუშათა პარტიას, რომელიც გლეხურ აგრარულ რევოლუციაზე ლაპარაკობს, — პარტიას, რომელიც მიზნად ისახავს არა მსხვილი ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის დამშვიდებას (როგორც კადეტები), არა წვრილი ბურჟუაზიის დამშვიდებას (როგორც ენესები), არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფართო მასების შეგნებისა და თვითმოქმედების განვითარებას ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ მათი ბრძოლის მსვლელობაში.

მოიგონეთ თუნდაც საერთოდ გლეხთა ის უამრავი «რევოლუციური გამოსვლა», რაც რუსეთში ხდებოდა 1905 წლის გაზაფხულზე, 1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის გაზაფხულზე. ვფიქრობთ თუ არა ჩვენ მხარი დავუჭიროთ ასეთ გამოსვლებს? თუ არა, მაშინ ჩვენი პროგრამა სიმართლის მთქმელი არ იქნებოდა. თუ ჰო, მაშინ ცხადია, რომ ეს პროგრამა *არ იძლევა* მითითებებს, თუ როგორი უნდა იყოს *ამ გამოსვლების* ორგანიზაცია. ასეთი გამოსვლების ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ უშუალოდ ბრძოლის ადგილზე, ორგანიზაცია უნდა შექმნას მხოლოდ უშუალოდ ბრძოლაში ჩაბმულმა მასამ, ე. ი. ორგანიზაცია უსათუოდ გლეხთა კომიტეტების ტიპის უნდა იყოს. ასეთი გამოსვლების დროს დიდი საოლქო თვითმმართველობების მოლოდინი პირდაპირ სასაცილოა. გამარჯვებულ ადგილობრივ კომიტეტთა გაფართოება, მათი ძალაუფლებისა და გავლენის გავრცელება მეზობელ სოფლებზე, მაზრებზე, გუბერნიებზე, ქალაქებზე, ოკრუგებზე *და მთელ სახელმწიფოზე*, რა თქმა უნდა, სასურველი და აუცილებელია. პროგრამაში ასეთი გაფართოების აუცილებლობის აღნიშვნის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის, მაგრამ მაშინ სავალდებულოა არ დავკმაყოფილდეთ ოლქებით და მივიდეთ თვით ცენტრალურ ხელისუფლებამდე. ეს, ერთი. მეორეც, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ არა თვითმ*მართველობებზე*, რადგან ასეთი ტერმინი გვიჩვენებს მმართველი ორგანიზაციების *დამოკიდებულებას* სახელ*მწიფოს მოწყობის* ორგანიზაციისაგან. «თვითმმართ-

ველობა» მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი წესების მიხედვით და მის მიერვე განსაზღვრულ ფარგლებში. მებრძოლი ხალხის ის ორგანიზაციები კი, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ძველი ხელისუფლების ყველა დაწესებულებისაგან, უნდა იბრძოდნენ სახელმწიფოს ახალი წყობილებისათვის, უნდა იყვნენ იარაღი ხალხის სრულუფლებიანობისა (ანუ ხალხის თვითმპყრობელობისა) და საშუალება ამის უზრუნველყოფისა.

ერთი სიტყვით, «თვით რევოლუციის პროცესის» თვალსაზრისით ყოველმხრივ არადამაკმაყოფილებელია მენშევიკური პროგრამა, რომელიც გამოხატავს მენშევიკურ იდეათა არევდარევას დროებითი ხელისუფლების საკითხში და სხვ.

## 7. მიწის მუნიციპალიზაცია და მუნიციპალური სოციალიზმი

ერთის მეორესთან დაახლოება ეკუთვნის თვითონ მენშევიკებს, რომლებმაც თავიანთი აგრარული პროგრამა გაიყვანეს სტოკჰოლმში. საკმარისია დავასახელოთ ორი ცნობილი მენშევიკი, კოსტროვი და ლარინი. «ზოგიერთ ამხანაგს — ამბობდა კოსტროვი სტოკჰოლმში — თითქოს პირველად ესმის მუნიციპალური საკუთრების ამბავი. მოვაგონებ მათ, რომ დასავლეთ ევროპაში არსებობს მთელი მიმართულება» (! სწორედ!) ««მუნიციპალური სოციალიზმი» (ინგლისი), რაც ნიშნავს ქალაქთა და სოფელთა მუნიციპალიტეტების საკუთრების გაფართოებას და რასაც იცავენ ჩვენი ამხანაგებიც. ბევრი მუნიციპალიტეტი ფლობს უძრავ ქონებას, და ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს პროგრამას. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მუნიციპალიტეტებს მუქთად (!!) ვუშოვოთ (!) უძრავი სიმდიდრე და ამით კიდეც უნდა ვისარგებლოთ. რა თქმა უნდა, კონფისკებული მიწები მუნიციპალიზებულ უნდა იქნას» (გვ. 88).

«სიმდიდრის მუქთად შოვნის შესაძლებლობის» გულუბრყვილო თვალსაზრისი ჩინებულად არის აქ გამოთქმული. ორა-

ტორი არ დაფიქრებულა მხოლოდ იმაზე, თუ რატომ არის, რომ მუნიციპალური სოციალიზმის ეს «მიმართულება» სწორედ როგორც განსაკუთრებული მიმართულება და უმთავრესად ინგლისში, რომელიც მან აიღო როგორც მაგალითი, — არის უკიდურესი ოპორტუნიზმის მიმართულება? რატომ იყო, რომ ენგელსმა წერილებში ზორგესადმი ინგლისელ ფაბიანელთა ამ უკიდურესი ინტელიგენტური ოპორტუნიზმის დახასიათებისას აღნიშნა მათ «მუნიციპალიზატორულ» მისწრაფებათა მეშჩანური მნიშვნელობა[103]?

კოსტროვთან შეხმატკბილებულად ლარინი მენშევიკური პროგრამის თავის კომენტარში ამბობს: «შეიძლება, ზოგიერთ ადგილას ადგილობრივმა სახალხო თვითმმართველობამ თვითონვე შესძლოს თავისი ხარჯით ამ მსხვილი მეურნეობების გაძღოლა, როგორც აქვთ, მაგალითად, ქალაქის თვითმმართველობებს ცხენის ტრამვაი ან სასაკლაოები, და მაშინ აქედან მიღებული მთელი (!!) მოგება მთელი (!) მოსახლეობის განკარგულებაში დარჩება» *, — და არა ადგილობრივი ბურჟუაზიის ხელში, პატივცემულო ლარინ?

დასავლეთ ევროპის მუნიციპალური სოციალიზმის მეშჩანური გმირების მეშჩანური ილუზიები უკვე ერთბაშად იჩენენ თავს. დავიწყებულია ბურჟუაზიის ბატონობაც, დავიწყებულია ისიც, რომ მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის დიდ პროცენტს პროლეტარიატი შეადგენს, შესაძლებელი ხდება მუნიციპალური მმართველობის ნამცეცებიდან მცირე რამის შენარჩუნება მშრომელთა სასარგებლოდ! მაგრამ ეს გაკვრით. მიწის მუნიციპალიზაციის «მუნიციპალურ-სოციალისტური» იდეის მთავარი სიყალბე არის შემდეგი.

ბურჟუაზიულ ინტელიგენციას დასავლეთში, ინგლისელ ფაბიანელთა მსგავსად, მუნიციპალური სოციალიზმი განსაკუთრებულ «მიმართულებად» მიაჩნია სწორედ იმიტომ, რომ ის ოცნებობს სოციალურ მშვიდობაზე, კლასთა მორიგებაზე

* «გლეხთა საკითხი და სოციალ-დემოკრატია», გვ. 66.

და სურს საზოგადოების ყურადღება მთელი ეკონომიური წყობისა და მთელი სახელმწიფო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ძირითადი საკითხებიდან გადაიტანოს ადგილობრივი თ ვ ი თ - მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს წვრილ საკითხებზე. პირველი გვარი საკითხების სფეროში კლასობრივი წინააღმდეგობანი უფრო მკვეთრია; სახელდობრ ეს სფერო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეხება ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის საფუძვლებს. ამიტომაც სწორედ აქ სოციალიზმის ნაწილობრივად განხორციელების მეშჩანური, რეაქციული უტოპია განსაკუთრებით უნუგეშოა. ყურადღება ექცევა ადგილობრივი წვრილმანი საკითხების სფეროს, არა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის საკითხს, არა ამ ბატონობის მთავარი იარაღების საკითხს, — არამედ იმ ნ ა მ ც ე ც ე ბ ი ს ხარჯვას, რასაც მდიდარი ბურჟუაზია გადმოყრის «მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა თ ა თ ვ ი ს». გასაგებია, რომ თუ გამოყოფილია ასეთი საკითხები უმნიშვნელო თანხების (ზედმეტი ღირებულების საერთო მასასთან და ბურჟუაზიის სახელმწიფო ხარჯების საერთო ჯამთან შედარებით) დახარჯვის შესახებ, თანხების, რომელთა გაღებასაც თ ვ ი თ ო ნ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა თ ა ნ ხ მ დ ე ბ ა სახალხო ჯანმრთელობისათვის (ენგელსი «საბინაო საკითხში» აღნიშნავდა, რომ გადამდები ეპიდემიები ქალაქებში თვითონ ბურჟუაზიას აშინებს [104]), — სახალხო განათლებისათვის (ბურჟუაზიას ხომ უნდა ჰყავდეს მცოდნე მუშები, რომელნიც შესძლებენ შეეწყონ ტექნიკის მაღალ დონეს!) და სხვ., მაშინ ა ს ე თ ი წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი საკითხების სფეროში შეიძლება იყბედო «სოციალურ მშვიდობაზე», კლასობრივი ბრძოლის მავნეობაზე და სხვ. რა კლასობრივი ბრძოლაა აქ, თუ თვით ბურჟუაზია ხარჯავს ფულს «მოსახლეობის საჭიროებებზე», მკურნალობაზე და განათლებაზე? რის მაქნისია სოციალური რევოლუცია, თუ ადგილობრივი თვითმმართველობების საშუალებით შეიძლება «კოლექტიური საკუთრების» ცოტ-ცოტაობით და თანდათან გაფართოება, «სოციალი-

ზაცია» წარმოებისა: ცხენის ტრამვაის, სასაკლაოსი, რომლებზეც ასე მარჯვედ მიუთითებს პატივცემული ი. ლარინი?

ამ «მიმართულების» მეშჩანური ოპორტუნიზმი ის არის, რომ ივიწყებენ ეგრეთწოდებული «მუნიციპალური სოციალიზმის» (ნამდვილად კი მუნიციპალური კაპიტალიზმის, როგორც სამართლიანად ამბობენ ინგლისელი სოციალ-დემოკრატები ფაბიანელების წინააღმდეგ) ვიწრო ფარგლებს. ივიწყებენ, რომ, ვიდრე ბურჟუაზია ბატონობს, როგორც კლასი, მას არ შეუძლია ნება მისცეს ვისმეს თუნდაც «მუნიციპალური» თვალსაზრისით შეეხოს მისი ბატონობის ნამდვილ საფუძვლებს, — და თუ ბურჟუაზია ურიგდება და ითმენს «მუნიციპალურ სოციალიზმს», ეს სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიის ბატონობის საფუძვლებს იგი არ ეხება, მისი სიმდიდრის სერიოზულ წყაროებს ხელს არ ახლებს და ვრცელდება მხოლოდ ხარჯების იმ ადგილობრივ, ვიწრო სფეროზე, რასაც თვითონ ბურჟუაზია იძლევა «მოსახლეობის» განკარგულებაში. საკმარისია ოდნავ მაინც გაეცნო დასავლეთის «მუნიციპალურ სოციალიზმს», რომ გაიგო, თუ სოციალისტური მუნიციპალიტეტების ყოველი ცდა — ოდნავ გასცილდნენ მეურნეობის გაძღოლის ჩვეულებრივ, ე. ი. წვრილ და წვრილმან ჩარჩოებს, რაც მუშას არსებითად არაფერს უმსუბუქებს, ყოველი ცდა კაპიტალის ოდნავი შეხებისა როგორ იწვევს ყოველთვის და უსათუოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების გადამწყვეტ veto-ს *.

და აი ეს ძირითადი შეცდომა, დასავლეთ ევროპის ფაბიანელების, პოსიბილისტებისა და ბერნშტეინელების ეს მეშჩანური ოპორტუნიზმი გადმოიღეს ჩვენმა მუნიციპალიზატორებმა.

«მუნიციპალური სოციალიზმი» არის სოციალიზმი ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხებში. ის, რაც ადგილობრივი ინტერესების ფარგლებს, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფუნქციის ფარგლებს

* — ვეტო — ვეტოალავ (ამ შემთხვევაში — აკრძალვას). რედ.

სცილდება, ე. ი. ყველაფერი, რაც მმართველი კლასების შემოსავლის ძირითად წყაროებს და მათი ბატონობის უზრუნველყოფის ძირითად საშუალებებს ეხება, ყველაფერი, რაც ეხება არა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, არამედ სახელმწიფოს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს, ყოველივე ეს ა მ ი თ სცილდება «მუნიციპალური სოციალიზმის» სფეროს. ჩვენი ბრძენნი კი გვერდს უვლიან მიწის საკითხის სიმწვავეს, რაც საერთონაციონალური საკითხია და უშუალოდ ეხება მმართველი კლასების ძირითად ინტერესებს, ამ საკითხის «ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხთა» რიგში ჩ ა რ ი ც ხ ვ ი ს გზით! დასავლეთში ცხენის ტრამვაის და სასაკლაოების მუნიციპალიზაციას ახდენენ, — რატომ არ უნდა მოვახდინოთ ჩვენ ყველა მიწის უკეთესი ნახევრის მუნიციპალიზაცია? — მსჯელობს რუსი ინტელიგენტი. ეს რესტავრაციის შემთხვევისთვისაც გამოდგება და ცენტრალური ხელისუფლების არასრული დემოკრატიზმის შემთხვევისთვისაც!

ვღებულობთ აგრარულ სოციალიზმს ბურჟუაზიულ რევოლუციაში, უაღრესად მეშჩანურ სოციალიზმს, რომელიც იმედს ამყარებს მ წ ვ ა ვ ე საკითხებში კლასობრივი ბრძოლის მ ი ჩ ლ უ ნ გ ე ბ ა ზ ე ამ საკითხების იმ წვრილ საკითხთა თანრიგში გ ა დ ა რ ი ც ხ ვ ი თ, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ მართვა-გამგეობას შეეხებიან. ნამდვილად კი უკეთესი მიწების ნახევარზე მეურნეობის მოწყობის საკითხი არ შეიძლება იყოს არც ადგილობრივი საკითხი და არც მართვა-გამგეობის საკითხი. ეს საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხია, ეს არის არა მარტო მემამულური, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოწყობის საკითხიც. და ხალხის მოხიბლვა იმ აზრის ჩაგონებით, ვითომ სოციალისტური გადატრიალების განხორციელებამდე შესაძლებელი იყოს «მუნიციპალური სოციალიზმის» განვითარება მიწათმოქმედებაში, ნიშნავს ყოვლად შეუწყნარებელი დემაგოგია გასწიო. მარქსიზმი დასაშვებად თვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პროგრამაში შევიტანოთ ნაციონალიზაცია, იმიტომ რომ ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიული

ლონისძიება, იმიტომ რომ აბსოლუტური რენტა ხელს უშლის კაპიტალიზმის განვითარებას, მიწის კერძო საკუთრება კაპიტალიზმისათვის დაბრკოლებაა. მაგრამ მარქსიზმი უნდა გადაკეთდეს ფაბიანურ ინტელიგენტურ ოპორტუნიზმად, რათა ბურჟუაზიული რევოლუციის პროგრამაში შეტანილ იქნას მსხვილი მამულების მუნიციპალიზაცია.

აქ სწორედ ჩვენს წინაშე დგება წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული მეთოდების განსხვავება ბურჟუაზიულ რევოლუციაში. წვრილი ბურჟუაზია, ყველაზე უფრო რადიკალურიც კი, — მათ შორის ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაც, — ბურჟუაზიული რევოლუციის შ ე მ დ ე გ ითვალისწინებს არა კლასობრივ ბრძოლას, არამედ საყოველთაო კეთილდღეობასა და დაწყნარებას. ამიტომ ის წინასწარ «იკეთებს ბუდეს», წვრილბურჟუაზიული რეფორმატორობის გეგმები შეაქვს ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ბაასობს სხვადასხვა «ნორმაზე», მიწათმფლობელობის «მოწესრიგებაზე», შრომის პრინციპის და შრომითი წვრილი მეურნეობის განმტკიცებაზე და სხვ. წვრილბურჟუაზიული მეთოდი არის რაც შეიძლება მეტი სოციალური მშვიდობიანი ურთიერთობის მშენებლობის მეთოდი. პროლეტარული მეთოდი არის მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ გზის გაწმენდა ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ნაშთებისაგან, გზის გაკაფვა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს. ამიტომ მიწათმფლობელობის ყოველგვარ «ნორმებზე» მსჯელობას პროლეტარი წვრილ მეურნეებს დაუთმობს: პროლეტარს აინტერესებს მხოლოდ მემამულეთა ლატიფუნდიების მოსპობა, მოსპობა მხოლოდ მიწის კერძო საკუთრებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი დაბრკოლებისა მიწათმოქმედებაში. ბურჟუაზიულ რევოლუციაში ჩვენ გვაინტერესებს არა მეშჩანური რეფორმატორობა, არა დამშვიდებულ წვრილ მეურნეთა მომავალი «ბუდე», — არამედ პროლეტარული ბრძოლის პირობები ყოველგვარი მეშჩანური დამშვიდების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ნიადაგზე.

სწორედ ეს ანტიპროლეტარული სულისკვეთება შეაქვს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი აგრარული რევოლუციის პროგრამაში მუნიციპალიზაციას, რადგან ის კი არ აფართოებს და კი არ ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, წინააღმდეგ მენშევიკების ყოვლად ყალბი აზრისა, არამედ, პირიქით, ა ჩ ლ უ ნ გ ე ბ ს მას. აჩლუნგებს იმითაც, რომ ცენტრის არასრული დემოკრატიზმის დროს შესაძლებლად თვლის ადგილობრივ დემოკრატიზმს. აჩლუნგებს «მუნიციპალური სოციალიზმის» იდეითაც, რადგან ასეთი რამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მხოლოდ ბრძოლის შარაგზის მ ო შ ო რ ე ბ ი თ, მხოლოდ წვრილმან, ადგილობრივ, უმნიშვნელო საკითხებში, რომლებშიც ბურჟუაზიასაც კ ი შეუძლია დათმობაზე წავიდეს, შეუძლია მორიგება ისე, რომ არ დაკარგოს შესაძლებლობა თავისი, როგორც კლასის, ბატონობის შენარჩუნებისა.

მუშათა კლასმა ბურჟუაზიულ საზოგადოებას უნდა მისცეს ბურჟუაზიული გადატრიალების ყველაზე წმინდა, ყველაზე თანამიმდევარი, ყველაზე გაბედული პროგრამა თვით მიწის ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციამდე. ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატი მეშჩანურ რეფორმატორობას ზიზღით აქცევს ზურგს: ჩვენ გვაინტერესებს თავისუფლება ბრძოლისათვის და არა თავისუფლება მეშჩანური ბედნიერებისათვის.

ინტელიგენციის ოპორტუნიზმი მუშათა პარტიაში, ბუნებრივად, სხვა ხაზს მისდევს. ბურჟუაზიული გადატრიალების ფართო რევოლუციური პროგრამის ნაცვლად ყურადღება მიპყრობილია მეშჩანური უტოპიისაკენ: შეინარჩუნო ადგილობრივი დემოკრატიზმი ცენტრის არადემოკრატიზმის დროს, უზრუნველყო წვრილი რეფორმატორობისათვის მუნიციპალური მეურნეობის კუთხე დიდი «შეხლა-შემოხლისაგან» მოშორებით, გვერდი აუარო არაჩვეულებრივ მწვავე საადგილმამულო კონფლიქტს ანტისემიტების რეცეპტით, ე. ი. დიდი ნაციონალური საკითხის წვრილმან ადგილობრივ საკითხთა უწყებაში გადარიცხვით.

## 8. მუნიციპალიზაციით გამოწვეული არევ-დარევის ზოგიერთი მაგალითი

თუ რა ბუნდოვანობა შეიტანა «მუნიციპალიზატორთა» პროგრამამ სოციალ-დემოკრატების თავში, რა უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა მან პროპაგანდისტები და აგიტატორები, ამას მოწმობენ შემდეგი უცნაური ამბები.

ი. ლარინი ლიტერატურაში, უეჭველად, ერთერთი თვალსაჩინო და ცნობილი მენშევიკია. სტოკჰოლმში, როგორც ეს ოქმებიდან ჩანს, იგი ფრიად ცხოველ მონაწილეობას იღებდა პროგრამის მიღებაში. მისი ბროშურა «გლეხთა საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც «ნოვი მირის» ბროშურათა სერიაშია შესული, მენშევიკური პროგრამის თითქმის ოფიციალურ კომენტარად ითვლება. და აი რასა წერს ეს კომენტატორი. მისი ბროშურის უკანასკნელი ფურცლები ეხება საადგილმამულო გარდაქმნათა შეჯამების საკითხს. ავტორი ამ გარდაქმნათა სამგვარ გამოსავალს ითვალისწინებს: 1) გლეხებისათვის დამატებით სანადელო მიწების ფასით გადაცემა კერძო საკუთრებად — «ყველაზე უფრო არახელსაყრელი გამოსავალია მუშათა კლასისათვის, გლეხობის ქვედა ფენებისათვის და სახალხო მეურნეობის მთელი განვითარებისათვის» (103). მეორე გამოსავალი — საუკეთესოა და მე-3, თუმცა დაუჯერებელი, — «სავალდებულო გათანაბრებითი მიწათსარგებლობის აღიარება ქალალდზე». თითქოს, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ მეორე გამოსავალი, მუნიციპალიზატორული პროგრამის მომხრის აზრით, უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალიზაციას? არა. მოისმინეთ.

«შესაძლოა, ყველა კონფისკებული ან თუნდაც საერთოდ მთელი მიწა გამოცხადებულ იქნას საერთო სახელმწიფო საკუთრებად და გადავიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგულებაში უფასოდ (??) სარგებლობისათვის დასარიგებლად ყველა იმათთვის, ვინც ნამდვილად მისდევს მეურნეობას ამ მიწებზე, რა თქმა უნდა, მთელ რუსეთში სავალდებულო გათანაბრებითი სარგებლობის შემოღებლად და დაქირავებული შრომის აუკრძალავად. საკითხის ასეთი გადაჭრა, როგორც დავინახეთ, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს როგორც

პროლეტარიატის უახლოეს ინტერესებს, ისე სოციალისტური მოძრაობის საერთო ინტერესებსაც და შრომის ნაყოფიერების გადიდებას — რაც რუსეთის ცხოვრების ძირითადი საკითხია. ამიტომ სოციალ-დემოკრატებმა უნდა დაიცვან და გაატარონ სწორედ ასეთი ხასიათის აგრარული რეფორმა (?). ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა განვითარების უმაღლეს წერტილზე ასულ რევოლუციაში გაძლიერდებიან საზოგადოებრივი განვითარების შეგნებული ელემენტები» (103. ხაზგასმა ჩვენია).

თუ ი. ლარინი ან სხვა მენშევიკები ფიქრობენ, რომ აქ გადმოცემულია მუნიციპალიზაციის პროგრამა, ეს ტრაგიკომიკური შეცდომაა. მ თ ე ლ ი მიწის სახელმწიფოსთვის საკუთრებად გადაცემა ეს არის მ ი წ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა, როცა მიწის მოხმარების განკარგულება არც შეიძლება სხვაგვარად წარმოვიდგინოთ, თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობათა მეშვეობით, რომლებიც საერთო-სახელმწიფოებრივი კანონის ფარგლებში მოქმედებენ. ასეთ პროგრამას — არა «რეფორმებისას», რა თქმა უნდა, არამედ რევოლუციისას — მე სავსებით ვემხრობი იმ მუხლის გამოკლებით, სადაც ლაპარაკია მეურნეთათვის «მუქთად» მიწების დარიგებაზე, თუნდაც ისინი დაქირავებული შრომით სარგებლობდნენ. ასეთი რამის შეპირება ბურჟუაზიული საზოგადოების სახელით — ეს უფრო ანტისემიტს შეჰფერის, ვიდრე სოციალ-დემოკრატს. მარქსისტს არ შეუძლია კაპიტალისტური განვითარების ფარგლებში ასეთი გამოსავალი ივარაუდოს, — ასევე არ არსებობს საფუძველი სასურველად მივიჩნიოთ ფერმერ-მეწარმეთათვის რენტის გადაცემა. მაგრამ, ამ პუნქტის გამოკლებით, რაც ავტორის წამოცდენით უფრო შეიძლება აიხსნას, უეჭველი რჩება, რომ პოპულარულ მენშევიკურ ბროშურაში, როგორც უკეთესი გამოსავალი რევოლუციის უმაღლეს განვითარებასთან დაკავშირებით, მ ი წ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს ქადაგებენ.

იგივე ლარინი იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა მოვექცეთ კერძომფლობელურ მიწებს, წერს:

«რაც შეეხება კერძომფლობელურ მიწებს, რომლებიც უჭირავთ მსხვილ პროდუქტიულ კაპიტალისტურ მეურნეობებს, მათი კონფისკაცია სოციალ-დემოკრატებს წარმოდგენილი აქვთ სრულიადაც არა დასაყოფად

წვრილ მეურნეთა შორის. მაშინ როდესაც წვრილი გლეხური მეურნეობის საშუალო ნაყოფიერება საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაზე 30 ფუთსაც ვერ აღწევს დესეტინაზე, — კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის საშუალო ნაყოფიერება რუსეთში ერთს დესეტინაზე 50 ფუთს აჭარბებს» (64).

როცა ამას ამბობს, ლარინი არსებითად უარყოფს გ ლ ე ხ თ ა აგრარული რევოლუციის იდეას, რადგან მოსავლიანობის მისი საშუალო ციფრები შეეხება ყ ვ ე ლ ა მემამულურ მიწას. თუ შესაძლებლად არ მიგვაჩნია შრომის ნაყოფიერების უფრო ფართო და უფრო სწრაფი განვითარება ბატონყმობის ნაშთებისგან განთავისუფლებულ წვრილ გლეხურ მეურნეობაში, — მაშინ საერთოდ «გლეხობის რევოლუციური გამოსვლების მხარდაჭერას თვით მემამულური მიწების კონფისკაციამდე» აზრი არა აქვს. მერე კიდევ ლარინი ივიწყებს, რომ იმ საკითხზე, თუ «რისთვის ფიქრობენ სოციალ-დემოკრატები კაპიტალისტურ მეურნეობათა კონფისკაციას», არსებობს სტოკჰოლმის ყრილობის გადაწყვეტილება.

სახელდობრ ამხ. სტრუმილინმა სტოკჰოლმის ყრილობაზე შეიტანა შესწორება — ჩაემატოს სიტყვების შემდეგ — ეკონომიური განვითარება (რეზოლუციაში): «ამიტომ დაბეჯითებით მოთხოვნილ იქნას, რომ კონფისკებული მსხვილი კაპიტალისტური ეკონომიები შემდგომშიც წარიმართოს კაპიტალისტურად საყოველთაო-სახალხო ინტერესებისათვის და ისეთ პირობებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის საჭიროებებს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ» (გვ. 157). ეს შესწორება უარყოფილ იქნა ყ ვ ე ლ ა ხ მ ი თ ე რ თ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (იქვე).

და მიუხედავად ამისა, პროპაგანდა მასებში გრძელდება ყრილობის დადგენილებისთვის ანგარიშის გაუწევლად! მუნიციპალიზაცია იმდენად დაბნეული რამაა, სანადელო მიწების კერძო საკუთრებად დატოვების გამო, რომ უნებურად პროგრამის განმარტება ყრილობის გადაწყვეტილებას არ შეესაბამება.

კ. კაუტსკი, რომლის ნაწერებიდან ასე ხშირად და ასე უსამართლოდ მოყავთ ციტატები ამა თუ იმ პროგრამის სასარგებლოდ (უსამართლოდ იმიტომ, რომ ის გადაჭრით უარყოფდა წინადადებას — გამოეთქვა თავისი გარკვეული აზრი ამ საკითხზე და კმაყოფილდებოდა ზოგიერთი ზოგადი ჭეშმარიტების გარკვევით), კაუტსკი, — რომელსაც, თითქოს კურიოზისთვის, მუნიციპალიზაციის დასაცავადაც კი იმოწმებდნენ, თურმე, 1906 წლის აპრილში სწერდა მ. შანინს:

«ცხადია, მე მუნიციპალიზაცია სხვანაირად მესმოდა, ვიდრე თქვენ და, შეიძლება, მასლოვსაც. მე ის აი როგორ მესმოდა: მსხვილი მიწათმფლობელობა კონფისკებული იქნება და მასზე შემდგომაც თემები (!) ან სხვა უფრო მსხვილი ორგანიზაციები კვლავ მსხვილ მეურნეობას მოაწყობენ ანდა მიწებს იჯარით მისცემენ მწარმოებელ ამხანაგობებს. მე არ ვიცი, რუსეთში შესაძლებელია თუ არა ეს, არც ის ვიცი, დათანხმდებიან თუ არა ამას გლეხები. მე არც იმას ვამბობ, რომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, მაგრამ ვფიქრობ მხოლოდ, რომ თ უ ამას სხვები მოითხოვენ, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ამას დავთანხმებოდით. ეს საინტერესო ექსპერიმენტი იქნებოდა» *.

მგონი ეს ციტატები საკმაოა იმის ცხადსაყოფად, თუ როგორ ს პ ო ბ ე ნ სტოკჰოლმის პროგრამას თავიანთი განმარტებებით ის ადამიანები, რომელნიც სავსებით თანაგრძნობით შეხვდნენ ან ხვდებიან ამ პროგრამას. ამის მიზეზია პროგრამის უიმედო აბნეულობა, პროგრამისა, რომელიც თეორიულად და-

* მ. შანინი: «მუნიციპალიზაცია თუ საკუთრებად დაყოფა». ვილნო, 1907 წ., გვ. 4. მ. შანინი სამართლიანად გამოთქვამს ეჭვს იმის გამო, შეიძლება თუ არა კაუტსკი მუნიციპალიზაციის მომხრედ ჩავთვალოთ, და სამართლიანადვე აცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ მენშევიკები კაუტსკის რეკლამად იყენებენ (1906 წლის მენშევიკურ «პრავდაში» 105). კაუტსკის წერილში, რომელიც მასლოვმა გამოაქვეყნა, კაუტსკი პირდაპირ ამბობს: «ჩვენ შეგვიძლია გლეხებს მივანდოთ საკითხის გადაჭრა, თუ რა ფ ო რ მ ე ბ ი უნდა მიიღოს იმ მიწების საკუთრებამ, რომლებიც მსხვილ მიწათმფლობელთ ჩამოერთმევათ. მე შეცდომად ჩავთვლიდი მათთვის ამ მხრივ რაიმე თავს მოგვეხვია» (გვ. 16. «აგრარული პროგრამის საკითხისათვის». მასლოვი და კაუტსკი. გამოც. «ნოვი მირისა». მ. 1906). კაუტსკის ეს სავსებით გარკვეული განცხადება სწორედ უარყოფს მუნიციპალიზაციას, რომელსაც მენშევიკები თ ა ვ ს ა ხ ვ ე ვ ე ნ გლეხებს.

კავშირებულია მარქსის რენტის თეორიის უარყოფასთან, პრაქტიკულად შეგუებულია ისეთ შეუძლებელ «საშუალო» შემთხვევასთან, თითქოს ადგილობრივი დემოკრატიზმი შესაძლებელი იყოს ცენტრალური ხელისუფლების არადემოკრატიზმის პირობებში, — ეკონომიურად წარმოადგენს წვრილბურჟუაზიული ვითომდა სოციალისტური რეფორმატორობის შეტანას ბურჟუაზიული რევოლუციის პროგრამაში.

## თავი V

## კლასები და პარტიები აგრარულ საკითხზე მეორე სათათბიროში გამართული კამათის მიხედვით

ჩვენ უსარგებლო საქმედ არ მიგვაჩნია კიდევ სხვა მხრივ მივუდგეთ მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის საკითხს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. გადატრიალების ეკონომიური პირობებისა და ამა თუ იმ პროგრამის სასარგებლოდ პოლიტიკურ მოსაზრებათა განხილვას უნდა დავუმატოთ სხვადასხვა კლასისა და პარტიის ბრძოლის სურათი, რომელიც შეძლებისდაგვარად მოიცავს ერთმანეთისადმი უშუალოდ დაპირისპირებულ ყველა ინტერესს. მხოლოდ ასეთ სურათს შეუძლია მ თ ლ ი ა ნ ი წარმოდგენა მოგვცეს განსახილველ მოვლენაზე (ბრძოლა მიწისათვის რუსეთის რევოლუციაში); ამით გამოირიცხება ცალკეულ შეფასებათა ცალმხრივობა და შემთხვევითობა, თეორიული დასკვნები შემოწმდება თვით დაინტერესებულ პირთა პრაქტიკული ალღოთი. როგორც ცალკეული პიროვნებანი, პარტიებისა და კლასების რომელიც გნებავთ წარმომადგენლები შეიძლება შეცდნენ, მაგრამ როდესაც ისინი საჯარო ასპარეზზე გამოდიან, მთელი მოსახლეობის წინაშე, ცალკეულ შეცდომებს აუცილებლად ასწორებენ ბრძოლით დაინტერესებული სათანადო ჯგუფები ან კლასები. კლასები არ ცდებიან: საერთოდ და მთლიანად ისინი თავიანთ ინტერესებსა და თავიანთ პოლიტიკურ ამოცანებს სახავენ ბრძოლის პირობებისა და საზოგადოებრივი ევოლუციის პირობების შესაბამისად.

ასეთი სურათის შესადგენად ჩვენ საუცხოო მასალა გვაქვს ორივე სათათბიროს სტენოგრაფიულ ანგარიშებში. ჩვენ ვიღებთ მეორე სათათბიროს, რადგან იგი უეჭველად უფრო სრულად და უფრო მომწიფებულად ასახავს კლასთა ბრძოლას რუსეთის რევოლუციაში: მეორე სათათბიროს არჩევნებისთვის არც ერთ გავლენიან პარტიას არ გამოუცხადებია ბოიკოტი. დეპუტატების პოლიტიკური დაჯგუფება გაცილებით უფრო გარკვეული ხასიათისაა II სათათბიროში, სათათბიროს ფრაქციები უფრო დარაზმულნი და უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სათანადო პარტიებთან. I სათათბიროს გამოცდილებამ უკვე საკმარისი მასალა მოგვცა, რამაც დახმარება გაუწია ყველა პარტიას უფრო მოფიქრებულად განესაზღვრა თავისი ხაზი. ყველა ამ მიზეზის გამო უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე სათათბიროს. I სათათბიროში გამართულ კამათს ჩვენ დავიმოწმებთ მხოლოდ იმ განცხადებათა დამატებით ან განმარტებისთვის, რომლებიც მეორე სათათბიროშია გაკეთებული.

მეორე სათათბიროში გამართული კამათის მიხედვით კლასთა და პარტიათა ბრძოლის სურათი რომ უფრო სრული და ზუსტი იყოს, საჭიროა გამოვყოთ სათათბიროს თვითეული მნიშვნელოვანი და თავისებური ფრაქცია და დავახასიათოთ იგი ამონაწერებით აგრარული საკითხის მთავარ მუხლებზე წარმოთქმული მთავარი სიტყვებიდან. ყველა მეორეხარისხოვანი ორატორის ციტირება არც შესაძლებელია და არც არის საჭირო, ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მათ, ვინც რაიმე ახალი შეიტანა ან საქმის რომელიმე მხარე ისე გააშუქა, რომ ის ყურადღების ღირსი იყოს.

სათათბიროს იმ დეპუტატების ძირითადი ჯგუფები, რომლებიც აშკარად გამოირჩეოდნენ აგრარულ დებატებში, შემდეგია: 1) მემარჯვენეები და ოქტიაბრისტები, — რაიმე არსებითს განსხვავებას მათ შორის, როგორც დავინახავთ, მეორე სათათბიროში თავი არ უჩენია; 2) კადეტები; 3) მემარჯვენე და ოქტიაბრისტი გლეხები, რომლებიც, როგორც დავინახავთ, კადეტებზე უფრო მარცხნივ დგანან; 4) უპარტიო გლეხები;

5) ნაროდნიკები ანუ ტრუდოვიკი-ინტელიგენტები, რომლებიც რაოდენადმე მარჯვნივ დგანან; 6) ტრუდოვიკი-გლეხები, შემდგომ 7) სოციალისტ-რევოლუციონერები; 8) «ნაციონალები», არარუს ეროვნებათა წარმომადგენლები, და 9) სოციალ-დემოკრატები. მთავრობის პოზიციას ჩვენ აღვნიშნავთ სათათბიროს იმ ჯგუფთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ორსებითად ეთანხმება.

## 1. მემარჯვენეები და ოქტიაბრისტები

მემარჯვენეთა პოზიცია აგრარულ საკითხში, უსათუოდ, ყველაზე უკეთ გამოხატა გრაფმა ბობრინსკიმ თავის სიტყვაში 1907 წლის 29 მარტს (II სათათბიროს მე-18 სხდომა). გრაფი შეეკამათა მემარცხენე ხუცესს ტიხვინსკის საღვთო წერილისა და მისი აღთქმების გამო ხელისუფლებისადმი მორჩილების შესახებ, მოიხსენია «რუსეთის ისტორიის ყველაზე წმინდა, ყველაზე ნათელი ფურცელი» (1289) * — გლეხთა განთავისუფლება (ამაზე ჩვენ ცალკე ვიტყვით ქვემოთ) და «გულღიად» მიუდგა აგრარულ საკითხს. «რაღაც 100 — 150 წლის წინათ დასავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან გლეხები ისევე ღარიბად ცხოვრობდნენ, ისევე დაბეჩავებულად და უვიცად, როგორც ცხოვრობენ ისინი ახლა ჩვენში. არსებობდა იგივე თემი, როგორც ჩვენში, რუსეთში, სულადობის მიხედვით განაწილებით, ფეოდალური წყობილების ეს ტიპიური ნაშთი» (1293). ახლა, განაგრძობს ორატორი, დასავლეთ ევროპაში გლეხები ცხოვრობენ შეძლებულად. იბადება კითხვა, რა სასწაულით გადაიქცა «ღატაკი, დაბეჩავებული გლეხი შეძლებულ, სასარგებლო მოქალაქედ, რომელიც თავის თავსაც პატივს სცემს და სხვებსაც»? «აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: ეს სასწაული მოახდინა გლეხის პირადმა საკუთრებამ, საკუთრებამ, რომელიც ასე სძაგთ აქ მარცხნივ, საკუთრებამ, რომელსაც ჩვენ, მემარჯვენეები, დავიცავთ ჩვენი გონების მთელი ძალით, ჩვენი გულწრფელი რწმენის მთელი სიძლიერით, რადგან ჩვენ ვი-

* ციფრები, სხვა რაიმეს აღუნიშნავად, ყველგან შემდგომ ნიშნავს სტენოგრაფიული ანგარიშის გვერდებს.

ცით, რომ რუსეთის ძალა და მომავალი საკუთრებაშია» (1294). «წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან აგრონომიულმა ქიმიამ საკვირველი... აღმოჩენები გააკეთა მცენარეთა კვების დარგში, და უცხოელმა გლეხებმა — წვრილმა მესაკუთრეებმა მსხვილ მესაკუთრეთა თანაბრად (??) — შეძლეს მეცნიერების ამ აღმოჩენებით სარგებლობა და ხელოვნური სასუქის გამოყენებით მოსავლის კიდევ უფრო მეტად გადიდებას მიაღწიეს, და ახლა, როდესაც ჩვენს საუცხოო შავნიადაგიან მიწებზე 30 — 35 ფუთ ხორბალს ვიღებთ, ზოგჯერ კი თესლსაც ვერ ვიბრუნებთ, უცხოეთში წლითიწლობით მოსავალი საშუალოდ აღწევს 70-დან 120 ფუთამდე, ქვეყნისა და კლიმატური პირობების მიხედვით. აი საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტა. ეს ოცნება, ფანტაზია როდია. ეს საგულისხმო ისტორიული მაგალითია. და პუგაჩოვისა და სტენკა რაზინის კვალს ყიჟინით **«Сарынь на кичку»** * როდი გაყვება რუსი გლეხი» (ჰოი, გრაფ, თავდებობას ნუ იკისრებთ!) «ის გაყვება იმ ერთადერთ სწორ გზას, რომელსაც დაადგა ყველა ცივილიზებული ხალხი, თავისი დასავლეთ-ევროპელი მეზობლების გზას, და, ბოლოს, ჩვენი პოლონელი ძმების გზას, დასავლეთ რუსეთის გლეხების გზას, რომლებმაც უკვე შეიგნეს სათემო და საკომლო დაქსაქსული მიწათმფლობელობის მთელი დამღუპველობა და ალაგ-ალაგ უკვე დაიწყეს საფერმო მეურნეობის შემოღება» (1296). შემდგომ გრაფი ბობრინსკი ამბობს, და სამართლიანადაც ამბობს, რომ «ეს გზა ნაჩვენებია 1861 წელს — ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლებისას». ის გვირჩევს არ დავიშუროთ «ათეული მილიონები» იმისათვის, რომ «შევქმნათ გლეხ-მესაკუთრეთა შეძლებული კლასი». იგი აცხადებს: «აი, ბატონებო, ჩვენი აგრარული პროგრამა ზოგადად. ეს არ არის წინასაარჩევნო და სააგიტაციო დაპირებათა პროგრამა. ეს არ არის არ-

* — თქმულების მიხედვით, შეძახილი ვოლგელი მეკობრეებისა, რომლებიც, როცა გემს ჩაიგდებდნენ ხელში, ეკიპაჟს უბრძანებდნენ შეგროვილიყვნენ «კიჩკაზე», ე. ი. გემის ცხვირზე, რათა ხელი არ შეეშალათ ძარცვისათვის. მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

სებული სოციალური და იურიდიული ნორმების მსხვრევის პროგრამა» (ეს არის მილიონობით გლეხობის ძალდატანებით დედამიწიდან აღგვის პროგრამა), «ეს არ არის საშიშ ფანტაზიათა პროგრამა, არამედ ეს არის სავსებით განსახორციელებელი» (ეს კიდევ საკითხია) «და ნაცადი პროგრამა» (რაც მართალია, მართალია). «და დიდი ხანია დროა უკუვაგდოთ ოცნება რუსი ხალხის რაღაც ეკონომიურ თვითმყოფობაზე... მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ სრულებით განუხორციელებელი პროექტები, როგორიცაა შრომის ჯგუფის პროექტი და სახალხო თავისუფლების პარტიის პროექტი, შეტანილია სერიოზულ საკანონმდებლო კრებაში? არასოდეს არც ერთ პარლამენტს ქვეყნად არ გაუგონია, რომ მთელი მიწა ხაზინას მიჰქონდეს ანდა ის, რომ მიწა ივანეს წაართვა და პეტრეს მისცე... ამ პროექტების გაჩენა დაბნეულობის შედეგია» (ახსნა, რაღა!)... «ამრიგად, რუსო გლეხობავ, შენს წინაშეა ორი გზა: ერთი გზა ფართო და ერთი შეხედვით იოლია — დატაცებისა და იძულებითი გასხვისების გზა, რომლისკენაც მოგიწოდებდნენ აქედან. ეს გზა პირველად მომხიბვლელია, დაღმართით მიდის, მაგრამ თავდება ხრამით» (მემამულეთათვის?) «და როგორც გლეხობის, ისე მთელი სახელმწიფოს დაღუპვით. მეორე გზა — ვიწრო და ეკლიანი გზაა, ის აღმართით მიდის, მაგრამ ამ გზას მიყავხარ სიმართლის, უფლებისა და მტკიცე კეთილდღეობის მწვერვალებისკენ» (1299).

როგორც მკითხველი ხედავს, ეს არის მთავრობის პროგრამა. სწორედ ამას ახორციელებს სტოლიპინი თავისი განთქმული აგრარული კანონმდებლობის 87-ე მუხლით. სწორედ ეს პროგრამა ჩამოაყალიბა პურიშკევიჩმა თავის აგრარულ თეზისებში (მე-20 სხდომა, 1907 წლის 2 აპრილი, გვ. 1532 — 1533). სწორედ ამავე პროგრამას ნაწილ-ნაწილ იცავდნენ ოქტიაბრისტებიც, დაწყებული სვიატოპოლკმირსკით აგრარულ საკითხზე კამათის პირველ დღეს (19 მარტს), გათავებული კაპუსტინით («გლეხებს მიწა უნდათ საკუთრებად, და არა სახმარად, როგორც ამას აპირებენ» — 24-ე სხდომა, 1907 წლის

9 აპრილი, გვ. 1805 — კაპუსტინის სიტყვას ტაშით ხვდებიან მემარჯვენეები «და ცენტრის ნაწილი»).

შავრაზმელებისა და ოქტიაბრისტების პროგრამაში კვალიც კი არა ჩანს მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმების დაცვისა, მაგალითად, პატრიარქალური მიწათმოქმედების ქებადიდებისა და სხვ. თემის დაცვა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ მხურვალე მომხრეები ჰყავდა უმაღლეს ბიუროკრატიასა და მემამულეებს შორის, საბოლოოდ შეიცვალა თემისადმი მძვინვარე მტრობით. შავრაზმელები მთლიანად კაპიტალისტური განვითარების ნიადაგზე დგებიან, უეჭველად ეკონომიურად-პროგრესულ, ევროპულ პროგრამას გვიხატავენ; ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, იმიტომ რომ ჩვენში მეტად გავრცელებულია ვულგარული და გამარტივებული შეხედულება მემამულეების რეაქციული პოლიტიკის ხასიათზე. თუ ლიბერალები შავრაზმელებს ხშირად მასხარებად და სულელებად გვიხატავენ, უნდა ითქვას, რომ ასეთი დახასიათება კადეტებს გაცილებით უფრო მეტად შეეფერებათ. ჩვენი რეაქციონერები კი განსხვავდებიან კლასობრივი შეგნების არაჩვეულებრივი სიცხადით. მათ მშვენივრად იციან, თუ რა სურთ, საით მიდიან, რა ძალებს ეყრდნობიან. მათში ნახევრულობისა და გაუბედაობის ნატამალიც კი არ არის (ყოველ შემთხვევაში, მეორე სათათბიროში: პირველში «დაბნეულობა» ემჩნეოდათ — ბატონ ბობრინსკებს!). აშკარად ჩანს მათი კავშირი სავსებით გარკვეულ კლასთან, რომელიც მიჩვეულია მბრძანებლობას, სწორად აფასებს კაპიტალისტურ ვითარებაში თავისი ბატონობის შენარჩუნების პირობებს და ურცხვად იცავს თავის ინტერესებს — თუნდაც ეს დაჯდეს მილიონობით გლეხის აჩქარებული გადაშენების, დაბეჩავების, გადასახლების ფასად. შავრაზმული პროგრამის რეაქციულობა მდგომარეობს არა რაიმე წინაკაპიტალისტური ურთიერთობის თუ წესების განმტკიცებაში (ამ მხრივ მეორე სათათბიროს ეპოქის ყველა პარტია, არსებითად, კაპიტალიზმის, როგორც არსებულის, აღიარების ნიადაგზე დგას), არამედ კაპიტა-

ლიზმის ი უ ნ კ რ უ ლ ი ტიპის მიხედვით განვითარებაში მემამულის ბატონობისა და შემოსავლის გ ა ს ა ძ ლ ი ე რ ე ბ ლ ა დ, თვითმპყრობელობის შენობის ქვეშ ახალი, უფრო მტკიცე საძირკვლის ამოსაყვანად. ამ ვაჟბატონებს არ ახასიათებს წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის: ჩვენი რეაქციონერებიც «საქმის ხალხია», როგორც ამბობდა ლასალი გერმანელ რეაქციონერებზე ლიბერალებისგან განსხვავებით.

როგორ უყურებენ ეს ადამიანები მიწის ნაციონალიზაციის იდეას? მაგალითად, იმ ნაწილობრივ ნაციონალიზაციას გამოყიდვით, რასაც კადეტები მოითხოვდნენ პირველ სათათბიროში, როცა სტოვებდნენ — მსგავსად მენშევიკებისა — წვრილი ნაკვეთების საკუთრებას და დანარჩენი მიწებიდან ჰქმნიდნენ სახელმწიფო მიწის მარაგს? ნაციონალიზაციის იდეაში ხომ არ დაინახეს მათ შესაძლებლობა — განამტკიცონ ბიუროკრატია, განამტკიცონ ცენტრალური ბურჟუაზიული ხელისუფლება პროლეტარიატის წინააღმდეგ, აღადგინონ «სახელმწიფო ფეოდალიზმი» და «ჩინური წესები»?

პირიქით, მათ ააფთრებს ყოველგვარი გადაკრული სიტყვა მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, და ისინი ისე იბრძვიან მის წინააღმდეგ, თითქოს თავიანთი მოსაზრებები პლეხანოვისგან ჰქონდეთ ნასესხები. აი მემარჯვენე მემამულე, აზნაური ვეტჩინინი. «მე ვფიქრობ, — ამბობდა ის 39-ე სხდომაზე, 1907 წლის 16 მაისს, — რომ უფლებრივი თვალსაზრისით იძულებითი განსხვისების საკითხი უნდა გადაწყდეს უარყოფითად. ამ აზრის მომხრეებს ავიწყდებათ, რომ კერძო მესაკუთრეთა უფლებების დარღვევა იმ სახელმწიფოებს ახასიათებს, რომლებიც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან. საკმარისია მოვიგონოთ მოსკოვის პერიოდი, როცა ხშირად ართმევდნენ მიწას კერძო მესაკუთრეებს მეფისთვის და შემდგომ გადასცემდნენ მეფესთან დაახლოებულ პირთ და მონასტრებს. რა მოგვიტანა მთავრობის ასეთმა დამოკიდებულებამ? შედეგები საშინელი იყო» (619).

აი რისთვის გამოიყენეს პლეხანოვისეული «მოსკოვის რუსეთის რესტავრაცია»! და მარტო ვეტჩინინი როდი მღერის ასეთ ჰანგზე. პირველ სათათბიროში მემამულე ნ. ლვოვი, რომელიც არჩევნების დროს კადეტი იყო, შემდეგ მარჯვნივ გადაიხარა და I სათათბიროს გარეკვის შემდეგ სტოლიპინს ესაუბრებოდა პორტფელზე, — ეს სუბიექტიც სავსებით ასევე აყენებდა საკითხს. «42-ის პროექტში — ამბობდა ის კადეტების პირველ სათათბიროსეულ პროექტზე — გაოცებთ კვალი იგივე ძველი ბიუროკრატიული დესპოტიზმისა, რომელიც ცდილობს ყველაფერი გაათანაბროს» (მე-12 სხდომა, 1906 წლის 19 მაისი, გვ. 479 — 480). იგი «ე ს ა რ ჩ ლ ე ბ ო დ ა» — სავსებით მასლოვის ყაიდაზე — არარუს ეროვნებებს: «როგორ დ ვუმორჩილოთ მას (გათანაბრებას) მთელი რუსეთი, მალოროსიაც, ლიტვაც, პოლონეთიც, ოსტზეის მხარეც?» (479). იგი იმუქრებოდა: «ს.-პეტერბურგში თქვენ უნდა შექმნათ უდიდესი საადგილმამულო კანცელარია... თვითეულ კუთხეში იყოლიოთ მოხელეების მთელი შტატი» (480).

ეს ყვირილი ბიუროკრატიზმსა და დამონებაზე ნაციონალიზაციის იდეასთან დაკავშირებით — ყვირილი ჩვენი მუნიციპალისტებისა, რომელთაც უადგილოდ გადმოსწერეს გერმანული ნიმუშიდან, — უეჭველად ყველა მემარჯვენე სიტყვის ძირითად მოტივს წარმოადგენს. აი ოქტიაბრისტი შიდლოვსკი — იძულებითი გასხვისების წინააღმდეგი, კადეტებს ბრალს სდებს, «დამონებას» ქადაგებენო (II სათათბიროს მე-12 სხდომა, 1907 წლის 19 მარტი, გვ. 752). აი შულგინი ჰგოდებს — საკუთრება ხელშეუხებელია, იძულებითი გასხვისება «კულტურისა და ცივილიზაციის სამარეაო» (მე-16 სხდომა, 1907 წ. 26 მარტი, გვ. 1133). შულგინი იმოწმებს — მხოლოდ არ ამბობს ამას, პლეხანოვის «დღიურის» მიხედვით ხომ არა — XII საუკუნის ჩინეთს, ნაციონალიზაციის ჩინური ექსპერიმენტის სამწუხარო შედეგს (გვ. 1137). აი სკირმუნტი I სათათბიროში: მესაკუთრე სახელმწიფო იქნებაო! «ისევ ბარაქა ელდორადოს ბიუროკრატიისთვის» (მე-10 სხდომა, 1906 წლის 16 მაი-

სი, გვ. 410). აი ოქტიაბრისტი ტანცოვი II სათათბიროში გაიძახის: «გაცილებით უფრო მეტი საფუძვლით ეს საყვედურები (საყვედურები ბატონყმობის დაბრალებისა) შეიძლება გადასროლილ იქნას მარცხნივ და ცენტრში. მართლაცდა, რას უმზადებენ გლეხებს ეს პროექტები, თუ არა მათ დამონებას მიწისადმი; თუ არა იმავე ბატონყმობას, მხოლოდ სხვა სახით, სადაც მემამულეები შეცვლილი იქნებიან მევახშეებითა და მოხელეებით» (39-ე სხდომა, 1907 წლის 16 მაისი, გვ. 653).

რა თქმა უნდა, ბიუროკრატიზმის შესახებ ამ გოდებათა თვალთმაქცობა კაცს თვალში ეცემა, რადგან სწორედ იმ გლეხებმა, რომლებიც ნაციონალიზაციას მოითხოვენ, წამოაყენეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების შესანიშნავი იდეა. მაგრამ შავრაზმელი მემამულეები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი არიან ხელი ჩასჭიდონ ყველა და ყოველგვარ მოსაზრებას ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. კლასობრივი ალღო მათ უკარნახებს, რომ ნაციონალიზაცია XX საუკუნის რუსეთში განუყრელად დაკავშირებულია გლეხურ რესპუბლიკასთან. სხვა ქვეყნებში, სადაც ობიექტური პირობების გამო შეუძლებელია გლეხური აგრარული რევოლუცია, საქმე, რასაკვირველია, სხვაგვარადაა, — მაგალითად, გერმანიაში, სადაც ნაციონალიზატორულ გეგმებს შეიძლება თანაუგრძნონ კანიცებმა, სადაც სოციალისტებს ნაციონალიზაციის გაგონებაც კი არა სურთ, სადაც ბურჟუაზიული მოძრაობა ნაციონალიზაციის სასარგებლოდ ინტელიგენტური სექტანტობით იფარგლება. გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ რომ ებრძოლნათ, მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ ი იძულებული იყვნენ გლეხების წინაშე გამოსულიყვნენ გ ლ ე ხ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს დამცველთა როლში ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. ერთ მაგალითს ჩვენ გავეცანით ბობრინსკის სიტყვით. აი მეორე მაგალითი ვეტჩინინისა: «ეს საკითხი (მიწის ნაციონალიზაციის შესახებ), რა თქმა უნდა, გადაწყვეტილ უნდა იქნას უარყოფითად, რადგან ის თანაგრძნობას ვერ პოუ-

ლობს თვით გლეხთა სფეროშიც: მათ მიწის ფლობა სურთ საკუთრების უფლებით და არა იჯარის უფლებით» (39-ე სხდომა, გვ. 621). გლეხების სახელით ასე ლაპარაკი შეეძლოთ მხოლოდ მემამულეებსა და მინისტრებს. ზედმეტად მიმაჩნია, რამდენადაც ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია, ციტატების მოყვანა საკუთრებისთვის თავგამოდებული ბატონ გურკოების, სტოლიპინებისა და მათი მსგავსი გმირების სიტყვებიდან.

მემარჯვენეთაგან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს თერგელი კაზაკი კარაულოვი, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ *. კარაულოვი ნაწილობრივ ეთანხმებოდა კადეტ შინგარიოვსაც და ამბობდა, კაზაკთა ჯარები «უზარმაზარი საადგილმამულო თემია» (1363), «უფრო მიწის კერძო საკუთრება უნდა მოისპოს», ვიდრე თემიო, და იცავდა «მიწის ფართო მუნიციპალიზაციას, ცალკეული ოლქების საკუთრებად მის გადაქცევას» (1367). ამავე დროს ის უჩიოდა ბიუროკრატიის შარიანობას, იმას, რომ «ჩვენ ჩვენივე დოვლათის პატრონი არა ვართო» (1368). მუნიციპალიზაციისადმი კაზაკთა ამ სიმპათიის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით ზემოთ.

## 2. კადეტები

როგორც ყველა სხვა პარტიამ, კადეტებმა II სათათბიროში ყველაზე უფრო სრულად და მთლიანად გამოხატეს თავიანთი ნამდვილი ბუნება. მათ «თავიანთი თავი ჰპოვეს», როცა ცენტრის ადგილი დაიკავეს და «სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით» აკრიტიკებდნენ მემარჯვენეებსაც და მემარცხენეებსაც. თავიანთი კონტრრევოლუციური არსი კადეტებმა გამოამჟღავნეს მარჯვნივ აშკარად შებრუნებით. რითღა აღნიშნეს მათ ეს შებრუნება აგრარულ საკითხში? იმით, რომ საბოლოოდ უკუაგდეს მიწის ნაციონალიზაციის იდეის ყველა ნაშთი, სავსებით ხელი აიღეს «მიწის სახელმწიფო მარაგის გეგმაზე» და მიემხრნენ მიწების გადაცემას საკუთრებად გლეხებისთვის. დიახ, რუსეთის რევოლუციაში პირობები სწო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 418. რედ.

რედ ისე მოეწყო, რომ მარჯვნივ შებრუნება ნიშნავს მიწის კერძო საკუთრებისკენ შებრუნებას!

კადეტური პარტიის ოფიციალური ორატორი აგრარულ საკითხში, ყოფილი მინისტრი კუტლერი, ერთბაშად გადავიდა მემარცხენეების კრიტიკაზე (მე-12 სხდომა, 1907 წლის 19 მარტი). «რაკი არავინ იძლევა საერთოდ საკუთრების მოსპობის წინადადებას, — იძახდა ვიტეს და დურნოვოს ეს ღირსეული კოლეგა, — საჭიროა მთელი სიძლიერით ვაღიაროთ მიწის საკუთრების არსებობა» (737). ეს მოსაზრება მთლიანად ემთხვევა შავრაზმელების მსჯელობას. შავრაზმელი კრუპენსკი კადეტ კუტლერივით გაჰყვიროდა: «თუ გაყოფაა, ყველაფერი გაიყოსო» (784).

როგორც ნამდვილი მოხელე, კუტლერი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდებოდა გლეხებისთვის მიწის სხვადასხვა ნორმის «დარიგების» საკითხზე. ლიბერალი ინტელიგენტი და მოლიბერალო მოხელე, რომელიც არავითარ დარაზმულ კლასს არ ეყრდნობა, გვერდს უვლის საკითხს, თუ სახელდობრ რამდენი მიწა აქვთ მემამულეებს, რამდენის ჩამორთმევა შეიძლება. ის ამჯობინებს ილაპარაკოს «ნორმებზე», რათა საკითხის ვითომ სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე აყვანით მიჩქმალოს საკითხი, დაჰფაროს ის, რომ კადეტები არ აუქმებენ მემამულურ მეურნეობას. «თვით მთავრობაც კი, — ამბობდა ბ-ნი კუტლერი, — დაადგა გლეხთა მიწათსარგებლობის გაფართოების გზას» (734).— მაშასადამე, არაფერი განუხორციელებელი არ არის კადეტების ასეთივე მოხელურ პროექტშიო! როცა კადეტი იცავს პრაქტიკულობას და განსახორციელებლობას, ის ცხადია, ჩქმალავს იმას, რომ მისთვის კრიტერიუმს წარმოადგენს მემამულეების დაყოლიების შესაძლებლობა, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარი პროექტის შეფარდება მათი ინტერესებისადმი, შავრაზმელებისთვის სამსახურის გაწევა კლასთა უმაღლესი შერიგების სახით. «მე მგონია, ბატონებო, — ამბობდა კუტლერი, — რომ შეიძლება წარმოვიდგი-

ნოთ ის პოლიტიკური პირობები, როცა მიწის ნაციონალიზაციის კანონპროექტს შეუძლია კანონის ძალა მიიღოს, მაგრამ უახლოესი მომავლისთვის ვერ წარმომიდგენია ის პოლიტიკური პირობები, რომ ნამდვილად შეიძლებოდეს ამ კანონის განხორციელება» (733). უბრალოდ რომ ვთქვათ: შეიძლება წარმოიდგინო შავრაზმელ მემამულეთა ხელისუფლების დამხობა, მაგრამ ეს მე ვერ წარმომიდგენია და ამიტომ ვეგუები არსებულ ხელისუფლებასო.

ბ-ნი კუტლერი, იცავდა რა მიწის გლეხური საკუთრების უპირატესობას საერთოდ ტრუდოვიკების გეგმისა და განსაკუთრებით «გამთანაბრებელი სარგებლობის» მიმართ, ასე ასაბუთებდა ამას: «თუ ამისთვის (მიწის გათანაბრებისთვის) დანიშნული იქნებიან განსაკუთრებული მოხელენი, ამით დაწესდება ისეთი წარმოუდგენელი დესპოტიზმი, სახალხო ცხოვრებაში ისეთი ჩარევა, რომელსაც ჩვენ დღემდისაც არ ვიცნობდით. რა თქმა უნდა, განზრახულია ეს საქმე გადაეცეს თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, თვით მოსახლეობის მიერ არჩეულ პირებს, მაგრამ განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსახლეობა სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ამ პირთა თვითნებობისაგან, რომ ეს პირნი ყოველთვის იმოქმედებენ მისი ინტერესების შესაბამისად, რომ მოსახლეობას მათგან რაიმე ტვირთი არ დააწვება? მე ვფიქრობ, აქ დამსწრე გლეხებმა იციან, რომ მათი საკუთარი არჩეული პირები, ვოლოსტის მამასახლისები და სტაროსტები, მუდამ მოსახლეობის ისეთივე მჩაგვრელები არიან, როგორც მოხელეები» (740). შეიძლება განა წარმოვიდგინოთ უფრო საძაგელი თვალთმაქცობა? თვითონ კადეტები გვთავაზობენ საადგილმამულო კომისიებს, სადაც უმრავლესობა მემამულეები იქნებიან (თანაბრად მემამულეებისგან და გლეხებისგან მოხელის ან მემამულის თავმჯდომარეობით), გლეხებს კი ეუბნებიან — დესპოტიზმისა და თვითნებობის საშიშროება მოგელით თქვენივე არჩეული პირებისგანო! მიწის გათანაბრების წინააღმდეგ ასე გალაშქრება შეუძლიათ მხოლოდ ურცხვ პოლიტიკურ არამზადებს,

რადგან მათ არ გააჩნიათ არც სოციალიზმის პრინციპები (როგორც სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ამტკიცებენ გათანაბრების შეუძლებლობას, მაგრამ სავსებით მხარს უჭერენ არჩეულ ადგილობრივ კომიტეტებს), არც ერთადერთი მხსნელი მემამულური კერძო საკუთრების პრინციპები (როგორც ბობრინსკებს).

როგორც მემარჯვენეებისგან, ისე მემარცხენეებისგან განსხვავებით კადეტების გეგმას ახასიათებს არა ის, რასაც ისინი ამბობენ, არამედ ის, რაზედაც ისინი სდუმან: შემადგენლობა საადგილმამულო კომიტეტებისა, რომლებმაც უნდა აიძულონ გლეხები მიიღონ «მეორედ განთავისუფლება», ე. ი. მამასისხლად მიიღონ «ქვიშნარები». საკითხის ამ არსის მისაფუჩეჩებლად კადეტები მეორე სათათბიროში (ისევე როგორც პირველში) ნამდვილ თაღლითურ ხერხებს მიმართავენ. აი ბ-ნი შინგარიოვი. მას თავი მოაქვს პროგრესისტად, იმეორებს გაცვეთილ ლიბერალურ ფრაზებს მემარჯვენეების წინააღმდეგ, იგი დასტირის, როგორც ეს მიღებულია, ძალადობას და ანარქიას, რაც საფრანგეთს «მძიმე განსაცდელთა საუკუნედ დაუჯდა» (1355), მაგრამ დახეთ, როგორ იძვრენს თავს სამიწათმომწყობო კომიტეტების საკითხში:

«ჩვენ გვედავებოდა, — ამბობს იგი, — დეპუტატი ევრეინოვი * სამიწათმომწყობო კომიტეტების შესახებ. მე არ ვიცი

* სოციალისტ-რევოლუციონერმა ევრეინოვმა იმავე სხდომაზე (მე-18 სხდომა, 1907 წლის 29 მარტი) თქვა: «ეს (საადგილმამულო) კომიტეტები, სახალხო თავისუფლების პარტიის წინადადებით, უნდა შედგებოდნენ მიწათმფლობელებისა და გლეხებისაგან თანაბარი რაოდენობით, ხოლო მათი მომრიგებელნი იქნებიან მოხელეები, რომლებიც უსათუოდ გადაიხრებიან არაგლეხებისაკენ. მაშ რატომ არის, რომ სახალხო თავისუფლების პარტია, რომელიც «სახალხო თავისუფლების» პარტიას უწოდებს თავს, არ ენდობა კომიტეტებს, რომლებიც არჩეულია არა ბიუროკრატიულად, არამედ დემოკრატიულად? ალბათ, იმიტომ, რომ თუ კომიტეტებს ამნაირად აირჩევენ, მაშინ, უეჭველია, მათში უდიდესი უმრავლესობა გლეხები, ე. ი. გლეხთა ინტერესების წარმომადგენლები მოხვდებიან. მაშინ გეკითხებით, ენდობა თუ არა ამ შემთხვევაში სახალხო თავისუფ-

(sic!!), რაზე ააგო მან თავისი პასუხი; დღემდე ჩვენ ამის შესახებ სრულებით არაფერი გვითქვამს (ს ი ც რ უ ე ა!); მე არ ვიცი, რომელ პროექტზე ლაპარაკობს ის, რატომ ლაპარაკობს ის ხალხისადმი უნდობლობაზე. ასეთი პროექტი სახელმწიფო სათათბიროში ჯერ წარმოდგენილი არ არის, და ის, როგორც ჩანს, თავის პასუხს ამყარებს გაუგებრობებზე. მე სავსებით ვემხრობი იმ მემარცხენე დეპუტატებს, უსპენსკისა და ვოლკ-კარაჩაევსკის, რომლებიც ლაპარაკობდნენ დროებითს წესებზე, ადგილობრივი მიწათმოწყობისათვის ადგილობრივი ორგანოების მოწყობის აუცილებლობაზე. მე ვფიქრობ, ასეთი ორგანოები მოწყობილი იქნებიან, და, ალბათ, ამ დღეებში სახალხო თავისუფლების პარტია შემოიტანს სათანადო კანონპროექტს, და მაშინ ჩვენ მას განვიხილავთ» (1356).

განა ეს თაღლითობა არ არის? განა მართლაც შეეძლო ამ სუბიექტს არ ცოდნოდა არც ადგილობრივი კომიტეტების საკითხზე I სათათბიროში გაჩაღებული კამათი, არც «რ ე ჩ ი ს» მაშინდელი სტატია? განა შეეძლო მას ვერ გაეგო ევრეინოვის სავსებით ნათელი განცხადება?

მაგრამ ის შეგვპირდა, «ამ დღეებში» შემოვიტან კანონ-პროექტსო, იტყვით თქვენ. ჯერ-ერთი, თაღლითობით ნაშოვნის დაბრუნების დაპირება არ სპობს თაღლითობის ფაქტს. ხოლო მეორეც, აი რა მოხდა «ამ დღეებში». ბ-მა შინგარიოვმა ილაპარაკა 1907 წლის 29 მარტს. 1907 წლის 9 აპრილს ილაპარაკა კადეტმა ტატარინოვმა და თქვა: «შემდეგ, ბატონებო, ახლა მე შევეხები კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, მე მგონია» (მხოლოდ «ჰგონია»!), «დიდ დავას იწვევს, სახელდობრ საკითხს,

---

ლების პარტია გლეხებს? ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ 1858 წელს მთავრობამ საადგილმამულო რეფორმის დროს ეს საკითხი გადასცა ადგილებს, კომიტეტებს. მართალია, ეს კომიტეტები თავადაზნაურული იყო, მაგრამ მთავრობა ხომ სახალხო თავისუფლების პარტია არ არის, მთავრობა მდიდარი ხალხის და საერთოდ შეძლებული კლასების წარმომადგენელია. იგი ეყრდნობა თავადაზნაურებს და ენდობა მათ. სახალხო თავისუფლების პარტიას კი სურს ხალხს დაეყრდნოს და ამ ხალხს კი არ ენდობა» (1326).

რომელსაც ჩვენგან მარცხნივ მდგომი ყველა პარტია აყენებს: ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების საკითხს. ყველა ეს პარტია აუცილებლად თვლის ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების შექმნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ადგილებზე მიწის საკითხის გადასაჭრელად. ამ მხრივ ჩვენ შარშანაც სავსებით კატეგორიულად გავილაშქრეთ კომიტეტების წინააღმდეგ, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ახლაც» (1783).

ამრიგად, კადეტური «იძულებითი გასხვისების» რ ე ა ლ უ რ ი პირობების უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს საკითხზე ორი კადეტი სხვადასხვას ლაპარაკობს, აქეთ-იქით ეხეთქება ამ მემარცხენე პარტიების დარტყმების გამო, რომლებიც აშკარად ხდიან იმას, რაც კადეტებს საიდუმლოდ სურდათ დაეტოვებინათ! ბ-ნი შინგარიოვი ჯერ ამბობს: «არ ვიცი», მერე: «ვეთანხმები მემარცხენეებს», შემდეგ: «ამ დღეებში შევიტანთ კანონპროექტს». ბ-ნი ტატარინოვი ამბობს: «ჩვენ წინათაც და ახლაც კატეგორიული წინააღმდეგი ვართ». ის უმატებს კიდევ მსჯელობას იმის შესახებ, რომ არ შეიძლება სათათბიროს დაქუცმაცება ათას სათათბიროდ, რომ არ შეიძლება აგრარული საკითხის გადადება პოლიტიკური რეფორმების განხორციელებამდე, საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების შემოღებამდეო. მაგრამ ეს ხომ ისევ ფანდებია. საკითხი ეხება სრულიადაც არა ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების მომენტს: ამ მხრივ მემარცხენეებს II სათათბიროში არ შეიძლებოდა რაიმე ეჭვი ჰქონოდათ. საკითხი ეხება იმას, თუ როგორია კადეტების ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ე გ მ ე ბ ი: ვინ ვის აიძულებს მათს «იძულებითს გასხვისებაში», მემამულეები გლეხებს თუ გლეხები მემამულეებს? ამის პასუხს იძლევა მხოლოდ საადგილმამულო კომიტეტების შემადგენლობა. ეს შემადგენლობა განსაზღვრულია კადეტების მიერ «რეჩის» მილიუკოვისეულ მოწინავეშიც, კუტლერის პროექტშიც და ჩუპროვის

სტატიაშიც (მოყვანილია ზემოთ) *, — მაგრამ სათათბიროში კადეტებმა არაფერი თქვეს ამ შემადგენლობაზე, არ უპასუხეს ევრეინოვის მიერ პირდაპირ დაყენებულ საკითხს.

ცხადზე უცხადესია, რომ პარტიის წარმომადგენლების ასეთი მოქმედება პარლამენტში სწორედ ხალხის მოტყუებაა ლიბერალების მიერ. ბობრინსკებისა და სტოლიპინების შესახებ არა გვგონია ვინმე ტყუვდებოდეს. კადეტების შესახებ კი ძალიან ბევრი ტყუვდება, ვისაც არ სურს გაერკვეს ან არ შეუძლია გაიგოს პოლიტიკური ლოზუნგებისა და ფრაზების ნამდვილი მნიშვნელობა.

ამრიგად, კადეტები წინააღმდეგი არიან მიწის საზოგადოებრივი სარგებლობის ყოველგვარი ფორმისა **, წინააღმდეგი არიან უსასყიდლოდ გასხვისებისა, წინააღმდეგი არიან ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტებისა, რომლებშიც გლეხები ჭარბობენ, წინააღმდეგი არიან რევოლუციისა საერთოდ და განსაკუთრებით გლეხური აგრარული რევოლუციისა. მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის გაძვრომ-გამოძვრომის მათ პოზიციას (მემამულეების ხელში გლეხების ჩასაგდებად) შუქს ჰფენს მათი დამოკიდებულება 1861 წლის საგლეხო «რე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 299. რედ.

** ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია კამათი I სათათბიროში იმ საკითხზე, თუ ვის უნდა გადაცემოდა 33-ის აგრარული პროექტი (მიწის კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ). კადეტები (პეტრუნკევიჩი, მუხანოვი, შახოვსკოი, ფრენკელი, ოვჩინიკოვი, დოლგორუკოვი, კოკოშკინი) გააფთრებით ესხმოდნენ თავს ასეთი პროექტის კომისიაში გადაცემას; მათ სავსებით მხარს უჭერდა გეიდენი. კადეტების მოსაზრებანი არასაკადრისია ოდნავ თავმოყვარე ლიბერალისათვის; ეს რაღაც რეაქციული მთავრობის ლაქიების პოლიციური მომიზეზებაა. კომისიაში გადაცემა, — ამბობდა, მაგალითად, ბ-ნი პეტრუნკევიჩი, — ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ერთგვარად «შესაძლებელია» ასეთი პროექტის თვალსაზრისი. ბ-ნი ჟილკინი არცხვენდა კადეტებს (23-ე სხდომა, 1906 წლის 8 ივნისი) და ამბობდა, კომისიას გადავცემდი ამ პროექტსაც და უკიდურეს მემარჯვენეთა პროექტსაც. მაგრამ კადეტებმა და მემარჯვენეებმა 140 ხმით 78 წინააღმდეგ ჩაშალეს პროექტის გადაცემა კომისიაში!

ფორმისადმი». მემარცხენეები, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ყველანი ზიზღით და აღშფოთებით ლაპარაკობენ მასზე, როგორც მემამულეების მიერ გლეხებზე გადაცმულ მარყუჟზე. კადეტები, ასეთი რეფორმით გულაჩვილებული, სოლიდაროობას უცხადებენ მემარჯვენეებს.

გრაფი ბობრინსკი ამბობდა: «აქ ტალახს ესვროდნენ რუსეთის ისტორიის ყველაზე წმიდა, ყველაზე ნათელ ფურცელს... გლეხთა განთავისუფლების საქმე ყოველგვარ საყვედურზე მაღლა დგას... 1861 წლის 19 თებერვალი დიადი და ნათელი დღეა» (29 მარტი, გვ. 1289, 1299).

კუტლერი ამბობდა: «1861 წლის დიდი რეფორმა... მთავრობა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახით, უარყოფს რუსეთის ისტორიას, მის საუკეთესო და ყველაზე ნათელ ფურცლებს» (26 მაისი, გვ. 1198 — 1199).

ნამდვილად განხორციელებული იძულებითი გასხვისების ეს შეფასება უფრო მეტ შუქს ჰფენს კადეტების აგრარულ პროგრამას, ვიდრე ყველა მათი პროექტი და სიტყვა, რომლებიც დაწერილია იმისათვის, რომ თავიანთი აზრები დაფარონ. როცა ადამიანები უაღრესად ნათელ ფურცლად თვლიან გლეხების გაბოგანოებას მემამულეების მიერ, სამმაგი გამოსასყიდის გადახდას «ქვიშნარისთვის» და სამხედრო ეგზეკუციებით გარიგების სიგელთა შემოღებას, აშკარა ხდება, რომ ისინი ცდილობენ გლეხების «მეორედ განთავისუფლებას», მეორედ დამონებას გამოყიდვის საშუალებით. ბობრინსკი და კუტლერი სოლიდარულნი არიან 1861 წლის რეფორმის შეფასებაში. მაგრამ ბობრინსკის შეფასება პირდაპირ და სწორად გამოხატავს მემამულეთა სწორად გაგებულ ინტერესებს, — ამიტომ ის ანათლებს ფართო მასების კლასობრივ შეგნებას. ბობრინსკები აქებენ — მაშასადამე, ხეირი ნახეს მემამულეებმა. კუტლერის შეფასება, გამოხატავს რა მთელ თავის სიცოცხლეში მემამულეების წინაშე წელმოხრილი მოხელის ჭკუამოკლეობას, აღსავსეა თვალთმაქცობით და აბნელებს მასების შეგნებას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნოთ აგრარულ საკითხში კადეტური პოლიტიკის კიდევ ერთი მხარე. ყველა მემარცხენენი პირდაპირ დგებიან გლეხების, როგორც მებრძოლი ძალის მხარეზე, განმარტავენ ბრძოლის აუცილებლობას, აღნიშნავენ მთავრობის მემამულურ ხასიათს. კადეტები მემარჯვენეებთან ერთად «სახელმწიფო თვალსაზრისზე» დგებიან და უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას.

კუტლერი აცხადებს, საჭირო არ არის «საადგილმამულო ურთიერთობის ძირფესვიანად გარდაქმნაო» (732). საველიევი გვაფრთხილებს, ნუ «შევეხებით მრავალ ინტერესსო» და ამბობს: «საკუთრების სავსებით უარყოფის პრინციპი საეჭვოა ხელსაყრელი იყოს და შეიძლება ძალიან დიდი და სერიოზული გართულებანი გადაგვეღობოს მისი გამოყენების დროს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მსხვილ მფლობელებს, რომელთაც 50 დესეტინაზე მეტი მიწა აქვთ, ძალიან ბევრი მიწა გააჩნიათ, სახელდობრ 79 440 000 დესეტინა» (1907 წლის 26 მარტი, გვ. 1088 — გლეხი მიგვითითებს ლატიფუნდიებზე, რათა დაამტკიცოს მათი მოსპობის აუცილებლობა; ლიბერალი — რათა დაამტკიცოს მლიქვნელობის აუცილებლობა). შინგარიოვი «უდიდეს უბედურებად» ჩათვლიდა, ხალხს რომ თვითონ წაეღო მიწა (1355). როდიჩევი ბულბულივით გალობს: «ჩვენ არ ვაღვივებთ კლასობრივ მტრობას, ჩვენი სურვილია წარსულის დავიწყება» (632, 1907 წლის 16 მაისი). კაპუსტინიც იმასვე ამბობს: «ჩვენი ამოცანაა ყველგან მშვიდობა და სამართლიანობა ვთესოთ, და არა კლასობრივი მტრობა ვთესოთ და ვაღვივოთ» (1810, 9 აპრილი). კრუპენსკი აღშფოთებულია სოციალისტ-რევოლუციონერის ზიმინის სიტყვით იმის გამო, რომ ეს სიტყვა «აღსავსეა სიძულვილით შეძლებული კლასებისადმი» (783, 19 მარტი). ერთი სიტყვით, კლასობრივი ბრძოლის დაგმობაში კადეტები და მემარჯვენეები ერთნი არიან. მაგრამ მემარჯვენეებმა იციან, რასაც შვრებიან. იმ კლასისთვის, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ბრძოლა, შეუძლებელია საზიანო და

საშიში არ იყოს კლასობრივი ბრძოლის ქადაგება. მემარჯვენეები ერთგულად იცავენ მებატონე-მემამულეების ინტერესებს. ხოლო კადეტები? ისინი ბრძოლას აწარმოებენ — ამბობენ, ბრძოლას ვაწარმოებთო! — მათ სურთ «აიძულონ» მემამულეები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლება, და ისინი გმობენ კლასობრივ ბრძოლას! განა ასე იქცეოდა ნამდვილად მებრძოლი, და არა მემამულეების წინაშე მლიქვნელი, ბურჟუაზია თუნდაც საფრანგეთში? განა საბრძოლველად არ მოუწოდებდა იგი ხალხს, განა არ აღვივებდა კლასობრივ მტრობას, განა არ ჰქმნიდა კლასობრივი ბრძოლის თეორიას?

### 3. მემარჯვენე გლეხები

მეორე სათათბიროში გამონაკლისის სახით გვხვდებიან ნამდვილი მემარჯვენე გლეხები — თითქმის მარტოოდენ რემენჩიკი (მინსკის გუბერნიიდან), რომელიც სრულებით არ სცნობს არავითარ თემს და არავითარ «ფონდებს», თავგამოდებით იცავს საკუთრებას (I სათათბიროში ბევრი პოლონელი და დასავლეთ-რუსეთის გლეხი იცავდა საკუთრებას). მაგრამ ეს რემენჩიკიც მომხრეა გასხვისებისა «სამართლიანი შეფასებით» (648), ე. ი. არსებითად კადეტად გვევლინება. მეორე სათათბიროს სხვა «მემარჯვენე გლეხები» იმიტომ გამოვყავით ცალკე ჯგუფად, რომ ისინი უეჭველად კადეტებზე უფრო მემარცხენენი არიან. აიღეთ პეტროჩენკო (ვიტებსკის გუბერნიიდან). იგი იმით იწყებს, რომ «სიკვდილამდე მეფისა და სამშობლოს დამცველი ვიქნებიო» (1614). მემარჯვენეები ტაშს უკრავენ. მაგრამ აი ის გადადის «მცირემიწიანობის» საკითხზე. «რამდენიც უნდა იკამათოთ, — ამბობს ის, — მეორე დედამიწას ვერ შექმნით. მაშასადამე, ეს მიწა ჩვენ უნდა გადმოგვეცეს. აქ რომელიღაც ორატორმა აღნიშნა, ჩვენი გლეხები ბნელნი და უვიცნი არიან, და ამაო და უსარგებლოა მათთვის ბევრი მიწის მიცემა, რადგან სულ ერთია ეს სარგებლობას არ მოიტანსო. რა თქმა უნდა, წინათ მიწას ცოტა სარგებლობა მოჰქონდა ჩვენთვის, სახელდობრ იმათთვის, ვისაც ეს მიწა არ გააჩნდა.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ უვიცნი ვართ, ჩვენ სხვა რამეს არც გთხოვთ, გარდა მიწისა, რათა ჩვენივე სირეგვნის გამო მასზე ვიცოდვილოთ. ჩემი მხრივ ვფიქრობ, რომ, რა თქმა უნდა, აზნაურს არც შეჰფერის მიწას დასტრიალებდეს. აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კანონით კერძომფლობელურ მიწებს ვერ შეეხებითო. მე, რა თქმა უნდა, იმის მომხრე ვარ, რომ კანონი უნდა დავიცვათ, მაგრამ მცირემიწიანობის მოსასპობად ისეთი კანონი უნდა დაიწეროს, რომ ყოველივე ეს კანონიერად გავაკეთოთ. ხოლო ნაწყენი რომ არავინ დარჩეს, ამისთვის დეპუტატი კუტლერი კარგ პირობებს აყენებდა. რა თქმა უნდა, მან, როგორც მდიდარმა კაცმა, ძვირად დააფასა, — ჩვენ კი, გლეხები, ღარიბნი ვართ, ამდენს ვერ გადავიხდით, ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ — საზოგადოებებად, საკომლო მფლობელობად თუ ფერმებად, მე, ჩემი მხრივ, საჭიროდ მიმაჩნია საშუალება მიეცეს ყველას, ვისაც როგორც ეხერხება ისე იცხოვროს» (1616).

ამ მემარჯვენე გლეხსა და რუსეთის ლიბერალს შორის მთელი უფსკრულია. პირველი — სიტყვით ძველი ხელისუფლების ერთგულია, საქმით კი ცდილობს მიწა მიიღოს, ებრძვის მემამულეებს და არ დათანხმდება გამოსასყიდი იხადოს კადეტების მიერ განსაზღვრული რაოდენობით. მეორე — სიტყვით ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვის, საქმით კი აწყობს მემამულეებისა და ძველი ხელისუფლებისადმი გლეხთა მეორე დამონებას. მეორეს შეუძლია მოძრაობა მხოლოდ მარჯვნივ, I სათათბიროდან მეორემდე, მეორიდან მესამემდე. პირველი, იმედგაცრუებული იმაში, რომ მას მიწას «მისცემენ», სხვა მხრივ წავა. ჩვენ, თითქოს, უფრო «მემარჯვენე» გლეხთან გვაქვს ერთი გზა, ვიდრე «ლიბერალ», «დემოკრატ» კადეტთან...

აი გლეხი შიმანსკი (მინსკის გუბერნიიდან). «მე აქ მოვედი სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოს დასაცავად და მიწის მოსათხოვად... რა თქმა უნდა, არა ძარცვით, არამედ მშვიდობიანი გზით, სამართლიანი შეფასებით... ამიტომ მე ყველა

გლეხის სახელით მივმართავ სათათბიროს წევრებს, მემამულეებს, გამოვიდნენ ამ კათედრაზე და თქვან, რომ მათ სურთ დაუთმონ გლეხებს მიწა სამართლიანი შეფასებით, და მაშინ ჩვენი გლეხები მათ, რა თქმა უნდა, მადლობას ეტყვიან, თან ვფიქრობ, რომ მამა-მეფეც დაუმადლებს. მე წინადადებას ვაძლევ სახელმწიფო სათათბიროს პროგრესული გადასახადით დაბეგროს იმ მემამულეების მიწები, რომლებიც ამას არ დაეთანხმებიან; ეჭვს გარეშეა, დროთა განმავლობაში ისინიც დაგვითმობენ, რადგან გაიგებენ, რომ დიდი ნაჭერი ყელსა გლეჯს» (1617).

ეს მემარჯვენე გლეხი იძულებით გასხვისებად და სამართლიან შეფასებად სრულებით არ გულისხმობს იმას, რაც კადეტებს აქვთ მხედველობაში. კადეტები ატყუებენ არა მარტო მემარცხენე გლეხებს, არამედ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ ს ა ც. თუ როგორ მოექცეოდნენ მემარჯვენე გლეხები საადგილმამულო კომიტეტების შედგენის კადეტურ გეგმებს (კუტლერის ან ჩუპროვის მიხედვით: იხ. «აგრარული საკითხის» II ტომი), ისინი რომ ამ გეგმებს გაცნობოდნენ, ეს ჩანს გლეხ მელნიკის (ოქტიაბრისტი; მინსკის გუბერნიიდან) შემდეგი წინადადებიდან. «მე ჩემს მოვალეობად ვთვლი, — ამბობდა ის, — რომ (აგრარულ) კომისიაში 60%-ის რაოდენობით მოხვდნენ ისეთი გლეხები, რომლებიც პრაქტიკულად განიცდიან გაჭირვებას (!) და იცნობენ გლეხთა წოდების მდგომარეობას, და არა ის გლეხები, რომლებიც, შეიძლება, მხოლოდ გლეხთა სახელწოდებას ატარებენ. ეს გლეხთა და საერთოდ ღარიბი ხალხის კეთილდღეობის საკითხია და მას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს. უნდა ავირჩიოთ ისეთი ადამიანები, რომელთაც ამ საკითხის ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვეტა შეუძლიათ პრაქტიკულად და არა პოლიტიკურად» (1285). ეს მემარჯვენე გლეხები ძალიან შორს წავლენ მარცხნივ, როცა მათ კონტრრევოლუცია დაანახვებს «ღარიბი ხალხის კეთილდღეობის საკითხთა» პოლიტიკურ მნიშვნელობას!

იმის დასანახავად, თუ როგორ უსაზღვროდ დაშორებული არიან ერთმანეთისაგან მონარქისტული გლეხობის წარმომადგენლები და მონარქისტული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მოვიყვან ამონაწერებს «პროგრესისტი» ხუცესის ტიხვინსკის სიტყვიდან, რომელიც ზოგჯერ «გლეხთა კავშირისა» და «შრომის ჯგუფის» სახელით ლაპარაკობდა. «მასობრივად ჩვენი გლეხობა მეფის მოყვარულია, — ამბობდა ის. — როგორ მინდა უჩინმაჩინის ქუდი და თვითმფრინავი ხალიჩა ვიყო, მივფრინდე ტახტის კვარცხლბეკთან და ვუთხრა, დავუმოწმო: მეფეო, შენი პირველი მტერი, ხალხის პირველი მტერი — ეს არის არაპასუხისმგებელი სამინისტრო... მშრომელი გლეხობა მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ მკაცრად იქნას განხორციელებული პრინციპი: «მთელი მიწა — მთელ ხალხს...» (გამოყიდვის საკითხზე:)... «ნუ შიშობთ, ბატონო მემარჯვენეებო, დაენდვეთ ჩვენს ხალხს, არ გაგაუბედურებთ იგი თქვენ. (ხ მ ე ბ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ: «გმადლობთ! გმადლობთ!».) ახლა მე მივმართავ სახალხო თავისუფლების პარტიის მომხსენებლის სიტყვებს. ის ამბობს, რომ სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამა არ არის დაშორებული გლეხობისა და შრომის ჯგუფის პროგრამას. არა, ბატონებო, ეს პროგრამა დაშორებულია. ჩვენ მომხსენებლისგან მოვისმინეთ: «ვთქვათ, ჩვენი პროექტი ნაკლებ სამართლიანია, მაგრამ იგი უფრო პრაქტიკულიაო». ბატონებო, სამართლიანობას სწირავენ პრაქტიკულ მოსაზრებათა სასარგებლოდ!» (789).

თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ეს დეპუტატი კადეტის დონეზე დგას. მაგრამ როგორი განსხვავებაა მის სოფლურ გულუბრყვილობასა და ადვოკატურ, მოხელეობის, ლიბერალური ჟურნალისტიკის «საქმოსნებს» შორის!

## 4. უპარტიო გლეხები

უპარტიო გლეხები, როგორც ყველაზე ნაკლებ შეგნებული და ყველაზე ნაკლებ ორგანიზებული სოფლის მასების აზრთა ჭამომხატველნი, განსაკუთრებით საინტერესო არიან. ამიტომ

ჩვენ მოვიყვანთ ამონაწერებს ყველა უპარტიო გლეხის სიტყვებიდან *, მით უმეტეს, რომ ისინი ცოტანი არიან: სახნო, სემიონოვი, მოროზი და აფანასიევი.

«ბატონო ხალხის წარმომადგენელნო, — ამბობდა სახნო (კიევის გუბერნიიდან), — გლეხთა დეპუტატებისთვის ძნელია ამ ტრიბუნაზე ასვლა და ბატონ მდიდარ მემამულეთათვის პასუხის გაცემა. ამჟამად გლეხები ძალიან ღარიბად ცხოვრობენ იმიტომ, რომ მათ მიწა არა აქვთ... გლეხს ჩაგრავს მემამულე, იგი იტანჯება, რადგან მემამულე საშინლად ავიწროებს მას... რატომ შეუძლია მემამულეს ბევრი მიწა ჰქონდეს, გლეხს კი წილად რჩება მხოლოდ ცათა სასუფეველი?.. ამრიგად, ბატონო ხალხის წარმომადგენელნო, როდესაც მე აქ გლეხები მგზავნიდნენ, ისინი მავალებდნენ, რომ მე დამეცვა მათი საჭიროებანი, რომ მათ მისცემოდათ მიწა და თავისუფლება, რომ ყველა სახაზინო, საკაბინეტო, საუფლისწულო, კერძომფლობელური და სამონასტრო მიწა იძულებით ყოფილიყო გასხვისებული უსასყიდლოდ... იცოდეთ, ბატონო ხალხის წარმომადგენელნო, მშიერ ადამიანს არ შეუძლია მშვიდად იყოს, თუ ის ხედავს, რომ, მიუხედავად მისი მწუხარებისა, ხელისუფლება ბატონ მემამულეების მხარეზეა. მას არ შეუძლია არ ისურვოს მიწა, თუნდაც ეს კანონის საწინააღმდეგოც იყოს; მას გაჭირვება აიძულებს. მშიერი ადამიანი ყველაფერზე მზადაა, იმიტომ რომ გაჭირვება მას აიძულებს არაფერს არ გაუწიოს ანგარიში, რადგან ის მშიერი და ღარიბია» (1482 — 1486).

თავისი უბრალოებით ასევე გულუბრყვილო და ასევე ძლიერია უპარტიო გლეხის სემიონოვის სიტყვა (პოდოლის გუბერნიიდან, გლეხთა დეპუტატი):

...«უდიდესი უბედურება სწორედ იმ გლეხების ინტერესებში მდგომარეობს, რომლებიც მთელი საუკუნე იტანჯებიან უმიწობით. ორასი წელია ისინი ელოდებიან, იქნებ ციდან ჩამოვარდეს ჩვენთვის სიკეთეო, მაგრამ იგი არ ვარდება. სიკეთე ხელში უჭირავთ ბატონ მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებმაც ჩვენს პაპებთან და მამებთან ერთად იშოვეს ეს მიწა, მაშინ როდესაც მიწა ღვთისაა და არა მემამულისა... მე მშვენივრად ვიცი,

* მეორე სათათბიროს დეპუტატების ამა თუ იმ ფრაქციის ან პარტიისადმი მიკუთვნების გამოსარკვევად ჩვენ ვსარგებლობდით თვით სახელმწიფო სათათბიროს ოფიციალური გამოცემით: სია დეპუტატებისა პარტიების და ჯგუფების მიხედვით. ზოგიერთი დეპუტატი ერთი პარტიიდან მეორეში გადადიოდა, მაგრამ, საგაზეთო ცნობებით, ამ გადასვლათა აღრიცხვა შეუძლებელია. ამასთან, ამ საკითხზე სხვადასხვა წყაროთი სარგებლობა მხოლოდ არევ-დარევას გამოიწვევდა.

რომ მიწა ეკუთვნის მთელ მშრომელ ხალხს, რომელიც მასზე შრომობს... დეპუტატი პურიშკევიჩი ამბობს: «რევოლუციაა, გვიშველეთო», რა მოხდა? მათ რომ მიწა წავართვათ იძულებითი გასხვისების გზით, ისინი იქნებიან რევოლუცია და არა ჩვენ, ჩვენ ყველანი მებრძოლნი ვიქნებით, თავაზიანი ადამიანები... განა ჩვენც 150 დესეტინა გვაქვს, როგორც ხუცესს? ხოლო მონასტრებს? ეკლესიებს? რათ უნდათ მათ მიწა? არა, ბატონებო, კმარა განძის დაგროვება და ჯიბეში შენახვა, უნდა ვიცხოვროთ არსებითად. ქვეყანა გაერკვევა, ბატონებო, მე ყველაფერი ჩინებულად მესმის, ჩვენ პატიოსანი მოქალაქენი ვართ, ჩვენ პოლიტიკით არა ვართ გართულნი, როგორც ამბობდა ერთერთი წინა ორატორი... ისინი (მემამულეები) მხოლოდ დასეირნობენ და ღიპი გაუსუქებიათ ჩვენი სისხლით, ჩვენი ძალღონით. ჩვენ მოვიგონებთ, ჩვენ მათ ისე არ ვაწყენინებთ, მიწას მათაც მივცემთ. თუ ვიანგარიშებთ, თვითეულ კომლზე ჩვენ მოგვიწევს 16 დესეტინა, ხოლო ბატონ მსხვილ მიწათმფლობელებს კიდევ დარჩებათ 50 დესეტინა თვითეულს... ათასობით, მილიონობით ხალხი იტანჯება, ბატონები კი ნადიმობენ... ხოლო როგორაა სამხედრო სამსახურის წაქმე, ჩვენ ვიცით: ავად გახდა — «ძას მიწა აქვს სამშობლოშიო». მერე სად არის მისი სამშობლო? სამშობლო სულაც არა აქვს. სამშობლო მხოლოდ ის არის, რომ ის სიაში აღნიშნულია, სად დაიბადა, ჩაწერილია ისიც, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის, მიწა კი მას არა აქვს. ახლა მე ვამბობ: მე ხალხმა მთხოვა, რომ საეკლესიო, სამონასტრო, სახაზინო, საუფლისწულო და მემამულის იძულებითი წესით გასხვისებული მიწები გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში, რომელიც იშრომებს მასზე; და ადგილებს გადაეცეს: იქ თვითონ გაერკვევიან. მე გეუბნებით, რომ ხალხმა გამომგზავნა, რომ მოვითხოვო მიწა და თავისუფლება და სრული სამოქალაქო თავისუფლება; და ჩვენც ვიცხოვრებთ და არავის მივუთითებთ, რომ აი ისინი ბატონკაცებია, ისინი კი გლეხები, არამედ ყველანი ადამიანები ვიქნებით და თვითეული ჩვენ-ჩვენს ადგილზე ბატონკაცი ვიქნებით» (1930 — 1934).

როცა «პოლიტიკის გარეშე მდგომი» გლეხის ასეთ სიტყვას კითხულობ, ხელშესახებად ცხადი ხდება, რომ არათუ სტოლიპინის, არამედ კადეტთა აგრარული პროგრამის განხორციელებაც მოითხოვს ათეული წლობით სისტემატურ ძალადობას გლეხთა მასაზე, იმ გლეხების სისტემატურ ხოცვა-ჟლეტას, წამებით, საპყრობილითა და გადასახლებით ამოწყვეტას, ვისაც ფიქრის უნარი აქვს და ცდილობს თავისუფლად იმოქმედოს. სტოლიპინს ეს ესმის და ამის შესაბამისად მოქმედებს. კადეტებს ეს, ლიბერალური მოხელეებისა და პროფესორებისთვის

დამახასიათებელი სიჩლუნგის გამო, ნაწილობრივ არ ესმით, ნაწილობრივ თვალთმაქცურად ფარავენ, «მორცხვად სდუმან», — როგორც 1861 და შემდგომი წლების სამხედრო ეგზეკუციების შესახებ. ხოლო თუ ეს სისტემატური ძალადობა, რომელიც არაფერს დაერიდება, ჩაიშლება რაიმე საშინაო ან საგარეო წინააღმდეგობის გამო, მაშინ უპარტიო პატიოსანი გლეხი, «პოლიტიკის გარეშე მდგომი», რუსეთიდან შექმნის გლეხურ რესპუბლიკას.

გლეხმა მოროზმა მოკლე სიტყვაში უბრალოდ განაცხადა: «საჭიროა მიწა ჩამოვართვათ ხუცებსა და მემამულეებსო» (1955), და შემდეგ დაიმოწმა სახარება (ბურჟუაზიული რევოლუციონერები ისტორიაში პირველად როდი იღებენ თავის ლოზუნგებს სახარებიდან)... «თუ ხუცესს პურსა და ნახევარ კვარტ არაყს არ მიუტან, ის ბავშვს არც კი მოგინათლავს... ისინი კიდევ ლაპარაკობენ წმიდა სახარებაზე და კითხულობენ: «ითხოვდეთ და მოგეცესთ, რეკდეთ და განგეღოთ». ჩვენ ვთხოვთ, ვთხოვთ, და არ გვაძლევენ, ვრეკთ — არ გვაძლევენ; მაშ რა ვუყოთ, კარები შევამტვრიოთ და ჩამოვართვათ? ბატონებო, ნუ დაუშვებთ, რომ კარები შევამტვრიოთ, მოგვეცით ნებაყოფლობით, და მაშინ იქნება თავისუფლება, თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც» (1955).

აი უპარტიო გლეხი აფანასიევი, რომელიც კაზაკთა «მუნიციპალიზაციას» შეფასებას აძლევს არა კაზაკის თვალსაზრისით, არამედ «თითქმის გარეშეს» თვალსაზრისით. «უპირველეს ყოვლისა მე უნდა ვთქვა, ბატონებო, რომ მე ვარ დონის ოლქის გლეხობის წარმომადგენელი; იქ 1 000 000 მეტი გლეხია და მათგან მარტო მე მოვხვდი აქ; ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ იქ თითქმის გარეშენი ვართ... მე უსაზღვროდ მაკვირვებს: ნუთუ პეტერბურგი კვებავს სოფელს? არა, პირიქით. მე ოდესღაც პეტერბურგში ვმსახურობდი 20 წელზე მეტს, და უკვე მაშინ ვამჩნევდი, რომ პეტერბურგი კი არ კვებავს სოფელს, არამედ სოფელი კვებავს პეტერბურგს. ამჟამადაც ამასვე ვამჩნევ. მთელ ამ უმშვენიე-

რეს არქიტექტურებს, მთელ ამ ნაგებობებს, შენობებს, მთელ ამ მშვენიერ, საუცხოო სახლებს, ყოველივე ამას იგივე გლეხები აშენებენ, როგორც 25 წლის წინათაც აშენებდნენ... პურიშკევიჩმა მოიყვანა მაგალითი, კაზაკს 20 დესეტინაზე შეტი მიწა აქვს, და ისიც კი შიმშილობსო... რატომღა არა თქვა მან, სად არის ეს მიწა? მიწა არის, მიწა რუსეთშიც არის, მაგრამ ვინ ჰფლობს მას? თუ მან იცოდა, რომ იქ იმდენი მიწაა და ეს არა თქვა, მაშასადამე, იგი არ ყოფილა მართალი კაცი, ხოლო თუ არ იცოდა, არც უნდა დაეწყო ამაზე ლაპარაკი. ხოლო თუ მართლაც, შეიძლება, მან არ იცოდა, გთხოვთ, ბატონებო, ნება მიბოძოთ ვუთხრა მას, სად არის ეს მიწა, რამდენია ის, ვინ ჰფლობს მას. თუ ამას ვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ დონის ჯარის ოლქში კერძო ცხენთსაშენებს უჭირავთ 753 546 დესეტინა. კიდევ მოვიხსენიებ ყალმუხთა ცხენთსაშენს, ეგრეთწოდებულ მომთაბარეობას. იქ სულ არის საერთოდ 165 708 დესეტინა. შემდეგ დროებითი იჯარით მდიდრებს უჭირავთ 1 055 919 დესეტინა. მთელი ეს მიწა ადამიანთა ხელშია — არა იმ ადამიანთა, რომელნიც პურიშკევიჩმა ჩამოთვალა, არამედ კულაკების, მდიდრების ხელში, რომლებიც გვავიწროებენ; პირუტყვს იღებენ — ნახევარს ჩვენ გვართმევენ, კიდევ ერთი მანეთი დესეტინაზე მიაქვთ, ერთი მანეთი იმ პირუტყვზე, რომლითაც ჩვენ ვხნავთ, და ამასთანავე ჩვენი ბავშვები უნდა გამოვკვებოთ და კიდევ კაზაკი გოგობიჭები. აი ამიტომაც არის ჩვენში შიმშილობა». და ორატორი ლაპარაკობს, რომ თვითეული მოიჯარადრე 2 700 დესეტინას იღებს «კავალერიისთვის» 8 ცხენის მიწოდების გამო; გლეხებს მეტის მიწოდება შეეძლოთ. «მე გიამბობთ, რომ მინდოდა დამერწმუნებინა ჩვენი მთავრობა, რომ იგი სასტიკად ცდება, როცა ამას არ შვრება. მივწერე «სელსკი ვესტნიკის» რედაქციას, რომ დაებეჭდათ. მიპასუხეს, რა ჩვენი საქმეა მთავრობას ჭკუა ვასწავლოთო». ამრიგად, ოლქისთვის საკუთრებად მიცემულ «მუნიციპალიზებულ» მიწაზე «ცენტრალური არა-

დემოკრატიული მთავრობა» **de facto** * ახალ მემამულეებს ქმნის: მუნიციპალიზაცია, როგორც ჰლეხანოვმა აღმოაჩინა, არის გარანტია რესტავრაციისაგან...

«საგლეხო ბანკის მეშვეობით მთავრობამ ფართოდ გაგვიღო კარი მიწების შესაძენად, — ეს არის უღელი, რომელიც 1861 წელს დაგვადეს. მთავრობას სურს გადაგვასახლოს ციმბირის ფარგლებში. ...განა უკეთესი არ იქნება ასე მოვიქცეთ: გადავიყვანოთ იქ ეს კაცი, რომელსაც ათასობით დესეტინა აქვს, მას მიწა დარჩება და ამ მიწაზე რამდენი გამოიკვებება (ტ ა შ ი მ ა რ ცხ ნ ი ვ; ხ მ ე ბ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: «მ ო ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი ა, მ ო ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი»)... იაპონიის ომის დროს მე მიმყავდა მობილიზებული ჯარისკაცები იმ (მემამულეთა) მიწების გავლით, რომლებიც მე აქ მოვიხსენიე. შესაკრებ პუნქტამდე ორი დღე-ღამე მოგვიხდა მგზავრობა. ჯარისკაცები მეკითხებიან: «საით მიგყავართ?» ვეუბნები: «იაპონიისაკენ». — «რა უნდა გავაკეთოთ?» — «სამშობლო უნდა დავიცვათ». თვითონ მე. როგორც სამხედრო კაცი, ვგრძნობდი, რომ საჭიროა სამშობლოს დაცვა. ჯარისკაცები მეუბნებიან: «რა სამშობლოა ეს — ლისეცკების, ბეზულოვების, პოდკოპაილოვების მიწები? სად არის აქ ჩვენი? ჩვენი აქ არაფერია». მათ მე მითხრეს ის, რაც მესამე წელია ვერ წამიშლია ჩემს გულში... მაშასადამე, ბატონებო, ...საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ჩვენს რუსეთში არსებული ყველა უფლებით ყველანი, დაწყებული თავადებით და მის მიყოლებით აზნაურები, კაზაკები, მეშჩანები და სიტყვა გლეხის მოუხსენებლად, ყველანი უნდა იყვნენ რუსეთის მოქალაქენი და უნდა სარგებლობდნენ მიწით — ყველა ისინი, ვინც ამ მიწაზე შრომობს, ჯაფას ეწევა მასზე, უვლის მას და უყვარს იგი. იშრომე, ოფლი ღვარე და ისარგებლე მით. მაგრამ მასზე ცხოვრება თუ არა გსურს, არ გსურს მასზე იშრომო, არ გსურს ჯაფა გასწიო მასზე, არც უფლება გაქვს ისარგებლ მით» (1974) (26-ე სხდომა, 1907 წლის 12. IV.).

«სიტყვა გლეხის მოუხსენებლად»! ეს შესანიშნავი თქმა «გულის სიღრმიდან» აღმოხდა იმ გლეხს, რომელსაც სურს დალეწოს მიწათმფლობელობის წოდებრიობა («ჩვენს რუსეთში არსებული ყველა უფლებით»), სურს მოსპოს თვით სახელი დაბალი წოდებისა, გლეხისა. «დაე ყველანი მოქალაქენი იყვნენ». მშრომელთა თანასწორი უფლება მიწაზე სხვა არა არის რა, თუ არა მ ე უ რ ნ ი ს ბოლომდე თანამიმდევარი თვალსაზრისის მიყენება მიწისადმი. მიწათმფლობელობის ა რ ა ვ ი თ ა რ ი სხ ვ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი (მსგავსად კაზაკთა მიწათ-

* — სინამდვილეში, ფაქტიურად. რ ე დ.

მფლობელობისა «სამსახურისთვის» და სხვ.), არავითარი სხვა მოსაზრებანი, არავითარი სხვა ურთიერთობა, გარდა მ ე უ რ ნ ი ს უფლებებისა მიწის მიმართ, მიწის «მოვლის» მოსაზრებისა, მიწაზე «ჯაფის გამწევის» ურთიერთობისა. სწორედ ასე უნდა უყურებდეს საქმეს ფერმერი, რომელსაც სურს თავისუფალი მეურნეობის მოწყობა თავისუფალ მიწაზე, თავიდან მოცილება ყველაფერი გარეშესი, ხელისშემშლელის, ძველის, მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ყ ვ ე ლ ა წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ფ ო რ მ ი ს ა. განა მარქსისტების მხრივ მოუფიქრებელი დოქტრინის სულელური გამოყენება არ იქნებოდა ასეთი მეურნისთვის დაგვეშალა ნაციონალიზაცია და გვესწავლებინა მისთვის, სასარგებლოა სანადელო მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევაო?

პირველ სათათბიროში გლეხმა მერკულოვმა (კურსკის გუბერნიიდან) იგივე აზრი გამოთქვა გლეხთა სანადელო მიწების ნაციონალიზაციის შესახებ; ეს აზრი ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ გლეხთა კავშირის ყრილობების მონაცემებიდან. «გვაშინებენ იმით, — თქვა მერკულოვმა, — რომ გლეხიც ვერ შეელევა მიწის იმ ნაჭერს, რომელსაც ახლა ჰფლობსო. ამაზე ვიტყვი: მერე ვინ ართმევს მათ? თვით სრული ნაციონალიზაციის დროსაც ხომ მხოლოდ ის მიწა ჩამოერთმევათ, რომელსაც მეურნე ამუშავებს არა თავისი ძალებით, არამედ დაქირავებული შრომით» (მე-18 სხდომა, 1906 წლის 30 მაისი, გვ. 822).

ამას ამბობს ის გლეხი, რომელიც, თვითონ მისივე თქმით, ჰფლობს 60 დესეტინა მიწას საკუთრებად; რა თქმა უნდა, დაქირავებული შრომის მოსპობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ან მისი აკრძალვა — ბავშვური აზრია, მაგრამ უმართებულო აზრები ჩვენ სწორედ იქ უნდა მოვკვეთოთ, სადაც უმართებულობა იწყება, — დაწყებული «სოციალიზაციით» და დაქირავებული შრომის აკრძალვით *, და არა ნაციონალიზაციით.

* ამ უმართებულო იდეის «მოკვეთა» არც კია საჭირო, რადგან თვით «ფხიზელმა» ტრუდოვიკებმა «ფხიზელი» ბატონ პეშეხონოვების მეთაურობით უკვე მ ო ჰ კ ვ ე თ ე ს ი ს.

იმავე გლეხმა მერკულოვმა გაილაშქრა 42-ის კადეტური პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მუნიციპალიზაციას ემთხვეოდა იმ მხრივ, რომ სანადელო მიწები საკუთრებად რჩება, ხოლო მემამულეთა მიწები სარგებლობაში გადადის. ეს «რაღაც გარდამავალი საფეხურია ერთი წყობილებიდან მეორეზე»... «ერთის ნაცვლად ვღებულობთ ორ მფლობელობას: კერძო საკუთრებას და საჯარო სარგებლობას, ე. ი. მიწათმფლობელობის ორ არათუ შეკოწიწებულ, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგო ფორმას» (823).

## 5. ნაროდნიკი-ინტელიგენტები

ნაროდნიკი-ინტელიგენტების, განსაკუთრებით ენესების, ე. ი. ნაროდნიკობის ოპორტუნისტების სიტყვებში უნდა გავარჩიოთ ორი ნაკადი: ერთი მხრივ, გლეხთა მასის ინტერესების გულწრფელი დაცვა — ამ მხრივ მათი სიტყვები, გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით უფრო სუსტ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე «პოლიტიკის გარეშე მდგომი» გლეხების სიტყვები; მეორე მხრივ, ერთგვარი კადეტური ელფერი, რაღაც ინტელიგენტურ-მეშჩანური, სახელმწიფო თვალსაზრისის დაჩემება. თავისთავად იგულისხმება, რომ მათ, გ ლ ე ხ ე ბ ი ს გ ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, აქვთ დ ო ქ ტ რ ი ნ ა: ისინი იბრძვიან არა უშუალოდ შეგნებულ გაჭირვებათა და უბედურებათა გამო, არამედ განსაზღვრული მოძღვრების, შეხედულებათა სისტემის გამო, რომელთაც დამახინჯებულად აქვთ წარმოდგენილი ბრძოლის შინაარსი.

«მიწა — მშრომელებს», — აცხადებს ბ-ნი კარავაევი თავის პირველ სიტყვაში და 87-ე მუხლის მიხედვით მიღებულ სტოლიპინის აგრარულ კანონმდებლობას ახასიათებს, როგორც «თემის მოსპობას», როგორც «პოლიტიკურ მიზანს»: «სოფლის ბურჟუის განსაკუთრებული კლასის შექმნას».

«ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილეში ეს გლეხები რეაქციის პირველ დასაყრდენს წარმოადგენენ, ბიუროკრატიის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ. მაგრამ მთავრობა, როცა ასე ვარაუდობდა, სასტიკად შეცდა: ამასთან ერთად იქნება გლეხთა პროლეტარიატი. არ ვიცი, რა სჯობს: გლეხთა პროლეტარიატი თუ მცირემიწიანი ახლანდელი გლეხობა, რომელსაც განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელებისას შეეძლო მიწის საკმაო რაოდენობა მიეღო» (722).

აქ გამოსჭვივის რეაქციული ნაროდნიკობა ბ-ნ ვ. ვ-ის ყაიდისა: «სჯობს» ვისთვის? სახელმწიფოსთვის? მემამულური თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოსთვის? და რატომ პროლეტარიატი არა «სჯობს»? იმიტომ რომ მცირემიწიან გლეხობას «შეეძლო მიეღო» — ე. ი. უფრო ადვილად შეიძლებოდა მისი დაწყნარება, უფრო ადვილად შეიძლებოდა წესიერების ბანაკში გადაყვანა, ვიდრე პროლეტარიატისა? ასე გ ა მ ო უ დ ი ს ბ-ნ კარავაევს: თითქოს მას სურს ურჩიოს სტოლიპინს და კომპ. უფრო საიმედო «გარანტია» სოციალური რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა გ ა ნ!

ბ-ნი კარავაევი არსებითად რომ მართალი ყოფილიყო, მარქსისტები მხარს ველარ დაუჭერდნენ მემამულეთა მიწების კონფისკაციას რუსეთში. მაგრამ ბ-ნი კარავაევი არ არის მართალი, რადგან სტოლიპინის «გზა» უფრო პაუპერებს ქმნის, ვიდრე პროლეტარებს, რადგან ანელებს — გლეხურ რევოლუციასთან შედარებით — კაპიტალიზმის განვითარებას. თვითონ კარავაევი კი ამბობდა — და სამართლიანადაც ამბობდა, რომ სტოლიპინის პოლიტიკა ამდიდრებს (არა ახალ, ბურჟუაზიულ, ელემენტებს, არა ფერმერ-კაპიტალისტებს, არამედ) ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მემამულეებს, რომლებიც სანახევროდ ბატონყმურად ეწევიან მეურნეობას. 1895 წელს მიწის ფასი «საგლეხო» ბანკის მეშვეობით გაყიდვისას იყო 51 მან. 1 დეს., ხოლო 1906 წელს — 126 მან. (კარავაევი 47-ე სხდომაზე, 1907 წლის 26 მაისი, გვ. 1189). ბ-ნ კარავაევის პარტიულმა კოლეგებმა კი, ბატონმა ვოლკ-კარაჩევსკიმ და დელაროვმა, კიდევ უფრო რელიეფურად გააშუქეს ამ ციფრების მნიშვნელობა. დელაროვმა გვიჩვენა, რომ «1905 წლამდე საგლეხო ბანკმა თავისი

არსებობის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სულ შეიყიდა მხოლოდ 7,5 მილიონი დეს.»; 1905 წლის 3 ნოემბრიდან 1907 წლის 1 აპრილამდე კი ბანკმა შეიყიდა 3,8 მილიონი დესეტინა. 1900 წელს 1 დესეტინა მიწა ფასობდა 80 მან., 1902 — 108; 1903 წელს, აგრარულ მოძრაობამდე და რუსეთის რევოლუციამდე ის გახდა 109 მან. ახლა — 126 მან. «მაშინ როდესაც მთელი რუსეთი უამრავ ზარალს განიცდიდა რუსეთის რევოლუციით, ამ დროს რუსი მსხვილი მიწათმფლობელები დიდ კაპიტალებს იძენდნენ. ამ დროს მათ ხელში გადავიდა 60 მლნ. მანეთზე მეტი სახალხო ფული» (1220 — თუ «სწორ» ფასად ჩავთვლით 109 მან.). ბ-ნი ვოლკ-კარაჩევსკი კი გაცილებით უფრო სწორად ითვლის, თუმცა მას არავითარი ფასი «სწორად» არ მიაჩნია და უბრალოდ აღნიშნავს, რომ მთავრობამ მემამულეებს 1905 წლის 3 ნოემბრის შემდეგ გადაუხადა 52 მლნ. მან. გლეხების მიერ ნაყიდი მიწის ანგარიშში და 242 მლნ. მან. თავის საკუთარ ხარჯზე, სულ «295 მლნ. მან. სახალხო ფული გადაუხადეს აზნაურ-მემამულეებს» (1080. ხაზგასმა ყველგან ჩვენია). ეს, რასაკვირველია, მხოლოდ იმის მცირე ნაწილია, რაც რუსეთს დაუჯდა იუნკრულ-ბურჟუაზიული აგრარული ევოლუცია, როგორია ის ხარკი, რომელიც დაედო საწარმოო ძალების განვითარებას მებატონეებისა და ბიუროკრატების სასარგებლოდ! მემამულეთა სასარგებლო ამ ხარკს რუსეთში განვითარების თავისუფლებისათვის ინარჩუნებენ კადეტებიც (გამოყიდვა). პირიქით, ფერმერების ბურჟუაზიული რესპუბლიკა იძულებული იქნებოდა ასეთი თანხები მოეხმარებინა მიწათმოქმედების საწარმოო ძალების განვითარებისათვის ახალი წყობილების დროს *.

---

* შეადარეთ კაუტსკი: «აგრარული საკითხი რუსეთში» გლეხობის აგრიკულტურულ პროგრესზე უდიდესი კაპიტალების დახარჯვის აუცილებლობის შესახებ. «მუნიციპალისტებს» აქ შეუძლიათ გვიპასუხონ: ბურჟუაზიული რესპუბლიკა რესპუბლიკის ჯარებზე დახარჯავს, მაგრამ აი დემოკრატიული ერობა... მას, ჰატივცემულო ბატონო მუნიციპალისტებო, ფულს

ბოლოს, ნაროდნიკ-ინტელიგენტებს უეჭველად აქტივში უნდა ჩავუთვალოთ ის, რომ მათ ბობრინსკებისა და კუტლერების წინააღმდეგ ესმით, თუ როგორ მოატყუეს ხალხი 1861 წელს, ყბადაღებულ რეფორმას უწოდებენ არა დიდს, არამედ «მემამულეების სასარგებლოდ გატარებულს» (კარავაევი, 1193). სინამდვილემ — სამართლიანად ამბობდა ბ-ნი კარავაევი რეფორმისშემდგომი ეპოქის შესახებ — «გადააჭარბა იმათ ყველაზე პესიმისტურ წინასწარმეტყველებას», ვინც 1861 წელს გლეხობის ინტერესებს იცავდა.

მიწის გლეხური საკუთრების საკითხზე მთავრობის ზრუნვას ბ-მა კარავაევმა პირდაპირ დაუპირისპირა გლეხებისთვის მიცემული კითხვა: «ბატონო გლეხო-დეპუტატებო, თქვენ ხალხის წარმომადგენლები ხართ. თქვენი ცხოვრება — გლეხური ცხოვრებაა, თქვენი შეგნება — მისი შეგნებაა. როდესაც თქვენ მოემგზავრებოდით, სჩიოდნენ თუ არა თქვენი ამომრჩევლები, გულდაჯერებული არა ვართ, რომ მიწას ვფლობთო? აყენებდნენ თუ არა თქვენს პირველ ამოცანად სათათბიროში, თქვენს პირველ მოთხოვნად: «გახსოვდეთ, განამტკიცეთ მიწის კერძო საკუთრება, თორემ თქვენ ვერ შეასრულებთ ჩვენს განაწესსო». არა, თქვენ იტყვით, ასეთი განაწესი ჩვენთვის არ მოუციათო» (1185).

გლეხებმა არათუ უარყვეს ეს განცხადება, არამედ დაადასტურეს იგი თავიანთი სიტყვების მთელი შინაარსით. და ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ რუსი გლეხი «თემის მოტრფიალეა», «ანტიმესაკუთრეა», არამედ იმიტომ, რომ ეკონო-

---

წაართმევს არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლება! და თვით ასეთი ერობის წარმოშობა არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების დროს — შეუძლებელია, ეს მეშჩანის გულუბრყვილო სურვილია. რეალურია მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკისა (რომელიც სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე მეტს ხარჯავს საწარმოო ძალების განვითარებაზე. — მაგალითად: ჩრდილოეთი ამერიკა) და ბურჟუაზიული მონარქიის (რომელიც ათეული წლობით ხარკს უხდის იუნკრებს, მაგალითად: გერმანია) თანაფარდობა.

მიური პირობები უკარნახებენ ახლა მას მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმის მოსპობას ახალი მეურნეობის შესაქმნელად.

ნაროდნიკ-ინტელიგენტებს პასივში უნდა ჩავუთვალოთ მათი მაღალფარდოვანი მსჯელობანი გლეხური მიწათმფლობელობის «ნორმების» შესახებ. «მე ვფიქრობ, ყველა დაგვეთანხმება, რომ საადგილმამულო საკითხის სწორად გადასაწყვეტად, — აცხადებდა ბ-ნი კარავაევი, — საჭიროა შემდეგი მონაცემები: უწინარეს ყოვლისა არსებობისათვის საჭირო მიწის ნორმა, სამომხმარებლო ნორმა, და შრომის მთელი რაოდენობის ამოსაწურავად — შრომითი ნორმა. აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, რამდენი მიწა უჭირავთ გლეხებს, — ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიანგარიშოთ, რამდენი მიწა გვაკლია. შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი მიწა შეიძლება მივცეთ?» (1186).

ჩვენ გადაჭრით არ ვეთანხმებით ამ აზრს. დასათაბიროში გლეხთა განცხადებების საფუძველზე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აქ არის გლეხებისათვის უცხო ინტელიგენტური ბიუროკრატიზმის ელემენტი. გლეხები «ნორმებზე» არ ლაპარაკობენ. ნორმები, ეს ბიუროკრატიული მონაჭორია, 1861 წლის წყევა-კრულვით მოსაგონარი ბატონყმური რეფორმის ნაშთია. გლეხებს, რომლებიც სწორი კლასობრივი ალღოთი ხელმძღვანელობენ, სიმძიმის ცენტრი გადააქვთ მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობაზე და არა «ნორმებზე». საქმე ის კი არ არის, თუ რამდენი მიწაა «საჭირო». «სხვა დედამიწას ვერ შექმნითო», როგორც საუცხოოდ თქვა ზემოხსენებულმა უპარტიო გლეხმა. საქმე ის არის, რომ მოვსპოთ მჩაგვრელი ბატონყმური ლატიფუნდიები, რომლებიც მოსპობის ღირსნი არიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ «ნორმები» ამის მიუხედავადაც მიღწეული აღმოჩნდება. ინტელიგენტ-ნაროდნიკს საქმე ისე გამოუდის, თუ «ნორმა» მიღწეულია, მაშინ არც კია საჭირო მემამულეებს შევეხოთო. გლეხები სხვანაირად მსჯელობენ: «გლეხებო,

დ ა ა მ ხ ე თ ი ს ი ნ ი» (მემამულეები) — ამბობდა გლეხი პიანიხი (ს.-რ.) II სათათბიროში (მე-16 სხდომა, 1907 წლის 26 მარტი, გვ. 1101). მემამულეები უნდა დავამხოთ არა იმიტომ, რომ «ნორმები» არ გამოდის, არამედ იმიტომ, რომ მიწათმოქმედ-მეურნეს აღარა სურს კისერზე აჯდეს ვირები და წურბელები. როგორც ერთი, ისე მეორე მსჯელობა — «დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან».

გლეხი ნორმებზე არაფერს ამბობს, მაგრამ შესანიშნავი პრაქტიკული ალღოთი ხვდება საქმის არსს. საქმე ისაა, ვ ი ნ უნდა დააწესოს ეს ნორმები? ხუცესმა პოიარკოვმა I სათათბიროში ჩინებულად გამოხატა ეს. «განზრახულია მიწის ნორმის დაწესება ერთ კაცზე, — თქვა მან. — ვ ი ნ დ ა ა წ ე ს ებ ს ა მ ნ ო რ მ ა ს? თუ თვითონ გლეხები, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი თავს არ დაიჩაგრავენ, მაგრამ ნორმის დაწესებაში გლეხებთან ერთად მიწათმფლობელნიც თუ მიიღებენ მონაწილეობას, მაშინ საკითხია, ვინ გადაძლევს ნორმის გამომუშავების დროს» (მე-12 სხდომა, 1906 წლის 19 მაისი, გვ. 488).

ეს პირდაპირ ურტყამს მთელს ლაყბობას ნორმების შესახებ.

კადეტები აქ კი არ ლაყბობენ, არამედ გლეხებს პირდაპირ ხ ე ლ შ ი უ გ დ ე ბ ე ნ მემამულეებს. და გულუბრყვილო სოფლის ხუცესი, ბ-ნი პოიარკოვი, რომელსაც, ალბათ, უნახავს ლიბერალ მემამულეთა საქმეები თავის სოფელში, ინსტინქტურად მიხვდა, სად არის აქ სიყალბე.

«შემდგომ შიშობენ, — ამბობდა იგივე პოიარკოვი, — ბევრი მოხელე იქნებაო! გლეხები თვითონ გაინაწილებენ მიწას!» (488 — 489). აი რა არის საკითხის დედააზრი. «ნორმებს» მართლაც მოხელური სუნი უდის. გლეხები სხვანაირად მსჯელობენ: თვითონვე გავინაწილებთ ადგილებზეო. აქედან წარმოსდგება ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების იდეა, რომელიც გამოხატავს გლეხობის ნამდვილ ინტერესებს რევოლუციაში და კანონიერად იწვევს ლიბერალ არამზადათა

სიძულვილს *. ნაციონალიზაციის ასეთი გეგმის დროს სახელმწიფოს მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ განსაზღვროს, თუ რომელი მიწა გამოდგება საგადასახლებო ფონდად, ანდა მოითხოვოს განსაკუთრებული ჩარევა («ტყეები და წყლები, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ», როგორც ამბობს ჩვენი ახლანდელი პროგრამა), ე. ი. მხოლოდ ისღა დარჩენია, რასაც თვით «მუნიციპალისტებიც» კისაჭიროდთვლიან გადაეცეს «დემოკრატიულ სახელმწიფოს» (უნდა ეთქვათ: რესპუბლიკის) გამგებლობაში.

თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ნორმებზე ლაპარაკს და ეკონომიურ სინამდვილეს, ერთბაშად დავინახავთ, რომ გლეხები — საქმის ხალხია, ხოლო ინტელიგენტი ნაროდნიკები სიტყვისა. «შრომითს» ნორმას სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა დაქირავებული შრომის აკრძალვის ცდის დროს. გლეხების უმრავლესობამ უკუაგდო ეს ცდები, და ენესებმაც შეუძლებლად აღიარეს ეს. რაკი ასეა, «ნორმის» საკითხი იხსნება და რჩება დაყოფა მეურნეთა არსებულ რაოდენობას შორის. «სამომხმარებლო» ნორმა სიღატაკის ნორმაა, და კაპიტალისტურ საზოგადოებაში გლეხობა ყოველთვის გაექცევა ასეთ «ნორმას» ქალაქებში (ამის შესახებ ცალკე ქვემოთ). მაშასადამე, აქაც საქმე «ნორმა» (რომელიც ამასთანავე იცვლება კულტურისა და ტექნიკის ყოველი ცვლილების დროს) კი არ ყოფილა, არამედ დაყოფა მეურნეთა არსებულ რაოდენობას შორის, «გარჩევა» იმისა, თუ ვინაა ნამდვილი მეურნე, რომელსაც შეუძლია მიწას «მოუაროს» (შრომითაც და კაპიტალითაც), — და ვინ არის უვარგისი მეურნე, რომელ-

* მუშათა მთავრობები ქალაქებში, გლეხთა კომიტეტები სოფლებში (რომლებიც განსაზღვრულ მომენტში იქცევიან საყოველთაო და სხვ. კენჭისყრით არჩეულებად), — ასეთია ძლევამოსილი რევოლუციის, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ორგანიზაციის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. გასაკვირველი როდია, რომ ლიბერალებს სძაგთ თავისუფლებისათვის მებრძოლი კლასების ორგანიზაციის ეს ფორმები!

საც ვერ დააკავებ მიწათმოქმედებაში და რეაქციულიც იქნებოდა მისი დაკავების ცდა.

როგორც კურიოზი, რომელიც ცხადყოფს, საით მივყავართ ბატონ ნაროდნიკების ნაროდნიკულ თ ე ო რ ი ე ბ ს, მოვიყვანოთ დ ა ნ ი ი ს დამოწმება ბ-ნ კარავაევის მიერ. თურმე ნუ იტყვით, ევროპა «ჩიხში მოექცა კერძო საკუთრებით», ჩვენი თემი კი «ხელს უწყობს კოოპერაციის ამოცანის გადაწყვეტას». «დანია ამ მხრივ ბრწყინვალე მაგალითია». მაგალითი, მართლაც, ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ა — ნაროდნიკების წინააღმდეგ. დანიაში ჩვენ ვხედავთ უაღრესად ტიპიურ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ გლეხობას, რომელიც თავს უყრის მეწველ პირუტყვსაც (იხ. «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»», § X *) და მიწასაც. დანიის სამიწათმოქმედო მეურნეობათა მთელი რაოდენობიდან 68,3%-ს აქვს 1 ჰარტკორნამდე, ე. ი. დაახლოებით 9 დესეტინამდე. სულ მათ აქვთ მთელი მიწის 11,1%. მეორე პოლუსზეა მეურნეობათა 12,6% 4 და მეტი ჰარტკორნით (36 და მ ე ტ ი დ ე ს ე ტ ი ნ ა). მათ აქვთ მთელი მიწის 62% (ნ. ს.: «აგრარული პროგრამები», გამოცემა «ნოვი მირისა», გვ. 7). კომენტარები ზედმეტია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ I სათათბიროში დანიას იმოწმებდა ლიბერალი გერცენშტეინი, მემარჯვენეები კი უპასუხებდნენ (ორივე სათათბიროში): დანიაში გლეხური ს ა კ უ თ რ ე ბ ა ა ო. მიწის ნაციონალიზაცია ჩვენთვის საჭიროა, რათა თავისუფლება მივცეთ ძველ მეურნეობებს «დანიურად» გარდაიქმნან «განღობილ» მიწაწყალზე, ხოლო იჯარის გადაქცევა საკუთრებად ძნელი არ არის, თუ ამას თვით გლეხები მოითხოვენ, რადგან მთელი ბურჟუაზია და ბიუროკრატია ა ს ე თ ს ა ქ მ ე შ ი ყოველთვის მხარს დაუჭერს გლეხობას. და გარდა ამისა, ნაციონალიზაციის დროს კაპიტალიზმის განვითარება («დანიურად» განვითარება) უ ფ რ ო ჩ ქ ა რ ა წავა წინ მიწის კერძო საკუთრების გაუქმების გამო.

* იხ. ეს ტომი, გვ. 207 — 221. რ ე დ.

## 6. გლეხი-ტრუდოვიკები (ნაროდნიკები)

არსებითად, გლეხი-ტრუდოვიკები და გლეხი-ესერები *არ განსხვავდებიან* უპარტიო გლეხებისაგან. როგორც ერთის, ისე მეორის სიტყვების შედარებით თქვენ ნათლად ხედავთ იმავე გაჭირვებას, იმავე მოთხოვნებს, იმავე მსოფლმხედველობას. პარტიულ გლეხებს მხოლოდ მეტი შეგნებულობა აქვთ, უფრო ნათელია გამოთქმის საშუალება, უფრო მთლიანია საკითხის სხვადასხვა მხარეს შორის დამოკიდებულების გაგება.

თითქმის საუკეთესოა გლეხ კისელიოვის, ტრუდოვიკის, სიტყვა მეორე სათათბიროს 26-ე სხდომაზე (1907 წლის 12 აპრილს). ლიბერალი მოხელის «სახელმწიფო თვალსაზრისის» წინააღმდეგ, აქ სიმძიმის ცენტრი პირდაპირ იმაზეა გადატანილი, რომ «მთელი შინაური პოლიტიკა ჩვენი მთავრობისა, რომლის *ფაქტიური* ხელმძღვანელები არიან მემამულე-მიწათმფლობელნი, მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ მიწა შეუნარჩუნონ ახლანდელ მფლობელებს» (1943). ორატორი ცხადყოფს, რომ სწორედ ამიტომ ჰყავთ ხალხი «სრულ უმეცრებაში», და ჩერდება ოქტიაბრისტ თავად სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვაზე. «თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაგვიწყნიათ მისი საშინელი სიტყვები: «თავი დაანებეთ ყოველგვარ აზრს გლეხური მიწათმფლობელობის ფართობის გადიდების შესახებ. დაიცავით კერძო მფლობელები, დაეხმარეთ მათ, ჩვენი უფეხული, უვიცი გლეხთა მასა უმემამულეებოდ, ეს არის ჯოგი უმწყემსოდ». ამხანაგო გლეხებო, განა საჭიროა ამას რაიმე დავუმატოთ, რათა გაიგოთ, თუ რა ზრახვებია ჩამალული ამ ვაჟბატონების — ჩვენი კეთილმყოფელების სულში? ნუთუ თქვენთვის ცხადი არ არის, რომ ისინი დღემდე ნაღვლობენ და ოხრავენ ბატონყმობაზე? არა, ბატონო მწყემსნო, კმარა... მე მხოლოდ ერთის მსურველი ვიქნებოდი: რომ კეთილშობილი რიურიკოვიჩის ეს სიტყვები კარგად დაიხსომოს მთელმა უფეხულმა გლეხურმა რუსეთმა, მთელი რუსეთის მიწამ, რომ ეს

სიტყვები ცეცხლივით ენთებოდეს ყოველი გლეხის სულში და მზეზე უფრო ბრწყინვალედ ანათებდეს იმ უფსკრულს, რომელიც ჩვენსა და არამკითხე კეთილისმყოფელებს შორის არსებობს. კმარა, ბატონო მწყემსნო... კმარა, ჩვენ გვესაჭიროება არა მწყემსები, არამედ ბელადები, რომელთაც უთქვენოთაც ვიპოვით, ხოლო მათთან ერთად ჩვენ ვიპოვით გზას სინათლისკენაც, სიმართლისკენაც, ვიპოვით გზას აღთქმული ქვეყნისკენაც» (1947).

ტრუდოვიკი მთლიანად რევოლუციური ბურჟუას თვალსაზრისზე დგას, რომელიც ტყუვდება, როცა ფიქრობს, რომ მიწის ნაციონალიზაცია მოგვცემს «აღთქმულ ქვეყანას», მაგრამ რომელიც ამ რევოლუციისთვის თავდადებულად იბრძვის და სიძულვილით ეგებება მისი გაქანების შეკვეცის აზრს: «სახალხო თავისუფლების პარტია უარს ამბობს აგრარული საკითხის სამართლიან გადაწყვეტაზე... ბატონო ხალხის წარმომადგენელნო, განა საკანონმდებლო დაწესებულებას, როგორიც სახელმწიფო სათათბიროა, შეუძლია თავის მოქმედებაში სამართლიანობას უღალატოს პრაქტიკულობის სასარგებლოდ? განა შეგიძლიათ თქვენ კანონები გამოსცეთ, თუ წინასწარ გეცოდინებათ, რომ ისინი უსამართლოა?... ნუთუ თქვენთვის არ კმარა ის უსამართლო კანონები, რომლებითაც დაგვაჯილდოვა ჩვენმა ბიუროკრატიამ, რომ თვით ჩვენ შევქმნათ კიდევ ისინი?.. თქვენ მშვენივრად იცით, რომ პრაქტიკული მოსაზრებებით — რუსეთის დასაწყნარებლად — ჩვენში გზავნიდნენ დამსჯელ ექსპედიციებს, მთელი რუსეთი გამოაცხადეს განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფად; პრაქტიკული მოსაზრებებით შემოღებულია სამხედრო-საველე სასამართლოები. მაგრამ მოიღეთ მოწყალება და მითხარით, ვინ მოჰყავს აღტაცებაში ამ პრაქტიკულობას? განა თქვენ ყველანი არ სწყევლიდით მას? ნუ მოგვცემთ ისეთ კითხვას, როგორც აქ ზოგიერთები იძლეოდნენ» (ორატორი გადაკვრით ამბობს, ალბათ, კადეტ მემამულე ტატარინოვზე, რომელმაც 24-ე სხდომაზე, 9 აპრილს, თქვა: «სამართლიანობა, ბატონებო,

საკმაოდ პირობითი ცნებაა», «სამართლიანობა ეს ის იდეალია, რომლისკენაც ჩვენ ყველანი მივისწრაფით, მაგრამ ეს იდეალი რჩება» (კადეტისთვის) «მხოლოდ იდეალად, და იქნება თუ არა მისი ფაქტიური განხორციელების შესაძლებლობა, ეს ჩემთვის საკითხია», 1779) — «რა არის სამართლიანობა? ადამიანი — აი სამართლიანობა. დაიბადა ადამიანი — სამართლიანია, რომ მან იცხოვროს, ამისთვის კი სამართლიანია, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი შრომით მოიპოვოს ლუკმა პური»...

თქვენ ხედავთ: გლეხობის ეს იდეოლოგია დგას XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის ტიპიურ თვალსაზრისზე. მას არ ესმის მ ი ს ი სამართლიანობის ისტორიულად შეზღუდული, ისტორიულად განსაზღვრული შინაარსი. მაგრამ მას ს უ რ ს — და ი მ კ ლ ა ს ს, რომელსაც ის წარმოადგენს, შ ე უ ძ ლ ი ა ამ აბსტრაქტული სამართლიანობის გ უ ლ ი ს თ ვ ი ს ძ ი რ ი ა ნ ფ ე ს ვ ი ა ნ ა დ ა ღ გ ა ვ ო ს შუასაუკუნეობრიობის ყველა ნაშთი. სწორედ ამ რ ე ა ლ უ რ ისტორიულ შინაარსს შეიცავს საკითხის დაყენება: არავითარი «პრაქტიკული» მოსაზრებები სამართლიანობის საზიანოდ. წაიკითხეთ: არავითარი დათმობა შუასაუკუნეობრიობას, მემამულეებს, ძველ ხელისუფლებას. ეს არის კონვენტის მოღვაწის ენა. ხოლო ლიბერალ ტატარინოვისთვის ბურჟუაზიული თავისუფლების «იდეალი» «მხოლოდ იდეალად რჩება», რომლისთვისაც ის სერიოზულად არ იბრძვის, ყველაფერს მსხვერპლად არ სწირავს მის განხორციელებას, არამედ უთანხმდება მემამულეს. კისელიოვებს შეუძლიათ გაუძღვნენ ხალხს ძლევამოსილ ბურჟუაზიულ რეოლუციაში, ტატარინოვებს — მხოლოდ გამცემლობაში.

...«პრაქტიკულობის გულისთვის სახალხო თავისუფლების პარტია წინადადებას იძლევა, ნუ შევქმნით მიწის მიმართ რაიმე უფლებასო. იგი შიშობს, რომ ასეთი უფლება უამრავ ხალხს მიიზიდავს ქალაქიდან სოფლად, და ამ შემთხვევაში თვითეულს მიწა ცოტ-ცოტა შეხვდებაო. მე უწინარეს ყოვლისა მსურს გკითხოთ, რა არის უფლება მიწის მიმართ? მიწის მიმართ უფლება — ეს არის უფლება შრომისა, ეს არის უფლება ლუკმა-

პურისა, ეს არის უფლება ცხოვრებისა, ეს არის ყოველი ადამიანის ხელშეუვალი უფლება. მაშ როგორ შეგვიძლია წავართვათ ვინმეს ეს უფლება? სახალხო თავისუფლების პარტია ამბობს, ასეთი უფლება რომ ყველა მოქალაქეს მივცეთ და მათ გავუნაწილოთ მიწა, ის ყველას ცოტ-ცოტა შეხვდება. მაგრამ უფლება და მისი პრაქტიკული განხორციელება ხომ სრულებით არ არის ერთი და იგივე. ყოველ თქვენგანს, ვინც აქ სხედხართ, უფლება აქვს იცხოვროს რომელიმე ჩუხლომაში, და, მიუხედავად ამისა, ცხოვრობს აქ, და, პირიქით, იმათ, ვინც ჩუხლომაში ცხოვრობენ, ასეთივე უფლება აქვთ იცხოვრონ პეტერბურგში და, მიუხედავად ამისა, თავის ბუნაგში არიან. ამიტომ იმის შიში, რომ მიწის მიღების უფლების მინიჭება ყველა იმათთვის, ვისაც სურს მასზე იშრომოს, ქალაქიდან უამრავ ადამიანს მიიზიდავსო — სრულიად უსაფუძვლოა. ქალაქიდან სოფლად მხოლოდ ისინი წავლენ, ვისაც დღემდე არ გაუწყვეტია მასთან კავშირი, — სოფლად წავლენ მხოლოდ ისინი, ვინც ცოტა ხანია რაც ქალაქში წავიდა... ის ადამიანები, რომელთაც ქალაქში ნამდვილად მტკიცე, უზრუნველყოფილი საშოვარი აქვთ, სოფლად არ წავლენ... მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების სრული და სამუდამო გაუქმება... და სხვ. ...მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა შეგვიძლია ვაღიაროთ დამაკმაყოფილებლად» (1950).

ტრუდოვიკისთვის ეს ტიპიური ტირადა ჩვენს წინაშე აყენებს საინტერესო საკითხს: არის თუ არა განსხვავება ა ს ე თ სიტყვებსა შრომის უფლებაზე და 1848 წლის ფრანგი წვრილბურჟუაზიული დემოკრატების სიტყვებს შორის შრომის უფლებაზე? ერთიც და მეორეც, უეჭველია, ბურჟუაზიული დემოკრატის დეკლამაციაა, რომელიც ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ა დ გამოხატავს ბრძოლის ნამდვილ ისტორიულ შინაარსს. მაგრამ ტრუდოვიკის დეკლამაცია ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ა დ გამოხატავს იმ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუციის ნამდვილ ა მ ო ც ა ნ ე ბ ს, რომელიც ობიექტური პირობების გამო შესაძლებელია (ე. ი. შესაძლებელია გლეხური აგრარული რევოლუცია XX საუკუნის რუსეთში), — ხოლო 1848 წლის ფრანგი **Kleinbürger**-ის * დეკლამაცია ბუნდოვანად გამოხატავს იმ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციის აბოცანებს, რომელიც საფრანგეთში შეუძლებელი იყო გასული საუკუნის პირველ ნახევარში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: XIX საუკუნის პირველი ნახევრის

* — წვრილი ბურჟუას. რ ე დ.

ფრანგი მუშის შრომის უფლება გამოხატავდა სურვილს — განეახლებინა მ თ ე ლ ი წვრილი წარმოება კოოპერაციის, სოციალიზმის და სხვ. საფუძვლებზე, ეს კი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ შეუძლებელი იყო. XX საუკუნის რუსი გლეხის შრომის უფლება გამოხატავს სურვილს — განაახლოს წვრილი ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო წარმოება ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ მიწაზე, ეს კი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ სავსებით შესაძლებელია. XX საუკუნის რუსი გლეხის «შრომის უფლებაში», გარდა ყალბი სოციალისტური თეორიისა, არის რეალური ბურჟუაზიული შინაარსი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგი მეშჩანისა და მუშის შრომის უფლებაში ა რ ა ფ ე რ ი ა, გარდა ყალბი სოციალისტური თეორიისა. აი ამ განსხვავებას ვერ ამჩნევს ბევრი ჩვენი მარქსისტი.

ტრუდოვიკი კი თვითონვე გვიჩვენებს თავისი თეორიის რ ე ა ლ უ რ შინაარსს: მიწას ყ ვ ე ლ ა ა რ მიეტანება, თუმცა ყველას «თანაბარი უფლება აქვს». ცხადია, მიწას მიეტანებიან ან მიწაზე დამკვიდრდებიან მ ხ ო ლ ო დ მ ე უ რ ნ ე ე ბ ი. მიწის კერძო საკუთრების გაუქმება ეს არის ყოველგვარ დაბრკოლებათა მოსპობა მ ე უ რ ნ ე ე ბ ი ს - თ ვ ი ს — მოეწყონ მიწაზე.

გასაკვირველი არ არის, რომ გლეხთა რევოლუციისადმი უსაზღვრო რწმენითა და მისი სამსახურის სურვილით გამსჭვალული კისელიოვი ზიზღით ლაპარაკობს კადეტებზე, მათ სურვილზე — გაასხვისონ არა მთელი მიწა, არამედ ნაწილი, — აიძულონ ფასი გადაიხადონ მიწისთვის, — საქმე ჩააბარონ «უცნობი სახელწოდების საადგილმამულო დაწესებულებებს» — ერთი სიტყვით, «სახალხო თავისუფლების პარტიის მიერ გაბდღვნილ ჩიტუნაზე» (1950 — 1951). გასაკვირველი არ არის აგრეთვე, რომ სტრუვეს და მის მსგავსთ განსაკუთრებით უ ნ დ ა შესძაგებოდათ ტრუდოვიკები II სათათბიროს შემდეგ: ვიდრე რუსი გლეხი ტრუდოვიკი იქნება, მანამდე კადეტების გეგმები ვერ განხორციელდება. ხოლო როცა რუსი

გლეხი თავს დაანებებს ტრუდოვიკობას, მაშინ საბოლოოდ გაქრება განსხვავება კადეტსა და ოქტიაბრისტს შორის!

მოკლედ აღვნიშნოთ სხვა ორატორები. აი გლეხი ნეჩიტაილო: «ის ადამიანები, რომლებიც გლეხების სისხლით არიან გამძღარნი, რომლებმაც ტვინი ამოსწუწნეს გლეხებს, 'უმეცრებს უწოდებენ მათ» (779). გოლოვინი აწყვეტინებს: მემამულეს შეუძლია შეურაცხყოს გლეხი, მაგრამ გლეხს... მემამულე? «ეს მიწები, რომლებიც ხალხს ეკუთვნის, — გვეუბნებიან: იყიდეთ ისინიო. განა ჩვენ ინგლისიდან, საფრანგეთიდან და სხვ. ჩამოსული უცხოელები ვართ? ჩვენ აქაური ხალხი ვართ, რატომ უნდა ვიყიდოთ ჩვენივე მიწები? ისინი ათჯერ არის გამოყიდული ჩვენი სისხლით, ოფლითა და ფულით» (780).

აი გლეხი კირნოსოვი (სარატოვის გუბერნიიდან): «ახლა ჩვენ მხოლოდ მიწის შესახებ ვლაპარაკობთ; კვლავ გვეუბნებიან: წმიდაა, ხელშეუხებელიაო. მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ხელშეუხებელი იყოს იგი; რაკი ეს ხალხს სურს, შეუძლებელია რაიმე ხელშეუხებელი იყოს*. (ხმა მარჯვნიდან: «ოჰო!».) მართლაც: ოჰო! (ტაში მარცხნივ.) ბატონო აზნაურებო, თქვენ ფიქრობთ, ჩვენ არ ვიცით, როდის აგებდით ჩვენს თავს ბანქოში, როდის გვცვლიდით ძაღლებზე? ვიცით, ყოველივე ეს იყო თქვენი წმიდა, ხელშეუხებელი საკუთრება... მიწა მოგვპარეთ... გლეხებმა, რომლებმაც აქ გამომგზავნეს, ასე მითხრეს: მიწა ჩვენია, ჩვენ აქ მოვედით არა მის საყიდლად, არამედ მისაღებად» (1144) **.

* უბრალო გლეხის მიერ ხალხის თვითმპყრობელობის იდეის დამახასიათებელი გამოხატულება. სხვა ბურჟუაზია, გარდა გლეხობისა, ჩვენს რევოლუციაში არ არის პროლეტარული პროგრამის ამ მოთხოვნის განსახორციელებლად.

** ტრუდოვიკი გლეხი ნაზარენკო (ხარკოვის გუბერნიიდან) I სათათბიროში ამბობდა: «თუ თქვენ იმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ უყურებენ გლეხები მიწას, გეტყვით, რომ როგორც ბავშვებისათვის აუცილებელია დედის ძუძუ, ისე ჩვენთვის, გლეხებისთვის, აუცილებელია მიწა. მხოლოდ

აი გლეხი ვასიუტინი (ხარკოვის გუბერნიიდან): «მინისტრთა საბჭოს ბ-ნ თავმჯდომარის წარმომადგენლის სახით ჩვენ აქ ვხედავთ არა მთელი ჩვენი ქვეყნის მინისტრს, არამედ 130 000 მემამულის მინისტრს. 90 მილიონი გლეხი მისთვის არაფერს არ შეადგენს... თქვენ (მიმართავს მემარჯვენეებს) ექსპლოატაციას ეწევით, ძვირად აქირავებთ თქვენს მიწებს და უკანასკნელ ტყავს აძრობთ გლეხს... იცოდეთ, რომ ხალხიც, თუ მთავრობა არ დააკმაყოფილებს მის საჭიროებებს, არ ითხოვს თქვენს თანხმობას, ის წაიღებს მიწას... მე უკრაინელი ვარ (უამბობს, როგორ აჩუქა ეკატერინემ პოტიომკინს ჭალა: 27 ათასი დესეტინა და 2 000 გლეხი)... წინათ მიწა იყიდებოდა 25 — 50 მან. დესეტინა, ახლა კი საიჯარო ქირა 15 — 30 მანეთია დესეტინაზე, სათიბი კი 35 — 50 მანეთი. ეს ტყავის გაძრობაა (дерикожество). (ხმა მარჯვნიდან: «რაო? дерикожество?» სიცილი.) არაფერია, ნუ გერიდებათ, დამშვიდდით (ტაში მარცხნივ); ამას მე ვუწოდებ გლეხებისთვის უკანასკნელი ტყავის გაძრობას» (643, 39-ე სხდომა, 16 მაისი).

გლეხი ტრუდოვიკების და გლეხთა ინტელიგენციის საერთო თვისებაა ცოცხალი მოგონება ბატონყმობისა. ყველა მათ აერთიანებს წყაროსავით მჩქეფარე სიძულვილი მემამულეებისა და მემამულეთა სახელმწიფოსადმი. ყველა მათში ბობოქრობს რევოლუციური აღტყინება. ერთნი სრულებით არ ფიქრობენ მომავალზე, იმ წყობილებაზე, რომელსაც ისინი ქმნიან, სტიქიურად ძაბავენ ძალებს «მემამულეთა დასამხობად». სხვები კი უტოპიურად აფერადებენ ამ წყობილებას, მაგრამ ყველას სძაგს კომპრომისი ძველ რუსეთთან, ყველანი

---

ამ თვალსაზრისით ვმსჯელობთ ჩვენ მიწის შესახებ. თქვენ, ალბათ, იცით, რომ სულ ამ ცოტა ხნის წინათ ბატონები ჩვენ დედებს აიძულებდნენ ძუძუ ეწოვებინათ ლეკვებისთვის. ახლაც იგივე ხდება. მაგრამ საქმე მხოლოდ ისაა, რომ ახლა ბატონის ლეკვები სწოვენ არა იმ დედას, რომელმაც ჩვენ გვშობა და გვაწოვა, არამედ იმას, რომელიც ჩვენ გვაპურებს — მიწას» (495).

იბრძვიან იმისთვის, რომ ქვა ქვაზე არ დატოვონ წყეული შუასაუკუნეობრიობისაგან.

როდესაც ერთმანეთს ადარებ მეორე სათათბიროს რევოლუციური გლეხების სიტყვებსა და რევოლუციური მუშების სიტყვებს, უნებურად თვალში გხვდება შემდეგი განსხვავება. პირველთ გაცილებით მეტი უშუალო რევოლუციურობა, აღტყინება აქვთ მემამულური ხელისუფლების დაუყოვნებლივი დანგრევისა, ახალი წყობილების დაუყოვნებლივ შექმნისა. გლეხი იწვის იმის სურვილით, რომ იქვე ეკვეთოს მტერს და დაახრჩოს ის. მუშის რევოლუციურობა უფრო განყენებულია, იგი თითქოს გადაწეულია უფრო შორეული მიზნისაკენ. ეს განსხვავება საესებით გასაგები და კანონიერია. გლეხი ახლა, დაუყოვნებლივ ახდენს თ ა ვ ი ს, ბურჟუაზიულ, რევოლუციას, ვერ ხედავს წინააღმდეგობებს მის შიგნით, დაუშვებლად თვლის აზრს ასეთ წინააღმდეგობათა შესახებ. მუშა სოციალ-დემოკრატი ხედავს ამ წინააღმდეგობებს, მას დასახული აქვს მსოფლიო-სოციალისტური მიზნები, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მუშათა მოძრაობის ბედი დაუკავშიროს ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგს. ოღონდ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს მუშა ბურჟუაზიულ რევოლუციაში მხარს უნდა უჭერდეს ლიბერალს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მუშა, არ უნდა შეუერთდეს რ ა ა რ ც ე რ თ სხვა კლასს, მ თ ე ლ ი ე ნ ე რ გ ი ი თ უნდა დაეხმაროს გლეხს ბოლომდე მიიყვანოს ეს ბურჟუაზიული რევოლუცია.

## 7. სოციალისტ-რევოლუციონერები

ინტელიგენტ-ესერების (გლეხები ზემოთ ჩვენ მივაკუთვნეთ ტრუდოვიკებს) სიტყვები აღსავსეა კადეტების ასეთივე შეურიგებელი კრიტიკით და მემამულეების წინააღმდეგ ომის სულისკვეთებით. უკვე ზემოთ ნათქვამს აღარ გავიმეორებთ და აღვნიშნავთ დეპუტატების ამ ჯგუფის ა ხ ა ლ თვისებას. ენესებისგან განსხვავებით, რომელნიც სოციალიზმის იდეალის ნაცვლად მზად არიან დაგვიხატონ იდეალი... დანიისა,

გლეხებისგან განსხვავებით, რომელთათვის უცხოა ყოველ-გვარი დოქტრინა და რომელნიც გამოხატავენ იმ დაჩაგრული ადამიანის უშუალო გრძნობას, რომელიც ასევე უშუალოდ აიდეალებს ექსპლოატაციის ამათუიმ ფორმისგან განთავისუფლებას, — ესერებს თავიანთ სიტყვებში შეაქვთ თ ა ვ ი-ა ნ თ ი «სოციალიზმის» დოქტრინა. აი უსპენსკი და საღათელიანი («დაშნაკცუტუნი» — ძალიან ახლოს დგანან ესერებთან, ხოლო «ახალგაზრდები» სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაშიც კი შედიან) აყენებენ თ ე მ ი ს საკითხს. უკანასკნელი ორატორი საკმაო გულუბრყვილობით შენიშნავს: «მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ მიწის ნაციონალიზაციის ვრცელი თეორიის განვითარების დროს მაინცადამაინც ხაზს არ უსვამენ ცოცხალ შემორჩენილ ინსტიტუტს, რომლის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ წინსვლა... ყველა ამ საშინელებათაგან (ევროპის საშინელებანი, წვრილი მეურნეობის დანგრევა და სხვ.) გვიცავს თემი» (1122).

თემის პატივცემული რაინდის «მწუხარება» ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის 26-ე ორატორი იყო აგრარულ საკითხზე.

მის წინ თავიანთი აზრი გამოთქვა არა ნაკლებ 14 მემარცხენემ, ტრუდოვიკმა და სხვ., და ყველა ისინი «მაინცადამაინც ხაზს არ უსვამდნენ ცოცხალ შემორჩენილ ინსტიტუტს»! «სამწუხარო» კი არის, როცა ხედავ სათათბიროელი გლეხების ისეთივე გულგრილობას თემისადმი, როგორიც გამოიჩინეს «გლეხთა კავშირის» ყრილობებმაც. საღათელიანი და უსპენსკი ისე მიუდგნენ თემს, როგორც ნამდვილი სექტანტები გლეხურ რევოლუციაში, რომელიც არ ცნობს ძ ვ ე ლ საადგილმამულო კავშირებს. «მე ვგრძნობ ერთგვარ საშიშროებას თემისთვის», — წუხს საღათელიანი (1123). «სწორედ ახლა უნდა გადავარჩინოთ თემი რადაც უნდა დაჯდეს» (1124). «ეს ფორმა (ე. ი. თემი) შეიძლება გაიშალოს მსოფლიო მოძრაობად, რომელსაც შეუძლია გვიჩვენოს ყველა ეკონომიური საკითხის გადაწყვეტა» (1126). როგორც ჩანს, მთელ ამ მსჯელობას თემის შესახებ ბ-ნი საღათელიანი ავი-

თარებდა «ნაღვლიანად და უადგილოდ». ხოლო მისმა კოლეგამ უსპენსკიმ, როცა თემის წინააღმდეგ მიმართულ სტოლიპინის კანონმდებლობას აკრიტიკებდა, სურვილი გამოთქვა, «რათა უკანასკნელ საზღვრამდე, უკანასკნელ შესაძლებლობამდე შემცირებულ იქნას მიწის საკუთრების მობილიზაცია» (1115).

ნაროდნიკის ეს სურვილი უეჭველად რეაქციულია. მაგრამ კურიოზულია, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, რომლის სახელით ასეთს სურვილს გამოთქვამდნენ სათათბიროში, იცავს მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას და ვერ შეუგნია, რომ ამ გზით ხდება მიწის ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ი მობილიზაცია, მისი ყველაზე უფრო თავისუფალი და იოლი გადასვლა მეპატრონიდან მეპატრონის ხელში, ყველაზე თავისუფალი და იოლი შეჭრა კაპიტალისა მიწათმოქმედებაში! მიწის კერძო საკუთრების აღრევა კაპიტალის ბატონობასთან მიწათმოქმედებაში დამახასიათებელი შეცდომაა მიწის ბურჟუაზიული ნაციონალიზატორებისა (მათ შორის ჯორჯისა და ბევრ სხვათა). «მობილიზაციის შეკვეცის» მისწრაფებაში ესერები ემთხვევიან კადეტებს, რომელთა წარმომადგენელმა კუტლერმა პირდაპირ განაცხადა თავის მოხსენებაში: «სახალხო თავისუფლების პარტია ფიქრობს შეზღუდოს ისინი (გლეხები) მხოლოდ გასხვისების უფლებისა და დაგირავების უფლებაში, ე. ი. მომავლისთვის თავიდან აიცილოს მიწების ყიდვა-გაყიდვის ფართო განვითარება» (მე-12 სხდომა, 1907 წლის 19 მარტი, გვ. 740).

კადეტები ამ რეაქციულ სურვილს უკავშირებენ აგრარული საკითხის გადაწყვეტის ისეთ ხერხს (მემამულეებისა და ბიუროკრატიის ბატონობა), რომელიც უზრუნველყოფს უაზრო მოხელურ აკრძალვათა და კანცელარული გაჭიანურების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს გლეხების დამონებას. ესერები რეაქციულ სურვილს უკავშირებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მოხელურ შეზღუდვებს (ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები საყოველთაო და სხვ. კენჭისყრის საფუძველზე). პირველთა მთელი

(ბიუროკრატიულ-მემამულური) პოლიტიკა ბურჟუაზიულ რევოლუციაში რეაქციულია. მეორეთა მეშჩანური «სოციალიზმი», რომელსაც შეცდომით თავს ახვევენ თანამიმდევრულ ბურჟუაზიულ რევოლუციას, რეაქციულია.

ესერების ეკონომიური თეორიების საკითხზე საინტერესოა აღინიშნოს მათი სათათბიროელი წარმომადგენლების მსჯელობანი მრეწველობის განვითარებაზე აგრარულ გარდაქმნათა გავლენის შესახებ. ბურჟუაზიულ რევოლუციონერთა გულუბრყვილო თვალსაზრისი, ოდნავ დაფარული ნაროდნიკობის დოქტრინის ნაჭუჭით, შესანიშნავი რელიეფობით იჩენს თავს. აი, მაგალითად, სოციალისტ-რევოლუციონერი კაბაკოვი (პერმის გუბერნიიდან), «გლეხთა კავშირის» ცნობილი ორგანიზატორი ურალში, «ალაპაევის რესპუბლიკის პრეზიდენტი»[106], იგივე «პუგაჩოვი» *. ის წმინდა გლეხურად ასაბუთებს გლეხთა უფლებას მიწის მიმართ, სხვათა შორის, იმით, რომ, გლეხები არასოდეს არ ამბობდნენ უარს მტრებისაგან რუსეთის დაცვაზე (1953). «რა საჭიროა მიწის დარიგება? — გაიძახის ის. — ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ მიწა მშრომელი გლეხობის საყოველთაო კუთვნილება უნდა იყოს, და გლეხები შეძლებენ ადგილებზე თვითონ გაინაწილონ მიწა, ვიღაც მოხელეების სრულიად ჩაურევლად, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიცით, რომ მათ არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ გლეხობისათვის» (1954). «ჩვენთან, ურალში, მთელი ქარხნები დადგა, რადგან ფურცლოვანი რკინა არ საღდება, ამავე დროს კი რუსეთში ყველა ქოხი ჩალით არის დახურული. უკვე დიდი ხანია საჭირო იყო გლეხის ყველა ამ სახლის ფურცლოვანი რკინით დახურვა... ბაზარი არის, ოღონდ მყიდველები არ არიან. ვინ არის ჩვენში მყიდველი მასა? ასმილიონიანი მშრომელი გლეხობა — სწორედ ეს არის მყიდველი მასის საძირკველი» (1952).

დიახ, აქ სწორად არის გამოხატული ურალის ნამდვილად კაპიტალისტური წარმოების პირობები ნაცვლად «პოსესიუ-

* იხ. «II სახელმწიფო სათათბიროს წევრთა სია», უცნობი ავტორის კერძო გამოცემა. სპბ. 1907.

რი» წარმოების საუკუნოვანი ნახევრადფეოდალური გაყინვისა. მ ა ს ი ს ცხოვრების პირობების შესამჩნევად გაუმჯობესება არ შეუძლია არც სტოლიპინის და არც კადეტების აგრარულ პოლიტიკას, უამისოდ კი ვერ განვითარდება ნამდვილად «თავისუფალი» მრეწველობა ურალში. მხოლოდ გლეხური რევოლუცია შეძლებდა ხის რუსეთის სწრაფად შეცვლას რკინის რუსეთით. ესერ გლეხს კაპიტალიზმის განვითარების პირობები უფრო სწორად და ფართოდ ესმის, ვიდრე კაპიტალის ნაფიც მსახურთ.

მეორე ესერი, გლეხი ხვოროსტუხინი (სარატოვის გუბერნიიდან), ამბობდა: «დიახ, ბატონებო, რა თქმა უნდა, სახალხო თავისუფლების პარტიის სახელით ბევრი ილაპარაკეს, თქვეს, შრომის ჯგუფს ბრალს ვდებთ იმაში, რომ მას სურს მიწა გადასცეს იმას, ვისაც სურს მასზე იშრომოსო. ისინი ამბობენ, მაშინ ქალაქებიდან ბევრნი წავლენ და კიდევ უარესი გამოვაო. მაგრამ მე ვფიქრობ, ბატონებო, რომ ქალაქებიდან მხოლოდ ისინი წავლენ, ვისაც არაფერი საქმე აქვს, ხოლო ვინც მუშაობს, ისინი შეჩვეული არიან მუშაობას, და რაკი სამუშაო ექნებათ, ქალაქიდან აღარ წავლენ. მართლაც, რატომ უნდა მივცეთ მიწა ისეთ პირთ, რომელთაც არ სურთ მიწის დამუშავება?»... (774). განა ცხადი არ არის, რომ ამ «ესერს» სურს სრულიადაც არა საყოველთაო გათანაბრებითი მიწათსარგებლობა, არამედ თავისუფალ მიწაზე თანასწორუფლებიანი და თავისუფალი ფერმერობის შექმნა?.. «რადაც უნდა დაჯდეს ეკონომიური თავისუფლება უნდა მივანიჭოთ მთელ ხალხს, განსაკუთრებით იმ ხალხს, რომელიც ამდენი წლის მანძილზე იტანჯებოდა და შიმშილობდა» (777).

არ იფიქროთ, ესერობის ნ ა მ დ ვ ი ლ ი შინაარსის ეს ს წ ო რ ი ფორმულირება («ეკონომიური თავისუფლების მინიჭება») — მ ხ ო ლ ო დ გლეხური გამოთქმის უხერხულობის შედეგია. არა მარტო ამისა. ესერების ლიდერი, ინტელიგენტი მუშენკო, რომელმაც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სახელით საბოლოო სიტყვა წარმოთქვა აგრარულ საკითხზე, შეუდარებლად უფრო გულუბრყვილოა თავის ეკო-

ნომიურ შეხედულებებში, ვიდრე გლეხები კაბაკოვი და ხვოროსტუხინი.

«ჩვენ ვამბობთ, — განაცხადა მუშენკომ, — წესიერი გადასახლება, წესიერი დასახლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიწა განღობილი იქნება, როცა აიღებენ ყველა ღობეს, რაც მასზეა გაკეთებული მიწის კერძო საკუთრების პრინციპის გამო. შემდეგ, მინისტრი ლაპარაკობდა ჩვენს სახელმწიფოში მოსახლეობის მატების შესახებ... ისე გამოდიოდა, რომ მოსახლეობის მარტო ამ ნამატისათვის (1,6 მილიონი) საჭიროა დაახლოებით $3^1/_2$ მილიონი დესეტინა მიწა. ის ამბობს: ამრიგად, თუ თქვენ მიწას გაათანაბრებთ, სად იშოვით მიწას მოსახლეობის ასეთი ნამატისათვის? მაგრამ გეკითხებით: სად, რომელ სახელმწიფოშია (sic!), რომ მოსახლეობის მთელი ნამატი მიწათმოქმედებას ეწეოდეს? აკი კანონი, რომელიც აწესრიგებს მოსახლეობის დანაწილებას წოდებათა, პროფესიათა მიხედვით, პირუკუ კანონია» (ხაზგასმა ჩვენია). «თუ სახელმწიფო, თუ ქვეყანა გადაგვარების გზას არ ადგია, არამედ ვითარდება მრეწველობის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სოფლის მეურნეობის საძირკველზე, რომელიც აკმაყოფილებს საკვებისა და ნედლეულის ელემენტარულ მოთხოვნილებებს, შენდება ახალ-ახალი სამეურნეო სართულები. მოთხოვნილებანი იზრდება, ჩნდებიან წარმოების ახალი პროდუქტები, ჩნდებიან წარმოების ახალი დარგები; დამმუშავებელი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იზიდავს მუშახელს. ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე სამიწათმოქმედო, და მოსახლეობის ნამატის დიდ ნაწილს ნთქამს. ზოგჯერ ხდება ხოლმე, ბატონებო, რომ სამიწათმოქმედო მოსახლეობა მცირდება არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლუტურადაც. თუ ჩვენში ეს (!) პროცესი ნელა მიმდინარეობს, ეს იმიტომ, რომ საძირკველი არ არსებობს ამ ახალი სამეურნეო სართულების ასაგებად. გლეხური მეურნეობა — ეს საძირკველი მეტისმეტად შერყეულია; ბაზარი მრეწველობისთვის მეტისმეტად პატარაა. ხალხისთვის მოსახმარად მიწის გადაცემის ნიადაგზე შექმენით ჯანმრთელი, მრავალრიცხოვანი, სასიცოცხლო ძალებით აღსავსე სამიწათმოქმედო მოსახლეობა, და თქვენ დაინახავთ, თუ რა მოთხოვნა იქნება მრეწველობის პროდუქტებზე და რა უამრავი მუშახელი იქნება საჭირო ქალაქების ფაბრიკებსა და ქარხნებში» (1173).

აბა, განა საუცხოო არ არის ეს «სოციალისტ-რევოლუციონერი», რომელიც კაპიტალიზმის განვითარების პროგრამას მიწის სოციალიზაციის პროგრამას უწოდებს? მას

არც კი ესმის, რომ ქალაქის მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდის კანონი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ წარმოების კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წესის კანონი. მას აზრადაც არ მოდის, რომ ეს «კანონი» არ მოქმედებს და ვერც იმოქმედებდა სხვანაირად, თუ გლეხობა არ დაიშლებოდა ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, თუ მიწათმოქმედთა შორის არ მოხდებოდა «დაშლა», ე. ი. «ლატაკთა» განდევნა «ნამდვილი მეურნის» მიერ. ის ეკონომიური ჰარმონია, რომელსაც ეს ესერი გვისურათებს კაპიტალისტური კანონის ნიადაგზე, გულისამაჩვილებლად გულუბრყვილოა. მაგრამ ეს არ არის იმ ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტის ჰარმონია, რომელსაც სურს მიჩქმალოს ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. ეს არის ჰარმონია შეუგნებელი ბურჟუაზიული რევოლუციონერისა, რომელსაც სურს პირწმინდად აღგავოს თვითმპყრობელობის, ბატონყმობის, შუასაუკუნეობრიობის ნაშთები.

ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელზეც ოცნებობს ჩვენი ახლანდელი აგრარული პროგრამა, სხვა გზით ვერ განვითარდება, თუ არა ა ს ე თ ი ბურჟუაზიული რევოლუციონერის მეშვეობით. შეგნებულმა მუშამაც მ ხ ა რ ი უ ნ დ ა დ ა უ ჭ ი რ ო ს მ ა ს საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისთვის და ერთი წუთითაც არ უნდა შეაცდენინოს თავი ნაროდნიკ «ეკონომისტების» ბავშვურ ტიტინს.

## 8. «ნაციონალები»

არარუს ეროვნებათა წარმომადგენლებიდან სათათბიროში აგრარულ საკითხზე ილაპარაკეს პოლონელებმა, ბელორუსებმა, ლატვიელებმა და ესტონელებმა, ლიტველებმა, თათრებმა, სომხებმა, ბაშკირებმა, ყირგიზებმა, უკრაინელებმა. აი როგორ გადმოსცემდნენ ისინი თავიანთ თვალსაზრისს.

ნაროდოველი[107] დმოვსკი II სათათბიროში ლაპარაკობდა «პოლონელების — პოლონეთის სამეფოსა და მისი მეზობე-

ლი სახელმწიფოს დასავლეთი ნაწილის წარმომადგენლების სახელით» (742): «თუმცა ჩვენი აგრარული ურთიერთობა უკვე დასავლეთ-ევროპულ ურთიერთობაზე გადასვლას წარმოადგენს, მიუხედავად ამისა აგრარული საკითხი ჩვენში დგას, და მცირემიწიანობა ჩვენი ცხოვრების წყლულია. ჩვენი სოციალური პროგრამის ერთერთი პირველი მუხლია გლეხური მიწათმფლობელობის ფართობის გადიდება» (743).

«თუ ჩვენში, პოლონეთის სამეფოში, დიდი აგრარული არეულობა იყო მემამულეთა მიწების დატაცების სახით, ეს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში იყო, სახელდობრ ვლოდავსკის მაზრაში, სადაც გლეხებს ეუბნებოდნენ, თქვენ, როგორც მართლმადიდებლებს, მემამულეთა მიწები მოგეცემათო. ეს არეულობა მხოლოდ მართლმადიდებელ მოსახლეობაში მოხდა» (745).

...«აქ (პოლონეთის სამეფოში) საადგილმამულო საქმე, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალური რეფორმა... შეიძლება მოაწესრიგოს, ცხოვრების მოთხოვნებებისდა მიხედვით, მხოლოდ მხარის წარმომადგენელთა კრებამ—მხოლოდ ავტონომიურმა სეიმმა» (747).

ნაროდოველ-პოლონელის ამ სიტყვამ მემარჯვენე ბელორუსი გლეხების (გავრილჩიკი, მინსკის გუბერნიიდან, შიმანსკი, გრუდინსკი) გააფთრებული თავდასხმა გამოიწვია პოლონელ მემამულეებზე, ხოლო ეპისკოპოსმა ევლოგიმ, რასაკვირველია, ხელი ჩასჭიდა ამას და რუსეთის 1863 წლის პოლიტიკის სულისკვეთებით გაჟღენთილი იეზუიტურ-პოლიციური სიტყვა წარმოთქვა პოლონელი მემამულეების მხრივ რუსი გლეხების ჩაგვრის შესახებ (26-ე სხდომა, 12 აპრილი).

«რა უბრალოდ მოსაზრებულია ეს!» — უპასუხებდა ნაროდოველი გრაბსკი (32-ე სხდომა, 3 მაისი). «გლეხები მიწას მიიღებენ; რუს მემამულეებს თავიანთი მიწები დარჩებათ; გლეხები, როგორც კურთხეულ ძველ დროს, მხარს დაუჭერენ ძველ რეჟიმს, ხოლო პოლონელები ჯეროვნად დაისჯებიან იმის გამო, რომ პოლონეთის სეიმზე დაიწყეს ლაპარაკი» (62). ორატორმა მხურვალედ ამხილა რუსეთის მთავრობის ურცხვი დემაგოგია და მოითხოვა «პოლონეთის სეიმისთვის გადაეცათ ჩვენში აგრარული რეფორმის გადაწყვეტა» (75).

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ზემოაღნიშნული გლეხები მოითხოვდნენ დამატებითი მიწების მიცემას ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ (მაგალითად, გვ. 1811). I სათათბიროშიც პოლონელი და დასავლეთის გლეხები მოითხოვდნენ მიწას და ემხრობოდნენ საკუთრებას. მე მცირე მიწის პატრონი გლეხი ვარ ლუბლინის გუბერნიიდან, — ამბობდა ნაკონეჩნი 1906 წ. 1 ივნისს. — პოლონეთშიც აუცილებელია იძულებითი გასხვისება. უმჯობესია 1 დესეტინა სამუდამოდ, ვიდრე 5 დესეტინა გაურკვეველი დროით (881—882). ამასვე ამბობდა პონიატოვსკი (ვოლინის გუბერნიიდან). დასავლეთის მხარის სახელით (19 მაისი, გვ. 501) და ტრასუნი ვიტებსკის გუბერნიიდან (418, 1906 წლის 16 მაისი). გირნუსმა (სუვალკის გუბერნიიდან) ამასთანავე გაილაშქრა მარტო საერთო-საიმპერიო საადგილმამულო ფონდის წინააღმდეგ ადგილობრივი საადგილმამულო ფონდების სასარგებლოდ (1906 წლის 1 ივნისი, გვ. 879). გრაფმა ტიშკევიჩმა მაშინვე განაცხადა, «არაპრაქტიკულად და საკმაოდ საშიშად» მიმაჩნია საერთო-სახალხო ფონდის შექმნის აზრიო (874). იგივე აზრი გამოთქვა სტეცკიმ (1906 წლის 24 მაისი, გვ. 613—614: პირადი საკუთრების სასარგებლოდ იჯარის წინააღმდეგ).

ბალტიისპირა მხარიდან II სათათბიროში გამოდიოდა იურაშევსკი (კურლანდიის გუბერნიიდან), რომელიც მოითხოვდა მსხვილ მიწათმფლობელთა ფეოდალური პრივილეგიების გაუქმებას (1907 წლის 16 მაისი, გვ. 670) და მემამულეთა მიწების გასხვისებას განსაზღვრულ ნორმაზე ზევით. «უნდა ვაღიარო, რომ ბალტიისპირა მხარეში ახლანდელი კულტურა განვითარდა იქ არსებული კერძო საკუთრების პრინციპის ან მემკვიდრეობითი იჯარის საფუძველზე, თუმცა იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობათა შემდგომი მოწესრიგებისათვის აუცილებელია თვითმმართველობის დაუყოვნებლივ შემოღება ბალტიისპირა მხარეში ფართო დემოკრატიულ საფუძვლებზე, რომელიც სწორად გადაჭრიდა ამ საკითხს» (672).

ესტლანდიის გუბერნიის წარმომადგენელმა, პროგრესისტმა იურინემ შეიტანა ცალკე პროექტი ესტლანდიის გუბერნიისთვის (47-ე სხდომა, 1907 წლის 26 მაისი, გვ. 1210). ის მხარს უჭერს «კომპრომისს» (1213) — «მემკვიდრეობითს ან სამუდამო იჯარას» (1214). «ის, ვინც მიწით სარგებლობს, ვინც უკეთ იყენებს მას, სწორედ მის ხელში იქნება მიწაც» (იქვე). იურინე ამ აზრით მოითხოვს იძულებითს გასხვისებას და უარყოფს მიწის კონფისკაციას (1215). I სათათბიროში ჩაკსტე (კურლანდიის გუბერნიიდან) მოითხოვდა, მემამულეთა მიწების გარდა, საეკლესიო (პასტორთა) მიწების გადაცემას გლეხებისთვის (მე-4 სხდომა, 1906 წლის 4 მაისი, გვ. 195). ტენისონი (ლიფლანდიის გუბერნიიდან) თანახმა იყო ხმა მიეცა ადრესისთვის, ე. ი. იძულებითი გასხვისებისთვის, და ამბობდა, რომ «მიწის ინდივიდუალიზაციის ყველა მომხრეს» (იქვე, გვ. 209) შეუძლია ეს ჰქნას. კრეიცბერგი (კურლანდიის გუბერნიიდან) კურლანდიელი გლეხობის სახელით მოითხოვდა «ლატიფუნდიების ექსპროპრიაციას» და მიწის მიცემას უეჭველად «საკუთრების უფლებით» უმიწაწყლოთა და მცირემიწიანთათვის (მე-12 სხდომა, 1906 წლის 19 მაისი, გვ. 500). რუტლი (ლიფლანდიის გუბერნიიდან) მოითხოვდა იძულებითს გასხვისებას და სხვ. «რაც შეეხება მიწის სახელმწიფო ფონდად გადაქცევას, — თქვა მან, — ჩვენს გლეხებს კარგად ესმით, რომ ეს არის გლეხების ახალი დამონება. ამიტომ ჩვენ უნდა დავიცვათ წვრილი გლეხური მეურნეობა, შრომის ნაყოფიერება და დავიცვათ ისინი კაპიტალიზმის ხელყოფისაგან. ამრიგად, თუ ჩვენ მიწას სახელმწიფო ფონდად გადავაქცევთ, უაღრესად მსხვილ კაპიტალიზმს შევქმნით» (497, იქვე). ოზოლინი (ლიფლანდიის გუბერნიიდან) ლატვიელ გლეხთა სახელით მხარს უჭერდა იძულებითს გასხვისებას და საკუთრებას; გადაჭრით წინააღმდეგია საერთოსახელმწიფოებრივი საადგილმამულო ფონდისა, დასაშვებად თვლის მხოლოდ ადგილობრივ საოლქო ფონდებს (მე-13 სხდომა, 1906 წლის 23 მაისი, გვ. 564).

ლეონასი, «სუვალკის გუბერნიიდან, სახელდობრ ლიტველი ერის წარმომადგენელი» (39-ე სხდომა, 1907 წლის 16 მაისი, გვ. 654), იცავდა კადეტთა პარტიის გეგმას, პარტიისა, რომელშიც ის შედის. მეორე ლიტველი ავტონომისტი იმავე გუბერნიიდან, ბულატი, შეუერთდა ტრუდოვიკებს, მაგრამ იმ აზრისა იყო, რომ გადაწყვეტილება გამოყიდვისა და სხვათა შესახებ გადაედოთ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების მიერ საქმის განხილვამდე (გვ. 651, იქვე). პოვილუსმა (კოვნოს გუბერნიიდან) «ლიტვის სოციალ-დემოკრატების სათათბიროს ჯგუფის» სახელით (იქვე, გვ. 681, დამატება) შეიტანა ამ ჯგუფის ზუსტად ფორმულირებული აგრარული პროგრამა, რომელიც ემთხვევა ჩვენს რსდმ პარტიის პროგრამას, ი მ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, რ ო მ «ლ ი ტ ვ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი ადგილობრივი მიწის ფონდი» გადადის «ლიტვის ავტონომიური თვითმმართველობის ორგანოს» განკარგულებაში (იქვე, მუხლი 2).

II სათათბიროში მუსლიმანთა ჯგუფის სახელით ლაპარაკობდა ხან ხოისკი (ელისავეტპოლის გუბერნიიდან): «ჩვენ, მუსლიმანები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის 20 მილიონზე მეტს შევადგენთ, ასეთივე გულისხმიერებით ვუგდებთ ყურს აგრარული საკითხის ყველა პერიპეტიას და ასეთივე მოუთმენლობით ველოდებით მის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას» (მე-20 სხდომა, 1907 წლის 2 აპრილი, გვ. 1499). მუსლიმანთა ჯგუფის სახელით ორატორი ეთანხმება კუტლერს, ემხრობა იძულებითს გასხვისებას სამართლიანი შეფასების საფუძველზე (1502). «მაგრამ ვის უნდა გადაეცეს ეს გასხვისებული მიწები? ამ მხრივ მუსლიმანთა ჯგუფის აზრით გასხვისებული მიწებისგან უნდა შედგეს არა საერთო-სახელმწიფოებრივი საადგილმამულო ფონდი, არამედ საოლქო საადგილმამულო ფონდი თვითეული ოლქის ფარგლებში» (1503). «ყირიმის თათრების წარმომადგენელი», დეპუტატი მედიევი (თავრიდის გუბერნიიდან) მხურვალე რევოლუციურ სიტყვაში მხარს უჭერს «მიწას და თავისუფლებას». «რაც უფრო მეტად გრძელდება კამათი,

მით უფრო ცხადი ხდება ხალხის მოთხოვნა — რომ მიწით ის უნდა სარგებლობდეს, ვინც მასზე შრომობს» (24-ე სხდომა, 1907 წლის 9 აპრილი, გვ. 1789). ორატორი აღნიშნავს, «ჩვენს განაპირა მხარეებში როგორ გაჩნდა მიწის წმინდათა წმინდა საკუთრება» (1792), როგორ იტაცებდნენ ბაშკირთა მიწებს მინისტრები და ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლები, ჟანდარმთა სამმართველოების უფროსები ღებულობდნენ 2 — 6 ათას დესეტინას თვითეული. მას მოჰყავს «მოძმე თათრების» განაწესი, რომლებიც ჩივიან, ვაკუფის მიწების[108] დატაცებას. მას ციტატი მოჰყავს თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის პასუხიდან ერთი თათრისადმი, 1906 წლის 15 დეკემბრის თარიღით, რომ სახაზინო მიწებზე გადასახლება მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების პირთ შეუძლიათო. «ამ დოკუმენტებს ხომ არ უდის რაღაც დამპალი გასული საუკუნის არაკჩეევობის სუნი?» (1794).

კავკასიელი გლეხების სახელით, — გარდა ჩვენი პარტიული სოციალ-დემოკრატებისა, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი, — ამბობდა ზემოთ მოხსენებული საღათელიანი (ერევნის გუბერნიიდან), რომელიც ესერების თვალსაზრისზე იდგა. «დაშნაკცუტუნის» პარტიის მეორე წარმომადგენელი, ტერ-ავეტიკიანცი (ელისავეტპოლის გუბერნიიდან) იმავე თვალსაზრისს იცავდა: «მიწა სათემო მფლობელობის საფუძვლებზე უნდა ეკუთვნოდეს მშრომელებს, ე. ი. მშრომელ ხალხს და სხვას არავის» (39-ე სხდომა, 1907 წლის 16 მაისი, გვ. 644). «მთელი კავკასიელი გლეხობის სახელით ვაცხადებ... გადამწყვეტ მომენტში მთელი კავკასიელი გლეხობა ხელიხელჩაკიდებული გამოვა თავის უფროს ძმასთან — რუს გლეხობასთან — ერთად და მოიპოვებს მიწას და თავისუფლებას» (646). ელდარხანოვი «თავისი ამომრჩევლების— თერგის ოლქის მკვიდრთა — სახელით შუამდგომლობს, რომ ბუნებრივ სიმდიდრეთა დატაცება შეჩერებულ იქნას აგრარული საკითხის გადაწყვეტამდე» (32-ე სხდომა, 1907 წლის 3 მაისი, გვ. 78), ხოლო მიწას იტაცებს მთავრობა, რომელსაც მიაქვს მთიანი ზოლის საუკეთესო ნაწილი, ძარცვავს ყუმიხი

ხალხის მიწებს, პრეტენზიას აცხადებს მიწის წიაღზე (ალბათ, ეს იყო პლეხანოვისა და ჯონის მიერ სტოკჰოლმში წაკითხულ ლექციამდე არადემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მუნიციპალიზებული მიწების მიუწვდომლობის შესახებ).

ბაშკირების სახელით დეპუტატი ხასანოვი (უფის გუბერნიიდან) მოაგონებს მთავრობის მიერ 2 მილიონი დესეტინა მიწის დატაცებას და მოითხოვს, რომ ეს მიწები «უკანვე იქნას ჩამორთმეული» (39-ე სხდომა, 1907 წლის 16 მაისი, გვ. 641). ამასვე მოითხოვდა I სათათბიროს უფელი დეპუტატი, სირტლანოვი (მე-20 სხდომა, 1906 წლის 2 ივნისი, გვ. 923). ყირგიზ-ყაისახის ხალხის სახელით II სათათბიროში ლაპარაკობდა დეპუტატი კარატაევი (ურალის ოლქი): «ჩვენ, ყირგიზ-ყაისახებს... კარგად გვესმის და ვგრძნობთ ჩვენი მოძმე გლეხების მიწის შიმშილს, ჩვენ მზადა ვართ სიამოვნებით შევვიწროვდეთ» (39-ე სხდომა, გვ. 673), მაგრამ «ზედმეტი მიწები ძალიან ცოტაა», ხოლო «გადმოსახლება ამჟამად დაკავშირებულია ყირგიზ-ყაისახის ხალხის გადასახლებასთან»... «ყირგიზებს ასახლებენ არა მიწებიდან, არამედ მათი საცხოვრებელი სახლებიდან» (675). «ყირგიზ-ყაისახები ყოველთვის თანაუგრძნობენ ყველა ოპოზიციურ ფრაქციას» (675).

უკრაინელთა ფრაქციის სახელით II სათათბიროში 1907 წლის 29 მარტს ილაპარაკა პოლტავის გუბერნიის კაზაკმა საიკომ. მან მოიყვანა კაზაკების სიმღერა: «Гей, царица Катерина, що ты наробила? Степь, широкий край веселый панам раздарила. Гей, царица Катерина, змилуйся над нами, вилдай землю, край веселый с темными гаями»; ის შეუერთდა ტრუდოვიკებს, მხოლოდ მოითხოვდა 104-ის პროექტის § 2-ის სიტყვები «საერთო-სახალხო საადგილმამულო ფონდი» შეეცვალათ სიტყვებით: «სამხარეო ეროვნული (sic!) საადგილმამულო ფონდი, რაც დასაწყისი უნდა გახდეს სოციალისტური მოწყობისაო». «უკრაინელთა ფრაქციას

უდიდეს უსამართლობად მიაჩნია ქვეყნად მიწის კერძო საკუთრება» (1318).

პირველ სათათბიროში პოლტაველმა დეპუტატმა ჩიჟევსკიმ განაცხადა: «მე, როგორც ავტონომიის იდეის, კერძოდ, უკრაინის ავტონომიის მხურვალე მომხრეს, ძალიან მსურს, რომ აგრარული საკითხი გადაწყვიტოს ჩემმა ხალხმა, რომ აგრარული საკითხი გადაწყვიტონ ცალკეულმა ავტონომიურმა ერთეულებმა, ჩვენი სახელმწიფოს იმ ავტონომიურ წყობილებაში, რომელიც მე იდეალად მიმაჩნია» (მე-14 სხდომა, 1906 წლის 24 მაისი, გვ. 618). მაგრამ ამავე დროს ეს უკრაინელი ავტონომისტი აღიარებს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის უეჭველ საჭიროებას და ამასთან განმარტავს ჩვენი «მუნიციპალისტების» მიერ დახლართულ საკითხს. «ჩვენ მტკიცედ და დადებითად უნდა დავადგინოთ ის პრინციპი, — ამბობდა ჩიჟევსკი, — რომ სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მიწების გამგებლობა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველ საერობო ან ავტონომიურ ერთეულებს, როდესაც კი ისინი წარმოიშობიან. მართლაც, რაღა აზრი ექნება მაშინ სახელწოდებას «სახელმწიფო საადგილმამულო ფონდი», თუ ყველა კერძო შემთხვევაში მას განაგებენ ადგილობრივი თვითმმართველობანი? მე ვფიქრობ, რომ დიდი აზრი ექნება. უწინარეს ყოვლისა, ...სახელმწიფო ფონდის ნაწილი ცენტრალური მთავრობის განკარგულებაში უნდა იყოს... ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივი საკოლონიზაციო ფონდი... შემდეგ, მეორე, სახელმწიფო ფონდის დაწესების აზრი და მისი ასეთი სახელწოდების აზრი იქიდან გამომდინარეობს, რომ თუმცა ადგილობრივი დაწესებულებები თავისუფალი იქნებიან ადგილობრივ თავისუფლად განაგონ ეს ფონდი, მაგრამ მაინც გარკვეულ ფარგლებში» (620). ამ წვრილბურჟუაზიულ ავტონომისტს ვაცილებით უკეთ ესმის სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელობა ეკონომიური განვითარებით ცენტრალიზებულ საზოგადოებაში, ვიდრე ჩვენს მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს.

სხვათა შორის. როცა ჩიჟევსკის სიტყვის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ «ნორმების» კრიტიკას, რასაც იგი იძლევა. «შრომითი ნორმა — ეს ცარიელი სიტყვაა», პირდაპირ ლაპარაკობს ის, ამასთან აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო პირობების სხვადასხვაობას და იმავე საფუძველზე უარყოფს «სამომხმარებლო» ნორმას. «მე ვფიქრობ, გლეხებს მიწა უნდა მიეცეთ არა რაიმე ნორმის მიხედვით, არამედ არსებული მარაგის ოდენობის მიხედვით... გლეხებს უნდა მიეცეთ ყველაფერი ის, რაც კი შეიძლება მიეცეს ამა თუ იმ ადგილას», — მაგალითად, პოლტავის გუბერნიაში «ყველა მიწათმფლობელს მიწა უნდა ჩამოერთვას, საშუალოდ, როგორც მაქსიმუმი, 50 დესეტინის დატოვებით» (621). განა გასაკვირველია, როცა კადეტები ნორმებზე ლაყბობენ, რათა დაფარონ გასხვისების ნამდვილი ოდენობის თავიანთი გეგმები? ჩიჟევსკი კადეტებს აკრიტიკებს, თუმცა ეს კიდევ არა აქვს შეგნებული *.

დასკვნა აგრარულ საკითხზე სათათბიროში «ნაციონალების» გამოსვლათა ჩვენი მიმოხილვიდან ნათელია. ამ გამოსვლებმა საკვლევით დაადასტურეს ის, რასაც მე ვლაპარაკობდი მასლოვის წინააღმდეგ ბროშურაში «გადასინჯვა» და სხვ.

---

* ჩიჟევსკი უდიდესი სიცხადით აყენებს აგრეთვე შეუგნებლად ბურჟუაზიული ტრუდოვიკების ჩვენთვის უკვე ნაცნობ დებულებას: მრეწველობის ზრდა, მიწისკენ ლტოლვის შ ე მ ც ი რ ე ბ ა თანამიმდევრული გლეხური რევოლუციის დროს. «ჩვენი გლეხები, იგივე ამრჩევლები, რომლებმაც ჩვენ აქ გამოგვგზავნეს, მაგალითად, ასეთ გაანგარიშებას ახდენდნენ: «ჩვენ რომ ცოტათი უფრო მდიდრები ვიყვნეთ და თვითეულ ჩვენს ოჯახს წელიწადში 5—6 მანეთის შაქრის ყიდვა შეეძლოს, — თვითეულ იმ მაზრაში, სადაც შესაძლებელია ჭარხლის მოყვანა, რამდენიმე შაქრის ქარხანა გაჩნდებოდა, იმის დამატებით, რაც ახლა არსებობს». სავსებით ბუნებრივია, ეს ქარხნები რომ გაჩენილიყო, რამდენი მუშახელი დასჭირდებოდა მეურნეობას მისი ინტენსიფიკაციის შემთხვევაში! გადიდდებოდა შაქრის ქარხნების წარმოება» და სხვ. (622). ეს სწორედ «ამერიკული» ფერმერობისა და რუსეთში კაპიტალიზმის «ამერიკული» განვითარების პროგრამაა.

(პირველი გამოცემის) მე-18 გვერდზე* ეროვნებათა უფლებებთან მუნიციპალიზაციის შეფარდების საკითხზე, სახელდობრ, რომ ეს არის პოლიტიკური საკითხი, რომელსაც ამოსწურავს ჩვენი პროგრამის პოლიტიკური ნაწილი და რომელსაც მხოლოდ მეშჩანური პროვინციალიზმის გამო ატმასნიან აგრარულ პროგრამას.

მენშევიკები სტოკჰოლმში კომიკური გულმოდგინებით ჯახირობდნენ იმაზე, რომ «ნაციონალიზაციისაგან გაეწმინდათ მუნიციპალიზაცია» (მენშევიკ ნოვოსელსკის სიტყვები სტოკჰოლმის ყრილობის ოქმებში, გვ. 146). «ზოგიერთი ისტორიული ოლქი, როგორც, მაგალითად, პოლონეთი, ლიტვა, — ამბობდა ნოვოსელსკი, — ემთხვევა ნაციონალურ ტერიტორიებს, და ამ ოლქებისთვის მიწის გადაცემა შეიძლება ის ნიადაგი გახდეს, რომელზედაც წარმატებით განვითარდება ნაციონალისტურ-ფედერალისტური ტენდენციები, რაც არსებითად მუნიციპალიზაციას კვლავ გადააქცევს ნაციონალიზაციად ნაწილ-ნაწილ». და აი ამიტომაც ნოვოსელსკი და დანი ემხრობოდნენ და მიაღებინეს შესწორება: ნაცვლად სიტყვებისა: «თვითმმართველი მსხვილი საოლქო ორგანიზაციებისა» მასლოვის პროექტში შეტანილ იქნას სიტყვები: «ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოებისა, რომლებიც აერთიანებენ ქალაქისა და სოფლის ოკრუგებს».

თქმა არ უნდა, გონებამახვილი გაწმენდა კია «ნაციონალიზაციისაგან მუნიციპალიზაციისა». ერთი სიტყვა შეცვალეს მეორეთი, — განა ცხადი არ არის, რომ აქედან თავისთავად გამომდინარეობს «ისტორიული ოლქების» გადაჯგუფება?

არა, ბატონებო, ვერავითარი სიტყვების შეცვლით ვერ ამოაგდებთ თქვენ მუნიციპალიზაციიდან მის დამახასიათებელ «ნაციონალისტურ-ფედერალისტურ» სისულელეს. მეორე სათათბირომ ცხადყო, რომ სინამდვილეში «მუნიციპა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 206 — 207. რედ.

ლიზატორულმა» იდეამ მ ხ ო ლ ო დ ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფის ნაციონალისტურ ტენდენციებს გ ა უ წ ი ა ს ა მ ს ა ხ უ რ ი. მ ხ ო ლ ო დ ა მ ჯ გ უ ფ ე ბ მ ა, თუ არ ჩავთვლით მემარჯვენე კაზაკს კარაულოვს, «იკისრეს» სხვადასხვა «სამხარეო» და «საოლქო» ფონდის დაცვა. ამასთან პროვინციალიზაციის (რადგან ფაქტიურად მასლოვი მიწას «აძლევს» პროვინციებს და არა «მუნიციპიებს», ასე რომ სიტყვა პროვინციალიზაცია უფრო ზუსტია) ა გ რ ა რ უ ლ ი შინაარსი ნაციონალებმა უ ა რ ყ ვ ე ს: წინასწარ არაფერი არ გადაწყდეს, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გადაეცეს ავტონომიურ სეიმებს ან საოლქო და სხვ. თვითმმართველობებს, გამოყიდვის საკითხიც, საკუთრების საკითხიც და სხვ. უაღრესი სისრულით დადასტურდა ჩემი სიტყვები: «სულერთია, მაინც პიტერის დამფუძნებელ კრებას მოუხდება ამიერკავკასიის მიწების ერობიზაციის კანონის გამოცემა, რადგან მასლოვს ხომ არ სურს ყოველ განაპირა მხარეს მიანიჭოს თავისუფლება — შეინარჩუნონ მემამულური მიწათმფლობელობა» («გადასინჯვა», გვ. 18) *.

ამრიგად, მოვლენებმა დაადასტურეს, რომ მუნიციპალიზაციის დაცვა ეროვნებათა თანხმობისა თუ არათანხმობის მოსაზრებებით უხამსი არგუმენტია. ჩვენი პროგრამის მუნიციპალიზაცია წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ფრიად სხვადასხვა ეროვნებათა გარკვევით გამოთქმულ აზრთან.

მოვლენებმა დაადასტურეს, რომ სინამდვილეში მუნიციპალიზაცია ემსახურება არა საერთო-ნაციონალური მასშტაბის მასობრივი გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობას, არამედ ამ მოძრაობის დაქუცმაცებას პროვინციულ და ნაციონალურ ნაკადულებად. მასლოვის საოლქო ფონდების ი დ ე ებ ი დ ა ნ ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ შეითვისა მ ხ ო ლ ო დ ნაციონალურ-ავტონომისტური «კუთხურობა».

«ნაციონალები» რამდენადმე განზე დგანან ჩ ვ ე ნ ი აგრარული საკითხისაგან. ბევრ არარუს ეროვნებას რევოლუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 206. რ ე დ.

ციის ცენტრში არა აქვს დამოუკიდებელი გლეხთა მოძრაობა, როგორც ეს ჩვენშია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თავიანთ პროგრამებში «ნაციონალები» ხშირად რაოდენადმე განზე დგანან რუსეთის აგრარული საკითხისაგან. რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ჩვენთვისა ვართო. ნაციონალისტური ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის მხრივ ასეთი თვალსაზრისი გარდუვალია.

პროლეტარიატის მხრივ ეს შეუწყნარებელია, ჩვენი პროგრამა კი სინამდვილეში სწორედ ამ შეუწყნარებელ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში ვარდება. როგორც «ნაციონალები» საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ემხრობიან სრულიად რუსეთის მოძრაობას და მიზნად არ ისახავენ მისი ძალების გაათკეცებას მოძრაობის გაერთიანებით, კონცენტრაციით, ასევე მენშევიკები აგებენ პროგრამას, რომელიც უახლოვდება გლეხურ რევოლუციას, ნაცვლად იმისა, რომ მოგვცენ პროგრამა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს რევოლუციას, დარაზმავს მას და წინმსვლელობის ბიძგს მისცემს. მუნიციპალიზაცია გლეხური რევოლუციის ლოზუნგი კი არ არის, არამედ მეშჩანური რეფორმიზმის გამოგონილი გეგმაა, გარედან მორგებული რევოლუციის ხვეულებისათვის.

სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს არ შეუძლია თავისი პროგრამა შეცვალოს იმისდა მიხედვით, «დათანხმდებიან» თუ არა ამას ცალკეული ეროვნებანი. ჩვენი საქმეა მოძრაობის გაერთიანება და კონცენტრაცია, რისთვისაც უნდა გავწიოთ საუკეთესო გზის, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საუკეთესო მიწათმოწყობის პროპაგანდა, ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ტრადიციის, ცრურწმენებისა და დამყაყებული პროვინციალიზმის ძალას. წვრილი გლეხების «დაუთანხმებლობას» მიწის სოციალიზაციაზე არ შეუძლია შეცვალოს სოციალისტური რევოლუციის ჩვენი პროგრამა. მას შეუძლია მხოლოდ გვაიძულოს უპირატესობა მივცეთ მაგალითით მოქმედებას. ასევეა მიწის ნაციონალიზაციის საქმეც

ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ამა თუ იმ ეროვნების თუ ეროვნებათა არავითარ «დაუთანხმებლობას» არ შეუძლია გვაიძულოს შევცვალოთ მოძღვრება იმის შესახებ, რომ მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობისგან რაც შეიძლება უფრო სრულად განთავისუფლება და მიწის კერძო საკუთრების გაუქმება. ამა თუ იმ ეროვნების მშრომელი მასის მნიშვნელოვანი ფენების «დაუთანხმებლობა» გვაიძულებს უპირატესობა მივცეთ მაგალითით ზემოქმედებას ყოველგვარი სხვა ზემოქმედების წინაშე. საკოლონიზაციო ფონდის ნაციონალიზაციას, ტყეების ნაციონალიზაციას, მთელი მიწის ნაციონალიზაციას ცენტრალურ რუსეთში არ შეუძლია რაოდენადმე ხანგრძლივად შეეგუოს მიწის კერძო საკუთრებას სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილის ფარგლებში (რაკი ამ სახელმწიფოს გაერთიანების მიზეზს ეკონომიური ევოლუციის ნამდვილად ძირითადი ნაკადი წარმოადგენს). ან ერთმა, ან მეორე სისტემამ უნდა გაიმარჯვოს. ამას გამოცდილება გადაწყვეტს. ჩვენი საქმეა ვიზრუნოთ ხალხისთვის იმ პირობების გამორკვევაზე, რომლებიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელი მასებისთვის.

## 9. სოციალ-დემოკრატები

II სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოთქმული რვა სოციალ-დემოკრატიული სიტყვიდან მხოლოდ ორი შეიცავდა მუნიციპალიზაციის დ ა ც ვ ა ს და არა უბრალოდ მის მოხსენიებას. ეს იყო ოზოლის სიტყვა და წერეთლის მეორე სიტყვა. დანარჩენი სიტყვები, უმთავრესად, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ შეიცავდნენ თავდასხმას მემამულურ მიწათმფლობელობაზე საერთოდ და აგრარული საკითხის პოლიტიკური მხარის გამორკვევას. ამ მხრივ მეტისმეტად დამახასიათებელია მემარჯვენე გლეხის პეტროჩენკოს უბრალო სიტყვა (22-ე სხდომა, 1907 წლის 5 აპრილი), რომელიც გადმოსცემს სოფლელი დეპუტატის საერთო შთაბეჭდილებას

სხვადასხვა პარტიის ორატორთა სიტყვებისგან. «მე არ დავღლი თქვენს ყურადღებას იმის ჩამოთვლით, რაც აქ ითქვა; ნება მიბოძეთ ამის შესახებ ვთქვა უბრალო სიტყვებით. დეპუტატმა სვიატოპოლკ-მირსკიმ აქ გრძელი სიტყვა წარმოთქვა. ეს სიტყვა ჩვენ, როგორც ჩანს, რიღაცისთვის გვამზადებდა. მოკლედ თუ ვიტყვით, გამოდის, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება წაიღოთ ის მიწა, რომელიც მე მეკუთვნის ან რომელსაც მე ვფლობ, და მე მას არც მოგცემთო. ამაზე დეპუტატმა კუტლერმა უთხრა: «ეს დრო წავიდა, უნდა მისცე, თქვენც მიეცით და ფული მიიღეთო». დეპუტატი დმოვსკი ასე ამბობს: «მიწის შესახებ როგორც გნებავდეთ, მაგრამ ავტონომია აუცილებლად საჭიროაო». ამავე დროს დეპუტატი კარავაევი ასე ლაპარაკობს: «ერთიც და მეორეც საჭიროა, მაგრამ ჯერ ყველაფერს ერთად მოვუყაროთ თავი, შემდეგ კი დავყოთო». წერეთელი ლაპარაკობს: «არა, ბატონებო, დაყოფა არ შეიძლება, რადგან მთავრობა ჯერჯერობით ძველია, და ის ამის ნებას არ დაგვრთავს. ჩვენ კი სჯობს შევეცადოთ როგორმე ხელში ჩავიგდოთ ძალაუფლება, მერე კი დავყოთ როგორც მოვისურვებთო»» (გვ. 1615).

გლეხმა, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატის სიტყვის ერთადერთი განსხვავება ტრუდოვიკის სიტყვისაგან სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ბრძოლის, «ძალაუფლების ხელში ჩაგდების» აუცილებლობის გამორკვევაში დაინახა. დანარჩენი განსხვავებანი მან ვერ შენიშნა, არაარსებითად მოეჩვენა მას! წერეთლის პირველ სიტყვაში ჩვენ ვხედავთ, მართლაც, იმის მხილებას, რომ «ჩვენი მოხელე დიდკაცობა ამავე დროს მიწათმფლობელი დიდკაცობაც არის» (725). ორატორმა ცხადყო, თუ «რამდენიმე საუკუნის მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლება როგორ არიგებდა კერძო საკუთრებად იმ მიწებს, რომლებიც მთელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მიწებს, რომლებიც მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენდა» (724). განცხადება, რომელიც მან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შეიტანა თავისი სიტყვის დასასრულს და რო-

მელიც ჩვენს აგრარულ პროგრამას იმეორებდა, დაუსაბუთებელი და სხვა «მემარცხენე» პარტიის პროგრამებისადმი დაუპირისპირებელი დარჩა. ჩვენ ამას აღვნიშნავთ სრულიადაც არა იმისთვის, რომ ვისმეს ბრალი დავდოთ, — პირიქით, წერეთლის პირველი სიტყვა, მოკლე, ნათელი, მიმართული მემამულური მთავრობის კლასობრივი ხასიათის გამორკვევისკენ, ჩვენ მეტისმეტად მარჯვე სიტყვად მიგვაჩნია, — არამედ იმისთვის, რომ ავხსნათ, რატომ გაჰქრა მემარჯვენე გლეხისთვის (ალბათ, ყველა გლეხისთვისაც) ჩვენი პროგრამის სპეციფიკური სოციალ-დემოკრატიული ნიშნები.

სათათბიროს შემდგომ «აგრარულ სხდომაზე» (მე-16 სხდომა, 1907 წლის 26 მარტი) მეორე სოციალ-დემოკრატიული სიტყვა აგრარულ საკითხზე წარმოთქვა მუშა ფომიჩევმა (თავრიდის გუბერნიიდან), რომელიც ხშირად ამბობდა: «ჩვენ, გლეხები». ფომიჩევმა გაცხარებით და მკვახედ უპასუხა სვიატოპოლკ-მირსკის, რომლის ცნობილმა სიტყვებმა: გლეხები უმემამულეებოდ — «უმწყემსო ჯოგიაო» უფრო მეტად იმოქმედა გლეხთა დეპუტატებზე, ვიდრე რამდენიმე სხვა «მემარცხენე» სიტყვებმა. «დეპუტატი კუტლერი ვრცელ სიტყვაში ავითარებდა იძულებითი გასხვისების აზრს, მაგრამ გამოყიდვით. ჩვენ, გლეხების წარმომადგენლებს, არ შეგვიძლია გამოყიდვა ვაღიაროთ იმიტომ, რომ გამოყიდვა ეს არის ახალი მარყუჟი გლეხის კისერზე» (1113). დასასრულ ფომიჩევი მოითხოვდა «მთელი მიწების გადაცემას მშრომელთა ხელში იმ პირობებით, რომლებიც დეპუტატმა წერეთელმა წამოაყენა» (1114).

შემდეგი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე მუშა იზმაილოვმა, რომელიც გავიდა გლეხთა კურიიდან ნოვგოროდის გუბერნიაში (მე-18 სხდომა, 1907 წლის 29 მარტი). იგი უპასუხებდა თავის თანასოფლელს, გლეხ ბოგატოვს, რომელიც ნოვგოროდელი გლეხების სახელით თანახმა იყო გამოყიდვისა. იზმაილოვმა აღშფოთებით უარყო გამოყიდვა. მან ილაპარაკა ნოვგოროდელი გლეხების «განთავისუფლების» პირობებ-

ზე; მათ 10 მილიონი დესეტინა სახნავ-სათესი მიწიდან მიიღეს 2 მილიონი დესეტინა და 6 მილიონი დესეტინა ტყიდან 1 მილიონი დესეტინა. მან აღწერა გლეხების გაჭირვება, იქამდე მისული, რომ ისინი არათუ «ათეული წლების მანძილზე წვავენ ღუმელებში თავიანთი ქოხების ირგვლივ გაკეთებულ ღობეებს», არამედ «კუთხეებს ხერხავენ საკუთარ ქოხებს», «ძველი დიდი ქოხებიდან პატარას აკეთებენ მხოლოდ იმისთვის, რომ გადაკეთების დროს როგორმე მომჭირნეობა გასწიონ ერთ იღლია შეშაზე სათბობად» (1344). «აი ჩვენი გლეხების ასეთი მდგომარეობის დროს ბატონ მემარჯვენეებს კულტურა მოენატრათ. აი, ხედავ, გლეხმა, მათი აზრით, იგემა კულტურა. განა კულტურისთვის სცალია მშიერ და გათოშილ გლეხს? და აი მიწის ნაცვლად მათ უნდათ გლეხს ეს კულტურა შესთავაზონ; მაგრამ მე აქაც არ ვენდობი მათ და ვფიქრობ, რომ ისინიც დათანხმდებიან გაყიდონ თავიანთი მიწები, მაგრამ დაიწყებენ ჯანჯლობას, რათა გლეხმა რაც შეიძლება ძვირად იყიდოს მიწა. და აი რატომ თანხმდებიან ისინი. ჩემი აზრით — და განსაკუთრებით გლეხებმა უნდა იცოდნენ ეს — საქმე სრულებითაც მიწას არ ეხება, ბატონებო. მე ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მიწის საკითხში იფარება რაღაც სხვა რამ, რაღაც სხვა ძალა, რომლის ხალხისთვის გადაცემას მებატონე-თავადაზნაურები უფრთხიან, შიშობენ მიწასთან ერთად არ დავკარგოთო, — ეს არის, ბატონებო, ძალაუფლება. ისინი მიწას გადმოგვცემენ და კიდეც სურთ მისი გადმოცემა, მაგრამ ისე, რომ ჩვენ ძველებურად მათი მონები დავრჩეთ. თუ ჩვენ ვალში ჩავვარდებით, მაინც ვერ დავაღწევთ თავს მემამულე-მებატონეთა ძალაუფლებას» (1345). ძნელი წარმოსადგენია რაიმე უფრო გამოკვეთილი და მარჯვე, ვიდრე კადეტების გეგმების არსის ეს გამოაშკარავება მუშის მიერ!

სოციალ-დემოკრატი სეროვი მე-18 სხდომაზე, 1907 წლის 2 აპრილს, უმთავრესად აკრიტიკებდა კადეტების, როგორც «კაპიტალის წარმომადგენლების» (1492), «კაპიტალისტური მიწათმფლობელობის წარმომადგენლების» შეხედულებებს.

ორატორმა ვრცლად, ციფრებით ხელში, ცხადყო, თუ რას წარმოადგენდა გამოყიდვა 1861 წელს, და უარყო სამართლიანი შეფასების «მოქნილი პრინციპი». სეროვმა, მარქსისტული თვალსაზრისით, საუცხოოდ სწორი პასუხი გასცა კუტლერს მის მოსაზრებაზე, რომ კაპიტალის უკონფისკაციოდ მიწის კონფისკაცია შეუძლებელიაო. «ჩვენ სრულებითაც არ მოგვყავს ის არგუმენტი, რომ მიწა არავისია, რომ მიწა არ არის ადამიანის ხელის ქმნილება» (1497). «პროლეტარიატი, რომლის წარმომადგენელი აქ სოციალ-დემოკრატების პარტიაა, შეიგნებს რა თავის თავს, თანაბრად უარყოფს ყოველგვარ ექსპლოატაციას, როგორც ფეოდალურს, ისე ბურჟუაზიულს. მისთვის, პროლეტარიატისთვის, არ არსებობს საკითხი, ექსპლოატაციის ამ ორი სახეობიდან რომელია უფრო სამართლიანი; მისთვის საკითხი მუდამ ის არის, მომწიფდნენ თუ არა ისტორიული პირობები ექსპლოატაციისგან გასათავისუფლებლად» (1499). «სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, მიწების კონფისკაციის დროს ხალხის ხელში გადავა მემამულეების დაახლოებით 500 მილიონი მანეთი არაშრომითი შემოსავალი. ამ შემოსავალს გლეხობა მოიხმარს, რა თქმა უნდა, თავისი მეურნეობის გაუმჯობესებაზე, წარმოების გაფართოებაზე, თავის მოთხოვნილებათა გადიდებაზე» (1498).

სათათბიროს 22-ე სხდომაზე (1907 წლის 5 აპრილს) აგრარულ საკითხზე სიტყვები წარმოთქვეს ანიკინმა და ალექსინსკიმ. პირველი ხაზგასმით აღნიშნავდა «უმაღლესი ბიუროკრატიისა და მსხვილი მიწათმფლობელობის» კავშირს და ამტკიცებდა თავისუფლებისა და მიწისთვის ბრძოლის განუყოფელობას. მეორე ვრცელ სიტყვაში განმარტავდა შრომამიგებითი მეურნეობის — ასეთი მეურნეობა კი ჭარბობს რუსეთში — ბატონყმურ ხასიათს. ორატორმა, ამრიგად, გადმოსცა საფუძველი მარქსისტული შეხედულებებისა მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლაზე, შემდეგ ცხადყო თემის ორგვარი როლი («ძველი დროის ნაშთი» და «მემამულეთა კარმიდამოზე გავლენის აპარა-

ტი»), 1906 წლის 9 და 15 ნოემბრის კანონების მნიშვნელობა (მემამულესთან ერთად შემოერთებულ იქნას კულაკი, როგორც «დასაყრდენი»). ორატორმა ციფრებით ხელში ცხადყო, რომ «გლეხთა მცირემიწიანობა არის თავადაზნაურთა მრავალმიწიანობა», და განმარტა, რომ კადეტური «იძულებითი» გასხვისება არის «ხალხის იძულება მემამულეების ხასარგებლოდ» (1635). ალექსინსკიმ პირდაპირ მიუთითა «კადეტურ ორგანო «რ ე ჩ ზ ე»» (1639), რომელიც აღიარებდა კადეტურ სიმართლეს მათთვის სასურველი საადგილმამულო კომიტეტების მემამულური შემადგენლობის შესახებ. და კადეტი ტატარინოვი, რომელმაც ერთი სხდომის შემდეგ ილაპარაკა ალექსინსკის მერე, ამით, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, ჩიხში მოექცა.

ოზოლის სიტყვა 39-ე სხდომაზე (1907 წლის 16 მაისს) იმის ნიმუშს გვაძლევს, თუ მარქსისტებისთვის რა არასაკადრისი არგუმენტაციისკენ უბიძგა ჩვენი სოციალ-დემოკრატების ერთ ნაწილს მასლოვმა მარქსის რენტის თეორიის თავისი ცნობილი «კრიტიკით» და შესაბამისად მიწის ნაციონალიზაციის ცნების დამახინჯებით. ოზოლი ასე უპასუხებდა ესერებს: «ჩემი აზრით, მათი «პროექტი» უიმედოა, რადგან უქმდება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, ამ შემთხვევაში მიწის კერძო საკუთრება, და ეს იმ დროს, როდესაც შენარჩუნებულია საფაბრიკო შენობათა კერძო საკუთრება, და არა მარტო საფაბრიკო შენობათა, არამედ აგრეთვე სახლებისა და ნაგებობებისაც. პროექტის მე-2 გვერდზე ვკითხულობთ, ყველა ნაგებობა, რომლებიც აგებულია მიწაზე და რომლების ექსპლოატაცია ხდება კაპიტალისტური წესით, რჩება კერძო საკუთრებადო; მაშინ ყოველ კერძო მესაკუთრეს შეუძლია თქვას: კეთილ ინებეთ, აანაზღაურეთ ნაციონალიზებული მიწების, ქუჩების მოკირწყვლის და სხვ. ყოველგვარი ხარჯები, მე კი იჯარას მივიღებ ამ სახლებიდანო. ეს არის არა ნაციონალიზაცია, არამედ უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური ფორმით კაპიტალისტური შემოსავლის მიღების პირდაპირ გაადვილება» (667).

აი ეს თქვენ, მასლოველობა! ჯერ-ერთი, მეორდება მემარჯვენეებისა და კადეტების უხამსი მოსაზრება, თითქოს ბურჟუაზიის ხელუხლებლად შეუძლებელი იყოს ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობა. მეორე, აშკარავდება გასაოცარი ეკონომიური უვიცობა: ქალაქის სახლებისა და სხვ. «იჯარა» შ ე ი ც ა ვ ს მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს უდიდეს წილს. მესამე, ჩვენი «მარქსისტი» მასლოვის კვალად სრულიად ივიწყებს (თუ უარყოფს?) აბსოლუტურ რენტას. მეოთხე, ისე გამოდის, რომ მ ა რ ქ ს ი ს ტ ი უარყოფს «უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური ფორმის» სასურველობას, რასაც ესერი იცავს! მასლოვის მუნიციპალიზაციის მარგალიტებია...

წერეთელი ვრცელ საბოლოო სიტყვაში (47-ე სხდომა, 1907 წლის 26 მაისი) იცავდა მუნიციპალიზაციას, რა თქმა უნდა, უფრო მოფიქრებულად, ვიდრე ოზოლი, მაგრამ სწორედ წერეთლის ამ ზედმიწევნითმა, აწონილ-დაწონილმა და ნათელმა დაცვამ განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა მუნიციპალისტების ძირითად მოსაზრებათა მთელი სიყალბე.

მემარჯვენეების კრიტიკა, მოცემული წერეთლის მიერ თავისი სიტყვის დასაწყისში, სავსებით სწორი იყო პოლიტიკური მხრივ. საუცხოო იყო მისი შენიშვნა ლიბერალიზმის არამზადების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს აფრთხობდნენ საფრანგეთის რევოლუციის მსგავსი ძვრებით. «მას (შინგარიოვს) დაავიწყდა, რომ სწორედ მემამულეთა მიწების კონფისკაციის შემდეგ და კონფისკაციის გამო საფრანგეთი აღორძინდა ახალი მძლავრი ცხოვრებისთვის» (1228). სავსებით სწორი იყო აგრეთვე წერეთლის ძირითადი ლოზუნგი: «მემამულურ მიწათმფლობელობათა სრული მოსპობა და მემამულური ბიუროკრატიული რეჟიმის სრული ლიკვიდაცია» (1224). მაგრამ უკვე კადეტებზე გადასვლისას თავს იჩენს მენშევიზმის მცდარი პოზიცია. «მიწის იძულებითი გასხვისების პრინციპი, — თქვა წერეთელმა, — ობიექტურად არის განმათავისუფლებელი მოძრაობის პრინციპი, მაგრამ ყველას,

ვინც ამ პრინციპს იცავს, როდი ესმის ან როდი სურს აღიაროს ყველა ის დასკვნა, რომელთაც ეს პრინციპი გვავალდებულებს» (1225). ეს არის მენშევიზმის ძირითადი შეხედულება, რომ ჩვენს რევოლუციაში ძირითად პოლიტიკურ დაყოფათა «სათავე» კადეტებისგან მარჯვნივ მიდის და არა მარცხნივ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. და ეს შეხედულება რომ მცდარია, — განსაკუთრებული სიცხადით ჩანს წერეთლის მკაფიო ფორმულირებიდან, რადგან 1861 წლის გამოცდილების შემდეგ სრულიად უდავოა იძულებითი გასხვისების შესაძლებლობა მემამულეთა ინტერესების უპირატესობით, მათი ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს შენარჩუნებით, ახალი დამონების განმტკიცებით. კიდევ უფრო უმართებულოა წერეთლის განცხადება: «მიწათსარგებლობის ფორმების საკითხში ჩვენ (სოციალ-დემოკრატები) მათგან (ნაროდნიკებისგან) უფრო შორს ვდგავართ» (1230), ვიდრე კადეტებისგანო. ამ სიტყვების შემდეგ ორატორი გადავიდა შრომითი და სამომხმარებლო «ნორმების» კრიტიკაზე. ამაში იგი ათასჯერ მართალი იყო, მაგრამ კადეტები ს წ ო რ ე დ ა ქ ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა რ ი ა ნ ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ზ ე უ კ ე თ ე ს ნ ი, რადგან კადეტები «ნორმებს» გაცილებით უფრო ბოროტად იყენებენ. ესეც ცოტაა. კადეტების ფართიფურთი სულელური «ნორმების» ირგვლივ შედეგია მათი ბიუროკრატიზმისა და გლეხის მიმართ ღ ა ლ ა ტ ი ს ტენდენციისა. გლეხისთვის «ნორმები» გარედან მოტანილია ნაროდნიკული ინტელიგენციის მიერ, და ჩვენ ზემოთ დავინახეთ, I სათათბიროს დეპუტატების, ჩიქევსკისა და პოიარკოვის, მაგალითით, სოფლელი პრაქტიკოსები რა მარჯვედ აკრიტიკებენ ყოველგვარ «ნორმებს». სოციალ-დემოკრატებს რომ ე ს აეხსნათ გლეხთა დეპუტატებისთვის, მათ რომ შესწორება შეეტანათ შრომითს პროექტში, რომელიც ნორმებს უარყოფს, მათ რომ თეორიულად ეჩვენებინათ მნიშვნელობა ნაციონალიზაციისა, რომელსაც «ნორმეპთან» არაფერი საერთო არა აქვს, — სოციალ-დემოკრატები გლეხთა რევოლუციის ხელმძღვანელები აღმოჩნდებოდნენ ლიბერალების წინააღმდეგ. მენშევიზმის პოზიცია კი

არის პროლეტარიატის დამორჩილება ლიბერალური გავლენისადმი. II სათათბიროში განსაკუთრებით უცნაური იყო ლაპარაკი, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, უფრო შორს ვდგავართ ნაროდნიკებისგანო, რადგან კადეტებმა მ ხ ა რ ი დ ა უ ჭ ი რ ე ს მიწის გაყიდვისა და დაგირავების შეზღუდვას!

აკრიტიკებდა რა, შემდეგ, ნაციონალიზაციას, წერეთელმა მოიყვანა სამი მოსაზრება: 1) «მოხელეთა არმია», 2) «უდიდესი უსამართლობა წვრილ ეროვნებათა მიმართ», 3) «რესტავრაციის შემთხვევაში» «იარაღს მივცემდით ხელში ხალხის მტერს» (1232). ეს არის იმათ შეხედულებათა კეთილსინდისიერი გადმოცემა, ვინც ჩვენი პარტიული პროგრამა მიაღებინა ყრილობას, და წერეთელს, როგორც პარტიის კაცს, ეს შეხედულებები უნდა გადმოეცა. ამ შეხედულებათა უსუსურობა, ამ განსაკუთრებული პოლიტიკური კრიტიკის ზერელობა ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

მუნიციპალიზაციის სასარგებლოდ წერეთელმა მოიყვანა ექვსი მოსაზრება: 1) მუნიციპალიზაციის დროს «ამ სახსრების (ე. ი. რენტის) ნამდვილი მოხმარება სახალხო (!) საჭიროებებზე უზრუნველყოფილი იქნება» (sic! გვ. 1233) — ოპტიმისტური ხასიათის მტკიცებაა; 2) «მუნიციპალიტეტები ეცდებიან გააუმჯობესონ უმუშევართა მდგომარეობა», — როგორც, მაგალითად, დემოკრატიულ და დეცენტრალიზებულ ამერიკაშია (?); 3) «მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ დაეუფლონ ამ (მსხვილ) მეურნეობებს და მოაწყონ სანიმუშო მეურნეობები», და 4) «აგრარული კრიზისის დროს... უმიწაწყლო, ღარიბ გლეხებს მუქთად მისცემენ მიწას იჯარით» (sic! გვ. 1234). ეს უკვე ესერთა დემაგოგიაზე უარესია, ეს არის მეშჩანური სოციალიზმის პროგრამა ბურჟუაზიულ რევოლუციაში. 5) «დემოკრატიზმის დასაყრდენია» — მსგავსად კაზაკთა თვითმმართველობისა; 6) «სანადელო მიწების გასხვისებას... შეუძლია საშინელი კონტრრევოლუციური მოძრაობა გამოიწვიოს» — ალბათ, ყველა იმ გლეხის ნების წინააღმდეგ, ვინც ნაციონალიზაციას უჭერს მხარს.

II სათათბიროში სოციალ-დემოკრატების გამოსვლათა ჯამი: ხელმძღვანელი როლი გამოყიდვის საკითხში, თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლებასთან მემამულური მიწათმფლობელობის კავშირის საკითხში და თვით აგრარული პროგრამა, რომელიც უახლოვდება კადეტიზმს და ამტკიცებს გლეხთა რევოლუციის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გაუგებლობას.

II სათათბიროში აგრარულ საკითხზე მთელი კამათის ჯამი: მემარჯვენე მემამულეებმა გამოააშკარავეს თავიანთი კლასობრივი ინტერესების უაღრესად ნათელი გაგება, ბურჟუაზიულ რუსეთში თავისი, როგორც კლასის, ბატონობის შენარჩუნების როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური პირობების უაღრესად მკაფიო შეგნება. ლიბერალები არსებითად მათ ემხრობოდნენ და ცდილობდნენ მემამულის ხელში ჩაეგდოთ გლეხი უაღრესად საძაგელი და თვალთმაქცი ოინების საშუალებით. ნაროდნიკ ინტელიგენტებს გლეხურ პროგრამებში შეჰქონდათ ბიუროკრატიზმისა და მეშჩანური რეზონიორობის ელფერი. გლეხებმა უაღრესი მღელვარებით და უშუალოდ გამოხატეს თავიანთი ბრძოლის სტიქიური რევოლუციურობა შუასაუკუნეობრიობის ყველა ნაშთისა და შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის ყველა ფორმის წინააღმდეგ, მაგრამ მათ სავსებით ცხადად არ ჰქონდათ შეგნებული ამ ბრძოლის პოლიტიკური პირობები და გულუბრყვილოდ აიდეალებდნენ ბურჟუაზიული თავისუფლების «აღთქმულ ქვეყანას». ბურჟუაზიული ნაციონალები ცოტად თუ ბევრად გაუბედავად ეკედლებოდნენ გლეხთა ბრძოლას, რადგან მნიშვნელოვნად გამსჭვალული იყვნენ წვრილ ეროვნებათა განკერძოებულობით გამოწვეული ვიწრო შეხედულებებითა და ცრურწმენებით. სოციალ-დემოკრატები გადაჭრით იცავდნენ გლეხთა რევოლუციის საქმეს, არკვევდნენ თანამედროვე სახელმწიფო ძალაუფლების კლასობრივ ხასიათს, მაგრამ პარტიული აგრარული პროგრამის მცდარობის გამო მათ არ შეეძლოთ თანამიმდევრობით ხელმძღვანელობა გაეწიათ გლეხური რევოლუციისთვის.

## დასკვნა

აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველია და განსაზღვრავს ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას.

ამ საკითხის დედაარსს შეადგენს გლეხობის ბრძოლა მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის რუსეთის სამიწათმოქმედო წყობილებაში და, მაშასადამე, ყველა მის სოციალურ და პოლიტიკურ დაწესებულებაში.

ათ ძილიონ-ნახევარ გლეხთა კომლს ევროპის რუსეთში აქვს სულ 75 მილიონი დესეტინა მიწა. ოცდაათიათას უმთავრესად კეთილშობილ, და ნაწილობრივ აგრეთვე გაუთლელ ლენდლორდს აქვს თვითეულს 500 დესეტინაზე მეტი, სულ 70 მილიონი დესეტინა. ასეთია სურათის ძირითადი ფონი. ასეთია ძირითადი პირობები მებატონე-მემამულეთა უპირატესობისა რუსეთის სამიწათმოქმედო წყობილებაში და, მაშასადამე, რუსეთის სახელმწიფოში საერთოდ და მთელს რუსეთის ცხოვრებაში. მებატონეები არიან ლატიფუნდიების მფლობელნი ამ სიტყვის ეკონომიური მნიშვნელობით: მათი მიწათმფლობელობის საფუძველი შექმნილია ბატონყმობის ისტორიით, კეთილშობილი თავადაზნაურობის მიერ საუკუნეების მანძილზე მიწების მტაცებლობის ისტორიით. მეურნეობის წარმოების მათი თანამედროვე საფუძველია შრომამიგების სისტემა, ე. ი. საბატონო მეურნეობის პირდაპირი ნაშთი, მეურნეობა გლეხის ინვენტარით, წვრილ მიწათმოქმედთა დამონების უსაზღვროდ მრავალფეროვანი ფორმების საშუალებით — ზამთარში დაქირავება, წლიური იჯარა, სანახევრო იჯარა, შრომამიგებითი იჯარა, კაბალა ვალებისათვის, კაბალა ჩამონაჭერი მიწებისათვის, ტყისათვის, სათიბებისათვის, პირუტყვის წყალსალევისთვის და სხვა და სხვა დაუსრულებლივ. რუსეთის კაპიტალისტურმა განვითარებამ უკვე ისეთი ნაბიჯი გადადგა წინ ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომ მიწათმოქმედებაში ბატონყმობის შენარჩუ-

ნება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შეუძლებელი გახდა, მისმა მოსპობამ იძულებითი კრიზისის, საერთო-ნაციონალური რევოლუციის ფორმები მიიღო. მაგრამ ბატონყმობის მოსპობა ბურჟუაზიულ ქვეყანაში შეიძლება ორგვარი გზით.

ბატონყმობის მოსპობა შეიძლება ბატონყმურ-მემამულური მეურნეობების იუნკრულ-ბურჟუაზიულ მეურნეობებად ნელი გადაზრდის გზით, გლეხთა მასების ბოგანოებად და კნეხტებად გადაქცევით, მასის საარსებო ღატაკური დონის ძალით შენარჩუნებით და ერთი მუჭა გროსბაუერების, ბურჟუაზიული მსხვილი გლეხების, გამოყოფით, რასაც გარდუვალად წარმოშობს კაპიტალიზმი გლეხთა წრეში. შავრაზმელი მემამულეები და მათი მინისტრი სტოლიპინი სწორედ ამ გზას დაადგნენ. ისინი მიხვდნენ, რომ მიწათმფლობელობის შუასაუკუნეობრივი ჟანგმოკიდებული ფორმების ძალდატანებით დაუმსხვრევლად ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გზის გაკაფვა რუსეთის განვითარებისათვის. მათ გაბედულად მიჰყვეს ხელი ამ მსხვრევას მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მათ უკუაგდეს ბიუროკრატებსა და მემამულეებს შორის ცოტა ხნის წინათ გავრცელებული სიმპათია ნახევრადფეოდალური თემისადმი. მათ გვერდი აუარეს ყველა «კონსტიტუციურ» კანონს, რათა ძალდატანებით დაერღვიათ იგი. მათ carte blanche * მისცეს კულაკებს ეძარცვათ გლეხთა მასა, დაემსხვრიათ ძველი მიწათმფლობელობა, გაეჩანაგებინათ ათასობით მეურნეობები; მათ შუასაუკუნეობრივი სოფელი «წასალეკად და გასაძარცვავად» ჩაუგდეს ხელში ფულის პატრონს. მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ სხვანაირად მოიქცნენ თავიანთი, როგორც კლასის, ბატონობის შესანარჩუნებლად, რადგან მათ შეიგნეს, რომ აუცილებელია კაპიტალისტურ განვითარებას შეეგუონ, და არა ებრძოლონ მას. ხოლო თავიანთი ბატონობის შესანარჩუ-

* — სუფთა ბლანკი დაწესებულების ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. გადატანილი მნიშვნელობით — მოქმედების სრული თავისუფლება. რ ე დ.

ნებლად მათ სხვა მოკავშირეები აღარა ჰყავთ, გარდა «გაუთ-ლელისა», რაზუვაევებისა და კოლუპაევებისა გლეხთა მასე-ბის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მათ არა აქვთ სხვა გამოსავალი, გარ-და იმისა, რომ შესძახონ ამ კოლუპაევებს: **enrichissez-vous!** გამდიდრდით! ჩვენ საშუალებას მოგცემთ ერთ მანეთზე ასი მანეთი მოიგოთ, ოღონდ დაგვეხმარეთ ჩვენი ძალაუფლების საფუძველი გადავარჩინოთ ამ ახალ პირობებში! განვითარე-ბის ასეთი გზა თავის განსახორციელებლად მოითხოვს სულ ერთიანს, სისტემატურს, თავაშვებულ ძ ა ლ ა დ ო ბ ა ს გლეხ-თა მასისა და პროლეტარიატის მიმართ. და მემამულეთა კონტრრევოლუციაც ჩქარობს მთელი ხაზით მოაწყოს ეს ძა-ლადობა.

განვითარების მეორე გზას ჩვენ ვუწოდეთ კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზა, პირველისგან — პრუსიულის-გან განსხვავებით. ისიც მოითხოვს ძველი მიწათმფლობელო-ბის ძალადატანებით მსხვრევას — რუსეთში წარმოუდგენ-ლად გამწვავებული კრიზისის უმტკივნეულო, მშვიდობიან დასრულებაზე ოცნება შეუძლიათ მხოლოდ რუსული ლიბე-რალიზმის გონებაჩლუნგ მეშჩანებს.

მაგრამ ეს აუცილებელი და გარდუვალი მსხვრევა შესაძ-ლებელია გლეხთა მასის და არა მემამულეთა ხროვის ინტე-რესებისათვის. კაპიტალიზმის განვითარების საფუძველი შე-იძლება გახდეს ფერმერთა თავისუფალი მასა გარეშე ყოველ-გვარი მემამულური მეურნეობისა, რადგან ეს მეურნეობა ს ა ე რ თ ო დ ეკონომიურად რეაქციულია, ხოლო ფერმერო-ბის ელემენტები შ ე ქ მ ნ ი ლ ი ა გლეხობაში ქვეყნის წინა სამეურნეო ისტორიით. კაპიტალიზმის განვითარების ასეთი გზის პირობებში ეს განვითარება უ ნ დ ა მიმდინარეობდეს გაცილებით უფრო ფართოდ, თავისუფლად და სწრაფად, ში-ნაური ბაზრის უდიდესი ზრდის, მ თ ე ლ ი მოსახლეობის საარსებო დონის, ენერგიის, ინიციატივისა და კულტურის აღმავლობის გამო. და რუსეთის უზარმაზარი საკოლონიზა-ციო ფონდი, რომლის გამოყენება უსაზღვროდ გაძნელებუ-

ლია გლეხთა მასის ბატონყმური ჩაგვრით შუაგულ რუსეთში, აგრეთვე მებატონურ-მოხელეური დამოკიდებულებით საადგილმამულო პოლიტიკისადმი, — ეს ფონდი უზრუნველყოფს ეკონომიურ საფუძველს მიწათმოქმედების უდიდესად გაფართოებისა და წარმოების გადიდებისათვის არა მარტო სიღრმით, არამედ სივრცითაც.

განვითარების ასეთი გზა მოითხოვს არა მარტო მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობას. მებატონე-მემამულეთა ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია მთელი საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის მ თ ე ლ მიწათმფლობელობას, გლეხთა სანადელო მიწებსაც და შედარებით თავისუფალ განაპირა მხარეებში გადასახლებულთა მიწათმფლობელობასაც: თვითმპყრობელობის მთელი საგადასახლებო პოლიტიკა ერთიანად გამსჭვალულია დამყაყებული მოხელეობის აზიური ჩარევით, რაც ხელს უშლიდა გადასახლებულთა თავისუფლად მოწყობას, საშინელი არევ-დარევა შეჰქონდა მათს ახალ საადგილმამულო ურთიერთობაში და ცენტრალური რუსეთის ბატონყმური ბიუროკრატიზმის შხამით სწამლავდა რუსეთის განაპირა მხარეებს *. რუსეთში შუასაუკუნეობრივია არა მარტო მემამულური, არამედ გლეხური სანადელო მიწათმფლობელობაც. იგი წარმოუდგენლად არეულ-დარეულია. იგი გლეხებს აქუცმაცებს ათას წვრილმან დანაყოფებად, შუასაუკუნეობრივ თანრიგებად, წოდებრივ კატეგორიებად. იგი გამოხატავს გლეხთა საადგილმამულო ურთიერთობაში ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივ ხელისუფალთა მოურიდებლად ჩარევის საუკუნოვან ისტორიას. იგი, როგორც გეტოში, ისე ერეკება გლეხებს წვრილ შუასაუკუნეობრივ ფისკალურ, საბეგრო ხასიათის კავშირებში, სანადელო მიწების მფლობელ კავშირებში, ე. ი. თემებში. და

* თავის წიგნში «გადასახლება და კოლონიზაცია» (სპბ. 1905 წ.) ბ-ნი ა. კაუფმანი იძლევა გადასახლების პოლიტიკის ისტორიის ნარკვევს. როგორც ჭეშმარიტი «ლიბერალი», ავტორი უზომო მოკრძალებით ეპყრობა მებატონეთა ბიუროკრატიას.

რუსეთის ეკონომიურ განვითარებას ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ გამოყავს გლეხობა ამ შუასაუკუნეობრივი ვითარებიდან, — იგი ერთი მხრივ, იწვევს სანადელო მიწების გაცემას და სულ მიტოვებას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის მომავალი თავისუფალი ფერმერების (ანუ იუნკრული რუსეთის მომავალი გროსბაუერების) მეურნეობას სულ სხვადასხვანაირი მიწათმფლობელობის ნ ა ჭ რ ე ბ ი დ ა ნ — საკუთარ სანადელოდან, იჯარით აღებულ სანადელოდან, საკუთარ ნაყიდიდან, იჯარით აღებულ მემამულურიდან, იჯარით აღებულ სახაზინოდან და სხვ.

ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ თავისუფალი ფერმერული მეურნეობის შესაქმნელად რუსეთში აუცილებელია ყ ვ ე ლ ა მიწის «განღობვა», როგორც მემამულურის, ისე სანადელოსი. აუცილებელია მ თ ე ლ ი შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის დამსხვრევა, ყველა და ყოველგვარი მიწის გათანაბრება თავისუფალ მეურნეთა თავისუფალ მიწაზე მოსაწყობად. აუცილებელია მაქსიმალური შესაძლებლობით გაადვილდეს მიწების გაცვლა-გამოცვლა, დასახლება, ნაკვეთების დამრგვალება, ახალი თავისუფალი ამხანაგობების შექმნა დახავსებული მობეგრე თემის ადგილას. აუცილებელია «გაიწმინდოს» მთელი მიწა ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ნაგავისაგან.

ამ ეკონომიური აუცილებლობის გამომხატველია მიწის ნაციონალიზაცია, მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მ თ ე ლ ი მიწის სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა, როგორც ბატონყმურ წესებთან კავშირის სრულიად გაწყვეტა სოფლად. სწორედ ამ ეკონომიურმა აუცილებლობამ გახადა გლეხთა მ ა ს ა რუსეთში მიწის ნაციონალიზაციის მომხრედ. წვრილმა მესაკუთრე-მიწათმოქმედებმა მასობრივად დაუჭირეს მხარი მიწის ნაციონალიზაციას გლეხთა კავშირის ყრილობებზეც 1905 წელს, პირველ სათათბიროშიც 1906 წელს და მეორე სათათბიროშიც 1907 წელს, ე. ი. რევოლუციის მთელი პირველი პერიოდის მანძილზე. მათ ასეთი აზრი გამოთქვეს არა იმიტომ, რომ «თემმა» ჩანერგა მათში განსაკუთრებული «ჩა-

ნასახები», განსაკუთრებული, არა ბურჟუაზიული «შრომითი პრინციპები». მათ ასეთი აზრი გამოთქვეს, პირიქით, იმიტომ, რომ ცხოვრება მათგან მოითხოვდა განთავისუფლებას შუასაუკუნეობრივი თემისაგან და შუასაუკუნეობრივი სანადელო მიწათმფლობელობისაგან. მათ ასეთი აზრი გამოთქვეს არა იმიტომ, რომ მათ უნდოდათ ან შეეძლოთ სოციალისტური მიწათმოქმედების აგება, არამედ იმიტომ, რომ მათ უნდოდათ და უნდათ, შეეძლოთ და შეუძლიათ ააგონ ნამდვილი ბურჟუაზიული, ე. ი. ყოველგვარი ბატონყმური ტრადიციებისგან მაქსიმალურად თავისუფალი წვრილი მიწათმოქმედება.

ამრიგად, არა შემთხვევამ და არც ამა თუ იმ დოქტრინის გავლენამ (როგორც ამას ბეცი ადამიანები ფიქრობენ) გამოიწვია რუსეთის რევოლუციაში მებრძოლი კლასების ეს ორიგინალური დამოკიდებულება მიწის საკუთრების საკითხისადმი. ეს ორიგინალობა სავსებით აიხსნება რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პირობებით და კაპიტალიზმის მოთხოვნებით ამ განვითარების დღევანდელ მომენტში. ყველა შავრაზმელი მემამულე, მთელი კონტრრევოლუციური ბურჟუაზია (ოქტიაბრისტებიც და კადეტებიც მათ რიცხვში) დადგნენ მიწის კერძო საკუთრების მხარეზე. მთელი გლეხობა და მთელი პროლეტარიატი მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგია. იუნკრულ-ბურჟუაზიული რუსეთის შექმნის რეფორმატორული გზა აუცილებლად გულისხმობს ძველი მიწათმფლობელობის საფუძვლების შენარჩუნებას და ამ საფუძვლების ნელ, მოსახლეობის მასისათვის მტანჯველ, შეგუებას კაპიტალიზმთან. ძველი წესწყობილების ნამდვილად დამხობის რევოლუციური გზა აუცილებლად მოითხოვს, როგორც თავის ეკონომიურ საფუძველს, მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმის მოსპობას რუსეთის ყველა ძველ პოლიტიკურ დაწესებულებასთან ერთად. რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის გამოცდილებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი ძლევამოსილი შეიძლება იყოს მხოლოდ

როგორც გლეხური აგრარული რევოლუცია და რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მთლად შეასრულოს თავისი ისტორიული მისია, თუ მიწის ნაციონალიზაცია არ მოხდა.

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიას, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის პარტიას, რომელიც მსოფლიო-სოციალისტურ მიზნებს ისახავს, არ შეუძლია გაითქვიფოს არავითარი ბურჟუაზიული რევოლუციის არავითარ ეპოქაში, არ შეუძლია თავისი ბედი დაუკავშიროს ამა თუ იმ ბურჟუაზიული რევოლუციის ამა თუ იმ შედეგს. ყველა და ყოველგვარი შედეგის დროს ჩვენ უნდა დავრჩეთ დამოუკიდებელ, წმინდა პროლეტარულ პარტიად, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს მშრომელთა მასები მათი დიადი სოციალისტური მიზნისაკენ. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე გარანტია ვიკისროთ ბურჟუაზიული რევოლუციის რაიმე მონაპოვრის სიმკვიდრისათვის, რადგან ყ ვ ე ლ ა მისი მონაპოვრის უმკვიდრობა, შინაგანი წინააღმდეგობა იმანენტურად სჩვევია ბურჟუაზიულ რევოლუციას, როგორც ასეთს. მხოლოდ მოუაზრებლობის ნაყოფი შეიძლება იყოს «რესტავრაციისაგან გარანტიების» «შეთხზვა». ჩვენი ამოცანა ერთი რამაა: დავრაზმოთ პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციისათვის, მხარი დავუჭიროთ ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლას რაც შეიძლება უფრო გადამწყვეტი ფორმით და დავიცვათ პროლეტარიატისათვის საუკეთესო შესაძლებელი პირობები განვითარების გზაზე მდგარ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აქედან კი გარდუვალად გამომდინარეობს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პროგრამა რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში შეიძლება იყოს მ ხ ო ლ ო დ მიწის ნაციონალიზაცია. როგორც ჩვენი პროგრამის ყველა სხვა ნ ა წ ი ლ ი ც, ჩვენ იგი უნდა დავუკავშიროთ პოლიტიკურ გარდაქმნათა განსაზღვრულ ფორმებს და განსაზღვრულ საფეხურს, რადგან პოლიტიკური და აგრარული გადატრიალების გაქანება არ შეიძლება ერთგვაროვანი არ იყოს. როგორც ჩვენი პროგრამის ყველა სხვა ნაწილიც, ჩვენ სასტიკად

უნდა გამოვყოთ იგი წვრილბურჟუაზიული ილუზიებისგან, «ნორმებზე» ინტელიგენტ მოხელეთა ყბედობისგან, რეაქციული ლაყბობისგან თემის განმტკიცებისა თუ გამთანაბრებელი მიწათსარგებლობის შესახებ. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს არა განსაკუთრებული ლოზუნგის, განსაკუთრებული «გეგმის» ან «სისტემის» გამოგონებას ამა თუ იმ ბურჟუაზიული გადატრიალებისთვის, არამედ მხოლოდ მისი ობიექტური პირობების თანამიმდევრობით გამოხატვას და ამ ობიექტური, ეკონომიურად-დაუძლეველი პირობების გაწმენდას ილუზიებისა და უტოპიებისგან. მიწის ნაციონალიზაცია არის არა მარტო ერთადერთი საშუალება მიწათმოქმედებაში შუასაუკუნეობრიობის სრული ლიკვიდაციისა, არამედ კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი საადგილმამულო წესების საუკეთესო საშუალებაც.

სამგვარმა გარემოებამ გადაახვევინა დროებით რუსეთის სოციალ-დემოკრატებს ამ სწორი აგრარული პროგრამიდან. ჯერ-ერთი, «მუნიციპალიზაციის» ინიციატორმა რუსეთში, პ. მასლოვმა «შეასწორა» მარქსის თეორია, უარყო აბსოლუტური რენტის თეორია, შეაახლა ნახევრადდამპალი ბურჟუაზიული მოძღვრება კლებადი ნაყოფიერების კანონის შესახებ, მისი კავშირი რენტის თეორიასთან და სხვ. აბსოლუტური რენტის უარყოფა არის კაპიტალიზმის დროს მიწის კერძო საკუთრების ყოველგვარი ეკონომიური მნიშვნელობის უარყოფა და, მაშასადამე, ის აუცილებლად იწვევდა ნაციონალიზაციაზე მარქსისტულ შეხედულებათა დამახინჯებას. მეორე, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატები ვერ ხედავდნენ თვალნათლივ გლეხური რევოლუციის დასაწყისს, მათ არ შეეძლოთ ფრთხილად არ მოქცეოდნენ მის შესაძლებლობას, რადგან მისი გამარჯვების შესაძლებლობა მართლა მოითხოვს მთელ რიგ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს და მასების რევოლუციური შეგნების, ენერგიისა და ინიციატივის განსაკუთრებით ხელსაყრელ გაქანებას. რაკი მათ არ

ჰქონდათ გამოცდილება, რაკი ბურჟუაზიულ მოძრაობათა გამოგონება შეუძლებლად მიაჩნდათ, რუს მარქსისტებს, ბუნებრივია, არ შეეძლოთ რევოლუციამდე წამოეყენებინათ სწორი აგრარული პროგრამა. მაგრამ ისინი სჩადიოდნენ ამასთანავე იმ შეცდომას, რომ რევოლუციის დაწყების შემდეგაც, ნაცვლად იმისა, რომ რუსეთის ორიგინალური პირობებისადმი მარქსის თეორია მოემარჯვებინათ (ჩვენი თეორია დოგმა კი არ არის, — გვასწავლიდნენ ყოველთვის მარქსი და ენგელსი, — არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის), ამის ნაცვლად უკრიტიკოდ იმეორებდნენ დასკვნებს, გამოყვანილს სხვა პირობების, სხვა ეპოქის მიმართ მარქსის თეორიის გამოყენებიდან. გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, მაგალითად, სრულიად ბუნებრივად ხელი აიღეს მარქსის ყველა ძველ პროგრამაზე, სადაც მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა იყო წამოყენებული, რადგან გერმანია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც იუნკრულ-ბურჟუაზიული ქვეყანა, მასში ყველა მოძრაობამ ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე საბოლოოდ მოსჭამა თავისი დრო, ნაციონალიზაციის სასარგებლოდ იქ არავითარი სახალხო მოძრაობა არ არის და არც შეიძლება იყოს. იუნკრულ-ბურჟუაზიული ელემენტების სიჭარბემ სინამდვილეში ნაციონალიზატორული გეგმები გადააქცია სათამაშოდ ან კიდევ იუნკრების მიერ მასების გაძარცვის იარაღად. გერმანელები მართალნი არიან, როცა უარს ამბობენ ნაციონალიზაციის შესახებ ლაპარაკზეც კი, მაგრამ ამ დასკვნის რუსეთზე გადატანა (როგორც არსებითად სჩადიან ჩვენი მენშევიკები, რომლებიც ვერ ამჩნევენ მუნიციპალიზაციის კავშირს მარქსის თეორიის მასლოვისეულ შესწორებასთან) იმას ნიშნავს, რომ არ შეგწევდეს უნარი ჩაუფიქრდე კონკრეტული სოციალ-დემოკრატიული პარტიების ამოცანებს ამ პარტიების ისტორიული განვითარების განსაკუთრებულ პერიოდებში.

უნდა გამოვყოთ იგი წვრილბურჟუაზიული ილუზიებისგან, «ნორმებზე» ინტელიგენტ მოხელეთა ყბედობისგან, რეაქციული ლაყბობისგან თემის განმტკიცებისა თუ გამთანაბრებელი მიწათსარგებლობის შესახებ. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს არა განსაკუთრებული ლოზუნგის, განსაკუთრებული «გეგმის» ან «სისტემის» გამოგონებას ამა თუ იმ ბურჟუაზიული გადატრიალებისთვის, არამედ მხოლოდ მისი ობიექტური პირობების თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი თ გამოხატვას და ამ ობიექტური, ეკონომიურად-დაუძლეველი პირობების გაწმენდას ილუზიებისა და უტოპიებისგან. მიწის ნაციონალიზაცია არის არა მარტო ერთადერთი საშუალება მიწათმოქმედებაში შუასაუკუნეობრიობის სრული ლიკვიდაციისა, არამედ კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი საადგილმამულო წესების საუკეთესო საშუალებაც.

სამგვარმა გარემოებამ გადაახვევინა დროებით რუსეთის სოციალ-დემოკრატებს ამ სწორი აგრარული პროგრამიდან. ჯერ-ერთი, «მუნიციპალიზაციის» ინიციატორმა რუსეთში, პ. მასლოვმა «შეასწორა» მარქსის თეორია, უარყო აბსოლუტური რენტის თეორია, შეაახლა ნახევრადდამპალი ბურჟუაზიული მოძღვრება კლებადი ნაყოფიერების კანონის შესახებ, მისი კავშირი რენტის თეორიასთან და სხვ. აბსოლუტური რენტის უარყოფა არის კაპიტალიზმის დროს მიწის კერძო საკუთრების ყოველგვარი ეკონომიური მნიშვნელობის უარყოფა და, მაშასადამე, ის აუცილებლად იწვევდა ნაციონალიზაციაზე მარქსისტულ შეხედულებათა დამახინჯებას. მეორე, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატები ვერ ხედავდნენ თვალნათლივ გლეხური რევოლუციის დ ა ს ა წ ყ ი ს ს, მათ არ შეეძლოთ ფრთხილად არ მოქცეოდნენ მის შესაძლებლობას, რადგან მისი გამარჯვების შესაძლებლობა მართლა მოითხოვს მთელ რიგ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს და მასების რევოლუციური შეგნების, ენერგიისა და ინიციატივის განსაკუთრებით ხელსაყრელ გაქანებას. რაკი მათ არ

ჰქონდათ გამოცდილება, რაკი ბურჟუაზიულ მოძრაობათა გამოგონება შეუძლებლად მიაჩნდათ, რუს მარქსისტებს, ბუნებრივია, არ შეეძლოთ რევოლუციამდე წამოეყენებინათ სწორი აგრარული პროგრამა. მაგრამ ისინი სჩადიოდნენ ამასთანავე იმ შეცდომას, რომ რევოლუციის დაწყების შემდეგაც, ნაცვლად იმისა, რომ რუსეთის ორიგინალური პირობებისადმი მარქსის თეორია მოეთმარჯვებინათ (ჩვენი თეორია დოგმა კი არ არის, — გვასწავლიდნენ ყოველთვის მარქსი და ენგელსი, — არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის), ამის ნაცვლად უკრიტიკოდ იმეორებდნენ დასკვნებს, გამოყვანილს სხვა პირობების, სხვა ეპოქის მიმართ მარქსის თეორიის გამოყენებიდან. გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, მაგალითად, სრულიად ბუნებრივად ხელი აიღეს მარქსის ყველა ძველ პროგრამაზე, სადაც მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა იყო წამოყენებული, რადგან გერმანია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც იუნკრულ-ბურჟუაზიული ქვეყანა, მასში ყველა მოძრაობამ ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე საბოლოოდ მოსჭამა თავისი დრო, ნაციონალიზაციის სასარგებლოდ იქ არავითარი სახალხო მოძრაობა არ არის და არც შეიძლება იყოს. იუნკრულ-ბურჟუაზიული ელემენტების სიჭარბემ სინამდვილეში ნაციონალიზატორული გეგმები გადაიქცია სათამაშოდ ან კიდევ იუნკრების მიერ მასების გაძარცვის იარაღად. გერმანელები მართალნი არიან, როცა უარს ამბობენ ნაციონალიზაციის შესახებ ლაპარაკზეც კი, მაგრამ ამ დასკვნის რუსეთზე გადატანა (როგორც არსებითად სჩადიან ჩვენი მენშევიკები, რომლებიც ვერ ამჩნევენ მუნიციპალიზაციის კავშირს მარქსის თეორიის მასლოვისეულ შესწორებასთან) იმას ნიშნავს, რომ არ შეგწევდეს უნარი ჩაუფიქრდე კონკრეტული სოციალ-დემოკრატიული პარტიების ამოცანებს ამ პარტიების ისტორიული განვითარების განსაკუთრებულ პერიოდებში.

მესამე, მუნიციპალიზატორულ პროგრამაზე აშკარა გავლენა მოახდინა მენშევიზმის მთელმა შემცდარმა ტაქტიკურმა ხაზმა რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში: იმის გაუგებლობამ, რომ მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს» * შეუძლია უზრუნველყოს მისი გამარჯვება; ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის გაუგებლობამ, მისწრაფებამ, რომ იგი განზე დააყენო, შეუგუო რევოლუციის ორჭოფულ შედეგს, ბელადიდან გადააქციო ლიბერალური ბურჟუაზიის დამხმარედ (ნამდვილად კი შავ მუშად და მსახურად). «არა გატაცებით, არამედ შეგუებით, გავწიოთ წინ ნელა, მუშა ხალხო» — ნარცის ტუპორილოვის[109] ეს სიტყვები, მიმართული «ეკონომისტების» (=რსდმ პარტიის პირველი ოპორტუნისტების) წინააღმდეგ, სავსებით გამოხატავენ ახლანდელი ჩვენი აგრარული პროგრამის ს უ ლ ს.

ბრძოლა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმით «გატაცებასთან» უნდა იწვევდეს რევოლუციის გაქანებისა და პროლეტარიატის მიერ განსაზღვრული მისი ამოცანების შესუსტებას კი არა, არამედ გაძლიერებას. «კუთხურობა» კი არ უნდა წავაქეზოთ ჩვენ, რარიგ ძლიერიც უნდა იყოს ის წვრილი ბურჟუაზიის ან პრივილეგიური გლეხობის (კაზაკები) ჩამორჩენილ ფენებში, — არც სხვადასხვა ეროვნების განკერძოებულობა, — არა, ჩვენ გლეხობას უნდა განვუმარტოთ ერთობის მნიშვნელობა გამარჯვებისათვის, წამოვაყენოთ მოძრაობის გამაფართოებელი, და არა შემავიწროებელი ლოზუნგი, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის ა რ ა ს ი ს რ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს პასუხისმგებლობას დააკისრებს ბურჟუაზიის ჩამორჩენილობას და არა პროლეტარიატის მოუაზრებლობას. «ადგილობრივ» დემოკრატიზმს კი არ უნდა «შევუგუოთ» ჩვენი პროგრამა, კი არ უნდა გამოვიგონოთ სულელური და არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების

* ასე ამბობს კაუტსკი თავისი ბროშურის «სოციალური რევოლუციის» მე-2 გამოცემაში.

პირობებში შეუძლებელი «მუნიციპალური სოციალიზმი» სოფლად, მეშჩანურ-სოციალისტური რეფორმატორობა კი არ უნდა შევუგუოთ ბურჟუაზიულ რევოლუციას, არამედ მასების ყურადღება უნდა მივმართოთ მისი, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის, გამარჯვების ნამდვილ პირობებზე, ამისათვის არა მარტო ადგილობრივი, არამედ უეჭველად «ცენტრალური» დემოკრატიზმის აუცილებლობაზე, ე. ი. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიზმზე, — და არა მარტო დემოკრატიზმზე საერთოდ, არამედ უსათუოდ უაღრესად სრული, უმაღლესი ფორმის დემოკრატიზმზე, რადგან უამისოდ სწორედ უ ტ ო პ ი უ რ ი ხდება ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობით გლეხური აგრარული რევოლუცია რუსეთში.

დაე ნუ ფიქრობენ, რომ სწორედ დღევანდელი ისტორიული მომენტი, როცა მესამე სათათბიროში ღმუიან და ღრიალებენ შავრაზმელი ზუბრები, როცა კონტრრევოლუციის თარეში **nec plus ultra**-მდე * არის მისული, როცა რეაქცია ასრულებს პოლიტიკური შურისძიების თავის ველურ აქტს რევოლუციონერების მიმართ საერთოდ, ხოლო II სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიმართ კერძოდ, — დაე ნუ ფიქრობენ, რომ ეს მომენტი «შეუფერებელია» «ფართო» აგრარული პროგრამებისთვის. ასეთი აზრი მონათესავე იქნებოდა იმ რენეგატობის, სასოწარკვეთილების, დაშლისა და დეკადენტობისა, რამაც მოიცვა იმ მეშჩანური ინტელიგენციის ფართო ფენები, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედის ან ამ პარტიას ეკედლება რუსეთში. პროლეტარიატი მხოლოდ მოიგებს, თუ ეს ნაგავი პირწმინდად გამოგვილი იქნება მუშათა პარტიიდან. არა, რაც უფრო მეტად მძვინვარებს რეაქცია, არსებითად მით უფრო აბრკოლებს იგი აუცილებელ ეკონომიურ განვითარებას, მით უფრო წარმატებით ამზადებს დემოკრატიული მოძრაობის

* — უკიდურეს საზღვრამდე. რ ე დ.

უფრო ფართო აღმავლობას. და მასობრივი მოქმედების დროებითი შენელების პერიოდები უნდა გამოვიყენოთ, რათა კრიტიკულად შევისწავლოთ დიდი რევოლუციის გამოცდილება, შევამოწმოთ იგი, გავწმინდოთ ნალექებისგან და გადავცეთ მასებს სახელმძღვანელოდ მომავალი ბრძოლისათვის.

1907 წლის ნოემბერ-დეკემბერი.



Ноябрь-декабрь 1907 г.

უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა
რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში».—
1907 წ. ნოემბერ-დეკემბერი.

დაპატარავებულია

# ბოლოსიტყვაობა[110]

ეს ნაშრომი დაწერილია 1907 წლის დამლევს. 1908 წელს ის დაიბეჭდა პიტერში, მაგრამ მეფის ცენზურამ ხელში ჩაიგდო და მოსპო იგი. გადარჩა სულ ერთი ეგზემპლარი, რომელსაც აკლია ბოლო ნაწილი (ამ გამოცემის 269-ე გვერდის შემდეგ), ასე რომ ეს ბოლო ნაწილი ახლა არის მიწერილი.

ამჟამად რევოლუციამ აგრარული საკითხი რუსეთში დააყენა განუზომლად უფრო ფართოდ, ღრმად და მწვავედ, ვიდრე 1905 — 1907 წლებში. ვიმედოვნებ, პირველი რევოლუციის ჩვენი პარტიული პროგრამის ისტორიის გაცნობა დაგვეხმარება ახლანდელი რევოლუციის ამოცანების უფრო სწორად გარკვევაში.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი. ომმა ისეთი გაუგონარი უბედურება დაატეხა თავს მეომარ ქვეყნებს, ამავე დროს მან ისე გიგანტურად დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, გადააქცია რა მონოპოლისტური კაპიტალიზმი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, რომ არც პროლეტარიატს, არც რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ დასჯერდნენ კაპიტალიზმის ფარგლებს.

ცხოვრება უკვე გასცილდა ამ ფარგლებს და დღის წესრიგში დააყენა წარმოებისა და განაწილების მოწესრიგება საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, საყოველთაო შრომის ბეგარა, იძულებითი სინდიცირება (კავშირებად გაერთიანება) და სხვ.

საქმის ასეთი ვითარებისას მიწის ნაციონალიზაციაც აგრარულ პროგრამაში გარდუვალად სხვაგვარად დაისმის. სახელდობრ: მიწის ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიული რევოლუციის არა მხოლოდ «უკანასკნელი სიტყვა», არამედ სოციალიზმისკენ ნაბიჯის გადადგმაც. ომით გამოწვეულ უბედურებებს ვერ შეებრძოლები ასეთი ნაბიჯების გადაუდგმელად.

პროლეტარიატი, რომელიც უღარიბეს გლეხობას ხელმძღვანელობს, იძულებულია, ერთი მხრივ, სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს გლეხთა დეპუტატების საბჭოებიდან სოფლის მუშათა დეპუტატების საბჭოებზე, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვოს მემამულეთა ეკონომიების ინვენტარის ნაციონალიზაცია, აგრეთვე ამ ეკონომიებიდან სანიმუშო მეურნეობების შექმნა ამ უკანასკნელი საბჭოების კონტროლით.

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აქ უფრო ვრცლად, რა თქმა უნდა, ვერ შევჩერდები და დაინტერესებულ მკითხველს უნდა მივუთითო მიმდინარე ბოლშევიკურ ლიტერატურაზე და ჩემ ბროშურებზე: «წერილები ტაქტიკაზე» და «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში (პროლეტარული პარტიის პლატფორმის პროექტი)».

ავტორი

1917 წლის 28 სექტემბერი.

დაიბეჭდა 1917 წელს
წიგნში: «სოციალ-დემოკრატიის
აგრარული პროგრამა რუსეთის
1905 — 1907 წლების
პირველ რევოლუციაში»

იბეჭდება წიგნის ტექსტის
მიხედვით

# დებატებისთვის სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ [111]

სამი სხდომის განმავლობაში, 12, 15 და 17 იანვარს, სახელმწიფო სათათბიროში წარმოებდა კამათი მისი საბიუჯეტო უფლებების გაფართოების საკითხზე. სათათბიროს 40 წევრის ხელმოწერით ასეთი გაფართოების პროექტი შეიტანა კადეტების პარტიამ. ამ საკითხზე ყველა პარტიის წარმომადგენელმა გამოთქვა თავისი აზრი. მთავრობის სახელით ორი გრძელი სიტყვა წარმოთქვა ფინანსთა მინისტრმა. ილაპარაკა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელმაც. კამათი დასრულდა იმით, რომ ერთხმად იქნა მიღებული ოქტიაბრისტების წინადადება (ასე ამბობს 18 იანვრის «სტოლიჩნაია პოჩტა» [112]): კანონპროექტი სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ გადაეცეს კომისიას, ისე რომ «არ შეეხოთ ამ ცვლილების მოცულობას», ე. ი. 8 მარტის იმ წესების შეცვლას, რომლებიც განსაკუთრებით ბოჭავენ სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებებს.

როგორ მოხდა ასეთი უცნაური მოვლენა? როგორ მოხდა, რომ III სათათბიროში, შავრაზმელი ზუბრების სათათბიროში, ერთხმად გავიდა ოქტიაბრისტების წინადადება, რომელიც არსებითად მთავრობის სურვილს შეეფერებოდა და შეტანილ იქნა ფინანსთა მინისტრის პირველი სიტყვის შემდეგ, როცა ფინანსთა მინისტრმა სწორედ ასეთი გამოსავალი დასახა. არსებითად, კადეტების პროექტი მიუღებელია; წვრილმანებში — რატომ არ შეიძლება კანონი შეიცვალოს.

ასე განაცხადა შავრაზმელების მინისტრმა. ოქტიაბრისტებმა თავის წინადადებას ამ განცხადების თანახმად გაუკეთეს რედაქცია და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არ ეხებიან კანონის ცვლილებათა მოცულობას.

ოქტიაბრისტები რომ შავრაზმელ მინისტრს შეუთანხმდნენ, ეს გასაკვირველი არ არის. კადეტებმა რომ მოხსნეს თავიანთი რედაქცია (რომელშიც კრინტიც კი არ იყო, რა თქმა უნდა, დაძრული იმაზე, რომ ისინი არ ეხებიან ცვლილებათა მოცულობას, რომლებზეც თვითონვე მიუთითებდნენ!), არც ეს არის გასაკვირველი ყველა იმათთვის, ვინც კადეტთა პარტიის ბუნებას იცნობს. მაგრამ სოციალ-დემოკრატები რომ მონაწილეობას იღებდნენ ამგვარ ერთხმივობაში, — ეს კი წარმოუდგენელია; გვინდა ვიფიქროთ, რომ «სტოლიჩნაია პოჩტას» მართალი არ უთქვამს, რომ სოციალ-დემოკრატებს ოქტიაბრისტების რეზოლუციისთვის ხმა არ მიუციათ.

თუმცა, აქ არის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე ის საკითხია, მისცეს თუ არა ხმა სოციალ-დემოკრატებმა ოქტიაბრისტებს, სახელდობრ საკითხი იმ შეცდომის შესახებ, რომელიც უეჭველად დაუშვა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა პოკროვსკი მე-2-მ. ჩვენც სწორედ ამ შეცდომაზე და 12, 15 და 17 იანვრის კამათის ნამდვილ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

საბიუჯეტო უფლებები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არა აქვს, რადგან ბიუჯეტის უარყოფა «კანონით» არ აჩერებს ბიუჯეტის სისრულეში მოყვანას. ეს კანონი, რომელიც კონტრრევოლუციურმა მთავრობამ დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ გამოსცა (1906 წლის 20 თებერვალს, უბადაღებული «ძირითადი კანონები»), ნამდვილი გამასხარავებაა სახალხო წარმომადგენლობისა შავრაზმელების, მეფისა და მემამულეების მხრივ. 1906 წლის 8 მარტის «წესები» კი უფრო მეტად ხაზს უსვამენ ამ გამასხარავებას; ეს «წესები» სათათბიროში ბიუჯეტის განხილვის-

თვის მრავალ წვრილმან დაბრკოლებას ქმნიან და იმასაც კი აწესებენ (მუხ. 9), რომ «სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვის დროს არ შეიძლება ამოგდება ან შეცვლა ისეთი გასავლისა და შემოსავლისა, რომლებიც შეტანილია პროექტში მოქმედი კანონის, შტატების, სიებისა და აგრეთვე უზენაესი მმართველობის წესით გამოცემულ უმაღლეს ბრძანებათა თანახმად». განა ეს აბუჩად აგდება არ არის? არაფრის შეცვლა არ შეიძლება, რაც შეესაბამება კანონებს, შტატებს, სიებს და უმაღლეს ბრძანებებსაც კი !! განა სასაცილო არ არის ამის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებებზე ლაპარაკი?

ახლა იბადება კითხვა, როგორი იყო თავისუფლებისათვის ნამდვილად მებრძოლი ბურჟუაზიული დემოკრატიის ამოცანები საქმეთა ასეთი ვითარების დროს? როგორია მუშათა პარტიის ამოცანები? — ჩვენ ამ სტატიაში მხოლოდ საპარლამენტო ბრძოლისა და სათანადო პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლების ამოცანებზე ვლაპარაკობთ.

ცხადია, სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა საკითხი უნდა აღძრულიყო სათათბიროში, რათა როგორც რუსი ხალხის წინაშე, ისე ევროპის წინაშეც სავსებით ნათლად გამორკვეულიყო ცარიზმის მხრივ შავრაზმული დაცინვა, რათა დაენახვებინათ სათათბიროს მთელი უუფლებობა. ასეთი გამორკვევის უშუალო პრაქტიკული მიზანი (რომ აღარაფერი ვთქვათ ყოველი დემოკრატის ძირითად ამოცანაზე — ხალხის წინაშე სიმართლის გამოაშკარავებაზე, მისი შეგნების გათვითცნობიერებაზე) განისაზღვრებოდა აგრეთვე სესხის საკითხით. მეფის შავრაზმულ მთავრობას არ შეეძლო გამაგრება 1905 წლის დეკემბრის შემდეგ და არც ახლა შეუძლია გამაგრდეს, თუ სესხის სახით მას საერთაშორისო ბურჟუაზიის მსოფლიო კაპიტალი არ დაეხმარა. და მთელი ქვეყნის ბურჟუაზია მილიარდობით სესხს აძლევს ნამდვილ ბანკროტს, მეფეს, არა მარტო იმიტომ, რომ ბურჟუაზიას, როგორც ყო-

ველ მევახშეს, დიდი სარგებლით აცდუნებენ, არამედ იმიტომაც, რომ ბურჟუაზიას შეგნებული აქვს თავისი დაინტერესებულობა რუსეთში ძველი წესწყობილების გამარჯვებით რევოლუციაზე, რადგან ამ რევოლუციის სათავეში პროლეტარიატი დგას.

ამრიგად სათათბიროში საკითხის აღძვრას და კამათს მ ხ ო ლ ო დ ერთი მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა — სრული სიმართლის გამორკვევა. პრაქტიკული რეფორმატორობა ა რ შეიძლებოდა ამ დროს და ამ ვითარებაში დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს მიზანი ყოფილიყო, რადგან, ჯერ-ერთი, ცხადია, რომ სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა შესახებ არსებული ძირითადი კანონების ნიადაგზე რეფორმები შეუძლებელია, მეორეც, უაზრობა იქნებოდა შავრაზმელი ზუბრებისა და მოსკოვის ვაჭრების სათათბიროსთვის მ ი ს ი უფლებების, ასეთი სათათბიროს უფლებების გაფართოების მოთხოვნა. რუსმა კადეტებმა (რომლებიც მხოლოდ უმეცრებსა და მიამიტებს შეუძლიათ დემოკრატებად მიიჩნიონ) ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგეს. აღძრეს თუ არა საკითხი, მ ა შ ი ნ ვ ე ი გ ი ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი რეფორმის ყალბ ნიადაგზე დ ა ა ყ ე ნ ე ს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ, რომ ზოგჯერ დემოკრატისთვისაც და სოციალ-დემოკრატისთვისაც შესაძლებელია და აუცილებელიც ნაწილობრივი რეფორმის საკითხის აღძვრა. მაგრამ ისეთ სათათბიროში, როგორიც III სათათბიროა, ისეთ მომენტში, როგორც ახლანდელი მომენტია, ისეთი საკითხის გამო, როგორიცაა საბიუჯეტო უფლებები, სასაცილოდ დამახინჯებული ხ ე ლ შ ე უ ვ ა ლ ი ძირითადი კანონებით, ნაწილობრივი რეფორმის საკითხის აღძვრა უაზრობა იყო. კადეტებს შეეძლოთ საკითხი ნაწილობრივი რეფორმის სახით აღეძრათ, — ჩვენ მზადა ვართ ასეთ დათმობაზედაც წავიდეთ, — მაგრამ დემოკრატებს არ შეეძლოთ ი ს ე განემარტათ ეს საკითხი, როგორც კადეტები მოიქცნენ.

ისინი უმთავრეს ყურადღებას საკითხის ეგრეთწოდებულ ს ა ქ მ ი ა ნ მხარეს აქცევდნენ, 8 მარტის წესების

უ ხ ე რ ხ უ ლ ო ბ ა ს, თვით მთავრობისთვისაც მათ არახელ-საყრელობას, იმის ისტორიას, თუ როგორ იწერებოდა სხვა-დასხვაგვარი იდიოტური კანონები სათათბიროს წინააღმდეგ ბულიგინის, ვიტეს და სხვათა ხროვის იდიოტურ კანცელარი-ებში. საკითხის კადეტურად დაყენების ს უ ლ ი ყველაზე მკაფიოდ გადმოცემულია ბ-ნ შინგარიოვის შემდეგს სიტყვებ-ში: «ჩვენს მიერ შეტანილ პროექტში არავითარი ცდა (მო-ნარქის პრეროგატივების შეზღუდვისა) არ არის, არავითარი დაფარული აზრები (!!) მასში არ არის. მასში არის მხოლოდ მისწრაფება თ ვ ი თ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს მ უ შ ა ო ბ ი ს გაად-ვილების გამო, მისი ღირსების დაცვისა და აუცილებლობის გამო შეასრულოს ის მუშაობა, რ ო მ ლ ი ს თ ვ ი ს ა ც ჩ ვ ე ნ მ ო წ ო დ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ» (ხაზგასმა ჩვენია; გვ. 1263 ოფიციალური სტენოგრაფიული ანგარიშებისა, 1908 წლის 15 იანვრის სხდომა).

ასეთი სუბიექტი ხალხის შეგნების გათვითცნობიერების ნაცვლად ა ბ ნ ე ლ ე ბ ს მას, რადგან იგი აშკარა სიცრუესა და უაზრობას ამბობს. და თუნდაც ამ ბ-ნ შინგარიოვს, პო-ლიტიკანების მთელი კადეტური ამფსონებითურთ, თავისი «დიპლომატიის» «სარგებლობა» გულწრფელად წამდეს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია შევცვალოთ ეს აუცილებელი დასკვნა. დემოკრატმა ხალხის წინაშე უნდა გა-მოააშკარაოს ი ს უ ფ ს კ რ უ ლ ი, რომელიც პარლამენტის უფლებებსა და მონარქის პრეროგატივებს შორის არსებობს, და კი არ უნდა დააჩლუნგოს ხალხის შეგნება, კი არ უნდა დაამახინჯოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ა და კი არ უნ-და გადააქციოს ეს ბრძოლა კანონების კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ულ შ ე ს წ ო რ ე ბ ა დ. როდესაც კადეტები საკითხს ა მ ნ ა ი-რ ა დ აყენებენ, ამით ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ ისინი მეფის მოხელეებისა და ოქტიაბრის-ტების კონკურენტები არიან და არა თავისუფლებისთვის, თუნდაც მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის თავისუფლებისათ-ვის მებრძოლნი. ა მ ნ ა ი რ ა დ მხოლოდ **უგვანოდ მოლიბე-**

რალო მოხელეები ლაპარაკობენ და არა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლის პოკროვსკი მე-2-ს სიტყვაში — ჩვენ ეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ — აშკარად ჩანს სხვა სულისკვეთება, საკითხი პრინციპულად სხვანაირად არის დასმული. სოციალ-დემოკრატმა პირდაპირ და გარკვეულად თქვა, რომ სახალხო წარმომადგენლობა III სათათბიროში მას გაყალბებულად მიაჩნია (ციტატი მოგვყავს 18 იანვრის «სტოლიჩნაია პოჩტიდან», რადგან ამ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშები ჯერ კიდევ არ არის ჩვენს განკარგულებაში). იგი ხაზგასმით აღნიშნავდა არა წვრილმანებს, კანონის არა კანცელარიულ ისტორიას, არამედ ხალხის მასების, მილიონების და ათეული მილიონების, გაჩანაგებასა და ჩაგვრას. მან სამართლიანად განაცხადა, რომ «სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებებზე ლაპარაკი უირონიოდ შეუძლებელია», რომ ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო მთელი ბიუჯეტის გადაკეთების უფლებას (შემოსავლიანი ადგილის მქონე მოხელე, კოკოვცევი, სათათბიროში ყველაზე მეტად ეკამათებოდა იმ მოხელეებს, რომლებსაც შემოსავლიანი ადგილი არ უჭირავთ, შინგარიოვსა და აჯემოვს, ამ «გადაკეთების» შესაძლებლობისა და ფარგლების საკითხზე), არამედ «მთელი ფინანსური სისტემის გარდაქმნის», «მთავრობის ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმისმიცემის» უფლებასაც. მან თავისი სიტყვა დააასრულა «ხალხის სრული ხელისუფლების» არა ნაკლებ სწორი და მუშათა პარტიის წევრისთვის სავალდებულო მოთხოვნით. ყველა ამ მხრივ პოკროვსკიმ სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი კეთილსინდისიერად და სწორად დაიცვა.

მაგრამ ამასთან მან სამწუხარო შეცდომა დაუშვა, — გაზეთების ცნობების მიხედვით, ეს შეცდომა დაუშვა მთელმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, — როდესაც ასეთი დირექტივა მისცა თავის ორატორს. პოკროვსკიმ განაცხადა: «ჩვენ მხარს ვუჭერთ 40-ის წინადადებას, რო-

გორც ისეთს, რომელიც სახალხო წარმომადგენლობის საბიუჯეტო უფლებათა გაფართოებისკენ არის მიმართული».

რა საჭირო იყო ეს განცხადება ისეთი წინადადების მხარდაჭერის შესახებ, რომელიც განზრახ არ არის პრინციპულად გამართული, განზრახ არ არის სრული, განზრახ ხელმოწერილია უპრინციპო ადამიანების მიერ, რომლებსაც სიმტკიცის ნატამალის გამოჩენაც კი არ შეუძლიათ, — წინადადებისა, რომელიც პრაქტიკულად აშკარად გამოუსადეგარია? ეს იყო მხარდაჭერა არა მებრძოლი ბურჟუაზიისა (ფორმულა, რომლითაც ბევრს უყვარს თავისი პოლიტიკური უხასიათობის გამართლება), არამედ მხარდაჭერა ლიბერალურ-ოქტიაბრისტული ბურჟუაზიის მერყეობისა. და რომ ეს ასეა, — ეს მაშინვე ფაქტებმა დაამტკიცეს. ეს დაამტკიცეს თვით კადეტებმა, როცა თავიანთი წინადადება მოხსნეს და შეუერთდნენ ოქტიაბრისტების წინადადებას: «გადაეცეს კომისიას, ისე რომ არ შევეხოთ კანონის შეცვლის მოცულობას» (!). მეასედ და მეათასედ მოტყუებული დარჩნენ ისინი, ვინც კადეტებს «მხარს უჭერდა». მეასედ და მეათასედ ფაქტებმა ცხადყვეს სრული უბადრუკობა, სრული შეუწყნარებლობა ლიბერალურ, კადეტურ წინადადებათა მხარდაჭერის ტაქტიკისა, წინადადებათა, რომლებიც მიმართულია და სხვ. *.

კადეტებს რომ ოქტიაბრისტებთან შეერთების ნაცვლად კენჭისსაყრელად შეეტანათ განცხადება, რომელშიც ნათლად და ზუსტად იქნებოდა ლაპარაკი ფინანსურ საკით-

* «უტვინო» გაზეთი «სტოლიჩნაია პოჩტა» ვიღაც ბ-ნ სატურინის პირით აცხადებს: «ოპოზიციამ სავსებით გონივრულად (!) მისცა ხმა მას» (ოქტიაბრისტების რეზოლუციას). «სწორედ ამის წყალობით შესწორება» (ე. ი. რეზოლუცია, რომელიც წინდაწინვე არ განსაზღვრავდა ცვლილებათა მოცულობას) «მიღებულ იქნა ერთხმად» (18 იანვარი, გვ. 4, «სხდომათა დარბაზიდან»). გაუმარჯოს რუსეთის უტვინო ლიბერალების ერთსულოვნებას ოქტიაბრისტებთან და შავრაზმელი მეფის მინისტრებთან!

ხებში სათათბიროს უძლურებაზე, სახალხო წარმომადგენლობის ფალსიფიკაციაზე, თვითმპყრობელობის მიერ ქვეყნის გაჩანაგებაზე და გარდუვალ ფინანსურ კრახზე, დემოკრატიის წარმომადგენლების განცხადებაზე — ასეთ პირობებში სესხზე პასუხს არ ვაგებთო, — ეს იქნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატების პატიოსანი ნაბიჯი, — ბრძოლის აქტი, და არა გონებაჩლუნგი ლაქიობის აქტი. ჩვენ ვალდებული ვიქნებოდით მხარი დაგვეჭირა ასეთი აქტისთვის, თუმცა ცალკე და დამოუკიდებლად ჩვენი საკუთარი სოციალ-დემოკრატიული მიზნებიც უნდა აღგვენიშნა. და ასეთი აქტი სარგებლობას მოუტანდა ხალხის განათლებისა და თვითმპყრობელობის მხილების საქმეს.

ასეთი განცხადების უარყოფა სათათბიროს მიერ, შავი რაზმის გაშმაგებული სკანდალი ამნაირი წინადადების წინააღმდეგ — დემოკრატიის ისტორიული დამსახურება და თავისუფლებისათვის ახალი ბრძოლის შესაძლო ეტაპი იქნებოდა. ახლა კი კადეტებმა კიდევ და კიდევ გ ა ი შ ა ვ ე ს თავი. ამ-ხანაგო სათათბიროელო სოციალ-დემოკრატებო! გაუფრთხილდით სოციალისტური მუშათა პარტიის სახელს, ამგვარი ლიბერალიზმის მხარდაჭერით ნურავის დაამარცხებინებთ თავს!

---

ერთმა აღვირახსნილმა მემარჯვენემ სათათბიროში გადაუხვია ოქტიაბრისტების ტაქტიკას — უთანხმოებათა მიჩქმალვას, კადეტების შეთანხმებებზე მიტყუილებას. კოვალენკომ, შავრაზმელმა, 12 იანვარს სახელმწიფო სათათბიროში პირდაპირ განაცხადა, კადეტების პროექტი კომისიაშიც კი არ შევიტანოთო (გვ. 1192 სტენოგრაფიული ოქმისა). მაგრამ ამ გმირმა, ჩანს, ხმა მაინც ოქტიაბრისტებს მისცა; მამაცობა მან მხოლოდ სიტყვიერად გამოიჩინა. თავის სიტყვაში მან მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ დაასურათა საქმის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ვითარება, როდესაც განსაკუთრებულ რწმუნებულებათა საჭიროების დასამტკიცებლად ასეთი მაგალითი მოიყვანა: «დავასახელოთ,

ვთქვათ, მოსკოვის აჯანყება, დამსჯელი რაზმების გაგზავნა. განა მაშინ მთავრობას ჰქონდა დრო ჩვეულებრივი მსვლელობის დასაცავად»... (გვ. 1193). სამწუხაროა, რომ სოციალ-დემოკრატები შავი რაზმის ამ სიმართლის ნაპერწკლებს არ იჭერენ. თქვენ მართალი ხართ, კოლეგა დეპუტატო, — უნდა ეთქვათ მისთვის. აქ ჩვეულებრივი მსვლელობის დრო არ არის. მაშ უკუვაგდოთ პირმოთნეობა და ვაღიაროთ, რომ ჩვენ განვიცდით არა «ჩვეულებრივ მსვლელობას», არამედ სამოქალაქო ომს; რომ მთავრობა კი არ განაგებს, არამედ ომობს, რომ რუსეთის მდგომარეობა ძლივძლივობით შეკავებული აჯანყების მდგომარეობაა. ეს სიმართლე იქნება, ხალხისთვის სიმართლის ხშირად მოგონება კი სასარგებლოა!

«სოციალ-დემოკრატი» № 1,
1908 წლის თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

# პოსტსკრიპტუმი სტატიისა: «დეპუტატებისთვის სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ»

ამჟამად სათათბირო თვით ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგა. რეაქციონერების ბლოკმა სახალხო თავისუფლების ცრუ-ოპოზიციურ გამცემლებთან კამათის პირველ დღესვე გამოააშკარავა თავისი თავი. ლეგალურ პრესაშიც იგივე სურათია: ნოვოვრემიელები მიესალმებიან ყველას გაერთიანებას, გარდა «მემარცხენე ფანატიკოსებისა», იგულისხმე — სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკებისა... უტვინო კამპანიის «ნაშა გაზეტა»[113] სიხარულით ცას ეწევა. «საქმიანი» დღეა, რომელიც «გვარიგებს» «ბიუჯეტის ცალკეული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით განხილვის ნაკლთან»...

«ოპოზიცია» აშკარა რეაქციის უკან მიჩანჩალებს. აქ სწორედ მუშათა კლასისა და დემოკრატიის დეპუტატებს ეკისრებათ პასუხსაგები და საპატიო როლი გაძარცული ხალხის ნამდვილი წარმომადგენლებისა. სამწუხაროდ, ჩვენი სათათბიროელი ამხანაგების პირველი საბიუჯეტო გამოსვლები მეტად უხეირო და დიდად შემცდარია. «პროლეტარის» უახლოეს ნომერში დაწვრილებით განვიხილავთ ამ შეცდომებს და დავსახავთ მოქმედების იმ ხაზს, რომელსაც, ჩვენის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა დაადგნენ სოციალ-დემოკრატები საბიუჯეტო კამათისა და კენჭისყრის დროს[114].

«პროლეტარი» № 27,
1908 წლის (8 აპრილი) 26 მარტი.

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# პოლიტიკური შენიშვნები

შოვინისტები მუშაობენ. გაძლიერებით ვრცელდება ხმები იაპონელთა შეიარაღების შესახებ, იმის შესახებ, რომ ისინი რუსეთზე თავდასასხმელად მანჯურიაში 600 ბატალიონს აგროვებენ. თურქეთი, ვითომ, გაცხოველებით იარაღდება, რათა ამ გაზაფხულზევე რუსეთს ომი გამოუცხადოს. ამბობენ, რუსეთისაგან გამოყოფის მიზნით კავკასიაში აჯანყება მზადდებაო (ისღა აკლიათ, პოლონელების გეგმებზე მორთონ ყვირილი!). ფინეთის დევნას აქეზებენ ლაყბობით მისი შეიარაღების შესახებ. ავსტრიის წინააღმდეგ წარმოებს გააფთრებული კამპანია ბოსნიაში რკინიგზის მშენებლობის გამო. ძლიერდება რუსეთის პრესის თავდასხმა გერმანიაზე, რომელიც ვითომც თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებს. კამპანია წარმოებს არა მარტო რუსულ, არამედ ფრანგულ პრესაშიც — რომლის მოყიდვაც რუსეთის მთავრობის მიერ ესოდენ დროზე მოგვაგონა ამას წინათ ერთმა სოციალ-დემოკრატმა სათათბიროში.

დასავლეთის სერიოზული ბურჟუაზიული პრესა უარს ამბობს მთელი ეს კამპანია გაზეთებში მომუშავეთა ფანტაზიის ნაყოფად ან იმ ადამიანების აფიორად აღიაროს, რომლებიც სენსაციას მისდევენ. არა, ცხადია, «მმართველი წრეები» — იგულისხმეთ: მეფის შავრაზმული მთავრობა ან სასახლის კარის ისეთი საიდუმლო ბრბო, როგორიცაა ყბადაღებული «ვარსკვლავთა პალატა»—იძლევა სრულიად განსაზღვრულ პაროლს, ხორციელდება რაღაც სისტემატური «ხაზი», აღებულია რაღაც «ახალი კურსი». სათათბიროს მიერ შექმნილი სახელ-

მწიფო თავდაცვის კომისიის კარების დახურვას სათათბიროს ყველა იმ წევრისთვის, ვინც მასში არ შედის, ე. ი. არა მარტო რევოლუციური პარტიებისთვის, არამედ კადეტებისთვისაც, უცხოეთის პრესა პირდაპირ ამ შოვინისტურ კამპანიას უკავშირებს; იმასაც კი ამბობენ, რომ «კონსტიტუციონალიზმის» საბოლოოდ გასამასხარავებლად რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს კრედიტები სანაპირო ჯარების გასადიდებლად გამოითხოვოს არა მთელი სათათბიროსაგან, არამედ მხოლოდ ამ შავრაზმულ — ოქტიაბრისტული კომისიისაგან.

აი ზოგიერთი ციტატი ევროპული, სრულიადაც არა სოციალისტური, გაზეთებიდან, რომლებსაც რუსეთის რევოლუციის შესახებ ოპტიმიზმს ვერ დაეწამებთ:

«გერმანელების გამარჯვებებმა საფრანგეთზე (1870 წელს) გააღვივეს, როგორც ერთხელ ბისმარკმა შენიშნა, რუსეთის სამხედრო პირთა პატივმოყვარეობა, და მათაც სამხედრო დაფნის გვირგვინებისკენ გაიწოდეს ხელი. პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და ისტორიული მიზეზების გამო თურქეთი ამ მიზნისთვის განსაკუთრებით გამოსადეგ ობიექტად ეჩვენებოდათ (1877 — 1878 წლების ომი თურქეთთან). ცხადია, ახლაც ამავე აზრს ადგანან რუსეთის განსაზღვრული წრეები, რომლებსაც დაავიწყდათ იაპონიის ომის გაკვეთილები და ქვეყნის ნამდვილი საჭიროებანი არ ესმით. რადგან ბალკანეთში აღარავითარი «ძმები» არ არიან განსათავისუფლებელნი, იძულებული ხდებიან რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად სხვა საშუალებანი მოიგონონ. ეს საშუალებანი, მართალი უნდა ითქვას, უფრო ტლანქია, ვიდრე მაშინდელნი: რუსეთი სურთ წარმოიდგინონ შინაური და გარეშე მტრებით გარშემორტყმულად».

«რუსეთის მმართველ წრეებს სურთ თავიანთი მდგომარეობის განმტკიცება სცადონ ძველი საშუალებებით, სახელდობრ: განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალდატანებით ჩახშობით შიგნით და ხალხის ყურადღების ჩამოცილებით სავალალო შინაური მდგომარეობიდან ნაციონალიზმის გრძნობის გაღვიძებით, დიპლომატიური კონფლიქტების შექმნით, რაც არ ვიცით რით გათავდება».

როგორია კონტრრევოლუციური თვითმპყრობელობის პოლიტიკის ამ ახალი შოვინისტური ხაზის მნიშვნელობა? ცუსიმისა და მუკდენის შემდეგ ამნაირ პოლიტიკას შეუძლიათ ჩაებღაუჭონ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საბო-

ლოოდ ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი. ორი წლის რეაქციის გამოცდილებამ, მიუხედავად ყოველგვარი ღონისძიებებისა, შავრაზმულ თვითმპყრობელობას ვერავითარი რამდენადმე მაინც საიმედო შინაგანი დასაყრდენი ვერ მისცა, ვერ შექმნა ვერავითარი ახალი კლასობრივი ელემენტები, რომლებსაც თვითმპყრობელობის ეკონომიური განახლება შეძლებოდათ. უამისოდ კი რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური წყობილების გადარჩენა კონტრრევოლუციის არავითარ სიმხეცეს, არავითარ გაშმაგებას არ ძალუძს.

---

სტოლიპინსაც, შავრაზმელ მემამულეებსაც და ოქტიაბრისტებსაც ესმით, რომ ახალი კლასობრივი დასაყრდენის შეუქმნელად ისინი ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. აქედან გამომდინარეობს მათი პოლიტიკა გლეხების საბოლოო გაჩანაგებისა, თემის ძალით დანგრევისა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმისთვის გზის გასაკაფავად, რადაც უნდა დაჯდეს. რუსეთის ლიბერალები, უაღრესად განსწავლულნი, უაღრესად განათლებულნი, უაღრესად «ჰუმანურნი» — «რუსსკიეედომოსტელი» პროფესორების მსგავსნი — ამ მხრივ სტოლიპინებზე გაცილებით უფრო ჩლუნგნი აღმოჩნდნენ. «არაფერი გასაკვირველი არ იქნება, — წერს ხსენებული გაზეთის მოწინავე სტატიის ავტორი 1 თებერვალს, — თუ, მაგალითად, ნოემბრის დროებითი წესების ბედის გადაწყვეტის დროს თემის გუშინდელი მოტრფიალე სლავოფილები მხარს დაუჭერენ სამინისტროს ცდას — დაანგრიოს თემი ცალკე მეკომურთა პირად საკუთრებად მიწის განმტკიცებით... შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ თავდაცვის ის მიზნები, რომლებიც საერთოა სათაობიროს კონსერვატიული უმრავლესობისა და სამინისტროსათვის, ერთსაც და მეორესაც უფრო აგრესიულ ზომებს უკარნახებენ, ვიდრე 1906 წლის განთქმული ბრძანებულებებია... გასაოცარი სურათი გამოდის: კონსერვატიული მთავრობა კონსერვატიულ პარტიათა წარმომადგენლების დახმარებით ამზადებს რადიკალურ რეფორ-

მას საადგილმამულო ურთიერთობის დარგში, რაც მკვეთრ გარდატეხას ყველაზე ნაკლებ ემორჩილება, და ბედავს ამ-გვარ რადიკალურ ზომას მიმართოს, რადგან განყენებულ მო-საზრებათა გამო მფლობელობის ერთი ფორმა მეორე ფორ-მაზე უმჯობესად მიაჩნია».

გაიღვიძეთ, ბატონო პროფესორო, — ჩამოიბერტყეთ მა-მაპაპური ნაროდნიკობის არქივის მტვერი, — შეხედეთ, რა გააკეთა რევოლუციის ორმა წელმა. სტოლიპინმა დაგამარცხათ არა მარტო ფიზიკური ძალით, არამედ იმითაც, რომ სწორად გაიგო ეკონომიური განვითარების თვით პრაქტიკული საჭიროება, ძველი მიწათმფლობელობის ძალდატანებით მსხვრევის საჭიროება. უდიდესი «ძვრა», რომელიც რევოლუციამ საბოლოოდ მოახდინა, ის არის, რომ შავრაზმულ თვითმპყრობელობას წინათ შ ე ე ძ ლ ო დაყრდნობოდა მიწათმფლობელობის შუასაუკუნეობრივ ფორმებს, ახლა კი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა, მთლიანად და საბოლოოდ იძულებულია გაცხარებული სიჩქარით იმუშაოს მათ დანგრევაზე. რადგან მან შეიგნო, რომ ძველი საადგილმამულო წესების დ ა უ მ ს ხ ვ რ ე ვ ლ ა დ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ი ყ ო ს იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც იძლევა რუსეთის რევოლუციის ყველაზე უფრო ღრმა ახსნას: უაღრესად ჩამორჩენილი მიწათმფლობელობა, უაღრესად ველური სოფელი — უაღრესად მოწინავე სამრეწველო და ფინანსური კაპიტალიზმი!

მაშასადამე, თქვენ სტოლიპინის საადგილმამულო კანონმდებლობის მომხრე ხართ? — შეშინებული შეგვეკითხებიან ნაროდნიკები. — ოჰ, არა! დამშვიდდით! ჩვენ რუსეთის ძველი მიწათმფლობელობის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ფორმის, როგორც მემამულურის, ისე სანადელო გლეხურის, უსათუოდ წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ უეჭველად მხარს ვუჭერთ ამ დამპალი, ვახრწნილი და ყოველივე ახლის მომწამვლელი სიძველის ძალით დამსხვრევას, — ჩვენ მხარს ვუჭერთ მიწის ბურჟუაზიულ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის ერთადერთ თანამიმდევრულ ლოზუნგს,

როგორც ერთადერთ პრაქტიკულ ზომას, რომელიც ისტორიულად-აუცილებელი მსხვრევის მთელ მახვილს მემამულეების წინააღმდეგ მიმართავს და ხელს უწყობს გლეხთა მასაში მიწის თავისუფალ მეპატრონეთა გამოყოფას.

რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურობა ის არის, რომ რევოლუციურ პოლიტიკას რევოლუციის ძირითად საკითხში, აგრარულ საკითხში, აწარმოებენ შავრაზმელები და გლეხები მუშებთან ერთად. ლიბერალი ვექილები და პროფესორები კი იცავენ რაღაც მეტად უსიცოცხლოს, უაზროს და უტოპიურს: იმის მ ს ხ ვ რ ე ვ ი ს ორ, ერთიმეორის საწინააღმდეგო, ერთიმეორის უარმყოფელი მეთოდის შეთანხმებას, რაც უკვე დრომოჭმულია, ამასთან ისეთს შეთანხმებას, რომ საერთოდ არავითარი მსხვრევა არ მოხდეს. ან გლეხთა აჯანყების გამარჯვება და ძველი მიწათმფლობელობის სრული დამსხვრევა რევოლუციით განახლებული გლეხობის სასარგებლოდ, ე. ი. მემამულეთა მიწების კონფისკაცია და რესპუბლიკა. ან სტოლიპინური მსხვრევა, რომელიც აგრეთვე ანახლებს, სინამდვილეში ანახლებს და კაპიტალისტურ ურთიერთობას უგუებს ძველ მიწათმფლობელობას, ოღონდ საკუთრებით მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ, გლეხთა მასის განუსაზღვრელი გაპარტახების, სოფლებიდან მისი ძალით გაძევების, გასახლების, შიმშილით სიკვდილის ფასად, საუკეთესო გლეხი ახალგაზრდობის ცხენით, გადასახლებით, დახვრეტითა და წამებით განადგურებით. ასეთი პოლიტიკის განხორციელება უმცირესობისთვის უმრავლესობის წინააღმდეგ ადვილი არ არის, მაგრამ ის ეკონომიურად შეუძლებელი როდია. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხს ნათლად შეიგნოს ეს. ხოლო ცდა წესიერი რეფორმით, მშვიდობიანად, ძალდაუტანებლად თავის დაღწევისა შუასაუკუნეობრივ წინააღმდეგობათა იმ უსაზღვროდ დახლართული კვანძიდან, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის ისტორიას შეუქმნია, დახავსებული «ფუტლარის ადამიანების» ყველაზე გონებაჩლუნგი ოცნებაა. ეკონომიური

აუცილებლობა უეჭველად იწვევს და უეჭველად განახორციელებს უაღრესად «მკვეთრ გადატრიალებას» რუსეთის საადგილმამულო წესებში. ისტორიული საკითხი მხოლოდ ის არის, თუ ვინ განახორციელებს ამას: მემამულეები, რომლებსაც მეფე და სტოლიპინი ხელმძღვანელობენ, თუ გლეხთა მასები, რომლებსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

---

«ოპოზიციის გაერთიანება» — ასეთია რუსული პოლიტიკური პრესის საჭირბოროტო საკითხი. პოლიციურ-სტოლიპინური «როსსია» ზეიმობს: «გაერთიანება? მაშასადამე, კადეტებიც რევოლუციონერები ყოფილან; ეცი კადეტს!». კადეტური «რეჩი», ერთიანად გაჟღენთილი მოხელური სურვილით — დაამტკიცოს, რომ კადეტები ოქტიაბრისტებზე ნაკლებ ზომიერნი არ არიან, პრანჭვა-გრეხით იბუტება, «მორალური» აღშფოთების ნიაღვარს ანთხევს იმის გამო, რომ მას არაკეთილსინდისიერად სწამებენ რევოლუციურობას, და აცხადებს: ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით ოპოზიციის გაერთიანებას, მაგრამ ეს გაერთიანება უნდა იყოს მოძრაობა «მ ა რ ცხ ნ ი დ ა ნ მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ» (2 თებერვლის მოწინავე). «ჩვენ გვაქვს პოლიტიკური შეცდომებისა და გულგატეხილობის გამოცდილება. როდესაც ოპოზიცია ერთიანდება, იგი ბუნებრივად ერთიანდება იმ ყველაზე მეტად ზომიერი პარტიის მინიმალური პროგრამის საფუძველზე, რომელიც მის შემადგენლობაში შედის».

ეს პროგრამა სრულიად ცხადია: ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ჰეგემონია, აი ჩემი პირობა, ამბობენ კადეტები, — იმის მსგავსად, როგორც ფალუ ეუბნებოდა 1871 წელს ტიერს, რომელიც მას მხარისდაჭერას თხოვდა: მონარქია, აი ჩემი პირობა.

«სტოლიჩნაია პოჩტამ» დაინახა რომ ასეთ რამეებზე პირდაპირ ლაპარაკი სირცხვილია, საძრახისია, და ამიტომ ის «რეჩს» «არ ეთანხმება», კმაყოფილდება ბუნდოვანი გადაკრული სიტყვებით «ოქტომბრისწინა განწყობილების» შესახებ

(წყეული ცენზურა უშლის ხელს გარკვეული პოლიტიკური პროგრამის არსებობას!) და არსებითად კი წინადადებას იძლევა, ვივაჭროთო. «რეჩს» ხელმძღვანელობა სურს, რევოლუციონერებსაც სურთ ხელმძღვანელობა (ახალი გაერთიანებით), მე კი პატიოსანი შუამავლობისათვის იქნებ გამიმასპინძლდეთო?

«გაერთიანება» — ჩვენ მხურვალედ თანავუგრძნობთ ამ ლოზუნგს, განსაკუთრებით როდესაც გადაკვრით — თუნდაც მხოლოდ გადაკვრით! — ამბობენ «ოქტომბრისწინა განწყობილებაზე». ოღონდ ისტორია არ მეორდება, ძვირფასო ბატონო პოლიტიკანებო. და ის გაკვეთილები, რომლებიც «სამი წლის ისტორიამ» მოგვცა, სხვადასხვა კლასის შეგნებიდან ვეღარავითარი ძალით ვეღარ აღმოიფხვრება. ეს გაკვეთილები არაჩვეულებრივად მდიდარია როგორც თავიანთი დადებითი შინაარსით (მუშებისა და გლეხების 1905 წლის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლის გამარჯვების ფორმები, ხასიათი და პირობები), ისე თავიანთი უარყოფითი შინაარსით (ორი სათათბიროს კრახი, ე. ი. კონსტიტუციური ილუზიებისა და კადეტების ჰეგემონიის კრახი).

ვისაც სურს ე ს გაკვეთილები სისტემატურად შეისწავლოს, გაიაზროს, შეითვისოს, მასებში შეიტანოს, — კეთილ ინებოს, ჩვენ სავსებით «გაერთიანების» მომხრენი ვართ, — გაერთიანებისა დაუნდობელი ბრძოლისთვის რევოლუციის რენეგატების წინააღმდეგ. არ მოგწონთ? ჩვენი გზები ერთმანეთს დაცილდნენ.

ძველი, «ოქტომბრისწინა» ლოზუნგი კარგია, და ჩვენც (კრებულ «ნაშა მისლის»[115] თანამშრომლის მ-დ-მის საწყენად არ ვამბობთ!) მას არ უკუვაგდებთ («დამფუძნებელი კრება»). მაგრამ იგი საკმარისი არ არის. იგი მეტისმეტად ფორმალურია. მასში ცხოვრების მწვავე საკითხების პრაქტიკული დასმის შეგნება არ არის. მას ჩვენ სამი დიადი წლის დიადი გაკვეთილით შევავსებთ. ჩვენი «პროგრამა-მინიმუმი», «ჩვენი გაერთიანების პროგრამა» მარტივი და ნათელია: 1) მე-

მამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია; 2) რესპუბლიკა. ამისათვის ჩვენ დამფუძნებელი კრება გვინდა ისეთი, რომ ეს შეძლოს.

ორი სათათბიროს, კადეტური სათათბიროს, ისტორიამ გასაოცარი სიცხადით დაგვანახვა, რომ საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილი ბრძოლა, — ის ბრძოლა, რომელიც ყოველთვის შეგნებული არა ყოფილა, რომელიც ყოველთვის არ გადმოხეთქავდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის თავის გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენდა ყველა დიდ პოლიტიკურ შედეგზე, ყოველთვის მტვერივით ჰფანტავდა «კონსტიტუციონალიზმის» გულუბრყვილო და თაღლითურად-გაქნილი პროფანების ოინებს, ეს ბრძოლა სავსებით და მთლიანად ჩვენ მიერ აღნიშნული ორი «ობიექტის» გამო წარმოებდა. სწორედ ამ ლოზუნგების აუცილებლობა სინამდვილეში ჩვენ დაგვანახვა არა განყენებულმა თეორიებმა, არამედ რუსეთის მემამულური თვითმპყრობელობის რეალურ პირობებში ჩვენი ხალხის მასების ბრძოლის რეალურმა გამოცდილებამ. ვისაც ამ ლოზუნგების შეთვისების უნარი შესწევს, — მას წინადადებას ვაძლევთ «ცალცალკე ვიაროთ» და «ერთად დავარტყათ», დავარტყათ მტერს, რომელიც რუსეთს ავერანებს, ათასობით ჟლეტს რუსეთის საუკეთესო ადამიანებს.

«გაერთიანების ასეთი პროგრამით მარტონი დარჩებითო».. ეს არ არის მართალი.

წაიკითხეთ უპარტიო გლეხების სიტყვები პირველ ორ სათათბიროში, — და თქვენ მიხვდებით, რომ გაერთიანების ჩვენი პროგრამა მხოლოდ აყალიბებს მათს სურვილებს, მათს საჭიროებებს, ამ საჭიროებათაგან გამომდინარე ელემენტარულად-აუცილებელ დასკვნებს. იმათ წინააღმდეგ, ვისაც ეს საჭიროებანი არ ესმის, — დაწყებული კადეტით და გათავებული პეშეხონოვით (ისიც «გაერთიანებას» ჰქადაგებდა მოსკოვში, როგორც იქიდან გვწერენ), — იმათ წინააღმდეგ ჩვენ ომს დავიწყებთ «გაერთიანების» გულისთვის.

ეს მტკიცე ომი იქნება. ჩვენ გვეხერხებოდა მრავალი წლობით მუშაობა რევოლუციის წინ. ჩვენ ტყუილად კი არ გვიწოდეს კლდესავით მტკიცენი. სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს პროლეტარული პარტია, რომელიც პირველი სამხედრო შეტევის წარუმატებლობის გამო სულით არ დაეცემა, თავგზას არ დაჰკარგავს და ავანტიურას არ აჰყვება. ეს პარტია სოციალიზმისაკენ მიდის, თავის თავსა და თავის ბედს არ უკავშირებს იმას, თუ როგორ დასრულდება ბურჟუაზიული რევოლუციების ესა თუ ის პერიოდი. სწორედ ამიტომ იგი თავისუფალია ბურჟუაზიულ რევოლუციათა სუსტი მხარეებისგანაც. და ეს პროლეტარული პარტია გამარჯვებისაკენ მიდის.

«პროლეტარი» № 21,
1908 წლის 26 (13) თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# «პროლეტარის» რედაქციის განცხადება

ერნსტ მახის შესახებ «Neue Zeit»-ის * მე-20 ნომერში მოთავსებულ ა. ბოგდანოვის სტატიის ჩვენთვის უცნობი მთარგმნელის წინასიტყვაობაში წავიკითხეთ შემდეგი: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, სამწუხაროდ, აშკარავდება ძლიერი ტენდენცია — მახისადმი ესა თუ ის დამოკიდებულება გახადონ პარტიის ფრაქციული დაყოფის საკითხად. ბოლშევიკებისა და მენშევიკების მეტად სერიოზული ტაქტიკური უთანხმოებანი მწვავდება დავით ისეთ საკითხზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, ამ უთანხმოებებთან არავითარი კავშირი არა აქვთ, სახელდობრ: ეთანხმება თუ არა მარქსიზმი თეორიულ-შემეცნებითი მხრივ სპინოზას და გოლბახის, ანდა მახისა და ავენარიუსის მოძღვრებას?»

ამის გამო «პროლეტარის» რედაქციას, როგორც ბოლშევიკური მიმდინარეობის იდეურ წარმომადგენელს, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი. სინამდვილეში ეს ფილოსოფიური დავა ფრაქციული დავა არ არის და, რედაქციის აზრით, არც უნდა იყოს; ყოველგვარი ცდა, რომ ეს უთანხმოებანი ფრაქციულ უთანხმოებებად წარმოგვიდგინონ, ძირფესვიანად მცდარია. როგორც ერთ, ისე მეორე ფრაქციაში არიან ორივე ფილოსოფიური მიმართულების მომხრეები.

«პროლეტარი» № 21,
1908 წლის 26 (13) თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

---

*— «ახალი დროება». რ ე დ.

# წერილი ა. მ. გორკის

25. II. 1908

ძვირფასო ა. მ.! თქვენს წერილზე დაუყოვნებლივ ვერ გიპასუხეთ, რადგან თქვენი სტატიის გამო თუ მასთან ერთგვარად დაკავშირებით ჩვენ და ალ. ალ.-ს [116], თუმცა ეს პირველი შეხედვით უცნაურადაც ჩანს, საკმაოდ მძიმე ჩხუბი მოგვივიდა რედაქციაში... ჰმ, ჰმ... მე ვლაპარაკობდი არა იმ ადგილას და არა იმის გამო, სადაც თქვენ ფიქრობდით!

საქმე ასე იყო.

წიგნმა «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები» [117] ძალიან გაამწვავა ძველი უთანხმოებანი ბეკებს შორის ფილოსოფიის საკითხებზე. მე საკმაოდ კომპეტენტურად არ ვთვლი თავს ამ საკითხებში, რომ ვიჩქარო პრესაში გამოსვლა. მაგრამ მე ყოველთვის ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ჩვენს პარტიულ კამათს ფილოსოფიაში, — დაწყებული პლეხანოვის ბრძოლით მიხაილოვსკისა და კომპ. წინააღმდეგ 80-იანი წლების დამლევს და 1895 წლამდე, შემდეგ მისივე ბრძოლას კანტიანელებთან 1898 და შემდგომ წლებში (აქ უკვე არათუ თვალყურს ვადევნებდი, არამედ ნაწილობრივ მონაწილეობასაც ვიღებდი, როგორც «ზარიას» რედაქციის წევრი 1900 წლიდან), ბოლოს, მისივე ბრძოლას ემპირიოკრიტიკოსებთან და კომპ.

ბოგდანოვის თხზულებებს ფილოსოფიაში მე თვალყურს ვადევნებდი მას შემდეგ, რაც გამოვიდა მისი ენერგეტიკული წიგნი «ბუნებაზე ისტორიული შეხედულების» შესახებ. ამ

წიგნს ვსწავლობდი ციმბირში ყოფნის დროს. ბოგდანოვისთვის ეს პოზიცია მხოლოდ გადასვლა იყო სხვა ფილოსოფიურ შეხედულებებზე. პირადად მე ბოგდანოვს გავეცანი 1904 წელს, ამასთან ჩვენ მაშინვე საჩუქარი ვუძღვენით ერთმანეთს: მე «ნაბიჯები»[118], მან — ერთი თავისი მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ფილოსოფიური ნაშრომი[119]. და მე მას მაშინვე (1904 წლის გაზაფხულზე თუ ზაფხულის დამდეგს) ვწერდი ჟენევიდან პარიზში, რომ ის თავისი ნაწერებით სავსებით მაცვლევინებს აზრს მის შეხედულებათა სისწორეზე და სავსებით მარწმუნებს პლეხანოვის შეხედულებათა სისწორეში.

პლეხანოვს და მე, როცა ერთად ვმუშაობდით, არა ერთხელ გვისაუბრნია ბოგდანოვზე. პლეხანოვი მე მიხსნიდა ბოგდანოვის შეხედულებათა მცდარობას, მაგრამ ამ გადახვევას არც ისე საშინლად დიდად თვლიდა. მშვენივრად მახსოვს, რომ 1903 წლის ზაფხულში მე და პლეხანოვი «ზ ა რ ი ა ს» რედაქციის სახელით ვესაუბრებოდით «რეალისტური მსოფლმხედველობის ნარკვევების»[120] რედაქციის დელეგატს ჟენევაში, ამასთან დ ა ვ თ ა ნ ხ მ დ ი თ თანამშრომლობას, მე — აგრარულ საკითხში, პლეხანოვი — ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ში მ ა ხ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. პლეხანოვი თანამშრომლობის პ ი რ ო ბ ა დ აყენებდა თავის გამოსვლას მახის წინააღმდეგ, — ამ პირობას «ნარკვევების» რედაქციის დელეგატი სავსებით იღებდა. პლეხანოვი მაშინ ბოგდანოვს უყურებდა როგორც მოკავშირეს რევიზიონიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ისეთ მოკავშირეს, რომელიც ცდება იმდენად, რამდენადაც მისდევს ოსტვალდს და შემდეგ მახს.

1904 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ჩვენ საბოლოოდ შევთანხმდით ბოგდანოვთან, როგორც ბ ე კ ე ბ ი, და დავდეთ მდუმარე ბლოკი, რომელიც დუმილით უვლის გვერდს ფილოსოფიას, როგორც ნეიტრალურ დარგს და რომელმაც იარსება მთელი რევოლუციის განმავლობაში და მოგვცა შესაძლებლობა ერთად გაგვეხორციელებინა რევოლუციაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის (ბოლშევიზმის) ის ტაქ-

(1)

25.II.08.

Дорогой А. М.! На письмо Ваше по поводу Ваших статей в литературно-общественном сборнике, — Вам не [illegible] Вам [illegible] дружески с Мл. Мл. в редакции... Ну, ладно... я говорил не в Ваш адрес и не по Вашему поводу, ибо Вы умны!

Жмем вашу руку.

Книга философских статей — дело серьезное, обходящее давнюю разработанность среди людей по вопросам философии. Я не смею еще достаточно компетентно по этим вопросам, чтобы горячиться. Но [illegible] всегда с большим интересом прочтем по философии Виноградова, — начиная с брошюры Плеханова против Михайловского и Ко в конце 80-х и до 1895 года, [illegible] борьбы его уже с эмпириокритиками 1898 и 1899 года (еще уже я не только [illegible], но [illegible] и [illegible], как член редакции Жизни за 1900 год), [illegible] борьба его уже со [illegible] и Ко.

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა
ა. ს. გორკისადმი. — 1908 წლის 25 თებერვალი.

დაპატარავებულია

ტიკა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო.

გაჩაღებული რევოლუციის დროს ფილოსოფიისთვის ცოტა დრო რჩებოდა. საპყრობილეში 1906 წლის დამდეგს ბოგდანოვმა დასწერა კიდევ ერთი რამ, — მგონი, «ემპირიომონიზმის» III ნაკვეთი. 1906 წლის ზაფხულში მან მომიძღვნა ეს წიგნი, და მეც გულმოდგინედ ჩავუჯექი მას. როცა წავიკითხე, არაჩვეულებრივად გავბრაზდი და გავხელდი: ჩემთვის კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ იგი არქიშემცდარ, არა მარქსისტულ გზას ადგა. მაშინ მე მივწერე «სიყვარულის ახსნა», პატარა წერილი ფილოსოფიაში სამი მცირე რვეულის მოცულობით. მე იქ მას ვუხსნიდი, რომ მე, რა თქმა უნდა, რიგითი მარქსისტი ვარ ფილოსოფიაში, მაგრამ სწორედ მისი ნათელი, პოპულარული, ჩინებულად დაწერილი ნაშრომები საბოლოოდ მარწმუნებენ მის მცდარობაში არსებითად და პლეხანოვის სიმართლეში. ეს რვეულები მე ვუჩვენე ზოგიერთ მეგობარს (მათ შორის ლუნაჩარსკის) და ვფიქრობდი მათს დაბეჭდვას სათაურით: «რიგითი მარქსისტის შენიშვნები ფილოსოფიაზე», მაგრამ ვერ გადავწყვიტე. ახლა ვნანობ, რომ მაშინ, იმწამსვე, არ დავბეჭდე. ამ დღეებში მივწერე პიტერში და ვთხოვე მონახონ და გამომიგზავნონ ეს რვეულები [121].

ახლა გამოვიდა «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები». მე ყველა სტატია წავიკითხე გარდა სუვოროვის სტატიისა (მას ვკითხულობ), და ყოველი სტატიის შემდეგ პირდაპირ ვბრაზდებოდი აღშფოთებისაგან. არა, ეს მარქსიზმი არ არის! და ეფლობიან ჩვენი ემპირიოკრიტიკოსები, ემპირიომონისტები და ემპირიოსიმბოლისტები ჭაობში. არწმუნო მკითხველი, რომ გარეგანი ქვეყნის რეალობის «რწმენა» «მისტიკაა» (ბაზაროვი), ყველაზე საძაგლად აურიო ერთმანეთში მატერიალიზმი და კანტიანელობა (ბაზაროვი და ბოგდანოვი), იქადაგო ნაირსახეობა აგნოსტიციზმისა (ემპირიოკრიტიციზმი) და იდეალიზმისა (ემპირიომონიზმი), — ასწავლო მუშებს «რე-

ლიგიური ათეიზმი» და ადამიანის უმაღლესი პოტენციების «გაღმერთება» (ლუნაჩარსკი), — მისტიკად გამოაცხადო ენგელსის მოძღვრება დიალექტიკის შესახებ (ბერმანი), — ისარგებლო აყროლებული წყაროთი ვიღაც ფრანგი «პოზიტივისტებისა» — აგნოსტიკოსებისა თუ მეტაფიზიკოსებისა, ეშმაკმა წაიღოს ისინი, «შემეცნების სიმბოლური თეორიითურთ» (იუშკევიჩი)! არა, ეს უკვე მეტისმეტია. რა თქმა უნდა, ჩვენ, რიგითი მარქსისტები, ფილოსოფიაში ნაკითხი ხალხი არა ვართ, — მაგრამ ასე რად უნდა შეურაცხგვყოთ, რომ ასეთი რამ შემოგვთავაზოთ, როგორც მარქსიზმის ფილოსოფია! მე მირჩევნია ხელ-ფეხი დამაჭრან, ვიდრე დავთანხმდე მონაწილეობა მივიღო ისეთ ორგანოში ან კოლეგიაში, რომელიც ასეთ რამეს ქადაგებს.

მე ისევე მიმიზიდა «რიგითი მარქსისტის შენიშვნებმა ფილოსოფიის შესახებ» და დავიწყე მათი წერა,[122] ხოლო ალ. ალ-ძეს — «ნარკვევების» კითხვის პროცესში — მე ჩემს შთაბეჭდილებებს, რა თქმა უნდა, ვუზიარებდი პირდაპირ და უხეშად.

თქვენი სტატია აქ რაღა შუაშია? — შემეკითხებით თქვენ. იმაში, რომ სწორედ იმ დროს, როცა ეს უთანხმოებანი ბოლშევიკებს შორის განსაკუთრებული გამწვავების საშიშროებას ჰქმნიდნენ, თქვენ აშკარად გადმოსცემთ ერთი მიმართულების შეხედულებებს თქვენს ნაშრომში «პროლეტარიატის». მე არ ვიცი, რა თქმა უნდა, როგორ და რა გამოგვიდოდათ საერთოდ. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, რომ მხატვარს თავის სასარგებლოდ ბევრი რამის ნახვა შეუძლია ყოველ ფილოსოფიაში. ბოლოს, მე სავსებით და უეჭველად ვიზიარებ იმ აზრს, რომ მხატვრული შემოქმედების საკითხებში თქვენ ძალიან კარგად ერკვევით და რომ, მიიღებთ რა ამგვარ შეხედულებებს თქვენი მხატვრული გამოცდილებიდანაც და თუნდაც იდეალისტური ფილოსოფიიდანაც, თქვენ შეგიძლიათ ისეთ დასკვნებამდე მიხ-

ვიდეთ, რომლებიც უდიდეს სარგებლობას მოუტანენ მუშათა პარტიას. ყველაფერი ეს ასეა. და მიუხედავად ამისა «პროლეტარი» მაინც აბსოლუტურად ნეიტრალური უნდა დარჩეს მთელი ჩვენი უთანხმოებისადმი ფილოსოფიაში და მკითხველებს საბაბის ნასახსაც კი არ უნდა აძლევდეს ბეკების, როგორც მიმართულების, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ფრთის ტაქტიკური ხაზის, დაკავშირებისათვის ემპირიოკრიტიციზმთან ან ემპირიომონიზმთან.

როცა მე წავიკითხე და გადავიკითხე თქვენი სტატია და ვუთხარი ა. ა.-ძეს, წინააღმდეგი ვარ მისი მოთავსების-მეთქი, იგი საშინლად მოიღუშა. ჩვენში პირდაპირ ჩამოწვა გათიშვის ატმოსფერო. გუშინ ჩვენ სპეციალურ სხდომაზე შევკრიბეთ ჩვენი სარედაქციო სამეული საკითხის განსახილველად. აქ ჩვენ მოულოდნელად დახმარება გაგვიწია ერთმა სულელურმა გამოსვლამ ჟურნალ «**Neue Zeit**»-ში. მე-20 ნომერში უცნობმა მთარგმნელმა მოათავსა ბოგდანოვის სტატია მახზე, ამასთან წინასიტყვაობაში წამოაყრანტალა, რომ პლეხანოვისა და ბოგდანოვის უთანხმოებას ტენდენცია აქვს ბეკებისა და მეკების ფრაქციულ უთანხმოებად იქცეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შორისო! ამ სიტყვებით ამ წინასიტყვაობის დამწერმა ბრიყვმა ჩვენ შეგვამჭიდროვა. ჩვენ ერთბაშად შევთანხმდით იმაზე, რომ განცხადება ჩვენი ნეიტრალობის შესახებ ახლა უეჭველად საჭიროა «პროლეტარის» პირველსავე ნომერში. ეს მეტი რომ არ შეიძლება ისე ეთანხმებოდა ჩემს განწყობილებას «ნარკვევების» გამოსვლის შემდეგ. განცხადება შევადგინეთ, ერთხმად დავამტკიცეთ, ხვალ ის გამოდის «პროლეტარის» 21-ე ნომერში და გეგზავნებათ თქვენ *.

თქვენი სტატიის გამო კი გადავწყვიტეთ გადავდოთ საკითხი მის შესახებ და «პროლეტარის» სამივე რედაქ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 562. რ ე დ.

ტორის სამს წერილში გადმოგცეთ საქმის მთელი ვითარება და დავაჩქაროთ ჩემი და ბოგდანოვის წამოსვლა თქვენთან.

თქვენ, მაშასადამე, კიდევ მიიღებთ წერილს ალ. ალ.-სგან და მესამე რედაქტორისაგან[123], რომლის შესახებ მე ერთხელ გწერდით წინათ.

მე საჭიროდ ვთვლი ჩემი აზრი გადმოგცეთ სავსებით პირდაპირ. ერთგვარ ჩხუბს ბეკებს შორის ფილოსოფიის საკითხზე მე ახლა სრულიად გარდუვალად ვთვლი. მაგრამ ამის გამო გათიშვა, ჩემი აზრით, სისულელე იქნებოდა. ჩვენ ბლოკი შევკარით განსაზღვრული ტაქტიკის განსახორციელებლად მუშათა პარტიაში. ჩვენ ამ ტაქტიკას დღემდე ვახორციელებდით და ვახორციელებთ უთანხმოებათა გარეშე (ერთადერთი უთანხმოება იყო III სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, მაგრამ ის, ჯერ-ერთი, არასდროს არ გამწვავებულა ჩვენს შორის გათიშვის ფიქრამდეც კი; მეორეც, ის არ შეესაბამებოდა მატერიალისტებისა და მახისტების უთანხმოებას, რადგან, მაგალითად, მახისტი ბაზაროვი, ისე როგორც მე, ბოიკოტის წინააღმდეგი იყო და ამის შესახებ დიდი ფელეტონიც დასწერა «პროლეტარში»).

ჩემი აზრით, მუშათა პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის განხორციელების საქმისთვის ხელის შეშლა დავის გულისთვის იმაზე, მატერიალიზმი თუ მახიზმი, მიუტევებელი სისულელე იქნებოდა. ფილოსოფიის გულისთვის ჩვენ ისე უნდა ვიჩხუბოთ, რომ «პროლეტარი» და ბეკები, როგორც პარტიის ფრაქცია, არ დარჩნენ ამით შელახულნი. და ეს სავსებით შესაძლებელია.

და თქვენც, ჩემი აზრით, ამას უნდა დაეხმაროთ. დახმარება კი იმით შეგიძლიათ, რომ «პროლეტარში» იმუშავებთ ნეიტრალურ (ე. ი. ფილოსოფიასთან არაფრით დაკავშირებულ) საკითხებზე, ლიტერატურული კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების და სხვ. საკითხებზე. თქვენი სტატია კი, — თუ გსურთ ხელი შეუშალოთ გათიშვას და დაეხმაროთ ახალი ჩხუბის ლოკალიზებას, — უნ-

და გადააკეთოთ: ყველაფერი, რაც თუნდ არაპირდაპირად დაკავშირებული ბოგდანოვის ფილოსოფიასთან, სხვა ადგილას უნდა გადაიტანოთ. თქვენ, მადლობა ღმერთს, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» გარდა სხვაგან წერის საშუალებაც გაქვთ. ყველაფერი, რაც არ არის დაკავშირებული ბოგდანოვის ფილოსოფიასთან, — თქვენი სტატიის უ მ ე ტ ე ს ი ნაწილი კი მასთან არ არის დაკავშირებული — უნდა გადმოსცეთ მთელ რიგ სტატიებში «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს თ ვ ი ს». სხვაგვარად მოქცევა თქვენი მხრივ, ე. ი. სტატიის გადაკეთებაზე უარისთქმა ან უარისთქმა «პროლეტარში» თანამშრომლობაზე, ჩემი აზრით, გარდუვალად გამოიწვევს კონფლიქტის გამწვავებას ბეკებს შორის, ახალი ჩხუბის ლოკალიზაციის გაძნელებას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საარსებო, პრაქტიკულად და პოლიტიკურად აუცილებელი საქმის შესუსტებას რუსეთში.

ასეთია ჩემი აზრი. მე ყველაფერი გითხარით, რასაც ვფიქრობდი, და ახლა დავუცდი თქვენს პასუხს.

თქვენთან წამოსვლა ჩვენ დღეს გვინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნდა გადავდოთ ერთი კვირით მაინც, შეიძლება კი ორი-სამითაც.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1924 წელს ლენინის
კრებულში I

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

# ახალი აგრარული პოლიტიკა

ოთხშაბათს, 13 თებერვალს, ნიკოლოზ II მიიღო III სათათბიროს 307 დეპუტატი. შავრაზმელ ბობრინსკისა და ჩელიშევთან მეფის თავაზიანი საუბარი მოკავშირეთა ბანდასთან თვითმპყრობელობის ახალი ამბორის კომიკური მხარეა. გაცილებით უფრო სერიოზულია ნიკოლოზის განცხადება, რომ სათათბირომ მალე ახალი საადგილმამულო კანონები უნდა მიიღოს, და რომ ყოველგვარი აზრი იძულებითი გასხვისებისა ამასთანავე უარყოფილ უნდა იქნას, რადგან იგი, ნიკოლოზ მეორე, ასეთ კანონს არასდროს არ დაამტკიცებს. «გლეხებზე, — იუწყება «ფრანკფურტის გაზეთის» კორესპონდენტი — მეფის სიტყვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა».

უეჭველია, თვით მეფის «აგრარული განცხადების» სააგიტაციო მნიშვნელობა ფრიად დიდია, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ ნიჭიერ აგიტატორს. მაგრამ, სააგიტაციო მნიშვნელობის გარდა, ამ მრისხანე გამოსვლას იძულებითი გასხვისების წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მემამულური მონარქიის საბოლოოდ დადგომას აგრარული პოლიტიკის ა ხ ა ლ გზაზე.

87-ე მუხლის მიხედვით სათათბიროს გვერდის ავლით გამოცემული განთქმული ბრძანებულებანი — 1906 წლის 9 ნოემბრისა და მისი მიმდევნონი — მეფის მთავრობის ამ ახალი აგრარული პოლიტიკის ერას იწყებენ. II სათათბიროში სტოლიპინმა დაადასტურა ეს პოლიტიკა, მემარჯვენე და ოქტიაბრისტმა დეპუტატებმა მოიწონეს იგი, კადეტებმა (რომ-

ლებიც დააშინა კამარილიის დერეფნებში ყურმოკრულმა ხმებმა სათათბიროს გარეკვის შესახებ) მის აშკარა დაგმობაზე უარი თქვეს. ახლა, III სათათბიროში, საადგილმამულო კომისიამ ამ დღეებში მიიღო 1906 წლის 9 ნოემბრის კანონის ძირითადი დებულება და უფრო შორს წავიდა, გლეხების კერძო საკუთრებად აღიარა მათი ნაკვეთები ყველა თემში, სადაც ხელახალი გადაყოფა 24 წლის განმავლობაში არ მომხდარა. 13 თებერვლის დარბაზობაზე ბატონყმურ-მემამულური რუსეთის მეთაურმა საჯაროდ მოიწონა ეს პოლიტიკა და, — აშკარად უპარტიო გლეხების საყურადღებოდ, — მიაყვირა, არასდროს არავითარ კანონს გლეხების სასარგებლოდ იძულებითი გასხვისების შესახებ არ დავამტკიცებო.

მეფის მთავრობის, მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის (ოქტიაბრისტების) საბოლოო გადასვლას ახალი აგრარული პოლიტიკის მხარეზე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ბურჟუაზიული რევოლუციის ბედი რუსეთში, — არა მარტო ახლანდელი რევოლუციისა, არამედ მომავალშიც შესაძლებელი დემოკრატიული რევოლუციებისა, — ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ დამოკიდებულია ამ პოლიტიკის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

რა არის მობრუნების დედაარსი? ის, რომ გლეხების ძველი, შუასაუკუნეობრივი, სანადელო მიწათმფლობელობისა და მათი «ძველისძველი» თემის ხელშეუხებლობა აქამდე რეაქციული რუსეთის მბრძანებელ კლასებში უაღრესად მხურვალე მომხრეებს ჰპოულობდა. მებატონე-მემამულეები, რომლებიც რეფორმის წინადროინდელ რუსეთში გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურად გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ, საერთოდ და მთლიანად გლეხური მიწათმფლობელობის ძველი სათემო წესების დ ა ც ვ ი ს პოლიტიკას ახორციელებდნენ.

კაპიტალიზმის განვითარებამ ამ წესებს XX საუკუნისთვის საბოლოოდ გამოუთხარა ძირი. ძველი წოდებრივი თემი, გლეხების მიმაგრება მიწაზე, ნახევრადბატონყმური სოფ-

ლის რუთინა უაღრესი სიმწვავით დაუპირისპირდა ახალ სამეურნეო პირობებს. ისტორიის დიალექტიკამ ისა ჰქნა, რომ გლეხობა, — რომელიც სხვა ქვეყნებში ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული (კაპიტალიზმის მოთხოვნების თვალსაზრისით) საადგილმამულო წყობილების პირობებში წესიერების დასაყრდენს წარმოადგენს, — რუსეთში რევოლუციის დროს გამოვიდა უაღრესად გამანადგურებელი მოთხოვნებით, თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდე და მიწის ნაციონალიზაციამდე (I და II სათათბიროს ტრუდოვიკები).

ეს რადიკალური და მეშჩანური სოციალიზმის იდეებითაც კი შეფერადებული მოთხოვნები გამოწვეული იყო სრულიადაც არა გლეხის «სოციალიზმით», არამედ ბატონყმური მიწათმფლობელობის დახლართული კვანძის გაჭრის, ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ზღუდეებისაგან განთავისუფლებულ მიწაზე თავისუფალი ფერმერისთვის (მეწარმისათვის მიწათმოქმედებაში) გზის გაკაფვის ეკონომიური აუცილებლობით *.

კაპიტალიზმმა რუსეთის ძველი აგრარული წყობილების ყველა საფუძველი უკვე საბოლოოდ შეარყია. მას არ შეუძლია შემდგომი განვითარება, თუ ეს წყობილება არ დაამსხვრია; და იგი მას დაამსხვრევს გარდუვალად და აუცილებლად; არ არსებობს ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც ამის ხელის შეშლა შეეძლოს. მაგრამ ამ წყობილების დამსხვრევა შეიძლება მემამულურად ან გლეხურად, მემამულური თუ გლეხური კაპიტალიზმისთვის გზის გასაკაფავად. ძველი წყობილების მემამულური მსხვრევა ნიშნავს თემის ძალით დანგრევას და პატარა მეურნეთა გაღატაკებული მასის დაჩქარებით გაჩანაგებას, მოსპობას ერთი მუჭა კულაკების სასარგებლოდ. გლეხური მსხვრევა ნიშნავს მემამულური მი-

* აქ გამოთქმული შეხედულებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიული პროგრამის კრიტიკასთან. «პროლეტარის» 21-ე ნომერში ეს კრიტიკა დასახული იყო, როგორც კერძო აზრი; შემდეგ ნომრებში საკითხი უფრო დაწვრილებით იქნება განხილული [124].

წათმფლობელობის კონფისკაციას და მთელი მიწის გადაცემას გლეხებიდან გამოსული თავისუფალი ფერმერების განკარგულებაში (ბატონი ნაროდნიკების «თანასწორი უფლება მიწის მ ი მ ა რ თ» ნამდვილად ნიშნავს მ ე უ რ ნ ე თ ა უფლებას მიწის მიმართ ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ზღუდეების მოსპობას).

და აი, კონტრრევოლუციის მთავრობამ ეს მდგომარეობა შეიგნო. სტოლიპინმა საქმე სწორად გაიგო: ძველი მიწათმფლობელობის დაუმსხვრევლად რუსეთის სამეურნეო განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია. სტოლიპინი და მემამულეები თამამად დაადგნენ რევოლუციურ გზას, — დაუნდობლად ამსხვრევენ ძველ წესებს, გლეხთა მასებს წასალეკად და გასაძარცვავად სავსებით ხელში უგდებენ მემამულეებსა და კულაკებს.

ბატონმა ლიბერალებმა და მეშჩანურმა დემოკრატებმა, — ნახევრადოქტიაბრისტული «მეონებით»[125] დაწყებული, «რუსსკიე ვედომოსტით» გაგრძელებული და «რუსსკოე-ბოგატსტვოელი» ბ-ნ პეშეხონოვით გათავებული, — ახლა საშინელი ხმაური ატეხეს მთავრობის მიერ თემის დანგრევის გამო და ამ მთავრობას რევოლუციონიზმს ა ბ რ ა ლ ე ბ ე ნ! ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ჭკუამოკლეობა რუსეთის რევოლუციაში არასოდეს ასე მკაფიოდ არ გამოხატულა. არა, ბატონებო, წუწუნით ძველისძველი საფუძვლების დანგრევის გამო აქ საქმეს ვეღარ უშველით. რევოლუციის სამმა წელმა ამოსწვა შემრიგებლური და შემთანხმებლური ილუზიები. საკითხი ნათლად არის დასმული. ან გაბედული მოწოდება გლეხთა რევოლუციისაკენ, რომელიც რესპუბლიკამდე მიდის, და ა ს ე თ ი რევოლუციის ყოველმხრივი იდეური და ორგანიზაციული მომზადება პროლეტარიატთან ერთად. ან ცარიელი წუწუნი, პოლიტიკური და იდეური უძლურება თემის წინააღმდეგ მიტანილი სტოლიპინურ-მემამულურ-ოქტიაბრისტული იერიშის წინაშე.

ამოირჩიეთ, — ვისაც ჯერ კიდევ შეგრჩენიათ თუნდაც ნატამალი სამოქალაქო გამბედაობისა და გლეხთა მასისადმი თანაგრძნობისა! პროლეტარიატმა უკვე მოახდინა თავისი არჩევანი, და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ახლა უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, განმარტავს, გასწევს პროპაგანდას და მასებში გადაისვრის პროლეტარიატთან ერთად გლეხთა აჯანყების ლოზუნგს, აჯანყებისა, როგორც ე რ თ ა დ ე რ თ ი საშუალებისა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს რუსეთის «განახლების» სტოლიპინურ მეთოდს.

ჩვენ არ ვიტყვით, თითქოს სტოლიპინური მეთოდი შეუძლებელი იყოს, — იგი ევროპაში ნაკლები მასშტაბით არა ერთხელ ყოფილა გამოცდილი, — მაგრამ ჩვენ ხალხს ავუხსნით, რომ მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ უმრავლესობაზე უმცირესობის განუსაზღვრელი ძალადობით ათეული წლების განმავლობაში და მოწინავე გლეხობის მასობრივი ამოწყვეტით. ჩვენს ზრუნვას სტოლიპინის რევოლუციური პროექტების გამონემსას არ მოვანდომებთ, არ შევეცდებით მათს შესწორებასა და მათი გავლენის შესუსტებას და სხვ. ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი აგიტაციის გაძლიერებით ხალხის მასებში, განსაკუთრებით პროლეტარიატის იმ ფენებში, რომლებიც გლეხობასთან არიან დაკავშირებულნი. გლეხთა დეპუტატებმა — ისეთებმაც კი, რომლებიც პოლიციურ ცხრილში იყვნენ გაცხრილულნი, მემამულეების მიერ იყვნენ არჩეულნი, სათათბიროს ზუბრების მიერ იყვნენ დაშინებულნი, — ამ სულ ცოტა ხნის წინათ თავიანთი ნამდვილი მისწრაფებები გამოამჟღავნეს. როგორც გაზეთებიდან ვიცით, უპარტიო და ნაწილობრივ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე გლეხთა ჯგუფმა მიწის იძულებითი გასხვისება და მ თ ე ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ობ ი ს მიერ არჩეული ადგილობრივი საადგილმამულო დაწესებულებები მოითხოვა! ერთმა კადეტმა საადგილმამულო კომისიაში ტყუილა კი არა თქვა, მემარჯვენე გლეხი კადეტებზე მემარცხენეაო. დიახ, აგრარულ საკითხში «მემარჯვენე» გლეხები სამივე სათათბიროში კადეტებზე უფრო მარცხნივ დგა-

ნან და ამით იმას ამტკიცებენ, რომ გლეხის მონარქიზმი მომაკვდავი გულუბრყვილობაა, — იმ ლიბერალური საქმოსნების მონარქიზმისაგან განსხვავებით, რომლებიც კლასობრივი ანგარიშით არიან მონარქისტები.

მებატონეთა მეფემ უპარტიო გლეხებს უყვირა, იძულებითს გასხვისებას არ დავუშვებო. დაე ამის პასუხად მუშათა კლასმა მილიონობით «უპარტიო» გლეხებს უყვიროს, რომ იგი მოუწოდებს მათ მასობრივი ბრძოლისაკენ ცარიზმის დასამხობად და მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის.

«პროლეტარი» № 22, 1908 წლის
19 თებერვალი (3 მარტი)

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

# პროფესიული კავშირების ნეიტრალობა[126]

«პროლეტარის» წინა ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია პროფესიული კავშირების შესახებ[127]. «ნაშ ვეკმა» ეს რეზოლუცია მკითხველებს აცნობა და დაუმატა, რომ იგი ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო, რადგან ამ რეზოლუციას ხმა მისცეს მენშევიკებმაც, ბოლშევიკების პირვანდელ პროექტთან შედარებით მასში შეტანილ ბევრ დათმობათა გამოო. თუ ეს ცნობა მართალია (განსვენებულმა გაზეთმა «ნაშ ვეკმა»[128] ჩვეულებრივ ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი, რაც მენშევიზმს შეეხებოდა), მაშინ ჩვენ ისღა დაგვრჩენია მხოლოდ, რომ სულითა და გულით მივესალმოთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაერთიანებისაკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯს ისეთ საყურადღებო სფეროში, როგორიცაა პროფესიული კავშირები. ის დათმობანი, რომლების შესახებაც «ნაშ ვეკ» ლაპარაკობდა, სრულიად უმნიშვნელოა და სულაც არ ცვლის ბოლშევიკური პროექტის ძირითად პრინციპებს (სხვათა შორის, ეს პროექტი დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-17 ნომერში 1907 წლის 20 ოქტომბერს ვრცელ დამასაბუთებელ სტატიასთან ერთად «პროფესიული კავშირები და სოციალ-დემოკრატიული პარტია»).

მაშასადამე, ახლა მთელმა ჩვენმა პარტიამ აღიარა, რომ პროფესიულ კავშირებში მუშაობა უნდა ვაწარმოოთ არა კავშირების ნეიტრალობის აზრით, არამედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მათი რაც შეიძლება მჭიდროდ დაახლოების აზრით. აღიარებულია ისიც, რომ კავშირების პარ-

ტიულობა მიღწეულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მუშაობით კავშირების შიგნით, რომ სოციალ-დემოკრატებმა კავშირებში უნდა შექმნან მტკიცედ შეკავშირებული უჯრედები, რომ დაარსებულ უნდა იქნას არალეგალური კავშირები, რაკი ლეგალური კავშირების არსებობა შეუძლებელია.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი პარტიის ორივე ფრაქციის ამ დაახლოებაზე პროფესიულ კავშირებში მუშაობის ხასიათის საკითხში შტუტგარტმა უდიდესი გავლენა იქონია. შტუტგარტის კონგრესის რეზოლუცია, როგორც კაუტსკიმ ლაიფციგის მუშების წინაშე წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნა, ბოლოს უღებს ნეიტრალობის პრინციპულ აღიარებას. კლასობრივ წინააღმდეგობათა უდიდესად განვითარებამ, ამ წინააღმდეგობათა გამწვავებამ ყველა ქვეყანაში უკანასკნელ დროს, გერმანიის ხანგრძლივმა გამოცდილებამ, — სადაც ნეიტრალობის პოლიტიკამ პროფესიულ კავშირებში გააძლიერა ოპორტუნიზმი და სრულებით ვერ შეუშალა ხელი განსაკუთრებულ ქრისტიანულ და ლიბერალურ კავშირთა წარმოშობას, — პროლეტარული ბრძოლის იმ განსაკუთრებული სფეროს გაფართოებამ, რომელიც კავშირებისა და პოლიტიკური პარტიის შეერთებულ და ერთსულოვან მოქმედებას მოითხოვს (მასობრივი გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება რუსეთის რევოლუციაში, როგორც პირველსახე პროლეტარული რევოლუციის შესაძლებელი ფორმებისა დასავლეთში), — ყოველივე ამან ნეიტრალობის თეორიას საბოლოოდ ვამოაცალა ნიადაგი.

ნეიტრალობის საკითხი პროლეტარულ პარტიათა შორის, ალბათ, განსაკუთრებით დიდ დავას აღარ გამოიწვევს. სულ სხვანაირად არის საქმე არაპროლეტარული **quasi** *-სოციალისტური პარტიებისა, მსგავსად ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერებისა, რომლებიც ნამდვილად ინტელიგენტე-

*— ვითომ. რ ე დ.

ბისა და მოწინავე გლეხების რევოლუციურ-ბურჟუაზიული პარტიის უკიდურეს მემარცხენე ფრთას წარმოადგენენ.

ფრიად დამახასიათებელია, რომ ნეიტრალობის ი დ ე ი ს დასაცავად ჩვენში შტუტგარტის შემდეგ მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერები და პლეხანოვი გამოვიდნენ. და გამოვიდნენ ძალიან უხეიროდ.

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის ცენტრალური ორგანოს «ზნამია ტრუდას» უკანასკნელ ნომერში (№ 8, 1907 წლის დეკემბერი) არის ორი სტატია, რომლებიც მიძღვნილია პროფესიული მოძრაობის საკითხისადმი. სოციალისტ-რევოლუციონერები უპირველეს ყოვლისა ცდილობენ დასცინონ იქ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «ვპერიოდის»[129] განცხადებას, რომ შტუტგარტის რეზოლუციამ პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხი სწორედ იმ აზრით გადაწყვიტა, როგორც იგი ლონდონის რეზოლუციამაც დასახა, ბოლშევიზმის თვალსაზრისით. ამაზე ჩვენ ვიტყვით, რომ თვით სოციალისტ-რევოლუციონერებმა «ზნამია ტრუდას» იმავე ნომერში მოიყვანეს ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც უდავოდ ამტკიცებენ სწორედ ასეთი შეფასების სისწორეს.

«სწორედ ამავე დროს — წერს «ზნამია ტრუდა» 1905 წლის შემოდგომის შესახებ — და ეს დამახასიათებელი ფაქტია — მოხდა პირისპირ სამი რუსული სოციალისტური ფრაქციის პირველი შეხვედრა: სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა, სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისა, როცა მათ პროფესიული მოძრაობის შესახებ თავიანთი შეხედულებანი გადმოსცეს. მოსკოვის ბიურომ, რომელსაც დავალებული ჰქონდა თავისი წრიდან გამოეყო აგრეთვე ცენტრალური ბიურო (პროფესიული კავშირების) ყრილობის მოსაწვევად, თეატრ «ოლიმპიაში» მოაწყო იმ მუშების დიდი მიტინგი, რომლებიც პროფესიულ კავ-

შირებში შედიოდნენ*. მენშევიკები გამოვიდნენ პარტიისა და პროფესიული კავშირის მიზნების კლასიკურ-მარქსისტული, სასტიკად-ორთოდოქსალური გამიჯვნით. «სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანას შეადგენს სოციალისტური წყობილების დამყარება და კაპიტალისტური ურთიერთობის მოსპობა; პროფესიული კავშირების ამოცანაა შრომის პირობების გაუმჯობესება კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში, რათა მოპოვებულ იქნას მუშა-ხელის გაყიდვის ისეთი პირობები, რომლებიც ხელსაყრელი იქნება შრომის ინტერესებისთვისო». აქედან გამოჰყავდათ პროფესიული კავშირების არაპარტიულობა და მათში «ამა თუ იმ პროფესიის ყველა მუშის» ჩაბმა**.

ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ ამჟამად პოლიტიკის განცალკევება პროფესიისაგან არ შეიძლება მტკიცედ გატარდეს, და აქედან იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ «მჭიდრო ერთიანობა უნდა არსებობდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და პროფესიულ კავშირებს შორის, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს». დასასრულ, ესერები მოითხოვდნენ კავშირების სასტიკს უპარტიობას პროლეტარიატში გათიშვის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ უარყოფდნენ პროფესიული კავშირების ამოცანებისა და მოღვაწეობის ყოველგვარ შეზღუდვას რაიმე ვიწრო სფეროთი; ამ ამოცანას ისინი აყალიბებდნენ, როგორც ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ მთელი მისი მოცუ-

* მიტინგს დაესწრო ათას ხუთასამდე კაცი. ანგარიში იხ. «შრომის დამხმარე მუზეუმის ბიულეტენში», № 2, 1905 წლის 26 ნოემბერი (ციტატი «ზნამია ტრუდასია»).

** მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ეს «არაპარტიულობა» ბატონ მენშევიკებს საკმაოდ თავისებურად ესმოდათ; ასე, მაგალითად, მათი მომხსენებელი თავის დებულებებს შემდეგნაირად ასურათებდა: «პარტიულობის საკითხი სწორად ადაწყდა მოსკოვის სტამბის მომუშავეთა კავშირში, რომელიც ამხანაგებს, როგორც ცალკეულ პირებს, წინადადებას აძლევს სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში შევიდნენ». («ზნამია ტრუდას» შენიშვნა.)

ლობით, მაშასადამე, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბრძოლას».

ასე აგვიწერს ფ ა ქ ტ ე ბ ს თვით «ზნამია ტრუდა»! მხოლოდ ბრმას ან აზროვნების უნარს სრულიად მოკლებულ ადამიანს შეუძლია უარყოს, რომ ამ სამი თვალსაზრისიდან სწორედ ის, რომელიც ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და პროფესიულ კავშირებს შორის მჭიდრო ერთიანობაზე, «დადასტურებულია შტუტგარტის რეზოლუციით, რომელიც გვირჩევს მჭიდრო კავშირს პარტიასა და პროფესიულ კავშირებს შორის» *.

ამ მეტისმეტად ნათელი საკითხის დასაბნევად ესერებმა მეტად სასაცილოდ აურიეს ერთმანეთში პროფესიული კავშირების დამოუკიდებლობა ეკონომიური ბრძოლის საქმეში და მათი უპარტიობა. «შტუტგარტის ყრილობა, — წერენ ისინი, — გარკვეულად დადგა კავშირების დამოუკიდებლობის (უპარტიობის) ნიადაგზე, ე. ი. უარყო როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების თვალსაზრისი». ეს გამოჰყავთ შტუტგარტის რეზოლუციის შემდეგი სიტყვებიდან: «თვითეულ ამ ორ ორგანიზაციას (პარტიასა და პროფკავშირს) აქვს თავისი ბუნების შესაფერისი სფერო, სადაც იგი სრულიად დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს. მაგრამ ამასთან ერთად არსებობს სფერო, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება» და სხვ., როგორც ზევით არის მოყვანილი. გამოჩნდნენ ისეთი ხუმარები, რომლებმაც ეს მოთხოვნა პროფკავშირების «დამოუკიდებლობისა» «მისი ბუნების შესაფერ სფეროში» ა უ რ ი ე ს კავშირების უპარტიობის საკითხში ანუ პოლიტიკისა და სოციალისტური რევოლუციის ამოცანების სფეროში პარტიისა და პროფკავშირის მჭიდრო დაახლოების საკითხში.

---

* დაე ბატონმა ესერებმა დაიხსომონ, რომ 1905 წლის ნოემბერში მენშევიკები ნეიტრალობის შესახებ ავითარებდნენ არა ორთოდოქსალურ, არამედ ვ უ ლ გ ა რ უ ლ შეხედულებებს!

ამრიგად ჩვენმა ესერებმა სრულიად მიჩქმალეს «ნეიტრალობის» თეორიის შეფასების ძირითადი პრინციპული საკითხი, ნეიტრალობისა, რომელიც სინამდვილეში პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის განმტკიცებას ემსახურება. ამ პრინციპული საკითხის ნაცვლად მათ ამჯობინეს ელაპარაკნათ მხოლოდ სპეციალურად რუსულ დამოკიდებულებათა შესახებ, როცა რამდენიმე სოციალისტური პარტია არსებობს, ამასთანავე ელაპარაკნათ იმის ყ ა ლ ბ ა დ გაშუქებით, რაც შტუტგარტში მოხდა. «შტუტგარტის რეზოლუციის ბუნდოვანობის დამოწმება აქ უადგილოა, — წერს «ზნამია ტრუდა», — რადგან ყოველგვარი ბუნდოვანობა და ყოველგვარი ეჭვები გაჰფანტა ბ-მა პლეხანოვმა, რომელიც საერთაშორისო ყრილობაზე გამოვიდა როგორც პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი; ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს სოციალ-დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტის სათანადო განცხადება, რომ «ამხ. პლეხანოვის ასეთ გამოსვლას დეზორგანიზაცია შეაქვს ერთიანი პარტიის რიგებში»...

ბატონო ესერებო! თქვენ, რა თქმა უნდა, უფლება გაქვთ ირონიით მოეპყროთ იმას, რომ ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა პლეხანოვს წესრიგისაკენ მოუწოდა. თქვენ უფლება გაქვთ იფიქროთ, რომ შესაძლებელია პატივს სცემდე, ვთქვათ, პარტიას, რომელიც ბ-ნ გერშუნის კადეტმოყვარულობას ოფიციალურად ა რ ა ჰ გ მ ო ბ ს. მაგრამ რა საჭიროა პირდაპირ ტყუილის თქმა? პლეხანოვი შტუტგარტის კონგრესზე ა რ ყ ო ფ ი ლ ა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, იგი მხოლოდ ერთერთი იყო მისი 33 დელეგატიდან. ამასთან იგი წარმოადგენდა არა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებებს, არამედ ახლანდელი მენშევიკური ოპოზიციისას სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლონდონის გადაწყვეტილებების მიმართ. შეუძლებელია ესერებმა ეს არ იცოდნენ და, მაშასადამე, ისინი გ ა ნ ზ რ ა ხ ცრუობენ.

...«კომისიაში, რომელიც არჩევდა პროფესიული კავშირებისა და პოლიტიკური პარტიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, მან (პლეხანოვმა) სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა: «რუსეთში 11 რევოლუციური ორგანიზაციაა, მათში რომელთან უნდა დაიშირონ ურთიერთობა პროფესიულმა კავშირებმა?.. პროფესიულ კავშირებში პოლიტიკურ უთანხმოებათა შეტანა რუსეთში მავნებელი იქნებოდა». ამაზე კომისიის ყ ვ ე ლ ა წევრმა ე რ თ ხ მ ა დ განაცხადა, რომ კონგრესის რეზოლუციის ამნაირად გაგება არც შეიძლება, რომ ისინი «პროფესიულ კავშირებს და მათს წევრთ სრულიადაც ვალდებულად არა ხდიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყვნენ», ე. ი. ისინი, როგორც რეზოლუციაშიც არის ნათქვამი, «მათს სრულს დამოუკიდებლობას» მოითხოვენ» (ხაზგასმა «ზნამია ტრუდასია»).

ურევთ, «ზნამიატრუდელო» ბატონებო! კომისიაში ერთმა ბ ე ლ გ ი ე ლ მ ა ამხანაგმა იკითხა, შეიძლება თუ არა პროფესიული კავშირების წევრები ვალდებული გავხადოთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდნენო, და ყ ვ ე ლ ა მ უპასუხა, არ შეიძლებაო. ხოლო, მეორე მხრივ, პლეხანოვმა რეზოლუციაში შეიტანა შესწორება: «ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს პროფესიული ორგანიზაციის ერთიანობა»; ეს შესწორება მიღებულ იქნა, მაგრამ არა ერთხმად (ამხ. ვოინოვმა, რომელიც რსდმპ შეხედულებებს გამოხატავდა, ხმა მისცა შესწორებას და, ჩვენი აზრით, სწორადაც მოიქცა). აი საქმე როგორ იყო.

სოციალ-დემოკრატებს პროფესიული ორგანიზაციის ერთიანობა არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროთ. ეს სრულიად სამართლიანია. მაგრამ ეს შეეხება აგრეთვე ესერებსაც, რომლებსაც მოვუწოდებთ ჩაუკვირდნენ «პროფესიული ორგანიზაციის ერთიანობას», როცა ეს ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატებთან მჭიდრო კავშირს აღიარებს! არავის არასოდეს არც კი უფიქრნია, კავშირის წევრებისთვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლა «სავალდებულოდ გაეხადა»: ეს შიშის გამო მოელანდათ ესერებს. მაგრამ შტუტგარტის ყრილობას რომ პროფესიული კავშირებისთვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მჭიდრო ურთიერთობის

აღიარება ან ასეთი კავშირის საქმით განხორციელება აეკრძალოს, ეს ზღაპარია.

«რუსეთის სოციალ-დემოკრატები, — წერს «ზნამია ტრუდა», — განუხრელ და ენერგიულ კამპანიას ეწევიან პროფესიული კავშირების დასაპყრობად და თავიანთი პარტიული ხელმძღვანელობისთვის დასამორჩილებლად. ბოლშევიკები ამას პირდაპირ და აშკარად სჩადიან... მენშევიკებმა უფრო მიხვეულ-მოხვეული გზა აირჩიეს»... სწორია, ბატონო ესერებო! მუშათა ინტერნაციონალის ავტორიტეტისთვის უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ, რომ ეს კამპანია ფრთხილად, თავდაჭერილად ვაწარმოოთ, «პროფესიული ორგანიზაციების ერთიანობა მხედველობიდან არ გავუშვათ». ჩვენ დიდი სიამოვნებით ვაღიარებთ ამას და თქვენგანაც მოვითხოვთ იგივე აღიაროთ, მაგრამ კამპანიაზე კი უარს ვერ ვიტყვით!

მაგრამ პლეხანოვმა ხომ თქვა, კავშირებში პოლიტიკურ უთანხმოებათა შეტანა მავნებელიაო... დიახ, პლეხანოვმა თქვა ეს სისულელე, და ბატონი ესერები, ბუნებრივია, უნდა ჩასჭიდებოდნენ მას, როგორც ყოველთვის ეჭიდებიან ისინი ყველაფერს, რაც ყველაზე ნაკლებად არის მიბაძვის ღირსი. მაგრამ სახელმძღვანელო უნდა იყოს არა პლეხანოვის სიტყვები, არამედ კონგრესის რეზოლუცია, რომლის გამოყენება შეუძლებელია «პოლიტიკურ უთანხმოებათა შეტანლად». აი პატარა მაგალითი. კონგრესის რეზოლუცია ამბობს, რომ პროფესიულმა კავშირებმა არ უნდა იხელმძღვანელონ «შრომისა და კაპიტალის ინტერესების ჰარმონიის თეორიით». ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ვამტკიცებთ, რომ აგრარული პროგრამა, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიწის გათანაბრებულ განაწილებას მოითხოვს, აგებულია შრომისა და კაპიტალის ინტერესების ჰარმონიის თეორიაზე *. ჩვენ

* ახლა ეს ზოგიერთმა ესერმაც კი შეიგნო და ამრიგად მარქსიზმისკენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა. იხ. ფრიად საინტერესო ახალი წიგნი ბატონ ფირსოვისა და იაკობისა, რომლის შესახებ მალე დაწვრილებით ვისაუბრებთ «პროლეტარის» მკითხველებთან [130].

ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნებით იმისა, რომ ასეთი უთანხმოების გამო (თუნდაც მონარქისტ მუშებთან უთანხმოების გამო) დავარღვიოთ ერთიანობა გაფიცვისა და სხვ., მაგრამ ჩვენ მუდამ «შევიტანთ ხოლმე ასეთს უთანხმოებას» მუშათა წრეში საერთოდ, მუშათა ყ ვ ე ლ ა კავშირში კერძოდ.

ასეთივე უჭკუობაა პლეხანოვის მხრივ 11 პარტიის დამოწმება. ჯერ-ერთი, სხვადასხვა სოციალისტური პარტია მარტო რუსეთში როდია. მეორე, რუსეთში მხოლოდ ორი სოციალისტური პარტიაა, რომლებიც ერთმანეთს ცოტად თუ ბევრად სერიოზულ კონკურენციას უწევენ, სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისა, რადგან ნაციონალური პარტიების ერთ გროვად შეჯგუფება სრული უაზრობაა. მესამე, ნამდვილად სოციალისტური პარტიების გაერთიანების საკითხი სრულიად განსაკუთრებული საკითხია; როდესაც პლეხანოვი ამ საკითხს უმატებს, ის ამით საქმეს ართულებს. ჩვენ ყველგან და ყოველთვის უნდა დავიცვათ კავშირების დაახლოება მუშათა კლასის სოციალისტურ პარტიასთან, ხოლო ამა თუ იმ ქვეყანაში, ამა თუ იმ ეროვნებაში რომელი პარტიაა ნამდვილად სოციალისტური და ნამდვილად მუშათა კლასის პარტია — ეს სხვა საკითხია, და მისი გადაწყვეტა შეუძლია არა საერთაშორისო ყრილობათა რეზოლუციებს, არამედ ამ ნაციონალურ პარტიათა შორის ბრძოლის მსვლელობას.

თუ რამდენად შემცდარია ამხ. პლეხანოვის მსჯელობა ამ საკითხში, ამას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მისი სტატია 1907 წლის «სოვრემიონნი მირის» [131] მე-12 ნომერში. 55-ე გვ. პლეხანოვს მოჰყავს ლუნაჩარსკის მითითება იმის შესახებ, რომ კავშირების ნეიტრალობას გერმანელი რევიზიონისტები იცავენ. პლეხანოვი ამ მითითებაზე უპასუხებს: «რევიზიონისტები ამბობენ: კავშირები ნეიტრალური უნდა იყვნენ, ხოლო ამაში გულისხმობენ: კავშირები უნდა გამოვიყენოთ ორთოდოქსალურ მარქსიზმთან ბრძოლისთვის». და პლეხანოვიც დაასკვნის: «პროფესიული კავშირე-

ბის ნეიტრალობის მოსპობა აქ ვერაფერს გვიშველის. კავშირები კიდევაც რომ ფორმალურად მჭიდროდ დავუქვემდებაროთ პარტიას, თუ პარტიაში რევიზიონისტების «იდეოლოგიამ» გაიმარჯვა, მაშინ კავშირების ნეიტრალობის მოსპობა «მარქსის კრიტიკოსების» მხოლოდ ახალი გამარჯვება იქნება».

ეს მსჯელობა ნიმუშია პლეხანოვის ესოდენ ჩვეულებრივი ხერხისა — გვერდი აუაროს საკითხს და მიაფუჩეჩოს დავის დედაარსი. თუ რევიზიონისტების იდეოლოგიამ პარტიაში მართლა გაიმარჯვა, იგი მუშათა კლასის სოციალისტური პარტია აღარ იქნება. ლაპარაკი სრულიადაც არ არის იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ასეთი პარტია, როგორი ბრძოლა და როგორი გათიშვები ხდება მაშინ. ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში არსებობენ სოციალისტური პარტია და კავშირები, და ჩვენი საქმეა განვსაზღვროთ ძირითადი დამოკიდებულებანი მათ შორის. ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები აუცილებლად წარმოშობენ მისწრაფებას — შეზღუდონ კავშირები წვრილმანი და ვიწრო მოღვაწეობით არსებული წყობილების ნიადაგზე, დააშორონ ისინი ყოველგვარ ურთიერთობას სოციალიზმთან, და ნეიტრალობის თეორიაც ამ ბურჟუაზიულ მისწრაფებათა იდეური სამოსელია. რევიზიონისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიების შიგნით ამა თუ იმ სახით ყოველთვის გაიკვლევენ გზას კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური და პროფესიული მუშათა მოძრაობის დასაწყისში ევროპაში შეიძლებოდა დაეცვათ კავშირების ნეიტრალობა, როგორც საშუალება პროლეტარული ბრძოლის პირვანდელი ბაზის გაფართოებისა იმ ეპოქაში, როდესაც ეს ბრძოლა შედარებით განუვითარებელი იყო და კავშირებზე სისტემატური ბურჟუაზიული ზეგავლენაც არ არსებობდა. ამჟამად საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით კავშირების ნეიტრალობის დაცვა უკვე სრულიად უადგილოა. მხოლოდ გაღიმება თუ შეიძლება, როდე-

საც კითხულობ პლეხანოვის სიტყვებს, «მარქსი გერმანიაში ახლაც კავშირების ნეიტრალობის მომხრე იქნებოდაო», განსაკუთრებით როდესაც ასეთი არგუმენტი მარქსის ერთი «ციტატის» ცალმხრივ განმარტებაზეა აგებული და უგულებელყოფილია მარქსის განცხადებათა მთელი ერთობლიობა, მთელი მისი მოძღვრების სული.

«მე ვიცავ ნეიტრალობას, გაგებულს ბებელისებურად და არა რევიზიონისტული აზრით», — წერს პლეხანოვი. ასე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ ბებელს იფიცავდე და მაინც ჭაობში მიძვრებოდე. თქმა არ უნდა, ბებელი ისეთი დიდი ავტორიტეტია პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობაში, ისეთი გამოცდილი პრაქტიკული ბელადია, ისეთი გულისხმიერი სოციალისტია რევოლუციური ბრძოლის მოთხოვნილებებისადმი, რომ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში თვითონ ამოძვრებოდა ხოლმე ჭაობიდან, როდესაც ფეხი აუცდებოდა, და იმათაც ამოათრევდა ხოლმე, ვისაც სურდა მას გაჰყოლოდა. ბებელი ცდებოდა მაშინაც, როდესაც ბრესლავლში (1895 წ.) ფოლმართან ერთად რევიზიონისტების აგრარულ პროგრამას იცავდა, მაშინაც, როდესაც (ესენში) თავდაცვითი და თავდასხმითი ომის პრინციპულ განსხვავებას იცავდა, მაშინაც, როდესაც მზად იყო კავშირების «ნეიტრალობა» პრინციპად გაეხადა. ჩვენ სიამოვნებით გვჯერა, რომ თუ პლეხანოვმა ჭაობში მხოლოდ ბებელთან ერთად შესტოპა ხოლმე, ეს მას ხშირად და დიდი ხნით არ შეემთხვევა. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბებელს უნდა მივბაძოთ არა მაშინ, როდესაც იგი ცდება.

ამბობენ — და პლეხანოვიც განსაკუთრებით იჟინებს ამას, — ნეიტრალობა საჭიროა ყველა იმ მუშის გასაერთიანებლად, რომლებსაც ებადებათ აზრი თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობისაო. მაგრამ ამის მთქმელთ ავიწყდებათ, რომ კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების თანამედროვე საფეხურს აუცილებლად და გარდუვალად შეაქვს «პოლიტიკური უთანხმოე-

ბა» იმ საკითხშიც კი, თუ რანაირად უნდა მივაღწიოთ ამ გაუმჯობესებას თანამედროვე საზოგადოების ფარგლებში. კავშირების ნეიტრალობის თეორია, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან კავშირების მჭიდრო ურთიერთობის დამყარების თეორიისაგან განსხვავებით, აუცილებლად უპირატესობას ანიჭებს ამ გაუმჯობესების ისეთს საშუალებებს, რომლებიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მიჩლუნგებას ნიშნავს. ამის თვალსაჩინო მაგალითს (რომელიც, სხვათა შორის, დაკავშირებულია უახლესი მუშათა მოძრაობის ფრიად საინტერესო ეპიზოდების შეფასებასთან) გვაძლევს «სოვრემიონნი მირის» ს წ ო რ ე დ ი ს წიგნაკი, რომელშიც პლეხანოვი ნეიტრალობას იცავს. პლეხანოვის გვერდით ჩვენ აქ ვხედავთ ბ-ნ ე. პ-ს; ეს უკანასკნელი ქება-დიდებას ასხამს ინგლისის რკინიგზელ მუშათა ცნობილ ბელადს რიჩარდ ბელს, რომელმაც კომპრომისით დაამთავრა მუშათა კონფლიქტი კომპანიის დირექტორებთან. ბელი გამოცხადებულია «რკინიგზის მთელი მუშათა მოძრაობის სულისჩამდგმელად». «ყოველ ეჭვს გარეშეა, — წერს ბ-ნი ე. პ., — რომ თავისი მშვიდი, მოფიქრებული და თავდაჭერილი ტაქტიკით ბელმა მოიპოვა უეჭველი ნდობა რკინიგზის მოსამსახურეთა ასოციაციისა, რომლის წევრები მზად არიან უყოყმანოდ გაჰყვნენ მას ყველგან» («სოვრემიონნი მირის» მე-12 ნომერი, გვ. 75). ასეთი თვალსაზრისი შემთხვევითი როდია, არამედ არსებითად დაკავშირებულია ნეიტრალიზმთან, რომელიც პირველ რიგში აყენებს მუშების გაერთიანებას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და არა გაერთიანებას ბრძოლისათვის, რომელსაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს.

მაგრამ ეს თვალსაზრისი სრულიადაც არ შეეფერება ინგლისის სოციალისტების შეხედულებებს; მათ, უეჭველად, ძალიან გაუკვირდებოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ ბელის მაქებარნი ერთსა და იმავე ჟურნალში წერენ დაუბრკოლებლად

პლეხანოვის, იორდანსკისა და კომპ. მსგავს ცნობილ მენშევიკებთან ერთად.

ინგლისური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «**Justice**» * 16 ნოემბრის მოწინავეში რკინიგზის კომპანიებთან ბელის შეთანხმების გამო წერდა: «ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამ ეგრეთწოდებულ საზავო ხელშეკრულების დაგმობას თითქმის მთელი ტრედ-უნიონის მხრივ»... «იგი სრულიად ანგრევს ტრედ-უნიონის არსებობის თვით აზრსაც კი»... «ამ უაზრო შეთანხმებას... არ შეუძლია შებოჭოს მუშები, და ისინი კარგს იზამენ, თუ უარყოფენ მას». შემდეგ ნომერში კი, 23 ნოემბერს, ბერნეტი ამ შეთანხმების შესახებ წერდა სტატიაში, სათაურით: «ისევ გაგვყიდეს!» «სამი კვირის წინათ რკინიგზის მოსამსახურეთა შეერთებული საზოგადოება ერთ-ერთი უძლიერესი ტრედ-უნიონი იყო ინგლისში; ახლა იგი ურთიერთდახმარების საზოგადოების დონემდეა დაყვანილი». «და ეს ცვლილება მოხდა არა იმიტომ, რომ რკინიგზელები იბრძოდნენ და დამარცხდნენ, არამედ იმიტომ, რომ მათმა ბელადებმა განზრახ ან თავისი უჭკუობით მუშები ბრძოლის დაწყებამდე მიჰყიდეს კაპიტალისტებს». და გაზეთის რედაქცია დასძენს, რომ ანალოგიური წერილი გამოუგზავნა მას «რკინიგზის კომპანიის «მიდლანდის»» ერთმა «დაქირავებულმა მუშამ».

მაგრამ, იქნებ, ეს «მეტისმეტად რევოლუციური» ესდეკების «გატაცებაა»? არა. ორგანო ზომიერი პარტიისა, «დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა» (**ILP**), რომელსაც არც კი სურს თავის თავს სოციალისტური პარტია უწოდოს, «**Labour Leader**» ** 15 ნოემბერს რკინიგზელი ტრედ-უნიონისტის წერილს ათავსებს; წერილის ავტორი იმ ქება-დიდების პასუხად, რომელსაც მთელი კაპიტალისტური პრესა (რადიკალური «**Reynolds Newspaper**»-ით *** დაწყე-

*— «სამართლიანობა». რ ე დ.

** — «მუშათა ბელადი». რ ე დ.

*** — «რეინოლდის ახალი ამბები». რ ე დ.

ბული და კონსერვატიული «Times»-ით * გათავებული) ბელს უძღვნის, აცხადებს, რომ ბელის მიერ მოწყობილი შეთანხმება «ყველაზე საძაგელი შეთანხმებაა, როგორიც კი ყოფილა ტრედ-უნიონიზმის ისტორიაში», და რიჩარდ ბელს «ტრედ-უნიონისტური მოძრაობის მარშალ ბაზენს» უწოდებს. იქვე მეორე რკინიგზელი მოითხოვს «პასუხი მოეთხოვოს ბელს» ამ უკუღმართი შეთანხმებისთვის, რომელმაც «მუშებს შვიდი წლის კატორღა მიუსაჯა». ზომიერი ორგანოს რედაქციაც იმავე ნომრის მეთაურში შეთანხმებას «ბრიტანეთის ტრედ-უნიონისტური მოძრაობის სედანს» უწოდებს. «არასოდეს არ ყოფილა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა, რომ ნაციონალური მასშტაბით გვეჩვენებინა შეკავშირებული შრომის ძალა», — მუშებში გამეფებული იყო «წარმოუდგენელი ენთუზიაზმი» და ბრძოლის სურვილი. სტატია თავდება გესლიანი დაპირისპირებით მუშათა გაჭირვებისა და «ბანკეტების მომწყობ ბატონ ლოიდ-ჯორჯის (მინისტრი, რომელმაც კაპიტალისტების ლაქიის **როლი შეასრულა) და ბატონ** ბელის» ზეიმისა.

ეს შეთანხმება მოიწონეს მხოლოდ ყველაზე უკიდურესმა ოპორტუნისტებმა, ფაბიანელებმა, წმინდა ინტელიგენტურმა ორგანიზაციამ და ამით სირცხვილით გააწითლეს ფაბიანელების თანამგრძნობი ჟურნალიც კი «The New Age» **, რომელიც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ თუ ბურჟუაზიულ-კონსერვატიულმა «Times»-მა მთლიანად გადაბეჭდა ფაბიანელების ცენტრალური კომიტეტის სათანადო განცხადება, სამაგიეროდ, ამ ვაჟბატონებს გარდა, «არც ერთ სოციალისტურ ორგანიზაციას, არც ერთ ტრედ-უნიონს, მუშათა არც ერთ გამოჩენილ ბელადს» (გვ. 101, 7 დეკემბრის ნომერი) შეთანხმებისთვის მხარი არ დაუჭერიაო.

აი ნიმუში ნეიტრალობის გამოყენებისა პლეხანოვის თანამშრომლის, ბ-ნ ე. პ.-ს მიერ. საკითხი შეეხებოდა არა «პო-

* — «ტაიმს» («დროება»). რედ.

** — «ახალი საუკუნე». რედ.

ლიტიკურ უთანხმოებას», არამედ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას არსებულ საზოგადოებაში. «გაუმჯობესებას» ბრძოლაზე ხელისაღებისა და კაპიტალის სამოწყალოდ გადაქცევის ფასად მხარი დაუჭირა ინგლისის მთელმა ბურჟუაზიამ, ფაბიანელებმა და ბ-მა ე. პ.-მ, ხოლო მუშების კოლექტიურ ბრძოლას — ყველა სოციალისტმა და ტრედ-უნიონელმა მუშამ. და ამის შემდეგ პლეხანოვი კიდევ განაგრძობს «ნეიტრალობის» ქადაგებას, და არა იმის ქადაგებას, რომ კავშირები მჭიდროდ დაუახლოვდნენ სოციალისტურ პარტიას?

«პროლეტარი» № 22,
1908 წლის 19 თებერვალი (3 მარტი)

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა პორტუგალიის მეფეს

ბურჟუაზიულ პრესას, ყველაზე ლიბერალური და «დემოკრატიული» მიმართულებისასაც კი, პორტუგალიელი ავანტიურისტის მოკვლის ამბავზე მსჯელობისას თავი ვერ დაუღწევია შავრაზმული მორალისთვის.

აი, მაგალითად, ევროპის ერთერთი საუკეთესო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაზეთის — «ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი ს გ ა ზ ე თ ი ს» სპეციალური კორესპონდენტი. იგი თავის ამბავს იწყებს ნახევრადსახუმარო ხასიათის ცნობით იმის შესახებ, თუ კორესპონდენტების მთელი გროვა როგორ შეესია — როგორც ნადავლს — ლისაბონს მაშინვე, რაწამს სენსაციური ამბავი მოვიდა. მე, — წერს ეს ვაუბატონი, — მოვხვდი ერთ საწოლ განყოფილებაში ლონდონის ერთ ცნობილ ჟურნალისტთან, რომელიც თავისი გამოცდილებით ტრაბახობდა. ასეთივე შემთხვევის გამო ის, თურმე ნუ იტყვით, ბელგრადშიც ყოფილა და შეუძლია თავი ჩათვალოს «სპეციალურ კორესპონდენტად მეფეთა მკვლელობის შემთხვევაში».

...დიახ, ის, რაც პორტუგალიის მეფეს შეემთხვა, ჭეშმარიტად მეფეების «პროფესიულ უბედურ შემთხვევას» წარმოადგენს.

გასაკვირველიც არ არის, რომ ჩნდებიან პროფესიული კორესპონდენტები, რომლებიც აღწერენ მათ უდიდებულესობათა პროფესიულ «მარცხს»...

მაგრამ, რაც უნდა ძლიერი იყოს ამგვარ კორესპონდენტებში იაფფასიანი და ვულგარული სენსაციის ელემენტი, სიმართლე ზოგჯერ მაინც გზას იკვლევს ხოლმე. «ერთმა ვაჭარმა, რომელიც ყველაზე გაცხოველებულ სავაჭრო უბანში ცხოვრობს», «ფ რ ა ნ კ ფ ურ ტ ი ს გ ა ზ ე თ ი ს» კორესპონდენტს შემდეგი უამბო: «რაწამს ეს ამბავი გავიგე, მაშინვე სამგლოვიარო ბაირაღი გამოვკიდე. მაგრამ ძალიან მალე ჩემთან მოვიდნენ მუშტრები და ნაცნობები, რომლებიც მეკითხებოდნენ, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, მიზნად ხომ არ დაგისახავს მეგობრული ურთიერთობა გააფუჭო ყველასთანო. მე შევეკითხე მათ, ნუთუ შებრალების გრძნობას არავინ განიცდის. თ ქ ვ ე ნ არც კი დაიჯერებთ, მოწყალეო ხელმწიფეო, როგორი პასუხი მივიღე ამაზე! და აი მეც მოვხსენი სამგლოვიარო ბაირაღი».

ლიბერალურ კორესპონდენტს ეს ამბავი მოჰყავს და ასე მსჯელობს:

«თავისი ბუნებით ისეთმა გულკეთილმა და თავაზიანმა ხალხმა, როგორიც პორტუგალიელი ხალხია, ჩანს, ცუდი სკოლა გაიარა, სანამ ასეთს შეუბრალებელ სიძულვილს ისწავლიდა მიცვალებულისადმიც კი. და თუ ეს მართალია, — ეს კი, უეჭველად, მართალია, და ისტორიულ ჭეშმარიტებას დავამახინჯებდი, ამის შესახებ რომ არაფერი მეთქვა, — თუ არა მარტო ასეთი უსიტყვო დემონსტრაციები წარმოთქვამენ თავიანთ მსჯავრს გვირგვინოსანი მსხვერპლის მიმართ, თუ ყოველ ფეხის გადადგმაზე «წესიერების დამცველ ადამიანთაგანაც» კი თქვენ გესმით სალანძღავი სიტყვები მოკლულის მიმართ, მაშინ სრულიად ბუნებრივია მისწრაფება — შეისწავლო გარემოებათა ის იშვიათი გადახლართვა, რომელიც ხალხის ფსიქოლოგიას ამდენად არანორმალურად ხდის. რადგან ხალხი, რომელიც სიკვდილსაც კი არ უტოვებს ძველ წმინდა უფლებას — მიწიერი შეცოდებანი გამოისყიდოს, ასეთი ხალხი ან მორალურად უკვე გადაგვარებული უნდა იყოს, — ან უნდა არსებობდეს პირობები, რომლებიც წარმოშობს სიძულვილის უზომო გრძნობას, რაც სამართლიანი შეფასების ნათელ შეხედულებას აბუნდოვანებს».

ოჰ, ბატონო ლიბერალო პირმოთნეებო! რატომ არ აცხადებთ მორალურად გადაგვარებულად იმ ფრანგ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც დღემდე სიძულვილით ეპყრო-

ბიან და გაშმაგებით ლანძღავენ არა მარტო 1871 წლის კომუნის მოღვაწეებს, არამედ 1793 წლის მოღვაწეებსაც კი? არა მარტო პროლეტარული რევოლუციის მებრძოლებს, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის მებრძოლებსაც? იმიტომ, რომ «ნორმალურად» და «მორალურად» თანამედროვე ბურჟუაზიის «დემოკრატიულ» ლაქიებს ის მიაჩნიათ, რომ ხალხმა გვირგვინოსანი ავანტიურისტების ყოველგვარი უწესობა, სისაძაგლე და მხეცობა «უწყინრად» აიტანოს.

სხვანაირად — განაგრძობს კორესპონდენტი (ე. ი. სხვანაირად, თუ არა განსაკუთრებული პირობების საშუალებით) — «არ შეიძლება გაგება იმ მოვლენისა, რომ დღეს უკვე ერთი მონარქისტული გაზეთიც კი უდანაშაულო მსხვერპლზე ხალხის წრიდან თითქმის უფრო მეტი მწუხარებით ლაპარაკობს, ვიდრე მეფეზე; ახლა უკვე სრული სიცხადით ვხედავთ, თუ როგორ იქმნება ლეგენდები, რომლებიც დიდების შარავანდედით მოსავენ მკვლელებს. იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა მკვლელობის დროს პოლიტიკური პარტიები ცდილობენ განერიდონ მკვლელებს, — პორტუგალიელი რესპუბლიკელები პირდაპირ ამაყობენ იმით, რომ მათი რიგებიდან გამოვიდნენ «1 თებერვლის წამებულნი და გმირები»...

ბურჟუაზიულმა დემოკრატმა იმდენი იბეჯითა, რომ მზად არის «რევოლუციურ ლეგენდად» გამოაცხადოს პორტუგალიის მოქალაქეთა პატივისცემა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც თავი გასწირეს მეფის მოსაცილებლად, რომელიც კონსტიტუციას დასცინოდა!

მეორე ბურჟუაზიული გაზეთის, მილანის «**Corriere della Sera**»-ს * კორესპონდენტი გვიამბობს, თუ მეფის მოკვლის შემდეგ როგორ მძვინვარებდა პორტუგალიის ცენზურა. დეპეშებს არ უშვებენ. მინისტრებსა და მეფეებს არ ახასიათებთ ის «გულკეთილობა», რომელიც ასე მოსწონთ

* — «საღამოს კურიერი». რედ.

პატიოსან ბურჟუებს ხალხის მასებში! რაკი ომია — იყოს ისე, როგორც ომს შეეფერება, სამართლიანად მსჯელობენ პორტუგალიელი ავანტიურისტები, რომლებმაც მოკლული მეფის ადგილი დაიკავეს. ცნობების გადაცემა არა ნაკლებ ძნელია, ვიდრე ომის დროს. ცნობების გაგზავნა გვიხდება შემოსავლელი გზით, ჯერ ფოსტით პარიზში (იქნებ, რომელიმე კერძო მისამართითაც), იქიდან კი მილანში. «რუსეთშიც კი — წერს კორესპონდენტი 7 თებერვალს — უაღრესად ცხარე რევოლუციური პერიოდების დროსაც ცენზურა არასდროს ისე არ მძვინვარებდა, როგორც ახლა პორტუგალიაშიო».

«ზოგიერთი რესპუბლიკური გაზეთი — იუწყება ეს კორესპონდენტი 9 თებერვალს ახალი სტილით — დღეს (მეფის დაკრძალვის დღეს) იმნაირი კილოთი წერს, რომ მის გამეორებას დეპეშით აბსოლუტურად ვერ ვბედავ». 8 თებერვლის ცნობაში, რომელიც დანიშნულ ადგილას წინანდელ ცნობაზე გვიან მოვიდა, მოყვანილია გაზეთ «Pays»-ის * აზრი დაკრძალვის პროცედურის შესახებ:

«მიაქვთ ხრწნადი ნეშტები ორი მონარქისა — უსარგებლო ფერფლი რღვევამოდებული მონარქიისა, — რომელიც ბატონობდა ღალატისა და პრივილეგიების წყალობით, — რომელიც თავისი დანაშაულებებით ჩირქსა სცხებდა ჩვენს ისტორიას ორი საუკუნის განმავლობაში».

«რა თქმა უნდა, ეს გაზეთი რესპუბლიკურია, — დასძენს კორესპონდენტი, — მაგრამ განა მჭევრმეტყველური არ არის ასეთი ფრაზების შემცველი სტატიის გამოქვეყნება მეფის დაკრძალვის დღეს?»

ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ვწუხვართ ერთ რამეზე: იმაზე, რომ რესპუბლიკური მოძრაობა პორტუგალიაში საკმაო გაბედულებით და აშკარად ვერ გაუსწორდა ყველა ავანტიურისტს. ვწუხვართ, რომ იმ ამბავში, რომელიც

* — «ქვეყანა». რ ე დ.

პორტუგალიის მეფეს შეემთხვა, ჯერ ისევ ნათლად ჩანს შეთქმულების, ე. ი. უძლური, არსებითად მიზანს ვერმიმღწევი, ტერორის ელემენტი, იმ ნამდვილი, საყოველთაო სახალხო, მართლაც ქვეყნის განმაახლებელი ტერორის უძლურებისას, რომლითაც თავი ისახელა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. შესაძლებელია, რომ რესპუბლიკური მოძრაობა პორტუგალიაში უფრო მეტად გაძლიერდეს. სოციალისტური პროლეტარიატის თანაგრძნობა ყოველთვის რესპუბლიკელების მხარეს იქნება მონარქიის წინააღმდეგ. მაგრამ პორტუგალიაში დღემდე მხოლოდ მონარქიის დ ა შ ი ნ ე ბ ა მოხერხდა ორი მონარქის მკვლელობით, და არა მონარქიის მ ო ს პ ო ბ ა.

სოციალისტებმა ევროპის ყველა პარლამენტში, ვისაც როგორ შეეძლო და ვისაც როგორ ეხერხებოდა, თანაგრძნობა გამოუცხადეს პორტუგალიელ ხალხსა და პორტუგალიელ რესპუბლიკელებს, ხოლო ზიზღი მმართველ კლასებს, რომელთა წარმომადგენლები ავანტიურისტის მოკვლას გმობდნენ და მის მემკვიდრეებს თანაგრძნობას უცხადებდნენ. ზოგმა სოციალისტმა პარლამენტებში პირდაპირ გამოთქვა თავისი შეხედულება, სხვები დარბაზიდან გავიდნენ იმ დროს, როდესაც «დაზარალებულ» მონარქიას სიმპათიას უცხადებდნენ. ვანდერველდემ ბელგიის პარლამენტში «საშუალო» — ყველაზე ცუდი — გზა აირჩია და წარმოთქვა ნაძალადევი ფრაზა, მე პატივსა ვცემ «ყველა გარდაცვალებულს», ე. ი. მეფესაც და მის მკვლელებსაც. ვიმედოვნებთ, მთელი მსოფლიოს სოციალისტებს შორის ვანდერველდე განმარტოებული დარჩება.

ევროპის სოციალისტებს რესპუბლიკური ტრადიცია ძალიან შეუსუსტდათ. ეს გასაგებია და რამდენადმე შეიძლება გამართლებულიც იქნას, — სახელდობრ იმდენად, რამდენადაც ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციის სიახლოვე პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რეს-

პუბლიკისთვის ბრძოლას. მაგრამ ხშირად რესპუბლიკური პროპაგანდის შესუსტება ნიშნავს არა ცხოველ მისწრაფებას პროლეტარიატის სრული გამარჯვებისაკენ, არამედ საერთოდ პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანების შეგნების სისუსტეს. 1891 წელს ენგელსი, ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკის დროს, ტყუილად კი არ მიუთითებდა მთელი ენერგიით გერმანელ მუშებს რუსპუბლიკისთვის ბრძოლის მნიშვნელობაზე, იმის შესაძლებლობაზე, რომ გერმანიაშიც ასეთი ბრძოლა დღის წესრიგში დადგებაო [132].

ჩვენში, რუსეთში, რესპუბლიკისათვის ბრძოლას უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სახალხო სოციალისტების ან «ესდეკ» მალიშევსკის (იხ. მის შესახებ «პროლეტარი» № 7) მსგავს უბადრუკ მეშჩანურ ოპორტუნისტებს შეეძლოთ რუსეთის რევოლუციის გამოცდილებიდან ისეთი დასკვნა გამოეტანათ, რომ ბრძოლა რესპუბლიკისათვის რუსეთში მეორე რიგში დგება. პირიქით, სწორედ ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბრძოლა მონარქიის მოსასპობად რუსეთში განუყრელად დაკავშირებულია ბრძოლასთან მიწის მოსაპოვებლად გლეხებისთვის, თავისუფლების მოსაპოვებლად მთელი ხალხისთვის. სწორედ ჩვენი კონტრრევოლუციის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც ხელუხლებლად სტოვებს მონარქიას, ბრძოლა კი არ არის, არამედ მეშჩანური სილაჩრე და დონდლობაა ან ხალხის პირდაპირი მოტყუება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კარიერისტების მიერ.

«პროლეტარი» № 22,
1908 წლის 19 თებერვალი (3 მარტი)

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# კომუნის გაკვეთილები[133]

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომლითაც დამთავრდა 1848 წლის რევოლუცია, საფრანგეთი 18 წლით მოხვდა ნაპოლეონის რეჟიმის უღელქვეშ. ამ რეჟიმმა ქვეყანა მიიყვანა არა მარტო ეკონომიურ გაჩანაგებამდე, არამედ ნაციონალურ დამცირებამდეც. ძველი რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულმა პროლეტარიატმა იკისრა ორი ამოცანა: საერთო-ნაციონალური და კლასობრივი: საფრანგეთის განთავისუფლება გერმანიის შემოსევისაგან და მუშების სოციალისტური განთავისუფლება კაპიტალიზმისაგან. ორი ამოცანის ამგვარ შეერთებაში მდგომარეობს კომუნის ფრიად ორიგინალური თვისება.

ბურჟუაზიამ მაშინ შეადგინა «ნაციონალური თავდაცვის მთავრობა», და პროლეტარიატს საერთო-ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მისი ხელმძღვანელობით უნდა ებრძოლნა. ნამდვილად ეს იყო «ხალხის ღალატის» მთავრობა, რომელიც თავის დანიშნულებას პარიზის პროლეტარიატთან ბრძოლაში ხედავდა. მაგრამ პატრიოტული ილუზიებით დაბრმავებული პროლეტარიატი ამას ვერ ამჩნევდა. პატრიოტული იდეის სათავე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დიდი რევოლუციით იწყება; ამ იდეამ დაიმორჩილა კომუნის სოციალისტების გონება; მაგალითად, ბლანკი, უეჭველი რევოლუციონერი და სოციალიზმის მხურვალე მომხრე, თავისი გაზეთისთვის უფრო შესაფერისს სახელწოდებას ვერ ნახულობს, ვიდრე ბურჟუაზიული გოდება: «ს ა მ შ ო ბ ლ ო გ ა ნ ს ა ც დ ე ლ შ ი ა!».

ფრანგი სოციალისტების საბედისწერო შეცდომა ამ წინააღმდეგობრივი ამოცანების — პატრიოტიზმისა და სოციალიზმის შეერთება იყო. უკვე ინტერნაციონალის მანიფესტში, 1870 წლის სექტემბერში, მარქსი აფრთხილებდა საფრანგეთის პროლეტარიატს ყალბი ნაციონალური იდეით გატაცებისაგან [134]: დიდი რევოლუციის შემდეგ ღრმა ცვლილებები მოხდა, კლასობრივი წინააღმდეგობანი გამწვავდა, და თუ მაშინ მთელი ევროპის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებდა მთელ რევოლუციურ ერს, ახლა პროლეტარიატს აღარ შეუძლია თავისი ინტერესები შეუერთოს სხვა, მისდამი მტრული კლასების ინტერესებს; დაე ბურჟუაზიამ აგოს პასუხი ნაციონალური დამცირებისათვის — პროლეტარიატის საქმე ისაა, რომ იბრძოლოს ბურჟუაზიის უღლისაგან შრომის სოციალისტური განთავისუფლებისათვის.

მართლაც, ბურჟუაზიული «პატრიოტიზმის» ნამდვილი სარჩული სულ მალე გამოჩნდა. ვერსალის მთავრობამ სამარცხვინო ზავი შეჰკრა პრუსიელებთან და თავის პირდაპირ ამოცანას შეუდგა: გაილაშქრა პარიზის პროლეტარიატის შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც მისთვის ესოდენ საშიში იყო. მუშებმა კომუნის გამოცხადებით და სამოქალაქო ომით უპასუხეს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური პროლეტარიატი მრავალ სექტად იყო დაყოფილი, კომუნა მაინც ბრწყინვალე ნიმუში აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ ერთსულოვნად შეუძლია პროლეტარიატს იმ დემოკრატიული ამოცანების განხორციელება, რომელთა მხოლოდ გამოცხადება ემარჯვებოდა ბურჟუაზიას. პროლეტარიატმა, რომელმაც ძალაუფლება დაიპყრო, ყოველგვარი განსაკუთრებული რთული კანონმდებლობის გარეშე, უბრალოდ, საქმით განახორციელა საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია, გააუქმა ბიუროკრატია, მოაწყო მოხელეთა არჩევა ხალხის მიერ.

მაგრამ ორმა შეცდომამ დაღუპა ბრწყინვალე გამარჯვების ნაყოფი. პროლეტარიატი შუაგზაზე შეჩერდა: ნაცვლად იმისა,

რომ დაეწყო «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია», იგი გაიტაცა ოცნებამ — უმაღლესი სამართლიანობა დაემკვიდრებინა საერთო-ნაციონალური ამოცანით გაერთიანებულ ქვეყანაში; მაგალითად, ისეთ დაწესებულებებს, როგორიც არის ბანკი, ხელი არ ახლეს, სოციალისტებს შორის ჯერ კიდევ გაბატონებული იყო პრუდონისტების თეორიები «სამართლიანი გაცვლა-გამოცვლის» შესახებ და სხვ. მეორე შეცდომა იყო პროლეტარიატის ზედმეტი სულგრძელობა: საჭირო იყო მას მოესპო თავისი მტრები, ის კი ცდილობდა მორალური ზეგავლენა მოეხდინა მათზე; მან უგულებელყო სამოქალაქო ომში წმინდა სამხედრო მოქმედებათა მნიშვნელობა და ნაცვლად იმისა, რომ ვერსალზე გადამწყვეტი შეტევით დაეგვირგვინებინა თავისი გამარჯვება პარიზში, იგი აყოვნებდა, ვერსალის მთავრობას დრო მისცა შეეკრიბა ბნელი ძალები და მომზადებულიყო მაისის სისხლიანი კვირისთვის.

მაგრამ ყველა ამ შეცდომის მიუხედავად კომუნა უდიდესი ნიმუშია XIX საუკუნის უდიდესი პროლეტარული მოძრაობისა. მარქსმა მაღალი შეფასება მისცა კომუნის ისტორიულ მნიშვნელობას — როდესაც ვერსალის ხროვა მუხანათურად დაესხა თავს პარიზის პროლეტარიატის იარაღს, მუშებს უბრძოლველად რომ დაენებებინათ იგი, მაშინ დამღუპველი მნიშვნელობა იმ დემორალიზაციისა, რომელიც შეტანილი იქნებოდა ამ სისუსტით პროლეტარულ მოძრაობაში, ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა, ვიდრე ის მსხვერპლი, რომელიც მუშათა კლასმა გაიღო ბრძოლაში თავისი იარაღის დაცვის დროს [135]. რა დიდიც უნდა იყოს კომუნის მსხვერპლი, იგი ნაზღაურდება იმ მნიშვნელობით, რომელიც კომუნას აქვს საერთო-პროლეტარული ბრძოლისთვის: მან მთელს ევროპაში გააძლიერა სოციალისტური მოძრაობა, მან გვიჩვენა სამოქალაქო ომის ძალა, მან გაჰფანტა პატრიოტული ილუზიები და დაამსხვრია გულუბრყვილო რწმენა, თითქოს ბურჟუაზიას საერთო-ნაციონალური მისწრაფება ჰქონდეს. კომუნამ ევროპის პროლე-

ტარიატს ასწავლა სოციალისტური რევოლუციის ამოცანების კონკრეტულად დაყენება.

ის გაკვეთილი, რომელიც პროლეტარიატმა მიიღო, დაუვიწყარი იქნება. მუშათა კლასი გამოიყენებს მას, როგორც გამოიყენა უკვე რუსეთში, დეკემბრის აჯანყების დროს.

ეპოქა, რომელიც წინ უძღოდა რუსეთის რევოლუციას და რომელმაც ის მოამზადა, რამდენადმე წააგავს ნაპოლეონის უღლის ეპოქას საფრანგეთში. რუსეთშიც თვითმპყრობელობის ხროვამ ქვეყანა მიიყვანა ეკონომიური გაღატაკებისა და ნაციონალური დამცირების საშინელებამდე. მაგრამ რევოლუცია დიდხანს არ იწყებოდა — ვიდრე სოციალურმა განვითარებამ არ შექმნა მასობრივი მოძრაობის პირობები; და, მიუხედავად მთელი თავისი გმირობისა, ცალკეული თავდასხმები მთავრობაზე რევოლუციის წინა პერიოდში ხალხის მასების გულგრილობას აწყდებოდა და იმსხვრეოდა. მხოლოდ სოციალ- დემოკრატიამ შეუპოვარი და გეგმაშეწონილი მუშაობით აღზარდა მასები ბრძოლის უმაღლესი ფორმებისთვის — მასობრივი გამოსვლებისა და შეიარაღებული სამოქალაქო ომისთვის.

სოციალ-დემოკრატიამ შესძლო ახალგაზრდა პროლეტარიატში დაემსხვრია «საერთო-ნაციონალური» და «პატრიოტული» შეცდომები, და მას შემდეგ, როდესაც მისი უშუალო ჩარევით შესაძლებელი გახდა მეფის ხელიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოგლეჯა, პროლეტარიატი ენერგიულად შეუდგა მზადებას რევოლუციის შემდგომი გარდუვალი ეტაპისთვის — შეიარაღებული აჯანყებისთვის. «საერთო-ნაციონალური» ილუზიებისგან თავისუფალი პროლეტარიატი კლასობრივ ძალებს თავს უყრიდა თავის მასობრივ ორგანიზაციებში— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში და სხვ. მიუხედავად იმ მიზნებისა და ამოცანების მთელი განსხვავებისა, რომელნიც რუსეთის რევოლუციას აქვს დასახული, საფრანგეთის 1871 წლის რევოლუციასთან შედარებით, რუსეთის პროლეტარიატს უნდა მიემართა ბრძოლის იმავე სა-

შუალებისთვის, რომელსაც პარიზის კომუნამ მისცა დასაბამი — სამოქალაქო ომისთვის. რუსეთის პროლეტარიატს ახსოვდა პარიზის კომუნის გაკვეთილები. მან იცოდა, რომ პროლეტარიატმა ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებანი არ უნდა უგულებელყოს — ეს საშუალებანი ემსახურება მის ყოველდღიურ ინტერესებს, ისინი რევოლუციების მომზადების პერიოდებში აუცილებელია — მაგრამ მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ისიც, რომ განსაზღვრულ პირობებში კლასობრივი ბრძოლა შეიარაღებული ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ფორმებს იღებს; არის ხოლმე მომენტები, როდესაც პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს მტრების ¿აუნდობლად განადგურებას ბრძოლაში აშკარად შებმის დროს. ეს პირველად დაგვანახვა საფრანგეთის პროლეტარიატმა კომუნაში და ბრწყინვალედ დაადასტურა რუსეთის პროლეტარიატმა დეკემბრის აჯანყებაში.

რა ვუყოთ რომ მუშათა კლასის ეს ორივე გრანდიოზული აჯანყება დამარცხდა — მოხდება ახალი აჯანყება, რომლის წინაშე უძლურნი იქნებიან პროლეტარიატის მტრების ძალები და რომლიდანაც სრულიად გამარჯვებული გამოვა სოციალისტური პროლეტარიატი.

«ზაგრანიჩნაია გაზეტა» № 2,
1908 წლის 23 მარტი

იბეჭდება
«ზაგრანიჩნაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

# შეკვეთილი პოლიციურ-პატრიოტული დემონსტრაცია

«დიდი საპარლამენტო დღე» სათათბიროში 27 თებერვალს — ჩვენი ბურჟუაზიული პარტიების გულის ამაჩუყებელ ერთსულოვან შეფასებას იწვევს. ყველა კმაყოფილია, ყველა ხარობს და გულაჩუყებულია, დაწყებული შავრაზმელებით და «ნოვოე ვრემიათი» და გათავებული კადეტებითა და «სტოლიჩნაია პოჩტით», რომელმაც «სიკვდილის წინ» მაინც მოასწრო დაეწერა (28 თებერვლის ნომერში):

«საერთო შთაბეჭდილება (სათათბიროს 27 თებერვლის სხდომიდან) ფრიად კარგია»... «რუსეთის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მთავრობამ პირველად გააცნო ქვეყანას აშკარად თავისი შეხედულებები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე»...

ჩვენც მზადა ვართ ვაღიაროთ, რომ დიდმა საპარლამენტო დღემ «პირველად» თუ არა, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მაინც გამოააშკარავა შავრაზმელების, მთავრობის, ლიბერალებისა და «სტოლიჩნაია პოჩტის» ტიპის «დემოკრატების» დიდი ერთიანობა, ერთიანობა «საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების» ძირითად საკითხებში. ამიტომ იმ პოზიციის ყურადღებით გაცნობა, რომელიც ამ დღეს და ამ დღის გამო ყველა პარტიამ დაიკავა, ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია.

ოქტიაბრისტების მმართველი პარტიის ლიდერი ბ-ნი გუჩკოვი. იგი მიმართავს «თხოვნით მთავრობის წარმომადგენ-

ლებს» განმარტონ როგორია საქმის ნამდვილი მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში. სათათბიროს ტრიბუნიდან იგი განმარტავს ხარჯების ეკონომიის მნიშვნელობას, — მაგალითად, 60 000 მანეთის ნაცვლად წელიწადში ტოკიოს ელჩს — 50 000 მანეთი. ნუ კი ხუმრობთ, რეფორმებს ვახდენთ! იგი ამბობს, რომ «პრესაში გაჩნდა» შემაშფოთებელი ცნობები შორეული აღმოსავლეთის მიმართ პოლიტიკის შესახებ, იაპონიასთან მოსალოდნელი ომის შესახებ. ცხადია, იმის შესახებ, რომ რუსეთის პრესა ლაგამამოდებულია, კაპიტალისტების ბელადი არაფერს ამბობს: რა საჭიროა ეს? პროგრამაში პრესის თავისუფლება შეიძლება გქონდეს. «ევროპული» პარტიისთვის ეს საჭიროა. მაგრამ ნამდვილად რომ ი ბ რ ძ ო ლ ო ნ პრესის ჩაჩუმების წინააღმდეგ, რომ აშკარად გამოამჟღავნონ რუსეთის პრესის გავლენიანი ორგანოების აშკარა მოყიდულობა, — ამისი მოლოდინი ბ-ნ გუჩკოვისაგან, ისევე როგორც ბ-ნ მილიუკოვისაგან, სასაცილოა. სამაგიეროდ შინაური და საგარეო პოლიტიკის კავშირის შესახებ ბ-მა გუჩკოვმა მართალი თქვა, ესე იგი წამოროშა ჭეშმარიტი სარჩული იმ კომედიური მოქმედებისა, რომლითაც გართული იყო სათათბირო 27 თებერვალს.

«იმ გარემოებამ, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივდივართ დაწყნარებისა და დამშვიდებისაკენ, ჩვენს მოწინააღმდეგეებს უნდა დაანახვოს, რომ თავისი ინტერესების დაცვის ცდას (რუსეთის მიერ) ამჯერად უეჭველად წარმატება ექნება». შავრაზმელები და ოქტიაბრისტები ტაშს უკრავენ. ოღონდაც! მათ ხომ თავიდანვე მშვენივრად ესმოდათ, რომ განსახილველი საკითხისა და ბ-ნ იზვოლსკის სახით მთავრობის მთელი ბრწყინვალე გამოსვლის დ ე დ ა ა ზ რ ი ის არის, რომ ჩვენი მურავიოვ-ჩამომხრჩობთა კონტრრევოლუციური პოლიტიკა დამშვიდებისა და დაწყნარების საქმედ გამოაცხადონ. საჭიროა ევროპას და მთელ მსოფლიოს დაანახვო, რომ «გარეშე მტრის» წინაშე დგას «ერთიანი რუსეთი», რომელიც აწყნარებს და ამშვიდებს ერთ-

მუჭა მეამბოხეებს (სულ რაღაც ასამდე მილიონ გლეხსა და მუშას!), რათა უზრუნველყოს წარმატება «თავისი ინტერესების დაცვის ცდებისა».

დიახ, ბ-მა გუჩკოვმა შესძლო იმის თქმა, რაც მას ესაჭიროებოდა, რაც უნდოდათ გაერთიანებულ მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

პროფესორი კაპუსტინი, «მემარცხენე» ოქტიაბრისტი, კადეტების იმედი, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ზავის მომხრეთა სასოება, საჩქაროდ გუჩკოვის კვალს გაჰყვა და მისი პოლიტიკა საზიზღრად-მოთაფლული ლიბერალური პირმოთნეობით შეაზავა. «ღმერთმა ჰქნას, გავარდნილიყოს სახელი (სათათბიროს შესახებ), — რომ ჩვენ ხალხის ფულს ვუფრთხილდებით». ორმოცდაათი ათასი მანეთი წელიწადში ელჩს — განა ეს მთელი ათი ათასი მანეთის დაზოგვა არ არის? განა ეს «მშვენიერი მაგალითი» არ არის, რასაც «გვიჩვენებენ ჩვენი უმაღლესი წარჩინებული პირები, რომლებსაც შეგნებული აქვთ ის დიდმნიშვნელოვანი და მძიმე მომენტი, რომელსაც რუსეთი განიცდის»... «ჩვენ ძირითადი რეფორმები მოგველის ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ამისთვის კი დიდი სახსრებია საჭირო».

...როგორ ჩამორჩება იუდუშკა გოლოვლევი ამ პარლამენტარს! სათათბიროს ტრიბუნაზე გამოსული პროფესორი, რომელიც აღტაცებულია უმაღლეს წარჩინებულ პირთა მშვენიერი მაგალითით... მაგრამ რაღა უნდა ვილაპარაკოთ ოქტიაბრისტზე, როდესაც ლიბერალები და ბურჟუაზიული დემოკრატები ამ მლიქვნელობას დიდად ვერ გასცილებიან.

გადავიდეთ საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ იზვოლსკის სიტყვაზე. მას მხოლოდ ის უნდოდა, რა თქმა უნდა, ისეთი ხელის ჩასაჭიდი ეშოვა, როგორიც კაპუსტინმა თეფშით მიართვა. და მინისტრმაც ვრცლად ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა ხარჯების შემცირება ან შტატების გადასინჯვა, რათა დახმარება აღმოეჩინოს იმ ელჩებს, რომლებსაც «საკუთარი სახსრები არა აქვთო». იზვოლსკი ხაზგასმით აღნიშნავს, ნიკოლოზ მეორის

ნებართვით ვლაპარაკობო და გუნდრუკს უკმევს «ძალას, გონიერებასა და პატრიოტიზმს რუსი ხალხისას», რომელიც «მთელ თავის მატერიალურსა და სულიერ ძალას მოახმარს იმას, რომ რუსეთს მტკიცედ დაუმკვიდრდეს ახლანდელი აზიური სამფლობელოები და ხელი შეეწყოს მათ ყოველმხრივ განვითარებას».

მინისტრმა ისა თქვა, რაც მას კამარილიამ დაავალა. სიტყვა ეკუთვნის ოპოზიციის ლიდერს, ბ-ნ მილიუკოვს. და ისიც ერთბაშად აცხადებს: «სახალხო თავისუფლების პარტიამ, აქ დამსწრე ფრაქციის სახით, უდიდესი კმაყოფილებით მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები; მას თავის მოვალეობად მიაჩნია მიესალმოს მინისტრის პირველ გამოსვლას ქვეყნის წარმომადგენლობის წინაშე იმ საკითხების განმარტებით, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკას შეეხება. უეჭველია, რომ ამჟამად... რუსეთის მთავრობისთვის საჭიროა... თავისი მიზნებისთვის რუსეთის საზოგადოებრივ აზრს დაეყრდნოს».

მართლაც, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. თავისი მიზნებისთვის კონტრრევოლუციის მთავრობას ესაჭიროება დაეყრდნოს იმას, რაც საზღვარგარეთ შეიძლებოდა მიღებული (ან გასაღებული) ყოფილიყო რუსეთის საზოგადოებრივ აზრად. ეს საჭიროა განსაკუთრებით სესხის მისაღებად, ურომლისოდაც გაკოტრება და კრახი მოელის ცარიზმის მთელ სტოლიპინურ პოლიტიკას, რომელიც ხალხის წინააღმდეგ მრავალი წლის მანძილზე სისტემატური და მასობრივი ძალადობის ზომებს გულისხმობს.

ბ-ნი მილიუკოვი პირისპირ მიადგა ბატონ იზვოლსკის, გუჩკოვისა და კომპ. საზეიმო გამოსვლის ნამდვილ მნიშვნელობას. ეს გამოსვლა ნიკოლოზ მეორის შავრაზმული ხროვის მიერ იყო შეკვეთილი. ამ პოლიციურ-პატრიოტული დემონსტრაციის ყოველი წვრილმანი წინასწარ იყო მოფიქრებული. სათათბიროს ტიკინებმა თვითმპყრობელი კამარილიის კარნახით კომედია გაითამაშეს: დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის დაუხმარებლად ნიკოლოზ მეორე ვერ შეინარჩუნებს ტახტს. რუსეთის მ თ ე ლ ი ბურჟუაზია, როგორც მემარჯვენე, ისე მ ე-

მარცხენე, უნდა ვაიძულოთ საჯაროდ ნდობა გამოუცხადოს მთავრობას, მის «მშვიდობიან პოლიტიკას», მის სიმტკიცეს, მის განზრახვებს და უნარს — დაამშვიდოს და დააწყნაროს. ეს საჭირო იყო, როგორც საბლანკო წარწერა თამასუქზე. ამისათვის დაატრიალეს კადეტებისთვის ყველაზე «საყვარელი» ბ-ნი იზვოლსკი, ამისთვის შეუკვეთეს მთელი ეს მოურიდებელი პირმოთნეობა ხალხის ფულების დაზოგვის, რეფორმების, საგარეო პოლიტიკის «განმარტებით» მთავრობის «აშკარა» გამოსვლის შესახებ, თუმცა ყველასთვის და თვითეულისთვის ნათელია, რომ სრულიად არაფრის განმარტება არა სურდათ და არც არაფერი განუმარტავთ.

და ლიბერალურმა ოპოზიციამაც შავრაზმულ-პოლიციური მონარქიის ხელში მორჩილებით შეასრულა ტიკინას როლი! იმ დროს, როდესაც სიმართლის გაბედული თქმა სათათბიროს ბურჟუაზიული უმცირესობის მხრივ, უეჭველად, დიდ როლს შეასრულებდა და მთავრობას ხელს შეუშლიდა (ან გაუძნელებდა) მილიარდების სესხად აღებას ახალი დამსჯელი ექსპედიციებისთვის, სახრჩობელებისთვის, საპყრობილეებისა და გაძლიერებული დაცვისთვის, — კადეტების პარტია სათაყვანო მონარქის «ფეხთ ქვეშ განერთხო» და ცდილობდა მისთვის ეამებინა. ბ-ნი მილიუკოვი მლიქვნელობდა, როდესაც თავის პატრიოტიზმს ამტკიცებდა. მას თავი მოჰქონდა საგარეო პოლიტიკის მცოდნედ, იმ საბუთით, რომ სადღაც დერეფნებში შეჰკრიბა ცნობები იზვოლსკის, როგორც ლიბერალის, შესახებ. ბ-ნი მილიუკოვი შეგნებულად აწერდა ხელს თამასუქს, როდესაც მთელი კადეტური პარტიის სახელით მეფის მინისტრს საზეიმოდ «მიესალმებოდა»; მან მშვენივრად იცოდა, რომ მეორე დღეს ყველა ევროპული გაზეთი, თითქოს ბრძანებით, იტყოდა: სათათბირომ ერთხმად (სოციალ-დემოკრატების გარდა) ნდობა გამოუცხადა მთავრობას, მოიწონა მისი საგარეო პოლიტიკაო...

რუსულმა ლიბერალიზმმა სამი წლის განმავლობაში განიცადა ის ევოლუცია, რომელსაც გერმანიაში ოცდაათ წელი-

წადზე მეტი დასჭირდა, ხოლო საფრანგეთში — ას წელიწადზე მეტიც კი: ევოლუცია თავისუფლების მომხრიდან აბსოლუტიზმის უნებისყოფო და ფლიდ დამხმარემდე. სპეციფიკური იარაღით, რომელიც ბრძოლის დროს ბურჟუაზიას გააჩნია, — ქისაზე ხელის მოჭერა, ფულის მიღების გაძნელება, «მოხერხებული» მიდგომით ახალი სესხების აღების ჩაფუშვით, — ამ იარაღით კადეტებს რუსეთის რევოლუციაში ბევრჯერ შეეძლოთ ესარგებლნათ. და ყოველთვის, როგორც 1906 წლის გაზაფხულზე, ისე 1908 წლის გაზაფხულზე, ისინი თავიანთ იარაღს თვით აძლევდნენ მტერს ხელში, ხელებს ულოკავდნენ და ლოიალობას ეფიცებოდნენ დამრბევებს.

ბატონი სტრუვე დროზე შეეცადა ამ პრაქტიკისთვის მტკიცე თეორიული დასაყრდენი შეექმნა. ჟურნალ «რუსსკაია მისლში», რომელსაც ნამდვილად «ჩერნოსოტენნაია მისლ»[136] უნდა ერქვას, ბ-ნი სტრუვე უკვე ქადაგებს «დიდი რუსეთის» იდეას, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეას, აცამტვერებს «ინტელიგენციის მტრულ განწყობილებას სახელმწიფოსადმი», ათასმეერთეჯერ ამარცხებს «რუსეთის რევოლუციონიზმს», «მარქსიზმს», «განდგომილობას», «კლასობრივ ბრძოლას», «ბანალურ რადიკალიზმს».

რუსეთის ლიბერალიზმის ასეთი იდეური ევოლუცია ჩვენ მხოლოდ გვახარებს. სინამდვილეში ეს ლიბერალიზმი რუსეთის რევოლუციაში უკვე ისეთი აღმოჩნდა, როგორიც სისტემატურად, მთლიანად, მოფიქრებულად, «ფილოსოფიურად» სურს გახადოს იგი ბ-ნ სტრუვეს. თანამიმდევრული კონტრრევოლუციური იდეოლოგიის შემუშავება არის გასაღები, როცა უკვე გვყავს სავსებით ჩამოყალიბებული და ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიოდებში კონტრრევოლუციურად მოქმედი კლასი. ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობისა და კლასობრივი პოლიტიკის შესაფერისი იდეოლოგია დაეხმარება ყველას და თვითეულს აღმოფხვრას კადეტების «დემოკრატიზმის» რწმენის ნაშთები. ამ ნაშთების აღმოფხვრა კი სასარგებლოა, მათი აღმოფხვრა

საჭიროა იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს წინსვლა რუსეთის დემოკრატიზაციისთვის ნამდვილად მასობრივი ბრძოლის საქმეში. ბ-ნ სტრუვეს გულახდილად კონტრრევოლუციური ლიბერალიზმი სურს. ჩვენც გვსურს იგი, რადგან ლიბერალიზმის «გულახდილობა» ყველაზე უკეთ გაანათლებს როგორც დემოკრატიულ გლეხობას, ისე სოციალისტურ პროლეტარიატს.

სათათბიროს 27 თებერვლის სხდომას თუ დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ დემოკრატის ერთადერთი პატიოსანი და ამაყი სიტყვა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ მ ა თქვა. დეპუტატი ჩხეიძე ტრიბუნაზე ავიდა და განაცხადა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია კანონპროექტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მისცემს ხმასო, და დაიწყო ხმის მიცემის მოტივების მოყვანა. მაგრამ მისი პირველი სიტყვებისთანავე: «ჩვენი დიპლომატია დასავლეთში ყოველთვის რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენდა და ემსახურებოდა ინტერესებს»... თავმჯდომარემ მუშა დეპუტატი ჩააჩუმა. — «განაწესი ხმის მიცემის მოტივების მოყვანის ნებას იძლევაო», — ბუზღუნებდნენ კადეტები. «მოტივების გარდა მნიშვნელობა აქვს ფორმასაც», — უპასუხა ბანდიტმა, რომელსაც III სათათბიროს თავმჯდომარე ეწოდება.

იგი თავისი თვალსაზრისით მართალი იყო: რა დროს განაწესია, როდესაც ხიფათი მოელოდა პოლიციის მიერ შეკვეთილი პატრიოტული დემონსტრაციის ერთსულოვნად ჩატარებას?

მუშა დეპუტატი ამ საკითხში განმარტოებული იდგა. მით უფრო დიდია მისი დამსახურება. პროლეტარიატმა უნდა აჩვენოს და აჩვენებს კიდეც, რომ მას შეუძლია დემოკრატიული რევოლუციის აღთქმების დაცვა — მიუხედავად ლიბერალიზმის ყოველგვარი ღალატისა და მეშჩანობის მერყეობისა.

«პროლეტარი» № 25, 1908 წლის (25) 12 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# ლიბერალების მიერ ხალხის მოტყუების შესახებ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელ, ლონდონის, ყრილობაზე ირჩეოდა ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხი და მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია. ამასთან ყრილობაზე განსაკუთრებული დავა გამოიწვია ამ რეზოლუციის იმ ადგილმა, სადაც ლაპარაკია ლიბერალების მიერ ხალხის მ ო ტ ყ უ ე ბ ი ს შესახებ *. ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებს ეს ადგილი ფრიად უმართებულოდ მიაჩნდათ. მათ ისიც კი განაცხადეს, რომ მარქსისტული არ არის რეზოლუციაში ლაპარაკი ლიბერალების მიერ ხალხის «მოტყუების» შესახებ, ე. ი. მოსახლეობის განსაზღვრული ფენების მიერ ამა თუ იმ (ჩვენს შემთხვევაში კადეტური) პარტიისათვის მხარის დაჭერა ახსნა არა ამ ფენების კლასობრივი ინტერესებით, არამედ ამა თუ იმ ჯგუფის პარლამენტარების, ვექილების, ჟურნალისტების და სხვ. პოლიტიკის «უზნეო» საშუალებებით.

ნამდვილად კი ამ კეთილსახოვან, ვითომდა მარქსისტულ კეთილსახოვან სამოსელში გახვეულ მოსაზრებებს ეფარებოდა პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის შესუსტებისა და ლიბერალური ბურჟუაზიისადმი მისი დამორჩილების (საქმით) პოლიტიკა. რადგან კადეტების მომხრე დემოკრატიუ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 12, გვ. 623. რ ე დ.

ლი წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს ეს ვაჟბატონები ცოტად თუ ბევრად სერიოზულად კი არ იცავენ, არამედ ღ ა ლ ა ტ ო ბ ე ნ მთავრობასთან, ოქტიაბრისტებთან და მეფის თვითმპყრობელობის «ისტორიულ ხელისუფლებასთან» ლაქუციისა და შეთანხმების პოლიტიკით.

ახლანდელი ბრძოლა პრუსიის ლანდტაგის (სეიმის) საყოველთაო არჩევნების უფლებისთვის ფრიად საინტერესო მასალას იძლევა ამ საკითხის — ყველა კაპიტალისტური ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ერთერთი ძირითადი საკითხის — გასაშუქებლად ახალი ფაქტებით. ამ ბრძოლის დროშა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ააფრიალა. ბერლინის პროლეტარიატი, ბერლინის შემდეგ კი გერმანიის ყველა სხვა დიდი ქალაქის პროლეტარიატი, ქუჩაში გამოვიდა, მოაწყო დიდებული დემონსტრაციები ათიათასობით ხალხისა, საფუძველი ჩაუყარა ფართო მასობრივ მოძრაობას, რომელიც უკვე ახლა, უკვე დასაწყისშივე კონსტიტუციური ხელისუფლების ძალადობას, სამხედრო ძალების გამოყენებას, უიარაღო მასების ხოცვა-ჟლეტას იწვევს. ბრძოლა ბრძოლას შობს! ამაყად და გაბედულად უპასუხებდნენ ამ ძალადობაზე რევოლუციური პროლეტარიატის მეთაურები. მაგრამ აქ წამოიჭრა საკითხი დემოკრატიულ (და ლიბერალურ) ბურჟუაზიასთან დამოკიდებულებისა საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლაში. ამათი ამ საკითხის გამო გერმანელ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებსა და ოპორტუნისტებს (რევიზიონისტებს, როგორც მათ გერმანიაში უწოდებენ) შორის ძალიან უახლოვდება ჩვენს დავას თემაზე ლიბერალების მიერ ხალხის მოტყუების შესახებ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «Vorwärts» *-მა მოათავსა მოწინავე სტატია, რომლის შინაარსი და ძირითადი აზრი ნათლად არის გამოხატული მის სათაურში: «ბრძოლა საარჩევნო უფლების-

* — «წინ». რ ე დ.

თვის — კლასობრივი ბრძოლაა!». როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სტატია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ ჭეშმარიტებებს გამოხატავდა დადებითი სახით, ოპორტუნისტებმა გამოწვევად მიიჩნიეს. გამოწვევა მიღებულ იქნა. ამხანაგმა ზიუდეკუმმა, ცნობილმა მოღვაწემ მუნიციპალური სოციალიზმის დარგში, გადაჭრით გაილაშქრა ამ «სექტანტების ტაქტიკის» წინააღმდეგ, «პროლეტარიატის იზოლაციის» წინააღმდეგ, «სოციალ-დემოკრატების მიერ შავრაზმელების» (რეაქციონერების — როგორც უფრო რბილად ამბობენ გერმანელები) «მხარისდაჭერის» წინააღმდეგ. რადგან გერმანელი ოპორტუნისტისთვისაც კლასობრივი ბრძოლის შეტანა პროლეტარიატისა და ლიბერალების საერთო საქმეში 'შავრაზმელების მხარდაჭერას ნიშნავს! «საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება პრუსიაში ახლანდელი სამკლასობრივი არჩევნების ნაცვლად ერთი რომელიმე კლასის საქმე არ არის», — წერდა ზიუდეკუმი. იგი აღნიშნავდა, რომ ეს არის საქმე «ქალაქის მოსახლეობისა აგრარიების წინააღმდეგ, დემოკრატიისა ბიუროკრატიის წინააღმდეგ, გლეხობისა მემამულეების წინააღმდეგ, დასავლეთი პრუსიისა აღმოსავლეთი პრუსიის წინააღმდეგ» (ე. ი. ქვეყნის მრეწველობის მხრივ და საზოგადოდ კაპიტალისტურად მოწინავე ნაწილისა ეკონომიურად ჩამორჩენილის წინააღმდეგ). «საქმე ახლა ის არის, რომ ამ პუნქტში შევაერთოთ რეფორმის ყველა მეგობარი, რანაირიც უნდა იყოს დანარჩენი მათი გამთიშავი საკითხები».

მკითხველი ხედავს, რომ ეს სულ ნაცნობი საბუთებია, რომ სამოსელიც აქ მკაცრად, ორთოდოქსალურად «მარქსისტულია», ბურჟუაზიული დემოკრატიის («ქალაქის დემოკრატია», გლეხობა და სხვ.) განსაზღვრული ელემენტების ეკონომიური მდგომარეობა და ინტერესებიც კი არის აღნიშნული. მგონი საჭიროც აღარ არის დავუმატოთ, რომ გერმანული ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა სისტემატურად, უკვე ათეული წლების განმავლობაში, ამ ჰანგზე მღერის და სო-

ციალ-დემოკრატიას აბრალებს სექტანტობას, შავრაზმელების მხარისდაჭერას, იმას, რომ მან რეაქციის იზოლაცია ვერ შესძლო.

რა საბუთებით უარყოფდნენ გერმანელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ამნაირ მსჯელობას? ჩვენ ჩამოვთვლით მათს ძირითადს საბუთებს, რათა მკითხველებმა — გერმანული საქმეების «შორიდან», «აღუშფოთებლად და მიუკერძებლად» შეფასებით — დაინახონ, რა უფრო ჭარბობს მათს მითითებაში, დროისა და ადგილის განსაკუთრებული პირობები, თუ მარქსიზმის ზოგადი პრინციპები.

დიახ, ჩვენი თავისუფლადმოაზროვნენი თავიანთ პროგრამებში «მოითხოვენ» საყოველთაო საარჩევნო უფლებას, — ამბობდა «Vorwärts»-ი. დიახ, ამაზე მათ ახლა განსაკუთრებული გულმოდგინებით იწყეს მაღალფარდოვანი სიტყვების წარმოთქმა. მაგრამ იბრძვიან კი ისინი რეფორმისთვის? პირიქით, ხომ არა ვხედავთ, რომ ნამდვილი სახალხო მოძრაობა, ქუჩის დემონსტრაციები, ფართო აგიტაცია მასებში, მასების მღელვარება მათში ცუდად დაფარულ შიშს, ზიზღს იწვევს, უკეთესს და იშვიათ შემთხვევებში — გულგრილობას?

უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები, ლიბერალური კარიერისტების საბანკეტო და საპარლამენტო სიტყვები მათი ნამდვილი მონაწილეობისაგან ნამდვილ სახალხო ბრძოლაში. სიტყვიერად ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული პოლიტიკანები, ყველა პარლამენტურ ქვეყანაში, ყოველთვის თავს დებდნენ დემოკრატიისთვის და ამავე დროს ღალატობდნენ ამ დემოკრატიას.

დიახ, «ლიბერალური პარტიისა (თავისუფლადმოაზროვნეთა) და ცენტრის შიგნით, უეჭველია, არიან ელემენტები, რომლებიც დაინტერესებული არიან საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებით», — ამბობდა «Vorwärts»-ი. მაგრამ ბურჟუაზიულ პარტიებს ხელმძღვანელობენ არა ეს ელემენტები, არა წვრილი ხელოსნები, არა ნახევრადპროლეტარები, არა ნახევრადგაღატაკებული გლეხები. ისინი მისდე-

ვენ ლიბერალურ ბურჟუებს, რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ ისინი ბრძოლას, მათ ზურგს უკან კომპრომისს დებენ რეაქციასთან, რყვნიან მათს კლასობრივ შეგნებას და საქმით მათს ინტერესებს არ იცავენ.

ასეთი ელემენტები რომ მიიზიდო საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლაში, უნდა გააღვიძო მათი კლასობრივი შეგნება, ჩამოაშორო ისინი მერყევ ბურჟუაზიულ პარტიებს. «ლიბერალური (თავისუფლადმოაზროვნე) პარტიის შიგნით ის ინი, საყოველთაო საარჩევნო უფლებით დაინტერესებული ელემენტები, შეადგენენ უძლურ უმცირესობას, რომელსაც ყოველთვის დაპირებებით ჰკვებავენ და ყოველთვის ისევ და ისევ ა ტ ყ უ ე ბ ე ნ. ამ ელემენტების პოლიტიკური ენერგია სრულიად მოდუნებულია. და თუ თავისუფლადმოაზროვნეთ ან ცენტრს მართლაც რამეს დაათმობინებენ დემოკრატიის სასარგებლოდ იმის მუქარით, რომ ასეთი ამომრჩევლების ხმას წაგართმევთო, მაშინ სწორედ კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ასუსტებს ბურჟუაზიულ პარტიებს, ერთადერთი საშუალებაა მერყევი ბურჟუაზიის მარცხნივ წასაბიძგებლად».

პოლიტიკურმა ფაქტებმა დიდი ხანია დაგვიმტკიცა, რომ თავისუფლადმოაზროვნეთ რეაქცია უფრო ნაკლებად სძულთ, ვიდრე სოციალ-დემოკრატია. «ამიტომ ჩვენ არათუ დაუნდობელი სიმკაცრით უნდა ვამათრახოთ ყველა ბურჟუაზიული პარტიის ყველა ცოდვა, არამედ, გარდა ამისა, გამოვარკვიოთ კიდეც, რომ ყველა მათი ღალატი საარჩევნო უფლების საკითხში ამ პარტიების კლასობრივი ხასიათის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს».

დღეს თუ ხვალ საკითხი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ჩვენს კადეტებს «ბრძოლა» მათს პროგრამაში წამოყენებული დემოკრატიული მოთხოვნებისათვის, თუ ისინი მხოლოდ იმისთვის აყენებენ მათ, რომ ოქტიაბრისტებს ჩაუგდონ ხელში ის მეშჩანები და გლეხები, რომლებიც ლიბერალებს მისდევენ, — კიდევ და კიდევ წამოიჭრება რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინაშე, როგორც არაერთხელ წამოჭრილა ეს საკითხი

რევოლუციის მსვლელობაში. ამიტომ ზოგიერთებს ჩვენი პარტიიდან არაფერს დაუშავებს «Vorwärts»-ის საბუთებს ჩაუფიქრდნენ.

P. S. ეს სტატია უკვე დასაბეჭდად იყო გადაცემული, როდესაც გაზეთ «რეჩის» № 52-ში (1 მარტს) წავიკითხეთ ბ-ნ კ. დ.-ის, ამ გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტის, სტატია: «გერმანული ლიბერალიზმის კრიზისი». ავტორი ეხება «Vorwärts»-ისა და ზიუდეკუმის პოლემიკას ჩვენებური ლიბერალური ფალსიფიკატორების ჩვეულებრივი კილოთი და ჩვეულებრივი ფანდებით. ორივე მხარის საბუთების გადმოცემას, სწორი ციტატების მოყვანას ავტორი სრულიადაც არ ფიქრობს. იგი უბრალოდ აცხადებს: «ოფიციალური «Vorwärts»-ი დაუყოვნებლივ ტალახში სვრის ერეტიკოსს და თავაშვებული, გამომწვევი კილოთი მეტად ულაზათო მეთაურში უმეცრებასა და პარტიული დოგმატების შეუწყნარებელ დავიწყებას აბრალებს მას». მკითხველმა განსაჯოს, რამდენად «სასიამოვნოდ» მიიჩნევს თვით ზიუდეკუმი კადეტების მიერ მის ასეთ დაცვას. მაგრამ ასეთია ბედი ყველა ქვეყნის რევიზიონისტებისა: მათ ცდას ყოველთვის გაძლიერებით უჭერს მხარს და მგრძნობიარედ «იწონებს» ბურჟუაზია. ზიუდეკუმების კავშირი ბატონ სტრუვეებთან, — ჩვენი პოზიციის სისწორის დასამტკიცებლად ამაზე უფრო «სასიამოვნოს» ვერაფერს მოიგონებდა ადამიანი.

«პროლეტარი» № 25, 1908 წლის (25) 12 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# მარქსის შეფასება საერთაშორისო ლიბერალიზმის მიერ

ტურგენევის ერთმა გმირმა დიდი გერმანელი პოეტის ლექსი ასე გადააკეთა:

**Wer den Feind will versteh'n,**
**Muss im Feindes Lande geh'n**

ესე-იგი «ვისაც სურს თავისი მტერი შეისწავლოს, ამ მტრის ქვეყანაში უნდა წავიდეს», უშუალოდ გაეცნოს მტრის ადათებს, ზნეჩვეულებებს, მსჯელობისა და მოქმედების მეთოდებსო.

მარქსისტებისთვისაც არ იქნება ზედმეტი თვალი გადაავლონ იმას, თუ როგორ გამოეხმაურნენ სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი პოლიტიკური ორგანოები მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავს, განსაკუთრებით კი ლიბერალური და «დემოკრატიული» ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც მკითხველთა მასებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას ოფიციალური, კაზიონური, ტიტულიანი, პროფესორული მეცნიერების სახელით ლაპარაკის უფლებას უკავშირებენ.

ჩვენი მიმოხილვა «რუსსკიე ვედომოსტით» დავიწყოთ. ეს ყველაზე დინჯი (და ყველაზე მოსაწყენი), ყველაზე მეცნიერული (და ნამდვილი ცხოვრებისაგან ყველაზე მეტად დაშორებული) პროფესორული გაზეთია. მის პატარა სტატიაში კარლ მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო (1 მარტი, № 51) ჭარბობს მშრალი, გახევებული კილო — «ობიექტურობა», როგორც მას «ორდინართა» და «ექსტრაორდინარ-

თა» ენაზე ეწოდება... ფაქტები და ფაქტუნები — აი რითი ცდილობს დაკმაყოფილდეს სტატიის ავტორი. და როგორც მიუდგომელი ისტორიკოსი, იგი მზად არის მარქსს კუთვნილი მიუზღოს — ყოველ შემთხვევაში, წარსულისთვის, რომელიც უკვე მოკვდა, რომლის შესახებაც ლაპარაკი მკვდრულად შეიძლება. «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» მარქსის სახით ხედავს «განსაკუთრებულ ფიგურას», «მეცნიერების დიდ» ადამიანს, «პროლეტარიატის გამოჩენილ ხელმძღვანელს», მასების ორგანიზატორს. მაგრამ ეს აღიარება წარსულით განისაზღვრება: ამჟამად, — ამბობს გაზეთი, — «მართლაც საჭიროა ახალი გზები», ე. ი. მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ახალი გზები, რომლებიც «ძველ მარქსიზმს» არა ჰგვანან. რანაირია სახელდობრ ეს ახალი გზები, ამაზე გაზეთი პირდაპირ არაფერს ამბობს — ეს მეტისმეტად ცოცხალი თემაა პროფესორებისთვის და მეტისმეტად «სახიფათო» სიუჟეტი ვირტუოზებისთვის, რომლებიც დახელოვნებული არიან «ჩუმად ყოფნის ტაქტში». მაგრამ გადაკვრით მაინც ცხადად ამბობენ: «მისი (მარქსის) ბევრი დებულება მეცნიერული ანალიზით და მოვლენათა დაუნდობელი კრიტიკით დამსხვრეულია. მეცნიერთა შორის თითქმის აღარ არიან მიმდევრები, რომლებიც მთელი მისი სისტემის ერთგულნი იყვნენ; მარქსის სულიერი პირმშო — გერმანიის სოციალ-დემოკრატია — საკმაოდ ძლიერ გადაიხარა იმ რევოლუციური გზიდან, რომელიც გერმანული სოციალიზმის ფუძემდებლებმა დასახეს». თქვენ ხედავთ: ავტორი ძალიან ცოტა რამეს არ ამჟღავნებს ბოლომდე, მარქსის რევიზიონისტულად შ ე ს წ ო რ ე ბ ი ს სურვილს.

მეორე გავლენიანი გაზეთი, «რ ე ჩ ი», ორგანო პოლიტიკური პარტიისა, რომელიც რუსეთის ლიბერალიზმის კონცერტში მთავარ როლს ასრულებს, მარქსის გაცილებით უფრო ცოცხალ შეფასებას იძლევა. მიმართულება, რასაკვირველია, ისეთივეა, როგორიც «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს ა», მაგრამ იქ ჩვენ ვნახეთ სქელტანიანი წიგნის წინასიტყვაობა, აქ კი — პოლიტიკური ლოზუნგები, რომლებიც, ყველა

საჭირბოროტო მოვლენის, ყველა თანამედროვე საკითხის შეფასების დროს მიმართულებას აძლევს უშუალოდ მთელ რიგ გამოსვლებს პარლამენტის ტრიბუნიდან. სტატიას «კარლ მარქსი და რუსეთი» (2 მარტი, № 53) წერს ცნობილი განდგომილი ბ-ნი იზგოევი, — ნიმუში რუსეთის იმ ინტელიგენტებისა, რომლებიც 25 — 30 წლისანი «მარქსისტობენ». 35 — 40 წლისანი — ლიბერალობენ, შემდეგ კი შავრაზმელობენ.

ბ-ნი იზგოევი გადაბარგდა სოციალ-დემოკრატებიდან ლიბერალებისკენ (როგორც თვითონ აცხადებდა და როგორც აცხადებდა მის შესახებ რენეგატობის დიდი ოსტატი, ბ-ნი სტრუვე) სწორედ იმ დროს, როდესაც რევოლუციის პირველ თავბრუდამხვევ წარმატებათა შემდეგ იწყებოდა მოლონიერებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის მძიმე ხანა. ბ-ნი იზგოევი ამ მხრივ ფრიად ტიპიურია. იგი ჩინებულად გვიხსნის და გვიჩვენებს ვ ი ს მოუტანს ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა ს პროფესორული მანჭვა-გრეხა მარქსის შეფასების დროს, ვ ი ს ს ა მ უ შ ა ო ს აკეთებს ეს ტიტულიანი «მეცნიერება». «ეს მოპოლიტიკანე ტაქტიკოსი, — სჭექს და ჰქუხს იზგოევი მარქსის შესახებ, — დიდ მეცნიერს ძლიერ უშლიდა ხელს და ბევრჯერ შეცდომაში აგდებდა». ძირითადი შეცდომა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ნამდვილი, გონიერი, «უმრავლესობის» მიერ (ფილისტერთა უმრავლესობის?) გაზიარებული «ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მარქსიზმის» გარდა ქვეყნად გაჩნდა მავნე, არამეცნიერული, ფანტასტიკური და «ნაროდნიკული ბურახით გაყალბებული» რევოლუციური მარქსიზმი. ჩვენს ლიბერალს განსაკუთრებით აღაშფოთებს ა მ მარქსიზმის როლი რუსეთის რევოლუციაში. აბა იფიქრეთ: იქამდეც კი მივიდნენ, რომ აღიარეს პროლეტარიატის დიქტატურა თვით ამ «ბურჟუაზიული რევოლუციის» მოსახდენად, ან კიდევ: «მარქსისტების თქმით სრულიად ფანტასტიკური დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხობისა». «რაღა გასაკვირველია, რომ რევოლუციურმა მარქსიზმმა იმ ფორმით, როგორც ის სხვადასხვა ელფერის ბოლშევიკებმა

შეითვისეს რუსეთში, კრახი განიცადა». ...«საჭირო ხდება ჩვეულებრივი «ბურჟუაზიული» (ირონიული ბრჭყალები ბ-ნ იზგოევისაა) კონსტიტუციის დამყარებაზე ვიფიქროთ».

აი ესეც იდეურად სავსებით მომზადებული და პოლიტიკურად მომწიფებული ოქტიაბრისტი, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ კრახი განიცადა მარქსიზმმა და რევოლუციურმა ტაქტიკამ, და არა კომპრომისების, ღალატისა და გამცემლობის კადეტურმა ტაქტიკამ!

გავყვეთ ქვევით. რუსული პრესიდან გადავიდეთ გერმანულზე, რომელიც თავისუფალ ატმოსფეროში მოქმედებს, ლეგალური სოციალისტური პარტიის პირისპირ, რომელიც ათეულობით ყოველდღიურ ორგანოებში გამოთქვამს თავის შეხედულებებს. გერმანიის ერთერთი ყველაზე მდიდარი, ყველაზე გავრცელებული, ყველაზე «დემოკრატიული» ბურჟუაზიული გაზეთი «Frankfurter Zeitung»-ი * დიდს მოწინავეს უძღვნის მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავს (№ 76, 16 მარტი ახალი სტილით «Abendblatt» **). გერმანელი «დემოკრატები» ხარს პირდაპირ რქაში სწვდნენ. «თავისთავად ცხადია, — გვეუბნებიან ჩვენ, — რომ სოციალ-დემოკრატიული პრესა ამ დღეს მრავალრიცხოვანი სტატიით ადიდებდა თავის მასწავლებელს. მაგრამ ერთს გავლენიან ნაციონალ-ლიბერალურ გაზეთშიც კი მარქსი აღიარებულ იქნა, თუმცა ჩვეულებრივი შენიშვნებით, დიდ ადამიანად. დიახ, რა თქმა უნდა, იგი დიდი იყო, მაგრამ იგი დიდი გამრყვნელი იყო».

გაზეთი, რომლის გარშემო თავმოყრილია იდეური შავრაზმელობის იმ სახესხვაობის ნაღები, რომელსაც ევროპის ლიბერალიზმი ეწოდება, განმარტავს: მარქსის პირად პატიოსნებაში სრულიადაც ეჭვი არ გვეპარება. მაგრამ მისმა თეორიებმა უთვალავი ვნება მოიტანა. მარქსმა აუცილებლობისა და კანონზომიერების ცნება შეიტანა საზოგადოებრივ მოვლე-

* — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.
** — «საღამოს გამოშვება». რ ე დ.

ნათა სფეროში, უარყო მორალის მნიშვნელობა და ჩვენი ცოდნის შედარებითი, პირობითი ხასიათი და ამრიგად, შექმნა ანტიმეცნიერული უტოპია და თავისი სექტანტური მიმდევრების ნამდვილი «ეკლესია». უმთავრესი მისი მავნე იდეა კი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლაა. ესაა მთელი ბოროტება! მარქსმა სერიოზულად მიიღო ძველებური თქმა **two nations**-ის შესახებ, თვითეული განათლებული ერის შიგნით ორი ერის, «ექსპლოატატორთა» ერის და «ექსპლოატირებულთა» ერის შესახებ (ამ არამეცნიერულ გამოთქმებს გაზეთი მომაკვდინებელ-ირონიულ ბრჭყალებში სვამს). მარქსს დააკისრა თავისთავად ცხადი, ნათელი, ყველა ჯანსაღი ადამიანისთვის გასაგები ჭეშმარიტება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში «მიზანია არა ბრძოლა, არამედ შეთანხმება». მარქსმა «ხალხი გაგლიჯა ნაწილებად, რადგან თავის ადამიანებს ძალით ჩაუდო თავში, რომ მათსა და დანარჩენ ადამიანთა შორის არაფერი საერთო არ არის, რომ ისინი მოსისხლე მტრები არიან».

«რა იქნება იმაზე უფრო ბუნებრივი, — კითხულობს გაზეთი, — რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც ბევრ პრაქტიკულ მოთხოვნაში ბურჟუაზიის წრის ბევრ ადამიანს ეთანხმება, მათთან დაახლოებას ცდილიყო? მაგრამ აი ეს ვერ ხერხდება სწორედ მარქსისტული თეორიის წყალობით. სოციალ-დემოკრატიამ თვითონ გასწირა თავისი თავი იზოლაციისათვის. რამდენიმე ხნის განმავლობაში შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ამ მხრივ პრინციპული ცვლილება ხდება. ეს მაშინ იყო, როდესაც რევიზიონისტებმა თავიანთი კამპანია დაიწყეს. მაგრამ ეს შეცდომა აღმოჩნდა, და, სხვათა შორის, განსხვავება რევიზიონისტებსა და ჩვენს შორის ის არის, რომ ჩვენ შევიგნეთ ეს შეცდომა, მათ კი ვერა. რევიზიონისტები ფიქრობდნენ და დღემდეც ფიქრობენ, რომ შეიძლება რამდენადმე მარქსს ჩაებღაუჭო და მაინც სხვანაირი პარტია გახდე. ამაო იმედია. მარქსი ან მთლიანად უნდა გადაყლაპო, ან სრულიად უკუაგდო, ნახევრული ზომებით კი აქ ვერაფერს გახდები»...

სწორია, ბატონო ლიბერალებო! შემთხვევით ზოგჯერ თქვენც გიხდებათ სიმართლის თქმა!

...«სანამ სოციალ-დემოკრატია მარქსს პატივს სცემს, იგი კლასობრივი ბრძოლის იდეას თავს ვერ დააღწევს, ვერ დააღწევს თავს აგრეთვე

სხვა რამეებსაც, რაც მასთან ერთად ცხოვრების ამოცანას ესოდენ აძნელებს... მეცნიერთა წრე შეთანხმებულია იმაში, რომ მარქსიზმის პოლიტიკურ-ეკონომიური თეორიებიდან არც ერთი სწორი არ აღმოჩნდა»...

აგრე. აგრე. თქვენ, ბატონებო, საუცხოოდ გამოხატეთ ბურჟუაზიული მეცნიერების, ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა და მთელი მისი პოლიტიკის დედაარსი. თქვენ მიხვდით, რომ მარქსს ვერ ჩაყლაპავ ნაწილ-ნაწილ. ბატონმა იზგოევებმა და რუსეთის ლიბერალებმა ეს ჯერ კიდევ ვერ გაიგეს. მალე ისინიც გაიგებენ.

აი, დასასრულ, ბურჟუაზიული რესპუბლიკის კონსერვატიული ორგანო «Journal des Débats» *. 15 მარტის ნომერში იუბილეს გამო გაზეთი წერს, რომ სოციალისტები, ეს «ველური გამთანაბრებლები», თავიანთი დიდი ადამიანების კულტს ქადაგებენ, რომ მარქსის მოძღვრების მთავარი ბოროტება, მარქსისა, რომელსაც «ბურჟუაზია სძაგდა», ეს არის კ ლ ა ს თ ა ბრძოლის თეორია. «იგი მუშათა კლასს უქადაგებდა არა დროებითს კონფლიქტებს, რომლებსაც თან სდევს დროებითი ზავი, არამედ საღმრთო ომს, განადგურების, ექსპროპრიაციის ომს, ომს კოლექტივიზმის აღთქმული ქვეყნისთვის... საშინელი უტოპიაა»...

კარგად წერენ ბურჟუაზიული გაზეთები, როდესაც მათ რაიმე ზურგს აუწვავს. ცხოვრებაც უფრო მხიარული ხდება, როდესაც ხედავ, როგორ ეწყობა და მტკიცდება მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის ლიბერალური მტრების იდეური ერთიანობა, რადგან ეს ერთიანობა ერთერთი თავდებია მილიონობით საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებისა, — პროლეტარიატისა, რომელიც, რადაც უნდა დაჯდეს, თავის აღთქმულ ქვეყანას მიაღწევს.

«პროლეტარი» № 25, 1908 წლის (25) 12 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — «სადისკუსიო გაზეთი». რ ე დ.

# შენიშვნები

1 სტატია «ბოიკოტის წინააღმდეგ» დაიბეჭდა 1907 წლის ივლისის დამლევს ბროშურაში «მესამე სათათბიროს ბოიკოტის შესახებ». ბროშურა დაიბეჭდა პეტერბურგის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ სტამბაში, მაგრამ გარეკანზე აღნიშნული იყო გამოცემის მოგონილი ადგილი «მოსკოვი, 1907. სტამბა გორიზონტოვისა, ტვერის ქ., 40». 1907 წლის სექტემბერში ბროშურა კონფისკებულ იქნა. — 1.

2 მასწავლებელთა სრულიად რუსეთის კავშირის დელეგატთა მე-4 ყრილობა შედგა 1907 წლის 19 — 24 ივნისს (2 — 7 ივლისს) ფინეთში. ყრილობას დაესწრო 82 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ 2 ათასზე მეტ მასწავლებელს. — 3.

3 1907 წლის 3 (16) ივნისის სახელმწიფო გადატრიალება — რეაქციული გადატრიალება, რაც იმით გამოიხატა, რომ მთავრობამ გარეკა II სახელმწიფო სათათბირო და შესცვალა სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კანონი. ახალი საარჩევნო კანონი ბევრად ადიდებდა მემამულეებისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობას სათათბიროში და რამდენჯერმე ამცირებდა გლეხთა და მუშათა უიმისოდაც მცირერიცხოვან წარმომადგენელთა რიცხვს. კანონი საარჩევნო უფლებებს ართმევდა აზიური რუსეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, ერთიორად ამცირებდა პოლონეთისა და კავკასიის მოსახლეობის წარმომადგენლობას. ამ კანონის საფუძველზე არჩეული და 1907 წლის ნოემბერში შეკრებილი III სათათბირო თავისი შემადგენლობით შავრაზმულ-კადეტური იყო. — 3.

4 ბულიგინის სათათბირო — სათათბირო ხასიათის «წარმომადგენლობითი დაწესებულება», რომლის მოწვევას მეფის მთავრობა შეპირდა ხალხს 1905 წელს. პროექტი კანონისა სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ და სათათბიროს არჩევნების დებულება» 40 ტ. 13

შეიმუშავა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით და გამოქვეყნდა 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. ბოლშევიკებმა აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს ბულიგინის სათათბიროს. მთავრობამ ვერ შესძლო სათათბიროს მოწვევა; იგი აღგავა რევოლუციამ. — 5.

5 ვიტეს სათათბირო — პირველი სახელმწიფო სათათბირო, მოწვეული 1906 წლის 27 აპრილს (10 მაისს), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ი. ვიტეს მიერ შემუშავებული დებულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონი პირველი სათათბიროს არჩევნების შესახებ ანტიდემოკრატიული იყო, მეფემ მაინც ვერ შესძლო სავსებით მორჩილი სათათბიროს მოწვევა. სათათბიროს უმრავლესობას შეადგენდნენ კადეტები, რომლებიც ცდილობდნენ გლეხობის ნდობის მოპოვებას რეფორმების, მათ შორის საადგილმამულო რეფორმის, ცრუ დაპირებებით.

1906 წლის 8 (21) იელისს სათათბირო გარეკა მეფის მთავრობამ. — 9.

6 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 229. — 12.

7 რსდმპარტიის მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა შესდგა სტოკჰოლმში 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს).

ყრილობას დაესწრო გადამწყვეტი ხმით 112 დელეგატი, პარტიის 57 ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, და 22 დელეგატი სათათბირო ხმით. გარდა ამისა, ყრილობაზე მონაწილეობას იღებდნენ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები: სამ-სამი პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისგან, ბუნდისგან და ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისგან, თითო უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისგან და ფინეთის მუშათა პარტიისგან, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი. ბოლშევიკ-დელეგატებს შორის მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ს. გ. შაუმიანი, მ. ვ. ფრუნზე, ფ. ა. არტემი (სერგეევი), ვ. ვ. ვოროვსკი და სხვები. ძირითადი საკითხები ყრილობაზე იყო: აგრარული საკითხი, მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შეფასება, დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი, ორგანიზაციული საკითხები. ყველა საკითხზე გააფთ-

რებული ბრძოლა წარმოებდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ლენინი ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებებით და სიტყვებით აგრარულ საკითხზე, მიმდინარე მომენტზე, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი ტაქტიკაზე, შეიარაღებულ აჯანყებაზე და სხვა საკითხებზე.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ხასიათი განსაზღვრა იმან, რომ მენშევიკები, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც უმრავლესობას შეადგენდნენ ყრილობაზე. მთელ რიგ საკითხებზე ყრილობამ გამოიტანა მენშევიკური რეზოლუციები (აგრარული პროგრამა, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულება და სხვ.). ყრილობამ მიიღო ლენინის ფორმულირება წესდების პირველი პარაგრაფისა პარტიის წევრობის შესახებ. ყრილობამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემადგენლობაში მიიღო ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები: პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და წინასწარ გადაწყვიტა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ბუნდის შესვლის საკითხი.

ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ 3 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი, ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მხოლოდ მენშევიკები.

ყრილობის მუშაობის ანალიზი მოცემულია ვ. ი. ლენინის ბროშურაში «მოხსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 379 — 463) და ი. ბ. სტალინის ბროშურაში «დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა» და «ავტორის წინასიტყვაობაში პირველი ტომისათვის» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, 1947, გვ. 236 — 260 და XV — XIX). — **17.**

**8** დუბასოვი — მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც ჩაახშო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება; სტოლიპინი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. — **19.**

**9** «კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია» (კ.-დ., კადეტები) — რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტია, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია; ჩამოყალიბდა 1905 წლის ოქტომბერში. კადეტები ინიღბებოდნენ ყალბი დემოკრატიზმით, თავიანთ თავს უწოდებდნენ «სახალხო თავისუფლების» პარტიას და ამით ცდილობდნენ გლეხობის მიმხრობას. მათი მისწრაფება იყო ცარიზმის შენარჩუნება კონსტიტუციური მონარქიის სახით. შემდეგ კადეტები გადაიქცნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიად. დიდი ოქტომბ-

რის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტები აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებსა და აჯანყებებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. — 20.

10 «ტ ო ვ ა რ ი შ ჩ» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე; ფორმალურად არ წარმოადგენდა რა რომელიმე პარტიის ორგანოს, ფაქტიურად მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში თანამშრომლობდნენ მენშევიკები. — 22.

11 ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი — «წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი» № 1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ გამოუცხადებია რა დაუყოვნებლივი გამოსვლა, პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდებდა «მხარი დაუჭირეთ და ბოლომდე განავითარეთ დაწყებული მასობრივი მოძრაობა, იქ კი, სადაც ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ აქტიურად და გადაჭრით დაგვიჭერენ მხარს ფართო მასები, დაუყოვნებლივ აიღეთ ხელთ მოძრაობის ინიციატივა და ამავე დროს აცნობეთ ეს ცენტრალურ კომიტეტს». — 27.

12 კ. მარქსი. წერილი კუგელმანს, 1869 წ. 3 მარტი. იხ. კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 217. — 31.

13 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწილი II, 1940, გვ. 99. — 34.

14 «ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი» ა ნ უ «1 7 ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს კ ა ე შ ი რ ი» — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და იმ მსხვილ მემამულეთა კონტრრევოლუციური პარტია, რომელნიც კაპიტალისტურად წარმართავენ მეურნეობას. შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები სიტყვიერად ცნობდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, მაგრამ უსიტყვოდ მხარს უჭერდნენ მეფის მთავრობის შინაურ და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტების ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. როძიანკო. — 35.

15 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენი-

ლებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) პლენუმის გადაწყვეტილებით ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი.

«პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარი» განაგრძობდა ძველი. ლენინური «ისკრის» ხაზს და სრულად დაიცვა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» მემკვიდრეობა.

ვ. ი. ლენინმა გაზეთში მოათავსა 50-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. ლენინის სტატიებს გაზეთ «პროლეტარიდან» ბეჭდავდნენ ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში და სცემდნენ ცალკეულ ფურცლებად.

რუსეთში ლენინის გამგზავრების უმალვე, 1905 წლის ნოემბერში, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა შეწყდა. გაზეთის ორი უკანასკნელი ნომერი (25 და 26) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით. — 37.

16 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური გაზეთი, დაარსებული ბოლშევიკების მიერ რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. გამოვიდა 50 ნომერი. «პროლეტარი» ატარებდა რსდმ პარტიის მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების ორგანოს სახელწოდებას, ხოლო რამდენიმე ხანს — მოსკოვის საოლქო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტებისასაც. ფაქტიურად «პროლეტარი» იყო ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო. გაზეთ «პროლეტარის» პირველი 20 ნომერი გამოვიდა ფინეთში. 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე გაზეთი გამოდიოდა ჟენევაში, 1909 წლის 8 (21) იანვრიდან — პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნდა ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1910 წლის იანვარში «შემრიგებლებმა», ტროცკის ფარულმა აგენტებმა და ხელშემწყობებმა, მოახერხეს გამოტანილიყო გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — 37.

17 სტატია «გ რ ა ფ გ ე ი დ ე ნ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს» დაიბეჭდა კრებულში «გოლოს ჟიზნი». სპბ., 1907, ნ. ლ.-ს ხელმოწერით, რედაქციის შემ-

დეგი შენიშვნით: «ეს სტატია დაწერილია ჯერ კიდევ ივნისში, «ტოვარიშჩში» პანეგირიკების გამოქვეყნებისთანავე, მაგრამ ავტორისგან «დამოუკიდებელ» გარემოებათა გამო არ დაბეჭდილა. როცა რედაქცია ადგილს უთმობს მას ამ კრებულში, ფიქრობს, რომ თუმცა სტატიის გამომწვევმა საბაბმა უკვე დაკარგა მნიშვნელობა დღევანდელი მომენტისათვის, მიუხედავად ამისა მისი შინაარსი ახლაც ინარჩუნებს მთელ თავის ღირებულებას». — 47.

18 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან, მისი გამომცემლები იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო. დახურულ იქნა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. — 47.

19 მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ გ ა ნ მ ა ა ხ ლ ე ბ ლ ო ბ ა — «მშვიდობიანი განახლების პარტია» — ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; დაარსდა 1906 წელს, აერთიანებდა მემარცხენე ოქტიაბრისტებსა და მემარჯვენე კადეტებს. «მშვიდობიანი განახლების პარტიას» ლენინი უწოდებდა «მშვიდობიანი ძარცვა-გლეჯის პარტიას». — 54.

20 ფილისტერის დახასიათება, მოცემული ლენინის მიერ, ეკუთვნის გოეთეს (Goethe's Werke. Neue Ausgabe. Zweiter Band, Berlin, 1893, S. 593). — 57.

21 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ს ა ე რ თ ო-ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შესდგა ტერიოკში (ფინეთი) 1907 წლის 8 და 14 (21 და 27) ივლისს. კონფერენციის ანგარიშები შენახული არ არის. კონფერენციის პირველ სხდომას დაესწრო 61 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 21 — სათათბირო ხმით.

მოხსენება III სათათბიროს არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხზე გააკეთა ლენინმა. კონფერენციამ მოიწონა ლენინის ხაზი III სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ, ხაზი, რომელსაც ის იცავდა თავის თეზისებსა და მოხსენებაში. — 58.

22 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ს ა მ ე კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა («ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მ ე ო რ ე») — შესდგა კოტკაში (ფინეთი) 1907 წლის 21—

23 ივლისს (3 — 5 აგვისტოს). კონფერენციას დაესწრო 26 დელეგატი, მათგან 9 ბოლშევიკი, 5 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი, 5 ბუნდელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, საარჩევნო შეთანხმებათა შესახებ და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ. პირველ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა სამი მოხსენება: ბოლშევიკებისგან — ლენინისა (ბოიკოტის წინააღმდეგ) და ა. ბოგდანოვისა (ბოიკოტის სასარგებლოდ), ხოლო მენშევიკებისა და ბუნდისგან — დანისა. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო ლენინის რეზოლუცია; პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის საკითხზე შეტანილ იქნა რეზოლუციის ოთხი პროექტი, რომელნიც გადაეცა რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს როგორც მასალა. ერთ-ერთ პროექტს საფუძვლად დაედო ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუციის ტექსტი. — 61.

23 უპარტიო პროგრესისტებს III სათათბიროს არჩევნებში უმთავრესად უწოდებდნენ თავიანთ თავს ქალაქთა წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. III სათათბიროში «პროგრესისტები» ოქტიაბრისტების მემარცხენე, უსახო ფრთაა. IV სათათბიროში «პროგრესისტები» მსხვილი ბურჟუაზიის პარტიაა, რომელიც გაემიჯნა ოქტიაბრისტების მემამულურ-ბურჟუაზიულ პარტიას. — 63.

24 «ობრაზოვანიე» — ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურული-პოპულარულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1892-დან 1909 წლამდე. 1906—1908 წლებში ჟურნალ «ობრაზოვანიეში» იბეჭდებოდა ბოლშევიკების სტატიები. 1906 წლის «ობრაზოვანიეს» მე-2 ნომერში დაიბეჭდა ლენინის ნაშრომის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსების»» V — IX თავები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277). — 64.

25 ბურენინის გაზეთს ლენინი უწოდებდა შავრაზმულ-მონარქისტულ გაზეთს «ნოვოე ვრემიას». ბურენინი — «ნოვოე ვრემიას» თანამშრომელი; გაბოროტებით სდევნიდა საზოგადოებრივი აზრის ყველა პროგრესული მიმდინარეობის წარმომადგენლებს. — 69.

26 ტრუდოვიკები, «შრომის ჯგუფი» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფი; შეიქმნა I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებისაგან 1906 წლის აპრილში.

ტრუდოვიკები მოითხოვდნენ ყოველგვარ წოდებრივ და ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმებას, ერობისა და ქალაქთა თვითმმართველობის დემოკრატიზაციას, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას. ტრუდოვიკების აგრარული პროგრამა გამომდინარეობდა მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობის ნაროდნიკული პრინციპებიდან: საერთო-სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწებიდან, აგრეთვე კერძომფლობელობითი მიწებიდანაც, თუ მფლობელობის ოდენობა აღემატებოდა დაწესებულ შრომითს ნორმას; გასასხვისებელი კერძომფლობელობითი მიწებისოვის გათვალისწინებული იყო საზღაური. საადგილმამულო რეფორმის განხორციელება ევალებოდა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს. — 78.

27 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის ოქტომბერში. — 73.

28 გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო — მემამულეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შედიოდა სახელმწიფო .საბჭოში და შავრაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში. — 74.

29 «ს ა ხ ა ლ ხ ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი» (ენესები) — წვრილბურჟუაზიული ლეგალური პარტია. შეიქმნა 1906 წელს, გამოეყო რა ესერების მემარჯვენე ფრთას. ამ პარტიის მოთხოვნები არ სცილდებოდა კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებს. ენესები უარყოფდნენ მიწის სოციალიზაციის ესერულ პროგრამულ დებულებას და აღიარებდნენ მემამულეთა მიწის გასხვისებას გამოყიდვის საფუძველზე. ლენინი ენესებს უწოდებდა «მეშჩანურ ოპორტუნისტებს», «სოციალ-კადეტებს», «ესერულ მენშევიკებს».

ენესების ლიდერები იყვნენ ა. ვ. პეშეხონოვი, ვ. ა. მიაკოტინი, ნ. ფ. ანენსკი და სხვები. — 79.

30 შ ტ უ ტ გ ა რ ტ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი (II ინტერნაციონალის VII კონგრესი) შესდგა 1907 წლის 18 — 23 აგვისტოს (ახალი სტილით). რსდმ პარტია წარმოდგენილი იყო 37 დელეგატით. ბოლშევიკებისაგან კონგრესს დაესწრნენ

ლენინი, ლუნაჩარსკი, ლიტვინოვი და სხვები. კონგრესმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები, 2) ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და პროფესიულ კავშირებს შორის, 3) კოლონიური საკითხი, 4) მუშების იმიგრაცია და ემიგრაცია და 5) ქალთა საარჩევნო უფლებები.

კონგრესის ძირითადი მუშაობა მიმდინარეობდა კომისიებში, სადაც ადგენდნენ რეზოლუციების პროექტებს პლენარული სხდომებისთვის. ლენინმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც განიხილავდა «მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების» საკითხს. — **81.**

**81** გაზეთ «პროლეტარის» მე-17 ნომერში, სადაც ეს სტატია დაიბეჭდა, მოთავსებული იყო შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რეზოლუციებიც. — **81.**

**82** კ. მარქსი. «კაპიტალი». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XVII, 1937, გვ. 654. — **84.**

**83** «ფ ა ბ ი ა ნ ე ლ თ ა  ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა» — რეფორმისტული, ოპორტუნისტული საზოგადოება, რომელიც ინგლისში 1884 წელს დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა. საზოგადოებას ეწოდა სახელი რომაელი სარდლის ფაბიუს კუნქტატორისა («ზოზინასი»), რომელიც ცნობილი იყო ლოდინის ტაქტიკით და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის თავის არიდებით. ფაბიანელები პროლეტარიატის ყურადღებას აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას და ქადაგებდნენ მშვიდობიან გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში წვრილმანი რეფორმების გზით.

ფაბიანელთა შეხედულებების კრიტიკა იხ. ენგელსის წერილში ზორგესადმი 1893 წლის 18 იანვრის თარიღით (კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 459) და ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში», «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისელთა მიერ თეორიის უგულებელყოფა». — **84.**

**84** ვ ო ი ნ ო ვ ი — ა. ვ. ლუნაჩარსკი. — **86.**

**85** «**D i e  G l e i c h h e i t**» («თანასწორობა») — სოციალ-დემოკრატიული ორკვირეული ჟურნალი; გერმანიის მუშა-ქალთა მოძრაობის ორგანო; გამოდიოდა 1890-დან 1925 წლამდე; 1892-დან 1917 წლამდე ჟურნალს რედაქტორობდა კლარა ცეტკინი. — **86.**

86 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 555, ან «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვ. წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი» ნ. ლენინის წინასიტყვაობით. სპბ., 1907, გვ. 249. — 95.

87 «Vorwärts» («წინ») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოსვლა იწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ებრძოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებას. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — 98.

88 1907 წელს წიგნის გამომცემლობა «ზერნო» შეუდგა ლენინის თხზულებათა სამტომიანი კრებულის გამოშვებას საერთო სათაურით «12 წლის მანძილზე». გამოსაცემად ნავარაუდევი სამი ტომიდან მოხერხდა მხოლოდ პირველი ტომისა და მეორე ტომის პირველი ნაწილის გამოშვება. პირველ ტომში შევიდა ლენინის ნაშრომები: «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში», «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», «რა ვაკეთოთ?», «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» და «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». პირველი ტომი გამოვიდა 1907 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში (გარეკანზე აღნიშნულია 1908 წ.) და კონფისკებულ იქნა გამოქვეყნებისთანავე, მაგრამ მოხერხდა ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა, და წიგნი არალეგალურად ვრცელდებოდა.

მეორე ტომში შესატანად განზრახული იყო ნაშრომები აგრარულ საკითხზე. ამგვარად შედგენილი მეორე ტომის გამოცემა არ განხორციელდა. 1908 წლის დამდეგს გამოვიდა მხოლოდ მეორე ტომის პირველი ნაწილი (ისე რომ საერთო სათაური «12 წლის მანძილზე» აღარ ჰქონია; კონსპირაციის მოსაზრებებით იგი მოიხსნა), რომელშიც შევიდა ლენინის ლეგალური ნაშრომები: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის», «შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/1895 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები» და «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»». მეორე ტომის მეორე ნაწილს შეადგენდა ნაშრომი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში». მეორე ტომის დასკვნითი ნაწილისათვის ლენინს განზრახული ჰქონდა

დაეწერა დიდი ნაშრომი რუსეთში მიწის განაწილების შესახებ (1905 წლის ახალი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით) და მუნიციპალიზაციის შესახებ.

მაგრამ მეორე ნაწილის გამოქვეყნება არ მოხერხდა.

მესამე ტომში უნდა შესულიყო საგაზეთო პოლემიკური სტატიები, მოთავსებული ბოლშევიკურ ორგანოებში («ისკრა», «ვპერიოდ», «პროლეტარი», «ნოვაია ზიენ»). რეაქციის დადგომამ ხელი შეუშალა ლენინს განეხორციელებინა მესამე ტომის გამოცემა. — **106.**

**39** ს ტ. — ვ. ვ. სტარკოვი, რ. — სტ. ი. რადჩენკო, — კ. — რ. ე. კლასონი. — **111.**

**40** «ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველთვიური მეცნიერულ-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი, სცემდნენ პეტერბურგში 1894 წლიდან ლიბერალი ნაროდნიკები, ხოლო 1897 წლის გაზაფხულიდან «ლეგალური მარქსისტები». «ნოვოე სლოვოში» დაიბეჭდა ლენინის სტატიები: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო». 1897 წლის დეკემბერში ჟურნალი დახურა მთავრობამ. — **111.**

**41** «ზ ა რ ი ა» — მარქსისტულ-მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი; სცემდა «ისკრის» რედაქცია 1901—1902 წლებში. «ზარიაში» დაიბეჭდა ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». გამოვიდა ოთხი ნომერი. — **112.**

**42** «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსული პოლიტიკური არალეგალური მარქსისტული გაზეთი, დაარსებული ლენინის მიერ 1900 წელს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის შემდეგ — პარტიის ცენტრალური ორგანო. როცა ლენინი ძველ «ისკრაზე» ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს «ისკრა» 1-ლი ნომრიდან 51-ე ნომრამდე. 52-ე ნომრიდან მენშევიკებმა «ისკრა» თავიანთ ფრაქციულ ორგანოდ გადააქციეს. — **112.**

**43** «ბ ე ზ ზ ა გ ლ ა ვ ი ე ლ ე ბ ი» — მემარცხენე კადეტთა ჯგუფი (ე. კუსკოვა, ს. პროკოპოვიჩი, ვ. ბოგუჩარსკი და სხვ.), რომელიც 1906 წელს

პეტერბურგში სცემდა ჟურნალს «ბეზ ზაგლავია». «ბეზზაგლავიელები» თავიანთ თავს აცხადებდნენ «კრიტიკული სოციალიზმის» მომხრეებად — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის რევიზიონისტული ფრთის (ბერნშტეინი და სხვები) მომხრეებად და ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. ლენინი «ბეზზაგლავიელებს» უწოდებდა «მომენშევიკო კადეტებს» ან «მოკადეტო მენშევიკებს». — **115**.

**44** «ამ გამოცემის მე-3 ტომში», ე. ი. კრებულის «12 წლის მანძილზე» მესამე ტომში, რომლის გამოცემა არ განხორციელებულა. — **116**.

**45** «ნოვაია ჟიზნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი. გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. იმ დროიდან, რაც ლენინი ემიგრაციიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, 1905 წლის ნოემბრის დამდეგს, გაზეთმა გამოსვლა იწყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით. «ნოვაია ჟიზნ» ფაქტიურად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო იყო. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვები. «ნოვაია ჟიზნში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც გაზეთს დიდ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი აღწევდა 80 ათასამდე ეგზემპლარს.

«ნოვაია ჟიზნმა» მრავალი რეპრესია განიცადა. 27 ნომრიდან — 15 კონფისკებულ და მოსპობილ იქნა. 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი მთავრობამ დახურა. უკანასკნელი, 28-ე, ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — **120**.

**46** «ვპერიოდ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. რედაქციის შემადგენლობაში აგრეთვე შედიოდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობამ სპეციალური რეზოლუციით აღნიშნა გაზეთ «ვპერიოდის» უდიდესი როლი მენშევიზმთან ბრძოლაში, პარტიულობის აღდგენის, რევოლუციური მოძრაობის მიერ წამოყენებული ტაქტიკის საკით-

ხების დაყენებისა და გაშუქების საქმეში, და მადლობა გადაუხადა გაზეთის რედაქციას. — **122.**

**47** «სათათბიროს მემარცხენე ჯგუფებიდან აღმასრულებელი კომიტეტის» შექმნის ლოზუნგს ბოლშევიკები აყენებდნენ იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ სათათბიროს მუშათა დეპუტატების დამოუკიდებელი კლასობრივი ხაზი, გლეხთა დეპუტატების საქმიანობის ხელმძღვანელობა და კადეტების გავლენისაგან მათი იზოლირება. მენშევიკებმა ამ ლოზუნგს დაუპირისპირეს «საერთო-ნაციონალური ოპოზიციის» შექმნის, ე. ი. კადეტებისთვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების მიერ მხარდაჭერის ლოზუნგი.

I სათათბიროს გარეკვის შემდეგ, 1906 წლის ივლისში, «მემარცხენეთა აღმასრულებელი კომიტეტი» ფაქტიურად მოეწყო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ირგვლივ. «მემარცხენეთა აღმასრულებელი კომიტეტის» ინიციატივით გამოშვებულ იქნა: «მანიფესტი არმიისა და ფლოტისადმი», რომელსაც ხელს აწერდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კომიტეტი და შრომის ჯგუფის კომიტეტი, და «მანიფესტი მთელი რუსეთის გლეხობისადმი», რომელსაც ხელს აწერდნენ აგრეთვე სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირი და სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი. მანიფესტები მოუწოდებდნენ ხალხს რევოლუციური ბრძოლისაკენ მთავრობის წინააღმდეგ და აყენებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევის ლოზუნგს. — **128.**

**48** «სენატის განმარტებანი» — მოცემული იყო მმართველი სენატის მიერ ამ შემთხვევაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კანონის მუხლების გამო. კანონის მუხლების «განმარტებით» სენატი საარჩევნო უფლებებს ართმევდა ცალკეულ ამომრჩევლებს ან მოსახლეობის მთელ კატეგორიებს. — **134.**

**49** კ. მარქსი. «პრუსიის კონტრრევოლუცია და პრუსიის მოსამართლეთა წოდება». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 115. — **138.**

**50** «რუსსკოე ზნამია» — შავრაზმული გაზეთი, «რუსი ხალხის კავშირის» ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის ნოემბრიდან 1917 წლამდე. — **147.**

51 «ბ ო ლ ო ს მ ო ს კ ვ ი» — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტთა პარტიის ორგანო. გამოდიოდა 1906 წლის დეკემბრიდან 1915 წლის ივნისამდე. — 147.

52 ლენინის შენიშვნა «პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს ს ტ ა ტ ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» დაიბეჭდა როგორც ბოლოსიტყვაობა «პროლეტარის» «რედაქციისაგან» ი. პ. მეშკოვსკის სტატიისათვის ««პოლემიკაც» ასეთი უნდა». — 157.

53 რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ს ა ე რ თ ო - ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა ტერიოკში 1907 წლის 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს). მას დაესწრო 57 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 11 — სათათბირო ხმით. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტის ანგარიში; 2) მოხსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ; 3) საერთო-რუსეთის კონფერენცია; 4) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გასამართლება; 5) უმუშევრობა; 6) საერთო-საქალაქო კონფერენციის გადარჩევა და სხვა ორგანიზაციული საკითხები. ლენინმა კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება საერთო-რუსეთის კონფერენციისთვის მომზადების შესახებ; III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის და ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის საკითხზე კონფერენციამ 37 ხმის უმრავლესობით 12 წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს მენშევიკებმა, რომელნიც წინადადებას იძლეოდნენ III სათათბიროში სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს მხარი დაეჭირათ ოქტიაბრისტებისათვის და პრეზიდიუმის არჩევნების დროს ხმა მიეცათ «მემარცხენე» ოქტიაბრისტისთვის. კონფერენციამ მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შეუწყნარებლობის შესახებ; გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გასამართლების დაწყების დღეს მოწყობილიყო პეტერბურგის და პეტერბურგის გუბერნიის მუშათა და მუშა-ქალთა ერთდღიური გაფიცვა.

კონფერენციამ აირჩია ორი ბოლშევიკი დელეგატი საერთო-რუსეთის კონფერენციაზე. — 159.

54 გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დრეზდენის ყრილობა (პარტეიტაგი) შესდგა 1903 წლის 13 — 20 სექტემბერს (ახალი სტილით). ყრილობამ მიიღო ოპორტუნისტული გადაწყვეტილება — ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა შესაწყნარებელიაო. — 166.

55 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეოთხე კონფერენცია («საერთო-რუსეთის მესამე») შესდგა ჰელსინგფორსში 1907 წლის 5 — 12 (18 — 25) ნოემბერს. კონფერენციას დაესწრო 27 დელეგატი: 10 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი, 5 ბუნდელი, 3 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ, ფრაქციული ცესტრებისა და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ცენტრალური კომიტეტის კავშირის განმტკიცების შესახებ და ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ. გარდა ამისა, კონფერენციამ განიხილა საკითხი სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლობის სახელწოდების შესახებ.

მოხსენება III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ გააკეთა ლენინმა. სამი ივნისის რეჟიმისა და პარტიის ამოცანების ლენინური შეფასების წინააღმდეგ გამოვიდნენ მენშევიკები და ბუნდელები, რომლებიც იცავდნენ მმართველი ოქტიაბრისტული პარტიისთვის მხარისდაჭერის საჭიროებას. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, წამოყენებული პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციის სახელით.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე ბოლშევიკური რეზოლუცია ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შეუწყნარებლობის შესახებ და სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ წარმომადგენლობას უწოდა «სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია».

რადგან მენშევიკური ცენტრი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან აბამდა ფარულ ურთიერთობას ადგილობრივ კომიტეტებთან, კონფერენციამ დასახა ღონისძიებები ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავშირის გასაძლიერებლად. — 168.

56 ლენინი გულისხმობს სტოლიპინის მიერ 1906 — 1907 წლებში გამოცემულ აგრარულ კანონებს. 1906 წლის 9 (22) ნოემბერს გამოცემულ

იქნა საადგილმამულო კანონი გლეხების ოემიდან გამოსვლის უფლებისა და სანადელო ნაკვეთების საკუთრებად განმტკიცების შესახებ. ჯერ კიდევ 1906 წლის 9 (22) ნოემბრის ბრძანებამდე 12 (25) აგვისტოს გამოიცა კანონები საუფლისწულო მიწების ნაწილის გაყიდვის შესახებ, 27 აგვისტოს (9 სექტემბერს) საგლეხო ბანკის მეშვეობით სახელმწიფო მიწების საჯაროდ გაყიდვის შესახებ და შემდეგ 15 (28) ნოემბერს «საგლეხო საადგილმამულო ბანკიდან სანადელო მიწების გირავნობით გლეხებისთვის სესხის მიცემის ნებართვის შესახებ». — **170.**

**57** ფ. მერინგის სტატია «გერმანული ლიბერალიზმი და რუსეთის სათათბირო» (**Fr. Mehring. «Deutscher Liberalismus und russische Duma». «Die Neue Zeit»**, 1906 — 1907, **Band I**, № 23) გადათარგმნა ლენინმა და გამოიყენა სტატიისთვის «ფრ. მერინგი მეორე სათათბიროს შესახებ», რომელიც დაიბეჭდა «ტაქტიკის საკითხების» II კრებულში, სპბ, 1907 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 468 — 477). — **174.**

**58** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». თავი IV. — **180.**

**59** «ზნამია ტრუდა» — ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1907 წლის ივლისიდან 1914 წლის აპრილამდე. — **182.**

**60** წინასიტყვაობა ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურისა პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ დაწერილია ლენინის მიერ 1907 წლის ნოემბერში. ლუნაჩარსკის ბროშურა არ გამოქვეყნებულა. მის შინაარსს ლენინი გაეცნო ხელნაწერის მიხედვით.

დოკუმენტს სათაური არა აქვს. სათაური მისცა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **193.**

**61** ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანჰაიმის ყრილობაზე, რომელიც შესდგა 1906 წლის 23 — 29 სექტემბერს (ახალი სტილით). დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ იენის ყრილობაზე 1905 წელს აღიარა პოლიტიკური ბრძოლის უალრესად მნიშვნელოვან საშუალებად. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი პროფკავშირებისა, რომლებმაც უარყვეს მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის იდეა, როგორც ანარქისტული. მანჰაიმის ყრილობას პირდაპირ არ დაუგმია პროფკავშირთა ოპორტუნისტული პოზიცია,

მაგრამ პარტიის ყველა წევრს მან ურჩია შესულიყო პროფკავშირულ ორგანიზაციებში, ხოლო პროფკავშირთა წევრებს შესულიყვნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, «რათა პროფესიული მოძრაობა განიმსჭვალოს სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით». — **194.**

**62** «**Die Neue Zeit**» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ათავსებდა რევიზიონისტების სტატიებს. — **194.**

**63** «ოსვობოჟდენიე» — ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუკეს რედაქციით. 1904 წლის იანვრიდან — ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების კავშირის» ორგანო. შემდეგში «ოსვობოჟდენიელებმა» შეადგინეს კადეტების პარტიის ბირთვი. — **199.**

**64** ნაშრომი «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» დაწერილია 1901 — 1907 წლებში. პირველი ოთხი თავი დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიას» 2 — 3 ნომერში 1901 წლის დეკემბერში სათაურით: «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში (ნარკვევი პირველი)», ნ. ლენინის ხელმოწერით. 1905 წელს ეს თავები ლეგალურად ცალკე ბროშურად გამოსცა ოდესაში წიგნის გამომცემლობამ «ბურევესტნიკმა» შეცვლილი სათაურით: «აგრარული საკითხი და მარქსის «კრიტიკოსები»». ეს სათაური ავტორმა შემდგომ გამოცემებში შეუნარჩუნა როგორც მთელ ნაშრომს, ისე მის ცალკეულ ნაწილებს.

თავები V — IX პირველად დაიბეჭდა 1906 წლის თებერვალში ლეგალურ ჟურნალ «ობრაზოვანიეს» მე-2 ნომერში. ამ გამოცემაში მათ გაუკეთდა ქვესათაურები, რაც არ ჰქონდა I — IV თავებს, რომელნიც დაიბეჭდა «ზარიაში», და 1905 წლის გამოცემაში.

ვლ. ილინის (ვ. ი. ლენინის) წიგნში «აგრარული საკითხი», ნაწ. I, რომელიც გამოვიდა პეტერბურგში 1908 წელს, პირველად დაიბეჭდა ერთად ყველა ცხრა თავი ორი ახალი თავის, X და XI მიმატებით, ამასთან თავებს I — IV გაუკეთდა ქვესათაურები, ხოლო ტექსტში შეტანილ იქნა სარედაქციო ცვლილებები და დაემატა რამდენიმე შენიშვნა.

XII თავი (უკანასკნელი) პირველად დაიბეჭდა 1908 წელს კრებულში «მიმდინარე ცხოვრება».

პირველი ცხრა თავი იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277.

ამ ტომის შემადგენლობაში შეტანილია თავები X, XI და XII, დაწერილი 1907 წელს. — 205.

65 ლენინს მხედველობაში აქვს ფრანც ბენზინგის წიგნი «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა სახალხო და კერძომფლობელობითს მეურნეობაზე», ბრესლავლი, 1897 (Fr. Bensing. «Der Einfluss der landwirtschaftlichen Maschinen auf Volks-und Privatwirtschaft», Breslau, 1897). — 208.

66 ლენინს მხედველობაში აქვს მ. ჰეხტის წიგნი «ბადენის გარდის სამი სოფელი», ლაიპციგი, 1895 (M. Hecht. «Drei Dörfer der badischen Hard», Leipzig, 1895). — 212.

67 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 52 — 54, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 324 — 325. — 212.

68 ლენინს მხედველობაში აქვს ცნობილი ნაროდნიკი პუბლიცისტის ა. ნ. ენგელგარდტის წერილები «სოფლიდან», რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ «ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში». — 212.

69 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 657. როცა ლენინი იმოწმებს მარქსის კაპიტალის III ტომს, იგი სარგებლობს 1894 წლის გერმანული გამოცემით და ყველა ციტატს თვითონ თარგმნის. — 221.

70 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 2, 1936. — 221.

71 ვ. ვ. (ვ. პ. ვორონცოვის ფსევდონიმი) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგი. — 230.

72 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 715. — 253.

73 წიგნი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში» ლენინმა დაწერა 1907 წლის ნოემბერ-დეკემბერში. 1908 წელს ეს ნაშრომი შევიდა კრებულის «12 წლის მანძილზე» პირველი ტომის მეორე ნაწილში. მაგრამ ჯერ კიდევ სტამბაში წიგნი კონფისკეებულ და მოსპობილ იქნა პოლიციის მიერ. გადარჩა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, რომელსაც ბოლოში აკლდა რამდენიმე გვერდი. პირველად წიგნი გამოვიდა მხოლოდ 1917 წელს სახელწოდებით: ვ. ილინი (ნ. ლენინი). «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის

1905 — 7 წლების პირველ რევოლუციაში» (პეტროგრადი, წიგნის გამომცემლობა «ეიზნ ი ზნანიე»).

1917 წლის გამოცემაში ნაცვლად ბოლო ნაწილისა, რომელიც აკლდა და წყდებოდა დაუმთავრებელი ფრაზით: «იუნკრულ-ბურჟუაზიული რუსეთის შექმნის რეფორმატორული გზა აუცილებლად გულისხმობს ძველი მიწათმფლობელობის საფუძვლების შენარჩუნებას და ნელ...» (იხ. ეს ტომი, გვ. 534), ლენინმა დაურთო შემდეგი: «სისტემატურ, უაღრესად მტანჯველ ძალადობას გლეხობის მასის მიმართ. გლეხურ-ბურჟუაზიული რუსეთის შექმნის რევოლუციური გზა აუცილებლად გულისხმობს მთელი ძველი მიწათმფლობელობის მსხვრევას, მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას».

ამ ტომში ნაშრომი იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ლენინმა შეასწორა წიგნის 1908 წელს გამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ. ეს შესწორებები 1917 წლის გამოცემაში შეტანილი არ ყოფილა, რადგან წიგნი აიწყო არა ხელნაწერის მიხედვით, არამედ 1908 წელს გადარჩენილი ეგზემპლარის მიხედვით. ამ ეგზემპლარის აღმოჩენა დღემდე ვერ მოხერხდა. — **265.**

**74** «გ უ რ კ ო-ლ ი დ ვ ა ლ ი ს მ ე თ ო დ ე ბ ი ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა-შ ი» — ხაზინის ქურდობა, სპეკულაცია და მტაცებლობა, რაც დიდად იყო გავრცელებული მეფის მაღალ მოხელეებსა და საქმოსნებში. გურკო — შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი; 1906 წელს მას წილი მიუძღოდა გაფლანგვებსა და სპეკულაციაში დამშეულ გუბერნიებში პურის მიწოდების დროს, პურის მიმწოდებელი კი იყო აფერისტი, სპეკულანტი ლიდვალი. — **306.**

**75** ჯ ო ნ ი — მენშევიკი პ. პ. მასლოვი. — **315.**

**76** კ ო ს ტ რ ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკების ლიდერი — ნოე ჟორდანია. — **318.**

**77** ვ ა ნ დ ე ა — საფრანგეთის პროვინცია, სადაც XVIII საუკუნის დამლევს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იფეთქა ჩამორჩენილი რეაქციული გლეხობის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ რევოლუციური კონვენტის წინააღმდეგ. აჯანყება მიმდინარეობდა რელიგიური ლოზუნგებით და მას ხელმძღვანელობდნენ კონტრრევოლუციური სამღვდელოება და მემამულეები. — **319.**

**78** ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს გ ლ ე ხ თ ა კ ა ვ შ ი რ ი — რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც წარმოიშვა 1905 წელს. კავ-

შირის პირველ და მეორე ყრილობებზე, რომლებიც შესდგა მოსკოვში 1905 წლის აგვისტოსა და ნოემბერში, შემუშავებულ იქნა კავშირის პროგრამა და ტაქტიკა. გლეხთა კავშირი მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებას და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, იცავდა I სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკას. კავშირის აგრარული პროგრამა შეიცავდა მიწის კერძო საკუთრების გაუქმების, გლეხებისთვის გამოუყიდველად სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სახელმწიფო მიწების გადაცემის მოთხოვნას. კავშირი თავის პოლიტიკაში იჩენდა უსახურობას და მერყეობას. კავშირი მოითხოვდა მიწის მემამულური საკუთრების ლიკვიდაციას, მაგრამ თანახმა იყო მემამულეთათვის ნაწილობრივი საზღაურის მიცემისა. გლეხთა კავშირი თავისი საქმიანობის დაწყებიდანვე პოლიციის რეპრესიებს განიცდიდა. 1906 წლის დამლევს სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი დაიშალა. — **319.**

**79** «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905-დან 1914 წლამდე. 1906 წლიდან — შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო. — **319.**

**80** როდბერტუსის შეხედულებათა გარჩევა იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 1, 1936, გვ. 170 — 172. რიკარდოს თეორიების ანალიზი იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 2, 1936, გვ. 7 — 11.

ლენინი, როცა იმოწმებს მარქსის ნაშრომს «ზედმეტი ღირებულების თეორიები», სარგებლობს 1905 წლის გერმანული გამოცემით და ყველა ციტატს თვითონ თარგმნის. — **335.**

**81** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 544. — **338.**

**82** იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 1, 1936, გვ. 187. — **338.**

**83** ა მ ე რ ი კ ი ს შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა გ ო მ ს ტ ე დ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ XIX საუკუნის შუა ხანებს ეკუთვნის. 1862 წლის კანონით ამერიკის შეერთებული შტატების ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა სახელმწიფოსაგან უფასოდ ან ძალიან მცირე ფასად მიეღო გომსტედი — მიწის ნაკვეთი 160 აკრამდე (64 ჰექტარი). ხუთი წლის შემდეგ, თუ უფრო ადრე არა, ნაკვეთი გადადიოდა მფლობელის საკუთრებად. — **339.**

84 ლენინს საკუთარი თარგმანით ციტატი მოჰყავს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომიდან «მანიფესტი კრიგეს წინააღმდეგ» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 99). — **339.**

85 ბ ო რ ი ს ო ვ ი — ს. ა. სუვოროვი. — **357.**

86 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუა ხანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო იყო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ხდება ენესების (სახალხო სოციალისტების) ნახევრადკადეტური პარტიის ორგანოდ. — **358.**

87 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 710 — 711. — **362.**

88 ლენინს მხედველობაში აქვს აგრარული საკითხის განხილვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1905 წლის 12 — 17 (25 — 30) დეკემბერს ტამერფორსში. კონფერენციაზე მოხსენება აგრარულ საკითხზე გააკეთა ლენინმა. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომ სასურველია აგრარული პროგრამიდან, რომელიც მიღებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე, ამოღებულ იქნას მუხლი გლეხებისთვის ჩამონაჭრებისა და გამოსაყიდი გადასახდელების დაბრუნების შესახებ, და საჭიროდ ცნო პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებათა, თვით სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და ქერძომფლობელური მიწის კონფისკაციის მხარდაჭერის შესახებ. — **363.**

89 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 2, 1936, გვ. 86. — **368.**

90 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 1, 1936, გვ. 172. სათანადო გვერდები შედარებისათვის იხ. იმავე ნაშრომში, ტ. II, ნაწილი 1, გვ. 183 და ტ. II, ნაწილი 2, გვ. 14. — **369.**

91 განყოფილება «პ ე ტ რ ე მ ა ს ლ ო ვ ი ა ს წ ო რ ე ბ ს კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი ს შ ა ვ ა დ ნ ა წ ე რ მ ო ნ ა ხ ა ზ ს» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» 33-ე ნომერში 1908 წლის 23 ივლისს (5 აგვისტოს). — **371.**

**92** იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი 1, 1936, გვ. 138. — **373.**

**93** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 572 — 650. — **376.**

**94** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 687 — 688. — **377.**

**95** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 688. — **379.**

**96** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 711. — **390.**

**97** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 711. — **390.**

**98** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 714. — **391.**

**99** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 715. — **392.**

**100** იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 709, 713 — 714. — **394.**

**101** იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწილი I, 1936, გვ. 138. — **398.**

**102** ლენინს აქ მოჰყავს ადგილი ნ. გ. ჩერნიშევსკის ნაწარმოების «რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევების» მეორე თავიდან, სადაც ის დასცინის ჟურნალისტ სენკოვსკის («ბარონ ბრამბეუსის») არასაკადრის პოლემიკურ ხერხს (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1906, გვ. 45). — **431.**

**103** იხ. კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 459. — **448.**

**104** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 26, ან ფ. ენგელსი. «საბინაო საკითხი», 1932, გვ. 36. — **449.**

**105** «პ რ ა ვ დ ა» — ყოველთვიური მენშევიკური ჟურნალი ხელოვნების, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე; გამოდიოდა მოსკოვში 1904 — 1906 წლებში. — **457.**

**106** «ა ლ ა პ ა ე ვ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა» მეფის მოხელეებმა შეარქვეს პერმის გუბერნიის ვერხოტურსკის მაზრის ალაპაევის თემს.

ლენინის მიერ მოხსენებულმა ესერმა გლეხმა გ. ი. კაბაკოვმა, II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, 1905 წელს მოახერხა ალაპაევის თემში გლეხთა კავშირის შექმნა; კავშირში შედიოდა 30 ათასამდე წევრი. — **504.**

**107** «ნ ა რ ო დ ო ვ ე ლ ე ბ ი» (ნაციონალ-დემოკრატები) — პოლონეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში «ნაროდოველები» პოლონეთის კონტრრევოლუციის, პოლონეთის შავრაზმელების ძირითადი პარტია გახდნენ. — **507.**

**108** ვ ა კ უ ფ ი ს მ ი წ ე ბ ი — მუსლიმანური მოსახლეობის ოლქების მიწები, რომელთა გაყიდვა და ერთი ხელიდან მეორე ხელში გადასვლა არ შეიძლებოდა. ვაკუფის მიწების შემოსავალი გადადიოდა ხაზინის ან სამღვდელოების განკარგულებაში. საბჭოთა ხელისუფლებამ ვაკუფის მიწები გადასცა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდს. — **512.**

**109** ლაპარაკია სატირულ «უახლესი რუსული სოციალიზმის ჰიმნზე», რომელიც გამოქვეყნდა «ზარიას» № 1-ში (1901 წლის აპრილი) «ნარცის ტუპორილოვის» ხელმოწერით. ლექსის ავტორი იყო ი. ო. მარტოვი. — **538.**

**110** ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა დაწერილია ლენინის მიერ წიგნის «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 7 წლების პირველ რევოლუციაში» გამოცემისას 1917 წელს. — **541.**

**111** ლენინის სტატია «დ ე ბ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო უ ფ ლ ე ბ ა თ ა გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» — პირველად დაიბეჭდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» № 1-ში, 1908 წლის თებერვალი. შემდეგ ის გადაბეჭდილ იქნა გაზეთ «პროლეტარის» 27-ე ნომერში, ამავე წლის 26 მარტს (8 აპრილს) ლენინის პოსტსკრიპტუმით (იხ. ეს ტომი, გვ. 552).

«ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო — არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე ჟენევაში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრა-

ლური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში შედიოდნენ ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ოთხმოცზე მეტი სტატია და შენიშვნა. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი იბრძოდა თანამიმდევრული ბოლშევიკური ხაზისთვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის განხორციელება. რედაქციის მენშევიკი წევრები მარტოვი და დანი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას საბოტაჟს უწევდნენ და იმავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «გოლოს სოციალ-დემოკრატში». ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია 1911 წელს მარტოვისა და დანის გასვლა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — **543.**

**112** «სტოლიჩნაია პოჩტა» — მემარცხენე კადეტების გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ოქტომბრიდან 1908 წლის თებერვლამდე. — **543.**

**113** «ნაშა გაზეტა» — ბურჟუაზიული გაზეთის «ტოვარიშჩის» იაფფასიანი გამოცემა; გამოდიოდა 1908 წელს. — **552.**

**114** 1908 წლის 16 (29) აპრილს გაზეთ «პროლეტარის» 29-ე ნომერში დაიბეჭდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მუშაობის გამო. — **552.**

**115** ლენინი გულისხმობს სტატიას «პოლიტიკური მონახაზები» ვ. მ-დ-მ-ის (მედემის) ხელმოწერით, რომელიც დაიბეჭდა კრებულში «ნაშა ტრიბუნა», ვილნა, 1907. — **559.**

**116** ა ლ. ა ლ. — ა. ა. ბოგდანოვი. — **563.**

**117** ლენინს მხედველობაში აქვს ვ. ბაზაროვის, ბერმანის, ა. ლუნაჩარსკის, პ. იუშკევიჩის, ა. ბოგდანოვის, ი. გელფონდისა და ს. სუვოროვის სტატიათა კრებული. — **563.**

**118** ლაპარიკია ვ. ი. ლენინის წიგნზე «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», რომელიც გამოვიდა ჟენევაში 1904 წლის მაისში. — **564.**

**119** იგულისხმება ა. ბოგდანოვის წიგნი «ემპირიომონიზმი», მოსკოვი, 1904. — **564.**

**120** ა. ლუნაჩარსკის, ვ. ბაზაროვის, ა. ბოგდანოვის, პ. მასლოვის, ა. ფინის, ვ. შულიატიკოვის, ვ. ფრიჩესა და სხვათა სტატიების კრებული «რეალისტური მსოფლმხედველობის ნარკვევები» გამოვიდა პეტერბურგში 1904 წელს. გ. ვ. პლეხანოვისა და ვ. ი. ლენინის სტატიები კრებულში არ გამოქვეყნებულა. — **564.**

**121** ლენინის ნაშრომი «რიგითი მარქსისტის შენიშვნები ფილოსოფიაზე» ნახული არ არის. — **567.**

**122** ვ. ი. ლენინმა ამ დროს დაიწყო წერა ნაშრომისა «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». — **568.**

**123** მესამე რედაქტორი — ი. ფ. დუბროვინსკი. — **570.**

**124** ლენინი იმოწმებს თავის სტატიას «პოლიტიკური შენიშვნები», რომელიც დაიბეჭდა პროლეტარის 21-ე ნომერში 1908 წლის 13 (26) თებერვალს. პარტიული პროგრამის საკითხი უფრო ვრცლად გაშუქებული იყო სტატიაში «როგორ ასწორებს პეტრე მასლოვი კარლ მარქსის შავად ნაწერ მონახაზებს» («პროლეტარი» № 33, 1908 წლის 23 ივლისი (5 აგვისტო). (იხ. ეს ტომი, გვ. 371. «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში, III თავის მეორე განყოფილება). — **574.**

**125** «მეონები» — შემოკლებული სახელწოდება «მშვიდობიანი განახლების პარტიისა». — **575.**

**126** ლენინის სტატია «პროფესიული კავშირების ნეიტრალობა» ცოტაოდენი შემოკლებით დაიბეჭდა კრებულში «ოვეიანიახ ვრემენი» (სპბ, 1908, გამომც. «ტვორჩესტვო») ვლ. ილინის ხელმოწერით. — **578.**

**127** რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია პროფესიული კავშირების შესახებ დაიბეჭ-

და გაზეთ «პროლეტარის» 21-ე ნომერში 1908 წლის 13 (26) თებერვალს.

პარტიის წევრებს წინადადება ეძლეოდათ პროფესიულ კავშირთა ორგანიზაციების შიგნით მოეწყოთ პარტიული ჯგუფები და ემუშავნათ იქ ადგილობრივი პარტიული ცენტრების ხელმძღვანელობით. იმ შემთხვევაში, როცა პოლიციის მხრივ დევნა საშუალებას არ იძლეოდა მოეწყოთ ან აღედგინათ დანგრეული პროფესიული ორგანიზაცია, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლეოდა არალეგალურად მოეწყოთ პროფესიული უჯრედები და პროფესიული კავშირები. — **578.**

**128** «ნაშ ვეკ» — გაზეთი; გამოდიოდა 1905 — 1908 წლებში, თავდაპირველად როგორც ბურჟუაზიული გაზეთის «ტოვარიშჩის» პოპულარული გამოცემა. — **578.**

**129** «ვპერიოდ» — ბოლშევიკური მასობრივი მუშათა გაზეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლენინი; არალეგალურად სცემდა ვიბორგში «პროლეტარის» რედაქცია 1906 წლის 10 (23) სექტემბრიდან 1908 წლის 19 იანვრამდე (1 თებერვლამდე). გამოვიდა 20 ნომერი. № 2-დან დაწყებული, გაზეთი «ვპერიოდ» გამოდიოდა როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტების ორგანო: № 2 — მოსკოვის და პეტერბურგის კომიტეტების და მოსკოვის საოლქო კომიტეტისა; №№ 3 — 7 — როგორც მოსკოვის, პეტერბურგის, მოსკოვის საოლქო, პერმისა და კურსკის კომიტეტების ორგანო; №№ 8 — 19 გარდა ამისა, როგორც ყაზანის კომიტეტის ორგანო; გაზეთ «ვპერიოდის» უკანასკნელ № 20-ზე პერმისა და ყაზანის ნაცვლად აღნიშნული იყო ურალის საოლქო კომიტეტი. — **580.**

**130** დ. ფირსოვისა (დ. როზენბლიუმისა) და მ. იაკობის (მ. გენდელმანის) წიგნი «აგრარული პროგრამისა და მისი დასაბუთების გადასინჯვისათვის» გამოვიდა წიგნის გამომცემლობაში «ერა», მოსკოვი, 1908. წიგნი კონფისკებულ იქნა. ლენინის მიერ შეპირებული ამ წიგნის გარჩევა «პროლეტარში» არ გამოქვეყნებულა. — **585.**

**131** «სოვრემიონნი მირ» — ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ოქტომბრიდან. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები, მათ შორის გ. ვ. პლეხანოვი. პლეხანოვე-

ლებთან ბლოკის პერიოდში ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები; 1914 წლის მარტში «სოვრემიონნი მირში» დაიბეჭდა ლენინის სტატია «სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება». — **586.**

**132** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწილი II, 1936. გვ. 108 — 111. — **598.**

**133** სტატია «კ ო მ უ ნ ი ს გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი» — წარმოადგენს ლენინის მოხსენების ჩანაწერს, რომელიც დაიბეჭდა «ზაგრანიჩნაია გაზეტას» მე-2 ნომერში, 1908 წლის 23 მარტს. გაზეთის რედაქციამ სტატიას წარუმძღვარა შემდეგი განმარტება: «18 მარტს ჟენევაში შედგა ინტერნაციონალური მიტინგი სამი პროლეტარული წლისთავის: მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავის, 1848 წლის მარტის რევოლუციის 60 წლისთავისა და პარიზის კომუნის წლისთავის გამო. მიტინგზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით გამოვიდა ამხანაგი ლენინი, რომელმაც ილაპარაკა კომუნის მნიშვნელობაზე». — **599.**

**134** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი ტ. XIII, ნაწილი II, 1940, გვ. 99. — **600.**

**135** კომუნის, როგორც «ახალი საზოგადოების წინამორბედის», ისტორიული როლის შეფასება იხ. კ. მარქსის ნაშრომში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1940, და წერილებში კუგელმანისადმი 1871 წლის 12 და 17 აპრილის თარიღით (იხ. კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 262 და 264). — **601.**

**136** «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალური ბურჟუაზიის ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880-დან 1918 წლის შუახანებამდე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. — **609.**

# ვ. ი. ლენინის

## ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1907* წლის ივნისი —*1908* წლის აპრილი)

## *1907*

| | |
|---|---|
| **ივნისი, 22-ის (5 ივლისის) შემდეგ.** | ლენინი კრებულისთვის «გოლოს ჟიზნი» წერს სტატიას «გრაფ გეიდენის ხსოვნას (რას ასწავლიან ხალხს ჩვენი უპარტიო «დემოკრატები»?)». |
| **ივნისი, 25 (ივლისი, 8).** | რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინი აირჩია პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. |
| **ივნისი, 26 (ივლისი, 9).** | ლენინი წერს სტატიას «ბოიკოტის წინააღმდეგ (სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის შენიშვნებიდან)». სტატია დაიბეჭდა ბროშურაში «მესამე სათათბიროს ბოიკოტის შესახებ», რომელიც გამოვიდა 1907 წლის აგვისტოში. |
| **ივნისი — ივლისი.** | ლენინი ისვენებს სტირსუდენში (ფინეთი). |
| **ივლისი, 8 და 14 (21 და 27).** | ლენინი მონაწილეობას იღებს პეტერბურგის საერთოსაქალაქო კონფერენციის მუშაობაში ტერიოკში; აკეთებს მოხსენებას III სახელმწიფო სათათბიროსადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხზე. კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას III სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ. ლენინის მოხსენების თეზისები გამოიცა ცალკე ფურცლად. |
| **ივლისი, 16 (29).** | რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ლენინი არჩეულია შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე გასაგზავნი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში. |

| | |
|---|---|
| **ივლისი, 21 — 23 (აგვისტო, 3 — 5).** | ლენინი მონაწილეობას იღებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე («მეორე საერთო-რუსეთის») კონფერენციის მუშაობაში ტამერფორში (ფინეთი); აკეთებს მოხსენებას III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე. კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ბოიკოტის წინააღმდეგ. ლენინის პროექტი რეზოლუციისა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ გადაეცა ცენტრალურ კომიტეტს როგორც მასალა. |
| **ივლისი.** | ლენინი მეორედ გამოსაცემად ამზადებს წიგნს «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», შეაქვს მასში დამატებანი და წერს წინასიტყვაობას. |
| **აგვისტო, 1 (14).** | ლენინი წერს წერილს ა. მ. გორკის და თხოვს მას მიიღოს მონაწილეობა შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მუშაობაში, ამასთანავე აცნობებს გორკის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მას ანიჭებს სათათბირო ხმას. |
| **აგვისტო, 5 — 10 (18 — 23).** | ლენინი მონაწილეობას იღებს შტუტგარტის კონგრესის მუშაობაში; შედის იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა რეზოლუციის მომზადება «მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების შესახებ». |
| **5 და 10 (18 და 23) აგვისტოს შუა.** | ლენინი იწვევს და ატარებს შტუტგარტის კონგრესის მონაწილე მემარცხენე სოციალისტების თათბირს. |
| **აგვისტო, 11-ის (24) შემდეგ.** | ლენინი შტუტგარტიდან ბრუნდება კუოკალაში (ფინეთი). |
| **აგვისტო, 22 (სექტემბერი, 4).** | ლენინი კრებულისთვის «გოლოს ეიზნი» წერს სტატიას «პუბლიცისტის შენიშვნები», რომელშიც ის იცავს ბოლშევიკურ ტაქტიკას III სახელმწიფო სათათბიროსადმი და სათათბიროს პარტიების მიმართ. |

| | |
|---|---|
| 31 აგვისტოს და 7 სექტემბერს (13 და 20 სექტემბერს) შუა. | პეტერბურგში გამოდის კრებული «გოლოს ჟიზნი» ლენინის რედაქციით და მისივე სტატიებით «გრაფ გეიდენის ხსოვნას» და «პუბლიცისტის შენიშვნები». |
| აგვისტო. | რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინი არჩეულია პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» მთავარ რედაქტორად. |
| აგვისტო — სექტემბერი. | ლენინი წერს ორ სტატიას თემაზე «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი», მათგან ერთი, პოპულარული, განკუთვნილი იყო ბოლშევიკური გამოცემისთვის «კალენდარ დლია ვსეხ ნა 1908 გოდ». |
| აგვისტო — სექტემბერი. | ლენინი რედაქციას უკეთებს შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ და იტალიის სოციალისტურ პარტიათა მოხსენებების რუსულ თარგმანს. |
| აგვისტო — დეკემბერი. | ლენინი დასაბეჭდად ამზადებს თავის ნაწარმოებთა სამტომეულს «12 წლის მანძილზე». |
| სექტემბრის დამდეგი. | რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე ლენინი აკეთებს მოხსენებას შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ. |
| სექტემბერი, 7 (20). | რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინი არჩეულია «სოციალ-დემოკრატის» სარედაქციო კოლეგიაში და რედაქციის განმკარგულებელ კომისიაში. ამ სხდომაზე აუქმებენ ცენტრალური ორგანოს მთავარი რედაქტორის თანამდებობას. |
| სექტემბერი. | ლენინი წერს წინასიტყვაობას თავის ნაწარმოებთა კრებულის «12 წლის მანძილზე» I ტომისთვის. |
| 19 და 26 ოქტომბერს (1 და 8 ნოემბერს) შუა. | პეტერბურგში ლენინის რედაქციით გამოდის კრებული «ზარნიცი». |

| | |
|---|---|
| | პეტერბურგში გამოდის «კალენდარ დლია ვსეხ ნა 1908 გოდ» ლენინის სტატიით «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი». |
| **ოქტომბერი, 20 (ნოემბერი, 2).** | ლენინის სტატიები «რევოლუცია და კონტრრევოლუცია» და «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» მე-17 ნომერში. |
| **ოქტომბერი, 27 (ნოემბერი, 9).** | ლენინი მონაწილეობას იღებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში ტერიოკში, აკეთებს მოხსენებებს «III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ» და «ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ». |
| | კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას «III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ». |
| **ოქტომბერი, 29 (ნოემბერი, 11)** | ლენინის სტატია «მესამე სათათბირო» და რედაქციის შენიშვნა «პლეხანოვის სტატიის შესახებ» დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-18 ნომერში. |
| **ნოემბერი, 5 (18)-მდე.** | ლენინი ესწრება «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეოთხე კონფერენციის» მონაწილე ბოლშევიკთა წინასწარ თათბირს. |
| **ნოემბერი, 5 (18).** | ლენინის სტატიები ««საზიზღარი ორგიის» მზადება», «მსაჯულნი ვინღა არიან?» და «რეზოლუცია III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ», მიღებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციის მიერ, დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-19 ნომერში. |
| **ნოემბერი, 5 — 12 (18 — 25).** | ლენინი მონაწილეობას იღებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეოთხე კონფერენციის («მესამე საერთო-რუსეთისა») მუშაობაში ჰელსინგფორსში; აკეთებს მოხსენებას «III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ». ამ საკითხზე კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას. |

| | |
|---|---|
| **ნოემბერი.** | ლენინი წერს «წინასიტყვაობას ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურისათვის პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ». |
| **1907 წლის შემოდგომა.** | ლენინი წერს X — XII თავებს ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»». |
| **16 და 23 ნოემბერს (29 ნოემბერსა და 6 დეკემბერს) შუა.** | პეტერბურგში გამოდის ვ. ი. ლენინის (ვლ. ილინის) ნაწარმოებთა კრებული «12 წლის მანძილზე». |
| **ნოემბერი (დეკემბრის დამდეგი).** | ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული «12 წლის მანძილზე» კონფისკებულია პოლიციის მიერ. აღძრულია საქმე ლენინის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. |
| | ლენინი ემალება პოლიციას და კუოკალადან მიემგზავრება ოგლბიუში (ჰელსინგფორსის ახლოს). |
| **ნოემბერი — დეკემბერი.** | ლენინი მუშაობს წიგნზე «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში». |
| **დეკემბერი.** | ოგლბიუდან ლენინი მიემგზავრება საზღვარგარეთ. ნ. კ. კრუპსკაიას მოლოდინში რამდენიმე დღე ჩერდება სტოკჰოლმში. |
| **დეკემბერი, 22 (1908 წლის 4 იანვარი).** | ს.-პეტერბურგის სამოსამართლო პალატას გამოაქვს განაჩენი ლენინის წიგნის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» მოსპობის შესახებ. |
| **დეკემბერი, 23 — 24 (1908 წლის 4 — 6 იანვარი).** | ჟენევაში მიმავალი ლენინი ჩერდება ბერლინში, სადაც ხვდება რ. ლუქსემბურგს. |
| **დეკემბერი, 25 (1908 წლის 7 იანვარი).** | ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად ჩადის ჟენევაში. ლენინის მეორე ემიგრაციის დასაწყისი. |

**დეკემბერი 1907 — თებერვალი 1908.** ლენინი მუშაობს ჟენევაში გაზეთ «პროლეტარის» გამოცემის მოსამზადებლად.

## *1908*

**11 და 18 (24 და 31) იანვარს შუა.** პეტერბურგში გამოდის ლენინის (ვლ. ილინის) სტატიათა კრებული «აგრარული საკითხი», ნაწილი I.

**იანვარი, 20 (თებერვალი, 2).** ლენინი მიმართავს ა. მ. გორკის და თხოვს გაზეთ «პროლეტარის» პირველი ნომრებისთვის, რომელთა გამოცემა მზადდება საზღვარგარეთ, გამოუგზავნოს პუბლიცისტური სტატიები ან ახალ მხატვრულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები.

**თებერვალი, 11 (24).** ლენინი იწვევს «პროლეტარის» რედაქციის თათბირს იმ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა **«Die Neue Zeit»**-ში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ფილოსოფიის საკითხებზე არსებული ბრძოლის შესახებ. თათბირი ერთხმად ამტკიცებს ლენინის მიერ დაწერილ «პროლეტარის» რედაქციის განცხადების ტექსტს.

**თებერვალი, 12 (25).** ლენინი სწერს წერილს ა. მ. გორკის და აღნიშნავს, რომ აუცილებელია შეურიგებელი ბრძოლა რუსი მახისტების (ბოგდანოვისა და სხვების) წინააღმდეგ.

**თებერვალი, 18 (26).** ჟენევაში გამოდის გაზეთ პროლეტარის 21-ე ნომერი ლენინის სტატიით «პოლიტიკური შენიშვნები».

**15 და 20 თებერვალს (28 თებერვალსა და 4 მარტს) შუა.** პეტერბურგში გამოდის ბოლშევიკური კრებული «მიმდინარე ცხოვრება», რომელშიც დაბეჭდილია ლენინის წიგნის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» XII თავი, სათაურით ««იდეალური ქვეყანა» აგრარულ საკითხში მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით».

**თებერვლის მეორე ნახევარი (მარტის დამდეგი).** გამოდის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» № 1 ლენინის სტატიით «დებატებისათვის სა-

თათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ».

**თებერვალი, 19 (მარტი, 3).** ლენინის სტატიები: «ახალი აგრარული პოლიტიკა» «პროფესიული კავშირების ნეიტრალობა», «იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა პორტუგალიის მეფეს» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» 22-ე ნომერში.

**27 თებერვალსა და 6 მარტს (11 და 19 მარტს) შუა.** პეტერბურგში გამოდის ლენინის ნაშრომის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მე-2, შევსებული გამოცემა.

**თებერვალი.** ლენინი იწყებს წიგნის «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის» წერას.

**მარტი, 5 (18).** რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით ლენინი გამოდის სიტყვით პარიზის კომუნის მნიშვნელობის შესახებ ჟენევაში გამართულ ინტერნაციონალურ მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო სამი თარიღისადმი — კ. მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი, 1848 წლის რევოლუციის 60 წლისთავისა და პარიზის კომუნის დღისადმი.

**მარტი, 12 (25).** ლენინის სტატიები: «შეკვეთილი პოლიციურ-პატრიოტული დემონსტრაცია», «ლიბერალების მიერ ხალხის მოტყუების შესახებ», «მარქსის შეფასება საერთაშორისო ლიბერალიზმის მიერ» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» 25-ე ნომერში.

# შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX

*1907*

ბოიკოტის წინააღმდეგ (სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის შენიშვნებიდან) . . . . 1 — 46

I . . . . . 5
II . . . . . 12
III . . . . . 16
IV . . . . . 25
V . . . . . 29
VI . . . . . 39
VII . . . . . 45

გრაფ გეიდენის ხსოვნას (რას ასწავლიან ხალხს ჩვენი უპირტიო «დემოკრატები»?) . . . 47 — 57

თეზისები პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 8 ივლისს წაკითხული მოხსენებისა მესამე სათათბიროსადმი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამოკიდებულების საკითხზე... 58 — 60

რსდმ პარტიის მესამე («სრულიად რუსეთის მეორე») კონფერენცია . . . . . 61 — 63

1. პროექტი რეზოლუციისა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე . . . 61
2. მონახაზი რეზოლუციის პროექტისა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ . 62

პუბლიცისტის შენიშვნები . . . . . 64 — 80

შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი . . . . . 81 — 90

შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი . . . . . 91 — 105

წინასიტყვაობა კრებულისა «12 წლის მანძილზე» 106 — 130

რევოლუცია და კონტრრევოლუცია . . . . 131 — 142

მესამე სათათბირო . . . . . 143 — 156

პლეხანოვის სტატიის შესახებ . . . . . 157 — 158

რსდმპ ს.-პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია. საგაზეთო ანგარიშიდან . . . . . 159 — 167

1. მოხსენება III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ . 159
2. რეზოლუცია III სახელმწიფო სათათბიროს შესახებ . 163
3. მოხსენება ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ . . . . . 166

რსდმპ მეოთხე («სრულიად რუსეთის მესამე») კონფერენცია. საგაზეთო ანგარიშიდან . . . 168 — 173

1. მოხსენება III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ . . 168
2. რეზოლუცია III სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ 171

«საზიზღარი ორგიის» მომზადება . . . . 174 — 181

მსაჯულნი ვინღა არიან? . . . . . 182 — 192

წინასიტყვაობა ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურისა პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ . . . . 193 — 203

აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები» . 205 — 263

X. გერმანელი ბულგაკოვის, ე. დავიდის «ნაშრომი». . 207
XI. მესაქონლეობა წვრილ და მსხვილ მეურნეობაში". 222
XII. «იდეალური ქვეყანა» აგრარულ საკითხში მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით . 237

სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში 265 — 540

თავი I. რუსეთის აგრარული გადატრიალების ეკონომიური საფუძვლები და დედაარსი. . . . . 268

1. მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში . . . 268
2. რის გამო წარმოებს ბრძოლა? . . . . . 274
3. ბრძოლის დედაარსის მიჩქმალვა კადეტი მწერლების მიერ . . . . . 282
4. აგრარული გადატრიალების ეკონომიური დედაარსი და მისი იდეური სამოსელი . . . . . 285
5. ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი ტიპი . 291
6. აგრარული პროგრამების ორი ხაზი რევოლუციაში . 296
7. რუსეთის მიწის ფართობი. კოლონიზაციის საკითხი . 302
8. I თავის ეკონომიური დასკვნების რეზიუმე . . . 311

თავი II. რსდმ პარტიის აგრარული პროგრამები და მათი შემოწმება პირველი რევოლუციით . . . . . 312

1. რა იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინანდელი აგრარული პროგრამების შეცდომა? . . . . 312
2. რსდმ პარტიის ახლანდელი აგრარული პროგრამა . 315
3. მუნიციპალისტების მთავარი საბუთის ცხოვრებით შემოწმება. . . . . 319
4. გლეხობის აგრარული პროგრამა . . . . . 327
5. შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობა და ბურჟუაზიული რევოლუცია . . . . . 334

6. რატომ უნდა დაეჭირათ მხარი წვრილ მესაკუთრეებს რუსეთში ნაციონალიზაციისათვის? . . . . . 340
7. გლეხები და ნაროდნიკები სანადელო მიწების ნაციონალიზაციის შესახებ . . . . . 349
8. მ. შანინისა და დაყოფის სხვა მომხრეთა შეცდომა . 354

**თავი III.** ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ა და მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი უ ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი . . 362
1. რა არის მიწის ნაციონალიზაცია? . . . . . 363
2. პეტრე მასლოვი ასწორებს კარლ მარქსის შავად დაწერილ მონახაზს . . . . . 371
3. აუცილებელია თუ არა ნაროდნიკობის უარსაყოფად მარქსის უარყოფა? . . . . . 380
4. დაკავშირებულია თუ არა აბსოლუტური რენტის უარყოფა მუნიციპალიზაციის პროგრამასთან? . . . 385
5. მიწის კერძო საკუთრების კრიტიკა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით . . . . . 388
6. მიწის ნაციონალიზაცია და «ფეულადი» რენტა . . . 393
7. რა პირობებში შეიძლება განხორციელდეს ნაციონალიზაცია? . . . . . 395
8. ნაციონალიზაცია — დაყოფაზე გადასვლაა? . . . . 401

**თავი IV.** პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ნ ი ა გ რ ა რ უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ შ ი . . . . . 404
1. «გარანტია რესტავრაციისაგან» . . . . . 404
2. ადგილობრივი ოვითმმართველობა, როგორც «დასაყრდენი რეაქციის წინააღმდეგ» . . . . . 412
3. ცენტრალური ხელისუფლება და ბურჟუაზიული საბელმწიფოს განმტკიცება . . . . . 419
4. პოლიტიკურ და აგრარულ გადატრიალებათა გაქანება . 428
5. გლეხური რევოლუცია გლეხობის მიერ ძალაუფლების დაუპყრობლად? . . . . . 438
6. საკმაოდ მოქნილი საშუალებაა თუ არა მიწის ნაციონალიზაცია? . . . . . 443
7. მიწის მუნიციპალიზაცია და მუნიციპალური სოციალიზმი . . . . . 447
8. მუნიციპალიზაციით გამოწვეული არევ-დარევის ზოგიერთი მაგალითი . . . . . 454

თავი V. კლასები და პარტიები აგრარულ საკითხზე მეორე სათათბიროში გამართული კამათის მიხედვით . . . . . 458
1. მემარჯვენეები და ოქტიაბრისტები . . . . . 460
2. კადეტები . . . . . 467
3. მემარჯვენე გლეხები . . . . . 476
4. უპარტიო გლეხები . . . . . 479
5. ნაროდნიკი ინტელიგენტები . . . . . 486
6. გლეხ-ტრუდოვიკები (ნაროდნიკები) . . . . . 491
7. სოციალისტ-რევოლუციონერები . . . . . 501
8. «ნაციონალები» . . . . . 507
9. სოციალ-დემოკრატები . . . . . 519
დასკვნა . . . . . 529
ბოლოსიტყვაობა . . . . . 541

## 1908

დეპუტატებისთვის სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ . . . . . 543 — 551
პოსტსკრიპტუმი სტატიისა: «დეპუტატებისთვის სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ» . . . . . 552
პოლიტიკური შენიშვნები . . . . . 553 — 561
«პროლეტარის» რედაქციის განცხადება . . . 562
წერილი ა. მ. გორკის . . . . . 563 — 571
ახალი აგრარული პოლიტიკა . . . . . 572 — 577
პროფესიული კავშირების ნეიტრალობა . . . 578 — 592
იგის შესახებ, თუ რა შეემთხვა პორტუგალიის მეფეს . . . . . 593 — 598
კომუნის გაკვეთილები . . . . . 599 — 603
შეკვეთილი პოლიციურ-პატრიოტული დემონსტრაცია . . . . . 604 — 610
ლიბერალების მიერ ხალხის მოტყუების შესახებ . 611 — 616
მარქსის შეფასება საერთაშორისო ლიბერალიზმის მიერ . . . . . 617 — 622

შენიშვნები . . . . . 623 — 651
ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 653 — 661

## ილუსტრაციები

გარეკანი «კალენდრისა ყველასათვის 1908 წ.», რომელშიც დაიბეჭდა ლენინის სტატია «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი». ლენინის პირადი ეგზემპლარი . . 93
გარეკანი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულისა «12 წლის მანძილზე . . . . . 107
უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში». — 1907 წ. ნოემბერი — დეკემბერი . . . . . 540 — 541
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა ა. მ. გორკისადმი. — 1908 წლის 25 თებერვალი . . . . . 565

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI — 1950.
უე 05854. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 41,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1085.